ედიშერ გვენეტაძე

საერთაშორისო ურთიერთობები XX საუკუნეში და საბჭოთა კავშირის პოლიტიკური ანატომიის საკითხები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2023

წიგნში მიმდინარე საერთაშორისო ურთიერთობების ფონზე განხილული და გაანალიზებულია საბჭოთა კავშირის შექმნის, არსებობის და დაშლის საკითხები. წარმოჩენილია ფართო საზოგადოებისათვის დღემდე უცნობი, ზოგიერთი ფაქტი და მოვლენა.

რედაქტორები: ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **იგორ კვესელავა;**
პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ლევან მეტრეველი;**
საერთაშორისო ურთიერთობების დოქტორი, პროფესორი **დომენტი (დიტო) ჩუბინიძე.**

რეცენზენტები: ისტორიის დოქტორი, პროფესორი **ზურაბ კვეტენაძე;**
პოლიტიკის დოქტორი, პროფესორი **ლევან ოსიძე.**

© ე. გვენეტაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“, 2023

ISBN 978-9941-34-379-7

მსოფლიოს გადანაწილების მუდმივობა და რევოლუციები

XIX საუკუნის შუა პერიოდისათვის ინგლისი გახდა მსოფლიოში უძლიერესი სახელმწიფო. პატარა კუნძულოვან ქვეყანას ჭკვიანურმა და გაბედულმა პოლიტიკამ საშუალება მისცა გაჭრილიყო წინ. მსოფლიოში წამყვანი პოზიციის მიღწევის პროცესი, ბრიტანეთისათვის ორასი წლის განმავლობაში გაგრძელდა. პირველი სახელმწიფო, რომელიც ინგლისს დაუპირისპირდა მსოფლიო ბატონობისაკენ მიმავალ გზაზე იყო ესპანეთი.

ესპანეთის ეკონომიკას ამერიკის აღმოჩენამ ძლიერი ნახტომის საშუალება მისცა. პირენეის ნახევარკუნძულზე მცხოვრებლებმა ათწლეულების განმავლობაში წარმოუდგენელი შეძლეს. მათ ააშენეს საზღვარგარეთის ქვეყნების ზღვისპირეთის იმპერია. რის შედეგადაც ამერიკულმა ოქრომ პირთამდე აავსო ესპანეთის მეფის ხაზინა. ამ დროისათვის ესპანეთის უმდიდრეს სახელმწიფოს ინგლისისაგან ჰყოფდა ლა-მანშის სრუტე. ბრიტანელებმა გადაწყვიტეს ბრძოლა, მათზე ბევრად ძლიერ ესპანეთთან.

ბრძოლაში ჩაერთო არა მარტო იარაღი, არამედ ოქროს ძალაც, რომელმაც გაამრავალფეროვნა პოლიტიკური ინტრიგები. ბრიტანელთათვის კონკურენტის შესუსტების ერთ-ერთი საშუალება იყო ესპანეთის მფლობელობაში არსებულ ტერიტორიებზე არეულობების მხარდაჭერა და დაფინანსება. ესპანელებმა მშვენივრად იცოდნენ, სად იყო მათი მთავარი მტერი. ამიტომაც 1588 წლის 30 მაისს, მათი 130 ხომალდისაგან შემდგარი უზარმაზარი ფლოტი „უძლეველი არმადა“ ლისაბონის ნავსადგურიდან ინგლისისკენ გაემართა. ისტორიას ჯერ არ ახსოვდა ასეთი ფლოტი, ამიტომაც მას უწოდეს დიდი (დაუმარცხებელი) არმადა. მას ინგლისში უზარმაზარი რაოდენობის დესანტი უნდა გადაესხა. მაგრამ ლა-მანშის სრუტეში ბედმა ინგლისელებს გაუღიმა. ესპანელთა უძლეველი არმადა დაამარცხა ფრენსის დრეიკმა, რომელსაც დაეხმარა უეცრად ამოვარდნილი სტიქიაც. შედეგად ჰოლანდიამ ესპანეთისაგან დამოუკიდებლობა მოიპოვა.

ნიდერლანდები მაშინვე გახდა მთავარი საზღვაო ძალა და ბრიტანეთის ახალი კონკურენტი ...

1652 წლის 10 ივნისს, ინგლისის საბჭომ ადმირალ ბლექსს უბრძანა დაემორჩილებინა ინდოეთიდან დაბრუნებული ჰოლანდიური ფლოტი. მსოფლიო ბატონობისათვის ამ პირველ ომში ბრიტანელებმა მტრის დაახლოებით 1700 ხომალდი შეიპყრეს. ტვირთის საერთო ღირებულება შეადგენდა ექვს მილიონ ფუნტს, რაც იმ დროის ინგლისის წლიური ბიუჯეტზე ექვსჯერ მეტი იყო. გიჟური მეთოდებით ფულის შოვნამ გამოიწვია ნიდერლანდებთან(ჰოლანდია) მეორე და მესამე ომები. სამხედრო კონფლიქტის დასასრულს, თავისი დროის ერთ-ერთი ყველაზე ძლიერმა ძალამ, ჰოლანდიამ შეიძინა ყავის, ბოსტნეულის და ყვავილების მეორეხარისხოვანი მიმწოდებლის სახე.

სიმდიდრისა და ძალაუფლებისთვის ბრძოლების პერიოდში ჩამოყალიბდა რკინის წესები, რომლებიც განსაზღვრავდა ბრიტანეთის პოლიტიკას საუკუნეების განმავლობაში. თავის მხრივ ის ემყარებოდა ორ პრინციპს:

- კონტინენტზე მუდმივ ბრძოლას უძლიერეს ძალასთან;
- ფლოტის შექმნას, რომელიც იქნებოდა მსოფლიოში ყველაზე ძლიერი.

გარკვეული პერიოდის შემდეგ, მსოფლიოს დომინირებისთვის ბრძოლის ასპარეზზე გამოვიდა ახალი ძალა საფრანგეთი. ბრიტანული პოლიტიკის გამოცდილმა მეთოდმა - უხეშმა ძალამ, ამჯერად არ გამოიღო სასურველი შედეგი. ამიტომაც საჭირო გახდა ფრანგებთან ბრძოლის ახალ სიბრტყეში გადაყვანა. კოლონიებში კონფლიქტების გაუთავებელი სერია, ორივე ქვეყნისაგან დიდი სისხლისღვრას მოითხოვდა. ამიტომაც ბრძოლა ჩრდილოეთ ამერიკისა და კანადისათვის გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა. თუმცა ბრიტანელი პოლიტიკოსების დახვეწილი გონება ჯერჯერობით არ აიარაღებდა ინგლისს ახალი საშინელი იარაღით - რევოლუციით!

1784 წელს ძლიერი ბრიტანეთის სათავეში მოვიდა ლორდი

უილიამ პიტი. მისი გეგმით, მთავარი კონკურენტის საფრანგეთის განადგურება უნდა მომხდარიყო შემდეგნაირად: „ისე უნდა მოეხდინათ საფრანგეთის ბლოკირება ზღვიდან და მოეწყვიტათ ის მთელ კომერციული სამყაროსაგან, რომ მისგან დარჩენილიყო მხოლოდ, რიგითი საპორტო ქალაქი".

გენიალური გეგმის განსახიერება ორი მიმართულებით მიმდინარეობდა: 1. საფრანგეთის საზღვაო ბლოკადისთვის ინგლისური ფლოტის გაძლიერება და 2. მოწინააღმდეგის ტერიტორიაზე შიდა არეულობების გაღვივება. ინგლისის მიერ თხუთმეტი წლის განმავლობაში ჩატარებულმა დამანგრეველმა სამუშაოებმა თავისი საქმე გააკეთა. 1789 წელს საფრანგეთში მოხდა რევოლუციური აფეთქება. საფრანგეთის გარშემო გიჟური ვნებებით აღვსილი მონარქიები თავიდანვე ცდილობდნენ საფრანგეთის რევოლუციის ჩანასხშივე ჩაქოლვას. დაიწყო საფრანგეთის გაუთავებელი ომები მრავალრიცხოვან მტრულ კოალიციებთან. ეს ბრძოლები გაგრძელდა 1814 წლამდე. ამან ფრანგები დაასუსტა. მათ უკვე აღარ შესწევდათ ძალა ებრძოლათ საზღვარგარეთის კოლონიებისთვის. ადვილი მისახვედრი იყო, რომ ყველა ანტიფრანგული კოალიციის მთავარი ინსპირანტორები იყვნენ ბრიტანელები.

იმ დროისთვის, როდესაც დაიწყო საფრანგეთსა და ინგლისს შორის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა, ევროპისა და აზიის რუკაზე ახალი უზარმაზარი იმპერია გამოჩნდა, რომლის დაპყრობილი ტერიტორიები ბევრჯერ აღემატებოდა იმ დროის ძლიერი სახელმწიფოების არეალს. ეს იმპერია იყო რუსეთი. ინგლისელმა პოლიტიკოსებმა დაუყოვნებლივ მიაქციეს ყურადღება ახალ მოწინააღმდეგეს. ცნობილია, რომ მეტოქეების გასანადგურებლად საუკეთესო გზა, მათი ერთმანეთთან დაჯახებაა. ამიტომაც რუსეთს უნდა მოხვედროდა საფრანგეთის მძლავრი მუშტი ნაპოლეონის სახით. ამისათვის ბრიტანელებმა დაიწყეს პეტერბურგის სამეფო კარის გადატრიალების ფინანსირება. ბრიტანეთის ელჩმა რუსეთში უიტვორტმა მიიღო დავალება, ხელი შეეშალაა რუსეთ-

საფრანგეთის მოსალოდნელი დაახლოებისათვის. 1801 წლის 12 იანვარს იპერატორმა პავლე I-მა გაუგზავნა ბრძანება დონის კაზაკთა ატამანს ვ. ორლოვს ლაშქრობის შესახებ. საქმე ეხებოდა რუსეთ-საფრანგეთის ერთობლივ ლაშქრობას ინდოეთში. ამ ბრძანების გამოსვლიდან ორი თვეც კი არ უცოცხლია იმპერატორს. იგი მოკლეს, თავად მეფის კარზე მყოფმა შეთქმულებმა. როგორც რუსი მკვლევარები წერენ, პავლე პირველის მკვლელობაში ინგლისის მონაწილეობის პირდაპირი მასალები არ არსებობს, მაგრამ ამ მოვლენაში მათ ეჭვი შეაქვთ იქიდან გამომდინარე, რომ ახლად გამეფებულმა ალექსანდრე პირველმა, რომელიც პირადად მონაწილეობდა მამის წინააღმდეგ მიმართულ შეთქმულებაში პირველი რაც გააკეთა ის იყო, რომ ბრძანება გასცა კაზაკთა ყაზარმებში დაბრუნების შესახებ. ამის შემდეგ ალექსანდრე I მომდევნო ყველა ომში დადგა ბრიტანელების მხარეზე ნაპოლეონის წინააღმდეგ.

სანამ რუსები და ფრანგები ერთმანეთს ებრძოდნენ, ბრიტანელებმა განახორციელეს მნიშვნელოვანი სვლა მომავლისთვის. ჯერ კიდევ 1805 წელს მათ დაიპყრეს ჰოლანდიელთა კუთვნილი კაპსკის კოლონია, ხოლო ფრანგებს წაართვეს სეიშელი და ილდე ფრანის კუნძულები. ეს მიწები კი ინდოეთისკენ მიმავალ გზაზე იყო და არის. ნაპოლეონის ომების დასრულებისთანავე 1813 წლისთვის, ბრიტანელებმა თითქმის დაასრულეს ინდოეთის, ამ უმდიდრესი ქვეყნის დაპყრობა.

ხანგრძლივი და გააფთრებული ომები ევროპის კონტინენტზე ნაპოლეონის იმპერიის წინააღმდეგ საფრანგეთის დამარცხებით დასრულდა. პირველი უმნიშვნელოვანესი პოლიტიკური აქტი, რომელმაც ღირშესანიშნავი კვალი დატოვა საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში, იყო 1814 წლის ვენის კონგრესი. ბუნებრივია, რომ გამარჯვებული ქვეყნები მიზნად ისახავდნენ ევროპის პოლიტიკურ რუკაზე ყველა იმ ცვლილების გაუქმებას, რომლებიც ნაპოლეონმა განახორციელა. ამასთანავე, მათ არ ავიწყდებოდათ საკუთარი ინტერესების გათვალისწინებაც. კონ-

გრესში ევროპის თითქმის ყველა ქვეყნის წარმომადგენელი იღებდა მონაწილეობას, თუმცა ინიციატორები და გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოები იყვნენ ომში გამარჯვებულნი: ავსტრია, რუსეთის იმპერია, პრუსია და ბრიტანეთი. მათ გარდა, კონგრესში აქტიურ მონაწილეობას იღებდა საფრაგეთის საგარეო საქმეთა მინისტრი ტალეირანიც. ხანგრძლივი დისკუსიების შემდეგ გადაწყდა, რომ ევროპაში გაუქმებულიყო უკანასკნელი 20 წლის განმავლობაში განხორციელებული ყველა ცვლილება. აღდგენილიყო იმ მონარქთა ძველი უფლებები, რომლებიც დაზარალდნენ განვლილი რევოლუციური გარდაქმნებისა და ომების შედეგად.

კონგრესზე ერთ-ერთი მთავარი მიზანი გამარჯვებული ქვეყნების ტერიტორიული მოთხოვნების დაკმაყოფილება იყო. კონგრესის გადაწყვეტილებით, პოლონეთის სამეფო მიიერთა რუსეთის იმპერიამ. ჰოლანდია, ბელგია, ლუქსემბურგი გაერთიანდა და ნიდერლანდების სამეფო შეიქმნა. ინგლისმა დაიბრუნა დაკარგული კოლონიები; საფრანგეთი დარჩა 1792 წლის საზღვრებში და აღდგა ბურბონთა დინასტია; რომის პაპმა კვლავ აღადგინა ხელისუფლება ვატიკანზე; შეიქმნა გერმანული კავშირი; დანიამ, როგორც საფრანგეთის მოკავშირემ, დაკარგა ნორვეგია. ვენის კონგრესის უმნიშნელოვანესი მიღწევა ისიც იყო, რომ მსოფლიო ზესახელმწიფოები პირველად დასხდნენ მოლაპარაკების მაგიდასთან სადავო საკითხების მოსაგვარებლად, რაც თანამედროვე დიპლომატიის ჩამოყალიბების წინაპირობად იქცა[207].

ვენის კონგრესმა უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა საერთაშორისო ურთიერთობების განვითარებაში. კონგრესი სამ ძირითად საკითხს ისახავდა მიზნად: 1. ისეთი გარანტიების შექმნას, რომელიც მომავალში საფრანგეთის მხრიდან აგრესიის განხორციელებას არ დაუშვებდა; 2. გამარჯვებულთა ტერიტორიული პრეტენზიების დაკმაყოფილებას; 3. საფრანგეთის რევოლუციების ყველა შედეგის აღმოფხვრას.

კონგრესმა მხოლოდ ნაწილობრივ მიაღწია დასახულ მიზანს.

ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც გერმანულ სახელმწიფოთა კონფედერაციის შექმნის შედეგად ევროპაში ძალთა ბალანსის მიღწევა იყო. ჰენრი კისინჯერი თავის ნაშრომში ასე აფასებს გერმანიის კონფედერაციის შექმნის ფაქტს - „ის ძალზედ ძლიერი იყო საიმისოდ, რომ საფრანგეთი ვერ დასხმოდა თავს, მაგრამ ძალზედ სუსტი და დეცენტრალიზებული, რათა საფრთხე შეექმნა მეზობლებისათვის"[160, 336]. ვენის კონგრესზე პირველად იქნა მიღებული საერთაშორისო ურთიერთობების ისტორიაში უმნიშვნელოვანი ხასიათის დოკუმენტი ადამიანის უფლებათა დაცვის კუთხით - „დეკლარაცია ზანგებით ვაჭრობის აკრძალვასთან დაკავშირებით"[208, 145-146]. მიუხედავად საკითხის დაყენებისა და ვაჭრობის აკრძალვისა, ეს ქმედება არ გამოცხადებულა დანაშაულებრივ, ანუ სისხლის სამართლის კანონმდებლობით დასჯად ქმედებად. თუმცა რამდენიმე წელიწადში ვენის კონგრესის მიერ მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე 1818 წლის აახენის კონგრესზე მონებით ვაჭრობა უკვე დანაშაულებრივ ქმედებად განისაზღვრა, მაგრამ ამ შემთხვევაშიც კონგრესის მონაწილე ქვეყნების სისხლის სამართლის კოდექსებში ამ დანაშაულებრივმა ქმედებამ ასახვა ვერ პოვა და დეკლარაციად დარჩა. ამ საკითხს წერტილი დაესვა მხოლოდ 1841 წელს.

ვენისა და აახენის კონგრესების გადაწყვეტილებების რეალიზაციის მიზნით ინგლისის, რუსეთის, საფრანგეთის, ავსტრიისა და პრუსიის მიერ დადებული შეთანხმების თანახმად აიკრძალა ამერიკაში შავკანიანი მონების გადაყვანა, ხოლო მონობით ვაჭრობა გაუთანაბრდა მეკობრეობას, რომელიც იმ დროს სისხლის სამართლის დანაშაულს წარმოდგენდა.

კონგრესზე შეთანმხდნენ, რომ პერიოდულად წამოჭრილი უთანხმოებებისა და კონფლიქტების გადასაჭრელად ევროპის წამყვანი სახელმწიფოების წარმომადგენლები კონგრესზე უნდა შეკრებილიყვნენ. ისტორიაში სამი ასეთი შეხვედრა მოხდა:

1856 წლის პარიზის კონგრესი;

1871 წლის ლონდონის კონგრესი;


1878 წლის ბერლინის კონგრესი.

მკვლევარები თანხმდებიან, რომ ვენის სისტემის მიერ ფორმირებული საერთაშორისო ურთიერთობების სტილი, რომელიც კონგრესზე დადგინდა, უცვლელი იყო პირველ მსოფლიო ომამდე. ასევე უცვლელი რჩებოდა წამყვან სახელმწიფოთა ჩამონათვალიც, რაც უმნიშვნელოვანესი იყო საერთაშორისო ურთიერთობებში დიპლომატიის განვითარებისთვის. ვენის კონგრესის წყალობით მთელი 40 წლის განმავლობაში ევროპის არც ერთი დიდი სახელმწიფო ომში არ ჩაბმულა[209, 145-148].

აქ საინტერესოა შემდეგი. ვენის კონგრესის გახსნამდე რუსეთის იმპერატორი ალექსანდრე პირველი 1814 წელს ინგლისს ესტუმრა. ბრიტანეთის მმართველი ელიტა ცივად შეხვდა რუსეთის მეფეს. წესით, ალექსანდრე I-ის ლიბერალურ პოლიტიკურ ზრახვებს ინგლისის მხრიდან თანაგრძნობა უნდა გამოეწვია, მაგრამ ბრიტანეთის კონსერვატორული მთავრობა ინგლისის არისტოკრატიის ინტერების გამტარებელი იყო და კონსტიტუციური იდეების მიმართ უარყოფითი დამოკიდებულება ჰქონდა. ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი რობერტ კასლრი ყოველანაირად ცდილობდა რუსი მონარქის, როგორც ევროპის „მთავარი განმათავისუფლებლის“ რეპუტაციის დაქვეითებას. მან მოახერხა დაერწმუნებინა ინგლისის რეგენტი პრინცი გეორგი (მომავალში მეფე გეორგ მესამე), რომ რუსეთის მონარქი სხვა დელეგატებისაგან არ გამოერჩია. მასაც ისე მოპყრობოდნენ, როგორც დელეგაციის მონაწილე სხვა ქვეყნის წარმომადგენლებს. გარდა ამისა, ბრინტანელებს არ მოსწონდათ რუსეთის მეფის დადებითი დამოკიდებლება ოპოზიციურ პარტია ვიგებისადმი. ამიტომ, ბრიტანეთში ყოფნის დროს რუსეთის მეფეს ფაქტობრივად, ბრიტანელები არსად შეხვედრიან განსაკუთრებული პატივით[209, 242-243].

მიუხედავად იმისა, რომ ინგლისს მრავლად ჰქონდა კოლონიები, მისი მმართველი წრეები კვლავ იყვნენ დაინტერესებულნი იმ საზღვაო სივრცეების გავრცობით, რომლებიც სხვა ქვეყნებს ექვემდებარებოდა. დიდი ბრიტანეთის მმართველი წრეები

განსაკუთრებით დაინტერესებულნი იყვნენ პორტუგალიისა და ესპანეთის კოლონიებით. ბრიტანეთის წარმომადგენელი ვენის კონგრესზე იყო გამოცდილი დიპლომატი, ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი რობერტ სტიუარტ კასლრი. ომის დასრულებამდე კასლრიმ სამშვიდობო ხელშეკრულებები გააფორმა რუსეთსა და ავსტრიასთან. ინგლისს, ავსტრია სჭირდებოდა ანტინაპოლეონურ კოალიციაში ძალთა ბალანსისთვის. ლონდონს შემუშავებული ჰქონდა ევროპის ომის შემდგომი ორგანიზაციის გეგმა. ინგლისელ დიპლომატს უპირველეს ყოვლისა სურდა ავსტრია-პრუსიის დაახლოება. ამ კავშირს, მინისტრის გეგმით, დაემატებოდნენ გერმანული საშუალო სახელმწიფოები და ნიდერლანდები. რაც საერთო ჯამში ძლიერი ძალა იქნებოდა საფრანგეთის წინააღმდეგ. კასლრის აუცილებლად მიაჩნდა პრუსიის ტერიტორიების გაძლიერება და გაფართოვება რაინის მარცხენა სანაპიროს ხარჯზე და ამით ნიდერლანდების სამეფოს გაძლიერება, მაგრამ ეს გეგმა ვერ განხორციელდა. ფაქტი იყო, რომ პრუსიამ დაახლოება არჩია არა ავსტრიასთან, არამედ რუსეთთან, რომელსაც შეუთანხმდა პოლონეთისა და საქსონიის საკითხებზე. მაშინ კასლრი შეუდგა მეორე გეგმის განხორციელებას, რომლის თანახმადაც, ინგლისის დახმარებით ავსტრიას, საფრანგეთსა და სამხრეთ გერმანიას კავშირი უნდა შეეკრა, ოღონდ ამჯერად რუსეთის წინააღმდეგ. 1815 წლის შეთანხმებით კოალიციამ კონსენსუსს მიაღწია. დიდმა ბრიტანეთმა გაამყარა გავლენები კოლონიებზე, რომლებიც მას წილად ხვდა ესპანეთსა და საფრანგეთთან ომის დროს. ინგლისმა შემოიერთა ჰოლანდიის ნაწილი და მალტა. ევროპაში ნაპოლეონის უსაზღვრო ძალაუფლების ნაცვლად დამკვიდრდა ძალთა ბალანსი, რაც ბრიტანეთის მიზანს წარმოდგენდა და რის საფუძველზეც უნდა აყვავებულიყო ბრიტანეთის სავაჭრო-სამრეწველო, საზღვაო და კოლონიური პოტენციალი[210].



რობერტ სტიუარტ ვიკონტ კასლრი

ამ დროიდან ვითარება რადიკალურად შეიცვალა. რუსები შევიდნენ ევროპის ცენტრში, რაც არანაირად არ აწყობდა ინგლისს. ამიტომაც ლონდონი ყოველმხრივ ცდილობდა რუსების ევროპიდან გამოდევნას. ამას ემსახურებოდა მათ მიერ პოლონეთის აჯანყების ირიბი მხარდაჭერა და ყირიმის ომში (1853-1856 წწ.) რუსეთის წინააღმდეგ პირდაპირი ბრძოლა. რუსეთმა ყირიმის ომში საშინელი მარცხი განიცადა. მას დაეშალა შავი ზღვის ფლოტი. ამ ომს, როგორც თვლიან გადაჰყვა კიდევაც რუსეთის მეფე-იმპერატორი ნიკოლოზ I (1825-1855).

1856 წლის 18(30)მარტს რუსეთს, საფრანგეთს, ინგლისს, ოსმალეთსა და სარდინიის სამეფოს შორის ზავი დაიდო პარიზში. პარიზის ზავი(ტრაქტატი) უაღრესად დამამცირებელი იყო რუსე-

თისათვის. ამ საზავო ხელშეკრულების მესამე მუხლის ძალით, რუსეთს ოსმალეთისათვის უნდა დაებრუნებინა ყარსი და ასევე ომის დროს დაკავებული ოსმალეთის სხვა ტერიტორიები. თუმცა უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ყირიმის ლოკალური ომის შემდეგ, კიდევ 60 წლის განმავლობაში ევროპაში მშვიდობა შენარჩუნდა.

მალე მსოფლიო პოლიტიკურ არენაზე გერმანიის მზარდი სახელმწიფო გამოვიდა. პანგერმანიზმის იდეოლოგიის ფესვები ჯერ კიდევ შორეულ წარსულში არსებობდა. თუმცა მისი, როგორც იდეოლოგიის, ფორმირება მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მოხდა. 1871 წლამდე, ერთიანი გერმანული სახელმწიფო არ არსებობდა და 30-ზე მეტი სახელმწიფოსგან შემდგარი გერმანული კავშირი ფუნქციონირებდა. ამ კავშირის წევრები ერთმანეთისაგან განსხვავდებოდნენ, როგორც ფართობით, ისე სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობით. მის შემადგენლობაში შედიოდნენ მონარქისტული სახელმწიფოებიც, რომელთა შორის მოწინავე ადგილი ჰაბსბურგთა ავსტრიულ სახელმწიფოსა და პრუსიას ეკავა. გერმანული სახელმწიფოები ჩამორჩებოდნენ ინგლისსა და საფრანგეთს კაპიტალისტური განვითარების მხრივ. ამიტომაც ისინი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პირას იდგნენ. ეკონომიკის სწრაფი განვითარებისა და წინსვლისათვის ერთადერთი გამოსავალი ქვეყნის გაერთიანება იყო. ეკონომიკური სისუსტის გარდა, დასავლეთის სხვა ქვეყნებთან შედარებით, გერმანულ კავშირს პოლიტიკური არამდგრადობაც ახასიათებდა. ამ სისუსტეების გაანალიზება გერმანულ ელიტაში ამძაფრებდა გერმანიის გაერთიანებისა და ძლიერ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების სურვილს. გერმანელი ხალხის ნაციონალური თვითშეგნების ამაღლებას საფუძვლად ედო მათი წარსულის დიდება, რომლის დროსაც ყვაოდა „გერმანელი ერის საღმრთო რომის იმპერია“. წარსულისადმი მონატრების გრძნობითა და ნაციონალური თვითშეგნების ამაღლებით გაიჟღენთა მოსახლეობის ფართო ფენებიც. გერმანული კაპიტალიზმისა და ელიტარული ფენის იდეოლოგებმა, ფილოსოფოსებმა, ისტორიკოსებმა,

მწერლებმა აიტაცეს ეს იდეა და დაიწყო გერმანიის განდიდების იდეის ფორმირება, გერმანული სულის განდიდების პოპულარიზაცია. თანდათან პოპულარული გახდა იდეა, გერმანელი ერის აღმატებული ხარისხის შესახებ სხვა ერებთან შედარებით. ამ იდეამ შოვინისტური ხასიათი მიიღო და დაიწყო მისი აქტიური პროპაგანდა რეაქციული პოლიტიკური და საზოგადოებრივი მოღვაწეების მიერ. ნაციონალიზმი გახდა მთავარი საკვები მომავალში პანგერმანული იდეოლოგიის აღორძინებისთვის. გერმანიის გაერთიანება 1848-1849 წლების რევოლუციის შედეგად ვერ მოხერხდა, რისთვისაც იბრძოდნენ რევოლუციურ-პროლეტარული ძალები მარქსისა და ენგელსის ხელმძღვანელობით. გაერთიანება განხორციელდა მოგვიანებით და არა ქვემოდან, არამედ ზემოდან. როდესაც უფრო ძლიერმა სახელმწიფოებმა შეძლეს შედარებით სუსტი გერმანული სახელმწიფოების დამორჩილება და ერთ სივრცეში მოქცევა. გაერთიანებული გერმანიის ხელმძღვანელობისთვის ავსტრიასა და პრუსიას შორის ბრძოლა ბისმარკისეული პრუსიის გამარჯვებით დასრულდა. ავსტრიის იმპერია გაირიყა გერმანული კავშირიდან.

ამრიგად, პანგერმანიზმის ჩამოყალიბებას ხელი შეუწყო გერმანიის გაერთიანებისთვის ბრძოლამ. ამ იდეოლოგიის მიზანი იყო: 1. ძლიერი გერმანული სახელმწიფოს ჩამოყალიბება, რომელიც მომავალში იქნებოდა ლიდერი ცენტრალურ ევროპაში; 2. გერმანიის ტერიტორიაზე მცხოვრები არაგერმანელი ერების (განსაკუთრებით სლავების) ნაციონალური მოძრაობების განადგურება. სლავური ნაციონალური მოძრაობა განსაკუთრებით ძლიერი იყო მრავალნაციონალურ ავსტრიაში. რევოლუციის დამარცხების შემდეგ აქ დაიწყო სლავური ნაციონალური მოძრაობის გააქტიურება (ჩეხური, პოლონური). 3. პანგერმანიზმის იდეა მიზნად ისახავდა არა მარტო გერმანიის გაერთიანებას, არამედ სადავო გერმანული ტერიტორიების ანექსიას, მაგალითად, როგორიც იყო დანიის შლეზვიგი, ფრანგული ელზასი და ლოტარინგია.

მე-19 საუკუნის ბოლოს გერმანია გადაიქცა ერთ-ერთ უძლიერეს კაპიტალისტურ სახელმწიფოდ, აშკარად გამოკვეთილი იმპერიალისტური და მილიტარისტური მიდრეკილებებით. გერმანულმა იმპერიალიზმმა, რომელმაც დააგვიანა ევროპის გადანაწილებაში მონაწილეობის მიღება, დაიწყო გერმანიის ტერიტორიების ხელახალი გადაკეთებისთვის ბრძოლა. მისი ექსპანსიონისტური მიდრეკილებები მიმართული იყო ცენტრალური და სამხრეთ აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისა და კოლონიებისკენ. 1891 წელს პანგერმანული კავშირი, როგორც ორგანიზაცია, ოფიციალურად ჩამოყალიბდა[207,14-18]. კიდევ ერთი უმნიშვნელოვანესი მიზეზი, რამაც პანგერმანიზმის იდეის აღორძინება გამოიწვია, იყო ნაპოლეონის ომები. ჯერ კიდევ 962 წელს ოტო პირველმა დიდმა წერტილი დაუსვა კაროლინგების დინასტიას გერმანიაში და გააერთიანა ყველა გერმანული სამთავრო. რომის პაპმა იგია კურთხა, როგორც „წმინდა რომის იმპერატორი“. ასე შეიქმნა პირველი „გერმანული რეიხი“, მაგრამ ნაპოლეონმა ბოლო მოუღო პირველი რეიხის თითქმის ათასწლოვან არსებობას. 1806 წლის 6 აგვისტოს ავსტრიის იმპერიისა და პრუსიის სამეფოს დამარცხების შემდეგ ავსტრიის იმპერატორმა ფრანც მეორემ დატოვა „გერმანული ერის წმინდა რომის“ იმპერატორის ტიტული. ნაპოლეონმა გააუქმა „გერმანული ერის წმინდა რომის იმპერია“ და მის ადგილას შექმნა ახალი სახელმწიფოები. პირველმა რეიხმა არსებობა შეწყვიტა. გერმანელები ამ ომებს აღიქვამდნენ, როგორც ომებს რომის მემკვიდრეობისთვის. ეს დამარცხება იყო უდიდესი დარტყმა გერმანულ თავმოყვარეობაზე. ფაქტობრივად, გერმანელებმა ერთდროულად დაკარგეს იმპერიაც და იმპერატორიც. ამ ფაქტმა კიდევ უფრო დააჩქარა გერმანული ნაციონალური გრძნობის რადიკალიზება. ამ ამბებიდან 65 წლის შემდეგ 1871 წელს ვერსალში პრუსიის მეფე ვილჰელმ პირველი გახდა კვლავ იმპერატორი, „მეორე რეიხის“ გაერთიანებული გერმანიის სამეფოს მონარქი, მაგრამ არა როგორც წმინდა რომის იმპერატორი, არამედ როგორც გერმანიის

იმპერატორი. მეორე რეიხი კი უკვე შეიქმნა პრუსიის ფრთის ქვეშ და ავსტრიამ, რომელმაც უარყო ათასწლიანი ერთიანი გერმანული სახელმწიფოს აღდგენაში მონაწილეობის სურვილი, გერმანელების თვალში, სამუდამოდ დაკარგა უფლება ჩათვლილიყო გერმანიის გაერთიანებაში მონაწილე ქვეყნად.

მსოფლიო პოლიტიკაში შემობრუნების პუნქტი გახდა საფრანგეთ-პრუსიის 1870-1871 წლების ომი, რომლის შედეგადაც პრუსიამ მიიღო ელზასი და ლოტარინგია, ხოლო პრუსიის მეფემ გერმანიის კაიზერის ტიტული. ამით ევროპაში გამოჩნდა კიდევ ერთი დიდი მოთამაშე გერმანიის იმპერიის სახით. რუსეთმა ისარგებლა რა ამ კონფლიქტით განაცხადა, რომ ის მეტს არ ცნობდა პარიზის ზავის მუხლებს, რომელიც ზღუდავდა რუსეთის უფლებებს შავ ზღვაზე.

ინგლისისათვის შეიქმნა მძიმე მდგომარეობა, რომლის მიზეზიც მისი ძირითადი მოწინააღმდეგეები, სწრაფად განვითარებადი გერმანია და ნაწილობრივ რუსეთი შეიქმნენ. ამიტომაც ბრიტანეთმა მიმართა ნაცად ხერხს. დაიწყო მოქმედებები, რათა ისინი დაეჯახებინა ერთმანეთისათვის. მაგრამ ამ შემთხვევაში განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენდა ის, რომ ორივე სახელმწიფოს სათავეში იდგნენ მონათესავე მონარქები, რომელთაც ერთმანეთთან ჰქონდათ მჭიდრო კავშირები.

პირველი ნიშანი მომავალი მსოფლიო ომისა იყო რუსეთ-საფრანგეთის 1894 წლის კავშირი, რომელიც დადო იმპერატორმა ალექსანდრე III (1881-1896). ამით რუსეთი უპირისპირდებოდა გერმანიას, ვინაიდან მას ფრანგული მიწები ჰქონდა მიტაცებული. ხელშეკრულების დადებაში, როგორც ჩანს მთავარი როლი ითამაშა ფრანგულმა კრედიტებმა, რომელიც რუსეთმა ამ პერიოდში მიიღო.

1895 წლისთვის პანგერმანული კავშირის იდეოლოგებმა გამოსცეს წიგნი „დიადი გერმანია და ცენტრალური ევროპა 1950 წელს“, სადაც ნათქვამი იყო, რომ 1950 წლისთვის, იარსებებდნენ ყველა სხვა ერებიც, მაგრამ მხოლოდ გერმანელი ნაცია დაი-

კავებდა პრივილეგირებულ მდგომარეობას. ეს პრივილეგიები კი, მათი აზრით, ქვეყნის ისტორიული განვითარებით იყო განპირობებული, რომელიც ამტკიცებდა ისტორიულად გერმანელი ერის სხვა ერებისგან გამორჩეულობას, აღმატებულებას. ყურადსაღები იყო აგრეთვე ერთი გარემოებაც. თუკი პირველი რეიხი ასოცირდებოდა სუფთა გერმანული სამთავროების გაერთიანებასთან, გერმანული ნაციის ერთიანობასთან, მეორე რეიხის იდეა ასოცირდებოდა უკვე მთელ მსოფლიოში ბატონობასთან. მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიოს გადანაწილების პროცესი უკვე დასრულებული იყო და გერმანიამ დააგვიანა მასში მონაწილეობის მიღება. ომი იყო ერთადერთი საშუალება, რომლითაც გერმანია უკვე გადანაწილებული მსოფლიოს, ხელახლა გადანაწილებას შეძლებდა. რაიხსტაგში რეიხსკანცლერმა ბერნჰარდ ფონ ბიულოვმა 1899 წელს წარმოთქმულ სიტყვაში აღნიშნა. ჩვენ არ მოვითმენთ, რომელიმე უცხო ქვეყანამ, თუნდაც ზესახელმწიფომ, გვიკარნახოს - „უნდა შეეგუოთ, მსოფლიო უკვე გადანაწილებულია. ჩვენ არ გვინდა ვინმეს ხელი შევუშალოთ, მაგრამ არც იმის უფლებას მივცემთ ვინმეს, წინ გადაგვეღობოს! ჩვენ არ გავდგებით გვერდზე, არ ვიქნებით პასიური მაშინ, როცა სხვები მსოფლიოს ინაწილებენ. ჩვენ არ შეგვიძლია და არც გვსურს ამის მოთმენა. ჩვენ გვაქვს ინტერესები მსოფლიოს ყველა წერტილში. თუკი ინგლისელები საუბრობენ დიდებულ ბრიტანეთზე, ფრანგები ახალ საფრანგეთზე, რუსები დაპყრობილ აზიაზე, ჩვენ ვითხოვთ დიდებული გერმანიის შექმნას! მხოლოდ მაშინ შევძლებთ სიმაღლეზე დგომას, როცა მივხვდებით, რომ შეუძლებელია კეთილდღეობის მიღწევა ძლიერი არმიის გარეშე". ომი არა მხოლოდ ერთადერთი გამოსავალი იყო პანგერმანული იდეოლოგებისთვის, არამედ ომს ისინი მიიჩნევდნენ, როგორც ღვთითკურთხეულს. ომი მათთვის ასოცირდებოდა გმირულ სულისკვეთებასა და მამაცობასთან. რუსეთის ახალმა იმპერატორმა ნიკოლოზ II-მაც ტახტზე ასვლისთანავე (1896 წ) დაიწყო მზადება ომისათვის. რკინიგზა, რომელიც რუსეთის ევროპულ ნაწილს

აკავშირებდა შორეულ აღმოსავლეთან-ტრანსციმბირული მაგისტრალი გაგრძელებული იქნა ჩინეთის ტერიტორიაზე მანჯურიაში. ასე შეიქმნა ჩინეთის აღმოსავლეთის რკინიგზა. ამან ძალიან შეაშფოთა ევროპის ქვეყნები. აღმოსავლეთში კი განსაკუთრებით იაპონიის ახალგაზრდა იმპერია. იაპონელებს არ გადაუწყვეტიათ რუსეთთან მარტო დაეწყოთ ომი. დახმარებისათვის მათთან მივიდნენ ინგლისელი დიპლომატები. რის შედეგადაც 1902 წელს დაიდო ინგლის-იაპონიის სამოკავშირეო ხელშეკრულება, რამაც გახსნა ფართო „საკრედიტო“ ხაზი პოლიტიკასა და ეკონომიკაში. სწორედ ბრიტანეთი თავისი ინტერესებიდან გამომდინარე გახდა იაპონია-რუსეთის გაჩაღებულ ომში იაპონიის მთავარი დამხმარე. ინგლისი ეწეოდა ორმაგ დიპლომატიურ თამაშს. ომის პირველსავე დღეებში პეტერბურგში მიმდინარე მოლაპარაკებები ლონდონის პატრონაჟით მიმდინარეობდა. ბრიტანელები ორივე მხარეს არწმუნებდნენ წარმატებებში.

როგორც მოგვიანებით გაირკვა ამ ომის მთავარ მიზანს წარმოადგენდა რუსეთის გაღვიძება, რათა ის შესულიყო ინგლისთან კავშირში. რუსეთის დიპლომატია მოტყუებული დარჩა. იაპონიის მიერ ომის გამოცხადებიდან მეორე დღესვე საფრანგეთმა განაცხადა, რომ ის არ ჩაებმებოდა ომში და დაიცავდა ნეიტრალიტეტს. საპირისპიროდ მოქმედებდა ინგლისი. ის დახმარებას უწევდა იაპონიას.

1879 წელს გერმანიამ გამართა სამხედრო მოლაპარაკება ავსტრია-უნგრეთთან. ბერლინმა მალე მოკავშირედ გაიხადა იტალიაც. 1881 წელს ვენაში ამ სამმა სახელმწიფომ შექმნა კავშირი, რომლის ძირითადი მიზანი თავდასხმის შემთხვევაში ურთიერთდახმარების აღმოჩენა იყო. ამ კავშირის შეკვრა, ძირითადად მიმართული იყო საფრანგეთისა და რუსეთის წინააღმდეგ. რამაც თავის მხრივ, საფრანგეთისა და რუსეთის დაახლოებას შეუწყო ხელი. 1891 წელს გაფორმდა კიდეც რუსეთ-საფრანგეთის პოლიტიკური და სამხედრო შეთანხმება. საფრანგეთი ცდილობდა იტალიასთან ურთიერთობის დათბობას, რადგანაც სურდა,

ის გამოეცალკევებინა სამთა კავშირიდან. ფრანგებმა მოახერხეს კიდევაც იტალიასთან აფრიკის კოლონიების საკითხებში შეთანხმების მიღწევა, რამაც ამ ქვეყნებს შორის ურთიერთობები დაათბო. რომში 1902 წელს დადებული ხელშეკრულებით იტალია ვალდებულებას იღებდა, ნეიტრალიტეტი გამოეცხადებინა იმ შემთხვევაში, თუ გერმანია საფრანგეთს დაესხმებოდა თავს. იტალია ამ შემთხვევაში ორმაგ თამაშს თამაშობდა. ფორმალურად ის შედიოდა სამთა კავშირში და პარალელურად თანამშრომლობდა საფრაგეთთანაც. ინგლისი კი ამ დროს დამოუკიდებელად მოქმედებდა. კუნძულოვანი იმპერია 1904 წლამდე ნეიტრალიტეტს იცავდა. აკვირდებოდა ორ დაპირისპირებულ ბანაკს და არბიტრის როლში გამოდიოდა.

იმდენად ძლიერად მუშაობდა ინგლისური დიპლომატია, რომ რუსულმა ესკადრამ, რომელიც შორეული აღმოსავლეთისაკენ გაემართა ისიც ვერ მოახერხა, რომ საფრანგეთის პორტებში აეღო ნახშირის საწვავი. მალე 1904 წლის 8 აპრილს საფრანგეთსა და ინგლისს შორის დაიდო „გულითადი თანხმობის ხელშეკრულება“, რომლითაც საფუძველი ჩაეყარა ანტანტას. თითქოსდა გაიდო ხიდები ლონდონსა და პეტერბურგს შორის პარიზის მეშვეობით, მაგრამ ეს არ იყო მყარი და იგი მხოლოდ ილუზიას ქმნიდა.

პირველი რუსული რევოლუცია დასრულდა 1907 წლის 3(16) ივნისს, როდესაც ხელისუფლებამ დაშალა სახელმწიფო სათათბირო. სახელმწიფო დუმის დაშლის შემდეგ 1907 წლის 18 (31) აგვისტოს პეტერბურგში ხელი მოეწერა ინგლის-რუსეთის ხელშეკრულებას. როგორც წესი ასეთი დოკუმენტები განიხილება დიდი ხნის განმავლობაში და გულმოდგინედ. შესაბამისად, დუმას დაშლით მეფის მთავრობამ უკვე მიაღწია კონსენსუსს ბრიტანეთის მთავრობასთან. 1907 წლის ბოლოს ინგლისის მიზანი - მზად ყოფილიყო პირველი მსოფლიო ომისათვის მიღწეულ იქნა. საკვირველი იყო ის, რომ რუსი რევოლუციონერები საოცარი სინაზითა და თვინიერებით შეხვდნენ მთავრობის მიერ

რევოლუციის „დახრჩობას“. რაც იმით გამოიხატა, რომ იმპერიაში მათ მიერ არც ერთი მნიშვნელოვანი ტერორისტული ქმედება არ განხორციელებულა.

ამ სამხედრო ფორმირების პარადოქსი იყო ის, რომ პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ანტანტა ოფიციალურად არ არსებობდა! ძნელი დასაჯერებელია, მაგრამ სამი სახელმწიფოს სამხედრო ალიანსი სპეციალურ ხელშეკრულებაში არ იყო ფორმირებული! ფაქტობრივად, იყო სამი სრულიად ცალკეული დოკუმენტი. პირველი ეს იყო ინგლისურ-ფრანგული, საიდანაც ჩანდა ანტანტის დროებითი ბლოკი. საუბარია ნიუფაუნდლენდზე, დასავლეთ აფრიკაზე და სიამზე ეგვიპტესთან. მეორე - 1907 წლის ხელშეკრულება რუსეთსა და ინგლისს შორის. ამ დოკუმენტს ეწოდება: „კონვენცია რუსეთსა და ინგლისს შორის სპარსეთის, ავღანეთისა და ტიბეტის საქმეებზე“. ამ ქვეყნებში გავლენის ზონების დადგენით. ხელშეკრულებაში არ იყო არცერთი სტრიქონი ურთიერთ სამხედრო ვალდებულებების შესახებ. მესამე ხელშეკრულება, რომელსაც ანტანტა ემყარებოდა, დადებული იყო იმპერატორ ალექსანდრე III-ის გარდაცვალების დღეს, რომლის თანახმადაც ფრანგებს და რუსებს დაუყოვნებლად უნდა გამოეცხადებინათ ომი გერმანიასთან, თუ ეს უკანასკნელი თავს დაესხმებოდა რომელიმე მათგანს. ირკვევა, რომ ფრანგებს და რუსებს ერთმანეთის მიმართ ჰქონდათ ვალდებულებები, მაგრამ არავითარი ვალდებულებები არ ჩანდა ინგლისის მიმართ და არც პირიქით.


სახელმწიფოთაშორისი კავშირების შექმნის შემდეგ საფრანგეთი სისტემატურად ზრდიდა შეიარაღებას. მილიტარიზაცია გამოწვეული იყო საფრანგეთ-პრუსიის ომში განცდილი მარცხის გამო რევანშის წყურვილით. ამ დროს საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი და 1913 წლიდან ქვეყნის პრეზიდენტი იყო რაიმონ პუანკარე, რომელიც წარმოადგენდა პარტია „დემოკრატიულ ალიანსს“. რევანშის წინააღმდეგ საფრანგეთში მხოლოდ „სოციალისტების“ ნაწილი გამოდიოდა. ამის გამო მათი თავმჯდო-

მარე ჟან ჟორესი ანტიპატრიოტიზმში დაადანაშაულეს. იგი 1914 წლის ივლისში ნაციონალისტებმა მოკლეს.



ჟან ჟორესი

სწორედ ამ გარემოებებმა გამოიწვია პირველი მსოფლიო ომის დაწყება. მისი საბაბი შეიქმნა სერბი ნაციონალისტების მიერ ავსტრიის ტახტის მემკვიდრე ფრანც ფერდინანდის სარაევოში მკვლელობა. სერ ედუარდ გრეი, ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრი თავის მოგონებებში აღიარებდა: „მსოფლიოში, ალბათ, არასოდეს არ იქნება ნათქვამი მთლიანი სინამდვილე ფრანც ფერდინანდის მზაკვრული მკვლელობის შესახებ. როგორც ჩანს, ჩვენ არასდროს არ გვეყოლება ადამიანი, რომელმაც ყველაფერი იცის ამ მკვლელობის შესახებ“.[1]



ედუარდ გრეი

ეს მკვლელობა სავსე იყო საიდუმლოებებით. ფერდინანდის მკვლელმა გავრილო პრინციპმა მაშინვე მიიღო ციანიდის ტაბლეტები, რომლებიც მას თან ჰქონდა. ზუსტად ასევე მოიქცა მეორე მკვლელი ნედელკო გაბრინოვიჩი. ისიც ეცადა თვითმკვლელობის განხორციელებას, მაგრამ არცერთი ტერორისტის მიმართ შხამმა არ იმოქმედა. ორივენი მოხვდნენ გამომძიებლების ხელში და მათ უამბეს თუ რატომ მოკლეს ფრანც ფერდინანდი. რომლის თანახმადაც მკვლელობის ორგანიზატორებს არ სჭირდებოდათ ავსტრიის ტახტის მემკვიდრის სიკვდილი. მათ მიზანს წარმოადგენდა, ავსტრია-უნგრეთს პრეტენზიები წაეყენებინა სერბიისათვის და ომი გამოეცხადებინა მისთვის. ამ მკვლელობის შემსრულებელები დაიღუპნენ ციხეში, ხოლო მისი დამგეგმავი ორგანიზაციიის „შავი ხელების“ ხელმძღვანელი პოლკოვნიკი ალისი(დმიტრიევიჩი), რომელიც პირველი მსოფლიო ომის დროს სხვადასხვა ფრონტებზე იბრძოდა ომის ბოლოს დააპატიმრეს და სერბების გენშტაბის სამხედრო-საველე სასამართლოს დადგენილებით დახვრიტეს. გამოუცნობ ვითარებაში დაიღუპა სარაე-


ვოს გასროლის „პოლიტიკური“ ორგანიზატორი ვლადიმერ გაჩინოვიჩი. ეს უკანასკნელი იყო ერთდროულად სამი სასტიკი ორგანიზაციის: „ახალგაზრდა ბოსნიის“, „ხალხის რჩეულის“ და „შავი ხელის“ გავლენიანი წევრი და მთავარი იდეოლოგი. სწორედ მისი მეშვეობით ხდებოდა ამ ორგანიზაციების კონტაქტები სხვა რევოლუციონერებთან და სპეცსამსახურებთან. გაჩინოვიჩის მეგობრებსა და ნაცნობებში შედიოდნენ სოციალისტ-რევოლუციონერი ნათანსონი, სოციალ-დემოკრატები მარტოვი, ლუნაჩარსკი, რადეკი, ტროცკი. 1917 წლის აგვისტოში სრულიად ჯანმრთელი 27 წლის ვლადიმერ გაჩინოვიჩი ავად გახდა და მიუხედავად შვეიცარიელი ექიმების მიერ ჩატარებული ორი ოპერაციისა, იგი გამოუცნობი ავადმყოფობით გარდაიცვალა. ლევ ტროცკიმ ნეკროლოგით პატივიც კი მიაგო გაჩინოვიჩის ხსოვნას.



ვლადიმერ გაჩინოვიჩი

ავსტრია-უნგრეთის ტახტის მემკვიდრის ფრანც ფერდინან-

დის მკვლელობის ორგანიზებით და მისი სერბი ნაციონალისტების ხელით აღსრულებით, ინგლისელებმა შეძლეს ავსტრიელების გადამწყვეტი წაქეზება სერბების წინააღმდეგ.



ფრანც ფერდინანდი

მსოფლიო ომის აღძვრის სცენარი წარმოუდგენლად რთული იყო ორგანიზაციულად, მაგრამ ძალიან მარტივი თავისი ხასიათით. გერმანიისგან მხარდაჭერილმა ავსტრია-უნგრეთმა პრეტენზიები წაუყენა სერბეთს. ბელგრადს თავის მხრივ იმედი ჰქონდა რუსული დაცვის გარანტიების. იმავდროულად, ავსტრიელები და გერმანელები, რომლებიც სამხედრო ძალით მიიჩნევდნენ სერბეთის პრობლემის ოპტიმალურ გადაწყვეტას, დარწმუნებულნი იყვნენ, რომ პეტერბურგი იარაღით გვერდით სერბებს არ დაუდგებოდა და შემოიფარგლებოდა მხოლოდ დიპლომატიით. ავსტრიას და გერმანიას, რომ ცოდნოდათ მათი მოქმედება ბელ-

გრადის წინააღმდეგ რუსეთთან ბრძოლას გამოიწვევდა, საეჭვოა ისინი მასზე წასულიყვნენ. ვინაიდან საფრანგეთ-რუსეთის ხელშეკრულების თანახმად, ეს ნიშნავდა ომს საფრანგეთთან და მომავალში ინგლისთან.



გავრილო პრინციპი

1914 წელს გერმანიამ 1 აგვისტოს ომი გამოუცხადა რუსეთს, 3 აგვისტოს - საფრანგეთს, 4 აგვისტოს კი ბელგიაში შეიჭრა. იმავე ღამეს ინგლისმა ომი გამოუცხადა გერმანიას. დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, რომელშიც 38 სახელმწიფო მონაწილეობდა. გერმანიის მხარეს იყო ავსტრია-უნგრეთი, თურქეთი და ბულგარეთი, ანტანტის მხარეს კი - ბევრად მეტი სახელმწიფო. საფრანგეთი, ისევე როგორც სხვა ევროპული ქვეყნები, ევროპაში ჰეგემონიის მიღწევას და კოლონიური ტერიტორიების გაფართოებას ცდილობდა სირიის, პალესტინისა და გერმანიისთვის კოლონიების წართმევის ხარჯზე.

პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე, მეფის რუსეთში ცხოვ-

რობდა მსოფლიოს მოსახლეობის 9%. ეს რუსეთი აწარმოებდა მსოფლიო ინდუსტრიული პროდუქტის 4% -ზე მეტს, ანუ საშუალო მსოფლიო წარმოების ორჯერ ნაკლებს აზიისა და აფრიკის განუვითარებელი ქვეყნების ჩათვლით [2, 116].

ვინ მოამზადა და დაგეგმა პირველი მსოფლიო ომი? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ მის შედეგებს. ომისა და შემდგომი რევოლუციების შედეგად, განადგურდა ბრიტანეთის ორი მთავარი კონკურენტი - რუსეთი და გერმანია. ომი და რევოლუცია ორი საყვარელი ბრიტანული ტაქტიკა იყო სხვა სწრაფად განვითარებადი ქვეყნების შესაფერხებლად.

გამოჩენილი რუსი ფილოსოფოსი ნ. ბერდიაევი წერდა: „არასდროს, რევოლუციურ სტიქიაში და განსაკუთრებით იმ რევოლუციებში, რომლებიც შექმნილია საომარი მდგომარეობის გამო ვერ ხეირობენ ზომიერი, ლიბერალური და ჰუმანიტარული პრინციპების ადამიანები. რევოლუციურ ეპოქაში იმარჯვებენ დიქტატურისაკენ მიდრეკილი უკიდურესი პრინციების ადამიანები“.

რევოლუციები ჰაერზე არ ხდება. მათ ყურადღებით ამზადებენ და აფინანსებენ. რევოლუციური ბრძოლა დიდ ფულს მოითხოვს - ყველა პროფესიონალ მებრძოლს საკვები და იარაღი სჭირდება. ცალკეული რევოლუციური ნაწილების შექმნა კი ბევრ თანხებს მოითხოვდა. ამის გაკეთება კი არცერთ მუშას და სტუდენტს არანაირი საწევრო თანხით არ შეეძლო. ამრიგად არცერთი რევოლუცია არ ხდება საწევროებით და შეწირულობებით. იმისათვის, რომ დაშალო მოწინააღმდეგე სახელმწიფო, საკმარისი არ არის ერთი მუჭა პროფესიონალი შეთქმულები, არამედ აუცილებელია მასში ჩართული იყოს სახელმწიფო, რომელიც სასიცოცხლოდაა დაინტერესებული კონკურენტის დასუსტებასა და დაშლაში.

ამის საილუსტრაციოდ ვნახოთ სად ტარდებოდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყრილობები. მხოლოდ I ყრილობა 1898 წლის 1-3 მარტს ჩატარდა რუსეთში, დანარჩენი ყველა

საზღვარგარეთ. მე-2 ყრილობამ 1903 წლის 17 ივლისიდან 10 აგვისტომდე მუშაობა დაიწყო ბელგიაში და გააგრძელა ლონდონში. მალე დაიწყო რუსეთ-იაპონიის ომი. და უკვე ყრილობები იმართებოდაა ყოველ წელს. მესამე ყრილობა 1905 წელს მოეწყო კვლავ ნისლიან ალბიონზე. მეოთხე 1906 წელს სტოკჰოლმში. მეხუთე 1907 წლის 30 მაისიდან 19 მაისამდე ისევ ლონდონში. ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატების ყრილობა გაიმართა მხოლოდ ათი წლის შემდეგ, რაც გამოწვეული იყო რუსეთის რევოლუციის დამარცხებით.

არის მოსაზრება, რომ 1905-1907 წლების რევოლუციაში ესერებმა და სოციალ-დემოკრატებმა დახმარება მიიღეს იაპონიის სპეცსამსახურებისაგან. „იაპონური" ფულით შვეიცარიაში შეძენილ იქნა 25 ათასი თოფი, რევოლვერი, სამი ტონა ასაფეთქებელი ნივთიერება და ოთხ მილიონზე მეტი საბრძოლო პატრონა. თუმცა, მთელი არსენალი რუსეთში გადატანილ იქნა გემ „ჯონ გრაფტონი"-თ არა ტოკიოდან, არამედ ლონდონიდან.

რუსეთის რევოლუციით დაინტერესებული იყო არა მარტო ინგლისი, არამედ მთელი იმდროინდელი ზრდადი მსოფლიო კაპიტალი. „ბოლშევიკების ბანკირი" იყო ულოფ აშბერგი, რომელიც ფლობდა 1912 წელს დაარსებულ „ნია ბანკს". მის თანადირექტორთა რიცხვში შედიოდნენ გამოჩენილი შვედი კოოპერატორები და შვედი სპეციალისტები: გ. დალიას, კ. როსლინგის და კ ერჰარდ-მაგიუნსონის ჩათვლით[3, 98-99]. გერმანიისადმი სასარგებლო ფინანსური ოპერაციის გამო 1918 წელს ეს ბანკი მოხვდა მოკავშირეთა შავ სიაში. ამის შემდეგ ბანკმა შეიცვალა სახელი და ეწოდა „სვენს ეკონომიბოლაგეტი". ბანკი რჩებოდა აშბერგის კონტროლის ქვეშ და ეკუთვნოდა მას. ბანკის ლონდონის აგენტი იყო „ბრიტიშ ბენკ ოფ ჰორტ კომპრეს"-ი, რომლის პრეზიდენტიც იყო ერლ გრეი. უ. აშბერგის საქმიანობით დაინტერესებულნი პირებში შედიოდნენ: 1. კრასინი(ცნობილი ბოლშევიკი), რომელიც ბოლშევიკურ რევოლუციამდე იყო პეტროგრადში რუსული ფირმის „სიმენს-შუკერტის" მმართველი; 2.

იაკობ ფიურსტენბერგ-განეცკი (1879-1937) ფინანსთა სახალხო კომისარიატის წევრი პირველ ბოლშევიკურ მთავრობაში, შემდეგ საგარეო ვაჭრობისა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატის წევრი და 3. მაქს მეი - „გარანტ ტრასტის" ვიცე-პრეზიდენტი ნიუ-იორკში, რომელიც პასუხისმგებელი იყო საზღვარგარეთის ოპერაციებზე[3, 123]. 1916 წელს უ. აშბერგი, მეფის ფინანსთა მინისტრ პ. ბარკთან ერთად როგორც „ნია ბანკენის" წარმომადგენელი იმყოფებოდა ნიუ-იორკში. უ. აშბერგის მთავარი მიზანი იყო გაეფორმებინა 50 მლნ. დოლარიანი ხელშეკრულება რუსეთსა და ამერიკის საბანკო სინდიკატებთან, რომელთა სათავეში იდგა სტილმენის „ნეშნელ სითი ბანკი". ეს გარიგება დასრულდა 1916 წლის 5 ივნისს. მისი შედეგი იყო რუსეთისათვის წლიური 7,5 პროცენტით გამოყოფილი 50 მილიონიანი კრედიტი. შემდეგ ნიუ-იორკის სინდიკატმა შეცვალა პოლიტიკა და გამოუშვა ამერიკული ბაზრისათვის თავისი სახელით 50 მილიონი დოლარის რაოდენობის 6,5 %-იანი სერტიფიკატები.



ულოფ აშბერგი

საბოლოოდ უ. აშბერგმა და „ნია-ბანკმა“ გამოუგზავნეს მატერიალური საშუალებები რუს რევოლუციონერებს, რომ ჩამოეგდოთ კერენსკის კომიტეტი და დაემყარებინათ ბოლშევიკური მმართველობა. ამის მტკიცებულებად მკვლევარ ე. სატონს მოჰყავს კერენკის მთავრობის კონტრდაზვერვის უფროსის პოლკოვნიკ ბ. ნიკიტინის მასალები. ისინი შეადგენენ დეპეშებს სტოკჰოლმიდან პეტროგრადში და პირიქით. რომლებიც ეხებოდა ბოლშევიკთა დაფინანსებას[4, 112-114].

1922 წელს ბოლშევიკებმა შექმნეს თავის პირველი საერთაშორისო „როსკომბანკი“. ის დაფუძნებული იყო სინდიკატზე, რომლის შექმნაშიც მონაწილეობდნენ კერძო ბანკირები და ახალი ინვესტორები გერმანიიდან, შვედეთიდან, ამერიკიდან და ბრიტანეთიდან. „როსკომბანკს“ ხელმძღვანელობდა ზემოდ ხსენებული უ. აშბერგი. მის მმართველობაში შედიოდნენ მეფის დროინდელი რუსეთის კერძო ბანკირები, გერმანიის, შვედეთის და ამერიკული ბანკების წარმომადგენლები და რა თქმა უნდა წარმომადგენელი საბჭოთა რუსეთისაგან.

უცხოურ საბანკო კონსორციუმს, რომელიც მონაწილეობდა „როსკომბანკში“ წარმოადგენდა ძირითადად ბრიტანული კაპიტალი კომპანიით „რუსსო-ეისეტიკ კონსოლოიტედ ლიმიტედი“, რომელიც იყო ყველაზე დიდი კერძო კრედიტორი რუსეთის და რომელსაც საბჭოებმა მისცეს 3 მილიონი ფუნტი სტერლინგი, როგორც კომპენსაცია იმ დანაკარგებისა, რომელიც ამ ორგანიზაციამ განიცადა საბჭოთა ნაციონალიზაციის შედეგად. თავად ბრიტანეთის ხელისუფლებამ კი იყიდა დიდი ნაწილი რუსული კერძო ბანკებისა. კონსორციუმმა განახორციელა ფართო კონცესიები რუსეთში, ხოლო თავად ბანკს ჰქონდა 10 მლნ. ოქროს მანეთის სააქციო კაპიტალი.

1922 წლის ოქტომბერში უ. აშბერგი შეხვდა ბერლინში „ნაციონალ ფიურ ბანკ დიოჩლანდის“ დირექტორ ემილ ვიტენბერგს და რსფსრ-ს სახელმწიფო ბანკის ხელმძღვანელს შეინმანს. რის შემდეგაც სამივე ბანკირი გაემგზავრა სტოკჰოლმში და შეხვდნენ

„გარანტი ტრანსსტ კომპანის“ ვიცე-პრეზიდენტს მაქს მეემს. ეს უკანასკნელი მაშინ დაინიშნა „როსკომბანკის“ საზღვარგარეთის განყოფილების დირექტორად. მის გარდა დირექტორები იყვნენ: „მოსკოვის ბანკის“ ყოფილი უფროსი შლეზინგერი, „იუნკერი“-ს ყოფილი უფროსი კალაშკინი და „ციმბირის ბანკის“ ყოფილი ხელმძღვანელი ტერნოვსკი. ამ უკანასკნელის ბანკი 1918 წელს იყიდა ბრიტანეთის მთავრობამ. შვედი პროფესორი გუსტავ კასელი გახდა „როსკომბანკის“ მრჩეველი. პეტროგრადში „ციმბირის ბანკის“ ყოფილი შენობა გამოიყენებოდა „როსკომბანკის“ მიერ.

როგორც მკვლევარი ე. სატონი მიუთითებს - ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის საარქივო დოკუმენტური მასალების შესწავლიდან იკვეთება აზრი, რომ აშშ-ს ელჩი პეტროგრადში ფრენსისი ფართოდ იყო ინფორმირებული ბოლშევიკური მოძრაობის შესახებ.

დასავლეთისათვის ბოლშევიკური გადატრიალების მზადების შესახებ ცნობილი იყო ექვსი კვირით ადრე. ამას მოწმობს ის, რომ დიდი ბრიტანეთის მთავრობამ ექვსი კვირით ადრე გააფრთხილა თავისი მოქალაქეები დაეტოვებინათ რუსეთი. პირველი სრული ანგარიში რუსეთში მომხდარი მოვლენების შესახებ ვაშინგტონში ჩავიდა 1917 წლის 9 დეკემბერს. მასში მითითებულია, რომ გენერალი უილიამ ვ. ჯუდსონი შეხვდა ლ. ტროცკის. შეხვედრას, რომელიც სმოლნში საბჭოების შტაბ-ბინაში მიმდინარეობდა. ესწრებოდნენ გერმანელები.

აშშ პრეზიდენტმა ვ. ვილსონმა გასცა განკარგულება არ ჩარეულიყვნენ ბოლშევიკურ გადატრიალებაში. ეს ბრძანებულება იყო პასუხი ფრენსისის კითხვაზე მოწვეულიყო თუ არა მოკავშირეთა კონფერენცია, რომელზედაც დათანხმდა დიდი ბრიტანეთი. სახელმწიფო დეპარტამენტი მაშინ თვლიდა, რომ ასეთი კონფერენცია უშედეგო იყო[5, 54].

„წითელი ჯვარი“ ზოგჯერ ფარულად გამოიყენებოდა, როგორც საშუალება ან საფარი რევოლუციური საქმიანობისთვის. „წითელი ჯვრის“ ემბლემის გამოყენება უნებართვო მიზნებისათვის საკმა-

ოდ ხშირი იყო. მაგალითად, როდესაც ნიკოლოზ II უსაფრთხოების გამო პეტროგრადიდან ტობოლსკში გადაიყვანეს. მატარებელს, რომელსაც ის გადაჰყავდა „წითელი ჯვრის“ ნიშნები ჰქონდა.

1919 წელს, ლონდონში მყოფმა აშშ-ს ელჩმა ვაშინგტონს აცნობა: „მან ბრიტანეთის მთავრობის მეშვეობით შეიტყო, რომ რამდენიმე ამერიკელი, რომლებიც ამ ქვეყანაში უნდა ჩასულიყვნენ წითელი ჯვრის ფორმით, აცხადებდნენ ბოლშევიკები არიან... და საფრანგეთსა შვეიცარიაში უნდა ეწარმოებინათ ბოლშევიკური პროპაგანდა“. ელჩი ასევე აღნიშნავდა: „1918 წლის ნოემბერ-დეკემბერში, ამერიკული წითელი ჯვრიდან 400 ადამიანი ჩავიდა ლონდონში. მათი მეოთხედი დაბრუნდა შეერთებულ შტატებში, ხოლო დანარჩენები დაჟინებით მოითხოვდნენ საფრანგეთში გადასვლას“. იმავე ელჩის ცოტა ადრინდელ მოხსენებაში ასევე ნათქვამი იყო, რომ ამერიკის წითელი ჯვრის სამი სხვადასხვა თანამშრომელი ლონდონში გაზეთ „ლეიბორისტის“ რედაქტორს დაუახლოვდა და რამდენჯერმე შესთავაზა ინსტრუქციები გადაეცა გაზეთის მეშვეობით გერმანიაში მყოფი ბოლშევიკებისთვის.

ამრიგად მკვლევარი ე. სატონი, რომელიც ეყრდნობა საარქივო მასალებს მიუთითებს, 1917 წელს რუსეთში გაგზავნილი ამერიკული „წითელი ჯვრის“ მისია შორს იყო ჰუმანიზმისგან. ეს მისია სინამდვილეში იყო დაკომპლექტებული უოლ სტრიტის ფინანსისტებისაგან, რომლებმაც გავლენა მოახდინეს კერენსკისა და ბოლშევიკებზე, რაც თავის მხრივ მათ გზას უხსნიდა რუსეთის ბაზრისა და რესურსების კონტროლისთვის[5, 89].

უილიამ ბოის ტომპსონის სახელი ნაკლებად ცნობილია XX საუკუნის ისტორიისათვის, თუმცა მან ძალიან მნიშვნელოვანი როლი ითამაშა ბოლშევიკურ რევოლუციაში. როგორც მკვლევარები აღნიშნავენ, 1917 წელს რუსეთში, რომ არ ყოფილიყო უ. ტომპსონი, მოვლენები შეიძლება სრულიად განსხვავებული კურსით განვითარებულიყო. ტომპსონის, რობინსისა და მათი ნიუიორკელი მეგობრების ფინანსური და რაც მთავარია დიპლომატიური და პოლიტიკური მხარდაჭერის გარეშე ტროცკი და

ლენინი გაეცლებოდნენ რუსეთს და ეს ქვეყანა სხვანაირად განვითარდებოდა. არაა გამორიცხული რუსეთი ბოლშევიკების გარეშე კონსტიტუციური გზით, სოციალისტურად, ევოლუციურად განვითარებულიყო[5, 90].

ისმის კითხვა: ვინ იყო ტომპსონი? ის იყო სამთო საქმის აქციონერული საზოგადოების დამაარსებელი. პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე საბირჟო ბაზარზე მან ჩაატარა ოპერაციები ჰუჰენჰეიმის სპილენძის საწარმოებისთვის. მაშინ, როდესაც ჰუჰენჰეიმს სასწრაფოდ სჭირდებოდა კაპიტალი ჯონ დევიდ როკფელერის ბაზარზე აქციებთან საბრძოლველად, სწორედ ტომპსონი დაეხმარა კონცერნ „Yukon Consolidated Goldfields"-ს, ომის საბაბით შეეგროვებინა 3.5 მილიონი აშშ დოლარი. ტომპსონი იყო ჰუჰენჰეიმის კიდევ ერთი საწარმო სინდიკატ „კენეკოტის" მენეჯერი, რომლის ქონებაც შეფასებული იყო 200 მილიონი დოლარად. სარისკო კამპანიებისთვის კაპიტალის შეგროვების განსაკუთრებული უნარი დაეხმარა ტომპსონს, იმ კომპანიებში პოზიციების გამყარებას და დირექტორის თანამდებობების მოპოვებაში, რომლებიც აწარმოებდნენ აშშ-ში ყველაზე დიდი რაოდენობით სპილენძს. ტომპსონი ასევე იყო რკინიგზების კომპანია „Chicago Rock Island and Pacific", „Magma Arizona" და სადაზღვეო კომპანიის „Underground Life Insurance" დირექტორი. და რაც ყველაზე საინტერესოა ტომპსონი იყო ყველაზე მსხვილი აქციონერი „Chase National Bank"-ის.

სწორედ „Chase National Bank"-ის პრეზიდენტმა ალბერტ X. უიგინმა უბიძგა ტომპსონს მუშაობა დაეწყო ფედერალურ სარეზერვო სისტემაში. 1914 წელს ტომპსონი გახდა ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის პირველი მუდმივი დირექტორი, რომელიც იყო ფედერალური სარეზერვო სისტემის ყველაზე მნიშვნელოვანი ბანკი. (აშშ-ში ფედერალური სარეზერვო სისტემა, დაარსდა 1913 წელს. ის შეესაბამებოდა ცენტრალური ბანკის კონცეფციას და ჰქონდა დოლარის დაბეჭდვის უფლება, თუმცა ის იყო აგრეთვე კერძო ბანკების სისტემა და იგი მის

გადაწყვეტილებებში არ იყო დამოკიდებული აშშ მთავრობაზე.)

1917 წლისთვის, უილიამ ბოის ტომპსონმა დაიწყო მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსების ამოქმედება. მან გამოავლინა უდიდესი ნიჭიერება კაპიტალის განაწილების პროექტების განსახორციელებლად. რისი მეშვეობითაც ადვილად შეაღწია პოლიტიკური და ფინანსური ძალაუფლების ცენტრებში. ის პირველი იყო, ვინც მხარი დაუჭირა ჯერ ა. კერენსკის. შემდეგ კი ბოლშევიკების ძლიერი მომხრე გახდა. მან დატოვა ამ მხარდაჭერის მუდმივი სიმბოლო - წიგნი რუსულ ენაზე: „სიმართლე რუსეთისა და ბოლშევიკების შესახებ“[6].

აშშ-ში დაბრუნებული ტომპსონი ცალკეულ შტატებში მოგზაურობისას პუბლიკას მოუხმობდა საბჭოთა კავშირის აღიარების შესახებ. 1918 წლის იანვრის თვეში კლუბ „Rocky Mount Club“ სიტყვით გამოსვლისას მან აუდიტორიას, რომელიც ძირითადად დასავლეთ შტატებში მცხოვრებთაგან შედგებოდა, მოუწოდა დახმარების ხელი გაეწიათ იმდროინდელი ბოლშევიკური მთავრობისათვის.

ტომპსონით გაკვირვებული იყო „უოლ სტრიტი“, რომელსაც სურდა გაერკვია, იყო თუ არა ის ნამდვილ „ბოლშევიკად გადაქცეული“. მიუხედავად ამისა ტომპსონმა მაინც იპოვა სიმპათია ნიუ-იორკის ფედერალური სარეზერვო ბანკის კოლეგებს შორის. 1918 წლის 17 ოქტომბერს „Ingersoll Rand Corporation“ პრეზიდენტმა და ფედერალური სარეზერვო ბანკის დირექტორმა საუნდერსმა, მიწერა პრეზიდენტ ვილსონს, რომ „იგი თანაუგრძნობდა საბჭოთა ხელისუფლების ფორმას”. მან იქვე უარყო რაიმე ფარული მოტივი, მაგალითად, „მზადება ომის დამთავრების შემდეგ მსოფლიო ვაჭრობის ხელში ჩაგდებისათვის“[5, 101] კოლეგა დირექტორებისაგან ყველაზე მეტად საინტერესო იყო ფედერალური სარეზერვო ბანკის ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ფოსტერ პიბოდი, რომელიც ითვლებოდა სოციალისტ ჰენრი ჯორჯის მეგობრად. პიბოდიმ თავისი მდგომარეობა განიმტკიცა რკინიგზებთან დაკავშირებული მანიპულაციებით, როგორც თავის დროზე ეს გაა-

კეთა ტომპსონმა სპილენძის საწარმოების აქციებით. შემდეგ პიბოდი აქტიურად გამოვიდა რათა სახელმწიფოს ხელში გადასულიყო რკინიგზების მფლობელობა და ღიად იღებდა მონაწილეობას მის ნაციონალიზაციაში. როგორც ე. სატონი აღნიშნავს იდეა სოციალისტური რუსეთის ცენტრალური დაგეგმარებისა ეკუთვნოდა პიბოდის[5, 142]. ბოლშევიკური პროპაგანდა გერმანიაში, რომელიც დააფინანსეს ორგანიზებული იყო უილიამ ბოის ტომპსონისა და რეიმონდ რობინსის მიერ. იგი ხორციელდებოდა სახალხო კომისარიატის საგარეო საქმეთა მინისტრის ლ. ტროცკის მეთვალყურეობით.

ლ. ტროცკის ერთ-ერთი პირველი ინოვაცია საგარეო საქმეთა სამინისტროში იყო კარლ რადეკის ხელმძღვანელობით პრესბიუროს, ხოლო ბორის რეინშტეინის მეთაურობით საერთაშორისო რევოლუციური პროპაგანდის ბიუროს დაფუძნება, რომლის ასისტენტები იყვნენ ჯონ რიდი და ალბერტ რაის უილიამი. ამ ძლიერი გუნდის მთელი ძალისხმევა მიმართული იყო გერმანელების წინააღმდეგ.



კარლ რადეკი(კარლო სობელსონი)

ყოველდღიურად იბეჭდებოდა ნახევარი მილიონი ტირაჟით გერმანული გაზეთი „Dee Torch“-ში და სპეციალური მატარებლით იგზავნებოდა მინსკის, კიევისა და სხვა ქალაქების ჯარების ცენტრალურ კომიტეტებში, რომლებიც მას ავრცელებდნენ ფრონტის სხვადასხვა უბნებზე.

რობერტ მაინორი მუშაობდა რეინშტეინის პროპაგანდის ბიუროში. ის იყო ნიჭიერი კარიკატურისტი და სოციალისტი. მალე მაინორი ჩავიდა რუსეთში და კორესპოდენტ ფილიპ პრასითან და „მანჩესტერ გარდიანის“ კორესპოდენტ ჟაკ სადულემთან ერთად გახდა გაზეთ „დეილი ჰერალდის“ საერთაშორისო რევოლუციური პროპაგანდის ბიუროს წევრი. ეს უკანასკნელი კი იყო ლ. ტროცკის უახლოესი მეგობარი.

1918 წლის ნოემბერში პრაისი და მაინორი წავიდნენ გერმანიაში[7]. გადაწყვეტილება სადულის, პრაისისა და მაინორის გერმანიაში გაგზავნის შესახებ მიღებულ იქნა კომუნისტური პარტიის ცენტრალური აღმასკომის მიერ. გერმანიაში, მათი საქმიანობა ბრიტანეთის, საფრანგეთის და ამერიკული დაზვერვის ყურადღების ცენტრში მოექცა. პროპაგანდისტული მასალები პირველად გამოიყენეს რუსეთის ფრონტზე მურმანსკის მახლობლად. უილიამ ტომპსონის პროგრამის თანახმად ბროშურებს ბრიტანეთის, საფრანგეთის და ამერიკული ჯარების თავზე თვითმფრინავიდან ყრიდნენ.

ბერნარდ ბარუხი (1870-1965) იყო დიდი ფინანსისტი. 1916 წელს პრეზიდენტმა ვილსონმა იიგი დანიშნა „სამხედრო მრეწველობის კომიტეტის თავმჯდომარედ ... ის უფლებამოსილი იყო მობილიზება გაეკეთებინა ამერიკის სამხედრო მეურნეობისათვის“. "პირველი მსოფლიო ომის შემდეგ, ბარუხი მსახურობდა ვერსალის კონფერენციის უზენაეს ეკონომიკურ საბჭოში. პარალელურად მუშაობდა პრეზიდენტ ვილსონის პირად ეკონომიკური მრჩეველად. მას შემდეგ, ბარუხი იყო აშშ – ს ყველა პრეზიდენტის მრჩეველი. იგი თავის თავს პირველ რიგში ამერიკელად თვლიდა და მხოლოდ შემდეგ ებრაელად[8, 301].



ბერნარდ ბარუხი

რუსული რევოლუციის პირველი ზარი გაჟღერდა 1917 წლის 18 თებერვალს. ისევე, როგორც „სისხლიანი კვირას" გაფიცვა დაიწყო პუტილოვის ქარხანაში! საწარმო არ იყო უბრალო. ის იყო თავდაცვითი და მასში წარმოებულ პროდუქციის ხელმისაწვდომობაზე იყო დამოკიდებული სანგრებში მყოფი რუსი ჯარისკაცების სიცოცხლე ან სიკვდილი. ეს, რომ საომარ ქმედებათა დროს მომხდარიყო დემოკრატიულ საფრანგეთში. ჯარი ქარხანას ალყაში მოაქცევდა და გაფიცვის მოთავეებს გარანტირებული ექნებოდათ დაპატიმრება, გასამართლება და დახვრეტა.

მეფის მთავრობას, რომელსაც სოციალ-დემოკრატები მოიხსენიებდნენ, როგორც „ხალხთა საპყრობილეს" არ დაუჭერია გაფიცვის არცერთი მონაწილე. და არა იმიტომ, რომ გულმოწყალე იყო ხელისუფლება. არა, უბრალოდ ხელისუფლება უკვე აღარ არსებობდა. უფრო მეტიც ის თვლიდა, რომ იქ არსებული პრობლემების გადაჭრა იყო მუშების და ადმინისტრაციის საქმე.

თითქოსდა ბუნებაც რუსული რევოლუციის მხარეს დადგა.

ცენტრალურ რუსეთში თებერვალში ძლიერი ყინვები დაიჭირა. სიცივე ავიდა მინუს 43 გრადუსამდე. ამან მწყობრიდან გამოიყვანა 1200-ზე მეტი ორთქმავალი, რამაც თავის მხრივ გამოიწვია სურსათის მიწოდების შეფერხება, რის შედეგადაც დედაქალაქში საკვების დეფიციტში დაიწყო. ამიტომ, 19 თებერვალს, ხელისუფლებამ გამოაცხადა ქალაქში პურის ბარათების შემოღება. იმავდროულად გავრცელდა ხმები მოსალოდნელი შიმშილობის შესახებ. მოახლოებული შიმშილის საფრთხემ ბუნებრივია გამოიწვია ის, რომ ქალაქელებმა დაიწყეს უფრო მეტი პურის ყიდვა, რაც გადაიზარდა საკვების უკმარისობაში. მაგრამ საინტერესო იყო ისიც, რომ სავაჭრო ობიექტებიდან გაქრა მხოლოდ შავი პური. ძვირი თეთრი პური კი იდო დახლებზე. მაღაზიებთან დადგა დიდი რიგები, სადაც მომხმარებლები უწყვეტ რეჟიმში აგინებდნენ ხელისუფლებას.

მალე დაიწყო გაფიცვები და სტუდენტთა გამოსვლები ლოზუნგით: „ძირს ომი“. ისინი განდევნილი იქნა პოლიციის მიერ. ნიკოლოზ II დარწმუნებული იმაში, რომ ყველაფერი კარგად დასრულდებოდა გაემგზავრა „ცარსკოე სელოში“, სადაც ყოველი შემთხვევისათვის ფრონტიდან იქნა გამოძახებული მეფის ერთგული ჯარის ნაწილი.

„თებერვლის შუა რიცხვებში, - წერდა შინაგან საქმეთა მინისტრი პროტოპოვი-უკმაყოფილო მეფემ მითხრა, რომ მან უბრძანა გენერალ გურკოს გაეგზავნა პეტროგრადში ულანის პოლკი და კაზაკები, მაგრამ გურკომ არ გაუგზავნა მითითებული დანაყოფები, არამედ გაუგზავნა სხვები. მათ შორის მეზღვაურები ანუ მეზღვაურთა გვარდია, რომელნიც რევოლუციურად განწყობილად მიიჩნეოდნენ. თებერვლის მოვლენების მკვლევარი ივან სოლონევიჩი წერს: „ეს იყო ღალატი. წინასწარ განზრახული და წინასწარ დაგეგმილი. მეფემ წასვლის წინ მიიღო პრემიერ-მინისტრი თავადი გოლიცინი და დაუტოვა განკარგულება სახელმწიფო სათათბიროს განრიგის შესახებ. საჭიროების შემთხვევაში, აუცილებელი იყო მხოლოდ თარიღის დასმა და ცნობის

მიცემა დეპუტატებისადმი, რომ მათ შეუძლიათ სახლში წასვლა. ამის შემდეგ მონარქის მატარებელი წავიდა სამხედრო შტაბში, მოგლიევში. მეფის წასვლის შემდეგ ქალაქში, თითქოს ბრძანება იყოო, მოულოდნელად დაიწყო სერიოზული არეულობები"[9, 314].

„23 თებერვალი იყო ქალთა საერთაშორისო დღე. იგი უნდა აღინიშნულიყო სოციალ-დემოკრატიულ წრეებში ზოგადად შეხვედრებით, გამოსვლებით, ბროშურებით - წერდა მოგვიანებით ტროცკი თავის „რევოლუციის ისტორიაში" - და აგრძელებდა - წინა დღეს, არავის წარმოედგინა, რომ ქალების დღე შეიძლება ყოფილიყო რევოლუციის პირველი დღე. არცერთ რევოლუციურ ორგანიზაცია არ გამოუცხადებია ის დღე გაფიცვის დღედ. არავინ არ მოუწოდებდა გაფიცვისკენ, მაგრამ ისინი იწყებოდა. სპონტანურად, თავისთავად"[10]. ფაქტია, რომ ვითარების გამწვავება დაიწყო ნიკოლოზის წასვლისთანავე.

დედაქალაქში დატოვებული დედოფალი მეორე დღეს ქმარს სწერდა: „გუშინ მოხდა არეულობა ვასილიევსკის კუნძულსა და ნეველზე, შემდეგ ღარიბებმა დანაშაულებრივად აიღეს საფუნთუშეები. დაჭრეს ფილიპოვი. მათ წინააღმდეგ გამოიყენეს კაზაკები. ყველაფერი ეს მე გავიგე არაოფიციალურად"[9, 417].

1917 წლის 14 თებერვალს ა. კერენსკიმ პარლამენტში სიტყვით გამოსვლისას გამოაცხადა: „რუსი ხალხის ისტორიული ამოცანა ამჟამად რანაირადაც არ უნდა იყოს, არის, ამ შუა საუკუნეების რეჟიმის დაუყოვნებლივ, განადგურებაა... როგორ შეიძლება კანონიერი გზით ებრძოლო იმათ, ვინც თავად კანონი აქციეს ხალხის დაცინვის იარაღად? კანონდარღვევებთან ბრძოლის ერთადერთი გზა არსებობს, მათი ფიზიკურად აღმოფხვრა".

კრების თავმჯდომარე მ. როძიანკომ შეაჩერა კერენსკის გამოსვლა იმით, თუ რას გულისხმობდა ის. პასუხი ელვისებური იყო: „ვგულისხმობ იმას, რაც ბრუტუსმა გააკეთა ძველ რომში. ეს არის პირდაპირი სტიმულირება აჯანყებისაკენ".



მიხეილ როძიანკო

ლევ ტროცკი (ლეიბა ბრონშტეინი) წერდა: „თქვენ მიიღებთ საშინელ რევოლუციას“. რუსეთის რევოლუციამდე ერთი წლით ადრე ლ. ტროცკი გაძევებული იქნა საფრანგეთიდან ესპანეთში. ოფიციალური ვერსიით იმის გამო, რომ მან მონაწილეობა მიიღო ციმერვალდის კონფერენციაში, სინამდვილეში კი იმის გამო, რომ მან დაწერა პარიზში გამომავალ რუსულ გაზეთ „ნაშე სლოვოში“ გამაღიზიანებელი სტატიები. ესპანეთის პოლიციამ დაპატიმრა ცნობილი ინტერნაციონალისტი. ჩასვა იგი პირველი კლასის კამერაში, სადაც იხდიდა ნახევარ პესეტს დღეში. შემდეგ ტროცკი გადაიყვანეს ჯერ კადისში, მოგვიანებით კი ბარსელონაში. საბოლოოდ დასვეს ტრანსატლანტიკური კომპანიის გემ „მონსერატზე“. ლ. ტროცკიმ ოჯახთან ერთად გადაკვეთა ატლანტიის ოკეანე და 1917 წლის 13 იანვარს ჩავიდა ნიუ-იორკში. როგორც წყაროებიდან ირკვევა ტროცკის იქ ვილაცეები პატრონობდნენ.

1917 წელს, როდესაც ლ. ტროცკიმ დატოვა ნიუ – იორკი

და პეტროგრადში გამოემგზავრა რევოლუციის ბოლშევიკური ფაზის მოსაწყობად, მას ჯიბეში ჰქონდა 10 000 $. 1919 წელს აშშ-ს სენატის ოვერმანოვის კომიტეტმა გამოიკვლია ბოლშევიკური პროპაგანდისა და გერმანიის ფულის საკითხი აშშ-ში და ერთ შემთხვევაში შეეხო ტროცკის ამ 10 000 დოლარის წყაროს. ოვერმანის კომიტეტის მიერ ჩეხეთის დიპლომატიური მისიის ვაშინგტონში პოლკოვნიკ ჰერბანის გამოკითხვამ, შემდეგი მონაცემები გამოიტანა:

„სენატორი ოვერმაინ: იცით, სად აიღო ფული ტროცკიმ?

პოლკოვნიკი ჰერბანი: მახსოვს, რომ იყო 10 000 დოლარი, მაგრამ არა აქვს მნიშვნელობა. მე ვისაუბრებ მათ პროპაგანდაზე. გერმანიის მთავრობა რუსეთს ყველაზე უკეთ სცნობდა და მან იცოდა, რომ ამ ხალხის დახმარებით შეძლებდა რუსული არმიის განადგურებას“[11].

მალე ოვერმანის კომიტეტმა მოულოდნელად შეაჩერა საქმიანობა, სანამ ტროცკის ფულის წარმოშობის წყარო სენატის ოქმში შედიოდა. როდესაც მოსმენა მეორე დღეს განახლდა, ოვერმანოვის კომიტეტი აღარ დაინტერესებულა ტროცკით და მისი 10 000 დოლარით.

1917 წლის 16 მარტს რუსეთში მეფის ჩამოგდებიდან ერთი კვირის შემდეგ ტროცკიმ „ახალი დროების“ შენობაში ინტერვიუში გათქვა რუსეთის რევოლუციის ნამდვილი მიზნები: „... კომიტეტი, რომელიც დაიკავა მინისტრთა კაბინეტის ადგილი რუსეთში, არ წარმოადგენს რევოლუციონერთა ინტერესებსა და მიზნებს. რაც ნიშნავს, რომ ეს ყველაფერი დიდხანს არ გაგრძელდება და ადგილს დაუთმობენ ხალხს, რომლებიც უფრო მეტად დარწმუნებულად გაატარებენ რუსეთში დემოკრატიზაციას“[5, 11].

ის ადამიანები, რომელთაც უნდა განეხორციელებინათ რუსეთის დემოკრატიზაცია(რევოლუცია) ანუ მენშევიკები და ბოლშევიკები, მაშინ გადასახლებულნი იყვნენ საზღვარგარეთ და პირველ რიგში ისინი უნდა დაბრუნებულიყვნენ რუსეთში. ამი-

ტომაც შემთხვევით არ იყო, რომ დროებით მთავრობას ეწოდა „დროებითი კომიტეტი“. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ ეს სახელი მათ დაუყოვნებლივ მიიღეს მარტშივე რევოლუციის დასაწყისში და არა ისტორიკოსების მიერ მოგვიანებით.

ლ. ტროცკიმ მიიღო რუსეთში დაბრუნებისათვის პასპორტი და ამაში მას დაეხმარა პრეზიდენტი ვ. ვილსონი. ვინაიდან ამერიკის ბიუროკრატია მას ურთულებდა პასპორტის მიღებას.

შესაბამისად, როდესაც 1917 წლის 26 მარტს გემმა „კრისტიანფიორდმა“ დატოვა ნიუ – იორკი. ლ ტროცკიმ ამერიკული პასპორტით ბორტზე ასვლა შეღავათიანი პირობებით მიიღო. ის და სხვა ტროცკისტი რევოლუციონერები „უოლ სტრიტის“ დამფინანსებლების, ამერიკელი კომუნისტების და სხვა დაინტერესებული მხარეების კომპანიაში იყვნენ, რომელთაგან მხოლოდ რამდენიმე მათგანი იყო კანონიერ ბიზნესში. გემის მგზავრები შემდეგნაირად აღწერა ამერიკელი კომუნისტმა ლინკოლნ სტეფენსმა: „მგზავრთა სია გრძელი და იდუმალი იყო. ტროცკი რევოლუციონერთა ჯგუფთან ერთად მესამე კლასის კაიუტით მიცურავდა. ჩემს სალონში იყო იაპონელი რევოლუციონერი. ბორტზე იყო ბევრი ჰოლანდიელი, რომლებიც ჩქარობდნენ სახლში დაბრუნებას. დანარჩენები კურიერები იყვნენ. ორი კაცი კი „უოლ სტრიტიდან“ გერმანიაში მიემგზავრებოდა ... "[12, 764].

ლ. ტროცკის მიერ ფინეთ-რუსეთის საზღვრის გადაკვეთის შემდეგ სტოკჰოლმში მყოფმა აშშ-ს დიპლომატიურმა მისიამ სახელმწიფო დეპარტამენტს 1917 წლის 13 ივნისს გაუგზავნა დეპეშა. მასში ეწერა: „მისიამ ტორნეაში, რუსეთის საზღვარზე, კონფიდენციალური ინფორმაცია მიიღო რუსულ, ინგლისურ და ფრანგულ საპასპორტო ბიუროებისაგან, რომ ისინი სერიოზულად იყვნენ შეშფოთებულნი საეჭვო მგზავრი პირების მიერ ამერიკული პასპორტების ფლობით“[13, 316-385]

ლ. ტროცკისთან ერთად რუსეთში დაბრუნდა გ. ჩუდნოვსკი, რომელიც იყო ზამთრის სასახლის შტურმის ერთ-ერთი ხელმძღვანელი, შემდეგ კი კიევის სამხედრო კომისარი. მოგვიანებით

კი მოსკოვის სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის წევრი და პროფკავშირებიდან მუშურ-გლეხური თავდაცვის კომიტეტის წევრი. ის თავდაპირველად ტროცკის ოჯახის წევრებთან ერთად დააკავეს კანადაში, ჰალიფაკსში, მაგრამ შემდეგ გაათავისუფლეს და გაამგზავრეს რუსეთისაკენ. ზოგიერთი წყაროს მიხედვით ლ. ტროცკი გაათავისუფლა კანადის ხელისუფლებამ აშშ-ში მყოფი დიდი ბრიტანეთის საელჩოს თხოვნით. უცხოელ ავტორთა აზრით ლ. ტროცკი დაკავშირებული იყო მსხვილ ბანკირებთან.



გრიგოლ ჩუდნოვსკი

ლ. ტროცკი საერთაშორისო ბანკირებთან კავშირებს ახორციელებდა მისი ნათესავის, ცნობილი საბირჟო სპეკულიანტის და მილიონერის აბრაამ ჟივოტოვსკის მეშვეობით, რომელიც იყო ტროცკის ბიძა დედის მხრიდან. ეს უკანასკნელი რევოლუციამდე კიევსა და სტოკჰოლმში იყო კერძო ბანკირი. მიუხედავად იმისა, რომ ჟივოტოვსკი ანტიბოლშევიკი იყო. იგი 1918 წელს საბჭოების სასარგებლოდ სავალუტო გარიგებებში მოქმედებდა[ვრცლად ნახეთ[14].

1917 წლის აპრილში ლენინმა და ოცდათორმეტმა რუსმა რევოლუციონერმა ძირითადად ბოლშევიკმა, მატარებლით გაიარეს შვეიცარიიდან გერმანიაზე და შვედეთიდან პეტროგრადში შევიდნენ. ისინი მიიჩქაროდნენ, რათა ლევ ტროცკისთან ერთად დაესრულებინათ რევოლუცია. გერმანიის გავლით მათი ტრანზიტი ორგანიზებული, დამტკიცებული და დაფინანსებული იქნა გერმანიის გენერალური შტაბის მიერ. ლენინის ტრანზიტიც რუსეთში იყო ამ გეგმის ნაწილი, რომელიც დამტკიცდა იმავე გერმანიის უმაღლესი სარდლობის მიერ. მისი მიზანი იყო რუსული არმიის დაშლა და ამით რუსეთის პირველი მსოფლიო ომიდან გამოყვანა. მოსაზრება, რომ ბოლშევიკებს შეეძლოთ „მიმართულიყვნენ გერმანიისა და ევროპის წინააღმდეგ, არ წარმოშობილა გერმანიის გენერალურ შტაბში. გენერალ-მაიორმა ჰოფმანმა დაწერა: „ჩვენ არ ვიცოდით და არ განვიხილეთ. კაცობრიობის საშიშროება, ბოლშევიკების რუსეთში გამგზავრების მოსალოდნელ შედეგებთან დაკავშირებით"[15].



თეობლან ფონ ბეტმან-ჰოლვეგი

პოლიტიკური მოღვაწე, რომელმაც დააფინანსა უმაღლეს

დონეზე ლენინის მგზავრობა რუსეთში იყო კანცლერი თეობლან ფონ ბეტმან-ჰოლვეგი. რომელიც ეკუთვნოდა ფრანკფურტელ ბეტმან ბანკირთა ოჯახს. ამ საგვარეულომ დიდ წარმატებას მიაღწია მე-19 საუკუნეში. ბეტმან-ჰოლვეგი კანცლერად დაინიშნა 1909 წელს. სწორედ მან განუცხადა 1914 წელს მსოფლიოს, რომ ბელგიის მიმართ გერმანული გარანტია იყო „ფარატინა ქაღალდი". 1917 წელს ბეტმან-ჰოლვეგმა დაკარგა რაიხსტაგის მხარდაჭერა და გადადგა. მაგრამ მანამდე მან მოასწრო ბოლშევიკების მგზავრობის ორგანიზება. კაიზერი ამის შესახებ ინფორმირებული არ იყო, ვიდრე ლენინი არ ჩავიდა რუსეთში.

სია იმ პირებისა რომლებიც ლენინთან ერთად ჩავიდნენ რუსეთში:

ულიანოვი ვლადიმერ ილიას ძე დაბ. 1870 წ. სიბირსკში(ლენინი);

სულიაშვილი დავით სოკრატეს ძე დაბ. 1884 წ. სურამი(ტიფლ. გუბერნია);

ულიანოვა ნადია კონსტანტინეს ასული დაბ. 1869 წ. პეტორგრადი;

არმანდი ინესა თედორეს ასული დაბ. 1879 წ. მოსკოვი;

საფაროვი გიორგი ივანეს ძე დაბ. 1891 წ. პეტროგრადი;

მორტოჩკინა ვალენტინა სერგის ასული. დაბ 1891 წ.

ხარიტონოვი მოსე დაბ. 1887 წ. ნიკოლაევი;

კონსტანტინოვიჩი ანნა ევგენის ასული, დაბ. 1966 წ. მოსკოვი;

უსევიჩი გრიგოლ ალექსანდრეს ძე დაბ. 190 წ. ჩერნიგოვსი;

კონი ელენე ფელიქსის ასული დაბ 1893 წ. ვიტებსკი;

პავიცი სარა ნაუმის ასული. დაბ. 1879 წ. ვიტებსკი;

ცხაკაია მიხეილ გრიგოლის ძე დაბ. 1865 წ.

სკობნო აბრამ არჩილის ძე დაბ. 1888 წ.

რადომილსკი (გ. ზინოვიევი) გერშონ არონის ძე. დაბ. 1882 წ. ელიზაბეტგრადი;

რადომილსკაია ზლატა . დაბ. 1882 ;.

რადომილსკი სტეფანე ევსევის ძე დაბ. 1880 წ;

რივკინი ზალმან დაბ. 1883 წ;
სლიუსარევა ნადეჟდა მიხეილის ასული. დაბ. 1886 წ;
გობერმანი მიხეილ ვოლფის ძე. დაბ. 1892 წ. მოსკოვი;
აბრამოვიჩი მაია ზელიმხანის ასული. დაბ. 1881 წ;
ლინდე იოჰან იოჰანის ძე. დაბ. 1888წ. ჰოლდინგენი;
ბრილიანტ(სოკოლნიკოვი) გრიგოლ იაკობის ძე. დაბ. 1888 წ.
მირინგოფი იალია დავითის ძე. დაბ. 1877 წ. ვიტებსკი;
როზენბლიუმი დავით მორდეხაის ძე დაბ. 1977 წ;
პეინესონი სემიონ გერსონის ძე დაბ. 1887 წ. რიგა.
გრებელსაკია ფანია დაბ. 1991 წ. ბერდიჩევი.
პოროვსკაია ბუნია (შვილთან ერთად). დაბ. 1889 წ.
აიზენბუნდი მერი დაბ. 1881 წ. სლუცკი.[1]

(სტატია მთავრდება შემდეგი სიტყვებით: „გერმანიიდან მოვიდა სამი მატარებელი. პირველმა ჩამოიყვანა ლენინი და მისი ჯგუფი. დანარჩენი ორის გამომგზავრება ორგანიზებული იყო ციურიხის კომიტეტის მიერ. (ჩვენ ვბეჭდავთ ლენინის მატარებლის მგზავრთა მონაცემებს). ერთად მოდიოდნენ კარლ რადეკი(სობელსონი) და ფრიც ლატენი, რომლებიც დააკავეს საზღვარზე და არ შემოუშვეს. ისინი რუსეთში მოგვიანებით ჩავიდნენ.

რსდმპ წევრები-მგზავრები მატარებლისა, რომლის ჩამოსვლა ორგანიზებული იყო ციურიხის კომიტეტის მიერ:

აქსელროდი თოვია ლაზარეს ძე ცოლით;
აპტეკმანი იოსებ ვასილის ძე;
ასირიანი სოსიპატრე სამსონის ძე;
ავდეევი ივანე ანანის ძე ცოლით და ვაჟიშვილით;
ბრონშტეინი(სემკოვსკი) სემიონ იულის ძე ცოლით;
ბელენსკი ზაქარია დავითის ძე ცოლით და ბავშვით;
ბოგროვა ვალენტინა ლეონიდეს ასული;
ბრონშტეინი პოზა აბრაამის ასული;
ბელენკი ა. ი.
ბაუგიძე სამუელ გრიგორის ძე;

ვოკიკოვი პეტრე გრიგოლის ძე;
სვანაძე ალექსანდრე სიმონის ძე;
გიშვალინერი პეტრე იოსების ძე;
გოგიაშვილი პოლიკარპე დავითის ძე ცოლით და ბავშვით;
გოხბლიტი მათე იოსების ძე;
გუდოვიჩი;
გერონიმუსი იოსებ ბორისის ძე;
გერშტენი;
ჟვიფი(მაკარი) სემიონ მოსეს ძე;
დობროვიცკი ზაქარია ლეიბას ძე;
დოლიძე სოლომონ იესე ძე;
იოფე დავით ნაუმის ძე ცოლით;
კოგანი ისრაელ იერემიას ძე, ცოლით და ბავშვით;
კოგანი ვლადიმერ აბრამის ძე;
კოპელმანი;
კრისტი მიხეილ პეტერეს ძე;
ლევინა ლევიტმანი ლიბა ბერკოს ასული;
ლევინი იოჰამი დავითის ძე;
ლებედევი(პოლიანსკი) პავლე ივანეს ძე ცოლით და ბავშვით;
ლუნაჩარსკი ანატოლი ვასილის ძე;
მენდერი(ზ. ორლოვი) თეოდორ ივანეს ძე;
მგელაძე ვლასა;
მუნტიანი სერგი თეოდორის ძე, ცოლით;
მანევიჩი აბრამ იოველ ისრაელის ძე, ცოლით;
მოსოვიჩი მოსე სოლომონის ძე, ცოლით და ბავშვით;
მანუილსკი დიმიტრი ზაქარიას ძე ცოლით და ორი ბავშვით;
ნაზარევი მიხეილ თედორეს ძე;
ოსტასინსკაია პროზა გირშ-აპაპის ასული;
ოჟეროვსკი მარკ, ცოლით და ბავშვით;
პიკერრ (მარტინოვი) სემიონ იულის ძე ცოლით და ბავშვით;
პოვესი (მარტინოვი) ისააკი სერგის ძე;
პოზინი ვლადიმერი ივანეს ძე;

პშობოროვსკი სტეფანე ვლადისლავის ძე;
პლასიტილინი ნიკანორ თედორეს ძე;
როხლინი მორდეხა ვოლფის ძე;
რაიტმანი ცოლით და ბავშვით;
რაბინოვიჩი ფილია იოსების ასული;
რუზერი ლეონიდე ისააკის ძე, ცოლით;
რიაზანოვი(გოლდენბახი) დავით ბორისის ძე, ცოლით;
როზენბაუმი გერმანე;
სოკოლინსკაია ლილია ლაზარეს ასული, ქმრით;
საგრედო ნიკოლოზ პეტრეს ძე, ცოლით;
სტროევა;
სადოკაია იოსებ ბეჟანის ძე;
ტურკინი მიხეილ პავლეს ძე;
პევზაია ვიქტორ ვასილის ძე;
ფინკელი მოსე ადოლფის ძე;
ხაპერია კონსტანტინე;
ცენდებაუმი(მარტოვი) იული ოსიპის ძე;
შეიკმანი არონ ლეიბას ძე;
შიფრინი ნათან კალმანის ძე;
ერენბურგი ილია ლაზარის ძე[16].

ბუნდელები

საერთო ებრაული მუშათა კავშირი პოლონეთში, ლიტვაში, რუსეთში (1897-1921 წწ.)

ალტერი ესთერი ისრაელის ასული ბავშვით;
ბარაკი;
ბოლტინი ლაზარე ჰაიმის ძე;
ვეინბერგი მარკუსი არანის ძე;
გალპერინი;
დრანკინი ვოლფ მეირის ძე ცოლით და ბავშვით;
დიმენტი ლაზარე ნაუმის ძე;
დრეიზენშტოკი ანნა მეირის ასული;

ზანინი მეირომ მენაშეს ძე;
იოფე პინკუსი იოსების ძე;
უდელსონ მარკი;
კლავირი ლევ სოლომონის ძე;
კონტორსკი სამველი;
ლიუბინსკი აბრამ ოსიპის ძე ცოლით და ბავშვით;
ლევიტი(გალერტ-ლევიტი) ეიდელ მეერის ასული ბავშვით;
ლუქსემბურგი მოსე სოლომონის ძე;
ლიპნინი იუდა ლეიბის ძე;
მეროვიჩი მოსე;
ლერნერი დავითი;
მახლინი თაივა ზელიმანის ძე;
ტუსენევი ისააკ მარკის ძე;
რაკოვი მოსე ილიას ძე;
ნახიმსონი მეერი იცკოს ძე;
რეინი(აბრამოვიჩი) რაფიელ აბრაამის ძე ცოლით და ორი ბავსვით;
როზენი ხაიმ იუდა ცოლით;
სკეპტორი იაკობი;
სლობოდსკიი ვალენტინ ოსიპის ძე;
სვეტცკი ა. ა.
ხეფელი ადამ იაკობის ძე;
პიკლისი მსერ;
ცუკრეშტეინი სოლომონი ცოლით და ორი ბავშვით;
შეინისი ისერ ხაიმის ძე;
სეინბერგი.

პოლონეთის და ლიტვის სამეფოს სოციალ-დემოკრატების მეთაური:

გოლბლიუმი როზა.

ლატვიის სოციალ-დემოკრატი მეთაურები:

ურბანი ერნს ივანეს ძე ცოლით და ბავშვით;
შუსტერი ივანე გერმანეს ძე ცოლით და ბავშვით.

ლიტვის სოციალ-დემოკრატია:

მარტინა მიხეილი იურის ძე;

კონი ფელიქსი იაკობის ძე ცოლით და ქალიშვილით;

ლევინზონი მეერი აბრამის ძე;

შპაკოვსკი იანი ალექსანდრეს ძე.

სოციალისტ-რევოლუციონერები:

ვესშტეინი ისრაელი არონის ძე;

ვინოგრადოვა ელისაბედი;

გავრონსკი დიმიტრი იოსების ძე;

კალიანი ევგენია ნიკოლოზის ასული;

კლიუშინი ბორისი ისრაელის ძე ცოლით;

ლევინზონი მეერი აბრამის ძე ცოლით და ბავშვით;

ლუნკევიჩი ზოია პავლეს ასული;

გლანხინი დავითი გრიგოლის ძე ცოლით და ბავშვით;

ნათანსონი(ბობროვი) მარკ ანდრიას ძე ცოლით, ვ. ა. ალექსანდროვა);

ბალეევა(ურეს) მარია ალექსანდრეს ასული ბავშვით;

პერელი რებეკა;

პიუშიანი ტრონი პერშეს ძე;

როზენბერგი ლევი იოსების ძე ცოლით და ორი ბავშვით;

უსტინოვი(ბეზემელნი) ალექსანდრე მიხეილის ძე;

ულიანოვი გრიგოლი კარლოს ძე;

ფრეიფელდი ლევი ვლადიმერის ძე ცოლით და ბავშვით;

ტენდელევიცი ლეონიდე აბრამის ძე ცოლით და ორი ბავშვით.

ბუცევიჩი ალექსანდრე სტანისლავის ძე;

ვიუგინი იაკობი ცოლით და ორი ბავშვით;

გიტერმანი აბრაამი მოსეს ძე ცოლით და ბავშვით;

გოლდსტეინი აბრამი ბორისის ძე;

იუსტინი დავითი;

ლიპდიცი ოლღა ბავშვით;

მაქსიმოვი(იასტრეჟემბეცი) ტიმოთე თედორეს ძე;

მილერი აბრაამი ცოლით და ორი ბავშვით;
რუბნიჩიკი ეფრემი აბრამ არონოვი;
რივკინი აბრაამი იაკობის ძე;
სეგალოვი აბრაამი ვოლფის ძე ცოლით;
ტოიბისმანი ვეტია ისრაელის ასული;
შმულევიჩი ესთერი ისააკის ასული;
ვოლოვინი ალასა ევსევიის ასული;
დინესი რიმა ხაიმის ასული;
კარა;
როზენბერგი ლევი იოსების ძე;
ავერბუხი ლეიბა იოსების ძე;
ბალაბანოვა ანჟელიკა ისააკის ასული;
ბრაგინსკი მანუსი ოსიპის ძე;
გონოიონდისკი იოსებ აბრაამის ძე;
კიმელი იოჰან ვოლდემარი;
კარაჯაი გიორგი არტემის ძე ცოლით;
ზიფელდი არტურ რუდოლფის ძე;
მარამი ელია ერემის ძე;
მაკაროვა ოლღა მიხეილის ასული;
მეისნერი ივანე ცოლით და ორი ბავშვით;
ოდოევსკი(სეველოვი) ათანასე სემიონის ძე;
ოკუჯავა ვლადიმერ სტეფანეს ძე;
რასკოვსკი ხაიმი პინკუსის ძე;
სლობოდინსკი სოლომონი მორდეხაის ძე;
სოკოლოვი პავლე იაკობის ძე;
სტუჩევსკი პავლე ვლადიმერის ძე;
ტროიანოვსკი კონსტანტინე მიხეილის ძე;
შაპირო მარკი ლეოპოლდის ძე[16].

მოგვიანებით დაწერს ლ. ტროცკი: „მე და ლენინი, რომ არ ვყოფილიყავით პეტერბურგში ოქტომბრის რევოლუცია არ მოხდებოდა, ბოლშევიკების ხელმძღვანელობა ჩვენ ხელს გვიშლიდა....“[17].

1924 წელს დაწერილ ერთ-ერთ წიგნში, რომელიც აანალიზებს ოქტომბრის გაკვეთილებს, ტროცკი წერს: „ოქტომბრის რევოლუცია ჩვენთვის, მხოლოდ ძალაუფლების ხელში ჩაგდების საშუალება იყო“. ანუ ეს იყო ძალაუფლების ხელში ჩაგდების მექანიზმი. ის ამ მოვლენას რევოლუციას არ უწოდებდა.



ლ. ტროცკი 1918 წელი

ლ. ტროცკის იდეა იყო მსოფლიო რევოლუცია, მაგრამ ისტორიაში მსოფლიო რევოლუციის კრახი გადაიქცა ტროცკის პოლიტიკურ სიკვდილად. ბოლშევიკებმა თითქმის ყველაფერი ამოწურეს, რაც შეეძლოთ ამ სიტუაციიდან მიეღოთ. მათი მოლოდინი და გათვლა ეფუძნებოდა იმას, რომ მთელ ევროპაში პროლეტარიატი დაიწყებდა კლასობრივი ბრძოლის დროშის ხელში აღებას და ამოქმედდებოდა მექანიზმი, რომელიც გამოიწვევდა მსოფლიოს რეორგანიზაციას. მაგრამ, ძირითადად, ამ ძალებმა სადაც ხელისუფლებები აიღეს ვერ მოახერხეს მისი შენარჩუნება. მეტწილად იმიტომაც, რომ იქ არ იყვნენ ლენინები და ტროცკე-

ბი, რომლებიც თეორიულად ამზადებდნენ თანამებრძოლებს და პრაქტიკულად მხარს უჭერდნენ მათ. ლენინმა გერმანელ კომუნისტებს მუშათა კლასის ავანგარდი უწოდა, მაგრამ მათ ბრძოლა წააგეს. რადგან გადამწყვეტ მომენტში დაიწყეს კამათი იმის შესახებ - მიემართათ პროლეტარიატისათვის, თუ უნდა დალოდებოდნენ, როდის აღსდგებოდნენ ისინი თავად ბრძოლისთვის.

მსოფლიო რევოლუციური იმპულსის გაქრობა საბედისწერო აღმოჩნდა ტროცკისთვის. ის ყოველდღიურ სამუშაოში საკუთარ თავს ვერ ხედავდა. მისთვის არსებობის იდეალური მოდელი იყო ბრძოლა (ანუ ომი). ლენინი მართავდა სახელმწიფოს, ვრანგელზე გამარჯვების შემდეგ ორ წელზე ცოტა მეტი ხნის განმავლობაში. მის ნაცვლად მოსულები კი მაღალ საკითხებზე არ ფიქრობდნენ. უფრო მეტიც, აღმოჩნდა, რომ სამოქალაქო ომში სტრატეგიული მიზანი მიღწეული არ იყო. ლენინი და ტროცკი ამბობდნენ - „მთელი კონტრრევოლუცია უნდა განადგურდეს". მაგრამ იქ წავიდა გადაჯგუფება. მსოფლიოს უმეტესზე უმეტეს ქვეყნებში პროლეტარიატი არსად არ აღდგა. ხელისუფლებაში შეჭრილი ბოლშევიკები მტრებით აღმოჩნდნენ გარშემორტყმული. საჭირო იყო ახალი რევოლუციური სტრატეგია... რომელიც აღმოაჩნდა სტალინს.

ლ. ტროცკიზე ამბობდნენ, რომ ის იყო რევოლუციის ლიდერი. პროპაგანდისტები მალავდნენ და ზოგჯერ არ იცოდნენ, რომ ტროცკი ბოლშევიკებს მხოლოდ 1917 წელს შეუერთდა. ამის შესახებ მისმა მეგობარმა ადოლფ იოფემ წამოიძახა ტროცკისთან შეხვედრისას: „ლევ დავითის ძევ! ისინი(ბოლშევიკები) პოლიტიკური ბანდიტები არიან! რა გინდა მათთან?" ტროცკიმ მეგობარს უპასუხა: „დიახ, ვიცი, მაგრამ ბოლშევიკები ახლა ერთადერთი რეალური პოლიტიკური ძალაა".

1917 წლის 1 სექტემბერს გამოცხადდა რუსეთის რესპუბლიკა. გადატრიალება 21-ში იყო დაგეგმილი. მაგრამ სამხედრო მინისტრმა ვერხოვსკიმ დროებითი მთავრობის სხდომაზე მოულოდნელად გააკეთა მოხსენება, რომელშიც პირდაპირ განაცხა-

და, რომ ჯარი ვეღარ შეძლებდა ფრონტზე ბრძოლას და ამიტომ საჭირო იყო სახელმწიფოს გადარჩენა, რისთვისაც აუცილებელია ზავი გერმანიასთან. ლენინისთვის ეს უბედურებას წარმოადგენდა, ვინაიდან ზავი და მშვიდობა იყო ლენინის ხელისუფლებაში მოსვლის მთავარი კოზირი. ანუ მას სურდა მინიმუმ გამოეცხადებინა გერმანიასთან მოლაპარაკებების დაწყების სურვილი.

პეტერბურგში გავრცელდა ხმები, რომ ბოლშევიკური გადატრიალება იქნებოდა კვირას 22 ოქტომბერს (4 ნოემბერი). მაგრამ 22-ში ყაზანის ღვთისმშობლის სახელობის კაზაკთა პოლკებს დაგეგმილი ჰქონდათ ლოცვა სამშობლოს ხსნისთვის და აწყობდნენ მასობრივი რელიგიურ მსვლელობას ქალაქის გარშემო. კაზაკებთან დაპირისპირება არ შეიძლებოდა. ამიტომაც აჯანყების თარიღი გადაიდო 25 ოქტომბრამდე (7 ნოემბერი). ლენინმა უდიდესი ნებისყოფის დაძაბვით შეძლო საბჭოების ყრილობამდე გადატრიალების მოხდენა. და ყრილობა დააყენა ფაქტის წინაშე. აი დოკუმენტი, რომელიც დაწერა ლენინმა:

„განკარგულება მუშათა და გლეხთა მთავრობის შექმნის შესახებ 1917 წლის 26 ოქტომბერი.

მშრომელთა, ჯარისკაცთა და გლეხთა სრულიად რუსეთის საბჭოების ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება: დამფუძნებელი კრების მოწვევამდე, ქვეყნის სამართავად ჩამოაყალიბოს დროებითი მუშათა და გლეხთა მთავრობა, რომელსაც ეწოდება სახალხო კომისართა საბჭო ... საბჭოს თავმჯდომარე - ვლადიმერ ულიანოვი (ლენინი) ...“

საინტერესოა ისიც, რომ ოქტომბრის გადატრიალების შესახებ ყველამ იცოდა და ზომებს არავინ იღებდა. ამას ადასტურებს ლ. ტროცკიც, როდესაც წერს: „აჯანყების შესახებ საუბრობდნენ ყველგან: ქუჩებში, სასადილოებში, სმოლნის კიბეებზე“[18].

იმავდროულად, 1917 წლის 18 ოქტომბერს(31 ოქტომბერს), გაზეთმა „ნოვაია ჟიზნმა“ გამოაქვეყნა ინტერვიუ ლ. კამენევთან, რომელშიც მან ისაუბრა მის (გ. ზინოვიევთან ერთად) უთანხმოებაზე ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებაზე შეიარაღე-

ბული აჯანყების შესახებ. „დამფუძნებელი კრების არჩევნებში ჩვენი პარტიის შანსები შესანიშნავია - წერდა კამენევი - რომ ლაპარაკობენ ბოლშევიკების გავლენა ეცემა ეს არასწორია. ჩვენი პოლიტიკური ოპონენტების სიტყვებში ეს ბრალდებები უბრალოდ პოლიტიკური თამაშია. ისინი შექმნილია სპეციალურად ბოლშევიკების პროვოცირების მიზნით, რათა გამოვჩნდეთ ჩვენი მტრებისთვის ხელსაყრელ პირობებში“. იმავე დღეს ტროცკი ამბობდა: „ჩვენზე ამბობენ, რომ ვფიქრობთ ხელისუფლების ხელში აღებას. ამ საკითხში არაფერია დამალული....“. ამ ამბების გაგებისთანავე ლენინმა ლ. კამენევი და გ. ზინოვიევი გამოაცხადა მოღალატეებად და დაემუქრა მათ პარტიიდან გარიცხვით.




ი. სტალინი, ლ. კამენევი, ვ. ლენინი, გ. ზინოვიევი

მაგრამ გადატრიალებიდან ერთი კვირის თავზე კამენევი ხდება ცაკ-ის(ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის)

ხელმძღვანელი. იგი აკონტროლებდა სახალხო კომისართა საბჭოს, რომელსაც თავმჯდომარეობდა ვ. ლენინი. ცოტა ხნის შემდეგ კი კამენევი ხდება მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე. იმავდროულად ზინოვიევი არის პეტროგრადის საბჭოს თავმჯდომარე და კომინტერნის აღმასრულებელი თავმჯდომარე. მოგვიანებით, 1922 წლის 24 დეკემბერს ლენინი „წერილი ყრილობას“ წერდა: „თუმცა ზინოვიევისა და კამენევის ოქტომბრის ეპიზოდი არ ყოფილა შემთხვევითი, მაგრამ მხოლოდ ამის გამო მათ ვერ დავადანაშაულებ, როგორც ვერ დავადანაშაულებ არაბოლშევიკობის გამო ტროცკის“ [19].

ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, დროებითი მთავრობის მეთაური ალექსანდრე კერენსკი გაიქცა ზამთრის სასახლიდან, მიატოვა მინისტრები. მან უბრალოდ მოატყუა ისინი და უფრო მეტი დამაჯერებელი, რომ ყოფილიყო მოიმიზეზა თითქოსდა შეხვედრას აპირებდა ჯარებთან, რომლებიც პეტროგრადში წამოვიდნენ დროებითი მთავრობის დასახმარებლად.



ალექსანდრე კერენსკი


ხელისუფლების ხელში აღებისთანავე თავისი გამოსვლასრულიად რუსეთის საბჭოების მეორე ყრილობაზე ვლადიმერ ლენინმა შემდეგნაირად დაასრულა: „რუსეთში, ახლა ჩვენ უნდა დავიწყოთ პროლეტარული სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობა. გაუმარჯოს მსოფლიო სოციალისტურ რევოლუციას!“

განათლების სახალხო კომისარი ანატოლი ლუნაჩარსკი გადატრიალებიდან ორი დღის შემდეგ, 27 ოქტომბერს (9 ნოემბერი) მეუღლეს წერდა: „ძვირფასო ანიუტა, შენ რა თქმა უნდა, ყველაფერი იცი გაზეთებიდან გადატრიალების შესახებ. ჩემთვის ეს მოულოდნელი იყო. მე, რა თქმა უნდა, ვიცოდი, რომ საბჭოების ხელისუფლებისათვის იქნებოდა ბრძოლა. მაგრამ თუ ეს მოხდებოდა საბჭოების ყრილობის წინა დღეს - ეს, ვფიქრობ, არავინ არ იცოდა. იმის შიშით, რომ წმინდა თავდაცვითი პოზიციას შეიძლება დაეღუპა და გაენადგურებინა მთელი საქმე სამხედრო რევოლუციურმა კომიტეტმა შეტევაზე მოულოდნელად წასვლა გადაწყვიტა. გადატრიალება იყო სიურპრიზი და მსუბუქი. მტრებიც კი ამბობენ: „მარჯვე“.

ამასვე ადასტურებს ი. ბუნინი. იგი თავის „დაწყევლილ დღეები“-ში წერდა: „გადატრიალებიდან ორი კვირის განმავლობაში ლუნაჩარსკის თვალები გადმოკარკლული დარბოდა და იძახდა: „თქვენ უბრალოდ დაფიქრდით, ჩვენ მხოლოდ დემონსტრაციის გაკეთება გვინდოდა და მოულოდნელად ასეთი წარმატება!“. ბოლშევიკებს ხელს არავინ არ უშლიდა. ყველას ეგონა, რომ ისინი დაემხობოდნენ. დარწმუნებულნი იყვნენ ორ კვირაში, ისინი მტვრად იქცეოდნენ. და რომ ეს ასე არ მოხდა ამაში უდიდესი როლი მიუძღვის ლენინს, როგორც ხელმძღვანელს და პოლიტიკოსს.

მაშინდელი გაზეთები ასე წერდნენ: „სულელური ავანტიურა, ეს არ არის საბჭოებისათვის ძალაუფლების გადაცემა, არამედ ეს არის ბოლშევიკების მიერ მისი მიტაცება“; „ისინი ვერ შეძლებენ სახელმწიფო ძალაუფლების ორგანიზებას“; „ბოლშევიკურ მთავრობას არ შეუძლია მართოს რუსეთი. აცხობენ დეკრეტებს

„ბლინების“ მსგავსად, მაგრამ ისინი ყველა რჩება ქაღალდზე. მათი დეკრეტები უფრო საგაზეთო მოწინავეებს წააგავს“; „ბოლშევიკთა ლიდერებმა გამოიჩინეს განსაცვიფრებელი უმეცრება სახელმწიფო მმართველობაში“; „ვაიძულოთ ბოლშევიკებს მშვიდობიანად დანებება, მოვახდინოთ მათი იზოლაცია და ამით მათზე უსისხლო გამარჯვება მოიპოვოთ“; „ბოლშევიკური ღამის ოქტომბრის მთვრალი გემიდან, იწყება გაქცევა. რა ხმის იქნება საყვირი ორ კვირაში?“ ... „ლენინისა და ტროცკის დიქტატურა უნდა დამარცხდეს არა იარაღით, არამედ ბოიკოტით. მათი მოშორებით“.



რუსეთის დამფუძნებელი კრება

მაგრამ აქ გამოჩნდა ბოლშევიკ-რევოლუციონერ ლიდერთა გონიერება და პოლიტიკური მოქნილობა. სანამ დანარჩენი პარტიები და პოლიტიკოსები ელოდებოდნენ ბოლშევიკთა „თვითლიკვიდაციას“, მანამ ბოლშევიკებმა ამტკიცებდნენ საბჭოთა ხელისუფლებას. მათ მიიღეს დეკრეტები ზავის, ომის, მიწის, მუშების შესახებ. შეიმუშავეს თავიანთი მოვალეობები. ზავი- გერმანიასთან, „მოკავშირეებისთვის“. რუსეთის დაშლის მოსურ-

ნეთათვის - სასწრაფოდ გამოქვეყნდა „რუსეთის ხალხთა უფლებების დეკლარაცია“. სადაც იყო ფიქსირებული შესაძლებლობა ყველასთვის, რომ თავისუფლად მოეხდინათ თვითგამორკვევა გამოყოფამდე. შემდეგ მიიღეს დადგენილებები: ყველა სასამართლო, კანონის და ადვოკატურის გაუქმების შესახებ; მოახდინეს ბანკების ნაციონალიზაცია; შემოიღეს საყოველთაო შრომითი სამსახური; ახალი მთავრობის მიმართ ტელეგრაფის გამოყენების უარის თქმის გამო ახალმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ლ. ტროცკიმ ბრძანება გასცა ბრძანება და მთავარ ქვეყნებში ყველა ელჩი თანამდებობიდან გაათავისუფლა, პენსიისა და სახელმწიფო სამსახურების დაკავების უფლების გარეშე. ჩინოვნიკები, რომლებმაც განაცხადეს უარი სამსახურებში გასვლაზე ძერჟინსკიმ დააკავა ყოველგვარი ორდერების გამოწერის გარეშე. ბოლშევიკებისათვის მთავარი გახდა დროის მოგება და ხელისუფლების კიდევ უფრო და უფრო განმტკიცება. რათა მყარად მომზადებულიყვნენ დამფუძნებელი კრების გარეკვისათვის. რომელიც ემსახურებოდა რუსეთში ძმათამკვლელი ხოცვა-ჟლეტის გაღვივებას.

ბოლშევიკებს იმთავითვე გათვალისწინებული ჰქონდათ დამფუძნებელი კრების გარეკვა. ლენინი ძალიან უარყოფითად იყო განწყობილი პარლამენტარიზმის მიმართ. იგი წერდა: „რამდენიმე წელიწადში გადაწყვიტონ მმართველი კლასის, რომელი წევრი იქნება ხალხის გამანადგურებელ პარლამენტში - ეს არის ბურჟუაზიული პარლამენტარიზმის ნამდვილი არსი, არა მხოლოდ საპარლამენტო-საკონსტიტუციო მონარქიებში, არამედ ყველაზე მეტად დემოკრატიულ რესპუბლიკებში“.

მიუხედავად იმისა, რომ ვ. ი. ლენინს სძულდა პარლამენტი, იგი იძულებული გახდა ჩაეტარებინა არჩევნები. დამფუძნებელ კრებაზე არჩეულ იქნა 715 დეპუტატი. მათ შორის იყო 370 სოციალისტ-რევოლუციონერი, 175 ბოლშევიკი, 40 მემარცხენე სოციალისტ-რევოლუციონერი, 16 მენშევიკი, 17 კადეტი, 86 ეროვნული პარტიების და ორგანიზაციების წარმომადგენლები.

1918 წლის 5(18) იანვარს, ბოლშევიკმა ი. მ. სვერდლოვმა გახსნა დამფუძნებელი კრება. თავმჯდომარის არჩევის დროს 244 ხმით, უმრავლესობა მიიღო სოციალისტ-რევოლუციონერმა ვიქტორ ჩერნოვმა. დროებითი მთავრობის იმ მინისტრმა, რომლის დროსაც კოლეგები ცდილობდნენ არ განეხილათ სამხედრო საკითხები. რადგან ის ეჭვმიტანილი იყო გერმანულ დაზვერვასთან თანამშრომლობაში. სწორედ ეს კაცი, სოციალისტ-რევოლუციონერთა ხელმძღვანელი, სურდა დეპუტატთა უმრავლესობას დამფუძნებელი კრების ხელმძღვანელად.



ვიქტორ ჩერნოვი

ბონჩ-ბრიუევიჩი წერდა: „დამფუძნებელი კრების გახსნის დროს, ლენინი წუხდა და იყო სასიკვდილოდ ფერმკრთალი, როგორც არასდროს... მან დაიწყო ბოლთით წრეების დარტყმა და გაფართოებული თვალებით ათვალიერებდა დარბაზს“. შემდეგ ვლადიმერ ილიჩმა თავი აიყვანა ხელში, ცოტათი დამშვიდდა და სკამზე ოდნავ წამოწოლილი შეწუხებული გამომეტყველებით იცინოდა“. „თუმცა, როდესაც ღამით პარლამენტის დარბევის

რეალური მომენტი მოვიდა, ლენინმა მძიმე ისტერიული შეტევა განიცადა.“ „... ჩვენ ის თითქმის დავკარგეთ“, - წერს ბუხარინი თავის მოგონებებში.

ვ. ლენინი ნებისმიერ შემთხვევაში დაარბევდა „დამფუძნებელ კრებას“ კენჭისყრის შედეგების ნებისმიერი შედეგისათვის, თუნდაც მოადგილეების უმეტესობა ყოფილიყვნენ ბოლშევიკები. ლენინს ამაში დაეხმარა კორნილოვის აჯანყება, „რომ არ ყოფილიყო კორნილოვი, არ იქნებოდა ლენინი“-წერდა მოგვიანებით კერენსკი.

რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დროს განვითარებულმა კონფლიქტებმა ძირითადად რუსებით დასახლებულ რეგიონებში, სოციალური შეტაკებების ხასიათი მიიღო, ხოლო იმპერიის სასაზღვრო ტერიტორიებზე მათ შორის ეთნიკური შეტაკებები მოხდა. უფრო ძლიერი სამხედრო ძალის წყალობით, აგრეთვე ადგილობრივი რუსული უმცირესობის მხარდაჭერის გამო, ბოლშევიკებმა მოახერხეს სხვადასხვა სასაზღვრო ტერიტორიების ხელახლა დაპყრობა. მათ იმავდროულად იმპერიის აღსადგენად დიდი საფასური გადაიხადეს. 1917 წლამდე ნაშრომებში ლენინმა გამოთქვა სურვილი ეროვნული უმცირესობების ასიმილაციის მიზანშეწონილობაზე ისე, რომ ეროვნული განსხვავებებს არ შეეშალა ხელი სოციალიზმის მშენებლობაში. „ვისაც არ სურს რუსი გახდეს, შეიძლება გამოეყოს და შექმნას საკუთარი სუვერენული სახელმწიფოები“. მესამე ვარიანტი არ იყო გათვალისწინებული. მაგრამ ეს გაანგარიშება არასწორი აღმოჩნდა. ლენინი თვლიდა, რომ რუსეთთან ეკონომიკური კავშირები შეაჩერებდა სეპარატიზმს, მაგრამ კომუნისტური რეჟიმის დამყარებისა და სამოქალაქო ომის თავიდან აცილების სურვილმა აჯობა ეკონომიკურ ინტერესებს და თითქმის ყველა ეროვნებას გაუჩნდა სწრაფვა დამოუკიდებლობისაკენ. ამიტომ მოსკოვი იძულებული გახდა მათთან წასულიყო პოლიტიკური დათმობებზე და მიენიჭებინა ისეთი კულტურული ავტონომია, რაც ლენინისთვის მანამდე საერთოდ მიუღებელი იყო. ამ დათმობებმა ნაციონალიზმს გარკვეული ლე-

გიტიმაცია მისცა. უეჭველი იყო, რომ მომავალში თუ რუსეთში ცენტრალური მთავრობა კვლავ დასუსტდებოდა, როგორც ეს მოხდა 1917 წელს, ახალი იმპერია დაიშლებოდა. ამ პროგნოზს მწვავედ ედავებოდა თითქმის ყველა რუსი სპეციალისტი[20, 122]. ეს საკითხები გაშუქებულია რ. პაიპსის წიგნში „საბჭოთა კავშირში ნაციონალიზმისა და კომუნიზმის ფორმირება 1917-1924 წწ“, რომელიც გამოვიდა 1954 წელს.

1918 წლის 13 აპრილს, ეკატერინოდართან მოხალისეთა არმიის ნაწილებთან შეტაკების დროს დაიღუპა გენერალი კორნილოვი. წითელი არმიის ჯარისკაცებმა თეთრების უკან დახევის შემდეგ კორნილოვის ცხედარი საფლავიდან ამოიღეს. გენერლის გვამი მიიტანეს ეკატერინოდარში (კრასნოდარი) და უამრავი ხალხის თანდასწრებით ხეზე ჩამოკიდეს. შემდეგ მთვრალმა კომისრებმა ჩამოაგდეს მისი სხეული. ხიშტებით დაანაწევრეს და დაწვეს.




ლავრ კორნილოვი

ამიტომაც დიდი რუსი მწერალი თ. დოსტოევსკი რუს რევოლუციონერებს ეძახდა ჭინკებს. უფრო მეტიც ცნობილი რევოლუციონერი ბაკუნინი ამბობდა: „ჩვენ უნდა შევიდეთ ალიანსში რუსეთის მიწის ყველა ქურდთან და ავაზაკთან“.

კავშირები ოქროს, ბანკებს, რევოლუციებსა და ხელისუფლებებს შორის


გერმანიაში ნოემბრის რევოლუციის შემდეგ, რასაც მონარქიის გადაგდება მოჰყვა, ფრონტზე გერმანიის მდგომარეობა უიმედო გახდა. საომარი მოქმედებები შეწყდა. მთავარსარდალმა მარშალ ფოშმა ხელი მოაწერა გერმანიასთან 1918 წლის 11 ნოემბრის სამშვიდობო შეთანხმებას. პირველი მსოფლიო ომი დასრულდა.

გამარჯვება საფრანგეთს ძვირი დაუჯდა: მილიონ სამასი ათასი ადამიანი დაიღუპა ბრძოლის ველზე, ეკონომიკა უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში იყო, საომარი მოქმდებების შედეგად განადგურდა ქარხნები. დაეცა სოფლის მეურნეობა. მოკავშირეების ვალი 60 მილიარდ ფრანკს აღწევდა. საფრანგეთი კრედიტორი ქვეყნიდან მოვალედ გადაიქცა. საერთო ჯამში ზარალმა 134 მილიარდი ოქროს ფრანკი შეადგინა. ომის დასრულებამდე ერთი წლით ადრე მთავრობის მეთაური მეორე ვადით გახდა ჟორჟ კლემანსო (რადიკალური პარტიიდან, 1917 -1920 წწ). სწორედ კლემანსო იყო ის პრემიერი, რომელმაც შეუპოვარი ხასიათისა და გამჭრიახი გონების წყალობით მტკიცედ შეუტია გერმანულ არმიას და გამარჯვებასაც მიაღწია. ამიტომ მიიღო კიდევაც მეტსახელი - „გამარჯვების მამა.“



ჟორჟ კლემანსო

1918 წელს აშშ პრეზიდენტმა ვუდრო ვილსონმა წერილი მიწერა კორპორაცია „ინგელსროლენდი“-ს პრეზიდენტს, კორპორაცია „ამერიკან ინტერნეიშნელის“ დირექტორს და ფედერალური სარეზერვო ბანკის მმართველობის ვიცე-თავმჯდომარეს ლორენს საუნდერსს: „ბატონო პრეზიდენტო მე სიმპატიით ვარ განწყობილი საბჭოთა მმართველობის ფორმისადმი, როგორც ყველაზე მისაღების რუსი ხალხისადმი“[5].



ვუდრო ვილსონი

ომის შემდგომ პერიოდში მძიმე ეკონომიკურ ფონზე გამარჯვებულ საფრანგეთში სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესების მოთხოვნით კვლავ იწყება გაფიცვები და დემონსტრაციები. საგარეო პოლიტიკაში კლემანსოს უმთავრესი მიმართულება იყო საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლა. ფრანგები, ამერიკელებთან და ინგლისელებთან ერთად მხარს უჭერდნენ თეთრგვარდიელებს. ფრანგებმა 1918 წელს შეარაღებული ინტერვენციაც განახორციელეს. 1917 წელს ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებით, პარიზის გავლენის სფეროში მოექცა

უკრაინა, ბესარაბია და ყირიმი. ინგლის-საფრანგეთის სამხედრო ფლოტი შევიდა შავ ზღვაში. ფრანგები გადმოსხდნენ ყირიმსა და უკრაინის აღმოსავლეთ სანაპიროებთან. თუმცა 1919 წლის აპრილში საფრანგეთის ფლოტის მეზღვაურები გაიფიცნენ, მოითხოვეს ინტერვენციის შეჩერება და სახლში დაბრუნება. კლემანსო იძულებული გახდა, გამოეხმო ფლოტი და უარი ეთქვა ღია ინტერვენციაზე. მოგვიანებით ფრანგებმა აჯანყების მოთავეები დააპატიმრეს და გაასამართლეს.

მმართველი წრეები მიხვდნენ იმ უმძიმეს სიტუაციას, რომელშიც ცალკეული ქვეყნები აღმოჩდნენ, ამიტომაც 1919-1920 წლებში ვერსალის ხელშეკრულებით შეიქმნა ერთა ლიგა. მასში 44 ქვეყანა გაერთიანდა. ორგანიზაციას ევალებოდა მშვიდობის უზრუნველყოფა და ხალხთა უსაფრთხოების დაცვა [205, 25-27].

1918 წლის ზაფხულში რუსეთში თეთრებმა მოახერხეს რევოლუციამდელი რუსეთის თითქმის ყველა ოქროს მარაგის - მრავალი ასეული ტონა ოქროს, პლატინის, ვერცხლის, ძვირფასეულობის(ყაზანში ომის წლებში კონცენტრირებული) ხელში ჩაგდება - რომლის ღირებულება წარმოადგენდა ფანტასტიკურ ციფრს 1 მილიარდ 300 მილიონ ოქროს რუბლს(1914 წლის ფასებით). სწორედ ამიტომ, „უოლტ სტრიტის“ ფირმებმა გადაწყვიტეს, რომ აღნიშნული სიმდიდრის სანაცვლოდ თეთრების არმიისათვის მიეწოდებინათ შეიარაღება. ეს მათ დიდ მოგებას მოუტანდა. მკვლევარ ე. სატონის აზრით ამით იყო განპირობებული „უოლ სტრიტის“ მიერ კოლჩაკის დაფინანსება. ამხელა სახსრების ფლობამ შესაძლებელი გახადა სხვა თეთრი ჯარების დაფინანსებაც, რის შემდეგაც ყველა მათგანმა კოლჩაკი უზენაეს მეთაურად აღიარა. არის ცნობები იმის შესახებაც, რომ იმ დროს რუსეთიდან იაპონიაში 150 ტონა ოქრო იქნა გატანილ [21].

ოქრო პრაქტიკულად ერთადერთი საშუალება იყო, რომლითაც საბჭოთა რუსეთი იხდიდა საფასურს უცხოური შესყიდვებისათვის. საერთაშორისო ბანკები თავის მხრივ უადვილებდნენ

საბჭოთა რუსეთს ამ გზავნილების ადრესატებამდე მიღწევას. რუსული ოქროს ექსპორტი ძირითადად ხორციელდებოდა მეფის რუსეთის დროინდელი ოქროს მონეტებით. 1920 წლის დასაწყისში დაიწყო რუსული ოქროს გაზიდვა ნორვეგიასა და შვედეთში. იქიდან კი ძვირფასი მეტალი იგზავნებოდა ჰოლანდიასა და გერმანიაში, რათა დანიშნულებისამერ მისულიყო სხვა ქვეყნებში, მათ შორის შეერთებულ შტატებშიც.

1920 წლის აგვისტოში, ნორვეგიის „Den Norske Handelsbank"-მა მიიღო რუსული ოქროს მონეტები. ეს მონეტები „Norges Bank" ბანკში გადატანეს შესანახად. შეამოწმეს, აწონეს და დადგინეს, რომ ისინი მოჭრილი იყო 1914 წელს მსოფლიო ომის დაწყებამდე და, იყო ნამდვილი რუსული მონეტები.

ამის შემდეგ კომპანია „Robert Dollar"-მა სან-ფრანცისკოდან თავის სტოკჰოლმის ანგარიშზე მიიღო 39 მლნ. შვედურ კრონად შეფასებული ოქროს ზოდები. ოქროს ჰქონდა მეფის ძველი ხელისუფლების ბეჭედი.

მალე გავრცელდა ინფორმაცია, რომ რეველიდან (ტალინიდან) ბალტიის ზღვაში გავიდნენ საბჭოთა ოქროთი დატვირთული მქონე სამი გემი, რომლებიც მიემგზავრებოდნენ აშშ-ში. გემ „Gautod"-ს გადაჰქონდა 216 ყუთი ოქრო. ამდენივე ყუთი ოქრო გადაჰქონდა გემ „Karl Line"-ს. გემი „Рухелева" კი დატვირთული იყო 108 ყუთი ოქროთი. თითო ყუთში იყო სამი ფუნტი ოქრო(ერთი ფუნტი უდრის 453, 58237 გრამს), ერთი ფუნტი კი შეფასებული იყო 60 ათას ოქროს მანეთად. ამის შემდეგ გემ „Wheeling Mold"-ით კიდევ ერთი ოქროს ნაკადი გაიგზავნა.

„მარბურგის გეგმის" მიხედვით მსოფლიოს ყველა ქვეყნის მთავრობა, უნდა ყოფილიყო სოციალიზირებული, რის შედეგადაც საბოლოო ძალა უნდა დარჩენილიყო საერთაშორისო ფინანსისტების ხელში. კონტროლის მეშვეობით უნდა მომხდარიყო იძულებითი მშვიდობის დამყარება და ამის მეშვეობით სპეციფიკური საშუალებების შექმნა კაცობრიობის პოლიტიკური დაავადებებისაგან განკურნებისათვის.


ეს იდეა დაკავშირებული იყო სხვა ელემენტებთან, რომელთაც ჰქონდათ მსგავსი მიზნები. ლორდი მილნერი ინგლისში წარმოადგენდა საბანკო ინტერესების ტრანსატლანტიკურ მაგალითს, რომელიც ცნობდა მარქსიზმის ღირსებებს და შესაძლებლობებს. საომარი დროის ბრიტანეთში მილნერი იყო გავლენიანი ბანკირი, რომელიც თანაუგრძნობდა მარქსიზმს.

1903 წელს ნიუ იორკში დაარსდა სოციალისტური კლუბი „X". მის წევრებს შორის იყვნენ არა მხოლოდ კომუნისტები - ბანკირი მორის ჰილკუტი, ლინკოლნ შტეფსი და სოციალისტი უილიამ ინგლიშ უოლინგი, არამედ ჯონ დიუი, ჯეიმს ტ. შოტველი, ჩარლზ ედვარდ რასელი და რუფუს ვეიქსი (ნიუ იორკში კომპანია „Life Insurance" ვიცე-პრეზიდენტი). სოციალისტები ასევე გამოდიოდნენ ეკონომიკური კლუბის ყოველწლიურ შეხვედრაზე ნიუ იორკის სასტუმრო „Astor"-ში.

სწორედ აქედან შეიქმნა შემდეგდროინდელი ინტერნაციონალისტური მოძრაობა, რომელშიც შედიოდნენ არა მხოლოდ კარნეგის, პოლ ვარბურგის, ოტო კენის, ბერნარ ბარუხისა და ჰერბერტ ჰოვერის დამფინანსებლები, არამედ კარნეგის ფონდი და მისი შვილობილი - „საერთაშორისო შერიგება".

1910 წელს „კარნეგის საერთაშორისო ფონდის" დაფუძნებას კარნეგიმ შესწირა 10 მლნ. დოლარი. მზრუნველთა საბჭოში შევიდნენ: ელიხ რუტი, კლივლენდ ხ. დოდჟი(რომელმაც გაუწია ფინანსური დახმარება პრეზიდენტ ვ. ვილსონს), ჯორჯ უ. პერკინსი(მორგანის პარტნიორი), ჯ. ბალაჩი, რ. ხერიკი, პრიტჩეტი და „უოლ სტრიტის" სხვა მაგნატები. პრეზიდენტ ვუდრო ვილსონს ფული სჭირდებოდა. ამიტომ ის მოექცა ინტერნაციონალისტთა ამ მძლავრი ჯგუფის გავლენის ქვეშ. როგორც ჯენინგს უისმა დაწერა: „ისტორიკოსებმა არასოდეს უნდა დაივიწყონ, რომ ვუდრო ვილსონი იყო ის პიროვნება და პოლიტიკოსი, რომელმაც მისცა ლეონ ტროცკის შესაძლებლობა რუსეთში შესულიყო ამერიკული პასპორტით". ლ. ტროცკი ამ დროს იყო კაცი, რომელსაც სურდა მსოფლიო რევოლუცია და მსოფლიო

დიქტატურა. ანუ იგი იმდროის გაგებით იყო ინტერნაციონალისტი. მაშინ ბანკირებსა და ბოლშევიკებს ჰქონდათ ერთიანი პლატფორმა და ეს იყო ინტერნაციონალიზმი. როგორც ე. სატონი აღნიშნავს თუ რევოლუციის შედეგად უნდა შეიქმნილიყო უფრო ცენტრალიზებული ხელისუფლება, მაშინ საერთაშორისო ფინანსები არც თუ ისე წინააღმდეგობრივია. საერთაშორისო ფინანსებს ერჩივნათ ურთიერთობა ჰქონოდათ ცენტრალიზებულ მთავრობებთან. ბანკირებისა და საფონდო აქციებით მოვაჭრეთა ეს ჯგუფი არ იყო არც ბოლშევიკური, არც კომუნისტური, არც სოციალისტური, არც დემოკრატიული და არც ამერიკული. უპირველეს ყოვლისა, ამ ხალხს სურდა ბაზრები, ანუ მათი საბოლოო მიზანი იყო დაეპყროთ საერთაშორისო ბაზრები და საკუთარი მონოპოლია განხორციელებინათ მსოფლიო ბაზარზე. ეს მანკიერი ჯგუფი აპოლიტიკური და ამორალური იყო. 1917 წელს მათ ჰქონდათ პირდაპირი მიზანი - დაეპყროთ რუსული ბაზარი. ეს ყველაფერი ხდებოდა ინტელექტუალურ საფარქვეშ თითქოსდა მშვიდობის დასამყარებლად[5, 203].



ლევ ტროცკი

პირველი მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ, პარიზში ჩატარდა მსოფლიო ლიდერთა შეკრება გერმანიასთან სამშვიდობო საკითხების განსახილველად. აშშ-ს, საფრანგეთის, ბრიტანეთის ხელისუფლებებმა გერმანიის ახალ მთავრობას წარუდგინეს სამშვიდობო ხელშეკრულების პირობები. რომლის თანახმადაც გერმანია ცხადდებოდა ომის დაწყებაში დამნაშავედ, ამიტომ მას ეკისრებოდა ომის შედეგად მიყენებული 20 მილიარდიანი ზარალის ანაზღაურება. გერმანიას მოკავშირეებისთვის უნდა დაეთმო მთელი სავაჭრო ფლოტი. მასვე დაეკისრა სხვა უამრავი ეკონომიკური სახის სანქცია. გერმანიამ დაკარგა პოლონეთი, ბალტიის ზღვაზე გასასვლელი, ელზასი, ლოტარინგია და სხვ. სულ ომმამდელი ტერიტორიების დანაკარგმა ჯამში შეადგინა 13 პროცენტი, ანუ 70 579კმ². ასევე კოლონიები. ვერსალის ხელშეკრულება ითვალიწინებდა გერმანიის განიარაღებას. რის შედეგადაც ბერლინს აეკრძალა მძიმე არტილერიის, ავიაციის, ტანკების, წყალქვეშა ნავების ყოლა. რეინის მარცხენა სანაპიროზე 15 წლის განმავლობაში უნდა ყოფილიყვნენ საოკუპაციო ჯარები. სრული ოკუპაციის შიშით ნაციონალური კრება იძულებული გახდა უპირობოდ დათანხმებოდა ამ ხელშეკრულების პირობებს. მას ხელი მოეწერა 1919 წლის 28 ივნისს. ყველა პოლიტიკურმა ძალამ ეს ხელშეკრულება შეაფასა, როგორც უსამართლო და მძიმე. მემარჯვენეებმა ეს ხელმოწერა შეაფასეს, როგორც ახალი მთავრობის მოღალატეობრივი საქციელი გერმანელი ერის წინაშე. კომუნისტებმა პირობა დადეს, რომ ევროპაში პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების შემდეგ ამ დამამცირებელ ხელშეკრულებას გამოასწორებდნენ. 1920 წელს რიგგარეშე არჩევნებზე სამთავრობო კოალიციამ 11 მილიონით ნაკლები ხმა მიიღო, ვიდრე 1919 წელს. 1922 წელს გერმანიამ გააფორმა ხელშეკრულება საბჭოთა რუსეთთან. ამ ხელშეკრულებით ეს ორი სახელმწიფო შეთანხმდა სრული დიპლომატიურ-ეკონომიკური ურთიერთობების აღდგენაზე.

გერმანიაში გამწვავდა ეკონომიკური სიტუაცია. ამას ემატე-

ბოდა მასობრივი უმუშევრობა, გაფიცვები და სეპარატისტული პრობლემები. ბავარია გამოვიდა ცენტრალური ხელისუფლების კონტროლიდან. ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი რეინის რესპუბლიკა. შეიცვალა მთავრობა - შეიქმნა ახალი დიდი კოალიციური მთავრობა, რომელშიც შედიოდნენ ნაციონალ-დემოკრატები, „ცენტრი“, სოციალ-დემოკრატები, გერმანიის სახალხო პარტია. რეიხსკანცლერი გახდა სახალხო პარტიის ლიდერი გუსტავ შტრეზემანი. კრიზისის ფონზე გააქტიურდნენ რადიკალური პარტიები. კომპარტიამ მოსკოვის დახმარებით სცადა რევოლუციის მოწყობა. კომუნისტებს არ გამოუვიდათ რევოლუცია, რადგან პროლეტარიატი ვერ აიყოლიეს. ამიტომაც გერმანიაში დროებით აიკრძალა კომუნისტთა მოღვაწეობა. ბევრი აქტივისტი დააპატიმრეს. ქვეყანაში ასპარეზზე გამოვიდა ახალი რადიკალური პარტია - გერმანიის ნაციონალ-სოციალისტური მუშათა პარტია. ის 1919 წლის იანვარში შეიქმნა მიუნხენში. ეს ნაციონალისტური ორგანიზაცია თავიდან თავს მუშათა პარტიას უწოდებდა. მის რიგებს შეადგენდნენ პირველი მსოფლიო ომის მონაწილე ნაციონალ-პატრიოტები, მოსახლეობის საშუალო ფენა, მარგინალები. 1920 წელს შემუშავდა პარტიის ოცდახუთპუნქტიანი პროგრამა, რომელიც ითვალისწინებდა გერმანიის ნაციონალურ გერმანულ სახელმწიფოდ აღიარებას, ქვეყნის მოქალეებად კი - მხოლოდ გერმანელების, დიადი გერმანიის აღორძინებას, ანტისემიტიზმს და სხვ. რეალურად ნაციონალ-სოციალისტები იყვნენ კონსერვატორული იდეების გამგრძელებლები და კონსერვატორული ექსტრემიზმის გამომხატველები. 1921 წელს პარტიის ლიდერი გახდა ადოლფ ჰიტლერი(შიკლგრუბერი), ავსტრიელი ნაციონალისტი. მის ხელში პარტია გადაიქცა ახალი ტიპის მასობრივ, დისციპლინირებულ, ცენტრალიზებულ, მეომარ პოლიტიკურ ძალად. მათ მიიღეს დაფინანსება მსხვილი ბავარიელი კაპიტალისტებისგან. შეიქმნა პროპაგანდისტული აპარატი, სამხედრო ჯგუფები, რომელშიც 15 ათასი ადამიანი შედიოდა. ჰიტლერის გეგმა იყო

ხელსუფლების ხელში ჩაგდება და ნაციონალ-სოციალისტური მესამე რეიხის შექმნა. 1920-იან წლებში გერმანულ ნაციონალ-სოციალისტურ მოძრაობას, იტალიელ რადიკალებთან იდეოლოგიური და ორგანიზაციული მსგავსების გამო შეარქვეს ფაშისტური მოძრაობა. 1923 წელი ჰიტლერმა მიუნხენის ლუდის სახლში გამოაცხადა ნაციონალური რევოლუციის დასაწყისი, ხოლო საკუთარ თავს უწოდა იმპერიული მთავრობის მეთაური. მან მოუწოდა ბერლინზე შტურმისაკენ, მაგრამ მეორე დილით ნაცისტებს შეუტიეს, ხოლო ჰიტლერი კი დააპატიმრეს. ნაციონალ-სოციალისტური პარტია და კომპარტია აიკრძალა მთელს გერმანიაში. ამგვარად, 1918-1923 წლებში არც კომუნისტებს და არც ნაციონალ-სოციალისტებს არ ჰქონდათ გერმანიაში საყოველთაო სახალხო მხარდაჭერა, რომ მოეხდინათ სახელწიფო გადატრიალება[206, 145-160].

მეცნიერთა ნაწილის აზრით ძირითადი სტრუქტურები, რომლებიც განსაზღვრავდნენ დასავლეთის პირველი მსოფლიო ომის შემდგომი განვითარების სტრატეგიას, იყო დიდი ბრიტანეთისა და აშშ-ს ცენტრალური ფინანსური ინსტიტუტები - ინგლისის ბანკი და ფედერალური სარეზერვო სისტემა (FRS) - და მათთან დაკავშირებული ფინანსური და სამრეწველო ორგანიზაციები, რომლებიც მიზნად ისახავდნენ გერმანიის ფინანსურ სისტემაზე აბსოლუტური კონტროლის დამყარებას პოლიტიკური პროცესების მართვის მიზნით.

ცენტრალურ ევროპაში ამ სტრატეგიის განხორციელებისას ასხვავებენ შემდეგ ეტაპებს:

1-ლი: 1919 წლიდან 1924 წლამდე - ამზადებს საფუძველს გერმანიის ეკონომიკაში მასიური ამერიკული ფინანსური ინექციებისთვის;

მე-2: 1924 წლიდან 1929 წლამდე - გერმანიის ფინანსურ სისტემაზე კონტროლის დაწესება და ნაციონალური სოციალიზმისთვის ფინანსური მხარდაჭერა;

მე-3: 1929 წლიდან 1933 წლამდე - ღრმა ფინანსური და ეკო-

ნომიკური კრიზისის პროვოცირება და გააქტიურება რამაც განაპირობა ხელისუფლებაში ნაცისტების მოსვლა;

მე-4: 1933 წლიდან 1939 წლამდე - ნაცისტურ ხელისუფლებასთან ფინანსური თანამშრომლობა და მისი ექსპანსიონისტური საგარეო პოლიტიკის მხარდაჭერა, რომელიც მიზნად ისახავდა ახალი მსოფლიო ომის მომზადებას.

პირველ ეტაპზე, ევროპაში ამერიკული კაპიტალის შეღწევის მთავარი ბერკეტები იყო სამხედრო დავალიანება და მასთან მჭიდრო კავშირში მყოფი გერმანიის რეპარაციის პრობლემები. მას შემდეგ, რაც შეერთებული შტატები ფორმალურად ჩაება პირველ მსოფლიო ომში, მან მიაწოდა სესხები მოკავშირეებს (პირველ რიგში ინგლისსა და საფრანგეთს) 8,8 მილიარდი აშშ დოლარის ოდენობით.

სამხედრო დავალიანების მთლიანმა რაოდენობამ, მათ შორის 1919-1921 წლებში შეერთებული შტატების მიერ გაცემულ სესხებზე, 11 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი შეადგინა. მოვალე ქვეყნები ცდილობდნენ თავიანთი პრობლემები მოეგვარებინათ გერმანიის ხარჯზე. რაც გამოიხატებოდა ბერლინზე დაწესებული უზარმაზარი თანხით და ანაზღაურების უკიდურესად რთული პირობებით. გერმანიის კაპიტალის საზღვარგარეთ გასვლამ გამოიწვია გადასახადების გადახდაზე უარის თქმა და სახელმწიფო ბიუჯეტში დეფიციტი, რომელიც შეიძლება დაფარული ყოფილიყო მხოლოდ არაფრით უზრუნველყოფილი გერმანული ფულის-მარკების მასობრივი გამოშვებით. შედეგი იყო გერმანიის ვალუტის დაშლა - 1923 წლის „სუპერინფლაცია“, რომელიც შეადგენდა 578 512% -ს, როდესაც ერთი დოლარისთვის იძლეოდნენ 4.2 ტრილიონ მარკას. გერმანელმა ინდუსტრიალისტებმა დაიწყეს ყველა ზომით ღიად დივერსიის გატარება, რათა არ გადაეხადათ რეპარაციის ვალდებულებები, რამაც საბოლოოდ გამოიწვია ცნობილი „რურის კრიზისი“ - 1923 წლის იანვარში საფრანგეთ-ბელგიის მიერ რურის ოკუპაცია.

ზუსტად ამას ელოდებოდნენ ინგლის-ამერიკის მმართველი

წრეები, რომ ჩარეულიყვნენ საფრანგეთის გაჭიანურებულ ავანტიურაში და ამით დაემტკიცებინათ პარიზისათვის მისი უუნარობა პრობლემის გადასაჭრელად და თავად აეღოთ ინიციატივა საკუთარ ხელში. აშშ-ს სახელმწიფო მდივანმა ჰიუზმა მაშინ მიუთითა: „ჩვენ უნდა დაველოდოთ, სანამ ევროპა მომწიფდება, იმისათვის რათა მიიღონ ამერიკული წინადადება".

ინგლისის ბანკის ხელმძღვანელის მონტეგიუ ნორმანის მითითებით ახალი პროექტი კულუარებში შეიმუშავა „J.P. Morgan and Co."-მა. იგი ემყარებოდა „Dresdner Bank"- ის წარმომადგენლის იალმარ შახტის იდეებს, რომლებიც მის მიერ 1922 წლის მარტში იქნა ჩამოყალიბებული, ჯონ ფოსტერ დალესის (პრეზიდენტ ეიზენჰაუერის კაბინეტში მომავალი სახელმწიფო მდივნის) წინადადებით, რომელიც იყო პრეზიდენტ ვილსონის იურიდიული მრჩეველი პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე. დალესმა ეს წერილი გადასცა „J.P. Morgan and Co"-ს მთავარ რწმუნებულს, რის შემდეგაც მორგანმა რეკომენდაცია მისცა შახტსა და ნორმანს, ხოლო ამ უკანასკნელმა ვაიმარის მმართველებს. 1923 წლის დეკემბერში ი. შახტი გახდა რაიხსბანკის მენეჯერი, რამაც გადამწყვეტი როლი შეასრულა ინგლის-ამერიკა-გერმანიის ფინანსური წრეების დაახლოებაში.

1924 წლის ზაფხულში ლონდონის კონფერენციაზე მიღებულ იქნა პროექტი, რომელიც ცნობილია როგორც „დაუესის გეგმა"(სახელი ეწოდა ექსპერტთა კომიტეტის თავმჯდომარის სახელის მიხედვით, რომელმაც მოამზადა პროექტი). ის იყო ამერიკელი ბანკირი, მორგან ჯგუფის ერთ-ერთი ბანკის დირექტორი. ის ითვალისწინებდა რეპარაციის ორჯერ შემცირებას და წყვეტდა დაფარვის წყაროების საკითხს. ამასთან, მთავარი ამოცანა იყო ამერიკული ინვესტიციისთვის ხელსაყრელი პირობების უზრუნველყოფა, რაც მხოლოდ გერმანული მარკის სტაბილიზაციით იყო შესაძლებელი. ამისათვის გეგმა ითვალისწინებდა გერმანიის მიერ დიდი სესხის აღებას 200 მილიონი აშშ დოლარის ოდენობით, რომლის ნახევარი მორგანის საბანკო სახლიდან უნდა

ყოფილიყო. ამით ინგლის-ამერიკის ბანკები აწესებდნენ კონტროლს არა მხოლოდ გერმანიის გადასახადების გადარიცხვაზე, არამედ ბიუჯეტზე ფულის მიმოქცევისა და გარკვეულწილად ქვეყნის საკრედიტო სისტემის მეშვეობით. 1924 წლის აგვისტოსთვის, ძველი გერმანული მარკა შეიცვალა ახალით. გერმანიის ფინანსური მდგომარეობა დასტაბილიზირდა და, როგორც მკვლევარი გ. დ. პრეპარტა წერს: „ვაიმარის რესპუბლიკა მომზადდა ისტორიაში ყველაზე თვალწარმტაცი ეკონომიკური დახმარებისთვის, რასაც მოჰყვა ყველაზე მწარე მოსავალი მსოფლიო ისტორიაში. გერმანიის ფინანსურ ძარღვებში უწყვეტ ნაკადად შევიდა ამერიკული ფინანსური სისხლი“.

საქმე შემდეგში მდგომარეობდა. პირველი-ყოველწლიური გერმანიის მიერ გადახდილი რეპარაციები მიმართული იყო იყო მოკავშირეთა მიერ გადახდილი დავალიანების მოცულობის დასაფარად. შემუშავდა ე.წ. „აბსურდული ვაიმარის წრე“. ოქრო, რომელიც გერმანიამ გადაიხადა სამხედრო ანაზღაურების ფორმით, გაიყიდა, დაგირავდა და გაუჩინარდა შეერთებულ შტატებში, საიდანაც იგი დაბრუნდა გერმანიაში „დახმარების“ სახით, რომელიც ინგლისსა და საფრანგეთს გადაეცემოდა, ხოლო თავის მხრივ ისინი იხდიდნენ აშშ-ს სამხედრო დავალიანებებს. ეს უკანასკნელი კი პროცენტებით კვლავ აგზავნიდა გერმანიაში ფინანსებს. შედეგად, გერმანია ცხოვრობდა კრედიტებით. აშკარა იყო, რომ თუ „უოლ სტრიტი“ არ გაიღებდა სესხებს, ქვეყანა გაკოტრდებოდა.

მეორეც - მიუხედავად იმისა, რომ ოფიციალურად გაიცემოდა სესხი გადახდების უზრუნველსაყოფად, იგი რეალურად ეხებოდა ქვეყნის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალის აღდგენას. ფაქტია, რომ გერმანელებმა გადაიხადეს სესხები საწარმოთა წილებით, ასე რომ ამერიკულმა კაპიტალმა დაიწყო აქტიური ინტეგრაცია გერმანიის ეკონომიკაში. უცხოური ინვესტიციების საერთო რაოდენობამ გერმანიის ინდუსტრიაში 1924-1929 წლისთვის შეადგინა თითქმის 63 მილიარდი ოქროს მარკა (30

მილიარდი შემდიოდა სესხით), ხოლო რეპარაციების გადასახადის ანაზღაურებამ-10 მილიარდი მარკა. ფინანსური შემოსავლის 70% უზრუნველყოფილი იყო ამერიკელი ბანკირების მიერ. მათი უმეტესი ნაწილი კი ეკუთვნოდა ჯ. მორგანის ბანკებს. ამიტომ გერმანიის ინდუსტრია 1929 წელს, მეორე ადგილზე გავიდა მსოფლიოში, მაგრამ დიდწილად ის წამყვანი ამერიკელი ფინანსური და სამრეწველო ჯგუფების ხელში იყო მოქცეული.

ამრიგად, „I.G. Farbenindustri"-ს გერმანიის სამხედრო აპარატის ამ მთავარი მიმწოდებელის, რომელიც 1930 წელს 45%-ით, აფინანსებდა ჰიტლერის საარჩევნო კამპანიას აკონტროლებდა როკფელერის „STANDART OILI-ი". მორგანები „General Electric"-ის მეშვეობით აკონტროლებდნენ: გერმანიის რადიო და ელექტრო ინდუსტრიას, რომელიც წარმოდგენილი იყო AEG და სიმენს-ით (1933 წლისთვის AEG-ის აქციების 30% ეკუთვნოდა „General Electric"-ს), ITT საკომუნიკაციო კომპანიის მეშვეობით - გერმანული სატელეფონო ქსელის 40%-ს, გარდა ამისა მათ ეკუთვნოდა ავიამშენებელ კომპანია „Fokke-Wulf"-ის 30%. „ოპელზე" კონტროლს ახორციელებდა „General Motors"-ი, რომელიც დიუპონების ოჯახს ეკუთვნოდა. ჰენრი ფორდი ფლობდა „Volkswagen"-ის 100%-იანი წილს. 1926 წელს, როკფელერის ბანკის „Dilon Reed & C"-ის მონაწილეობით, შეიქმნა გერმანიის სიდიდით მეორე ინდუსტრიული მონოპოლია, მეტალურგიული კონცერნი „Fereinigte Stahlwerke" (ფოლადის ტრესტი), ტისენი, ფლიკი, ვოლფი, ფეგლერი და სხვები.

ამერიკული თანამშრომლობა გერმანიის სამხედრო-სამრეწველო კომპლექსთან იმდენად ინტენსიური და გავრცელებული იყო, რომ 1933 წლისთვის გერმანული ინდუსტრიის და ისეთი მსხვილი ბანკების ძირითადი სექტორები, როგორებიცაა „Deutsche Bank", „Dresdner Bank", „Donat Bank" და ა.შ. სხვები იყვნენ ამერიკული ფინანსური კონტროლის ქვეშ.

იმავდროულად ვიღაცეების მიერ ფინასდებოდა ჰიტლერი. როგორც გერმანიის ყოფილი კანცლერი ჰერმან ბრიუნინგი თა-

ვის მოგონებებში წერდა: „1923 წლიდან მოყოლებული ჰიტლერმა დიდი თანხები მიიღო უცხოეთიდან. საიდან მოდიოდა ეს ფინანსური ნაკადები უცნობია, მაგრამ ფაქტია რომ ისინი მომავალ დიქტატორთან შვეიცარიისა და შვედეთის ბანკების მეშვეობით ხვდებოდა“.

ცნობილია, რომ 1922 წელს ა. ჰიტლერი შეხვდა გერმანიაში აშშ-ს სამხედრო ატაშე კაპიტან ტრუმან სმიტს, რომელმაც ამის შესახებ დეტალური მოხსენება მისწერა ვაშინგტონს(სამხედრო დაზვერვის დირექტორატს). სწორედ სმიტის საშუალებით მოხდა ჰარვარდის უნივერსიტეტის კურსდამთავრებული ერნსტ ფრანც ზედგვიკ ჰანფშტენგელის(პუტცი) დაახლოება ჰიტლერთან, რომელმაც მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ამ უკანასკნელის პოლიტიკოსად ჩამოყალიბებაში, მან მნიშვნელოვანი ფინანსური მხარდაჭერა მისცა ჰიტლერს და უზრუნველყო მისი ნაცნობობა და ურთიერთობები მაღალსაფეხურზე მყოფ ბრიტანულ წრეებთან.

ჰიტლერს ამზადებდნენ დიდი პოლიტიკისთვის, თუმცა სანამ გერმანიაში კეთილდღეობა მეფობდა, მისი პარტია საზოგადოებრივი ცხოვრების პერიფერიაზე დარჩა. სიტუაცია მკვეთრად შეიცვალა კრიზისის დაწყებისთანავე.

*****

გასართობი ჩანართი

ლუდის პუტჩი

1923 წლის 8 ნოემბერს გერმანიის მთავრობა ქ. მიუნხენში ლუდის ბარში იყო შეკრებილი, როდესაც მოულოდნელად ნაცისტებმა ადოლფ ჰიტლერისა და სხვა მაღალჩინოსანთა თანხლებით შეაღეს ბარის კარი და მთავრობის წევრებს გადადგომა უბრძანეს. ნაცისტებს იმედი ჰქონდათ, რომ ბავარიის მთავრობა მათ მიემხრობოდა, მაგრამ ამაოდ. ორგანიზატორები დააკავეს. ჰიტლერი ლანდსბერგის ციხეში გადაიყვანეს და 5 წლით პატიმრობა მიუსაჯეს, მაგრამ ამნისტია შეეხო და ციხე ვადაზე ადრე დატოვა. ჰიტლერმა დაიბარა, რომ ვინც ამ ციხეში ჩაჯდებოდა ყველა პატიმარი ვადაზე ადრე უნდა გათავისუფლებულიყო, ეს ტრადიცია დღესაც მოქმედებს.

*****

მას შემდეგ რაც 1929 წლის შემოდგომაზე, მოხდა ფედერალური სარეზერვო სისტემის მიერ პროვოცირებული ამერიკული საფონდო ბირჟის დაშლა, დაიწყო ინგლის-ამერიკული ფინანსური წრეების სტრატეგიის განხორციელების მესამე ეტაპი.

ფედერალურმა ბანკმა და მორგანის საბანკო სახლმა გადაწყვიტეს შეეჩერებინათ გერმანიისათვის კრედიტების მიცემა, რითაც ცენტრალურ ევროპაში მოხდა საბანკო კრიზისი და ეკონომიკური დეპრესია. 1931 წლის სექტემბერში ინგლისმა უარი განაცხადა ოქროს სტანდარტზე, რითაც განზრახ გაანადგურა საერთაშორისო გადახდის სისტემა და ამით უზრუნველყო ვაიმარის რესპუბლიკის ფინანსური ჟანგბადის სრულად გამორთვა.

მიუხედავად ამისა ნაცისტების პარტიასთან მიმართებით ფინანსური სასწაული ხდებოდა. 1930 წლის სექტემბერში, ტისენის, "I.G. Farbenindustri"-ის და კირდორფის მიერ განხორციელებული დიდი შემოწირულობების შედეგად, პარტიამ მიიღო 6.4 მილიონ ხმა და რაიხსტაგში დაიკავა მეორე ადგილი, რის შემდეგაც საზღვარგარეთიდან განხორციელდა კეთილშობილური ფინანსური ინექციები. უმსხვილესი გერმანელი მეწარმეებისა და უცხოელი დამფინანსებლების მთავარი დამაკავშირებელი გახდა ი. შახტი.

1932 წლის 4 იანვარს შედგა ინგლისელი ფინანსური მაგნატის მ. ნორმანსის შეხვედრა ა. ჰიტლერთან და ფონ პაპენთან. გაფორმდა საიდუმლო ხელშეკრულება ნაციონალურ-საოციალისტური პარტიის დაფინანსების შესახებ. ამ შეხვედრას ასევე ესწრებოდნენ ამერიკელი პოლიტიკოსები ძმები დალესები. 1933 წლის 14 იანვარს ჰიტლერი შეხვდა შრიოდერს, პაპენს და კეპლერს, სადაც მთლიანად მოწონებული და დამტკიცებული იქნა ჰიტლერის პროგრამა. სწორედ იქ გადაწყდა საბოლოოდ ნაცისტებისთვის ძალაუფლების გადაცემის საკითხი. იმავე წლის 30 იანვარს ჰიტლერი გახდა რაიხის კანცლერი. დაიწყო სტრატეგიის განხორციელების მეოთხე ეტაპი.

ინგლის-ამერიკის მმართველი წრეების დამოკიდებულება ახალი მთავრობის მიმართ უაღესად კეთილგანწყობილი გახდა. ჰიტლერმა უარი თქვა რეპარაციებით გაწერილ ანაზღაურებაზე, რაც ბუნებრივად კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა სამხედრო დავალიანების გადახდას. ამიტომაც არც ინგლისს და არც საფრანგეთს არ წარუდგენიათ მისთვის პრეტენზია გადახდების შესახებ. უფრო მეტიც, 1933 წლის მაისში აშშ-ში ი. შახტის ვიზიტის შემდეგ ვაშინგტონმა გერმანიას მისცა 1 მილიარდი დოლარის რაოდენობის ახალი სესხები. ხოლო მაისში ინგლისისაგან მიიღო 2 მლრდ. დოლარი.



იალმარ შახტი

1934 წლის ზაფხულში, დაიდო ინგლისურ-გერმანული სატრანსფერო ხელშეკრულება, რომელიც გახდა მესამე რაიხის მიმართ ბრიტანული პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი საფუძველი. რითაც 1930-იანი წლების მეორე ნახევრიდან გერმანია იქცა ინგლისის მთავარ სავაჭრო პარტნიორად.

შრიოდერის ბანკი გახდა გერმანიის მთავარი აგენტი დიდ ბრიტანეთში, ხოლო 1936 წელს მისი ნიუ-იორკის გაყოფილება გაერთიანდა როკფელერების სახლთან რათა შეექმნა საინვესტიციო ბანკი „Schroeder, Rockefeller & Co“, რომელსაც ჟურნალ „Times“-მა უწოდა „ბერლინ-რომის ღერძის ეკონომიკურ პროპაგანდისტი”. ამიტომაც, როგორც შემდეგ თავად ჰიტლერი აღიარებდა, მან თავის ოთხწლიანი გეგმა ჩაიფიქრა უცხოური სესხების ფინანსურ საფუძველზე.

1934 წლის აგვისტოში ამერიკულმა „Standard Oil“-მა გერმანიაში შეიძინა 730 ათასი ჰექტარი მიწის ნაკვეთი და ააშენა დიდი ნავთობგადამამუშავებელი ქარხნები, რომლებიც ნაცისტებს ამარაგებდნენ ნავთით.

აშშ-დან გერმანიაში, საიდუმლოდ ჩაიტანეს თვითმფრინავების ქარხნების ყველაზე თანამედროვე აპარატურა, რითაც დაიწყო გერმანული თვითმფრინავების წარმოება. გერმანიამ ამერიკული კომპანიებისგან „Pratt and Whitney“-სა და „Douglas“-გან მიიღო დიდი რაოდენობით სამხედრო პატენტები. ამერიკული ტექნოლოგიის გამოყენებით აშენდა „Junkers-87“. 1941 წლისთვის, როდესაც უკვე მძვინვარებდა მეორე მსოფლიო ომი, ამერიკულმა ინვესტიციები გერმანიის ეკონომიკაში შეადგინა 475 მილიონი აშშ დოლარი. აქედან „120 მილიონის ინვესტიცია იყო „Standard Oil“-ის, 35 მილიონი „General Motors“- ის , „ITT“ -ის 30 მილიონი, ხოლო „Ford“-ის - 17.5 მილიონი[22].

სსრკ მხარს უჭერდა რაიხსვერს გადატრიალებამდე ანუ ხელისუფლებაში ჰიტლერის მოსვლამდე, ხოლო აშშ ჰიტლერს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ეხმარებოდა ეკონომიკის აღმავლობაში. უფრო მეტიც უკანასკნელი მონაცემებით ცნობილია, რომ კომპანია „მორგანი“-ს მხრიდან იყო მცდელობა რათა მომხდარიყო აშშ-ში ფაშისტური გადატრიალება. მაგრამ ანტიკონსტიტუციური შეთქმულება ვერ განხორციელდა.

1934 წელს გერმანია აწარმოებდა მხოლოდ 300 ათას ტონა ნავთობგადამუშავების ნატურალურ პროდუქტებს და 800 ათას

ტონა სინთეტიკურ ბენზინს, ხოლო დანარჩენის იმპორტირებას ეწეოდა. ათი წლის შემდეგ კი მეორე მსოფლიო ომის დროს, რაც მას გადაეცა კომპანია „სტანდარტ ოილი ნიუჯერსის“ პატენტი და კომპანია „იგ ფაბენის“ ტექნოლოგიები ნახშირის ჰიდროგენიზაციისათვის (გამოიყენებოდა ნახშირიდან სინთეტიკური ბენზინის წარმოებისათვის). გერმანია აწარმოებდა 6,5 მლნ. ტონა საწვავს, რომლის 85%(5,5 მლნ. ტონა) იყო სინთეტიკური ანუ დამუშავებული „სტანდარტ ოილის“ ტექნოლოგიებით.

ამრიგად, ფაქტობრივად განადგურებული და არაფრის მქონე გერმანია „ვიღაცეების“ ბანკების დახმარების შედეგად, 1933 წლიდან ჰიტლერის ხელში უძლიერესი სახელმწიფო გახდა და 1940 წელს მსოფლიოში აღიარებული არმიისა და საომარი ტექნიკის ქვეყანას წარმოადგენდა.

1937 წელს სსრკ აწარმოებდა მსოფლიოს სამრეწველო წარმოების 13,7%, თუმცა მისი მოსახლეობა გლობალური მოსახლეობის მხოლოდ 8% იყო [23, 168]. სამრეწველო წარმოებაში სსრკ ევროპაში მეოთხე ადგილიდან პირველ ადგილზე გავიდა და მსოფლიოში მეხუთედან მეორეზე გავიდა. ის ჩამორჩებოდა მხოლოდ აშშ-ს[31, 169].

ზოგიერთი შტრიხი საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური ანატომიიდან

1917 წელს რუსეთში ხელისუფლებაში მოსულმა ბოლშევიკებმა, მიზნად დაისახეს მსოფლიო სოციალისტური რევოლუციის მოხდენა. ამისათვის შექმნეს ხელმძღვანელი ორგანო კომუნისტური ინტერნაციონალი-კომინტერნი. როდესაც ვერ განხორციელდა მათი ჩანაფიქრი, ტვინცხელმა რევოლუციონერებმა დაიწყეს სოციალიზმის მშენებლობა ერთ ქვეყანაში – რუსეთში. თუმცა ამისათვის ამ ქვეყანაში შესაბამისი პირობები არ არსებობდა[36, 29-33].

შეიძლება ითქვას, რომ რუსეთში მაშინვე იწყო ჩამოყალიბება ნომეკლატურამ. ალილუევის აღწერით 1919 წელს ა. მიქოიანის მოსკოვის ახლომდებარე აგარაკი გამოიყურებოდა ასე: „სახლში მარმარილოს სტატუები, რომლებიც ჩამოტანილი იყო თავის დროზე იტალიიდან. კედლებზე ძველი ფრანგული გობელენები, ფანჯრებზე სხვადასხვა ფერის ვიტრაჟები. პარკი, ბარი, ჩოგბურთის მოედანი, ორანჟერეა, საჯირითო“.

1917 წელს გამოცხადებული პროლეტარიატის დიქტატურა, 1918 წელს უკვე გადაიქცა პარტიის დიქტატურად. პარტიის დიქტატურა იმ ლიდერთა დიქტატურად, რომლებიც იძულებულნი იყვნენ მანევრირება ეკეთებინათ გლეხობისა და მშრომელთა ინტერესებს შორის, ხალხის ინტერესებსა და საერთაშორისო ფინანსურ კაპიტალს შორის[37, 19]. რა თქმა ამას ვერ შეეგუებოდა უკვეე ექსპროპრიაციის პროცესში მყოფი იმდროინდელი ბურჟუაზია და დაიწყო მძაფრი წინააღმდეგობის გაწევა. საპასუხოდ რევოლუციურმა ხელისუფლებამ დაუპირისპირა წითელი ტერორი, რომელიც დაიწყო 1918 წელს. მისი ინიცირება მოახდინა იაკობ სვერდლოვმა, რომელიც თავის მხრივ სახელმწიფო და პარტიული აპარატის შერწყმის ურყევი მომხრე იყო. ი. სვერდლოვი 1918 წლის მაისიდან ფლობდა ორ თანამდებობას. ის ერთდროულად იყო ცაკი-ის თავმჯდომარე და რკპ(ბ) ცკ-ს მდივანი.



იაკობ სვერდლოვი

ი. სვერდლოვის დროს ცკ-ს სამდივნომ შეიძინა დიდი მნიშვნელობა. ამიტომაც იგი ითვლებოდა პარტიული აპარატის ხელმძღვანელად. იაკობ სვერდლოვი თავად თვლიდა თავს პარტიის ლიდერად. ეს კი მეტყველებდა პარტიაში ვ. ლენინის როლის შესუსტებაზე. ფიქრობენ იმის შესახებაც, რომ 1918 წლის 30 აგვისტოს სწორედ სვერდლოვმა განახორციელა თავდასხმა ლენინზე. სწორედ მისი განკარგულებით გაემართა ლენინი მიხელსონის ქარხანაში დაცვის გარეშე. და ეს მოხდა მას შემდეგ, რაც მან იცოდა, რომ პეტერბურგში მოკლეს ჩეკას იქაური თავმჯდომარე მ. ურიცკი. სვერდლოვმა ბრძანა ფ. კაპლანის(ფეიგა ხაიმის ასული როიტბლატი), რომელმაც ესროლა ლენინს მიეყვანათ მისთვის მის კამერაში, რომელიც მოწყობილი ჰქონდა კრემლში მის კაბინეტთან. მანვე გასცა ბრძანება კაპლანის გაუსამართლებლად დახვრეტაზე. დღეს დაეჭვებას იწვევს ისიც, რომ ესროლა კი საერთოდ ესერმა ქალმა ფაინა კაპლანმა ლენინს?

ვინაიდან გარდა კაპლანისა, თავდასხმის ადგილზე იმყოფებოდნენ ესერების ორი მებრძოლიც: გ. სემიონოვ-ვასილიევი და ლ. კონოპლევა. 1921 წლის პროცესზე ხელისუფლებამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ეს ორი ადამიანი ამზადებდა თავდასხმას რევოლუციის ბელადზე. ამ საქმეში ყველაზე პიკანტური ის არის, რომ ორივე ეს პიროვნება 1918 წლის დასაწყისიდან მუშაობდნენ ჩეკა-ში. სწორედ მათი მეშვეობით მოხდა ესერთა ორგანიზაციის მუშაობის პარალიზება. ამდენად ისმის კითხვა: ლენინის მიმართ თავდასხმა თავად ჩეკას მიერ ხომ არ იყო ორგანიზებული? მით უმეტეს ფ. ძერჟინსკი ძალიან კარგ დამოკიდებულებაში იყო ი. სვერდლოვთან.



ფანია კაპლანი

უნდა აღინიშნოს, რომ 1920-იან წლებში საბჭოთა კავშირში არსებობდა სულ მინიმუმ ოთხი ოპოზიციური მიმდინარეობა. 1. მემარცხენე კონსერვატორები; 2. ნაციონალ-ბოლშევიკები; 3. სოციალ-დემოკრატები; 4. მემარცხენე მილიტარისტები. მათ შო-

რის მიმდინარეობდა დაუნდობელი ბრძოლა პირველობისათვის.

რუსული სოციალისტური რევოლუციის გადარჩენის საქმე თავის თავზე აიღო ი. სტალინმა, რომელმაც მიზანდასახულად ჩაიგდო ხელში მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს მშენებლობის სადავეები. ამ პროცესს დაუპირისპირდა მაშინდელი ე.წ. მემარჯვენე ოპოზიცია, რომლის სათავეში იდგნენ რუსული რევოლუციის ტრიბუნები: ტროცკი (ბრონშტეინი), ზინოვიევი (რადომილსკი), ბუხარინი, კამენევი(როზენფელდი). ანუ როგორც მაშინ უწოდებდნენ ტროცკისტულ-ზინოვიევური ოპოზიცია.

ბოლშევიკურმა პარტიამ, რომლის სათავეშიც იდგა ი. სტალინი კურსი აიღო რუსეთის ინდუსტრიულად გარდაქმნაზე, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გორელი მეწაღის შვილმა კარგად იცოდა, რომ მას და მის დაწყებულ საქმეს-რუსულ სოციალიზმს „გასრესა“ (სტალინის ტერმინია) ელოდებოდა. ამიტომაც სტალინმა თავის მომხრეებთან ერთად ფაქტობრივად დაიწყო იმ ამოცანის გადაჭრა, რომელიც უნდა გაეკეთებინა რუსულ ბურჟუაზიულ რევოლუციას, ოღონდ მოდერნიზებული ფორმით ანუ ამ შემთხვევაში წარმოების საშუალებები თავმოყრილი იქნა სახელმწიფოს ხელში. თავდაპირველად ამ ამოცანის გადაწყვეტა სცადეს იმით, რომ ეკონომიკის განვითარებისათვის დაუშვეს ნეპი(ახალი ეკონომიკური პოლიტიკა), რომელიც სცნობდა კერძო საკუთრებას და კერძო ინიციატივებს, მაგრამ უკვე 1928 წლისათვის აშკარა გახდა, რომ თავისუფალი გაცვლა სოფელსა და ქალაქს შორის არ იძლეოდა საშუალებას დაგროვების და მაშასადამე ინდუსტრიალიზაციის ფორსირებას.

*****

გასართობი ჩანართი

1936 წელს შვილებთან ერთად საქართველოში, დედის მოსანახულებლად ერთადერთხელ ჩამოსულ იოსებ სტალინს დედამისმა კეკემ ჰკითხა: მითხარი, შვილო, მეფე ნიკოლოზ მეორის სიკვდილში თუ გირევია ხელიო?

სტალინს პირჯვარი გადაუწერია და უპასუხია: გეფიცები, მაგ ამბავთან კავშირი არ მაქვს, უდანაშაულო ვარო. დამშვიდობებისას დედას უთქვია: ეჰ, ეგებ, ჯობდა, შვილო, მღვდელი გამოსულიყავიო...[251]

****

1920-იანი წლების ბოლოს მიღებულ იქნა გადაწყვეტილება, რომ უარი ეთქვათ ნეპზე და გადაეყვანათ სოფელი კოლექტივიზაციის რელსებზე[38]. საბოლოო ჯამში რუსეთში შეიქმნა გლეხობის ექსპლუატაციის სახელწიფო-ფეოდალური მექანიზმი [39, 159-160]. ამისათვის სტალინმა მოხერხებულად წამოაყენა ხუთწლიანი გეგმიური ეკონომიკის პრინციპები, სადაც პრიორიტეტად გამოცხადებული იქნა ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია. ამ პროცესში მას მხსნელად მოევლინა ამერიკული კაპიტალი, რომელიც იმ პერიოდში მთელ მსოფლიოში დაძრწოდა მოგების მისაღებად. ყველაზე ხელსაყრელი კი ამ შემთხვევაში ჩამორჩენილი და სამოქალაქო ომით იავარქმნილი რუსეთი აღმოჩნდა. ამერიკული კაპიტალი იყო ის მამოძრავებელი ძალა, რომლითაც მოხდა პირველი ხუთწლიანი გეგმის ყველაზე გრანდიოზული საწარმოების მშენებლობა. ამერიკიდან შემოდიოდა არა მარტო სამრეწველო საშუალებები, არამედ სამრეწველო ტექნოლოგიები[40, 69].

განხორციელებული პროცესების შედეგად საბჭოთა ეკონომიკა ცნობდა საკუთრების სამ ფორმას: 1. სახელმწიფო, 2. კოოპერატიულ (საკოლმეურნეო, კოოპერატიულ, პარტიულ, პოფკავშირულ) და 3. პირადს. მათ შორის განსაკუთრებული როლი ეჭირა საწარმო საშუალებებზე სახელმწიფო საკუთრებას, რაც წარმოადგენდა სტალინური რუსული სოციალიზმის მშენებლობის ქვაკუთხედს.

მრეწველობაში შემოღებული იქნა რეგლამენტირებული საბითუმო და საცალო ფასები. საბითუმო განკუთვნილი იყო სახელმწიფო საწარმოთა შორის ანგარიშსწორებისათვის, ხოლო საცალო მოსახლეობისათვის. ამრიგად ა) საბითუმო ფასებით ხდებოდა წარმოების საშუალებების რეალიზება ბ) სხვაობა საცალო და

საბითუმო ფასებს შორის საგადასახადო ბრუნვის მეშვეობით მთლიანად შედიოდა ბიუჯეტში.

ეკონომიკამ მიიღო სამობილიზაციო ხასიათი. მის სამართავად შეიქმნა მკაცრი ცენტრალიზებული სისტემა, რომელმაც მიიღო ადმინისტრაციულ-მბრძანებლობით ხასიათი. ჯერ კიდევ 1921 წელს შეიქმნა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი. გეგმიურმა დავალებებმა 1928 წლიდან მიიღო დირექტიული სავალდებულო სახე. 1947 წელს სახელმწიფო საგეგმო კომიტეტიდან გამოყოფილი იქნა, სახალხო მეურნეობის მატერიალურ-ტექნიკური მომსახურების ორგანო, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი

საცალო ვაჭრობა ქვეყნის შიგნით რეგულირდებოდა სახელმწიფოს საშინაო ვაჭრობის სამინისტროს მიერ, ხოლო საზღვარგარეთის სახელმწიფოებთან ვაჭრობა ხორციელდებოდა საგარო ვაჭრობის სამინისტროს მიერ. საბითუმო და საცალო ფასებს განსაზღვრავდა ფასების სახელმწიფო კომიტეტი.

სახელმწიფო ბანკი, საგარეო ვაჭრობის ბანკი და ინდუსტრიული სახელმწიფო ბანკები ახდენდნენ თანხების აკუმულირებას და მიმართავდნენ ფულად ნაკადებს.

ამ სისტემის ძირითად საყრდენს 1952 წლამდე წარმოადგენდა, საკავშირო კომუნისტური პარტია (ბოლშევიკებისა), ხოლო 1952 წლიდან სკკპ(საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია).

დიდი შინაპარტიული ბრძოლების შედეგად, სტალინმა საბოლოოდ ჩამოიცილა ლენინის მიერ შექმნილი პარტია. მან ოსტატურად შექმნა ახალი პარტია ძველი სახელით და წინ ამოფარებული ლენინიზმის იდეოლოგიით.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ ისიც, რომ რუსეთში იმ დროისათვის იყო მძიმე სოციალურ-ზნეობრივ მდგომარეობა. რევოლუცია ქადაგებდა ყოველივე ძველის ნგრევას. პროლეტალური რევოლუციის საყოველთაო მიზანს წარმოადგენდა საყოველთაო თანასწორობა. ამის ნიადაგზე 1920-იანი წლების შუა ხანებში და 1930-იანი წლების დასაწყისში დაიწყო ე.წ. „სქესობრივი თანასწორობის მოძრაობა“, რომელსაც მხარს უჭერდნენ ტროცკ-

ისტები. ამაყი სოციალისტური ქალაქი მოსკოვი უზარმაზარ ბორდელს დაემსგავსა. მთვრალი ჯარისკაცები და მუშები დახეტიალობდნენ ქუჩებში. ჩხუბები მძინვარებდა ყოველ კუთხეში. მათხოვრები მეძავებს უზიარებდნენ „მზის ქვეშ მდებარე ადგილებს“. ცხოვრების საშინლად დაბალმა დონემ განაპირობა შობადობის შემცირება. ქალაქის მორალური და მატერიალური გაღატაკება. 1925 წლის ზაფხულში მოსკოვში გამოჩნდა საზოგადოება „ძირს სირცხვილი!“. მისმა მონაწილეებმა გადაწყვიტეს ებრძოლათ სირცხვილის, როგორც ბურჟუაზიულ ცრურწმენის წინააღმდეგ. ექვს-ათ კაციანი ჯგუფები სრულიად შიშველნი დაეხეტებოდნენ ქუჩებში. მათ შიშველ სხეულზე დატანებულ ლენტებზე ეწერა: „ძირს სირცხვილი - ეს არის ბურჟუაზიული ცრურწმენა“. ქალბატონებს არაფერი ეცვათ, გარდა ფეხსაცმლისა და ხელში ეჭირათ მხოლოდ ჩანთები. უფრო მეტიც, ამ ფორმით ესწრებოდნენ ისინი კინოში ფილმებს. ეს შიშველი ადამიანები მუშათა სასადილოში და ტრამვაითაც კი დადიოდნენ. მწერალ ვ. შალამოვის მემუარების მიხედვით: „მოსეირე ბიჭები, დამთვალიერებლები, ხალხმრავლობით მიჰყვებოდნენ ამ შიშველი წესრიგის მიმდევრებს“. ამ იდეამ საზოგადოებაში გაგება და თანაგრძნობა ვერ გამოიწვია. ბავშვები მათ ქვებსა და დამპალ ბოსტნეულს ესროდნენ. ცნობილმა კომუნისტმა სმიდოვიჩმა მოკლედ გამოკვეთა იმ დროის კომუნისტ ახალგაზრდებში გაბატონებული სექსუალური ზნეობის არსი:

1. კომკავშირის ყველა, თუნდაც არასრულწლოვან წევრს და „მუშფაკის“ (მუშათა ფაკულტეტის) თითოეულ სტუდენტს აქვს უფლება და ვალდებულება დაიკმაყოფილოს თავისი სექსუალური მოთხოვნილებები. ეს კონცეფცია აქსიომად იქცა და აბსტინენცია ბურჟუაზიული აზროვნების თანდაყოლილ შეზღუდვად ითვლება.

2. თუ კაცს სწყურია ახალგაზრდა გოგონა, იქნება ის სტუდენტი, მუშა, ან თუნდაც სკოლის ასაკის გოგონა, მაშინ გოგონა უნდა დაემორჩილოს ამ ვნებას, წინააღმდეგ შემთხვევაში იგი

ჩაითვლება ბურჟუაზიის ქალიშვილად, წოდების ღირსად... "[258]. ჯანდაცვის სახალხო კომისარმა სემაშკომ, მთავრობის სახელით, დაგმო შიშველი სიარული „მოსკოვის გარუჯულ ქუჩებში“. მთავარ არგუმენტად მან წამოაყენა შემდეგი: „არასასურველი კლიმატი და ძალიან დაბალი ტემპერატურა მოსკოვში, საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას. ასევე ითქვა, რომ ჯანდაცვის სახალხო კომისარიატმა გაარკვია, რომ ქალაქის ქუჩების ჰაერი ზედმეტად გაჯერებულია მტვრით და ადამიანის კანისთვის საზიანო ბაქტერიებით. ამიტომ ჯანდაცვის სახალხო კომისარიატმა რეკომენდაცია გაუწია მოსახლეობას ქალაქის ქუჩებში ტანსაცმლის გარეშე არ გამოჩენილიყვნენ, არამედ ეძიათ ჯანსაღი სუფთა ჰაერი და მზის შუქი ქალაქის გარეუბანში და წყალსაცავების სანაპირობზე.

იმ დროის კომუნისტური შეხედულებების მიხედვით, ყველა ქალი და ყველა გოგონა „ვალდებული“ იყო დაეკმაყოფილებინა მამაკაცის სექსუალური ინსტინქტი. რა თქმა უნდა, ეს ყოველთვის არ ხდებოდა ნებაყოფლობით. ხანდახან მიმართავდნენ გაუპატიურებას. იმ პერიოდის საბჭოთა სახელმწიფოში გაუპატიურება უბრალოდ კატასტროფა გახდა. სასამართლოები სავსე იყო შესაბამისი სარჩელებით. მათი რაოდენობა მუდმივად იზრდებოდა. 1926 წელს მხოლოდ მოსკოვის სასამართლომ განიხილა გაუპატიურების 547 საქმე. 1927 წელს ეს რიცხვი (მოსკოვისთვის) 726-მდე გაიზარდა; 1928 წელს კი 849. საბჭოთა ცხოვრებაში ამ ფენომენმა მიიღო სპეციალური სახელი - „ჩუბაროვშჩინა“, სანქტ-პეტერბურგში ჩუბაროვსკის შესახვევის სახელის მიხედვით, სადაც 1926 წელს ახალგაზრდა კომუნისტების მთელმა ბანდამ გააუპატიურა ორი ქალი. მაშინ ამ საქმემ დიდი რეზონანსი გამოიწვია, რადგან ამაში მხოლოდ მუშები, ძირითადად პარტიისა და კომკავშირის წევრები მონაწილეობდნენ.

ეს პროცესი მეტად დამახასიათებელი იყო კომუნისტების ზნეობისა და ქალებთან მათი დამოკიდებულების გამო. სასამართლო პროცესზე ბრალდებულებისა და მოწმეების ჩვენებით

დადგინდა, რომ პეტერბურგში ახალგაზრდებს ქალებთან დაკავშირებით ჰქონდათ შემდეგი სახის ძირითადი მოსაზრება. „ყველა ქალი არის გოგონა, რომელსაც შეუძლია ისე მოექცეს, როგორც მას სურს. ქალის სიცოცხლე იმაზე მეტი არ ღირს, ვიდრე ის სიამოვნებას იღებს სქესობრივი აქტისთვის“ [259]. მთავარი ბრალდებულები ჯიუტად ამტკიცებდნენ, რომ ისინი არაფრით განსხვავდებოდნენ კომკავშირის სხვა წევრებისგან. „კომკავშირის ყველა წევრი ერთნაირ გუნებაზეა და ცხოვრობს ისევე, როგორც ჩვენ. „ყველაზე უარესი - შენიშნავდა „კომსომოლსკაია პრავდა“ - არის ის ფაქტი, რომ ჩვენს ცხოვრებაში ეს საშინელი ინციდენტი არ წარმოადგენს რაიმე განსაკუთრებულ დანაშაულს, არაფერს გამონაკლისს. ეს არის ჩვეულებრივი, მუდმივად განმეორებადი ინციდენტი”[259].

ამ სასამართლო საქმის რუტინას ასევე ნათლად ახასიათებდა კომკავშირის ერთ-ერთი წევრის ჩვენება, რომელმაც დაინახა ძალადობა, მაგრამ მშვიდად გაიარა. პროკურორის კითხვას, თუ რატომ არ გამოიძახა დახმარება, უბრალოდ ვერ გაიგო... ეტყობოდა, მისთვის სრულიად საკმარისი იყო, რომ თავად არ მონაწილეობდა საქმეში. ერთ-ერთი ბრალდებული კი ამტკიცებდა, რომ გაუპატიურება საერთოდ არ ყოფილა. საქმე მხოლოდ ქალის თანხმობის გარეშე მოხდა... იმდროინდელი კომუნისტური პრესის ფურცლები სავსეა მასალებით მსგავსი შემთხვევების შესახებ, რაც მოწმობს წარმოუდგენელ ცინიზმს. ბოლშევიკურ-ტროცკისტულ შეხედულებებს ქალების მიმართ.

ტროცკისტ-კომუნისტებს მოსწონდათ აღნიშვნა, რომ საბჭოთა სახელმწიფოში თავისუფალი სექსუალური ურთიერთობების შედეგად მოხდა პროსტიტუციის სრულიად სამარცხვინო სოციალური ფენომენის სრული გაქრობა. ამ განცხადებას გულუბრყვილოდ იმეორებდნენ უცხოელები. თუმცა, საბჭოთა კავშირის ოფიციალური მონაცემები მთლიანად უარყოფდა ამ მტკიცებას. ვენერიულ დაავადებათა ინსტიტუტის მიერ ჩატარებულმა კვლევებმა, დადგინა, რომ იმ პერიოდში პროსტიტუცია

სტაბილურად იზრდებოდა. კითხვაზე, თუ რამ აიძულა ისინი ქუჩაში გამოსულიყვნენ, ამ ქალების 95%-მა ტრაფარეტული პასუხი გასცა: უიმედო გაჭირვებამ, ხანგრძლივი უმუშევრობამ, სამსახურიდან გათავისუფლებამ, განქორწინებამ, ნათესავების გაჭირვებამ და ა.შ. მეძავებს შორის 40%-მდე იყო ყოფილი არისტოკრატიის, ვაჭრებისა და ჩინოვნიკების ქალიშვილები. 27%-ი კი მუშათა ქალიშვილები[260].

1934 წლის მაისში, გაზეთებში „პრავდასა“ და „იზვესტიაში“, მაქსიმ გორკიმ გამოაქვეყნა სტატია სათაურით „პროლეტარული ჰუმანიზმი“, სადაც ჰომოსექსუალობას უწოდებდა სოციალურ დანაშაულს, რომელიც ხრწნიდა ახალგაზრდობას. მ. გორკი ჰომოსექსუალიზმს ადარებდა ფაშიზმს. ეს გახდა იმის საფუძველი, რომ მალე კანონის ძალით მამათმავლობა გამოცხადდა დანაშაულად.

მართალი არ იქნება არ აღვნიშნოთ ის მუშაობა, რომელიც სტალინის ხელმღვანელობით ჩატარდა საბჭოთა საზოგადოების ზნეობრივი გაჯანსაღებისათვის. საბოლოოდ არაადამიანური ძალების დაძაბვის შედეგად პარადოქსია, მაგრამ სწორედ ამ სისტემამ შეძლო საბჭოთა კავშირში უმუშევრობის და წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია, აღმოფხვრა კრიზისები, წაიყვანა ქვეყანა პროგრესის გზით. და უკვე 1939 წლისათვის საბჭოთა კავშირმა სამრეწველო წარმოების მხრივ მე-2 ადგილი დაიკავა მსოფლიოში. გაიმარჯვა მეორე მსოფლიო ომში და გადააქცია ქვეყანა მსოფლიოს ერთ-ერთ უძლიერეს სუპერსახელმწიფოდ.

მიუხედავად იმისა, რომ პარტიულ ორგანოებს ირჩევდნენ, სინამდვილეში ყველა ხელმძღვანელი თანამდებობა ატარებდა ნომეკლატურულ ხასიათს და კადრები იცვლებოდა ზემოდან რეკომენდაციის მეშვეობით[41; 42]. 1934 წლიდან სკპ(ბ) ცკ-მა განავრცო თავისი კონტროლი არჩეულ რაიკომებსა და ქალაქკომებზე[43, 194].

სტრატეგიულად მნიშვნელოვანი საკითხებს განიხილავდა პარტიის ცკ-ის პოლიტბიურო, ხოლო ტექნიკურს სამდივნო. 1934

წელს სკპ(ბ) მე-17 ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ცკ-ში შექმნილიყო ეკონომიკის დარგში ცალკეული სექტორული განყოფილებები, რომლებიც შემდეგ შეიქმნა რესპუბლიკების ცკ-ში, საოლქო კომიტეტებში, რაიკომებსა და ქალაქკომებში. ამით პარტიამ მთლიანად აიღო კონტროლი მთელ სახელმწიფო აპარატზე. კონტროლირებადი გახდა საერთოდ მთელი საბჭოთა საზოგადოება.

ამ სისტემის უპირატესობა ის იყო, რომ აკონტროლებდა რა წარმოებასა და განაწილებას, მას ჰქონდა შესაძლებლობა სახელმწიფო ამოცანების გადაწყვეტისათვის უმოკლეს დროში გაეკეთებინა, მატერიალური და ადამიანური რეზერვების მობილიზება.

ფაქტობრივად, 1917 წელს დამყარებული პროლეტარიატის დიქტატურა გადაიქცა პარტიის დიქტატურად, რომლის სათავეშიც იდგა ბელადი-დიქტატორი, რომელიც იუველური სიზუსტით ახდენდა მანევრირებას გლეხობასა და მუშებს, ტროცკის შეფასებით კი ხალხის ინტერესებსა და საერთაშორისო-სამრეწველო კაპიტალს შორის[44, 19].

ამ სისტემის ჩამოყალიბებაში თავისდა უნებურად დიდი წვლილი მიუძღვის დასავლეთს. დღეს საიდუმლო არ არის ის, რომ საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე 1933 წლამდე ფუნქციონირებდა საბჭოთა-გერმანული ქარხნები, აეროდრომები, სატანკო და საავიაციო სკოლები. მიმდინარეობდა სამხედრო სპეციალისტების პროგრამული გაცვლა. ჰიტლერის ხელისუფლებში მოსვლის შემდეგ გერმანია-საბჭოთა კავშირის ურთიერთობები შეწყდა. 1935 წლიდან კი გერმანიის რაიხსვერმა, ორიენტაცია შეიცვალა ჩრდილო-დასავლეთის ქვეყნებზე. გასაღები იმ რეპრესიებისა, რომელიც ჩატარდა 30-იანი წლების მეორე ნახევარში წითელი არმიის ხელმძღვანელობაში უნდა ვეძიოთ სწორედ აქ. ვინაიდან რეპრესირებულთა უმრავლესობას სამხედრო განათლება მიღებული ჰქონდა გერმანიაში.

ლ. ტროცკიმ, რომელმაც შიგნიდან იცოდა ქვეყანაში არსე-

ბული რეალური ვითარება, 1930-იან წლებში დაწერა, რომ საბჭოთა პროლეტარიატი „კვლავ რჩებოდა შევიწროებულ კლასად“. იგი ამბობდა: „ჩაგვრის წყარო არის მსოფლიო იმპერიალიზმი, ხოლო ბიუროკრატია კი მისი მექანიზმი”[44].

რა იმალებოდა ამ განცხადების უკან? როგორც დასავლეთის ის საწარმოო-ფინანსური წრეები, რომლებიც თავიდან დაინტერესებულნი იყვნენ ბოლშევიკებს ხელისუფლებაში მოსვლით, შემდეგ კი მონაწილეობა მიიღეს პირველი ხუთწლიანი გეგმის მშენებლობაში, გარკვეულ გავლენას ახდენდნენ საბჭოთა ქვეყნის პოლიტიკაზე. ამ მხრივ, ყურადღებას იმსახურებს ცნობილი საბჭოთა ელექტროინჟინრის ლევ ტერმენის მოგონება: „ალბათ ყველაზე საინტერესო იყო ის რომ ეს იყო სტალინის ბინის მოსმენის ორგანიზაცია. მის სამუშაო მაგიდაზე და მისი ბინის სხვადასხვა ნაწილში იყო სახელმწიფო უშიშროების მიერ დამონტაჟებული იყო სპეციალური მიკროფონები“[45, 30].

როგორც დოკუმენტებიდან ირკვევა სტალინს ჰყავდა მისი პირადი საიდუმლო სამსახური, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ გენერლები: ალექსანდრე ლავროვი, ალექსანდრე ჯუღა და იური მარკოვი(ფსევდონიმებია). ისინი აგენტურულ შემოწმებულ და გადამოწმებულ მასალებს უგზავნიდნენ პირადად ი. სტალინს „ამხანაგ ივანოვის“ სახელზე.

სტალინის მიერ შექმნილ სტრატეგიული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის მუშაობის მთავარ დებულებაში ეწერა: „უნდა გვახსოვდეს, რომ ჯაშუშებსა და მოღალატეებს უცხოეთის დაზვერვა გადაიბირებს საბჭოთა ადამიანების წრიდან, იმათ ვინც დაავადებულია კარიერიზმით და სიხარბით, სურთ მდიდრული ცხოვრება, საყვარლების ყოლა, საზღვარგარეთ მოგზაურობა და პირადი გამდიდრება. ვისაც სასახლის კარის გადატრიალების გზით ძალაუფლების ხელში ჩაგდების ბუნდოვანი პერსპექტივა ესახება“ [258, 5-6].

ხელისუფლებისათვის გამწვავებულ ბრძოლაში სტალინი ოსტატურად იყენებდა სადაზვერვო და დამსჯელ ორგანოებს.

აი რას წერს პ. სუდოპლატოვი: „სპეციალურ ჯგუფს ზოგჯერ „იაშას ჯგუფსაც“ უწოდებდნენ, რადგან ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში მას ხელმძღვანელობდა იაკობ სერებრიანსკი. სწორედ მისმა ხალხმა მოაწყო ორგანიზაცია და 1930 წელს პარიზში საერთო რუსული სამხედრო კავშირის ხელმძღვანელის, გენერალ კუტეპოვის გატაცება. რევოლუციამდე სერებრიანსკი იყო ესერების პარტიის წევრი. მან პირადად მიიღო მონაწილეობა საიდუმლო პოლიციის ოფიცრების ლიკვიდაციაში, რომლებმაც მოგილევში (ბელორუსია) მოაწყვეს ებრაელთა „პოგრომები“. „იაშას ჯგუფმა“-მა 1920-1930-იან წლებში საფრანგეთში შექმნა ძლიერი აგენტურული ქსელი გერმანიაში, პალესტინაში, შეერთებულ შტატებსა და სკანდინავიაში. მათ შეძლეს აგენტთა გადაბირება კომინტერნის იატაკქვეშეთიდან. სახელდობრ იმათგან ვინც არ მონაწილეობდა პროპაგანდისტულ ღონისძიებებში და საიდუმლოდ იყვნენ ჩანერგილნი ნაციონალურ კომუნისტურ პარტიებში. სერებრიანსკის ჯგუფმა ბრწყინვალედ გამოიჩინა თავი 1937 წელს საფრანგეთიდან რევოლუციური ესპანეთისათვის უახლესი თვითმფრინავების ფარულ მიწოდებაში. 1938 წლის ნოემბერში სერებრიანსკი აღმოჩნდა შინსახკომის იმ ლიდერებს შორის, რომლებიც დააპატიმრეს. მას მიუსაჯეს სიკვდილი, მაგრამ არ დახვრიტეს. 1941 წელს, ომის დაწყების შემდეგ, იგი გაათავისუფლეს და, გახდა განყოფილების უფროსი, რომელიც ახორციელებდა დასავლეთ ევროპის ქვეყნებისა და შეერთებულ შტატების აგენტების გადმობირებას.

ჩავარდნები ჰქონდა საბჭოთა კავშირის სპეცსამსახურებსაც. ასე მოხდა მაშინ როდესაც დასავლეთში გაიქცა აგენტი ორლოვი. ამერიკაში გაქცევის შემდეგ, ორ თვეში, მან ანონიმური წერილი მისწერა ტროცკის, სადაც გააფრთხილა, რომ მზადდებოდა მისი მკვლელობის გეგმები და რომ ამ მოქმედებას ესპანეთიდან ჩამოსული მისი წრის ადამიანები განახორციელებდნენ. პ. სუდოპლატოვის მოგონებით - ჩვენ არ ვიცოდით ორლოვის გაფრთხილების შესახებ, მაგრამ სრულად გავთვალეთ, რომ ორლოვმა შეიძლება

ასეთი ქმედება წამოიწყოს. ჩემი თავდაპირველი გეგმა იყო ეიტინგონის მიერ გადმობირებული დასავლეთ ევროპელი აგენტების გამოყენება, განსაკუთრებით კი ესპანელი ტროცკისტების. მაგალითად, ეტინგონის მიერ პირადად იქნენ „დავერბოვკებული" ძმები რუანები. რომელთაც პირადი კონტაქტები ჰქონდათ ყოფილ ანარქისტებთან-ესპანეთის რესპუბლიკური მთავრობის მინისტრებთან გაოდსიო ოლივეროს და ფრედერიკო ამუნდსენებთან, რომლებიც თანაუგრძნობდნენ ტროცკის.

ამასთან ნ. ეიტიგონი მოითხოვდა იმ აგენტების გამოყენებას დასავლეთ ევროპაში, ლათინურ ამერიკაში და შეერთებულ შტატებში, რომლებიც არასდროს მონაწილეობდნენ ტროცკისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ რაიმე ოპერაციაში. მისი გეგმის შესაბამისად, საჭირო იყო ორი დამოუკიდებელი ჯგუფის შექმნა. პირველი იქნებოდა ჯგუფი „ცხენი", რომელსაც უხელმძღვანელებდა სტალინისთვის პირადად ცნობილი მექსიკელი მხატვარი, დევიდ ალფარო სიკეიროსი, ესპანეთის სამოქალაქო ომის ვეტერანი. ის ესპანეთის სამოქალაქო ომის შემდეგ მექსიკაში გადავიდა საცხოვრებლად და გახდა მექსიკის კომუნისტური პარტიის ერთ-ერთი ორგანიზატორი. მეორე კი უნდა ყოფილიყო ე. წ. „დედის" ჯგუფი, რომლის მეთაურიც უნდა ყოფილიყო კარიდად მერკადერი. მის მდიდარ წინაპრებს შორის იყო კუბის ვიცეგუბერნატორი. მისი დიდი ბაბუა იყო ესპანეთის ელჩი რუსეთში. კარიდადმა ანარქისტული იდეების გამო დატოვა მეუღლე, ესპანეთის რკინიგზის მაგნატი, და 1930-იანი წლების დასაწყისში თავის ოთხ შვილთან ერთად გაიქცა პარიზში. მას ფულის შოვნა ქსოვის საშუალებით მოუწია. როდესაც 1936 წელს ესპანეთის სამოქალაქო ომი დაიწყო, ის ბარსელონაში დაბრუნდა, ანარქისტების რიგებს შეუერთდა და საჰაერო დარტყმის შედეგად მუცლის არეში მძიმედ დაიჭრა. ბრძოლაში გარდაიცვალა მისი უფროსი ვაჟი (ის ხელყუმბარებით ხელში ტანკს შეუვარდა). შუათანა რამონი იბრძოდა პარტიზანულ რაზმში. უმცროსი ვაჟი ლუი ესპანელი რესპუბლიკელების ბავშვებთან ერთად, რომლე-

ბიც ფრანკოს გამოექცნენ 1939 წელს მოსკოვში ჩამოვიდა. ქალიშვილი კი პარიზში დარჩა.

იმ დროს ესპანეთში მყოფმა ეიტინგონმა გადაწყვიტა ვინაიდან რამონი სავსებით უცნობი იყო ტროცკისტთა შორის, იგი 1938 წლის ზაფხულში ბარსელონადან პარიზში გაეგზავნა ახალგაზრდა ბიზნესმენის, ავანტიურისტისა და თავგადასავლების მოყვარულის ნიღბით. რომელიც დროდადრო მატერიალურად მხარს დაუჭერდა იმ პოლიტიკურ ექსტრემისტებს, რომელნიც ნებისმიერი ხელისუფლების მიმართ მტრული დამოკიდებულებაში იყვნენ.



რამონ მერკადერი

1938 წელს პარიზში მცხოვრებმა დედა-შვილმა კარიდადმა და რამონმა აიღეს ვალდებულება ეთანამშრომლათ საბჭოთა დაზვერვასთან. სექტემბერში, რუანელი ძმების რჩევით, რამონი შეხვდა ტროცკის ოჯახის მეგობრებს სილვია ანგელოფს და როზმერებს. ეიტიგონის მითითებების შესაბამისად, ის მონაწილეობას არ მიიღებდა არანაირ პოლიტიკური საქმიანობაში. მისი როლი იყო ზოგჯერ დახმარებოდა ფულით იმ მეგობრებს, რომლებიც მასში სიმპათიას იწვევდნენ. ის არ უნდა დაინტერესებულიყო ამ

ხალხის საქმეებით. უნდა უარეყო მათგან შეთავაზებები, შეერთებოდა მათ მოძრაობას.

მოსკოვს ჰყავდა კიდევ ერთი მნიშვნელოვანი აგენტი, სახელწოდებით „ჰარი" - ინგლისელი მორისონი, რომელიც ორლოვისათვის უცნობი იყო. „ჰარი" მუშაობდა სერებრიანსკის სპეციალურ ჯგუფში და მნიშვნელოვანი როლი ითამაშა 1937 წლის დეკემბერში ევროპაში ტროცკის არქივების მოტაცებაში. (ეს არქივი მოითხოვა და გამოიყენა დიმიტრი ვოლკოგონოვმა თავის წიგნში „ტროცკი", 1992 წ.) „ჰარის" ასევე ძლიერი კავშირები ჰქონდა პარიზის პოლიციის დეპარტამენტის მეშვიდე სამმართველოში. ეს დაეხმარა მას საფრანგეთის პოლიციისა და ჟანდარმერიის ორიგინალი ბეჭდების, ბლანკების მოპოვებაში, რათა გაეყალბებინა პასპორტებისა და ბინადრობის ნებართვები. რომლითაც საბჭოთა აგენტები საფრანგეთში დასახლდნენ.

ნ. ეიტინგონი თვლიდა, რომ მის აგენტებს უნდა ემუშავათ აშშ-სა და მექსიკაში არსებული საბჭოთა ადგილობრივი ცენტრებისაგან დამოუკიდებლად. „მე მას დავთანხმდი-წერს სუდოპლატოვი-მაგრამ გავაფრთხილე, რომ ჩვენ ვერ შევძლებდით ყველას გადასახლებას დასავლეთ ევროპიდან ამერიკაში, მხოლოდ დაფინანსების ჩვეულებრივ წყაროებზე დაყრდნობით. ჩვენი შეფასებით, ჯგუფების გადასახლების, აღჭურვილობისა და საიმედო საფარის შესაქმნელად, მინიმუმ სამასი ათასი დოლარის ქონა იყო საჭირო. ეიტინგონმა იმისათვის, რომ გვქონოდა მფარველობა შემოგვთავაზა ოპერაციაში შეერთებულ შტატებში მყოფი მისი პირადი ოჯახური კავშირების გამოყენება. მის ნათესავებს დიდი შეთღავათები ჰქონდათ საბჭოთა მთავრობისგან 1930 წლიდან 1948 წლამდე, როდესაც ისინი ლენინგრადში ბეწვის აუქციონ-ბაზრობებში მონაწილეობდნენ. ჩვენ ჩამოვაყალიბეთ მოსაზრებები და მივმართეთ ბერიას, რომ ტროცკის გარემოცვაში ჩვენ არავინ გვყავს, ვისაც უშუალოდ ექნებოდა მასთან წვდომა. არ გამოვრიცხეთ მისი რეზიდენციის აღება, შეიძლება შტურმით დაგვჭირდებოდა.

ამ დროს ლ. ბერიამ მოულოდნელად შეგვთავაზა გამოგვეყენებინა ორლოვის კავშირები, ორლოვი ბერიასთვის ცნობილი იყო საქართველოდან, სადაც ის 1921 წელს სასაზღვრო რაზმს მეთაურობდა. საბოლოოდ ეს წინადადება უარყოფილ იქნა"[69, 239].

კრემლი მუშაობდა ლ. ტროცკის ფიზიკური განადგურებზე. სტალინი უდიდეს პოლიტიკურ მნიშვნელობას ანიჭებდა ტროცკის თავიდან მოშორებას. მას ზედმიწევნით ჰქონდა გათვლილი თუ რა შედეგები უნდა მოეტანა ტროცკის პოლიტიკიდან საბოლოო გაქრობას. საბჭოთა დაზვრევის ასი სუდოპლატოვი წერს: „სტალინმა გვითხრა: ჩვენ არ გვაქვს პროლეტარიატის დიქტატურის გაძლიერებასთან ერთად ძლიერი ინდუსტრიული და სამხედრო ძალაუფლების აგების ისტორიული გამოცდილება. ამიტომ ტროცკი, ან როგორც თქვენ მას თქვენს ეძახით „მოხუცი", აუცილებლად უნდა განადგურდეს, გარდაუვალი ომის დაწყებამდე ერთი წლით ადრე მაინც. ტროცკის ლიკვიდაციის გარეშე, როგორც ესპანურმა გამოცდილებამ აჩვენა, ჩვენ ვერ ვიქნებით დარწმუნებული, რომ იმპერიალისტების მიერ საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემთხვევაში, ჩვენს მოკავშირეები საერთაშორისო კომუნისტურ მოძრაობიდან მხარს დაგვიჭერენ. მათ ძალიან გაუჭირდებათ ინტერნაციონალური მოვალეობის შესრულება, რაც უნდა გამოიხატოს მტრის ზურგის დესტაბილიზაციასა და პარტიზანული ომის გაჩაღებაში"[99, 48].

პ. სუდოპლატოვი აგრძელებს-ბერიამ მიბრძანა ეიტინგონთან ერთად პარიზში გამგზავრება, მექსიკაში წასული ჯგუფის შესაფასებლად. 1939 წლის ივნისში, ავსტრიელი ემიგრანტის გეორგ მილერის, ყალბი დოკუმენტების მეშვეობით ჩავედი მარსელში. იქიდან მატარებლით პარიზში, სადაც შევხვდით რაიმონ და კარიდად მერკადერებს, შემდეგ კი სიკეირსის ჯგუფის წევრებს. ეს ორი ჯგუფი არ იცნობდა ერთმანეთს. მივხვდი, რომ საკმარისად საიმედოები იყვნენ და რაც კიდევ უფრო მნიშვნელოვანი იყო, ისინი მონაწილეობდნენ ფრონტის ხაზის მიღმა ფრანკოს წინააღმდეგ დივერსიულ ოპერაციებში. ეს გამოცდილება მათ დაეხმა-

რა, ტროცკის წინააღმდეგ ბრძოლაში. მე შევთავაზე, რომ ეიტინგონი ერთი თვე დარჩენილიყო კარიდადთან და რამონთან, გაეცნო მათთვის დაზვერვის მუშაობის საფუძვლები. ეს ცოდნა მათ სჭირდებოდათ იმისათვის, რათა თავიდან აეცილებინათ ტროცკისტების მცირე ჯგუფის, კონტრდაზვერვის სამსახურის ხაფანგები მექსიკაში" [69].

სრულიად გასაგებია, რომ დღევანდელი მორალური პრინციპები შეუთავსებელია სისასტიკესთან, რომელიც ახასიათებს ძალაუფლებისთვის ბრძოლის პერიოდს, რომელიც მოჰყვა რევოლუციურ გადატრიალებას და სამოქალაქო ომს. სტალინი და ტროცკი თავიანთი მიზნების მისაღწევად ერთმანეთს დაუპირისპირდნენ კრიმინალური მეთოდებით. ტროცკი ეწინააღმდეგებოდა არა მხოლოდ სტალინს, არამედ საბჭოთა კავშირს, როგორც ასეთს. ეს დაპირისპირება იყო ომი ერთ-ერთი მათგანის სრულ ფიზიკურ განადგურებამდე. სტალინს არ შეეძლო ემიგრაციაში მყოფ ტროცკის მიდგომოდა უბრალოდ, როგორც ფილოსოფიური ნაწარმოებების ავტორს. ვინაიდან ის საბჭოთა სახელმწიფოს აქტიური მტერი იყო. 1927 წელს ტროცკი, ზინოვიევი და კამენევი (და ძმანი მათნი) გამოიყვანეს კომპარტიის ცეკადან. ამაზე გაბოროტებულებმა (ტროცკისტულ-ზინოვიევისტური ბლოკი) მისმა მომხრეებმა 7 ნოემბერს გამართეს თავიანთი სეპარატული სადღესასწაულო დემონსტრაცია, რომლის ფონზეც კრემლში უნდოდათ შეჭრა. მიზანს ვერ მიაღწიეს და ყველაფერი დამთავრდა სამოქალაქო ცემა-ტყეპით. ამ ინციდენტის შესახებ იმსჯელა პოლიტბიურომ და გადაწყვიტა ტროცკი გაესახლებინათ ალმა-ათაში.

ამის შესატყობინებლად ტროცკი დაიბარეს პოლიტბიუროში. მან იფიქრა პოლიტიკური გარიგებისათვის მიძახიანო და შესვლისას პირდაპირ იკითხა:

- На какой платформе собираетесь вести переговоры?

- На платформе Казанского вокзала - უპასუხა სტალინმა - соберите чемоданы и марш в Алма-ату.

ამაზე გამწარებული ტროცკი თავის მომხრეებთან ერთად საკუთარ რეზიდენციაში ჩაიკეტა, საიდანაც ოგპუს სპეცრაზმმა ხელში ატატებული გამოიყვანა და ძალით ჩატენა მატარებლის ვაგონში. ამ ოპერაციის დროს ტროცკისტები ტაშს უკრავდნენ და „ინტერნაციონალს“ მღეროდნენ.

დოკუმენტურად დადგენილია, რომ როდესაც პირველი თავდასხმა ტროცკიზე განხორციელდა უშედეგოდ და ეს მოახსენეს სტალინს, მან მოხსენებით ბარათს დაადო შემდეგი ხასიათის რეზოლუცია. „ამხანაგო ლავროვ! თუ მეორე აქცია ტროცკის მიმართ ჩავარდება, ჩართეთ სამსახური, რომელსაც თქვენ ხელმძღვანელობთ. ტროცკი უნდა მოისპოს, რადაც უნდა დაგვიჯდეს“ [258, 15]



მოკლული ლ. ტროცკი

ცხოვრებამ აჩვენა, რომ სტალინისა და სკპ (ბ) ლიდერების ეჭვს და სიძულვილს ხელისუფლებისთვის ბრძოლაში პოლიტიკური გადაგვარებულებისა და კონკურენტების მიმართ რეალური საფუძველი ჰქონდა. ამის დასტურია იყო ის, რომ გადამწყვეტი

დარტყმა სკკპ-სა და საბჭოთა კავშირს 1990-1991 წლებში მიაყენა ყოფილი პარტიის ლიდერთა ჯგუფმა.

ძალაუფლებისთვის ბრძოლის თავდაპირველ ვიწრო ეგოისტური ინტერესებს ტროცკისტები ნიღბავდნენ ლოზუნგით: „ბრძოლა ბიუროკრატიული მმართველობისა და პარტიული აპარატის ბატონობის“ წინააღმდეგ. საბჭოთა რეჟიმის შენარჩუნებისათვის ბრძოლის სასიკვდილო საფრთხეს, ყოველთვის თან სდევდა მმართველი პარტიის შიგნით განხეთქილების საშიშროება.



ლევ ტროცკის საფლავი მეხიკოში

რევოლუციის ბელადმა, ლენინმა გამოიგონა პროფესიონალი რევოლუციონერების ორგანიზაცია. აპარატის უფროსმა, სტალინმა კი ნომენკლატურა. ლენინის გამოგონება იყო ბერკეტი, რომლითაც მან გადააბრიალა რუსეთი. ამით როგორც შულგინმა დაწერა, რევოლუცია გადაეცა მუზეუმს. სტალინის გამოგონება იყო აპარატი, რითაც მან დაიწყო რუსეთის მმართველობა და აღმოჩნდა, რომ ის იყო უფრო სიცოცხლისუნარიანი.

სავსებით სწორად მიიჩნევს მკვლევარი ვ. გურული, რომ 1917 წლის ოქტომბრის კონტრევოლუციური გადატრიალება შედეგი იყო, 1917 წლის თებერვლის რევოლუციის. ლენინმა და სტალინმა ზუსტად განსაზღვრეს საით მიექანებოდა რუსეთი[200, 109]. ამიტომაც მათ შეძლეს ის, რასაც სხვები ვერავითარ შემთხვევაში ვერ შეძლებდნენ, ვინაიდან ორივე მათგანში იყო გაერთიანებული თეორიტიკოსის და პრაქტიკოსის დემონური ნიჭი.

საბჭოთა ნომეკლატურას ფესვები აქვს შორეულ ისტორიულ წარსულში. ძველ რომში მონას, რომელიც ხმამაღლა აცხადებდა მოწვეული სტუმრების სახელებს ეძახდნენ „ნომეკლატორს"(ლათინ-ნომენ-სახელი). როგორც ჩანს აქედან წარმოიშვა სიტყვა ნომეკლატურა, როგორც სახელების ან დასახელებების სია.

საბჭოთა ნომეკლატურა ეს იყო: 1. მმართველი თანამდებობების ჩამონათვალი, რომელთა ჩანაცვლებას ახორციელებდა არა ამ უწყების ხელმძღვანელი, არამედ პარტიის უმაღლესი ორგანო, 2. იმ პირთა სია, რომლებიც ახდენდენ თანამდებობებზე ჩანაცვლებას ან იმყოფებოდნენ რეზერვში.

ისმის კითხვა რატომ შეიქმნა ნომეკლატურა? იმიტომ რომ ლენინური გვარდიაში პროფესიონალი რევოლუციონერების რაოდენობა რიცხობრივად იყო ძალიან მცირე, რათა მათ ერთპარტიული მმართველობის პირობებში სახელმწიფოს ყველაზე მთავარი საკომანდო თანამდებობები დაეკავებინათ, როგორც პარტიულ, ისე სახელმწიფო აპარატში. შექმნილი ვაკუუმში ხელისუფლების სხვადასხვა საფეხურებზე იწყო სვლა კარიერისტთა ტალღებმა. იმისათვის რომ მიგეღწია წარმატებისათვის საჭირო იყო არ გქონოდა თავადაზნაურული და ბურჟუაზიული წარმოშობა და ყოფილიყავი უკვე ხელისუფლებაში მყოფი პარტიის წევრი, ახალგაზრდობისათვის კი კომკავშირელი. რევოლუციურ დამსახურების ათვლა იწყებოდა იმ პერიოდიდან იყო თუ არა პიროვნება წითელ არმიაში სამოქალაქო ომის წლებში, რომელშიც მობილიზებულ იქნა იმ დროს მილიონობით ადამიანი.

უკიდურეს შემთხვევაში თუ არ ჰქონდა ეს დამსახურება, მაშინაც შეიძლებოდა რაიმე ლეგენდა მოეფიქრებინა და დაწინაურებულიყო სახელმწიფო თანამდებობაზე. ანუ გზა ხელისუფლების მაღალი ეშელონებისაკენ ხსნილი იყო.

ამიტომ ადამიანთა არჩევა უდავოდ უნდა მომხდარიყო. დადგა საკითხი არჩევათა კრიტერიუმების შესახებ. საქმე ეხებოდა არა თბილ ადგილებს, არამედ „საქმის მცოდნეებს". მაგრამ არჩევანი გაკეთდა იმათზე თუ ვინ იყო ერთგული პარტიული კუთვნილების მიხედვით. ეს იმას ნიშნავდა რომ თუ მაგალითად უნივერსიტეტის რექტორობის კანდიდატები იყვნენ დიდი დამსახურების მქონე პროფესორი ვლადიმერ ივანოვი და სამოქალაქო ომის მონაწილე რუსი წითელარმიელი ნიკოლოზ ოვჩინიკოვი, არჩევანი კეთდებოდა ნიკოლოზზე. მაგრამ აქვე უნდა გამოვყოთ ერთი რამ, როდესაც აუცილებლობას წარმოადგენდა ბოლშევიკები იყენებდნენ პროფესიონალებს. ასე იყო მაგალითად სამოქალაქო ომის დროს, როდესაც წითლების ჯარებს ხელმძღვანელობდნენ სამხედრო სპეცი-ალისტები-მეფის ყოფილი გენერლები და ოფიცრები. თუმცა საბჭოთა კავშირის მთელი არსებობის მანძილზე მისი ანატომიის მთავარ არსს წარმოადგენდა თუ პოლიტიკურად, როგორ აზროვნებდა ესა თუ ის პიროვნება, ამა თუ იმ თანამდებობაზე დანიშვნის უმთავრესი და გადამწყვეტი ფაქტორი იყო. ამის დასტურად შეგვიძლია მოვიყვანოთ საბჭოთა ხელისუფლების დაისის ჟამს 1986 წელს სკკპ 27- ყრილობაზე სკკპ ცკ-ის მეორე მდივნის ე. ლიგაჩოვის სიტყვები: „ჩვენთვის კადრების შერჩევის დროს მთავარს წარმოადგენს, მისი პოლიტიკური მუშაობის ხარისხი".

*****

გასართობი ჩანართი

მას შემდეგ რაც რუსეთში ბოლშევიკური გადატრიალება მოხდა თავად ხელისუფლებაში დაიწყო დაპირისპირება პირველობისათვის. 1922 წლის აპრილში სტალინი გახდა ცკ-ის გენერალური მდივანი. მისი გენ-

ერალურ მდივნად გახდომა აწყობდა პარტიის ხელმძღვანელობას. ასე მაგალითად ზინოვიევი ასეთ ინსტრუქციებს აძლევდა თავის მომხრეებს: „არჩევნებზე ჩვენ ხმა უნდა მივცეთ სტალინს. იგი იმის მიუხედავად, რომ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი, ცნობილი მიზეზების გამო, უარყოფითად აფასებს იოსებ ჯუღაშვილის პირველ ნაბიჯებს პოლიტიკაში, მაინც აშკარაა სიმპათიები მის მიმართ. ნოე ჟორდანიას მოგონებებში მრავლადაა როგორც უარყოფითი, ისე დადებითი შეფასებებიც. კერძოდ, საქართველოს მთავრობის თავმჯდომარეს მიაჩნდა, რომ ბათუმში ჯუღაშვილმა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ხაზს თვითნებურად გადაუხვია და პარტიულ ორგანიზაციაში საკუთარი ორგანიზაცია შექმნა, რომელიც მხოლოდ მას ემორჩილებოდა და პასუხს არ აგებდა კომიტეტის წინაშე. სწორედ ასეთი მუშაობის შედეგი იყო მუშების მანიფესტაცია ბათუმის ციხის წინ, რომელიც მსხვერპლით დასრულდა. მან თითქმის ყველა ხელმძღვანელი მუშაკი აითვალწუნა, აბრალებდა მათ ლაჩრობას, უუნარობას; მუშებს კი ექსტრემისტულად განაწყობდა, მოუწოდებდა ქუჩის აქციებისა და დაუმორჩილებლობისკენ. სოციალ-დემოკრატიულმა ცენტრმა ამის გამო ჯუღაშვილის ქმედებები პროვოკაციად მონათლა. თუმცა, ჟორდანიას აზრით, მას გაუმართლა, რადგან დაიჭირეს და გადაასახლეს, რამაც მისი პრესტიჟი ასწია. 1903 წლის ზაფხულში ორგანიზაცია დაიშალა და, ძირითადად, ორ ნაწილად გაიყო – ბოლშევიკებად და მენშევიკებად. ჟორდანიას სიტყვებით რომ ვთქვათ, იმ დროისთვის „სოსო უკვე კობად იყო გადაქცეული და ციმბირიდან გამოქცეული“. ამიტომ, არ უკვირს, რომ ის ლენინს მიემხრო. თუმცა, გული სწყდება, რადგან, მისი აზრით, ლენინმა პროლეტარული იდეები დაასამარა. სტალინი ბოლშევიზმამდე ყოფილა ბოლშევიკი და არა მხოლოდ თეორიული შეხედულებებით, არამედ ბუნებით, ხასიათითა და ამბიციებით. ლენინის ახალ „სახარებას“ კობაც დაეწაფა და ლენინი ერთადერთ და განუმეორებელ ავტორიტეტად ცნო.

საუკუნის გარიჟრაჟზე პლანეტის ნახევარსფერო სოციალურმა იდეამ მოიცვა. „ძმობა, ერთობა და თავისუფლება“ – ეს იყო ლოზუნგი, რომელსაც მონარქიის დამარცხება შეეძლო. ამ დროს საქართველოში სრული განუკითხაობა სუფევდა. საქართველოს ბოლშევიკებს შორისაც კი, რომლებსაც სერიოზულად არავინ აღიქვამდა, ორი მიმდინარეობა ჩამ-

ოყალიბდა: პოლიტიკური – სტეფანე შაუმიანის მეთაურობით და კაცური (ყარაჩოხელურ-ბანდიტური) – სტალინის მეთაურობით. მათ შორის სერიოზული ბრძოლა გაჩაღდა, რაც დაუსრულებელ პიროვნულ მეტოქეობაში გადაიზარდა. ჯუღაშვილმა მორჩილი და მასზე დამოკიდებული ჯგუფი შექმნა. მის საძმოში „დამკვრელები“, „ხულიგნები“ და „მაუზერისტები“ შედიოდნენ, ანუ „ძველი ბიჭები“ და კრიმინალები. მათი იყო „ექსი“, რაც მდიდრების ძარცვას ნიშნავდა (ექსპროპრიატორების ექსპროპრიაცია – „ექსი“), ასეთ ფულს ლენინი სიამოვნებით იღებდა. სტალინის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მას ფული არ აინტერესებდა და ყოველთვის ღარიბულად ჩაცმული და უფულოდ დადიოდა, რითაც ყველა ბოლშევიკისგან განსხვავდებოდა. ისინი თბილ ადგილს და გამორჩენას ეძებდნენ და კარგი ცხოვრებაც უყვარდათ (შაუმიანი, მახარაძე, მდივანი, ქავთარაძე და სხვა). ეს საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის სიტყვებია, რომელიც ემიგრაციაში, უკიდურეს განსაცდელში მყოფი, მაინც სტალინის ღირსებაზე ლაპარაკობდა. ნოე ჟორდანია, ჯუღაშვილთან დაკავშირებით ასეთ კურიოზსაც იხსენებს: იმ ხანად, თბილისი, როგორი გასაკვირიც უნდა იყოს, ფაქტობრივად, სომხური ქალაქი იყო, სადაც ქართველები მოსახლეობის მხოლოდ 10-15 პროცენტს შეადგენდნენ. ქალაქის მუნიციპალიტეტში მხოლოდ ერთი ქართველი იყო, ისიც სიმბოლურად. აბსოლუტურად ყველა სფეროში სომხები დომინირებდნენ, ეს იყო პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა, ვაჭრობა... სომხური სკოლები სჭარბობდა ქართულს; სომხური ენა სახელმწიფო რანგში იყო აყვანილი, სასულიერო აკადემია – გრიგორიანული ცენტრიც თბილისში იყო და სულაც არაა გასაკვირი, რომ პოლიტიკური ნება სომეხმა ხალხმა თბილისში (ამჟამად მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლის დარბაზი) დააფიქსირა – სომხეთის დამოუკიდებლობა თბილისში გამოცხადდა. არც ბოლშევიკი-ინტელიგენტები აპირებდნენ პოზიციების დათმობას და ორი ლიდერი – სტეფანე შაუმიანი და სოსო ჯუღაშვილი, სერიოზულად დაუპირისპირდნენ ერთმანეთს. ჟორდანია შაუმიანს ახასიათებს, როგორც ანჩხლსა და პირში მთქმელს. მას გული თუ მოუვიდოდა, კრებებს დატოვებდა, მაგრამ უკან მობრუნება იცოდა. ჯუღაშვილს კი, მიიჩნევენ გულჩათხრობილ, აუჩქარებელ და დინჯ ადამიანად, რომელიც, არავინ იცოდა, რას ფიქრობდა. რა თქმა უნდა, რთულია, წინა საუკუნის პოლიტიკურ კულუარებში გარკვევა, მაგრამ, როცა

შაუმიანმა თბილისის მუშათა კავშირის კრებაზე ჯუღაშვილს გაუბედა და ყველას გასაგონად უთხრა, თურმე თბილისელები, ანუ სომხები აღშფოთებული ყოფილან იმით, რომ სოფლიდან ჩამოთრეული ქართველები („გელაცი“) ბრძენ სომეხ ხალხს ავიწროებენ, ჯუღაშვილმა მისთვის დამახასიათებელი სიდინჯე, აუჩქარებლობა და წონასწორობაც კი დაკარგა. იგი წამოხტა და ხმამაღლა დაიყვირა, რომ არ იცის, თუ როდის, რომელ საუკუნეში იყო გორი სოფელი, მაგრამ იცის, რომ მოლაყბეები, მშიშრები და ბრძოლის ველიდან გაქცეული ადამიანები ეზიზღება. მათ არაფერი იციან და ასეთი შეურაცხყოფა არავის ეპატიებაო. ნოე ჟორდანიაც კი, რომელმაც ისე განუტევა სული, რომ სტალინს კორინთოს ტირანად, პერიანდრის მოციქულად მიიჩნევდა, აღიარა, რომ ის დღე არ ავიწყდება, როცა ჯუღაშვილი სტიოპას ხელითაც შეეხო და სომეხ ბოლშევიკებს შეაგნებინა, რომ თბილისი საქართველოა[266].

*****

გასართობი ჩანართი

ამერიკის ელჩი საბჭოთა კავშირში, ბატონი ჰარიმანი იგონებს, თუ როგორ მიიღო სპეციალური დავალება ვაშინგტონიდან, რაც ფაქტობრივად, ქრთამის შეთავაზების ტოლფასი იყო. დავალებაც სტალინის ხასიათიდან გამომდინარე, ურთულესი შესასრულებელი იყო. ელჩის სიტყვებია: „თეთრი სახლის დავალებით მივედი სტალინთან და ვუთხარი, თქვენს ქვეყანას ძალიან უჭირს, ჩვენ გავიტანთ კრემლიდან საგანძურს და ამერიკაში გავგზავნით, სამაგიეროდ კი, ხუთი ხუთწლედის ფულს გადაგიხდით. სტალინმა შემომხედა, ძლივს დაიოკა რისხვა და მიპასუხა: „მე ღირსებით არ ვვაჭრობ, ჟორდანიას და მისი გარემოცვის მიერ საფრანგეთში გაზიდული განძიც ძლივს შევინარჩუნეთ“. ჰარიმანი შემდეგ დაინტერესდა და ბევრი ახალი ამბავიც გაიგო. ასე რომ, კრემლის ისტორიულ და კულტურულ საგანძურზე ხელი ჩაიქნია, რაც შეატყობინა კიდეც ვაშინგტონში ბოსებს. მოახსენა, რომ სტალინი გატანილი განძეულობის დაბრუნებით უფროა დაკავებული, ვიდრე გატანითო და ხუთწლედების ფულით, ან სხვა რაიმე დაპირებებით, ამ თემაზე მასთან საუბარი აბსურდიაო. რაც შეეხება ქართული განძის ისტორიას, ბელადმა იცოდა, რომ ქართული ემიგრაციის ბირთვი პატრიოტებისგან შედგებოდა. პოლიტიკური კონიუნქტურის, მრავალი უთანხმოებისა თუ წყენის მიუხედავად, მან მიუღებელი და

პრინციპში, არადიპლომატიური ნაბიჯიც კი გადადგა – მსოფლიო მბრძანებელმა საფრანგეთის ლიდერს გენერალ დე გოლს, რომელსაც დღეს პოლიტიკის ისტორიაში „მარგალიტად“ მიიჩნევენ, ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე, პირდაპირ მოსთხოვა ქართული საუნჯე, რომელიც ჟამთა სიავის გამო უცხოეთში, კონკრეტულად კი, საფრანგეთში ინახებოდა. გარიგება შედგა. სულმნათი ექვთიმე თაყაიშვილი განძის ტრანსპორტირებას მაშინ დათანხმდა, როცა დარწმუნდა, რომ ეს პირადად სტალინის განკარგულება იყო და კომუნისტურ საქართველოში დაბრუნებისას, მხოლოდ ერთი ულტიმატუმით შემოიფარგლა, რომელიც თხოვნა უფრო იყო – თუ ხანგრძლივ საჰაერო მოგზაურობას (თვითმფრინავში პირველად იჯდა) ვერ გაუძლებდა, ცოცხალი იქნებოდა თუ მკვდარი, სამშობლოში ჩაეყვანათ. სტალინმა ღირსეულად დააფასა მისი ღვაწლი. თაყაიშვილი საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრიც გახდა და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორიც. გამოქვეყნდა მისი შრომები, ქართულ და რუსულ ენებზე. ღვაწლმოსილი მეცნიერი 1953 წლის 21 თებერვალს, 90 წლის ასაკში, გარდაიცვალა[266]

*****

გასართობი ჩანართი

„სტალინზე ბევრი რამ დაიწერა, მაგრამ მისი პიროვნება მაინც ამოუცნობი დარჩა. რა ატოკებს, რით სულდგმულობს, რა ამოქმედებს და აბრძოლებს მას – აი, ამ საკითხის გაშუქება მოგვცემს მის სრულ დახასიათებას. 1898 წლის დამლევს მე „კვალის“ რედაქტორი ვიყავი. ერთ დღეს რედაქციაში მოვიდა ახალგაზრდა ყმაწვილი და გამეცნო: ჯუღაშვილი, სასულიერო სემინარიის მოწაფე და მთხოვა მოსმენა. თქვა: მე ვარ თქვენი ჟურნალისა და თქვენი წერილების ერთგული მკითხველი. ყველა ეს ჩემზე დიდ შთაბეჭდილებას ახდენს და გადავწყვიტე, სემინარიის დატოვება, ამ აზრების მუშათა შორის გატანა. მოვედი თქვენთან რჩევის მისაღებადო. ნახევარი საათის მუსაიფის შემდეგ, ჩემთვის აშკარა გახდა, რომ ამ ყმაწვილის საპროპაგანდო ავლადიდება ამოიწურებოდა „კვალის“ სტატიებითა და კაუცკის „ერფურტის“ პროგრამით. ამიტომ ვურჩიე, რომ კიდევ ერთი წელი დარჩენილიყო სემინარიაში, ხელი მოეკიდა თვითგანვითარებისთვის და საჭირო ცოდნა შეეძინა. დავუსახელე წასაკითხი და შესასწავლი

წიგნები. მითხრა, დავფიქრდებიო, მაგრამ როგორც შემდეგ გაირკვა, ყველა ჩემი რჩევა ყურად იღო ერთის გარდა – სემინარია მაინც მიატოვა და ბათუმში პროპაგანდისტად წავიდა“ - ნოე ჟორდანია[265, 2-4].

*****

გასართობი ჩანართი

დასავლელ მეცნიერებს დღემდე უკვირთ თუ როგორ შეძლო პლებეური წარმოშობის სტალინმა უდიდეს სიმაღლეებზე ასვლა და ბრძოლის ველიდან ისეთი პოლიტიკური ვეშაპების ჩამოცილება, როგორებიც იყვნენ: ტროცკი, კამენევი, ზინოვიევი...

როგორც ირკვევა ეს მან შეძლო დაუღალავი და მიზანმიმართული მუშაობით. რაც თავის მხრივ გამოიხატებოდა საკუთარი ერთგული ნომენკლატურის ჩამოყალიბებით.

ი. სტალინმა თავისი განუმეორებელი ნიჭის წყალობით მოახერხა ის, რომ წამყვანი კადრების დანიშვნის მთელი საკითხი ქვეყანაში კონცენტრირებული ყოფილიყო საკუთრივ მის და მის მიერვე შექმნილ აპარატის ხელში. „პოლიტიკური ნიშნებით“ შერჩევის დროს სტალინმა შექმნა ისეთი სიტუაცია, რომელშიც ყოველი ახალი ნომენკლატურა ავტომატურად პიროვნულად გორელი გენიოსის ერთგული აღმოჩნდა. მთავარი იყო იმ უმძიმესი სამუშაოს არსი, რომელიც სტალინმა ჩაატარა. შემთხვევითი არ იყო, რომ თანამედროვეებმა მას „ამხანაგი კარტოთეკა“ შეარქვეს. ის თავის თანამშრომლებთან ერთად გამუდმებით ჩაჰკირკიტებდა ხელმძღვანელი თანამდებობების პირების კარტოთეკებს. რის შედეგად წამოაყენა გენიალური ლოზუნგი-„კადრები წყვეტენ ყველაფერს“.

*****

გასართობი ჩანართი

1935 წლის 4 მაისს,სკპ(ბ) გენერალური მდივანი (ბ) ი. ვ. სტალინი, რომელიც სიტყვით გამოვიდა სამხედრო აკადემიების კურსდამთავრებულთა კრემლის სასახლეში, გამოთქვა ფრაზა: „კადრები წყვეტენ ყველაფერს“. რომელიც გახდა ფრთიანი, ანუ აშკარა, ლაკონური გამოხატულება, რომელსაც ამჟამინდელ დროშიც არ დაუკარგავს აქტუალობა.

*****

საგულდაგულოდ შეისწავლა რა თავისი ინტერესებიდან გამომდინარე სხვადასხვა კადრები, სტალინმა, როგორც კომპოზიტორმა სხვადასხვა ნოტები ხაზზე, ისე დასვა ისინი ნომენკლატურის სხვადასხვა დონის თანამდებობებზე. როგორც წერენ იმ კარტოთეკებს, რომლებიც განსაკუთრებით აინტერესებდა სტალინს პირადად აკონტროლებდა და მასთან დაშვების უფლება არ ჰქონდა თავად სტალინის პირად მდივანსაც კი.

ი. სტალინმა შექმნა წამყვანი ხელმძღვანელი კადრების შერჩევის სისტემა პარტიასა და სახელმწიფოში. სწორედ ამან მიიყვანა იგი ხელისუფლებაში და ეს მიდგომა დარჩა მის უდიდეს მიღწევად. ამ სისტემის ზოგადი სახეები სტალინმა პირველად ჩამოაყალიბა 1923 წლის პარტიის მე -12 ყრილობაზე, რომელიც მან გააცნო დელეგატებს ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო მოხსენებით. აი ისიც: „...აუცილებელია ავირჩიოთ მუშაკები, რომლებიც შეძლებენ განახორციელონ დირექტივები, გაიგონ დირექტივები, მიიღონ დირექტივები, როგორც მშობლიური და ეცოდინებათ თუ როგორ გაატარონ ცხოვრებაში. წინააღმდეგ შემთხვევაში პოლიტიკა კარგავს აზრს და გადაიქცევა ხელების უაზრო ქნევად". ამრიგად მთავარი იდეა ამ მიდგომისა მდგომარეობდა იმაში, რომ ხელმძღვანელ პოსტებზე უნდა დანიშნულიყვნენ დირექტივების გულმოდგინედ შემსრულებელი ადამიანები. ამიტომაც მოითხოვდა სტალინი თითოეული მუშაკის ძვლებამდე შესწავლას.

1920 წელს ცენტრალურ კომიტეტსა და რკპ(ბ) საგუბერნიო კომიტეტებში ჩამოყალიბდნენ სააღრიცხვო-განმანაწილებელი განყოფილებები. ისინი გახდნენ პირველი ორგანოები, რომლებიც სპეციალურად მონაწილეობდნენ პასუხისმგებელი პარტიული კადრების დაწინაურებასა და გადაადგილებაში, აგრეთვე კადრების აღრიცხვაში.

იმავე წლის აგვისტოში, პირველად პარტიის XII კონფერენციაზე აღინიშნა პარტიის მუშაკთა ის რაოდენობა, რომელიც

ექვემდებარებოდა ცენტრალური კომიტეტის სამდივნოს. მოსკოვში ასეთი იყო 325 ადამიანი, გუბერნიებში - 2000, მაზრებში - 6000. გარდა ამისა თემებსა და მსხვილ საწარმოებში 5000 განთავისუფლებული პარტიული კომიტეტის მდივანი. საერთოდ კი მათი რაოდენობა შეადგენდა 15325 კაცს[41, 94]. ყველა ისინი მომავალში სტალინურ გვარდიას წარმოადგენდნენ. პარტიის მე-12 ყრილობაზე სტალინი უფრო შორს წავიდა როდესაც განაცხადა: „...აუცილებელია დავიკავოთ წამოების ყველა დარგში თანამდებობები". განსაკუთრებით აქტიურად მოქმედებდა რკპ(ბ) ცკ-ს დაქვემდებარებული სააღრიცხო-განმანაწილებელი განყოფილება. რომლის შესახებაც ამბობდა სტალინი, რომ დიდია მისი მნიშვნელობა[41, 93].

1922 წელს ცკ-ს სააღრიცხვო განმანაწილებელმა განყოფილებამ განახორციელა 1000 დანიშვნა. 1923 წელს მან გააფართოვა თავისი საქმიანობა. ძირითადი სახელმწიფო და ეკონომიკური ორგანოების მოსამსახურეთა შემადგენლობის გადასინჯვის მიზნით შეიქმნა კომისიები: მრეწველობაში, კოოპერაციაში, ვაჭრობაში, ტრანსპორტსა და კომუნიკაციებში. აგრეთვე მიწის, ფინანსების, განათლების, საბჭოთა-ადმინისტრაციული ორგანოების, საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატისა და საგარეო ვაჭრობის[41, 95].

პარტიის წესდების თანახმად თანამდებობები არჩევითი იყო. ამ პუნქტზე გვერდის ავლა იოლად. სახელდობრ იმით, რომ არჩევნებზე რჩევებს იძლეოდნენ ზემდგომი პარტიული ორგანოები აერჩიათთუ არა ესა თუ ის დაბალ საფეხურზე მყოფი ამხანაგი ხელმძღვანელ თანამდებობაზე. მაგალითად თემებს რეკომენდაციას აძლევდნენ საგუბერნიო კომიტეტები სამდივნოები, ხოლო საგუბერნიო კომიტეტებს ცენტრალური კომიტეტის სამდივნო. 1922 წელს გადაყვანილ იქნა საგუბერნიო კომიტეტის 32 მდივანი, ხოლო რეკომენდაცია მიეცა 42 ახალს. ნიშანდობლივია, რომ, იგივე ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ აირჩია კანდიდატები არა მხოლოდ ქვედა ორგანოს, არამედ უმაღლესი

ორგანოშიც, როგორიც იყო ცენტრალური კომიტეტის საორგანიზაციო ბიურო, რომელიც იღებდა გადაწყვეტილებებს პარტიასა და სახელმწიფოში უმაღლესი თანამდებობების ჩანაცვლებაზე შესახებ. ასე რომ, სამდივნომ სტალინის ხელმძღვანელობით ხელში აიღო, პერსონების ქვეყანაში ყველაზე საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დანიშვნის საკითხი.

სტალინური სამდივნოს საქმიანობამ და მისმა ინსტიტუციურმა განაწილებამ განაპირობა პარტიის აპარატში შექმნილი ვითარება. რომელსაც ტროცკიმ დაარქვა „პარტიის ბიუროკრატიზაცია". სინამდვილეში კი პარტიაში ჩამოყალიბდა ორი სოციალური ფენება. ზედა ფენა - პარტიის კომიტეტის მდივნები და მათი თანამშრომლები, რომლებიც განიცდიდნენ აღმასვლას და უაპელაციოდ გამოსცემდნენ ბრძანებებს. მეორე ფენა, რომელიც დაბლა დონეზე იდგა და თანაპარტიელებთან ერთად იძულებული იყო უსიტყვოდ შეესრულებინა ეს ბრძანებები. თავად ლ. ტროცკი წერდა: „პარტია ცხოვრობს ორ სართულზე. ზედაზე ბუყვეტენ, ქვედაზე - მხოლოდ ეცნობიან გადაწყვეტილებებს"[98]. ამრიგად დაიწყო კლასობრივიდან, ისევ კლასობრივზე გადასვლა. ამ პროცესმა გახსნა სხვათა შორის დიდი ასპარეზი კარიერისტებისათვის.

ლენინის სიკვდილის შემდეგ სტალინმა პარტიაში გამოაცხადა „ლენინური" გაწვევა. რის შედეგად, 1924 წლის მაისში (პარტიის XIII ყრილობა) სკპ(ბ) წევრების რაოდენობა 1922 წლის აპრილთან შეფარდებით თითქმის გაორმაგდა 386.000-დან 736,000-მდე. ახალწვეულთ ნახევარს ამჯერად შეადგენდნენ არა „ლენინისტები" არამედ „სტალინისტები". მათთვის უცხო იყო ემიგრაციაში მყოფი და იქიდან დაბრუნებული ლენინური გვარდია. ისინი იყვნენ პოტენციური სტალინელები. ამით სტალინმა თავი ლენინის საქმის გამგრძელებლად გამოაცხადა და წიგნს „ლენინიზმის საკითხები" პირდაპირ დაწერა „ეძღვნება ლენინურ გაწვევას".

ცენტრალური კომიტეტის სამდივნო კი აგრძელებდა ნომენკლატურის ფორმირებას. 1924 წელს 3500 კაცი იყო ცკ-ის მეშვე-

ობით დანიშნული თანამდებობაზე. 1925 წელს სკპ(ბ) ხელფასიან პარტიულ სამუშაოზე მუშაობდა 25000 ადამიანი. ანუ ერთი კაცი ყოველ 40 კომუნისტზე. მხოლოდ ცკ-ი ითვლიდა 100 კაცს. ჩამოყალიბდა საორგანიზაციო განმანაწილებელი განყოფილება, რომელიც იქცა პარტიის აპარატში მთავარ განყოფილებად, რომლის სათავეშიც სტალინმა დანიშნა ლ. კაგანოვიჩი. სწორედ ამ განყოფილებიდან ხდებოდა სახელმწიფო და პარტიული ნომეკლატურის ფორმირება. 1930 წელს საორგანიზაციო განმანაწილებელი განყოფილება კვლავ გაიყო ორ განყოფილებად: 1. საორგანიზაციო-საინსტრუქტოროდ, რომელიც ეწეოდა დანიშვნებს და გადაადგილებებს პარტიულ აპარატში და 2. სხვადასხვა სექტორების დანიშვნის განყოფილება(მძიმე მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, ტრანსპორტის, სოფლის მეურნეობის, საბჭოთა დაწესებულებების და სხვა)[41, 101].

სტალინმა პარტია შეადარა სამხედრო წყობას. მან სკპ(ბ) ასე ჩამოაყალიბა: „ჩვენი პარტიის შემადგენლობის ხელმძღვანელ ფენაში გვყავს 3-4 ათასი ხელმძღვანელი. მე ასე ვიტყოდი ჩვენი პარტიის გენერალიტეტი. შემდეგ მოდის 30-40 ათასი საშულო რანგის ხელმძღვანელი. შემდეგ კი 100-150 ათასი დაბალი ფენა პარტიის მეთაურთა შემადგენლობის. ეს არის ჩვენი პარტიის ასე რომ ვთქვათ უნტერ-ოფიცრობა"[41, 102]. მომავალი გენერალსიმუსი პირველ ჯგუფში ეტყობა გულისხმობდა სკპ(ბ) ცკ-ს წევრებს, ეროვნული კომპარტიების ცკ-ს, საოლქო და სამხარეო რაიკომებს. მეორეში - პარტიის სარაიონო და საქალაქო კომიტეტის წევრები. მესამეში-პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივნები, კომიტეტებისა და ბიუროს წევრები. ამ სიტყვებიდან აშკარად ჩანს, რომ დაწყებული იყო საბჭოთა პოლიტიკური ანატომიის საყრდენის ნომეკლატურის ჩამოყალიბების პროცესი და იგი წარმატებით მიმდინარეობდა.

ისმის კითხვა თუ როგორი უნდა ყოფილიყო ურთიერთობა ასეთი სახით შექმნილ იერარქიულ ნომეკლატურასა და მის შემოქმედ სტალინს შორის? ეს ურთიერთობები, როგორც წერენ

მკვლევარები იყო არა ლირიული, არამედ რეალური. სტალინის მიერ დანიშნული ადამიანები იყვნენ სტალინის ხალხი. და ეს უკანასკნელიც იყო მათი კაცი. ისინი შეადგენდნენ სტალინის დიქტატურის სოციალურ დასაყრდენს. სტალინის გათვლით მათი მეშვეობით ისინი დაამყარებდნენ კოლექტიურ დიქტატურას. უსიტყვოდ ასრულებდნენ რა ბელადის ბრძანებებს ისინი დარწმუნებულნი იყვნენ იმაში, რომ ბრძანებები შედიოდა მათ ინტერესებში.

სტალინს შეეძლო ცალკე ნებისმიერი მათგანი გაეგდო ან ლიკვიდაცია მოეხდინა, მაგრამ მის მიერ შექმნილი ნომეკლატურული ფენის წინააღმდეგ წასვლა სტალინს არანაირად არ შეეძლო.

დაუნდობლად ანადგურებდა რა ისეთ საზოგადოებრივ ჯგუფებს, როგორებიც იყვნენ: ნეპმანები, კულაკები და სასულიერო წოდების წარმომადგენლები, სტალინი იმავდროულად გულმოდგინედ ზრუნავდა თავისი დანიშნულების ინტერესებზე, მათი ძალაუფლების, ავტორიტეტისა და შეღავათების გაძლიერებაზე. ის იყო შემქმნელი თავის შექმნილების და იცოდა, რომ ისინი მანამ შეასრულებდნენ მის ნებას, ვიდრე ის მათ ნებას გამოხატავდა. სტალინური გვარდიის ნება იყო ქვეყანაში მისი განუყოფელი და მუდმივი ბატონობის უზრუნველყოფა. მათ არ სურდათ რევოლუციის დროებითი მუშები ყოფილიყვნენ და თავიანთი მომავალი დაედოთ ახალ მოვლენებზე, რომლებიც ცუდად შეიძლება გაკონტროლებულიყო. სტალინმა შეძლო მოეძებნა მისი დანიშნულების ნების გამომხატეველი ფრაზის მოძებნა, როდესაც ხმამაღლა განაცხადა: „სოციალიზმის ერთ ქვეყანაში აშენების შესახებ". დავუკვირდეთ ლენინმა წამოაყენა თეორია „სოციალისტური რევოლუციის ერთ ქვეყანაში გამარჯვების შესახებ", ხოლო სტალინმა „ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ".

მარქსისა და ენგელსის გადასახედიდან ეს უბრალოდ უაზრობა იყო. უფრო მეტიც მარქსიზმის ფუძემდებელთა აზრით

უკლასო საზოგადოების შექმნა შეუძლებელი იყო კაპიტალიზმის გარემოცვაში. სტალინის მიერ დანიშნულნი დიდი სიხარულით მიესალმნენ სტალინის მიერ დიდოსტატურად მიგნებულ ფრაზას „სოციალიზმის აშენების" შესახებ. ისინი არ შეუწუხებია იმას, რომ სტალინის თეზის თანახმად, სოციალიზმის გამარჯვება ერთ ქვეყანაში შეიძლება იყოს „სრული, მაგრამ არა საბოლოო". თეზის მიზანი იყო „კაპიტალიზმის აღდგენის საფრთხის გამოყენებით" შეექმნა სტალინური საშინაო, სამხედრო და საგარეო პოლიტიკა და ჯანსაღი იმედების გაღვივება მოსახლეობაში საბჭოთა კავშირში სოციალიზმის გამარჯვების შესახებ. ეს იყო მისი გენიალური მიგნება ანუ ფორმულა იმის შესახებ, რომ სოციალიზმის საბჭოთა კავშირში გამარჯვების შესახებ ისტორიულს წარმოადგენდა. ის გახდა თეორიული საფუძველი არა მარქსისტული, არამედ რეალური საბჭოთა სოციალიზმის აშენების. ის, რომ ეს სოციალიზმი ძირითადად აშენდა სტალინმა განცხადა 1936 წელს კონსტიტუციის მიღებისას. ნიშანდობლივია, რომ ეს მოხდა მოსკოვის ოპოზიციის პირველ და მეორე სასამართლო პროცესებს შორის.

ი. სტალინი დაჯილდოებული იყო პოლიტიკური ხედვის და პოლიტიკური ჭვრეტის უნიკალური თვისებებით. მან პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელის ოლიმპზე ასვლა მოახრეხა ყოველგვარი ტერორისა და რეპრესიების გარეშე[200, 168]. ეს ხდებოდა 1922-1927 წლებში. ძველმა რევოლუციონერ-ლენინელებმა მასში საფრთხე დაინახეს მას შემდეგ, რაც იგი სათავეში მოექცა. მათ შენიშნეს რა უდიდესი საფრთხე საკუთარი უკვე კლასად ჩამოყალიბებადი ნომეკლატურის მიმართ, დაიწყეს ბრძოლა სტალინის წინააღმდეგ, მაგრამ უკვე გვიან იყო.

სტალინიც აღარ იჯდა გულხელდაკრეფილი 1936 წლის 26 აგვისტოს დახვრიტეს კამენევი და ზინოვიევი. საიდუმლო სამსახურის მონაცემებით დახვრეტის წინ ზინოვიევი ისტერიკაში ჩავარდა. დაიბნა, ტიროდა და ყვიროდა დაურეკეთ ამხანაგ სტალინს! ღმერთს თანადგომას ემუდარებოდა. კამენევი თავზარ-

დაცემული იყო, მაგრამ დასახვრეტად გარეგნულად მშვიდად მიდიოდა. როგორც ირკვევა დახვრეტის წინ თავად სტალინსა და ვოროშილოვს დაუკითხია კამენევი და ზინოვიევი[258, 22].

1937 წელს ლენინური გვარდია უკვე დაბერდა. მაგრამ მათი პოლიტიკური ველიდან წასვლის დრო ჯერ კიდევ არ იყო დამდგარი, თანაც თითოეული მათგანი რევოლუციაში მონაწილეობისათვის მოითხოვდა თანამდებობებს. ამ ხალხს თავისებურად ესმოდა სოციალიზმი, დემოკრატია და სახელმწიფო. თავის მხრივ ამ დროისათვის სტალინური ნომეკლატურა უკვე საბოლოოდ იყო ჩამოყალიბებული და იგი ხელის შეშლას ვერ აიტანდა. ამიტომაც იყო ,რომ სტალინი გადავიდა შეტევაზე და დაიწყო ლენინური გვარდიის საბოლოო განადგურება. ისმის კითხვა გორელი მეჩექმის შვილს, რომ არ დაეწყო ლენინური გვარდიის განადგურება, რა მოხდებოდა მაშინ? რა მოხდებოდა და, მაშინ ისინი დაიწყებდნენ სტალინური გვარდიის განადგურებას. ასეთია ისტორიის ულმობელი კანონები. საქმე შემდეგში მდგომარეობდა. სტალინის გვარდია შედგებოდა პოლიტიკურად შერჩეული დანიშნული პერსონებისაგან, ხოლო ლენინის გვარდია ადამიანებისაგან, რომელთაც თანამდებობები დაიკავეს პროფესიონალი რევოლუციონერობის გამო. ლენინელთა ფენის შეცვლა ბუნებრივი გზით შეუძლებელი იყო. ვინაიდან მიუხედავად დანიშვნებისა და გადაადგილებებისა 1930 წლისათვის სკპ(ბ) საოლქო კომიტეტების, სამხარეო კომიტეტების და ეროვნული კომპარტიების მდივნების 69% ანუ 2/3-ზე მეტი იყო რევოლუციამდელი პარტსტაჟის მქონე[41, 103]. 1934 წელს სკპ(ბ) მე-17 ყრილობის 80%-ი პარტიის წევრად იყო შესული 1920 წლამდე ანუ სამოქალაქო ომში გამარჯვებამდე. მათი ავტორიტეტი ქუხდა და ისინი არ იძლეოდნენ ერთპიროვნული მართვის საშუალებას. პირიქით ისინი ცდილობდნენ მართვიდან ჩამოეცილებინათ ყოველდღიურად აღმავალი სტალინი, ვინაიდან ხედავდნენ, რომ სტალინის სრულად გაპირველკაცება მათ კარგს არაფერს მოუტანდა. მათი სიძლიერე იმდენად დიდი იყო ქვეყანაში, რომ სტალინი იძულე-

ბული გახდა ქვეყნიდან გაძევებული ტროცკისათვის გაეტანებინა პირადი არქივი(ეს არქივი შემდეგ შინსახკომის აგენტურამ მოიპარა და დააბრუნა პარიზიდან მოსკოვში).

ლენინური გვარდიის წევრების მონაწილეობა სხვადასხვა ოპოზიციურ დაჯგუფებებში ჯერ კიდევ არ აძლევდა საშუალებას სტალინს გაენადგურებინა ისინი. ამ ადამიანებს გააჩნდათ უზარმაზარი ავტორიტეტი ამიტომაც მათზე შეტევა იოლი საქმე არ იყო. ამიტომაც საჭირო იყო მათზე კომპლექსური შეტევა სახელდობრ ის, რომ მაღალი დამსახურების მქონე ლენინელი სავსებით შესაძლებელი იყო აღმოჩენილიყო კაპიტალიზმის შპიონი და მოღალატე და, რომ მათ ყოფნას პარტიის რიგებში ახლადაწინაურებულთათვის შეიძლება გამოეწვია პრობლემები. სტალინმა შესანიშნავად გათვალა რეპრესიების დაწყების დრო და ეს დრო იყო კიროვის მკვლელობა, რომლის შემდეგაც სტალინმა დაიწყო შეტევა.

დღეს ბევრს მსჯელობენ კიროვის მკვლელობის შესახებ და ზოგი მას აბრალებს სტალინს, ზოგი კიდევ სტალინურ ოპოზიციას. ვფიქრობთ აქ მთავარია ის თუ როგორ გამოიყენა პოლიტიკურ ბრძოლაში სტალინმა ეს პოლიტიკური მკვლელობა. მან იუველური სიზუსტით გაანალიზა არსებული ვითარება და ზუსტად საჭირო დროს გადავიდა შეტევაზე. წინააღმდეგ შემთხვევაში არსებული ოპოზიცია მას არ აპატიებდა ყოყმანს და პირიქით შეუტევდა კიდეც.

1990 წლის 4 ნოემბერს გაზეთმა „პრავდამ" გამოაქვეყნა სუკ-ი სა და პროკურატურის ახალი მასალები კიროვის საქმის გამოძიების შესახებ, რომელშიც ნათქვამია, რომ კიროვის მკვლელობას ჰქონდა მხოლოდ პირადი ხასიათი, თუმცა დანაშაულის დეტალები და მოტივები არ გახმაურებულა. მილდა დრაულეს სახელი „პრავდას" არც კი უხსენებია. გამოცემა შეიცავდა ბრალს იაკოვლევის წინააღმდეგ, რომელმაც სტალინური რეპრესიებისას გამოძიებისას დატოვა პარტიის კომისიის თავმჯდომარის პოსტი. რითაც სავარაუდოდ, ხელი შეუშალა ნიკოლაევების ოჯახის და

უდანაშაულო ადამიანებს რეაბილიტაციას, რომლებიც ბრალდებულნი იყვნენ შეთქმულების მონაწილეობაში. ამ ამბით აღშფოთებულმა ა. იაკოვლევმა იმავე გაზეთის საშუალებით[48] უპასუხა, რომ მას ჯერ კიდევ სჯერა კიროვის მკვლელობის შეთქმულების არსებობისა და ამ მკვლელობის დაგეგმვის რამდენიმე ვერსიის. ამავე დროს, იაკოვლევმა არ ახსენა არც მილდა დრაულე და არც სავარაუდო მცდელობა გენერალური მდივნის პოსტზე მე-17 პარტიის ყრილობაზე სტალინის ნაცვლად კიროვის წარდგენისა.



სერგეი კიროვი

როდესაც საუბარია რეპრესიებზე რა თქმა უნდა ის იყო საშინელი და დასაგმობია, მაგრამ აქვე მოვიყვანთ სტალინის საუბარს აშშ ელჩ ჰარიმანთან. საუბრის დროს ამ უკანასკნელს საუბარში გადაუკრავს საბჭოთა სისტემის სისატიკეზე. რუსეთის მეპატრონეს მაშინვე უპასუხია: ნუ დაივიწყებთ, რომ მე ვხელმძღვანელობ ხალხს, რომლის ერთმა თაობამ სამი რევოლუცია მოახდინა. ამის მთქმელი სტალინი თავის სიცოცხლეში დაუშვებდა მეოთხეს, რომელიც მას გასრესდა?(ეს მისი სიტყვებია-ე.გ) და არც დაუშვია.

მოვიყვანთ სანდო მასალებს სტალინური რეპრესიების შესახებ – 1954 წლის 1 თებერვალი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანს ამხანაგ ნ. ხრუშჩოვს, ხანებში სხვადასხვა პიროვნებებისაგან შემოსული სიგნალები კონტრევოლუციური საქმიანობისათვის უკანონო ნასამართლეობის შესახებ მოგახსენებთ: 1921 წლიდან დღემდე, 3 777 380 ადამიანი მსჯავრდებულ იქნა კონტრრევოლუციური დანაშაულებისათვის, მათ შორის 642 980 ადამიანი დაისაჯა უმაღლესი ზომით, ბანაკებსა და ციხეებში პატიმრობის ვადით 25 წლიდან და ქვემოთ - 2 369 220. ხოლო 765 180 ადამიანი ჩასახლდა და გადასახლდა. მსჯავრდებულთა საერთო რაოდენობიდან მსჯავრდებული: 2,900,000 ადამიანი - გაერთიანებული კოლეგიის, NKV-ის და სპეციალური საბჭოს ტროიკების მიერ, 877,000 ადამიანი - სასამართლოების, სამხედრო ტრიბუნალების, სპეციალური კოლეგიისა და სამხედრო კოლეგიის მიერ.

უნდა აღინიშნოს, რომ დადგენილება, რომელიც შეიქმნა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სსრკ სახალხო კომისართა საბჭოს 1934 წლის 5 ნოემბრის განკარგულების საფუძველზე, შინსახკომის სპეციალური სათათბიროს მიერ მოქმედებდა 1953 წლის 1 სექტემბრამდე. მის მიერ გასამართლებული იქნა 442,531 ადამიანი, მათ შორის 10,101 ადამიანს მიუსაჯეს დახვრეტა. ხოლო თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა 360 360 ადამიანს.

ამ დოკუმენტს ხელს აწერენ გენერალური პროკურორი რ. რუდენკო; შინაგან საქმეთა მინისტრი ს. კრუგლოვი; იუსტიციის მინისტრი კ. გორშენინი[24, 26].

ამრიგად როგორც ზემოთ მოყვანილი დოკუმენტიდან ირკვევა, 1921 წლიდან 1954 წლის დასაწყისამდე პოლიტიკური ბრალდებით 642 980 ადამიანს მიესაჯა სიკვდილით დასჯა, 2 369 220 ადამიანს პატიმრობა, 765 180 ადამიანი გადასახლება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ყველა განაჩენი არ მოსულა სისრულეში[25, 67].

წელი	პატიმრები
1930	179 000
1931	212 000
1932	268 700
1933	334 300
1934	510 307
1935	725 483
1936	839 406
1937	820 881
1938	996 367
1939	1 317 195
1940	1 344 408
1941	1 500 525
1942	1 415 596
1943	983 974
1944	663 594
1945	715 505
1946	746 871
1947	808 839
1948	1 108 057
1949	1 216 361
1950	1 416 300
1951	1 533 767
1952	1 711 202
1953	1 727 970

გატარებული ღონისძიებების შედეგად ჩატარდა ცნობილი მოსკოვის სასამართლო პროცესები: 1. ტროცკისტულ-ზინოვიევისტური ტერორისტული ცენტრის(1936 წლის აგვისტო). 2. ანტისაბჭოთა ტროცკისტული ცენტრის(1937 წლის იანვარი) 3.

ანტისაბჭოთა მემარჯვენე-ტროცკისტული ბლოკის(1938 წლის მარტი).

განსასჯელებმა ზინოვიევმა, პიატაკოვმა, რადეკმა და ლენინის სხვა მეგობრებმა გულწრფელად აღიარეს, რომ ისინი იყვნენ ჰიტლერის და ტროცკის აგენტები, შპიონები, დივერსანტები და ტერორისტები, რომლებსაც სურდათ აღედგინათ კაპიტალიზმი. და აქ არის ერთი ძალიან მნიშვნელოვანი რამ, სახელდობრ ის, რომ მათ ცოფიანი ძაღლებივით დახოცვას სტალინი აკეთებდა ისევ ძველი მენშევიკის, ვიშინსკის ხელით. მიუხედავად იმისა, რომ 54 განსასჯელისგან ზოგიერთ მათგანს მიესაჯა ხანგრძლივი ვადით პატიმრობა, იქიდან არცერთი მათგანი მაინც ცოცხალი არ დაბრუნებულა. მსგავსი პროცესები გაიმართა ყველა მოკავშირე რესპუბლიკაში. ლენინური გვარდიის ასეთმა დამარცხებამ დამთურგვნელი გავლენა იქონია დასავლეთის მემარცხენე ოპოზიციაზე. ამ დროს მიაწერენ ლ. კაგანოვიჩს გამონათქვამს; „ჩვენ ვცლით ადამიანთა ფენებს“. რამდენად მართალია ეს სიტყვები ვერავინ იტყვის, მაგრამ ეს სიტყვები არსებითად გამოხატავდა შექმნილი რეალობის არსს.

აქვე გვინდა გარკვეულწილად ყურადღება გავამახვილოთ ნ. ხრუშჩოვის როლზე რეპრესიებში. აი რას მოგვითხრობს თვითხილველი პ. სუდოპლატოვი: „1939 წელს ესპანეთიდან დაბრუნდა ჩვენი პარტიზანული ფორმირების ერთ-ერთი მეთაური, კაპიტანი პროკოპიუკი. გამოცდილი ოპერატორი, ის საკმაოდ შესაფერისი იყო უკრაინის შსსკ-ის დეპარტამენტის უფროსის თანამდებობაზე დასანიშნად, რომლის მიზანიც იყო პოლონეთთან ან გერმანიასთან ომის შემთხვევაში პარტიზანული ოპერაციების ჩასატარებლად თანამშრომლების მომზადება. ჩვენი წინადადების გაგონებაზე ხრუშჩოვმა მაშინვე დაურეკა ბერიას რათა ეს არ მომხდარიყო. ბერიამ დაგვიბარა მოადგილე კრუგლოვი და მე, რადგან მე ხელი მოვაწერე წარდგინებას პროკოპიუკის შესახებ. ხრუშჩოვის წინააღმდეგობა გამოწვეული იყო, როგორც გაირკვა, იმით, რომ 1938 წელს პროკოპიუკის ძმა, უკრაინის განათლების

სახალხო კომისარიატის კოლეგიის წევრი, დახვრიტეს, როგორც „პოლონეთის ჯაშუში“. ხრუშჩოვმა გაიგო კრუგლოვმა და მე, რომ კიევში გავგზავნეთ ადამიანი, პროფესიონალი და კომპეტენტური იყო, მაგრამ პარტიის ადგილობრივი ხელმძღვანელობისთვის მიუღებელი.

აქვე მინდა ვისაუბრო იმაზე, თუ ვინ მიაჩნდა ხრუშჩოვს მისთვის „მიღებად“. ეს იყო უსპენსკი, რომელიც ხრუშჩოვმა მანამდე უკრაინაში წაიყვანა შსსკ-ს ხელმძღვანელად. მოსკოვში ის ხელმძღვანელობდა შსსკ-ს განყოფილებას ქალაქისა და რეგიონისთვის და მუშაობდა უშუალოდ ხრუშჩოვის ქვეშ. უკრაინაში უსპენსკიმ 1938 წელს ჩაატარა რეპრესიები, რის შედეგადაც უკრაინის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის ძველი შემადგენლობის 100-ზე მეტი წევრი დააპატიმრეს. გადარჩა მხოლოდ სამი წევრი.

უსპენსკიმ კიევში ჩასვლისთანავე დაიბარა აპარატის თანამშრომლები და განუცხადა, რომ ის როგორც სინაგოგაში, ისე მასთან არ დაუშვებს ლიბერალიზმს, ლოიალობას და ხანგრძლივ კამათს. ვისაც არ სურს მასთან მუშაობა, შეუძლია მიმართოს გათავისუფლების შესახებ. სხვათა შორის ჩემი მეუღლის ზოგიერთმა მეგობარმა ისარგებლა ამ შეთავაზებით. დიდი აუდიტორიის თვალწინ, უსპენსკიმ ხელი მოაწერა მათ განაცხადებს რეზერვში გადაყვანის ან უკრაინის ფარგლებს გარეთ დაქვეითებით დანიშვნით შესახებ. უსპენსკი პასუხისმგებელი იყო მასობრივ წამებასა და რეპრესიებზე, ხოლო რაც შეეხება ხრუშჩოვს, ის იყო პოლიტბიუროს იმ მცირერიცხოვან წევრთაგანი, ვინც პირადად მონაწილეობდა უსპენსკისთან ერთად დაკავებულთა დაკითხვაში.

1938 წლის რეპრესიების დროს, როდესაც ეჟოვმა დაკარგა სტალინის ნდობა და დაიწყო ნადირობა „მოღალატე“ ჩეკისტებზე. უსპენსკიმ სცადა საზღვარგარეთ გაქცევა. მან თან წაიღო რამდენიმე სუფთა პასპორტი და გაიქცა. სცადა თვითმკვლელობის ინსცენირება, მაგრამ ვერ შეძლო, ვინაიდან წყალში „დამხრ-

ჩვალის“ ცხედარი ვერ იპოვეს. ხრუშჩოვი პანიკაში ჩავარდა. ის მიუბრუნდა სტალინს და ბერიას თხოვნით, გამოეცხადებინათ ძებნა უსპენსკიზე. ძებნა ძალიან ინტენსიური იყო და მალევე მივხვდით, რომ უსპენსკის მეუღლემ იცოდა, რომ ის არ იყო დამხრჩვალი და სადღაც იმალებოდა. მას თავისი საქციელით პირდაპირ არ უღალატია მეუღლისათვის, მაგრამ ჩვენთვის ნათელი გახდა სინამდვილე. საბოლოოდ მას შემდეგ, რაც უსპენსკიმ ომსკში შენიშნა მის მიმართ მეთვალყურეთა ჯგუფს, ის კი თავად ჩაბარდა ორგანოებს.

დაკითხვისას უსპენსკიმ დაადასტურა, რომ ის და ხრუშჩოვი ახლობლები იყვნენ და ოჯახებით მეგობრობდნენ. იგი ცდილობდა დაერწმუნებინა ყველა, რომ ის მხოლოდ პარტიის მორჩილი ჯარისკაცი იყო. უსპენსკის საქციელმა საბედისწერო როლი ითამაშა მისი მეუღლის ბედში. იგი დააკავეს მეუღლის ჩაბარებიდან სამი დღის შემდეგ და სიკვდილით დასაჯეს ქმრის გაქცევის მოწყობაში დახმარებისთვის. ქალმა მოითხოვა შეწყალება. შემდეგ კი, როგორც კრუგლოვმა მითხრა საქმეში ხრუშჩოვი ჩაერია. მან რეკომენდაციით მიმართა უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს, მაგრამ მას უარი ეთქვა უსპენსკის ცოლის შეწყალების თაობაზე“ [99, 82-83]. ეს ფაქტი მეტყველებს იმაზე, რომ საბჭოთა კავშირი იყო სტალინის მიერ შექმნილი ის სახელმწიფო, სადაც ხრუშჩოვის მსგავს პარტიულ ფუნქციონერებს ყოველგვარი სამართლის და სასამართლოს გარეშე შეეძლოთ გადაეწყვიტათ ადამიანების სიცოცხლის ბედი. ვფიქრობთ, რომ ეს იყო სტალინის მიერ იდეურ საფუძველზე შექმნილი თავისებურად თანასწორთა სახელმწიფოს უმთავრესი ნაკლი და ტრაგედია. მიუხედავად იმისა, რომ სტალინი თავად ეწინააღმდეგებოდა პრივილიგირებულთა ფენის გაჩენას ქვეყანაში და მის აღმოფხვრას ცეცხლითა და მახვილით ცდილობდა. ეს ფენა კომუნისტური ნომეკლატურის სახით მაინც გაჩნდა, რომელიც ლოგიკურად, მეთოდურად ჩაერთო ჯერ პიროვნული, ხოლო შემდეგ პარალელურად საკუთარი ქონებრივი ინტერესების ყველანაირი ხერხებით გადარჩენაში.

მოცემულობა იყო ასეთი, რომ ლენინური გვარდია უნდა განადგურებულიყო და კიდევაც განადგურდა. სტალინელთა გამარჯვება იყო სრული და შთამბეჭდავი. ნომეკლატურის შემდგომი განვითარება შეაფერხა ომმა, მაგრამ ომის დამთავრებისთანავე ისევ განახლდა მუშაობა. მე-19 ყრილობაზე, რომელზეც უკანასკნელად გამოვიდა ი. სტალინი „დაზუსტებულად დამტკიცებული იქნა სკკპ ცკ-ს, მოკავშირეთა რესპუბლიკების ცკ-ს, სამხარეო და საოლქო კომიტეტების თანამდებობათა ნომეკლატურა“ [41, 108]. მაგრამ აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამით დასრულდა ნომეკლატურის ჩამოყალიბებაც, რომელმაც ხელში აიღო ძალაუფლება.

ახალი მმართველი კლასის დაბადების პროცესი სსრკ-ში განხორციელდა სამ ეტაპად. 1. ეს იყო ძველი დეკლასირებული რუსული საზოგადოების წიაღში დაბადებული პროფესიონალი რევოლუციონერების ორგანიზაციული კლასის შექმნა. 2. ოქტომბრის რევოლუციის შედეგად ამ ორგანიზაციის ხელისუფლებაში მოსვლა. და ორი მმართველი ფენა გაჩენა: უმაღლესი - ლენინელები, რომელიც შედგებოდა პროფესიონალი რევოლუციონერებისგან და მათ დაქვემდებარებაში მყოფი სტალინური ნომენკლატურა. 3. ამ ეტაპზე განხორციელდა ლენინური გვარდიის ლიკვიდაცია სტალინური ნომეკლატურის მიერ[41, 111].

ბოლშევიკ-ლენინისტები სულაც არ იყვნენ დონ-კიხოტი იდეალისტები, რომლებიც „ნაროდნაიას ვოლიას“ მსგავსად, ხალხის ნათელ მომავალს სწირავდნენ სიცოცხლეს. ისინი რისკზე, ბრძოლაზე და გაჭირვებაზე წავიდნენ იმიტომ, რომ მათ არსებული სისტემა სხვა პერსპექტივას არ აძლევდა.

რევოლუციურ წარსულზე აღმოცენებული ეს ახალი ტიპის რევოლუციონერები ვერ გრძნობდნენ რომანტიკულ სიყვარულს „უბრალო ხალხის“ მიმართ და მათი ბრძოლა პროლეტარიატისთვის ეგოისტური იყო. რაც თავის მხრივ ნაკარნახევი იყო იმით, რომ მათ პროლეტარიატის სახით დაინახეს ერთადერთი ძალა, რომელსაც შეეძლო დაემხო სისტემა. ლენინის გვარდია არ შე-

ჩერებულა მუშების მოტყუებით - პირდებოდა რა მათ, რომ დაამყარებდა პროლეტარიატის დიქტატურას, სინამდვილეში ისინი გეგმავდნენ საკუთარი დიქტატურის დამყარებას. ლენინელები დარწმუნებულები იყვნენ, რომ მათი დიქტატურა იქნებოდა პროლეტარიატის და ქვეყნის ყველა მშრომელი ადამიანის ინტერესებში. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, ისინი სხვებზე დაუნდობელნი იყვნენ, მტრის განადგურების საშუალებებში განურჩეველი. ადვილად რიგდებოდნენ სინდისთან, მაგრამ დარწმუნებული იყვნენ მარქსიზმის სამართლიანობაში და გულწრფელად სურდათ მარქსის მიერ წინასწარმეტყველებული კომუნისტური საზოგადოების აშენება. ლენინი არ იყო მხოლოდ ლიდერი, არამედ იგი მათ ცნობიერებაში აღიქმებოდა, როგორც იდეის განმახორციელებული პიროვნება.

ბისმარკი ამბობდა: „პოლიტიკა ხელოვნებაა და არა ზუსტი მეცნიერება". თავისი ნომენკლატურის ლიდერი და განსახიერება იყო სტალინი. ნიშანდობლივია, რომ ის არ იყო ლენინის მოწინააღმდეგე, პირიქით სტალინი იყო მისი მრავალი მახასიათებლის ლოგიკური მცველი, რიგ პუნქტებში კი ლენინის გაგრძელება. ძალაუფლებისთვის ბრძოლაში, ისიც დაუნდობელი იყო. მათ შორის, მისი პარტიული ამხანაგების მიმართ. ის მზად იყო გამოეყენებინა ნებისმიერი საშუალება და გაენადგურებინა ყველაფერი, რაც ხელს უშლიდა მისი მიზნების განხორციელებაში. მათ შორის ფიზიკურად გაენადგურებინა ლენინის გვარდიელები. ის არ იკვებებოდა ილუზიებით. სავსებით სწორად გვეჩვენება მოსაზრება, რომ სტალინის მიერ ნომეკლატურის ჩამოყალიბებამ შეცვლა ფაქტობრივად მის მიერ ჩაფიქრებული უკლასო საზოგადოების შექმნა და პირიქით ჩამოაყალიბა კლასობრივი სახელმწიფო ნომეკლატურით სათავეში, რომელმაც დაშალა კიდევაც საბჭოთა კავშირი.

იატაქვეშეთში არსებული (ან აშკარად იზოლირებული) კომუნისტური პარტიის აპარატი ჩამოყალიბდა, როგორც ახალი მმართველი კლასის ემბრიონი, რომელიც ხელისუფლებაში მოს-

ვლის შემდეგ გადაიქცა პროფესიონალი მმართველების ორგანიზაციად და სწრაფად გადაიზარდა „ახალ კლასში“. ჩატარებული წმენდის შედეგად იატაქვეშა წევრები შეცვალეს გამარჯვებულ პარტიას მიტმასნებულმა კარიერისტებმა. ეს ყველგან ასე მოხდა, სადაც განვითარების სტალინური სოციალიზმის გზა აირჩიეს. ეს კი მეტყველებდა ამ პროცესის ისტორიულობაზე. ეს კანონზომიერება კი სერიოზულად უნდა იქნას განხილული. ვინაიდან მათ ვინც გულუბრყვილოდ წარმოიდგენს, რომ რევოლუციის შემდეგ, ძალაუფლება და დიდებულება ელოდება სასტიკად ცდება. პირიქით ბევრ მათგანს ელოდება ბანაკი, ტრიბუნალი, დახვრეტა. უკეთეს შემთხვევაში - პარტიიდან გარიცხვა და უმიზნო დაბალ თანამდებობებზე მუშაობა. ხელისუფლებაში და დიდებაში მოდიან არა მოქმედი კომუნისტები, არამედ ისინი, ვინც ითვლებოდნენ წვრილ-ბურჟუაზიულ ელემენტად. ასე მიმდინარეობდა საბჭოთა ადამიანების თვალწინ რეალურ ცხოვრებაში გაბატონებული კლასის დაბადება. რომელიც თავის მხრივ სკკპ პროგრამით ადამიანებს კომუნიზმში ცხოვრებას პირდებოდა.

თავის დროზე კომუნისტური სისტემის ცნობილი მკვლევარი მ. ჯილასი წერდა: „თანამედროვე კომუნიზმი არის არა მხოლოდ განსაკუთრებული ტიპის პარტია და არა მარტო ბიუროკრატია, რომელიც მისი წარმოშობიდანვე განსაკუთრებული ნორმებით ერევა სახელმწიფოს მეურნეობაში, არამედ ის არის თანამედროვე კომუნიზმის მთავარი დამახასიათებელი ეკონომიკაში. თანამედროვე კომუნიზმის მთავარი მახასიათებელი სწორედ ის არის, რომ ეს არის ახალი კლასი მესაკუთრეების და ექსპლუატატორების“[49, 78].

საბჭოთა კავშირის ჩამოყალიბების დღიდანვე მიმდინარეობდა ამ კლასის კომუნისტების მმართველი კლასის ჩამოყალიბება, რომელსაც დასავლეთის და ზოგიერთ პოსტსაბჭოურ ლიტერატურაში ნომეკლატურას უწოდებენ. ისტორიის გამოცდილებამ გვასწავლის, რომ მცირე უმცირესობა ბატონობს აბსოლუტურ უმრავლესობაზე. ასეთი სისტემის მდგრადობის უზრუნველყო-

ფა მოითხოვს მრავალფეროვანი გააზრებული ზომების მიღებას. რომელთაგან ერთ-ერთი უმთავრესია იდეოლოგიური შენიღბვა. ასე იყო მუდამ. გაბატონებული კლასი ცდილობდა თავისი ბატონობა დაეფარა.

ახალი კლასი უფრო შორს წავიდა. იგი ცდილობდა თავის არსებობის დამალავას. ნომეკლატურა რომელიც ორგანიზებულ იქნა სტალინის დროს და რომელმაც ყელი გამოჭრა ლენინურ გვარდიას ჩამოყალიბდა საბჭოთა საზოგადოების მმართველ კლასად. მათ ეს იცოდნენ და მკაცრად გასაიდუმლოებულად მოქმედებდნენ. ყველაფერი თანამდებობრივი ნომეკლატურის შესახებ ინახებოდა საიდუმლოდ. ნომეკლატურის სიები ითვლებოდაა სრულიად საიდუმლო დოკუმენტებად. მხოლოდ ძალიან შეზღუდული წრისათვის იგზავნებოდა ტიპოგრაფიულად ბეჭდური წიგნები „ხელმძღვანელი მუშაკების სია“.

ბუნებრივია ისმის კითხვა რა იყო აქ საიდუმლო? კ. მარქსმა აღწერა რა კაპიტალიზმი, მან კლასების არსებობის მთავარ მიზეზად დაასახელა კერძო საკუთრება. ნომენკლატურა კი წარმოიშვა, როგორც პროფესიონალი რევოლუციონერების ორგანიზაცის ისტორიული გაგრძელება, რომლებიც რევოლუციის გამარჯვების შემდეგ გახდნენ ქვეყნის პროფესიონალი მმართველები. ნომეკლატურა ესაა „მართვა“. მართვის ფუნქცია იქცა ნომეკლატურის ბირთვად.

ისტორიული მატერიალიზმის გადასახედიდან, ჩვენ ვსაუბრობთ საზოგადოებრივ წარმოებაზე. ყველა ფორმაციაში მმართველი კლასი ასრულებს ასეთ ფუნქციას. არასწორი იქნებოდა ამ მხრივ არსებითი განსხვავების უგულებელყოფა ნომენკლატურულ კლასსა და ბურჟუაზიულ კლასს შორის, რომელიც თავის მხრივ აკონტროლებს კაპიტალიზმის დროს საზოგადოებრივ წარმოებას. ბურჟუაზია უპირველეს ყოვლისა ხელმძღვანელობს ეკონომიკას, უშუალოდ მატერიალურ წარმოებას და უკვე ამის საფუძველზე პოლიტიკაში თამაშობს როლს. ასე უუფლებობიდან წარმოებით და ვაჭრობის მეშვეობით გაიარა ბურჟუაზიის

ისტორიულმა გზამ ხელისუფლებისაკენ. იგივე გზას გადიოდა ნომეკლატურა. ოღონდ პირუკუ ხელისუფლების დაპყრობიდან წარმოების ბატონობისაკენ. ნომენკლატურა პირველ რიგში საზოგადოების პოლიტიკურ მართვაზე ახორციელებდა ძალაუფლებას, ხოლო მატერიალური წარმოების მართვა მისთვის უკვე მეორე რიგის ამოცანას წარმოადგენდა. პოლიტიკური მართვა ნომეკლატურისათვის ყველაზე მეტად არსებითი იყო. თავისი ერთობლიობით ნომეკლატურა უზრუნველყოფდა საზოგადოებაში ხელისუფლების სიმტკიცეს. ყველა გადაწყვეტილება, რომელიც სოციალიზმის ქვეყანაში რეალურად უნდა განხორციელებულიყო მიიღებოდა ნომენკლატურის მიერ. ეს კი მოითხოვდა განსაკუთრებული თვისებას, მკაფიო განსხვავებას და ნომენკლატურის ხელმძღვანელ-პოლიტიკურ მუშაკთა შორის დაყოფას. ასეთი დაყოფა არსებობდა და მის წესებს უცილობლად იცავდნენ. ზოგიერთი უცხო დამკვირვებლები აღნიშნავდნენ, რომ საბჭოთა კავშირში მთელი ძალუფლება ეკუთვნოდა ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, ან - კიდევ სკკპ ცენტრალური კომიტეტს. სინამდვილეში კი მიუხედავად იმისა, რომ პოლიტბიუროს ძალაუფლება უზარმაზარი იყო. იგი თავის მხრივ მაინც მოქცეული იყო განსაზღვრულ ფუნქციონალურ ჩარჩოებში. „ფუნქციონალურად“ იმის გამო, რომ პოლიტბიუროს ძალაუფლების ამგვარი შეზღუდვას არანაირ კავშირი არ აქვს დემოკრატიასთან ან „ლიბერალიზმთან". ის მთლიანად განპირობებული იყო ნომენკლატურულ კლასში შრომის დანაწილებით. მაგალითად, პოლიტბიუროს უპირობოდ შეეძელო დაენიშნა მეურნეობის დირექტორი, მაგრამ ეს იქნებოდა მიღებული წესების დარღვევა. ამიტომაც ამ საქმეს ეწოდნენ რაიკომები. ანუ მთელი ნომეკლატური სისტემა წარმოადგენდა ლენს(ფეოდალიზმის ეპოქაში: მემკვიდრეობითი ადგილ-მამული, რომელიც ვასალს მიღებული ჰქონდა სენიორისაგან სამხედრო სამსახურისა და სხვა ვალდებულების შესრულების სანაცვლოდ), სიუზერენისა და ვასალის დამოკიდებულებას, სადაც ვასალი გადაჰყავდათ წინ დავალებების შესრულების მიხედ-

ვით. საოცარია, მაგრამ ტერმინოლოგია საბჭოთა ნომეკლატურას ისეთივე შესაბამისი ჰქონდა, როგორიც იყო ძველ რუსეთში. მაგ: „დასვეს სამინისტროში“, „დასვეს საოლქოში“, „დასვეს კადრებში“. საბჭოთა ნომეკლატურისათვის თავდაპირველად მთავარი იყო არა საკუთრება, არამედ ძალაუფლება. ბურჟუაზიისათვის კი ჯერ საკუთრება, შემდეგ ბატონობა[41, 173].

მაშასადამე ნომეკლატურა ესაა კლასი, ჯერ ძალაუფლების, შემდეგ კი საკუთრების მქონე. კაპიტალისტი მაგნატები არავის არ უზიარებენ საკუთარ სიმდიდრეს, მაგრამ ყოველდღიური ძალაუფლების განხორციელებისათვის, ისინი ადგილს უთმობენ პროფესიონალ პოლიტიკოსებს. ნომენკლატურის ჩინოსნები თავად არიან პროფესიონალი პოლიტიკოსები, მაგრამ ტაქტიკურად საჭიროების შემთხვევაშიც კი, მათ ეშინიათ ძალაუფლების მარცვალის მინიჭებაც კი მათდამი დაქვემდებარებული პირებისადმი და არამც და არამც არ აკეთებენ ამას.

ყველასათვის კარგად იყო ცნობილი, რომ კარიერიზმი მთავარი ფსიქოლოგიური დამახასიათებელი თვისებაა ნომეკლატურის.

თანამედროვე რუსული ნაციონალისტი თეორიტიკოსების აზრით, 1917 წლიდან რუსეთში სუფევდა კოსმოპოლიტური რეჟიმი, რომლის ლიდერები იყვნენ კოსმოპოლიტი ბოლშევიკები, რომლებმაც მოაწყვეს რუსი ხალხისა და მართლმადიდებლური ეკლესიის სისტემატური რბევა, რუსეთის ტერიტორიების დანაწევრება და მათი სხვა ხალხებისთვის გადაცემა. ამასთან, უკვე 1920-იან წლებში მმართველი პარტიის რიგებში გამოჩნდა რუსეთის სახელმწიფოს განმტკიცების ტენდენცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა ი. სტალინი. კოსმოპოლიტებსა და სახელმწიფო მოაზროვნეებს შორის გაიმართა სასტიკი ბრძოლა, რომელიც დასრულდა სტალინის მომხრეთა გადამწყვეტი გამარჯვებით და ბოლშევიკური კრიმინალური ელიტის ფიზიკური განადგურებით. რუსეთის ორგანიზაციისა და წამყვანი ბირთვის როლი დაუბრუნდა რუს ხალხს. აღდგა დიდი რუსეთის საზღვრები, აღორძინდა

რუსეთის ეროვნული ცნობიერება, მართლმადიდებელი ეკლესია და მრავალი ეროვნული ტრადიცია და წეს-ჩვეულება.

საბჭოთა კავშირის პოლიტიკა, ისევე როგორც ნებისმიერი სახელმწიფოს, წარმოადგენდა პოლიტიკური ხელმძღვანელობის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების მასობრივი შესრულებას.

ისმის კითხვა: ვინ იღებდა საბჭოთა კავშირში პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს? ბოლო გორბაჩოვისეული მოდერნიზებული კონსტიტუციის მიხედვით, რომლის განხორციელებაც ვერ მოხერხდა, ეს სახელმწიფო ორგანოები იყო საკავშირო, რესპუბლიკური და ადგილობრივი. ამომრჩეველი და საზოგადოებრივი ორგანიზაციები ირჩევდა უმაღლესი საბჭოს 2250 დეპუტატს, რომლებიც წარმოადგენდნენ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს. სესიებზე მათ ხელმძღვანელობდა თავმჯდომარე. ხელისუფლების მთავარი აღმასრულებელი უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირის პრეზიდენტი, ფართოდ გაზრდილი უფლებამოსილებით. პრეზიდენტი ირჩეოდა ხუთი წლის ვადით. ის გამოსცემდა ბრძანებებს. მასთან ყალიბდებოდა ვიწრო სამთავრობო კაბინეტი- საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭო. უმაღლესი საბჭო თავისი შემადგენლობიდან იჩევდა პრეზიდიუმს და მის თავმჯდომარეს, მოადგილეებს(მოადგილეებად ითვლებოდნენ მოკავშირე რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეები).

უმაღლესი საბჭოს სესიებს შორის შუალედში პრეზიდიუმი გამოსცემდა ბრძანებებს, რომლებსაც შემდეგ ამტკიცებდა უმაღლესი საბჭო მორიგ სესიაზე. საბჭოთა კავშირის მთავრობა-მინისტრთა საბჭო ითვლებოდა ქვეყნის სახელმწიფო მმართველობის უმაღლეს ორგანოდ. ის შედგებოდა თავმჯდომარის, მინისტრებისა და სახელმწიფო საგეგო კომიტეტის თავმჯდომარისაგნ. ის გამოსცემდა დადგენილებებსა და განკარგულებებს, რომელთაც ჰქონდათ კანონის ძალა.

ირჩეოდა სსრკ უმაღლესი სასამართლოს შემადგენლობა და სსრკ გენერალური პროკურორი.

კონსტიტუციით ჩანდა, რომ გადაწყვეტილებებს სსრკ-ში

იღებდა ხალხი. სინამდვილეში კი ასე არ იყო. გადაწყვეტილებებს იღებდა კომუნისტური ნომეკლატურა.

აქვე ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ რუსეთის და რუსი ხალხის თავისებურების შესახებ. ცნობილი ამერიკელი სოვეტოლოგის რ. პაიპსის დაკვირვებითა და აღწერით: „სირთულის პირველივე ნიშნებისთანავე რუსები თავს იკავებენ, ჯავშანში დამალული კუს მსგავსად და ელოდებიან საფრთხის დასრულებას. მათი ძალა მდგომარეობს იმაში, რომ გადარჩნენ ყველაზე მტრულ პირობებშიც კი. სისუსტე იმაში მდგომარეობს, რომ არ აპირებენ წინააღმდეგობის გაწევას. ისინი უბრალოდ და მარტივად იღებენ წინააღმდეგობას და უსამართლობას. სამწუხაროდ, როდესაც ხედავენ, რომ არაფერი არ გამოსდით ისინი უბრალოდ თვრებიან.

სხვა დროს მეტროში რომ ვიყავი, მატარებელი სადგურს უახლოვდებოდა და დინამიკიდან სადგურის სახელი გაისმა. მატარებელი გაჩერდა, მაგრამ კარები არ გაიღო. შეერთებულ შტატებში, მსგავს სიტუაციაში, მგზავრები ეცდებოდნენ კარის გაღებას, ან თუნდაც პონიებს ჩართვას. ისრაელში ისინი ვაგონს დაამტვრევდნენ. აქ ყველა გაუნძრევლად და მორჩილი იდგა. „ფრთხილად, კარები იკეტება", - გაისმა რადიოთი და მატარებელი ტყვე მგზავრებთან ერთად შემდეგ სადგურისაკენ წავიდა. ახალი რეჟიმის პირობებში ხალხი წუწუნებდა, მაგრამ არაფერს აკეთებდა. განსაკუთრებით იმედგაცრუებული იყო ინტელიგენციის ქცევა. თუნდაც დემოკრატიული მან ვერ მოიშორა მემკვიდრეობა მთავრობის წინააღმდეგობის გაწევის. რადგან, რუსეთის ისტორიის განმავლობაში იგი შეჩვეული იყო წინააღმდეგობას და არა ხელისუფლებაში მონაწილეობას"[69, 173].

სინამდვილეში გადაწყვეტილებების მიღებების ცენტრი იყო ნომეკლატურის კლასი და არა საბჭოები. ესენი იყვნენ სხვადასხვა იერარქიაზე მდგომი პარტიული კომიტეტები სკკპ ცკ-დან რაიონულ კომიტეტებამდე. მხოლოდ და მხოლოდ ისინი იღებდნენ საბჭოთა კავშირში ერთპიროვნულ გადაწყვეტილებებს, ხოლო ე.წ. საბჭოები მხოლოდ შირმა იყო ფასადის გასალამაზებლად.

სკკპ პარტიული კომიტეტების უმაღლესი ორგანო წესდების მიხედვით იყო პლენუმი. მაგრამ აქაც სინამდვილეში ყველაფერს წყვეტდა არა პლენუმი, არამედ ბიურო და პარტიის სამდივნოები. სწორედ ისინი იღებდნენ საბოლოო გადაწყვეტილებებს. პლენუმზე განსახილველად გამოჰქონდათ მხოლოდ ზოგიერთი მათგანი.

ისმის კითხვა: თუ როგორ ხდებოდა გადაწყვეტილებების დამუშავება? ინიციატივა მისი მომზადების შესახებ მოდიოდა, როგორც ქვემოდან ანუ ნებისმიერი უწყებიდან, რომელიც იმყოფებოდა ამ პარტიის კომიტეტის ძალაუფლების სფეროში, ასევე ზემოდან, ანუ, ეს თავად ბიუროსაგან, სამდივნოსაგან ან სხვა ზემოდ მდგომი ორგანოსაგან. პირველ შემთხვევაში, განმცხადებელ ორგანოს უნდა გაეგზავნა წერილი პარტიის კომიტეტისათვის, რომელშიც დასაბუთებული უნდა ყოფილიყო გადაწყვეტილებები. გადაწყვეტილეა პროექტს დართული უნდა ჰქონოდა, მაგრამ ეს არ ნიშნავდა, რომ ის მიღებულ იქნებოდა. თუმცა ნომენკლატურამ იცოდა უნდოდა თუ რა კონკრეტულ ტექსტის მიღებას ითხოვდა უწყება. მას თანდართული უნდა ჰქონოდა ცნობები და აუცილებელი მასალები, რომელთა ოდენობა მკაცრად იყო განსაზღვრული.

მეორე შემთხვევაში, არცერთი ეს ნორმა არ იყო აუცილებელი, ზემოდან ზეპირი მითითებებიც საკმარისი იყო. ამით გადაწყვეტილებას იღებდნენ ბევრად უფრო სწრაფად. მაგრამ გადაწყვეტილების მიღების ეტაპები ორივე შემთხვევაში ერთი და იგივე იყო.

კომიტეტის მდივანი ავალებდა განყოფილების უფროსს მოემზადებინა ამა თუ იმ ფორმისა და განწყობის გადაწყვეტილების პროექტი. განყოფილების გამგე თავად არაფერს არ წერდა, ეს უნდა გაეკეთებინა მის ქვემდგომებს. მას მხოლოდ ხელის მოწერით ან რეზოლუციით ვიზირება უნდა მიეცა მისთვის. ის ავალებდა შესაბამისი სექტორის ხელმძღვანელს ან გუნდის ხელმძღვანელს, რომ მისთვის გარკვეულ ვადაში წარედგინათ მომზადებული

პროექტი. სექტორის ხელმძღვანელიც ასევე არ წერდა, ისიც უფრო მეტად ვიზირებას აკეთებდა, თუმცა უფრო სიტყვიერად აზუსტებდა, ანუ ათანხმებდა მას. ამის შემდეგ სექტორის ხელმძღვანელი იძახებდა თავის თანამშრომლებს, რომელთა კომპეტენციაში შედიოდა განსახილველი საკითხი, და -მათთან უფრო დეტალურად გამოთქვამდა მის აზრებს გადაწყვეტილების პროექტის შესახებ.

თანამშრომელი, მაშინვე წერდა დასკვნას. მან იცოდა, რომ პასუხისმგებელი იყო. ამიტომ, რაც უფრო დელიკატური იყო საკითხი, მით უფრო ფრთხილად ცდილობდა მისი პასუხისმგებლობის სხვებზედაც გადანაწილება. ის საუბრობდა კოლეგებთან, მაგრამ არავითარ შემთხვევაში იურისტთან, ვინაიდან კანონის უკან იდგა ნომეკლატურა.

პროექტს ადგენდენ და აგზავნიდნენ ზემოთ მჯდომ სექტორის ხელმძღვანელთან, შემდეგ მას გადახედავდა განყოფილების გამგე. ამის შემდეგ აღნიშნული პროექტი გადადიოდა ბიუროზე ან სამდივნოზე. აქ იყენებდნენ ორ მეთოდს. 1. თუ საკითხი იყო რთული და აუცილებელი იყო მისი განხილვა, ის გაჰქონდათ ბიუროზე ან სამდივნოზე. განხილვაზე იწვევდნენ ამ საკითხით დაინტერესებულ უწყების ხელმძღვანელს. 2. მათი მოწვევა ხდებოდა განსაზღვრულ დროს. სხდომის დარბაზში დაშვება ხდებოდა მხოლოდ, მიმდინარე საკითხის განხილვისას.

მიღებულ გადაწყვეტილებას ენიჭებოდა შესაბამისი რიგითი ნომერი პარტიის ბიუროს ან სამდივნოს ოქმში და სუკ-ის კურიერის მეშვეობით გრიფით „საიდუმლო“ ან კიდევ „სრულიად საიდუმლო“ იგზავნებოდა დაინტერესებულ უწყებაში. პარტიული კომიტეტის ყველა წევრი და კანდიდატი ეცნობოდა ოქმს, მაგრამ არ შეეძლო თავისთან დატოვება. ასეთი რიგითობით ხდებოდა პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება სსრკ-ში ნებისმიერ დონეზე, დაწყებული რაიონული კომიტეტიდან, დამთავრებული სკკპ ცკ-მდე. ეს გადაწყვეტილებები აუცილებლად უნდა შესრულებულიყო ნებისმიერი უწყების მიერ. საბჭოთა კავშირში სახ-

ელმწიფო ორგანოთა შესახებ არცერთი კანონი, ბრძანებულება და დადგენილება არ გამოდიოდა შესაბამისი პარტიული ინსტანციების გადაწყვეტილებების გარეშე. ასეთი გადაწყვეტილებებით რეგულირდებოდა არა მარტო დიდი პოლიტიკური საკითხები, არამედ ნომეკლატურა აკონტროლებდა ქვეყანაში არაარსებით საკითხებსაც. მაგალითად რომელიმე აკადემიკოსს თუ შეუსრულდებოდა 60 წელი, მას აჯილდოებდნენ შრომის წითელი დროშის ორდენით, ოღონდ მანამდე აკადემიის შესაბამისი სტრუქტურა იწყებდა ამ საკითხის რუტინულ შესწავლას, სამოტივაციო წერილის წერას, რომ აკადემიკოსი ნამდვილად იმსახურებდა ჯილდოს. მიუხედავად ყოველივესი უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი მანამ არ გამოსცემდა ბრძანებულებას, სანამ არ მიიღებდა სკკპ ცკ-ის სამდივნოდან შემდეგი სახის ამონაწერს: „რეკომენდაცია ეძლევა სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს დააჯილდოვოს აკადემიკოსი სახელი და გვარი საბჭოთა მეცნიერებაში გაწეული წვლილისათვის, დაბადების 60 წლისთავთან დაკავშირებით „შრომის წითელი დროშის ორდენით". მაშასადამე საბჭოთა კონსტიტუციით საბჭოთა კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი საბჭოთა სახელმწიფოს კოლექტიური მეთაური, სინამდვილეში გამოდიოდა სკკპ პოლიტბიუროსა და სამდივნოს მარიონეტი. ასეთივე დღეში იყო საბჭოთა მთავრობა-მინისტრთა საბჭო. ამ უწყებას არ ჰქოდა უფლება ცკ-ს შესაბამისი რეკომენდაციის გარეშე მიენიჭებინა გენერალ-ლეიტენატის წოდება, რომელიმე ნიჭიერი ოფიცრისათვის.

ნომეკლატურის ხელმძღვანელი ორგანოები თავგამოდებით იცავდნენ თავის მონოპოლიას გადაწყვეტილებებზე. ისინი იყვნენ გადაწყვეტილებების მიმღები მანქანები.

პოლიტიკური ბიურო, როგორც დროებითი ორგანო ჩამოყალიბდა 1917 წლის 10 ოქტომბერს ბოლშევიკური პარტიის სხდომაზე, სადაც განიხილეს დროებითი მთავრობის წინააღმდეგ მიმართული შეიარაღებული აჯანყების საკითხი. პოლიტბიურო, როგორც მუდმივი ორგანო ცკ-ში, შეიქმნა 1919 წლის მარტში

პარტიის მე-8 ყრილობაზე. მის თავდაპირველ ამოცანას წარმოადგენდა მიეღო გადაწყვეტილება მხოლოდ გადაუდებელ საკითხებზე და მოეხსენებინა მათ შესახებ ცკ-თვის უახლოეს სხდომაზე. იმავდროულად შეიქმნა ცკ-ს საორგანიზაციო ბიურო, რომელსაც გადაეცა პარტიის მთელი ორგანიზაციული სამუშაო.

პირველი პოლიტბიუროს წევრები:

ვ. ლენინი(1870-1924);

ლ. კამენევი(1883-1936)-დახვრეტილია;

ნ. კრესტინსკი(1883-1938)-დახვრეტილია;

ი. სტალინი(1879-1853);

ლ. ტროცკი(1878-1940)-მოკლულია.

პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატები:

1. ნ. ბუხარინი (1888-1936)-დახვრეტილია;
2. გ. ზინოვიევი(1883-1936)-დახვრეტილია;
3. მ. კალინინი(1875-1946).

საორგანიზაციო ბიურო წევრები:

ი. სტალინი;

ნ. კრესტინსკი(1883-1938)-დახვრეტილია;


ლ. სერებრიაკოვი;

ლ. ბელობორდოვი;

ე. სტასოვა(1873-1966)[50, 276].

ამრიგად თავიდან პოლიტბიურო ორგბიუროსთან ერთად იყო ცკ-ს დამხმარე ორგანო და არა „ღმერთების საბჭო", როგორადაც იგი იქცა შემდეგ. ასეთად პოლიტბიურო შექმნა სტალინმა, სადაც ზევსი თვითონ იყო, ხოლო დანარჩენები სხვადასხვა სფეროების ღმერთები, რომლებიც ყველაფერში მას ემორჩილებოდნენ. სტალინის სიკვდილის შემდეგ პოლიტბიურო იქცა წარმომადგენლობით ორგანოდ, სადაც შეკრებილი იყო ნომეკლატურული ხროვა. მასში გარანტირებული ჰქონდათ ადგილი მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს, უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმ-

ჯდომარეს, ცკ-ს წამყვან მდივნებს, სუკი-ს თავმჯდომარეს, თავდაცვის მინისტრს, საგარეო საქმეთა მინისტრს, უკრაინის ცკ-ის პირველ მდივანს, აგრეთვე რიგითობით სხვა რესპუბლიკების მდივნებს, პარტიის მოსკოვის პირველ მდივნებს და ლენინგრადის ქალაქკომის მდივნებს.



პოლიტბიუროს წევრთა სურათები გულაგების ქალთა ბარაკში

მნიშვნელოვან თანამდებობებზე დანიშვნა ჭიანურდებოდა ხანგრძლივი დროის მანძილზე. ამისათვის საჭირო იყო პოლიტბიუროს სხვადასხვა ძალთა წონასწორობა, ვინაიდან ყველა დანიშნული, როგორც წესი იყო პოლიტბიუროს რომელიღაც წევრის ვასალი. ხელმძღვანელი ნომენკლატურის მთავარ ამოცანას წარმოადგენდა არა მის მიერ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა, არამედ როგორ ესარგებლა ამ გადაწყვეტილებებით, რათა საკუთარი წინსვლის გზა გარანტირებული ჰქონოდა. ამიტომაც

მათი სახელმწიფოს მართვის ხელოვნება გამოიხატებოდა იმით, რომ საკუთარი აზრი დაეფიქსირებინათ იმათ სასარგებლოდ ვინ ზემოდ უფრო მაღლა იდგა. ამისათვის ნომეკლატურის წარმომადგენელს უნდა გამოეცნო თუ როგორი იქნებოდა საბოლოო ჯამში გადაწყვეტილება, რომ მასზე გაეკეთებინა ორიენტირება. ყველაზეა დიდი შანსები ჰქონდა გენერალური მდივნის აზრს. ამიტომაც პოლიტბიუროს წევრები და სამდივნო თითქმის ყოველთვის უჭერდნენ მას მხარს. თუ მოხდებოდა სასწაული და ხელმძღვანელობის წევრი გამოთქვამდა განსხვავებულ აზრს, მას უნდა მოეხდინა ფრთხილი მანევრირება ისე, რომ მას ეს არ ჩათვლოდა პარტიის ცკ-ს გენერალური ხაზის გამრუდებაში.

ბრძოლა ხელისუფლებისათვის კრემლში

ბრძოლა კრემლში ძალაუფლებისათვის მიმდინარეობდა არა დემოკრატიული ფორმებით, არამედ ჩასაფრებებით, ცბიერებებით და ჩახლართული ინტრიგებით. გენერალური მდივნის თანამდებობის დაკავება მხოლოდ ერთ ადამიანს შეეძლო, ამიტომ ნომენკლატურა ცდილობდა მოეყვანა სათავისო გენერალური მდივანი, რომელიც შექმნიდა ხელსაყრელ საწყის პოზიციებს ბრძოლის შემდეგი ტურისთვის. ისმის კითხვა როგორ გენერალურ მდივანს ეძებდა ნომეკლატურა ამ უმაღლესი თანამდებობისათვის?

ისეთს, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ მათ ინტერესებს დააკმაყოფილებდა. ლენინური პოლიტბიუროს სხვა წევრების ფონზე ასეთი ჩანდა სტალინი 1920-იან წლებში. ასეთი იყო ხრუშჩოვი სტალინის სიკვდილის შემდეგ(ძლიერად ითვლებოდა მალენკოვი). ასეთივე იყო ბრეჟნევი, რომლის დროსაც პირველად ითვლებოდა შელეპინი. ფეოდალები ყოველთვის ცდილობდნენ, ტახტზე დაესვათ სუსტი მონარქი. ნომენკლატურული კლასის მთავრები, ასევე იმავე პრინციპით ირჩევდნენ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანს. სწორედ ამიტომაც პოლიტბიუროს წევრს, რომელსაც სურდა გამხდარიყო გენერალური მდივანი, არ უნდა მოეხდინა შთაბეჭდილება წარმოსახვაში თავისი ნიჭითა და დინამიკით, არამედ უნდა ყოფილიყო მოკრძალებული, ტექნიკურ მუშაობაში ჩაფლული, როგორც ბიუროკრატი, როგორც ეს თავის დროზე სტალინმა გააკეთა. ან კიდევ ივანუშკა-სულელი, რომელსაც ხრუშჩოვი თამაშობდა ან კიდევ ბრეჟნევი, რომელიც ჩანდა, როგორც პროვინციალური პარტიის სტანდარტული თანამშრომელი. ან კიდევ გორბაჩოვი აღმასრულებელი ახალგაზრდა, რომელიც მზად იყო უსიტყვოდ დამორჩილებოდა უხუცესებს.

ძალაუფლებისათვის ბრძოლა მკვლევარ ვოსლენსკის განხილული აქვს ლეონიდ ბრეჟნევისა და ალექსანდრე შელეპინის მაგალითზე. ვინ იყო ა. შელეპინი და როგორი იყო მისი განვლილი

კარიერა? 30-იანი წლების ბოლოს, შელეპინი მოდური მოსკოვის ფილოსოფიის, ლიტერატურისა და ისტორიის ინსტიტუტი სტუდენტი იყო. ის აქტიურად მონაწილეობდა კომკავშირული ხაზით. რის მეშვეობითაც გახდა ინსტიტუტის კომკავშირის კომიტეტის მდივანი. შელეპინი იყო მისი დროის შესაფერისი კომკავშირელი: ფხიზელი, დაუნდობელი ანუ როგორც მაშინ ამბობდნენ პარტიის საქმისადმი უსაზღვროდ ერთგული. მასზე გავრცელებული იყო იყო ასეთი, რამ - ერთ-ერთმა სტუდენტს კომკავშირის ბილეთი დაკარგა. შელეპინი მას უყვიროდა „იცი, რა გააკეთე? თქვენ ბილეთი მიეცით მტერს. ახლა თქვენ აქ ისხდებით, და მტერი, ჯაშუში, დივერსანტი - თქვენი ბილეთით შეიძლება შევიდეს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის შენობაში!".

სწავლის დასრულების შემდეგ ინსტიტუტის ყოფილი მდივანი შელეპინი აიყვანეს სამუშაოდ კომკავშირის მოსკოვის საქალაქო კომიტეტში. ომის დასაწყისში მას დაევალა კომკავშირის წევრების შერჩევა მტრის ზურგში დივერსანტული მუშაობისათვის. მის მიერ შერჩეულთა შორის იყო ცნობილი ზოია კოსმოდემიანსკაია - სკოლის მოსწავლე. იგი მოსკოვის მახლობლად სოფელ პეტრიშჩევოში დაიჭირეს გერმანელებმა და ჩამოახრჩეს,. კისერზე თოკჩამოცმულმა ზოიამ დაიყვირა: - „სტალინი ჩვენთანაა! სტალინი მოვა!"- რისთვისაც იგი საბჭოთა კავშირის ეროვნულ გმირად გამოცხადდა. როგორც ამბობენ უბედური გოგონას დაღუპვაზე ააგო მთელი თავისი კარიერა შელეპინმა, ცოტა უბედობაც, რომ არა იგი გახდებოდა სტალინის მესამე მემკვიდრე. შელეპინი, გახდა-კომკავშირის მოსკოვის კომიტეტის პირველი მდივანი; კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი; კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი; სსრკ სუკ-ის თავმჯდომარე; პრეზიდიუმის წევრობის კანდიდატი; სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რომელიც იყო პასუხისმგებელი პარტიულ და ადმინისტრაციულ ორგანოებზე, მათ შორის სუკ-ზე. სწორედ ამ ძალიან მძლავრ პოზიციაზე მდგომმა ხელი გაიწვდინა ცენტრალური კომიტეტის პირველი

მდივნის პოსტზე - ნომენკლატურული კლასის ხელმძღვანელის თანამდებობაზე. ამ თანამდებობის დაკავების მცდელობა შელეპინმა დაიწყო ფრთხილი მომზადების შემდეგ. წლების განმავლობაში ის გულმოდგინედ ახდენდა თავისი ერთგული ვასალი კადრების ფორმირებას. ყოველნაირად ცდილობდა მისი ერთგული წევრების. მან ამ ჯგუფში შეიყვანა მხოლოდ მისთვის საჭირო ხალხი, - როგორც ისინი აცხადებენ ნომენკლატურის ჟარგონში, „პერსპექტიულები“. ყველა მათგანის კონცეტრირება მოახდინა საკავშირო კომკავშირის ცკ-ში. შემდეგ სუკ-ში.

ცოტა მოგვიანებით სუკი-ს თავმჯდომარის თანამდებობა გადააბარა თავის მეგობარს, კომკავშირის ცკ-ს პირველ მდივანს სემიჩასტინს. თავად კი როგორც გახდა ცკ-ს მდივანი, მაშინვე დააწინაურა თავისი ხალხი კომკავშირიდან. საქმეს მიეცა ორგანიზებული ხასიათი. შელეპინმა და სემიჩასტინმა მოამზადეს ორგანიზაციულად ხრუშჩოვის ჩამოგდების ოპერაცია. სწორედ მათ შეძლეს დასასვენებლად ბიჭვინთაში მყოფი ხრუშჩოვის გარემომცველი სამყაროსაგან მოწყვეტა. შელეპინმა და სემიჩასტინმა ჩამოიყვანეს მოსკოვში ხრუშჩოვი ცკ-ს პრეზიდუმის სხდომაზე, სადაც გამოუცხადეს მას მის გადადგომაზე. გასაკვირი არ არის, რომ შელეპინმა ეს ყველაფერი გააკეთა, დიდი რისკის ფასად. მან ეს გააკეთა არა სხვებისთვის, არამედ საკუთარი თავისთვის. ამას მოწმობს ისიც, რომ პირველ მდივნად განსაზღვრული იყო, არა ბრეჟნევი, არამედ შელეპინი.

მომზადებული იყო შესაბამისი პროექტი, იყო მოლაპარაკება იმის შესახებ, რომ ბრეჟნევი პირველ მდივნად იქნებოდა მხოლოდ დროებით, რათა დაემალათ ანტიხრუშჩოვული შეთქმულება. ფაქტობრივად უნდა მომზადებულიყო ადგილი შელეპინისათვის. მიღებული იქნა გამოუქვეყნებელი გადაწყვეტილება, რათა არ ყოფილიყო დაშვებული ერთი პირის ხელში სკკპ ცკ-ის პირველი მდივნისა და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის თანამდებობები. ბუნებრივია შეთქმულების წარმატება ვერ მოხდებოდა სუკი-ს გარეშე, ამიტომაც შეთქმულების წევრები დაპირდნენ

შელეპინს სკკპ ცკ-ს პირველ მდივნობას. სუკი-ს თავმჯდომარე ვ. სემიჩასტინი აღნიშნავს, რომ განიხილებოდა იმის შესაძლებლობაც, რომ წინააღმდეგობა გაეწიათ ნ. ხრუშჩოვის მომხრეებს. ამ მიზნით ისინი ბლოკირებულნი იქნენ სასტუმრო „მოსკოვში“. გადაკეტეს გზა ხრუშჩოვისათვის აშშ საელჩოსაკენ, სადაც შეიძლებოდა გაქცეულიყო იგი[51, 63]. მალე გაირკვა შელეპინი შეთქმულებს სჭირდებოდათ იმისათვის, რომ როგორც აღვნიშნეთ სუკი-ს გარეშე შეთქმულება ვერ განხორციელდებოდა, ამიტომაც დაპირდნენ მას ცკ-ს პირველ მდივნობას, შემდეგ კი მოატყუეს. პოლიტბიუროს წევრმა ა. მიქოიანმა ამ გაქნილმა და აფერისტმა პოლიტიკოსმა ცკ-ის პრეზიდიუმის სხდომაზე მკვეთრად განაცხადა-თუ ავირჩევთ შელეპინს ამ ახალგაზრდა კაცისაგან ძალიან ბევრ უსიამოვნებას მივიღებთ. ა. მიქოიანი იყო კაცი, რომელსაც არასდროს არ გაურისკავს. იგი ამჯერადაც არ გარისკავდა გარანტიების გარეშე. შელეპინი ცკ-ს პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატობიდან გადაიყვანეს წევრად, სემიჩასტინი კი გამოიყვანეს ცკ-ის წევრობიდან. ბრეჟნევმა არ დაუვიწყა მიქოიანს ეს დამსახურება. პენსიაზე გასული მიქოიანი სიკვდილამდე სარგებლობდა იმ პრივილეგიებით, რაც პოლიტბიუროს წევრს გააჩნდა.



კრემლის გერონტოკრატი „ვერხუშკა“

ლ. ბრეჟნევი თავიდანვე ხვდებოდა თუ რამდენად მყიფე იყო მისი პოზიცია კრემლში. მას განსაკუთრებული ძალით ახსენებდა თავს შემდეგი ფაქტი. სკკპ XXIII კყრილობის გახსნისას შელეპილენელებმა (1966 წ.) მოაწყვეს დემონსტრაცია, რაც იმით გამოიხატა, როდესაც შელეპინი ყრილობის პრეზიდიუმის წევრად აირჩიეს, ისინი მის სახელს სკანდირებდნენ და მქუხარე ტაშს უკრავდნენ. უდავოა ყოველივე ეს აშკარად წინასწარ იყო მოწყობილი. ბრეჟნეველებმა დაუყოვნებლივ მოახდინეს ორიენტირება ამ ფაქტზე და დაიწყეს ტაში თითოეული წევრის სახელის ამოკითხვის შემდეგ, რათა უხერხულობა განმუხტულიყო. ამან აჩვენა, რომ შელეპინი არ აპირებდა დათმობას. ამიტომაც საჭირო იყო მის წინააღმდეგ სწრაფი მოქმედებები. ამ მიზნით ბრეჟნევმა ხელისუფლების ხელში აღების შემდეგ დაიწყო თავისი პოზიციების განმტკიცება. მან დაიწყო თავის გარშემო სუკის, არმიის და პარტიული აპარატის შემოკრება. არმიაში ბრეჟნევს ჰყავდა თავისი ერთგული თავდაცვის მინისტრი რ. მალინოვსკი. შედარებით მძიმე მდგომარეობა ჰქონდა გენერალურ მდივანს სუკ-ში, რომლის სათავეში შელეპინის კაცი სემიჩასტინი იდგა. მალე ეს საკითხიც დადებითად მოაგვარა და ამ უმნიშვნელოვანესი ორგანოს თავმჯდომარედ ი. ანდროპოვი დანიშნა. შინაგან საქმეთა სამინისტროს კი სათავეში ედგა მისი ძველი ნაცნობი და მეგობარი მოლდავეთის კომპარტიის ყოფილი მეორე მდივნი ნ. შჩოლოკოვი. სკკპ ცენტრალური კომიტეტის ცენტრალური კომიტეტის მდივნებიდან ერთადერთს შელეპინს ეჭირა პოსტი, რომელიც აერთიანებდა პარტიულ და სამთავრობო პოსტებს. ის იყო პარტიისა და სახელმწიფო კონტროლის კომიტეტის თავმჯდომარე ანუ ერთდროულად იყო სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი და სსრკ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.

მანამდე კი ყველაფერი კი ყოფილა შემდეგნაირად. 1965 წლის მარტში, შელეპინის და მესიაცევის ხელმძღვანელობით, საბჭოთა დელეგაცია ჩასული იყო მონღოლეთში. ი. ცენდებალის სახლში სადილის დროს, შეზარხოშებულმა მესიაცევმა თქვა შელეპინზე,

როგორც მომავალ გენერალურ მდივანზე. ეტყობა იქ მყოფმა საბჭოთა ელჩმა ან დაზვერვის ოფიცერმა აცნობა ეს ხელმძღვანელობას[201]. ამას თქმა არ უნდა იმდროინდელი ბრეჟნევის კრემლი ვერ მოითმენდა.

ამიტომაც ა. შელეპინი, რომ გამოეყვანათ სკკპ ცკ-დან, გააუქმეს პარტიისა და სახელმწიფო კონტროლის კომიტეტი. მის ადგილას შექმნეს სახალხო კონტროლი. რომლის თავმჯდომარედაც არ დანიშნეს შელეპინი. იგი დატოვეს მხოლოდ სკკპ ცკ-ს მდივნად. მალე იქიდანაც გამოიყვანეს და დასვეს პროფკავშირების თავმჯდომარედ.

ა. შელეპინის ერთგული ხალხი გაამგზავრეს საზღვარგარეთ-ტიკუნოვი რუმინეთში, მესიაცევი ავსტრალიაში, გრიგორიანი გფრ-ში. სემიჩასტინი უკრაინაში დანიშნეს მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ, შჩერბიცკის მეთვალყურეობით, რომელიც ბრეჟნევის მზეს ფიცულობდა. ასე რომ ბრეჟნევმა ადვილად მოიცილა კომკავშირიდან მოსული შელეპინი, რომელსაც პარტიის ცკ-ში მყოფი სხვა მოხუცებიც ვერ იტანდნენ. ამით შელეპინმა ხელისუფლებისათვის ბრძოლა წააგო.

ხელისუფლებისათვის ბრძოლაში გამოყენებული იყო არაერთი მეთოდი. მაგალითად ჯერ სტალინი, მოგვიანებით კი ხრუშჩოვი, ბრეჟნევი და გორბაჩოვი იყენებდნენ დახურულ უცხოურ კორესპოდენციებს. რათა ძალაუფლების ბრძოლის პერიოდში კომპრომერტირება გამოეწვიათ თავიანთი პოლიტიკური მოწინააღმდეგეების. ჩვეულებრივ პერიოდებში უცხოური პრესის მიმოხილვას სერიოზული მნიშვნელობა არ ენიჭებოდა, მაგრამ მასობრივი რეპრესიების პერიოდში წესად იქცა ამ მასალების გამოყენება, რომლებიც საბჭოთა ლიდერებს აფასებდა, როგორც პარტიის ხაზისგან სხვადასხვა სახის „გადამხრელებად“. უფრო მეტიც, ეს წესი ცენტრალური კომიტეტის სპეციალურ დადგენილებითაც კი იყო განმტკიცებული.

ასე იყო 1989 წელსაც, როდესაც თავისი პირველი ვიზიტის დრო შეერთებულ შტატებში უცხოური პრესაზე. დაყრდნობით

ბორის ელცინი დაადანაშაულეს ალკოჰოლზე დამოკიდებულებაში. 1990 წელს ამ მასალებმა ითამაშა განსაკუთრებული როლი მ. გორბაჩოვსა და საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრ ე. შევარდნაძეს შორის კონფლიქტში. უცხოური პრესიდან ნაჭრების გამოყენება მხოლოდ 1991 წლის ნოემბერში შეწყდა - გორბაჩოვის ეპოქის დასრულებამდე ცოტა ხნით ადრე. ეს გააკეთა TACC-ის გენერალურმა დირექტორმა იგნატენკომ, რომელმაც აკრძალა TACC-ის საშუალებით უცხოური პრესის სპეციალური მიმოხილვების მთავრობისთვის გაგზავნა. რაც შეიცავდა კომპრომატებს სკკპ და მთავრობის ხელმძღვანელებზე.

მეორე მსოფლიოს ომის წინა პერიოდი. მსოფლიოს კიდევ ერთი ახალი გადანაწილება

ევროპაში 1920-1940 წლებს შორის პერიოდს შეიძლება ეწოდოს დიქტატორული რეჟიმების ტრიუმფი. ეს იყო რაღაც ბირთვული ჯაჭვური რეაქციის მსგავსი მოვლენა. 1922 წლის შემოდგომაზე იტალიაში ხელისუფლებაში მოვიდა ფაშისტი ბენიტო მუსოლინი. შემდეგ წელს მოხდა სამხედრო გადატრიალება ბულგარეთში და ფაშისტური გერმანიაში(ჰიტლერის მეთაურობით). პირველი წარმატებული იყო, მეორე კი წარუმატებელი, თუმცა ამან ხელი არ შეუშალა ჰიტლერს 10 წლის შემდეგ დემოკრატიული გზით მოსულიყო ხელისუფლებაში და დაემყარებინა დიქტატორული რეჟიმი. ესპანეთში ძალაუფლება ჯერ გენერალმა პრიმო დი რივერამ აიღო. 1930 წელს კი ქვეყანაში დემოკრატიული ძალების გამარჯვებიდან ცხრა წლის შემდეგ იმავე ესპანეთში გენერალი ფრანკო დიქტატორი გახდა. 1925 წელს ალბანეთის პრეზიდენტ აჰმედ ზოგუს გადაეცა საგანგებო უფლებამოსილება.

1926 წლის მაისში სამხედრო გადატრიალება პოლონეთში განახორციელა იოზეფ პილსუდსკიმ, ხოლო პორტუგალიაში გენერალმა ანტონიო ოსკარ დი ფრაგოსო კარმონამ. იმავე წლის ბოლოს ლიტვაში ანტანას სმეტონას მეთაურობით დამყარდა ნაციონალისტების დიქტატურა. 1933 წლის მარტში ნაცისტებმა, ენგელბერტ დოლფუსის მეთაურობით გაიმარჯვეს ავსტრიაში. ერთი წლის შემდეგ, კონსტანტინე პიასტი „დე ფაქტო" დიქტატორი გახდა ესტონეთში, ხოლო კარლის ულმანისი ლატვიაში. შემდეგ ჯერზე საბერძნეთში მოვიდა გენერალი იოანის მეტაქსასი. ასევე გენერალი ანტონესკუ რუმინეთში. და რა არის გასკვირი იმაში, რომ სსრკ-ში, 1930-იანი წლების მეორე ნახევარიდან, რომ დამყარდა სტალინის ერთპიროვნული მმართველობა.

არ არსებობს მიზეზი იმისა, რომ ასეთი ფენომენი შემთხვევითობად მივიჩნიოთ. ჩვენ არ გავაანალიზებთ მას დეტალურად. მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ პროცესი დაიწყო პირველი მსოფლიო ომის და ევროპაში რევოლუციების სერიის შემდეგ და

რაც მთავარია, საბჭოთა კავშირის შექმნისა და მრავალ ქვეყანაში განვითარებული კომუნისტური მოძრაობათა შემდეგ. აღნიშნულმა მოვლენებმა თანაბარი ძალით შეაშინა მონარქიებიც და ბურჟუაზიული დემოკრატიებიც. იმ დროს ძნელი იყო წინააღმდეგობის გაწევა მუშათა სოლიდარობისა და კომუნისტური იდეებისადმი. ძნელი იყო საინფორმაციო ზეწოლით მოეხდინათ მასობრივი ცნობიერების მანიპულირება. მაშინ ჯერ კიდევ არ არსებობდა ისეთი ძლიერი და მრავალფეროვანი ელექტრონული კომუნიკაციის საშუალება, როგორებიც იყო მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში და არის ამჟამად.

1933 წელს გერმანიაში ხელისუფლებაში მოვიდა ჰიტლერი, რომელმაც ანტისემიტიზმი აიყვანა სახელმწიფო პოლიტიკის რანგში. რა უნდოდა მას? ის, რომ მომავალში გერმანიაში მხოლოდ გერმანელებს ეცხოვრათ. გერმანიაში ებრაელებისათვის შეიქმნა შეზღუდვების და დამცირების ატმოსფერო- რამაც აიძულა ებრაელთა დიდი ნაწილი დაეტოვებინა გერმანია. ჰიტლერის აგრესიულ კამპანიას ევროპაში ხელს უწყობდა ევროპისავე „დემოკრატიული ძალები“.

ჰიტლერმა დაიწყო შეიარაღება, შეიჭრა დემილიტარიზებულ რაინის ოლქში, ანექსირება გაუკეთა ავსტრიას. სანაცვლოდ მთელ ევროპაში მშვიდობა და სიმშვიდე იყო. მიუხედავად ექსტრავაგანტული ჩერჩილის მოწოდებებისა, ინგლისი და საფრანგეთი არ ზრდიდნენ სამხედრო ხარჯებს და შეიარაღებას. უეჭველია ევროპაში ყველას ეგონა, რომ ეს იყო კომუნიზმის ანუ სსრკ-ს წინააღმდეგ კამპანიის მომზადება.

და დაიწყო ევროპაში. ჰიტლერმა მოითხოვა ჩეხოსლოვაკიის სუდეტის ოლქი. მსოფლიოში ყველას ესმოდა, რომ მას სუდეტელი აგერმანელები სჭირდებოდა საბჭოთა კავშირთან ომისთვის, ხოლო ჩეხეთის სამხედრო ინდუსტრია იმავე მიზნებისთვის. ყველას გაღიზიანების სანაცვლოდ, საფრანგეთმა ჯერ კიდევ 1924 წელს ჩეხოსლოვაკიასთან სამხედრო ალიანსი გააფორმა იმდროინდელი ჯერ კიდევ არაჰიტლერული გერმანიის წინააღმ-

დეგ. მაგრამ ახლა ამას უკვე არანაირი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ვინაიდან საფრანგეთმა და ინგლისმა მიუნხენში დაარღვიეს ალიანსი და აიძულეს ჩეხოსლოვაკია დანებებოდა ჰიტლერს.

დასავლელი პოლიტიკოსები ელოდნენ, რომ ჰიტლერის მომდევნო მსხვერპლი იქნებოდა საბჭოთა კავშირი, მაგრამ ჰიტლერმა გადადგა ალოგიკური ნაბიჯი და იგი თავს დაესხა, მის სავარაუდო მოკავშირეს სტალინთან მომავალ ომში, პოლონეთს.

ახლა უკვე ინგლისი ვერ დარჩებოდა გულგრილი და ვალდებული იყო ომში ჩაბმულიყო, იმისდა მიუხედავად, თუ რა მზაობა ჰქონდა მისთვის. რატომ? იმიტომ რომ დიდი ბრიტანეთი იყო დიდი იმპერია, რომელშიც მზე არასოდეს ჩადიოდა. მაგრამ ამ იმპერიის სათავე იყო ევროპის სანაპიროებთან მდებარე კუნძული. ამიტომაც თუ ბებერ კონტინენტზე ძალიან ძლიერი სახელმწიფო გამოჩნდებოდა, მას ძალუძდა კუნძულის ხელში ჩაგდება და ეს იქნებოდა იმპერიის დასასრული! ამიტომაც, ნებისმიერ დროში, ინგლისის პოლიტიკა აგებული იყო ევროპის წონასწორობაზე. რათა თავიდან აეცილებინა კონტინენტზე ძალიან ძლიერი ალიანსის მომწიფება სხვა ალიანსთან წონასწორობის გარეშე. როგორც ავღნიშნეთ ინგლისის პოლიტიკა ოდითგანვე ასეთი იყო, კონტინენტზე თუ რაიმე კავშირის საშიშროება არსებობდა (და ის ძალიან ძლიერი გახდებოდა), ბრიტანეთი უერთდებოდა სხვას. ნაპოლეონის საფრანგეთი, როდესაც გაძლიერდა - ბრიტანეთი მიემხრო რუსეთს, ხოლო გერმანია საფრანგეთის წინააღმდეგ დადგა. 1914 წლისთვის გაძლიერდა გერმანია. ბრიტანეთი საფრანგეთისა და რუსეთის მხარეს აღმოჩნდა გერმანიის წინააღმდეგ.

მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე სტალინს ორასამდე აქტიური დიპლომატიური მოლაპარაკება ჰქონდა არა მხოლოდ გერმანიის, არამედ პოლონეთის, ფინეთისა და იტალიის ლიდერებთან. ყველა ამ შემთხვევაში საქმე ჰქონდა არა იმდენად მთავრობებთან, რამდენადაც ამ ქვეყნების კონკრეტულ ლიდერებთან - კოლორიტულ და გამორჩეულ ადამიანებთან, რომ-

ლებიც, ჯუღაშვილი-სტალინისაგან განსხვავებით, დიპლომატიური ცხოვრების ბევრი ზიგზაგი ჰქონდათ გამოვლილი.

ლ. ბერიას მოადგილე პავლე სუდოპლატოვის მოგონებით: „1939 წლის ოქტომბერში დაზვერვის უფროს ფიტინთან და ბერიას მოადგილე მერკულოვთან ერთად მონაწილეობა მივიღე ვ. მოლოტოვთან, მის კრემლის კაბინეტში გამართულ თათბირში. იქ იყვნენ გენერალური შტაბის ოპერატიული სამმართველოს უფროსი, გენერალ-მაიორი ვასილევსკი (თავდაცვის მინისტრი 1950-იან წლებში), სახალხო კომისრის მოადგილე პოტიომკინი, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ბორისოვი, საზღვაო ძალების შტაბის უფროსი ადმირალი ისაკოვი, სასაზღვრო ჯარების უფროსი გენერალი მასლენიკოვი და სამხედრო დაზვერვის უფროსი გენერალ-მაიორი პანფილოვი.

დღის წესრიგში იდგა ერთი საკითხი - ბალტიისპირეთში საბჭოთა კავშირის სტრატეგიული ინტერესების დაცვა. მოლოტოვს სურდა ჩვენი აზრების მოსმენა. შეხვედრაზე მოლოტოვმა თქვა:

- ჩვენ გერმანიასთან გვაქვს შეთანხმება, რომ ბალტიის რეგიონი განიხილება, როგორც საბჭოთა კავშირის ყველაზე მნიშვნელოვანი ინტერესების რეგიონი. თუმცა, ცხადია, - განაგრძო მოლოტოვმა, - რომ მიუხედავად იმისა, რომ გერმანიის ხელისუფლება ამას პრინციპულად აღიარებს, ისინი არასდროს დათანხმდებიან იქ რაიმე „კარდინალურ სოციალურ გარდაქმნაზე", რომელიც შეცვლის ამ სახელმწიფოების სტატუსს და მათ შესვლას საბჭოთა კავშირში. უფრო მეტიც, საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ ბალტიისპირეთში სსრკ-ს ინტერესების დაცვისა და უსაფრთხო საზღვრის შექმნის საუკეთესო გზა არის მშრომელთა მოძრაობის დახმარება, რათა მათ დაამხონ თავიანთი მარიონეტული რეჟიმები.

ამ განცხადებიდან ზუსტად გაირკვა, თუ როგორ უნდა გაგვეგო ჰიტლერთან შეთანხმება. ამასთან, 1939 წლის შემოდგომის ბოლოს ახალი სტიმული შეიქმნა ბალტიისპირეთში ჩვენი პოლიტიკური, ეკონომიკური, სამხედრო და სადაზვერვო ოპერა-

ციების გასააქტიურებლად. შვედეთისა და ბერლინის სადგურებიდან მივიღეთ გადამოწმებული და სანდო ინფორმაცია იმის შესახებ, რომ გერმანელები გეგმავდნენ მაღალი დონის ეკონომიკური დელეგაციების გაგზავნას რიგასა და ტალინში გრძელვადიანი შეთანხმებების გასაფორმებლად. ამრიგად, ბალტიისპირეთი იქნებოდა გერმანიის პოლიტიკური და ეკონომიკური ქოლგის ქვეშ. დეპეშებს ბერლინიდან და შვედეთიდან ორი ხელმოწერით აგზავნიდნენ - ელჩი და რეზიდენტი, რაც ძალზე იშვიათი იყო და ნიშნავდა, რომ ინფორმაციას მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა ჰქონდა"[69].

****

გასართობი ჩანართი


ევროპულმა ლიბერალურ-პრაგმატულმა პოლიტიკამ, ხშირად მათივე ლიდერები მიიყვანა გამოუვალ მდგომარეობამდე, იქამდე, როდესაც მათ თავისივე ხელებით გაყიდეს ის ფასეულობები, რასაც წარსულში თავად ქადაგებდნენ.

1938 წლის 29 სექტემბერს ხელი მოეწერა მიუნხენის ხელშეკრულებაზე, რომელსაც უწოდებენ ე.წ. „ევროპის სირცხვილს".

1938 წლის 29 სექტემბერს საფრანგეთმა, იტალიამ და დიდმა ბრიტანეთმა, ნაცისტურ გერმანიას გადაულოცეს ჩეხოსლოვაკია, ხოლო ჩეხოსლოვაკიის პრეზიდენტს ედუარდ ბენეშს იმის უფლებაც კი არ მისცეს, რომ იმ ოთახში დასწრებოდა კონფერენციას, სადაც მისი ქვეყნის ბედი წყდებოდა. როდესაც საბოლოო გეგმა შეიმუშავეს, ამ დროს ოთახში შევიდა ჩეხოსლოვაკიის დელეგაცია, ისინი ფაქტის წინაშე დადგნენ. ჩეხების დელეგაციის წევრმა, ნოვოტნიმ შესძახა:

- ასე როგორ შეიძლება?!

- აბა, ომი გინდათ ? - ღვარძლიანად შეეკითხა ჰიტლერი.



ედუარდ ბენეში

- მეგობრებო, დამიჯერეთ, მშვიდობას არაფერი სჯობს, - გაუბედავად წარმოთქვა ჩემბერლენმა.

- ეს დაუშვებელია! - ნოვოტნის ხმა აუკანკალდა, - თქვენ ჩეხების ბედი მათ გარეშე გადაწყვიტეთ! მე პროტესტს ვაცხადებ!

- იცით, რას გეტყვით ? - დაიყვირა დალადიემ, - ცოტა ჭკუას მოუხმეთ! არც ერთი ფრანგი ან ინგლისელი ჯარისკაცი თქვენი გულისათვის არ იომებს! რა ბავშვივით ჯიუტობთ? გამოთაყვანდით თუ რა ?!

ნოვოტნი პრეზიდენტ ბენეშს დაუკავშირდა. ბენეშმა ტერიტორიების დათმობაზე უარი განაცხადა. მაშინ მას ჯერ ჩემბერლენი, შემდეგ დალადიე დაელაპარაკნენ:

„თქვენ მარტონი ხართ, გესმით?! - გაჰკიოდა დალადიე, - თუ გაჯიუტდებით, რაც მოგივათ, თქვენს თავს დააბრალეთ! ‘‘‘

ამის შემდეგ ბენეში დათანხმდა. ასე გაყიდეს ჩეხოსლოვაკია ევროპის მაშინდელმა „დემოკრატიის მამებმა“...

* * * * * *

პ. სუდოპლატოვი აგრძელებს: „შეგვკრიბა ბერიამ და გვითხრა - ევროპა ახლა ომის ცეცხლშია და დაზვერვის ამოცანები არსებულ პირობებში, სულ სხვა გახდა. მან მოიყვანა სტალინის ციტირება, რომელიც მოითხოვდა დაზვერვის ოპერატორების აქტიურ მონაწილეობას პოლიტიკურ ზონდირებაში და სხვა სახელმწიფოების მმართველ წრეებში ნებისმიერი კონფლიქტის გამოყენებას. ეს არის წარმატების გასაღები მარიონეტული სახელმწიფოების ამჟამინდელი მთავრობების დამხობისათვის, რომლებმაც თავიანთი ე. წ. დამოუკიდებლობა გამოაცხადეს 1918 წელს გერმანული ხიშტების ქვეშ.

ამ ტირადისგან მაშინვე მივხვდით, რომ ის ბალტიის ქვეყნებს გულისხმობდა. „გერმანელები როგორც ადრე, ისე ახლაც, - განაგრძო ბერიამ, ბალტიისპირეთს თავიანთ პროვინციებად მიიჩნევდნენ, ისინი მათ გერმანიის იმპერიის კოლონიებად თვლიან. ჩვენი ამოცანაა ინგლისსა და შვედეთს შორის არსებულ წინააღმდეგობებზე ვითამაშოთ ამ რეგიონში. - ამ სიტყვებზე ის ჩემი მიმართულებით შემოტრიალდა - სწორად იფიქრეთ ყველაფერზე და დაუყოვნებლივ გამოიძახეთ ჩიჩაევი მოსკოვში. შემდეგ შეატყობინეთ თქვენს მოსაზრებები, საჭირო მატერიალური რესურსების გათვალისწინებით. ვადა სამი დღეა“[69, 117].

თავდაჯერებული კითხვის დასმა და თამამი გზა ასახავდა სტალინის, მოლოტოვისა და ბერიას მიერ პაქტის ხელმოწერის შემდეგ დემონსტრირებულ ახალ აზროვნებას, რაც აშკარად მატებდა მათ საკუთარი შესაძლებლობებისადმი ნდობას. იმ რეგიონებში, რომლებიც ახლა ოფიციალურად შევიდნენ საბჭოთა კავშირის ინტერესების სფეროში. ამიტომაც „ჩვენ დავიწყეთ რადიკალურად ახალი აქტიური პოლიტიკა. რათა გავლენა მოგვეხდინა ამ სახელმწიფოთა მთავრობების შიდა კურსზე“[69, 118].

* * * * *

გასართობი ჩანართი

ბულგარეთის მეფის ბორის მესამისა და ადოლფ ჰიტლერის მძიმე და დამღლელი პოლიტიკა. ბულგარეთი ჰიტლერის მხარდამხარ თუ პირისპირ ?!

ნაცისტების მიერ პოლონეთში შეჭრისთანავე დაიწყო მეორე მსოფლიო ომი, ფერდინანდის მემკვიდრემ დიდი ნებისყოფის მქონე ბორის მესამემ (1935-1943) ნეიტრალიტეტი გამოაცხადა, თუმცა როცა პარიზი დაეცა მისი შენარჩუნება ძლიერ გაძნელდა, ამიტომაც ბორის მესამემ გადაწყვიტა შეერთებოდა ღერძის სახელმწიფოების (გერმანია-იტალია-იაპონია) პაქტს. ღერძთან მიკედლებით, ბულგარეთმა უმტკივნეულოდ შეიერთა მაკედონია, თრაკია და დობრუჯა.

ნაცისტებთან ურთიერთობა ადვილი არ იყო, რამაც საბოლოოდ შეიწირა კიდეც ბულგარეთის მეფე. როდესაც გეგმა ბარბაროსა დაიწყო და ნაცისტური არმია სსრკ-ში შეიჭრა, ნაცისტებმა განსაკუთრებით აამოქმედეს ბულგარეთში დაზვერვა. აბვერის (გერმანული დაზვერვისა და კონტრდაზვერვის სახელწოდება) შეფმა ვილჰელმ კანარისმა შეხვედრაზე მიიწვია ბორის მესამე და მასთან ერთად გამართულმა დიალოგში ბორისს მიანიშნა თუ რას მოსთხოვდა მას ჰიტლერი, ბერლინში ვიზიტის დროს. ეს ვიზიტიც შედგა და ჰიტლერმა ბორისს კატეგორიულად მოსთხოვა ბულგარულ არმიას ბრძოლა დაეწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ და ღერძის სახელმწიფოების ალიანსისათვის თავისი წევრობის „ფოროსი" (მსხვერპლი) გაეღო. მაგრამ ბულგარეთს, რომელიც სლავური სახელმწიფო იყო, არ სურდა ხელი აღემართა მოძმე სლავების, რუსების წინააღმდეგ, ამიტომაც მან ჰიტლერს მოახსენა, რომ ამ დროისათვის ბულგარული არმია მწყობრში არ იყო და ბრძოლაში ჩართვის შემთხვევაში ის უფრო მეტ პრობლემებს შექმნიდა, ვიდრე გადაჭრიდა. ჰიტლერმა ბოროტად გაიცინა და ხელი გაუწოდა ბორისს და თანაც კარებისაკენ მიუთითა. შეხვედრა დასრულდა, თანაც ისე, რომ ორივე მხარე უკმაყოფილო იყო. ვილჰელმ კანარისი, აბვერის შეფი ჰიტლერს აცნობებდა- ბულგარეთში აშკარად შეინიშნებოდა პროსაბჭოური ლობი, როგორც ქვეყანაში ისე სეიმში.



ბულგარეთის მეფე ბორის III

თუმცა ნაცისტები მარტო არ იყვნენ, მათ მხარში ედგათ ბულგარეთის სამხედრო მინისტრი გენერალი ხრისტო ლუკოვი. თუ ბორის მესამე ნეიტრალიტეტის მომხრე იყო, ხრისტო ლუკოვს ნაცისტების მხარდამხარ ბრძოლის იდეა მოსწონდა. ვინ იცის თუ რას ფიქრობდა ხრისტო ლუკოვი, კაცი, რომელიც დღეს ბულგარელთა სათაყვანებელი პერსონაა და მისი დაბადების დღეს დღესაც კი სახალხო ყრილობით აღნიშნავენ ბულგარელები.. საბოლოოდ ხრისტო ლუკოვი მოკლეს ეს იყო პოლიტიკური მკვლელობა, ლუკოვის მკვლელობით გაანეიტრალეს პრონაცისტური ძალა.

დიდად საეჭვო ვითარებაში დაიღუპა მეფე ბორისიც. იგი ჰიტლერთან მორიგი მოლაპარაკებიდან დაბრუნებული, რაც მან უარი განუცხადა ფიურერს აღმოსავლეთის ფრონტზე გაეგზავნა ბულგარელები, გულის ინფარქტით გარდაიცვალა 1943 წელს.

ამრიგად ბულგარეთში საბჭოთა აგენტურამ აშკარად აჯობა გესტაპოსა და აბვერის საქმიანობას, მაგრამ უნდა გავითვალისწინოთ, რომ სლავებმა სლავებს უერთგულეს.

*****

იმავე სუდოპლატოვის თქმით: „მოსკოვში ჩამოსვლის შემდეგ, რიგაში შინსახკომის რეზიდენტმა ჩიჩაევმა მოაგვახსენა ლატვიის მთავრობაში მკვეთრი განსხვავებებისა და ურთიერთობების დაძაბვის შესახებ - პირველ რიგში პრეზიდენტ ულმანისსა და სამხედრო მინისტრ ბალოდისს შორის. ამ კონფლიქტმა შეარყია არსებული რეჟიმის სტაბილურობა, რომელიც უკვე ორმაგ ზეწოლას განიცდიდა - საბჭოელებისა და გერმანელების მხრივ. გერმანელები, ბუნებრივია, ეყრდნობოდნენ თავიანთ ერთგულ მომხრეებს ეკონომიკური მენეჯმენტის სტრუქტურებში და ბიზნეს წრეებში, ხოლო ჩვენ გავლენას ვთვლიდით მემარცხენე ჯგუფებში, რომლებიც კომუნისტურ პარტიასთან და პროფკავშირებთან ასოცირდებოდნენ., ლატვია, ისევე, როგორც სხვა ბალტიისპირეთის ქვეყნები, არსებითად ბუფერული ზონა იყო ჩვენსა და გერმანიას შორის“[69, 180].

ვ. მოლოტოვის კრემლის კაბინეტში ასევე განიხილეს ლატვიაში ფართო კოალიციის შექმნის გეგმა, რომელიც მთავრობაში წარმოდგენილი უნდა ყოფილიყო, როგორც გერმანიის, ასევე საბჭოთა ინტერესებით. მისი გაცნობის შემდეგ, ლატვიის პრეზიდენტი ულმანისი ამის კატეგორიული წინააღმდეგი გახდა, ხოლო საგარეო საქმეთა მინისტრმა ვილჰელმ მუნტერსმა მოულოდნელად მოიწონა ეს იდეა. რესპუბლიკაში ვითარება მწვავდებოდა, რადგან საგაფიცვო მოძრაობა, რომელსაც საბჭოთა კავშირი უჭერდა მხარს, სულ უფრო და უფრო ფართოვდებოდა. იმავდროულად გაღრმავდა ომის დაწყებით გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი. შეწყდა რეგიონის ტრადიციული სავაჭრო კავშირები ბრიტანეთთან და დასავლეთ ევროპასთან. ეს კი ხელსაყრელ პირობებს ქმნიდა კრემლისათვის.

ამასობაში ჩიჩაევი და ვეტროვი(რიგაში საბჭოთა საელჩოს მრჩეველი), ჩამოვიდნენ მოსკოვში. ვეტროვმა კრემლს შეთავაზა ეთამაშა მუნტერსის პირადი ამბიციებზე, რომლის რეპუტაცია რიბენტროპთან ხშირი შეხვედრების გამო ბერლინში საკმაოდ

სტაბილური იყო. რაც შეეხება ულმანისს, მის მთავრობას განსაკუთრებული პოპულარობა არ ჰქონდა ერთი მხრივ, ეკონომიკურ სფეროში შეცდომების, და იმ მომრიგებელი პოზიციის გამო, რომელიც მან დაიკავა რიგაში შოვინისტ გერმანელ ბიზნესმენებთან მიმართებაში. ჰიტლერის ამ ვაჭრებმა იყიდეს ყველაფერი ღირებული, რაც რესპუბლიკაში იყო. ისინი ფართოდ იყენებდნენ უპირატესობებს, რომლებიც ლატვიასა და დასავლეთ ევროპას შორის სავაჭრო ურთიერთობების შეწყვეტის გამო მათთვის გაიხსნა. სხვათა შორის, ლატვიური ექსპორტის დაახლოებით სამოცდაათი პროცენტი გერმანიაში გავიდა - ძირითადად დემპინგურ ფასებში. ეს ცნობილი გახდა ბერიასა და მოლოტოვსათვის. სახელდობრ ის, რომ ლატვიის მთავრობა ეყრდნობოდა არა იმდენად რეგულარული სამხედრო ფორმირებების მხარდაჭერას, რამდენადაც დამხმარე პოლიციის განყოფილებებს, რომლებიც ძირითადად ფერმერების შვილებისა და მცირე მოვაჭრეებისგან შედგებოდა.

სტალინის პირადი დაცვის უფროსის მოადგილის, მიხეილ თევდორაძის შეფასებით, რომელიც კარგად იცნობდა მოვლენათა განვითარებას - „მეორე მსოფლიო ომის წინა პერიოდი (1938-1939 წლები), ისევე, როგორც საბჭოთა კავშირ-გერმანიის ომის წინა პერიოდი (1939-1941 წლები) ურთულესი იყო თავისი შინაარსით. დღემდე ბურუსითაა მოცული „საიდუმლო დიპლომატიის" ბევრი მნიშვნელოვანი მოვლენა. ამ ეპოქის დიდ პოლიტიკას ევროპაში წარმართავდნენ: გერმანია, ინგლისი, საფრანგეთი, იტალია და საბჭოთა კავშირი. ევროპაში განვითარებულ მოვლენებსა და საერთაშორისო ურთიერთობებზე დიდ გავლენას ვერ ახდენდა ამერიკის შეერთებული შტატები, კიდევ უფრო სუსტი იყო იაპონიის გავლენა. მეოცე საუკუნის 20-იანი წლები და, 30-იანი წლებიც კი, ისე მიიწურა, რომ უფრო თვალშისაცემი იყო ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირისა და ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის დაპირისპირება. გერმანია-საბჭოთა კავშირის წინააღმდეგობათა სიმწვავე თითქმის არ შეიმჩნეოდა. თუმცა,

ყველა დიდმა პოლიტიკოსმა მშვენივრად იცოდა, რომ, საბოლოოდ, ერთმანეთის წინააღმდეგ აღმოჩნდებოდნენ ნაცისტური გერმანია და საბჭოთა კავშირი. ეს ჭეშმარიტება უპირველესად, კარგად იცოდნენ ადოლფ ჰიტლერმა და იოსებ სტალინმა. თუმცა, ორივე დიქტატორი ამ ჭეშმარიტებას გარკვეულ დრომდე საგულდაგულოდ მალავდა. ევროპის დიდი სახელმწიფოების ფარული და აშკარა დაპირისპირება, რომელიც პირველი მსოფლიო ომის (1914-1918 წლები) დამთავრებისთანავე დაიწყო, რაღაც ეტაპზე კვანძის გახსნით უნდა დასრულებულიყო. ერთ-ერთი ასეთი მოვლენა იყო მიუნჰენის შეთანხმება (1938 წლის სექტემბერი). ადოლფ ჰიტლერმა საწადელს მიაღწია და ამ შეთანხმებით ინგლის-საფრანგეთი აიძულა ჩეხოსლოვაკიის დიდი ნაწილის გერმანიისთვის გადაცემაზე დათანხმებულიყო. ასე დასრულდა ინგლის-საფრანგეთ-გერმანიის დაპირისპირების დიდი ეტაპი. ამ მოვლენებიდან თითქოს განზე იდგა იოსებ სტალინი. ერთი შეხედვით, მისთვის ჩეხოსლოვაკიის ხარჯზე გერმანიის გაძლიერება მიუღებელი უნდა ყოფილიყო. მაშ, რატომ იჩენდა ინერტულობას სტალინი მიუნჰენის შეთანხმების დადებისას?! საქმე ისაა, რომ იოსებ სტალინმა მიუნჰენის შეთანხმებით მიაღწია იმას, რომ ინგლის-საფრანგეთის დაპირისპირება გერმანიასთან უკიდურესად გამწვავდა. ევროპაში ძალზე შეილახა ინგლისისა და საფრანგეთის ავტორიტეტი, ხოლო გერმანიის პოლიტიკა კიდევ უფრო აგრესიული გახდა, რაც ავსტრიის ანშლიუსით (გერმანიასთან ავსტრიის შეერთებით) დამთავრდა. ყველა შემთხვევაში იოსებ სტალინი მოგებული დარჩა. ერთი მხრივ, ინგლის-საფრანგეთის მთავრობები უნდა მიმხვდარიყვნენ, რომ საბჭოთა კავშირის გარეშე მათ გერმანიის აგრესიის აღკვეთა არ შეეძლოთ. მეორეს მხრივ, მიუნჰენის შეთანხმების პერიოდში სტალინის ინერტულობით კმაყოფილი უნდა დარჩენილიყო ჰიტლერი. მიუნჰენის შეთანხმებით დამყარებული წონასწორობა დიდხანს არ შეიძლებოდა გაგრძელებულიყო. ინგლის-საფრანგეთის მთავრობები იძულებულები იყვნენ, საბჭოთა კავშირთან რაიმე ფორმით დაახ-

ლოების გზები ეძებნათ. საბჭოთა კავშირ-ინგლის-საფრანგეთის დაახლოება კი სასიკვდილო საფრთხეს უქმნიდა გერმანიას. ამიტომაც, თავის მხრივ, გერმანიაც დაინტერესებული უნდა ყოფილიყო საბჭოთა კავშირთან დაახლოებით. დაიწყო ახალი დიპლომატიური თამაშები, რაც უკვე იოსებ სტალინის სცენარით და რეჟისურით წარიმართა.

საერთაშორისო ურთიერთობებში მორიგი კვანძი გაიხსნა 1939 წლის გაზაფხულზე, როცა მოსკოვში დაიწყო საბჭოთა კავშირ-ინგლის-საფრანგეთის მოლაპარაკება. მოსკოვის მოლაპარაკება იყო ორივე მხრიდან არაგულწრფელობის ნიმუში – როგორც გაირკვა, არც ერთი მხარე გერმანიის აგრესიის აღსაკვეთად არანაირი ვალდებულების აღებას არ აპირებდა. ან, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ, ინგლის-საფრანგეთი საბჭოთა კავშირის ძალებით ცდილობდა გერმანიის აგრესიის შეჩერებას, ხოლო საბჭოთა კავშირი – პირიქით. უფრო მარტივად რომ ვთქვათ, მოლაპარაკების ორივე მხარე გერმანიის დაშინებას და აქედან სარგებლობის მიღებას ცდილობდა. მოსკოვის მოლაპარაკება თითქმის 6 თვე გაგრძელდა, რეალური შედეგი კი არ ჩანდა. მოსკოვში ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების პარალელურად, სტალინი ფარულ მოლაპარაკებას აწარმოებდა გერმანიასთან. ამ მოლაპარაკებაში პირობებს სტალინი ჰკარნახობდა, რადგან, თუ გერმანია გაჯიუტდებოდა, სტალინი ჰიტლერს საბჭოთა კავშირ-ინგლის-საფრანგეთის შეთანხმებით დააშინებდა. ეს კოზირი სტალინმა ბოლომდე კარგად გამოიყენა და ინგლის-საფრანგეთ-საბჭოთა კავშირით შეშინებული გერმანია აიძულა, ბევრ დათმობაზე წასულიყო.

სრულიად მოულოდნელად, 1939 წლის აგვისტოში, მოსკოვში ჩამოვიდა გერმანიის საგარეო საქმეთა მინისტრი იოახიმ ფონ რიბენტროპი და 23 აგვისტოს ხელმოწერილი იქნა საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულება 10 წლის ვადით. საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო ინგლისი და საფრანგეთი. ამ სახელმწიფოებისთვის ეს ხელშეკრულება სასიკვდილო საფრთხ-

ეს წარმოადგენდა. ინგლის-საფრანგეთის დიპლომატიამ აშკარად წააგო – ვერც საბჭოთა კავშირთან მოაგვარა ურთიერთობა და ვერც გერმანიასთან. ამიერიდან დიდ პოლიტიკაში ინგლისი და საფრანგეთი მაყურებლის როლში უნდა დარჩენილიყვნენ. ევროპის ბედი საბჭოთა კავშირისა და გერმანიის ხელში აღმოჩნდა. საბჭოთა კავშირ-გერმანიის თავდაუსხმელობის ხელშეკრულებაში უმთავრესი იყო გავლენის სფეროების გადანაწილება. ამ ხელშეკრულებით სტალინმა მიიღო უფლება, დაეპყრო ლიტვის, ლატვიისა და ესტონეთის დამოუკიდებელი სახელმწიფოები. ორად გაიყო პოლონეთი. პოლონეთის ტერიტორის ის ნაწილი, რომელიც მდინარე ვისლის აღმოსავლეთით მდებარეობდა, საბჭოთა კავშირს ერგო, ხოლო ვისლის დასავლეთით მდებარე ტერიტორიები – გერმანიას. ვარშავის ის ნაწილი, რომელიც ვისლის მარცხენა ნაპირზე მდებარეობდა გერმანიას უნდა დარჩენოდა, ხოლო ის ნაწილი, რომელიც მდინარის მარჯვენა მხარეზე მდებარეობდა – საბჭოთა კავშირს. გერმანიამ მიიღო თავისუფალი მოქმედების უფლება დასავლეთ ევროპაში. პრაქტიკულად, ევროპა ორ სახელმწიფოს შორის გადანაწილდა.

1939 წლის 1 სექტემბერს გერმანია თავს დაესხა პოლონეთს, 17 სექტემბერს პოლონეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო საბჭოთა კავშირმაც. ჰიტლერმა სტალინს უმუხთლა და მდინარე ვისლის აღმოსავლეთი ტერიტორია მთლიანად არ დაუთმო. საბჭოთა კავშირს დარჩა მხოლოდ დასავლეთ უკრაინა და დასავლეთ ბელორუსია, რომელიც ომის დაწყებამდე პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენლობაში იყო. სტალინმა ჰიტლერის ვერაგობა არ შეიმჩნია და რევანშის ასაღებად უკეთეს დროს დაელოდა. ჰიტლერმაც კარგად უწყოდა, რომ სტალინი ორპირობას არ აპატიებდა.

საბჭოთა კავშირ-გერმანიის შეთანხმებას შეეწირა საფრანგეთი, რომლის ოკუპაციაც 1940 წელს გერმანიამ მოახდინა. უმძიმეს მდგომარეობაში აღმოჩნდა ინგლისიც. გერმანიის ავიაციამ დიდი ზიანი მიაყენა ინგლისის ქალაქებსა და სამრეწველო ცენტრებს, მათ შორის – ლონდონსაც. მიუხედავად ამისა,

ინგლისმა საფრანგეთის ბედი არ გაიზიარა. უინსტონ ჩერჩილს გერმანიასთან მორიგებაზე არც კი უფიქრია. ინგლისი ბრძოლას განაგრძობდა. აშკარა იყო, რომ გერმანია ინგლისის კაპიტულირებას ვერ შეძლებდა. საბჭოთა კავშირ გერმანიის 1939 წლის 23 აგვისტოს შეთანხმების ძალით, ინგლისთან ომში ჩაბმული გერმანიისთვის სამხედრო და პოლიტიკური მხარდაჭერა უნდა აღმოეჩინა საბჭოთა კავშირს. ინგლის-გერმანიის ომი გრძელდებოდა, სტალინი კი დანაპირების შესრულებას არ ჩქარობდა. გაბოროტებული ჰიტლერი მიხვდა, რომ წააგო, მაგრამ, უკან დასახევი გზა აღარ ჰქონდა. 1940 წლის შემოდგომაზე ბერლინში საბჭოთა დელეგაცია ჩავიდა ვიაჩესლავ მოლოტოვის ხელმძღვანელობით. სტალინმა კარტი გახსნა: ვიაჩესლავ მოლოტოვმა იოახიმ ფონ რიბენტროპს უარი უთხრა ინგლისის წინააღმდეგ ომში დახმარებაზე. ინგლისის დიპლომატია, ტრადიციულად, ხელმძღვანელობდა პრინციპით: „ინგლისს არ ჰყავს არც მუდმივი მტრები და არც მუდმივი მეგობრები, ინგლისს აქვს მუდმივი ინტერესები". ეს პრინციპი შესანიშნავად გამოიყენა სტალინმა როგორც ინგლისელებისა და ფრანგების, ისე გერმანელების წინააღმდეგ. სტალინისთვის ინგლისი, საფრანგეთი და გერმანია მეგობრები ან მტრები იყვნენ იმის მიხედვით, თუ როდის როგორ სჭირდებოდა ეს საბჭოთა კავშირს.

საბჭოთა კავშირის უარი გერმანიისთვის ინგლისის წინააღმდეგ ომში დახმარებაზე ხსნა იყო ინგლისისათვის. უინსტონ ჩერჩილი იოსებ სტალინთან დაახლოების გზების ძიებას შეუდგა. თუმცა, ამ ორ ქვეყანას შორის დიდი ხნის განმავლობაში არსებულმა დაპირისპირებამ და უნდობლობამ ეს პროცესი დროში გაწელა. ცხადია ჰიტლერმაც იგრძნო საბჭოთა კავშირ-ინგლისის დაახლოების პერსპექტივა და სანამ ეს საშიში პერსპექტივა გერმანიისათვის რეალურ საფრთხედ იქცეოდა, მანამ რაღაც უნდა ეღონა, თუმცა სტალინმა ჰიტლერს არჩევანი არ დაუტოვა. საბჭოთა კავშირის დახმარების გარეშე ინგლისთან ომის გაგრძელება გერმანიისთვის უპერსპექტივო იყო. უპერსპექტივო იყო

იმიტომაც, რომ ინგლის-ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პოლიტიკური კავშირი, პრაქტიკულად, რეალობას წარმოადგენდა. სურდა თუ არ სურდა, ჰიტლერს ომი უნდა დაეწყო საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ – ეს სტალინის სცენარის ბოლო ნაწილი იყო. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომი გერმანიისთვის პერსპექტივაში ნიშნავდა ომს საბჭოთა კავშირის, ინგლისისა და ამერიკის წინააღმდეგ. ასე რომ, 1941 წლის 22 ივნისს ადოლფ ჰიტლერმა გადადგა ის საბედისწერო ნაბიჯი, რომელიც გერმანიის მესამე იმპერიის კრახით დასრულდა. სტალინმა ჰიტლერი პრაქტიკულად 1941 წლის 22 ივნისს გააკოტრა. ძნელი სათქმელია, ჰიტლერი ამას მაშინვე მიხვდა თუ არა. მოგვიანებით კი მიხვდა და, გაბოროტებულმა, სტალინი ასე შეაფასა: „ის უდიდესი მხეცია, ოღონდ, ვერაგობა აქვს ადამიანის".

მკვლევარ ლ. სვანიძის მოპოვებული მასალების მიხედვით ჰიტლერს „ბარბაროსას გეგმის განხორციელება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ადრე გაზაფხულიდან უნდა დაეწყო. სტალინი დარწმუნებული იყო ჰიტლერის მზაკვრულ განზრახვაში, მაგრამ დროის დეფიციტს განიცდიდა. 1940 წლის შემოდგომაზე სტალინმა ფინანსთა მინისტრ ზვერევს დაავალა, დაედგინა ევროპისა და აზიის ყველა ბაზარზე ცხვრის ტყავის ფასები სხვადასხვა პერიოდში. ზვერევმა არც კი იცოდა, რისთვის დასჭირდა სტალინს ცხვრის ტყავის ფასების დადგენა, მაგრამ, როდესაც მოპოვებული მასალა მიუტანა, სტალინმა თავისთვის ჩაილაპარაკა: „ვერაგი. ზამთრის ომისთვის არ ემზადება" ე.ი. ჯარისკაცების ქურქებისათვის ცხვრის ტყავს არ აგროვებსო[52].

როგორც კი სტალინმა შეიტყო, რომ ხანგრძლივი ომის შემთხვევაში, გერმანიის გენერალური შტაბი წვრთნებს ატარებდა ოპერატიულ-სტრატეგიულ და მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაზე, მან მაშინვე გასცა ბრძანება მოსკოვში გერმანიის სამხედრო ატაშეს გაეცნო ციმბირის სამრეწველო და სამხედრო ძლიერება. 1941 წლის აპრილში მას საშუალება მიეცა გამგზავრებულიყო ახალ სამხედრო ქარხნებში, რომლებიც აწარმოებდნენ

უახლეს ტანკებსა და თვითმფრინავებს. ბერლინში საბჭოთა რეზიდენტების საშუალებით, ავიაციისა და ეკონომიკის სამინისტროებში გავრცელდა ინფორმაცია, რომ საბჭოთა კავშირთან ომი ტრაგედიად იქცოდა ჰიტლერის ხელმძღვანელობისთვის, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, თუ ომი გაგრძელდებოდა და ის გერმანიისათვის ორ ფრონტზე გაიმართებოდა.

1941 წლის 10 იანვარს მოლოტოვმა და გერმანიის ელჩმა მოსკოვში შულენბურგმა ხელი მოაწერეს საიდუმლო ოქმს ლიტვაში ტერიტორიული საკითხების მოგვარების შესახებ. გერმანიამ უარი თქვა თავის ინტერესებზე ლიტვის ზოგიერთ რაიონში და იგი გაცვალა შვიდი მილიონ ამერიკულ დოლარად ღირებულ ოქროში[69].

ინფორმაციები გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის ომის დაწყების თარიღის შესახებ, რომელიც მოსკოვში მოდიოდა წინააღმდეგობრივი იყო. დიდი ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების სანდო წყაროებიდან მიღებული იყო ცნობები, რომ სსრკ-ზე გერმანიის თავდასხმის საკითხი დამოკიდებული იყო ბრიტანეთის მთავრობასთან საიდუმლო შეთანხმებაზე, რადგან გერმანიისათვის ორ ფრონტზე ომის წარმოება ძალიან საშიში საქმე იყო.

კრემლმა მიიღო მოხსენებები ვაშინგტონში თავისი სრულუფლებიანი წარმომადგენლისგან, ნიუ-იორკის მკვიდრ ჰოვაკიმიანისგან, იმის შესახებ, რომ ბრიტანელმა დაზვერვის ოფიცერმა მონტგომერი ჰაიდმა, რომელიც მუშაობდა უილიამ სტივენსონისთვის იმპერიის შტატის შენობაში, ბრიტანეთის უსაფრთხოების კოორდინაციის ცენტრში, მოახერხა ვაშინგტონში გერმანიის საელჩოსთან „იხვის ჩანერგვა“ ... დეზინფორმაცია გამაბთილებელი იყო. თუ ჰიტლერი ინგლისზე შეტევას გადაწყვეტდა, რუსები დაიწყებდნენ ომს ჰიტლერის წინააღმდეგ.

სუდოპლატოვის მოწმობით: „სამხედრო დაზვერვის ყველაზე საიმედო წყაროებიდან და შინსახკომიდან მიღებული ინფორმაციის გაანალიზებით, ნათელი გახდა, რომ ინფორმაციათა თითქმის ნახევარი 1941 წლის მაისამდე და ივნისამდეც კი დადასტურ-

და. დიახ, ომი გარდაუვალი იყო. მაგრამ მასალამ ასევე აჩვენა, რომ ჩვენთან დაპირისპირება დამოკიდებული იყო იმაზე, მოაგვარებდა თუ არა გერმანია ურთიერთობებს ინგლისთან. მოსკოვს ინგლისელი აგენტი კ. ფილბი ამცნობდა, რომ ბრიტანეთის კაბინეტი იმუშავებდა გერმანიის პროვოცირების გეგმას გერმანიასა და სსრკ-ს შორის დაძაბულობის გამწვავებისათვის. „შავ ბერტას“ საქმეში მოხსენიებული იყო ფილბიდან ან კეინკროსიდან მიღებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ ბრიტანელი აგენტები აშშ-ში ჭორების გავრცელებით იყვნენ დაკავებული გერმანიასა და საბჭოთა კავშირს შორის მოსალოდნელი ომზე. სავარაუდოდ, ომი სსრკ-ს უნდა დაეწყო და მოსკოვს სამხრეთ პოლონეთიდან უნდა მიეყენებინა პრევენციული დარტყმები გერმანელებისათვის. კრემლმა მიიღო ახალი მონაცემები იმის შესახებაც, თუ როგორ აღძრავდნენ შიშს ბრიტანელები გერმანიის მაღალი რანგის ხელმძღვანელებში საბჭოთა კავშირის ომისათვის მზადებასთან დაკავშირებით. მიღებული იქნა ასევე მონაცემები ბრიტანეთის წარმომადგენელთა ინტენსიური კონტაქტის შესახებ გერმანიის წარმომადგენლებთან, ევროპული სამხედრო კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების მიზნით“[69, 191].

იმავდროულად სტალინმა და მოლოტოვმა გადაწყვიტეს, რომ მინიმუმ გადაედოთ სამხედრო კონფლიქტი და 1938 წელს მიტოვებული გეგმის გამოყენებით შეეცადნენ სიტუაციის გამოსწორებას. ეს გეგმა ითვალისწინებდა იუგოსლავიის მთავრობის დამხობას, რომელმაც ჰიტლერთან თანამშრომლობის ხელშეკრულება გააფორმა. 1941 წლის მარტში სამხედრო დაზვერვამ და შინსახკომმა თავიანთი რეზიდენტების მეშვეობით აქტიურად დაუჭირეს მხარი ბელგრადში პროგერმანული მთავრობის წინააღმდეგ შეთქმულებას. ამრიგად, მოლოტოვსა და სტალინს იმედი ჰქონდათ, რომ გააძლიერებდნენ სსრკ სტრატეგიული პოზიციებს ბალკანეთში. მათი აზრით, ახალ ანტიგერმანულ მთავრობას ხელეწიფებოდა შეეჩერებინა იტალიისა და გერმანიის ოპერაციები საბერძნეთში.

* * * * * *

გასართობი ჩანართი

1940 წლის 10 ივნისს იტალიამ ომი გამოუცხადა საფრანგეთსა და დიდი ბრიტანეთს. იტალია „ღერძის ბლოკის“ მხარდამხარ უკვე ოფიციალურად ჩაერთო მეორე მსოფლიო ომში. მუსოლინის მიზნებს ბალკანეთის დაპყრობა და კოლონიების გადანაწილება გულისხმობდა. ალბანეთზე თავდასხმა მუსოლინის იტალიურ ნაწილებს არ გაჭირვებიათ, ხოლო როდესაც საბერძნეთს შეუტიეს, ბერძნებმა დაამარცხეს იტალიურ დივიზიები და სულ მალე კონტრშეტევაზეც კი გადავიდნენ. უიმედოდ დარჩენილმა ბენიტო მუსოლინიმა დასახმარებლად მის მოკავშირე ადოლფ ჰიტლერს მიმართა. ჰიტლერმა კი ვერმახტის მესვეურებს ბალკანეთის ნახევარკუნძულის დაპყრობის დირექტივა მისცა დაიწყო ოპერაცია - „მარიტა“. აპრილის ბოლოსთვის ვერმახტმა მთელი საბერძნეთი დაიპყრო. ჰიტლერს მოკავშირე წინ გადაეღობა და რუსეთზე თავდასხმის გეგმები დიდი ვადით გაუწელა, რამაც არა მარტო ოპერაციის ბედზე, არამედ ვერმახტის ჯარისკაცებზეც ცუდად იმოქმედა. რომ არა მუსოლინი და რომ არა ბალკანეთის ოპერაცია, ჰიტლერი სულაც არ დააპირებდა იუგოსლავიისა და საბერძნეთის დაპყრობას. ჰიტლერმა იუგოსლავიის მთავრობას ომამდე მოკავშირეობა შესთავაზა, ანუ მას ვერმახტის ნაწილების ბალკანეთში გადასროლა არ სურდა. ვერმახტი, ხომ რუსეთზე თავდასასხმელად ემზადებოდა?! მიუხედავად ამისა მუსოლინის და ჰიტლერის მეგობრობა სიკვდილის ბოლომდე გაგრძელდა.

* * * * *

დიპლომატიის უდიდესი უნარისა და ინფორმირებულობის უმაღლეს დონეს წარმოადგენდა 1940 წლის 27 სექტემბერს ტოკიოში იაპონიის, გერმანიისა და იტალიის მიერ გაფორმებული სამხედრო პაქტი. მომდევნო წლის 25 მარტს ვენაში ჩავიდნენ იუგოსლავიის პრემიერმინისტრი დრაგიშა ცვეტოვიჩი და საგარეო საქმეთ მინისტრი მარკოვიჩი, რომლებმაც ხელი მოაწერეს სამთა კავშირთან შეერთებას. 28 მარტს, როდესაც ისინი უკან ბრუნდებოდნენ, საზღვრის გადაკვეთისთანავე მარკოვიჩი დააპატიმრეს იუგოსლავიის უშიშროების ორგანოებმა. წინა დღეს ბელგრადში

სახელმწიფო გადატრიალება მოხდა ავიაციის გენერალ დუშან სიმოვიჩის ხელმძღვანელობით, რომელიც ჩაუდგა კიდეც სათავეში ხელისუფლებას. 5 აპრილს კი, გადატრიალებიდან ერთი კვირის თავზე, პრესაში გამოქვეყნდა საბჭოთა კავშირ-იუგოსლავიის მეგობრობისა და თავდაუსხმელობის ხელშეკრულება. მაშინ კი მიხვდა ჰიტლერი, ვინ მოაწყო ანტიგერმანული გადატრიალება ბელგრადში, მაგრამ გვიანღა იყო, ამიტომ მისი ბრძანებით საბერძნეთის წინააღმდეგ მიმართულ ოპერატიულ გეგმა „მარიტას" დაუმატეს იუგოსლავიაც და 6 აპრილს ორივე ქვეყნის წინააღმდეგ დაიწყეს საომარი მოქმედება". ასე გადაიდო „ბარბაროსას" დაწყების თარიღი მთელი 6 კვირით, - დასძენს პროფესორი ლევან სვანაძე[52].

აი რას წერს სუდოპლატოვი: „სამხედრო დაზვერვის უფროსის მოადგილე, გენერალ-მაიორი მილშტეინი გაგზავნეს ბელგრადში, რათა დახმარებოდა პროგერმანული მთავრობის სამხედრო დამხობაში. მოსკოვში საგარეო საქმეთა სამინისტროს დახმარებით შევძელით საბჭოთა კავშირში იუგოსლავიის ელჩის გავრილოვიჩის „დავერბოვკება". ჩვენ მივიღეთ შთაბეჭდილება, რომ ის ორმაგ თამაშს თამაშობდა, რადგან ყოველ კვირას უკავშირდებოდაა ბრიტანეთის წარმომადგენლებს მოსკოვში.

გადატრიალებიდან ერთი კვირის შემდეგ, ბელგრადში ახალ მთავრობასთან გავაფორმეთ ურთიერთდახმარების პაქტი. ჰიტლერის რეაქცია ამ გადატრიალებაზე სწრაფი და ძალზე ეფექტური იყო. 6 აპრილს, პაქტის ხელმოწერიდან ერთი დღის შემდეგ, ჰიტლერი შეიჭრა იუგოსლავიაში - და ორ კვირაში იუგოსლავიის არმია დაამარცხა"[69].

ჰიტლერმა აშკარად აჩვენა, რომ თავს ოფიციალურ და კონფიდენციალურ შეთანხმებებში ვალდებულებად არ მიიჩნევდა. ბოლოს და ბოლოს, მოლოტოვ-რიბენტროპის პაქტის საიდუმლო ოქმები არ ითვალისწინებდა რაიმე სამხედრო ნაბიჯების გადადგმამდე წინასწარ კონსულტაციებს. მიუხედავად იმისა, რომ ორივე მხარე აქტიურად კონსულტაციებს იღებდა გავლენის სფეროების

დაყოფის შესახებ 1940 წლის ნოემბრიდან 1941 წლის მარტამდე, მათ ურთიერთობაში ურთიერთ უნდობლობის ატმოსფერო მაინც შენარჩუნებული იყო. ჰიტლერს გაუკვირდა ბელგრადში მომხდარი მოვლენები და სტალინსაც არანაკლებ აფიქრებდა იუგოსლავიაში მისი სწრაფი შეჭრა.

ჰიტლერი ცდიდა სტალინის სამხედრო ძლიერებას. საბჭოთა კავშირის სისუსტის დამადასტურებელი პირველი ფაქტი იყო 1941 წლის მაისში გერმანული „იუნკერს 52"-ის შემოჭრა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცეში და მოსკოვის ცენტრალურ აეროდრომზე „დინამოს" სტადიონის მახლობლად, შეუმჩნევლად მისი დაშვება. ამან კრემლის განრისხება და სამხედრო მეთაურების მიმართ რეპრესიების ტალღა გამოიწვია. ყოველივე კი მათი ნაწილის სამსახურიდან გათავისუფლებით დაიწყო, რასაც მოჰყვა საჰაერო ძალების უმაღლესი სარდლობის დაპატიმრებები და სიკვდილით დასჯა. ამ დამამცირებელმა აქტმა მოსკოვის ცენტრში, ჰიტლერს აჩვენა, თუ რამდენად სუსტი იყო საბჭოთა შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნა.

საბჭოთა ხელმძღვანელობამ როგორც ირკვევა გადაჭარბებით შეფასა სსრკ სატანკო ფორმირებების, სახმელეთო და საჰაერო ძალების შესაძლებლობები. შესაბამისად სამხედრო ხელმძღვანელობა და სტალინის გარემოცვა იკვებებოდა ილუზიით - წითელი არმიის ძალა უდრიდა, სსრკ დასავლეთ საზღვრებზე კონცეტრირებულ ვერმახტის ძალებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ ომის პირველ თვეებში საბჭოთა ჯარების მოუმზადებლობის შესახებ, მაგრამ ვნახოთ მონაცემები. გერმანიის ჯამურმა ზარალმა აღმოსავლეთის ფრონტზე 1941 წლის 5 დეკემბერისათვის 3,5 მილიონიდან კაციდან შეადგინა 750 ათასი, ანუ 23%. თითქმის ყოველი მეოთხე დაიღუპა, დაიჭრა ან უგზო-უკვლოდ დაიკარგა [267, 217]. წითელმა არმიამ გაცილებით მეტი დაკარგა, მაგრამ ომი არც გერმანელებისთვის იყო, პირველ ხანებში ადვილი გასეირნება.

მოსკოვში სასტუმრო „მეტროპოლში“ საბჭოთა კონტრდაზვერვამ შეძლო ხელში ჩაეგდო ორი გერმანელი კურიერი, რომელთაც გადაჰქონდათ დიპლომატიური ფოსტა. ერთი ჩაკეტეს ლიფტის კაბინაში, ხოლო მეორე იმყოფებოდა იმ სასტუმროს ნომრის აბაზანაში, სადაც ისინი ცხოვრობდნენ. როდესაც ლიფტში ბლოკირებულმა კურიერმა გააცნობიერა, რომ ის დაბლოკილია, დააჭირა „გამოძახების“ ღილაკს ხელი. ბუნებრივია, კონტრდაზვერვის ოფიცრებმა იგი „გადაარჩინეს“, რომლებმაც მათ განკარგულებაში მყოფ ხუთი წუთში გახსნეს დიპლომატი და გადაიღეს მასალების შინაარსი. დოკუმენტებს შორის იყო ელჩ შულენბურგის წერილი რიბენტროპთან, სადაც ის წერდა, რომ მას შეეძლო შუამავალი ყოფილიყო საბჭოთა-გერმანიის კონფლიქტების მოგვარებაში. ამავე დროს, შულენბურგმა მოახსენებდა, რომ საელჩოს პერსონალის შემცირების ინსტრუქცია შესრულებულია და დიპლომატები დაგეგმილი გრაფიკით მიემგზავრებიან გერმანიაში. ამრიგად, მართალია მოსალოდნელი ომის ნიშნები აშკარა იყო, მაგრამ შულენბურგის პოზიცია და მისი მაღალი რეპუტაცია ადასტურებდა, რომ მშვიდობიანი მოგვარების კარი ჯერ კიდევ არ იყო დაკეტილი.

იგრძნო რა აშკარა ომის დაწყების საშიშროება საბჭოთა ხელმძღვანელობა გადავიდა მზადების განსაკუთრებულ რეჟიმზე. ისევ სუდოპლატოვს მოვიხმობთ: „ბერიამ, გამომიძახა კაბინეტში და ჩემი თანდასწრებით გასცა ბრძანება დაზვერვის ოფიცრებისაგან სპეციალური ჯგუფის ორგანიზების შესახებ, რომლებიც იქნებოდნენ მის უშუალო დაქვემდებარებაში. ომის შემთხვევაში მათ სადაზვერვო-დივერსიული მოქმედებები უნდა განხორციელებინთა. ამ ეტაპზე, ჩვენი პირველი ამოცანა იყო შეგვექმნა გამოცდილი დივერსანტების დამრტყმელი ჯგუფი, რომელსაც შეეძლებოდაა წინააღმდეგობა გაეწიათ გერმანელებისათვის საზღვარზე და ხელი შეეშალათ პროვოკაციული ინციდენტების გამოეყენებინათ ომის დაწყების საბაბად. ლ. ბერიამ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ჩვენი ამოცანაა არ მივცეთ შესაძლე-

ბლობა გერმანელებს განახორციელონ პოლონეთში 1939 წელს ჩატარებული მსგავსი ქმედებები[69]. სახელდობრ როდესაც ჰიტლერის ინსტრუქციით პოლონელების ფორმაში გადაცმულებმა გერმანელმა კრიმინალებმა, ხელში ჩაიგდეს გერმანიის ტერიტორიაზე გლეივიცში არსებული რადიოსადგური. გერმანელი პროვოკატორები გამოვიდნენ ეთერში ანტიგერმანული განცხადებებით. ამის შემდეგ ფაშისტებმა დახვრიტეს პოლონურ ფორმაში გამოწყობილი საკუთარი კრიმინალები. ასე, რომ გარედან მართლა ისე ჩანდა, რომ პოლონეთის არმიის ერთ-ერთმა ნაწილმა მართლაც შეუტია რადიოს.

სუდოპლატოვი წერს: „მე მაშინვე შევთავაზე ბერიას, რომ ნაუმ ეიტინგონი დაეინიშნა ჩემს მოადგილედ. ბერია დათანხმდა. ომის წინა დღეებში ჩვენ ვეძებდით ადამიანებს, რომლებსაც შეეძლოთ შეექმნათ სპეციალური ჯგუფის ხერხემალი, რომლებიც გადაყვანილ იქნებოდნენ კონფლიქტის მოსალოდნელ ადგილებში, სახელდობრ, საბჭოთა სახელმწიფოს ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის საზღვრებზე. ნ. ეიტინგონის სამხედრო გამოცდილება ბევრად მეტი იყო, ვიდრე ჩემი. ამიტომაც ამ საკითხებში დიდწილად ვეყრდნობოდი მის შეფასებებს. სწორედ მან შეასრულა კავშირი ჩვენს ჯგუფსა და სამხედრო სარდლობას შორის. ჩვენ მასთან ერთად შევადგინეთ საწვავი საცავების განადგურების გეგმა, რომლებიც ამარაგებდა გერმანიის მოტორიზებულ სატანკო ნაწილებს, რომლებმაც უკვე დაიწყეს კონცენტრაცია ჩვენს საზღვრებზე.

1941 წლის 20 ივნისს ეიტინგონმა მითხრა, რომ მასზე უსიამოვნო შთაბეჭდილება მოახდინა ბელორუსის სამხედრო ოლქის მეთაურ გენერალ პავლოვთან საუბარმა. მას შემდეგ(ის და ეიტინგონი იცნობდნენ ერთმანეთს ესპანეთიდან), რაც მან პავლოვს მეგობრული რჩევა სთხოვა იმის შესახებ, თუ რომელ სასაზღვრო რაიონებისათვის უნდა მიექციათ განსაკუთრებული ყურადღება, სადაც შესაძლებელი იყო გერმანელების პროვოკაციები. საპასუხოდ, პავლოვმა, ეიტინგონის აზრით რაღაც გაუგებარი თქვა.

როგორც ჩანს, მას საერთოდ არაფერი ესმოდა თანამედროვე ომებში სხვადასხვა სამსახურების მოქმედებათა კოორდინაციის შესახებ. პავლოვს სჯეროდა, რომ განსაკუთრებული პრობლემები არ წარმოიქმნებოდა მაშინაც კი, თუ მტერი თავიდანვე აიღებდა ინიციატივა საზღვარზე, რადგან ის ფიქრობდა, რომ მას რეზერვი ჰქონდა საკმარისი, რომ გაეძლო რაიმე მნიშვნელოვან გარღვევისათვის. მოკლედ, პავლოვმა ვერ ნახა დივერსიული ოპერაციების უმცირესი საჭიროებაც კი, მტრის ჯარის გარღვევის შემთხვევაში, მის ზურგში აფეთქებათა დეზორგანიზაციით შესაჩერებლად“[69, 155].



ნაუმ ეიტინგონი

მართლაც სერიოზული ოპერაციები - მაღალი რანგის გერმანელების ლიკვიდაცია, მსხვილი ტერორისტული აქტები და განსაკუთრებით კომუნიკაციების დივერსიები - ორგანიზებულ იქნა და ჩატარდა დიდი უმრავლესობით ნკვდ-ს ან წითელი არმიის სადაზვერვო სამმართველოს პროფესიონალების მიერ.

ომის პირველივე დღეებიდან შეიქმნა სპეციალური მოტომ-

სროლელი სპეციალური ბრიგადა - ლეგენდარული ОМСБОН (განსაკუთრებული დანიშნულების მოტომსროლელი ბრიგადა). კომინტერნმა მოუწოდა ემიგრანტებს, რომლებიც სსრკ-ს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, შეერთებოდნენ მის რიგებს.

„ბრიგადის ფორმირება მოხდა ომის პირველ დღეებში „დინამოს“ სტადიონზე - წერს პაველ სუდოპლატოვი - ჩვენს განკარგულებაში გვყავდა ოცდახუთ ათასზე მეტი ჯარისკაცი და მეთაური, რომელთაგან ორი ათასი უცხოელი იყო - გერმანელები, ავსტრიელები, ესპანელები, ამერიკელები, ჩინელები, პოლონელები, ჩეხები, ბულგარელები, რუმინელები. ჩვენთან იყვნენ საუკეთესო საბჭოთა სპორტსმენები მათ შორის ჩემპიონები კრივსა და მძლეოსნობაში. სწორედ ისინი გახდნენ დივერსიული ფორმირებების წევრები, რომლებიც გადავისროლეთ მტრის ზურგში... ადგილობრივ რეგიონალურ ორგანიზაციებთან თანამშრომლობით დავიწყეთ პარტიზანული რაზმების გაგზავნა გერმანელების ზურგში, მათ შორის გამოცდილი ოფიცრები - მზვერავები და რადისტები ... მტრის ზურგში გაიგზავნა ორი ათასზე მეტი ოპერატიული ჯგუფი, საერთო ჯამში, თხუთმეტი ათასი ადამიანით ... მე-4 განყოფილების ქვედანაყოფებმა და სპეციალური დანიშნულების სპეციალური მოტმსროლელმა ბრიგადებმა გაანადგურეს 157 ათასი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, 87 გერმანელი მაღალჩინოსანი, აღმოაჩინეს და განადგურეს 2045 მტრის აგენტურული დაჯგუფებები“[69, 215].

მოსკოვის დაცვაში მონაწილეობა მიიღო შინსახკომის ოთხმა დივიზიამ, ორმა ბრიგადამ და ჯარების ცალკეულმა ნაწილებმა. 17 ოქტომბერს, ყველაზე უმძიმეს დროს, როდესაც მტერი დედაქალაქიდან რამდენიმე კილომეტრში იდგა და თავდაცვითი ხაზები შეიქმნა თავად ქალაქში რკინიგზის ხაზის, სადოვაიას ბაღის და ბულვარის რგოლების გასწვრივ, შეიქმნა ნკვდს(შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატი) გამანადგურებელი მოტორიზებული ბატალიონები, რომლებიც დაკომპლექტებულნი იყვნენ მოსკოვის ქარხნების მუშა-მოხალისეებით, ინდუსტრიული

აკადემიიდან, შინსახკომიდან და ა. შ. ისინი მონაწილეობდნენ არა მარტო მოსკოვის დაცვაში, არამედ აწარმოებდნენ მტრის ზურგში დივერსიული და სადაზვერვო მოქმედებებს. ნკვდ-ს ჯარები ასევე თავგანწირვით იბრძოდნენ ლენინგრადთან, იცავდნენ ქალაქს და კომუნიკაციებს.



სტალინგრადი

მოსკოვის თავდაცვის დროს ნკვდ-სთან შეიქმნა მოსკოვის თავდაცვის ზონის თავდაცვის შტაბი. მის ამოცანებში შედიოდა: ბრძოლა მტრის აგენტებთან, ჯაშუშებსა და დივერსანტებთან. გარდა ამისა, გზებზე წესრიგის დაცვა, საგზაო მოძრაობის კონტროლის სამსახურის მონიტორინგი ... და ბოლოს, ფრონტების უზრუნველყოფა საგანგებო კომუნიკაციებით.

****

გასართობი ჩანართი

1941 წლის 28 აპრილი, მეორე მსოფლიო ომის პირველ ეტაპზე სხვადასხვა ქვეყნების სავაჭრო ფლოტების მიერ განცდილი ზარალი. „სავაჭრო ფლოტის დანაკარგები". ნიუ-იორკი, 28 აპრილი (საბჭოთა კავ-

შირის სატელეგრაფო სააგენტო). სააგენტო Associated Press-ის (ინფორმაციისა და ახალი ამბების საერთაშორისო სააგენტო „asoSeited press"-ი დაფუძნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1846 წელს) მონაცემებით ომის დაწყების დროიდან (AP ამ დროს ითვილის 1939 წლის 1 სექტემბრიდან) ყველა ქვეყნის სავაჭრო ფლოტის დანაკარგმა შეადგინა 1 500 გემი საერთო ტონაჟით 5 659 ათასი ტონა. წყალქვეშა ნავებმა, თვითმფრინავებმა და საბრძოლო გემებმა ჩაძირეს 773 გემი, 240 გემი განადგურდა საზღვაო ნაღმებისაგან, 487 გემი ჩაიძირა სხვა მიზეზებით. ამ რაოდენობიდან ინგლისმა დაკარგა 682 გემი, ნორვეგიამ - 175, გერმანიამ - 120 და ასე შემდეგ. ზღვაზე საომარი მოქმედებების შედეგად მოკლული იქნა 9 719 ადამიანი, უგზო-უკვლოდ დაიკარგა 8 391 ადამიანი. როგორც გაზეთ „The New York Times" (გაზეთი „ნიუ-იორკის დროებანი" დაფუძნდა ამერიკის შეერთებულ შტატებში 1851 წელს) კორესპონდენტი იუწყება, ინგლისის შემსყიდველი კომისიის წარმომადგენელი სალტერი აცხადებს, რომ ინგლისის საზღვაო საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული მონაცემების ციფრებით, მოცემულ დროს სავაჭრო სანაოსნოს დანაკარგები შეადგენს წელიწადში 5 მილიონ ტონას. ეს ნიშნავს, რომ ჩაძირულ გემებს შეეძლოთ გადაეტანათ 7 მილიონო ტონა ტვირთი. ყველა ჩაძირული გემების თითქმის ნახევარი ატლანტიკის ოკეანის ჩრდილოეთ ნაწილში ჩაიძირა. ასევ განადგურებული იქნა რამდენიმე გემი ჯარებითურთ"[205].

* * * * *

დიდი ამბებია ატეხილი ომის დროს საბჭოთა კავშირის მიერ ქვეყნის შიგნით გატარებულ მკაცრ პოლიტიკაზე. ახლა ვნახოთ რეალური სიტუაცია მეორე მსოფლიო ომის დროს.

1946 წლის 6 ნოემბერს მურმანსკში ორი ბრიტანული გემი ჩამოვიდა, რომელშიც 9907 ყოფილი საბჭოთა სამხედრო მოსამსახურე იმყოფებოდა, რომლებიც გერმანიის არმიის რიგებში იბრძოდნენ ინგლის-ამერიკის ჯარების წინააღმდეგ და მათ მიერ იქნენ ტყვედ აყვანილნი. რსფსრ-ის მაშინდელი სისხლის სამართლის კოდექსის 193-ე მუხლის თანახმად, ომის დროს მტრის მხარეს სამხედრო მოსამსახურის გადასვლისთვის მხოლოდ ერთი სასჯელი იყო გათვალისწინებული - სიკვდილით დასჯა ქონების

ჩამორთმევით. ამიტომ, ბევრი „მგზავრი" ფიქრობდა, რომ მათ სავარაუდოდ დაუყოვნებლივ დახვრეტდნენ მურმანსკში. ამასთან, საბჭოთა კავშირის ოფიციალურმა წარმომადგენლებმა განმარტეს, რომ საბჭოთა მთავრობამ მათ აპატია და ისინი არა მხოლოდ არ დახვრიტეს, არამედ ზოგადად ღალატისთვის გათავისუფლდნენ სისხლის სამართლებრივი დევნისგან. ერთ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ამ ადამიანებს შინსახკომის სპეციალურ ბანაკში ტესტირება ჩაუტარდათ, შემდეგ კი 6 წლიან სპეციალურ დასახლებაში გააგზავნეს[26, 6]. მთლიანობაში 1946-1947 წლებში. სპეციალურ დასახლებებში ცხოვრობდა 148 079 ვლასოველი და ოკუპანტების სხვა თანამზრახველები. 1953 წლის 1 იანვარს სპეციალურ დასახლებაში დარჩა, 56,746 ვლასოველი. 93, 446 გაათავისუფლეს 1951-1952 წლებში, სასჯელის ვადის დასრულების შემდეგ[27, 155; 164].

ყირიმში მცხოვრებნი 1939 წლის მონაცემებით იყვნენ:

რუსები 558 481 49.6%;

უკრაინელები 154 120 13.7%;

სომხები 12 873 1,1%;

თათრები 218 179 19,4%;

გერმანელები 51,299 4,6%;

ებრაელები 65,452 5,8%;

ბულგარელები 15,353 1,4%;

ბერძნები 20,652 1,8%;

სხვა 29,276 2.6%;

სულ 1 126 385 100%[28, 72].

ომის დაწყების შემდეგ, ყირიმელი თათარები გაიწვიეს წითელ არმიაში. მათი სამსახური ხანმოკლე იყო. მოვიყვანთ სსრკ სახელმწიფო უშიშროების სახალხო კომისრის ბ. ქობულოვის და სსრკ შინაგან საქმეთა სახალხო კომისრის მოადგილის ი. სეროვის წერილის ციტირებას ლ. ბერიას მიმართ, რომელიც თარიღდება 1944 წლის 22 აპრილით: „... წითელ არმიაში გაწვეული იყო 90 ათასი ადამიანი, მათ შორის 20 ათასი ყირიმელი თათარი ... 1941

წელს 20 ათასი ყირიმელი თათარი 51-ე არმიის ყირიმიდან უკან დახევის დროს გახდა დეზერტირი...“[29, 131]. დაიწყეს თანამშრომლობა გერმანელ ოკუპანტებთან. „მათი შემოსვლის პირველივე დღეებიდან გერმანელები ეყრდნობოდნენ თათარ-ნაციონალისტებს, მათი ქონებას არ ეხებოდნენ როგორც ეს გააკეთეს რუს მოსახლეობასთან მიმართებით, - წერდა მე-5 პარტიზანული რაზმის ხელმძღვანელი კრასნიკოვი.

1941 წლის დეკემბერში გერმანიის სარდლობამ დაიწყო ე.წ. „მუსლიმთა კომიტეტების“ ორგანიზება. გერმანელების ხელმძღვანელობით შეიქმნა შეიარაღებული „თავდაცვის“ რაზმები. ბევრ ყირიმელ თათარს იყენებდნენ პარტიზანების სადამსჯელო რაზმების ხელმძღვანელებად. ცალკეული რაზმები გაგზავნეს ქერჩის ფრონტზე და ნაწილობრივ სევასტოპოლის ფრონტის სექტორში, სადაც ისინი მონაწილეობდნენ წითელი არმიის წინააღმდეგ ბრძოლებში. მაგრამ ყველაზე მეტად ისინი ცნობილი გახდნენ მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტით.

ყირიმში განლაგებული გერმანული არმიის ნაწილებში, სავარაუდო მონაცემებით, 20 ათასზე მეტი ყირიმელი თათარი მსახურობდა[30]. საბჭოთა ხელისუფლებამ საპასუხოდ ყირიმის ასსრ-დან თათარი ეროვნების 191 044 ადამიანი გაასახლა[30, 138-139].

მართლაც, უკრაინისა და ბელორუსის მოსახლეობაში არსებობდა ძლიერი ნაციონალისტური ორგანიზაციები, რომელთა მიზანი იყო დამოუკიდებლობა როგორც პოლონეთიდან, ასევე სსრკ-დან[32, 538].

მეორე მსოფლიო ომში 1941-1945 წლებში, სსრკ იბრძოდა არა 80 მილიონიან გერმანიას, არამედ პრაქტიკულად მთელ ევროპას, რომელიც ჰიტლერს ჰქონდა დაპყრობილი, რომელთა რიცხვი (გარდა ინგლისის მოკავშირეებისა და პარტიზანულად მებრძოლი სერბეთისა, რომელიც გერმანელებს არ ჩაბარდა) იყო 400 მილიონი ადამიანი[33, 191-192].

მეორე მსოფლიო ომის დროს ომის დროს, საბჭოთა კავშირში

მოსახლეობის 17,8%. ეცვა სამხედრო ლაბადა[34, 246]. ხოლო გერმანიაში მოსახლეობის 21% -ს.

ნაცისტური გერმანიის ელიტარულმა ჯარმა - SS-მა სხვა ქვეყნებიდან თავიანთ რიგებში მიიღო 400 ათასი „ქერა მხეცი“. მთელი ევროპიდან კი 1 მლნ 800 ათასი მოხალისე შევიდა ჰიტლერის არმიაში. შეიქმნა 59 დივიზია, 23 ბრიგადა და ბევრი ეროვნული პოლკი და ლეგიონი. ამ განყოფილებებში ყველა ელიტას ჰქონდა არა ნომრები, არამედ საკუთარი სახელები, რომლებიც ეროვნული წარმოშობის მითითებით გამოირჩეოდა: „ვალონია”, „გალიცია”, „ბოჰემია და მორავია”, „ვიკინგი”, „დენემაკი“, „გემბეზი”, „ლანგემარკი”, „ნორდლენდი“ ,“ნიდერლანდები „, „შარლომანი“ და სხვები.

საბჭოთა კავშირთან ომის დაწყების წინ ადოლფ ჰიტლერმა დახმარება სთხოვა ესპანეთის დიქტატორ ფრანკოს, რომელიც ვალდებული იყო ტევტონთა ორდენის ლიდერის წინაშე მის მიმართ ესპანეთის სამოქალაქო ომში გაწეული დახმარებისთვის. ფრანკომ ფიურერს შესთავაზა მოხალისეების რამდენიმე ნაწილის გაგზავნა გერმანიაში. სამწუხაროა, რომ ამას დღეს ზოგიერთი განმარტავს, როგორც სოლიდარობის ჟესტს და არა, როგორც ომი შესვლის განცხადებას[35].

*****

გასართობი ჩანართი

რა მიზანს ისახავდა საიდუმლო სპეცოპერაცია „დიდი მიგრაცია“

საბჭოთა კავშირის სახელმწიფოს გაძლიერების საქმეში (ატომური პროექტი, უძლიერესი სადაზვერვო ქსელი, რაკეტმშენებლობა და ასე შემდეგ) ლავრენტი ბერიას ლომის წილი მიუძღვის და მისი დამსახურებები საქვეყნოდაა ცნობილი, მაგრამ მის დამსახურებათა ნუსხაშია კიდევ ერთი გრანდიოზული პროექტის წარმატებით განხორციელება, რომლის წარმატებასაც საბჭოთა, პოსტსტალინური პერიოდის ისტორიოგრაფია სულ სხვა ადამიანს მიაწერდა და სიმართლე მხოლოდ ამ ბოლო წლებში გაირკვა. ესაა გრანდიოზული მასშტაბების და, ამავდროულად, საიდუმლო სპეცოპერაცია, სახელწოდებით – „დიდი მიგრაცია“, რომელმაც უდიდესი

და ერთ-ერთი გადამწყვეტი როლი შეასრულა ფაშიზმზე გამარჯვებაში. ისტორიკოსი ანდრეი პარშევი წერს: „საიდუმლო სპეცოპერაციას, კოდური სახელწოდებით – „დიდი მიგრაცია“, ანალოგი დღემდე არ გააჩნია მსოფლიო ისტორიაში და, იმ პერიოდში გაოცებას იწვევს.

„დიდი მიგრაცია“ იყო საბჭოთა სამხედრო-სამაშველო კომპლექსის (ფაბრიკა-ქარხნები და მომსახურე პერსონალი) ევაკუაცია საბჭოეთის ცენტრალური ნაწილიდან ურალის მთებს მიღმა...

როდესაც ფაშისტური გერმანია ვერაგულად დაესხა თავს საბჭოთა კავშირს, იმ მომენტისთვის საბჭოთა სამხედრო წარმოების 95 პროცენტი ქვეყნის ევროპულ ნაწილში იყო განლაგებული, ამ ნაწილის ნახევარზე მეტი კი – ეგრეთ წოდებულ ფრონტისპირა რაიონებში, სადაც დღე-დღეზე ფაშისტები შევიდოდნენ და ხელში ჩაიგდებდნენ სამხედრო ქარხნებს. „დიდი ომის“ მოლოდინში საბჭოთა მთავრობას შემუშავებული ჰქონდა სამხედრო მრეწველობის ევაკუაციის გეგმა, რომელზეც პასუხისმგებელი იყო ლაზარ კაგანოვიჩი, იმჟამინდელი რკინიგზის სახალხო კომისარი. გეგმას, უბრალოდ, „ქარხნების ევაკუაცია“ ერქვა და მასში ბუნდოვნად ეწერა, რომ, აუცილებლობის შემთხვევაში, სამხედრო ქარხნებისა და მათი მომსახურე პერსონალის ევაკუაცია უნდა განხორციელებულიყო 3-დან 6 თვეში დროის მონაკვეთში. ამ გეგმაში თითქმის არაფერი იყო დაკონკრეტებული და, მიუხედავად იმისა, რომ საიდუმლო დოკუმენტის გრიფს ატარებდა, თავისი მნიშვნელობით არანაირად არ აღემატებოდა რიგით ბიუროკრატიულ დოკუმენტს, რომელიც ნებისმიერ საბჭოთა უწყებაში ინახებოდა...

1941 წლის 22 ნოემბერს, ანუ ომის დაწყებიდან ხუთი თვის თავზე, სტალინის კაბინეტში საგანგებო, გაფართოებული თათბირი გაიმართა, რომელსაც მთელი მთავრობა და სამხედრო ხელმძღვანელობა ესწრებოდა. სხდომის კულმინაციური მომენტი იყო ლავრენტი ბერიას საათნახევრიანი ანალიტიკური მოხსენება, რომელსაც თვით სტალინიც კი გასუსული უსმენდა და ერთხელაც არ შეუწყვეტინებია მისთვის ლაპარაკი. ბერიამ სხდომის მონაწილეებს დაწვრილებითი ინფორმაცია მიაწოდა ფრონტებსა და ზურგში შექმნილ ვითარებაზე და რეზიუმეს სახით თქვა:

– ამხანაგებო, სასწრაფოდ გასატარებელ ღონისძიებებს შორის, უპირველესად, ჩვენი სამხედრო მრეწველობის ევაკუაციის პრობლემა უნდა

გადავწყვიტოთ. შედეგი არა თუ საათებსა და წუთებზე, წამებზე არის დამოკიდებული და, თუკი საახალწლოდ მას ვერ გადავწყვეტთ, როგორ საშინლადაც არ უნდა მოგეჩვენოთ ჩემი სიტყვები, ომს წავაგებთ...

მსგავსი ფრაზის სტალინის წინაშე გაფიქრებაც კი სასიკვდილოდ საშიში იყო ბერიასთვისაც კი, მაგრამ ის არაფერს შეუშინდა და სრულად დახატა ის კატასტროფული რეალობა, რაც სულ რაღაც ორმოციოდე დღეში იყო მოსალოდნელი. სტალინმა, რომელიც გაცნობილი იყო კაგანოვიჩის „ქარხნების ევაკუაციის“ გეგმას, მკაცრად გახედა რკინიგზის სახალხო კომისარს, მაგრამ არაფერი უთქვამს მისთვის, ბერიას კი სამხედრო ქარხნებისა და მათი მომსახურე პერსონალის სასწრაფო და ეფექტური ევაკუაციის ნამდვილი (სტალინმა ხაზგასმით წარმოთქვა ეს სიტყვა) გეგმის შედგენა და ოცდაოთხი საათის შემდეგ წარდგენა დაავალა.

– გეგმა უკვე მზად მაქვს, ამხანაგო სტალინ. ანალიტიკურ მოხსენებას რომ ვადგენდით, პარალელურად, საევაკუაციო გეგმაზეც ვმუშაობდით და ახლავე შემიძლია, წარმოგიდგინოთ, – მოახსენა სტალინს ბერიამ.

სტალინმა სხდომის ყველა მონაწილე გაუშვა ბერიას გარდა, მასთან კი დილამდე განიხილავდა ყველა დეტალს. ლავრენტი პავლოვიჩი მხოლოდ 23 ნოემბრის დილის 10 საათზე გამოვიდა უმაღლესი მთავარსარდლის კაბინეტიდან და ლუბიანკაზე („ჩეკას“ შენობა) საკუთარ კაბინეტში დაბრუნდა. იმავე დღეს, ბერიამ, რომელიც 72 საათის უძინარი იყო, უკვე თავის კაბინეტში მოიწვია საგანგებო თათბირი, სადაც თავის თანაშემწეებს „დიდი მიგრაციის“ დაუყოვნებლივ დაწყების ბრძანება მისცა. ბერიამ მზერა მოავლო მრავალისმნახველ გენერლებს და უთხრა:

– ოპერაცია სწრაფად, ხარისხიანად და საიდუმლოდ უნდა ჩატარდეს. არცერთი ჭანჭიკი არ უნდა დაიკარგოს. ადგილზე ჩასვლიდან ოცდაოთხი საათის შემდეგ კი თითოეული ქარხანა უკვე პროდუქციას უნდა უშვებდეს; გარდა ამისა, მტრის არცერთმა აგენტმა არ უნდა შეაღწიოს შიგნით, თუ ვინმე მაინც შეძლებს ამას, ეფექტური, სწრაფი გამოძიება ჩაატარეთ და ადგილზევე დახვრიტეთ. იცოდეთ, დრო არ ითმენს. მე ამ ოპერაციის წარმატებით შესრულებისთვის პირადად ამხანაგ სტალინთან ვარ პასუხისმგებელი, თქვენ კი ჩემ წინაშე აგებთ პასუხს.

ბერიას სიტყვა ქვას ხეთქავდა, ბერიას მუქარა კი ქვას აალაპარაკებდა – ეს მშვენივრად იცოდა ყველამ. ამიტომ ჩეკისტები დატრიალდნენ და

კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე გრანდიოზული საიდუმლო ოპერაციის განხორციელებას შეუდგნენ, რომელსაც დღემდე არ აქვს ანალოგი. სულ რაღაც სამი კვირის განმავლობაში, 23 ნოემბრიდან 13 დეკემბრამდე, „დიდი მიგრაციის“ ფარგლებში საბჭოთა კავშირის ევროპული ნაწილიდან ურალის მთებს მიღმა ევაკუირებულ იქნა 516 მსხვილი სამხედრო ქარხანა. გადაიტანეს 2 მილიონი ტონა ტვირთი და გადაიყვანეს 1 მილიონ 56 ათასი ადამიანი. ამ ოპერაციის დროს საჭირო გახდა, გამოეყენებინათ 100 ათასი პლატფორმა და ვაგონი; აღადგინეს და ხელახლა გაიყვანეს 22 ათასი კილომეტრი სიგრძის რკინიგზა. ბერიას ჩეკისტები (სულ 15 ათასი ჩეკისტი მონაწილეობდა „დიდ მიგრაციაში“) საათის სიზუსტით ახორციელებდნენ თითოეულ გადაზიდვას. ყოფილა შემთხვევები, რომ საგანგებო ეშელონები დაბომბვაში მოხვედრილან და ასეთ დროს, სპეციალურად გაწვრთნილი და აღჭურვილ-შეიარაღებული ქვედანაყოფები დაუყოვნებლივ ერთვებოდნენ საქმეში: ერთი ჯგუფი საჰაერო იერიშს იგერიებდა, მეორე კი დაზიანებული რელსების ადღგენით იყო დაკავებული, რაც საჰაერო იერიშის დროს თითქმის წარმოუდგენელია. თუმცა ბერიას შიშით და პასუხისმგებლობის გრძნობით განმსჭვალული ადამიანები უკან არაფერზე იხევდნენ. ნიშანდობლივია ისიც, რომ მთელი ეს ოპერაცია საშინელი ყინვისა და თოვლის პირობებში ჩატარდა. „დიდ მიგრაციაში“ მონაწილე 15 ათასი ჩეკისტიდან, 380 მტრის მოგერიების დროს დაიღუპა და ბერიას წარდგენით 27 მათგანი სიკვდილის შემდეგ დააჯილდოეს საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით. 11 ჩეკისტს კი გმირის ორდენები პირადად ბერიამ გადასცა თავის კაბინეტში. ბერიასავე ბრძანებით დაიხვრიტა 3 ჩეკისტი, რომლებმაც ვერ გაუძლეს დაძაბულობას და გაქცევა სცადეს... „ჩეკას“ შეფი არც სხვებს ზოგავდა და არც საკუთარ თავს. ამ ოპერაციის მსვლელობისას ლავრენტი პავლოვიჩს დღე-ღამეში 3-4 საათი ეძინა, ძირითადად კი სხვადასხვა მიმართულებით გადაადგილდებოდა და ამოწმებდა ოპერაციის მიმდინარეობას. ამ ოპერაციას ერთი ტრაგიკული ისტორიაც ახლდა თან: 24 ნოემბერს ბერიამ ტრაქტორმშენებელი ქარხნის დირექტორს, საველი ნოვიკოვს დაურეკა და უთხრა:

– საველი ანტონოვიჩ, ხვალ თქვენთან ჩემი საგანგებო ჯგუფი მოვა და თქვენი ქარხნის ევაკუაციას განახორციელებს ურალში. სამ დღეში ადგილზე იქნებით. ერთი დღე ქარხნის ახალ ადგილზე მონტაჟისთვის

გეძლევათ, კიდევ სამი დღე სატრაქტორო ქარხნის სატანკო ქარხნად გადაწყობისთვის გექნებათ და, რომ გადაეწყობით, შემდგომი ორი დღის განმავლობაში უკვე ტანკების გამოშვება უნდა დაიწყოთ.

ნოვიკოვმა რომ გაიაზრა ბერიას სიტყვები მიუგო:

– ლავრენტი პავლოვიჩ, ეს შეუძლებელია. ათ დღეში ამ ყველაფერს ვერ მოვახერხებთ, საამისოდ მინიმუმ ორი თვე მაინცაა საჭირო.

– თვლა აგერიათ, ნოვიკოვ! ათში კი არა, ცხრა დღეში. დრო ჩაირთო და იჩქარეთ! – მკაცრად უთხრა ბერიამ ნოვიკოვს და ტელეფონი გაუთიშა.

ბერიასთან საუბრის დასრულების შემდეგ ნოვიკოვმა პისტოლეტით მოიკლა თავი, მის მაგივრად დანიშნულმა ვასილ მაკაროვმა კი უკვე მეცხრე დღეს გამოუშვა პირველი ტანკი...

14 დეკემბერს ბერიამ პირადად უპატაკა სტალინს „დიდი მიგრაციის“ წარმატებით განხორციელების შესახებ და ბელადის მადლობაც დაიმსახურა...“

*****

ორი თვის შემდეგ, როდესაც ადოლფმა თავისი ჯარები გააგზავნა რუსეთში და დაიწყო ოპერაცია „ბარბაროსა“, ესპანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერანო სუზერმა რედაქტირება გაუკეთა ყველა ესპანურ მედიასაშუალებას, რომ ქვეყანა ემზადებოდა მოხალისეების ქვედანაყოფის შექმნისათვის, რომლებიც ჩარიცხულნი იქნებოდნენ გერმანიის არმიის რიგებში. ასე ჩაეყარა საფუძველი სამხედრო ნაწილის შექმნას, სახელწოდებით „ლურჯი დივიზია“. მოგვიანებით ეს წინადადება პირადად მოიწონა ფიურერმა. იმავე წლის 2 ივლისს, „ლურჯ დივიზიაში“ ჩარიცხვის დაწყებიდან ერთი კვირის შემდეგ, ახალწვეულთა აყვანა აიკრძალა მის რიგებში შესვლის მსურველთა უზარმაზარი რაოდენობის გამო. წინასწარი შერჩევის შემდეგ, შეიქმნა დაახლოებით 18 000 კაციანი დანაყოფი, სამოქალაქო ომის ვეტერანისა და ნაციონალ-სოციალიზმის ღიად მხარდამჭერ აგუსტინ მუნოზ გრანდეს მეთაურობით. ამ სამხედრო ფორმირების „ლურჯი დივიზიის“ მონაწილეობა ომში 1943 წელს დასრულდა, ძალიან მარტივი მიზეზის გამო. როდესაც ესპანელმა მებრძოლებმა დაინახ-

ეს, რომ ტანკების და ბომბდამშენების წყალობით მოკავშირეების მხარეზე იწყო გადაწონა ომის სასწორმა, ესპანელმა მოხალისეებმა მოითხოვეს სამშობლოში დაბრუნება.

მეორე მსოფლიო ომის დროს საბჭოთა კავშირიმა ტყვედ აიყვანა 22.06. 1941-2.09. 1945-მდე

გერმანელი 2389560 კაცი;
იაპონელი 639 635;
უნგრელი 513 567;
რუმინელი 187370;
ავსტრიელი 156 682;
ჩეხოსლოვაკიელი 69 977;
პოლონელი 60 280;
იტალიელი 48 957;
ფრანგი 23136;
იუგოსლავიელი 21122;
მოლდაველი 14 129;
ჩინელი 12928;
ებრაელი 10173;
კორეელი 7785;
ჰოლანდიელი 2749;
მონღოლი 3608;
ფინელი 2377;
ბელგიელი 2010;
ლუქსემბურგელი 1652;
დანიელი 457;
ესპანელი 452;
ბოშები 383;
ნორვეგიელი 101;
შვედი 72;

ჰიტლერის მიერ დაპყრობილი ევროპის ხალხებიდან ნაწილი მოხალისეებად მსახურობდნენ არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ გერმანულ დივიზიებში. ელიტურ გერმანულ დივიზია „დიდი გერ-

მანიაში". რომელშიც როგორც ჩანს, სახელწოდების გამო, უნდა ყოფილიყვნენ მხოლოდ გერმანელები. ამის მიუხედავად, ფრანგი გაი საიერი, რომელიც მასში მსახურობდა, იხსენებს, რომ კურსკის ბრძოლის წინ ამ დივიზიის ქვეითთა რაზმში 11 კაცისაგან 9 გერმანელი იყო. მის გარდა კიდევ ერთ ჩეხს კარგად არ ესმოდა გერმანული ენა[34, 509].

..თითქმის მთელი კონტინენტური დასავლეთი და ცენტრალური ევროპა ნაცისტური გერმანიის მეთაურობით პირდაპირ თუ ირიბად მონაწილეობდა აღმოსავლეთის გეოპოლიტიკურ ექსპანსიაში. როდესაც ჰიტლერმა 1942 წელს დაიპყრო სსრკ-ს უზარმაზარი ტერიტორიები, სადაც ქვეყნის მთლიანი მოსახლეობის 40% (!) ცხოვრობდა, დასავლეთში ფიქრობდნენ, რომ მისი ბედი გადაწყდა. მაგრამ მოხდა წარმოუდგენელი: გაიმარჯვა საბჭოთა კავშირმა სტალინის მეთაურობით!

საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იბრძოდა 5,5-მილიონიანი არმია. აქედან 4 მილიონ ექვსასი ათასი იყო გერმანელი, დანარჩენები იყვნენ იტალიელები, უნგრელები, რუმინელები და, წარმოიდგინეთ ებრაელებიც კი!

1941 წლის 10 ოქტომბერს სპეციალური განყოფილების უფროსის მოადგილის მილშტეინის მიერ წარდგენილი მოხსენების მიხედვით „ნკვდ-ს(შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატის) სპეციალურმა განყოფილებებმა და ნკვდ-ს გადამღობმა რაზმებმა(გადამღობი რაზმები, შეიარაღებულნი „ტყვიამფრქვევებით" შეიქმნა 1941 წლის სექტემბერში ბრიანსკის ფრონტის მეთაურის, გენერალ-ლეიტენანტი ერემენკოს წინადადებით). ზურგში დააკავეს 657,364 სამხედრო, რომლებიც ჩამორჩნენ თავიანთ დანაყოფებს ან კიდევ გაიქცნენ ფრონტიდან. აქედან 249 969 ადამიანი დააკავეს სპეციალური განყოფილებების ოპერატიულმა ორგანოებმა, ხოლო 407 395 სამხედრო დააპატიმრა ნკვდ-ს ჯარების გადამღობმა რაზმებმა. აქედან განსაკუთრებული განყოფილებების მიერ დაკავებულებიდან 25,878 დააპატიმრეს, მათგან ჯაშუში აღმოჩნდა 1505; დივერსანტი - 308; მოღალატე -

2621; მშიშრები და პანიკიორები - 2643; პროვოკაციული ხმების გამავრცელებლები - 3987; თვითდამზიანებლები - 1671; სხვები - 4371. ამ ადამიანებიდან 10 201 დახვრიტეს. დანარჩენებისგან კი 632,486 ადამიანი, შექმნეს სამხედრო ფორმირებები და გაგზავნეს ფრონტზე".

ლავრენტი ბერიას ვაჟის სერგო ბერია თქმით: „ომის შემდეგ, გიორგი ჟუკოვი მეუბნებოდა - ფრონტზე მოგზაურობის შესახებ. ხშირად, გარღვევების ადგილებში მიდიოდა მამასთან ერთად. სიტუაციები, როგორც ორივე იხსენებდა, კრიტიკული იყო. მაგალითად, გერმანელები შეიჭრებოდნენ თავდაცვის ამა თუ იმ სექტორში და მათ წინ არავინ და არაფერი იდგა". ამ ადამიანებს გააჩნდათ არაჩვეულებრივი გამბედაობა. სხვათა შორის, 1941 წლის შემოდგომაზე სტალინი ხშირად იმყოფებოდა ფრონტზე, მაგრამ მას არ ახლდა რაიმე სპეციალური წარმომადგენლობითი დაცვა, არ ჰქონია სპეციალური კორიდორი და ასობით ტანკის ესკორტი გზებზე, ამის შესახებ არავინ იცოდა. სტალინის პირადი სიმამაცის შესახებ ცნობილია უამრავი მემუარული ლიტერატურიდან. ვალტერ შელენბერგი-ჰიტლერული გერმანიის სამხედრო დაზვერვის და კონტრდაზვერვის სამმართველოს უფროსი (1938-1945 წწ.) წერდა: „რუსული (საბჭოთა)დაზვერვის სათავეში, რომ არ მდგარიყო ისეთი გულთმისანი და ვირტუოზი პროფესიონალი, როგორიც იყო ლავრენტი ბერია (ქართველი), ჩვენ ომს არ წავაგებდით. სამწუხაროდ, ჩვენთვის სრულიად მიუწვდომელი გზებითა და ხერხებით მის ხელში ხვდებოდა ჩვენი ყველა საიდუმლო დოკუმენტი, რომლებსაც მერე ჩვენს წინააღმდეგ არანაკლები ვირტუოზულობით იყენებდა იოსებ სტალინი. ომი ჩვენ პრაქტიკულად ამ ორმა ქართველმა მოგვიგო"[53].

შეხედა, რა ჰიტლერმა, რომ ომი მას პრაქტიკულად წაგებული ჰქონდა. 1943 წლის 1 სექტემბერს მან მოსკოვში, პირადი წარმომადგენელი, გრაფი ვალტერ ფონ აშენბახი გააგზავნა. სტალინმა პრინციპულად განაცხადა უარი ფაშისტ ემისართან შეხვედრაზე და ეს მისია ვ. მოლოტოვს დაავალა. სანამ კაბინეტს დატოვებდა

სტალინმა საგარეო საქმეთა კომისარს უთხრა: „არაფერში შეეწინააღმდეგო, დეტალურად მოუსმინე და უთხარი, რომ საბოლოო პასუხს ჩემთან შეხვედრის შემდეგ გასცემ“.

ფონ აშენბახმა მოლოტოვს სტალინისთვის ჰიტლერისგან გამოგზავნილი ვრცელი წერილი გადასცა, რომელშიც ეწერა: „ჰერ იოსებ სტალინ! პირველ ყოვლისა, მინდა, დავადასტურო ჩემი პატივისცემა თქვენ მიმართ, როგორც პიროვნებისა და ბელადისადმი, რომელიც ერთ-ერთი უდიდესი სახელმწიფოს მმართველი და ღირსეული წინამძღოლია. თქვენთან მომართვა გადამაწყვეტინა იმ გარემოებამ, რომ ჩვენ შორის წარმოებული სასტიკი, სისხლისმღვრელი ომი, მხოლოდ და მხოლოდ ჩვენი საერთო მტრების – ბრიტანეთისა და შეერთებული შტატების იმპერიების წისქვილზე ასხამს წყალს და არც ჩვენს და არც თქვენს საერთო საქმეს არ არგებს. ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენ მიერ ატეხილი სამხედრო კონფლიქტი, ჩემ მიერ ზემოთ დასახელებული ძალების მიერაა პროვოცირებული და მათი საბოლოო მიზანი ჩვენი უდიდესი ქვეყნების სისხლისგან დაცლაა, რათა მათ საბოლოო ჯამში ჩვენი ცალ-ცალკე დამორჩილება შეძლონ. დამეთანხმებით, ალბათ, ასეთი რამ არც თქვენ და არც ჩვენ არ მოგვიტანს სარგებლობას და, საბოლოოდ, სხვები იხეირებენ. დღევანდელი ომის მსვლელობის ანალიზის შედეგად, მივდივარ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენი უდიდესი ქვეყნები ერთმანეთს დაანგრევენ, გააცამტვერებენ, ჩვენს ნანგრევებზე კი ისინი იმ შენობას ააგებენ, რომელიც საბოლოოდ დაანგრევს მსოფლიო ცივილიზაციის ყველა მონაპოვარს და კაცობრიობის უდიდეს მიღწევებს სამუდამოდ დამარხავს. ჩემი პირადი წარმომადგენელი, გრაფი ვალტერ ფონ აშენბახი, უფლებამოსილია, ჩემი სახელით აწარმოოს მოლაპარაკებები და ჩვენი (თქვენი და ჩემი) პირადი შეხვედრის დეტალები დააზუსტოს. ფონ აშენბახს თქვენდამი გადმოსაცემი კონკრეტული წინადადებები აქვს, მე კი ზოგადად გაგაცნობთ ჩემს მოსაზრებებს:

1. გთავაზობთ დაუყოვნებლივ ზავს და გერმანიის იმპერიის

ყველა სამხედრო შენაერთის დაუყოვნებლივ გაყვანას საბჭოთა ტერიტორიიდან;

2. გთავაზობთ ტყვეების გაცვლას, პრინციპით: ყველა – ყველაზე;

3. გთავაზობთ, მოლაპარაკების მაგიდასთან გადავწყვიტოთ დანარჩენი ევროპის ტერიტორიების საკითხი, სადაც თქვენი პოლიტიკის სასიცოცხლო ინტერესები იქნება გათვალისწინებული და გარკვეული დათმობისთვის ვართ მზად.

კიდევ ერთხელ ვადასტურებ დიდ პატივისცემას თქვენი პიროვნების მიმართ და თქვენი დიდი სიბრძნის იმედი მაქვს.

გერმანიის იმპერიის კანცლერი, ადოლფ ჰიტლერი.

30 აგვისტო, 1943 წელი, ბერლინი".

ჰიტლერის წერილი მოლოტოვმა სტალინს აშენბახთან შეხვედრის წინ გადასცა და, 1 სექტემბრის დღის 13 საათსა და 30 წუთზე, მოლოტოვი საკუთარ კაბინეტში დაბრუნდა, ზუსტად 14 საათზე კი, მან უკვე ფონ აშენბახი მიიღო. აშენბახ-მოლოტოვის შეხვედრა 3 საათზე მეტხანს გაგრძელდა და მოსკოვის დროით 17 საათსა და 25 წუთზე დასრულდა, რის შემდეგაც ფაშისტი ემისარი სავახშმოდ და მოსასვენებლად წაიყვანეს, მოლოტოვი კი სტალინთან გაეშურა. „რას გვთავაზობენ ფაშისტები კონკრეტულად?" – იკითხა სტალინმა და დატენილი ჩიბუხით ოთახში დაიწყო ბოლთისცემა, თან ყურადღებით უსმენდა მოლოტოვს. „კობა, მათი წინადადებები საკმაოდ მიმზიდველი ჩანს და, უნდა გითხრა, რომ აბსოლუტურად ზუსტად გამოიცანი". სტალინს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ თავის დაქნევით ანიშნა, განაგრძეო, „ჰიტლერი ჩვენი ტერიტორიის უსიტყვო დეოკუპაციასა და ევროპის თითქმის ნახევრის დათმობას გვპირდება, – განაგრძო მოლოტოვმა, – გარდა ამისა, ბრიტანულ-ამერიკული ბლოკის წინააღმდეგ კავშირსა და ერთობლივი სამხედრო-სტრატეგიული პროექტების განხორციელებას გვთავაზობს. როგორც ეტყობა, გერმანიის დაზვერვაც საქმის კურსშია ამერიკული ატომური ბომბის შექმნასთან დაკავშირებით და მან მე ამის შესახებ მიმანიშნა. აშენბახი

ომის ოკეანის გაღმა გადატანაზე საუბრობდა და აღნიშნა, რომ მომავლის ყველაზე დიდი საფრთხე სწორედ იქიდან, ამერიკიდან იქნება მოსალოდნელი. მან სიტყვასიტყვით თქვა, რომ ჰიტლერი დიდ შეცდომად მიიჩნევს საბჭოთა კავშირთან ომის დაწყებას და ამ ამბავს ნანობსო".

სტალინმა არაფერი არ თქვა და მოლოტოვმაც თხრობა გააგრძო: „ჩემი აზრით, ჰიტლერის წინადადებები, თუ, რა თქმა უნდა, არ თაღლითობს, სრულიად მისაღებია ჩვენთვის და უნდა დავეთანხმოთ".

სტალინმა უთხრა: „არ მგონია, თაღლითობდეს, რა უნდა მოგვატყუოს ან როგორ? უბრალოდ, მან დასასრულის მოახლოება იგრძნო და ცდილობს, ნახევარი მაინც შეინარჩუნოს თავისი მონაპოვრიდან. მე ფაშისტებთან მოლაპარაკების კატეგორიულად წინააღმდეგი ვარ. ჩვენს ტერიტორიებს ისედაც სულ მალე დავიბრუნებთ. რაც შეეხება ნახევარი ევროპის ჩვენთვის დათმობას, სისულელეა. რატომ უნდა დავთანხმდე ნახევარზე, როდესაც მთლიანის მოპოვების შანსი გვაქვს? ყველანაირი უპირატესობა ჩვენს მხარესაა და სისულელე იქნებოდა ფაშისტებთან დაზავება. ჰიტლერს რომც დავუზავდეთ, ადრე თუ გვიან, ის მაინც ახალ ომში ჩაგვითრევს. ფაშიზმი უნდა განადგურდეს, ევროპა კი უნდა გაწითლდეს. აშენბახი უარით გაისტუმრე და უთხარი, რომ თავის პატრონს ჩვენი კატეგორიული უარი გადასცეს ნებისმიერ შეთანხმებასა თუ მოლაპარაკებაზე"[255].

ვალტერ ფონ აშენბახმა იმავე საღამოს დატოვა მოსკოვი და ფრონტის ხაზი გადაკვეთა. სტალინმა ჰიტლერის პოლიტიკა სრულად ამოიცნო და თავისი უარით ბრიტანეთსა და ამერიკასაც მოუსპო ანალოგიური საშუალება. იმავე ღამეს სტალინი ჯერ ბრიტანეთის პრემიერს უინსტონ ჩერჩილს, შემდეგ კი შეერთებული შტატების პრეზიდენტს და ფრანკლინ რუზველტს ესაუბრა ტელეფონით. მათ ჰიტლერის პირადი ემისრის მოსკოვში საიდუმლო მისიის შესახებ მოუთხრო. ამან გამოიწვია ის, რომ ამერიკულ-ბრიტანული დახმარება საბჭოთა კავშირის მიმართ

თითქმის გაორმაგდა. აქ კიდევ ერთხელ მკაფიოდ დადასტურდა, რომ სტალინს ჰქონდა მოვლენათა წინასწარი განჭვრეტის, ზემოქმედებისა და მათი მართვის უნარი. ანუ იყო ყველა დროის უდიდესი პოლიტიკოსი. რაც უნდა საოცრად ჩანდეს, სტალინმა იმ პერიოდში პირადად ბერიას დაავალა, რომ საბჭოთა დაზვერვას გაასმაგებული ძალით ემუშავა ისეთი ინფორმაციების მოპოვებაზე, რომლებიც ჰიტლერის განადგურების ან მის წინააღმდეგ მიმართული სხვა შეთქმულების დეტალებს შეიცავდა. „ნებისმიერი ასეთი ინფორმაცია, – უბრძანა სტალინმა ბერიას, – პირადად ჰიტლერის ხელში უნდა მოხვდეს და აღიკვეთოს, ის ჩვენ ცოცხალი და ქვეყნის სათავეში გვჭირდება!“ ამით სტალინმა ჰიტლერის უსაფრთხოებას კიდევ ერთი დამატებითი რგოლი შეჰმატა და, არც ისე რთული მისახვედრია, რამ განაპირობა ყოველივე ეს.

საინტერესოა სტალინის კაბინეტში ჩატარებული თათბირის საიდუმლო სტენოგრამის ფრაგმენტი. (თათბირს ესწრებოდნენ: სტალინი, ბერია, მოლოტოვი, ჟდანოვი, ვოროშილოვი და ჟუკოვი. სტალინი, ჩვეულებისამებრ, ბოლთას სცემდა ოთახში და აშკარად ეტყობოდა, მშვენიერ გუნება-განწყობაზე იყო (სტენოგრამას პოსკრებიშჩევი იწერდა). „ამხანაგებო! – დაიწყო სტალინმა, – აშენბახის გაპანღურებამ ჰიტლერის დიდი რისხვა გამოიწვია და, როგორც დაზვერვა გვატყობინებს, მას ამის გამო ისტერიკა დამართნია. შექმნილი სიტუაციის ანალიზი ცხადყოფს, რომ უახლოეს პერიოდში ჰიტლერის შიდა თუ გარე ოპოზიცია საგრძნობლად გააქტიურდება და მის თავიდან მოცილებას შეეცდება. ფაშისტებმა მარცხის მოახლოება იგრძნეს და ისინი ყოველნაირად შეეცდებიან სეპარატისტულ გარიგებებზე წასვლას დასავლეთთან, რადგან ჩვენ მათ კატეგორიული უარი ვტკიცეთ.

მიუხედავად ჩვენი მოკავშირეების ვალდებულებებისა, ღრმად ვარ დარწმუნებული, არც შეერთებული შტატები და არც ბრიტანეთი ხელსაყრელ მომენტში უკან არ დაიხევენ ასეთი ნაბიჯისგან. ჩვენ დღეს, როგორც არასდროს, სწორედ ჰიტლერული

ხელისუფლება გვესაჭიროება გერმანიის სათავეში, რადგან ის უკვე თავის სრულ დამარცხებამდე იბრძოლებს და საშუალებას მოგვცემს, რაც შეიძლება, ღრმად შევიდეთ ევროპაში. ჰიტლერი თანდათან უფრო უმართავი და ჩვენგან მართვადი ხდება. დარწმუნებული ვარ, ამას ჩვენი დღევანდელი მოკავშირეებიც ეჭვობენ და ისინი ყველანაირად შეეცდებიან მის ლიკვიდაციას, ან, უკიდურეს შემთხვევაში გადაყენებას მაინც.

ლავრენტი პავლოვიჩს გუშინ შესაბამისი დავალებები უკვე მივეცი და ფაშისტი დიქტატორის უსაფრთხოება ჩვენს თავზე ავიღეთ, თუმცა, ასპროცენტიანი უსაფრთხოების გარანტია მაინც არ არსებობს და არც მათმა უშიშროებამ უნდა დააღოს პირი. გიორგი კონსტანტინოვიჩ, – მიმართა ბელადმა ჟუკოვს, – მიუხედავად იმისა, რომ მოკავშირეთა დახმარება გაორმაგდა, გვაქვს საიმედო ცნობები, რომ მათი არმიები ფართომასშტაბიან ოპერაციას გეგმავენ ევროპაში, რათა იქ ჩვენ შეგვასწრონ და, მიუხედავად იმისა, რომ მე ამ პრობლემის პოლიტიკური გადაწყვეტის იმედი მაქვს, თქვენ მაინც უნდა დააჩქაროთ ფაშისტთა გაძევების ფართომასშტაბიანი ოპერაციის მომზადება".

სხდომის ბოლოს სტალინმა ბერიასა და ჟდანოვს ერთობლივად დაავალა, რომ მათ იდეოლოგიური დოქტრინები მოემზადებინათ ყველა იმ ევროპულ სახელმწიფოში გასავრცელებლად, რომელთა უახლოეს პერიოდში გათავისუფლებაში ეჭვიც კი არ ეპარებოდა. „ევროპა უნდა გაწითლდეს!" – დაასრულა სტალინმა სიტყვა და ამით მძლავრი ბიძგი მისცა ევროპის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მძლავრი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობების გააქტიურებას.

1945 წლის 2 სექტემბერს იაპონიამ მოახდინა კაპიტულაცია. დამთავრდა მეორე მსოფლიო ომი. მასში სამხედრო-პოლიტიკური-მორალური ხაზით გამარჯვებულნი გამოვიდნენ საბჭოთა კავშირი და აშშ. ამ ომის შემდეგ საბოლოოდ დაიწყო დიდი ბრიტანეთის იმპერიისა და მისი გავლენის მსხვრევა მთელ პლანეტაზე.

* * * * *

გასართობი ჩანართი

1945 წლის დასაწყისში ბალტიისპირეთის პირველი ფრონტის სარდალმა ივანე ბაგრამიანმა კლაიპედის ოპერაციის დროს წარმატებას მიაღწია და წითელი არმიის ნაწილები ბალტიის ზღვის ნაპირზე გავიდნენ. ეს ფაქტი რომ პათოსურად აღნიშნულიყო, სომეხმა გენერალმა პირადად ჩაასხა ბოთლში ბალტიის ზღვის წყალი და თავის ადიუტანტს უბრძანა - გაფრინდი მოსკოვში და ეს ბოთლი ამხანაგ სტალინს მიუტანეო.

ადიუტანტი წავიდა, მაგრამ სანამ იგი წყალს სტალინს მიუტანდა, მანამ გერმანელებმა საპასუხო შეტევა წამოიწყეს და წითელი არმიის ქვედანაყოფებს ზღვიდან უკან დაახევინეს. ბუნებრივია, ადიუტანტმა ეს ფაქტი არ იცოდა, თვითმფრინავში რადიო არ იყო, კრემლში მისვლისას კი არავის არაფერი უთქვამს.

და აი, ადიუტანტი შედის სტალინის კაბინეტში და პათოსით ამბობს:

- ამხანაგო სტალინ, გენერალმა ბაგრამიანმა ბალტიკის წყალი გამოგიგზავნათ...

სტალინმა ბოთლი აიღო, შეატრიალ-შემოატრიალა, შემდეგ კი ადიუტანტს დაუბრუნა:

- მიეცი ბაგრამიანს და უთხარი - ხვალვე წყალი ისევ იქ დააქციოს, სადაც ჩაასხა.

* * * * *

გასართობი ჩანართი

1945 წლის 17 ივლისს დაიწყო პოტსდამის კონფერენცია. სსრკ-ს მეთაურად სტალინის მოსვლა უმკაცრესი საიდუმლოებით იყო გარშემორტყმული. სტალინს აეროპორტში დახვდნენ, მაგრამ სსრკ-ს მეთაური გერმანიის დედაქალაქში მატარებლით ჩავიდა. რკინიგზის სადგურზე აშშ-ს ელჩმა სსრკ-ში ჰარიმანმა, რომელიც მას შეხვდა, ჰკითხა სტალინს, კმაყოფილი იყო თუ არა იმით, რომ იგი ბერლინში ჩავიდა როგორც გამარჯვებული: „მეფე ალექსანდრემ პარიზს მიაღწია", - მშვიდად უპასუხა სტალინმა.

მას მაშინვე შესთავაზეს საქსენჰაუზენის საკონცენტრაციო ბანაკში წასვლა, სადაც მისი ვაჟი იაკობ ჯუღაშვილი გარდაიცვალა. რაზეც მაშინვე მიიღეს სტალინური პასუხი: „მე აქ პირადი საქმით არ მოვსულვარ".

ამავე დროს, სტალინმა უარი თქვა წასვლაზე და ჰიტლერის ნეშტის დათვალიერებაზე. იგი მთლიანად კონცენტრირებული იყო მოლაპარაკებებზე, რომელთა შედეგზე იყო დამოკიდებული მსოფლიოს მომავალი წესრიგი. პოტსდამის კონფერენციის ერთ-ერთი ყველაზე საინტერესო მომენტი იყო სტალინისა და ჩერჩილის დისკუსია გერმანული ფლოტის გაყოფის შესახებ. სსრკ-ს მეთაურმა ისაუბრა კავშირის მიერ გერმანული ფლოტის წილის მიღების შესახებ. ჩერჩილი, რომლისთვისაც ძლიერი ფლოტის არსებობა „არა დიდ ბრიტანეთში" სრულიად მიუღებელი ფაქტია, ცდილობდა დაეყენებინა საკითხი გერმანული ხომალდების განადგურების შესახებ. „სტალინი... მხოლოდ ერთი კითხვა: რატომ უარს ამბობს ბატონი ჩერჩილი რუსების გერმანულ ფლოტში მათ წილზე? ჩერჩილი. წინააღმდეგი არ ვარ. მაგრამ რაკი თქვენ მეკითხებით, აი ჩემი პასუხი: ეს ფლოტი უნდა ჩაიძიროს ან გაიყოს. სტალინი. ჩაძირვის მომხრე ხარ თუ დაყოფის? ჩერჩილი. ომის ყველა საშუალება საშინელებაა. სტალინი. ფლოტი უნდა გაიყოს. თუ ბატონი ჩერჩილი ფლოტის ჩაძირვას ამჯობინებს, მას შეუძლია თავისი წილის ჩაძირვა, მე არ ვაპირებ ჩემი წილის ჩაძირვას. ჩერჩილი. ამჟამად თითქმის მთელი გერმანული ფლოტი ჩვენს ხელშია. სტალინი. ეს არის საქმე. ამიტომ, ჩვენ უნდა გადავწყვიტოთ ეს საკითხი". შედეგად, მიუხედავად მუდმივი მცდელობისა ამ საკითხის გადაწყვეტის დაყოვნებისა ან გადადებისა, კონფერენციამ გადაწყვიტა, რომ გერმანიის სამხედრო და სავაჭრო ფლოტის მესამე ნაწილი, წყალქვეშა ნავების გარდა, რომელთა უმეტესობა ჩაიძირებოდა, გადაეცა საბჭოთა კავშირს. თუმცა, არ უნდა ვიფიქროთ, რომ რადგან აშშ-ისა და დიდი ბრიტანეთის მეთაურები რაღაცას დაჰპირდნენ და რაღაცას შეთანხმდნენ, მაშინ ეს შეთანხმებები პატივისცემით განხორციელდა. ესენი არიან ანგლო-საქსები...

1945 წლის 5 აგვისტოს სტალინი მატარებლით გაემგზავრა მოსკოვში. მეორე დღეს შეერთებულმა შტატებმა ჰიროსიმაში ატომური ბომბი ჩამოაგდო. ჰარი ტრუმენმა პირდაპირ პოტსდამიდან გასცა ბრძანება ატომური იარაღის გამოყენების შესახებ ჰიროსიმას წინააღმდეგ. ამ ქალაქში პრაქტიკულად არ არსებობდა იაპონური საჰაერო თავდაცვის ძალები, რადგან მასში არ იყო სამხედრო დანადგარები და ამერიკელებს მანამდე ქალაქი არ დაუბომბიათ. მაგრამ ახალი მომაკვდინებელი იარაღის გამოყენება კონფერენციის დასრულების შემდეგ უნდა მომხდარიყო. ამასობაში, შეერთე-

ბული შტატების პრეზიდენტმა გადაწყვიტა „თითქოს“ შემთხვევით ეთქვა სტალინისთვის მოკავშირეებს შორის „ბომბის“ არსებობის შესახებ. ტრუმენის ლოგიკა მარტივი იყო - ამის შესახებ რომ შეიტყო, სსრკ-ს მეთაური, რა თქმა უნდა, ელასტიური და რბილი გახდებოდა. კონფერენციის ოქმები და თვითმხილველთა მოგონებები მოწმობს, რომ სტალინის პოზიცია წუტითაც არ შეცვლილა. ის არ დამორჩილებულა ზეწოლას.

*****

მეორე მსოფლიო ომის შედეგად გერმანია განადგურებულ იქნა, როგორც ერთიანი სახელმწიფო. საბჭოთა ჯარებმა აიღეს ბერლინი, ვენა, ბუდაპეშტი, ბუქარესტი, ვარშავა, სოფია, პრაღა... საბჭოთა კავშირმა არა მარტო შეინარჩუნა ომის წინ შეძენილი მიწები, არამედ გააფართოვა ისინი აღმოსავლეთ პრუსიისა, სამხრეთ სახალინისა და კურილიის კუნძულების ხარჯზე. ამ ომის შემდეგ საბჭოთა კავშირი გახდა მსოფლიო ლიდერი. გაერო-ს ერთ-ერთი შემქმნელი. სსრკ-მ შეძლო აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები დაექვემდებარებინა პოლიტიკურად, ეკონომიკურად და სამხედრო თვალსაზრისით. იქ დაამყარა კომუნისტური მმართველობები, რის შედეგადაც მმართველობას ჩამოსცილდნენ ამ სახელმწიფოების სხვა რიგი პარტიები. უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე ხელისუფლებისათვის ბრძოლას მაო ძე დუნის მეთაურობით ჩინეთში, რომელიც დასრულდა კომუნისტების გამარჯვებით. ჩინეთი სარგებლობდა საბჭოთა კავშირის უპირობო დახმარებით. ამიტომაც იძახდა ამ ამბებით გამწარებული ჩერჩილი 1946 წელს ფულტონში, რომ მსოფლიო გაიყო ორ ნაწილად, რომლის ერთი ნაწილის სათავეში დგას აშშ, ხოლო მეორის საბჭოთა კავშირი. ამ დროიდან მოყოლებული ორმოცზე მეტი წლის განმავლობაში მიმდინარე კონფლიქტებში, რომელიც ხდებოდა მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში მიმდინარეობდა სსრკ-აშშ-ს ეგიდით. დაიწყებოდა თუ არა რომელიმე მათგანი და ისმოდა ჩვეულებრივ კითხვა რომელი მათგანის ინტერესებში შედიოდნენ ისინი?

საბჭოთა სისტემის მოდერნიზების ცდა


მეორე მსოფლიო ომის დამთავრებისთანავე დაიწყო მძაფრი წინააღმდეგობა საბჭოთა კავშირსა და დასავლურ სამყაროს შორის. ომის დამთავრებიდან ორიოდ დღეში 1945 წლის 4 სექტემბერს შეიქმნა „ORK 32329" მემორანდუმი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა სსრ კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის ამერიკული გეგმების შემუშავებას. პირველი ასეთი გეგმის, სახელწოდებით „პინჩერი", შემუშავება დასრულდა 1946 წლის ივნისში. 1947 წელს ამ გეგმის გადახედვა მოხდა და მიიღო სახელი „ბროლერი", 1948 წლის თებერვალში იგი ცნობილი გახდა, როგორც „გრაბერი", იმავე წლის მაისში კი, როგორც „ფლიტვუდი".

დასავლური სამყაროს ახალმა ლიდერმა აშშ-მ ომის შედეგების ლიკვიდაციისათვის ევროპას და მათ შორის საბჭოთა კავშირს შესთავაზა ე. წ. „მარშალის გეგმა".

მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ, 1945 წლის 14 სექტემბერს მოსკოვში ჩამოვიდა ამერიკელთა დელეგაცია მ. კომლერის ხელმძღვანელობით. მას უნდა ეწარმოებინა მოლაპარაკებები სტალინთან ეკონომიკურ საკითხებზე. ამერიკელმა წამოაყენა მთელი რიგი მოთხოვნები. სახელდობრ საბჭოთა კავშირს ამერიკელებისათვის უნდა შეეტყობინებინა რა წილი ჰქონდა საბჭოთა კავშირის წარმოებაში იარაღს, წარედგინათ ამერიკელებისათვის ეკონომიკის მნიშვნელოვანი მონაცემები და მიეცათ მისი შემოწმების საშუალებები. საბჭოთა კავშირს ვაშინგტონის მოთხოვნის თანახმად უნდა აეღო ვალდებულება, არ აღმოეჩინა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებისათვის დახმარება და შეეტყობინებინათ ამ ქვეყნებთან სავაჭრო მოლაპარაკებების შესახებ.

როგორც საბჭოთა კავშირში ისე აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში, რომლებიც იმყოფებოდნენ მოსკოვის გავლენის ქვეშ უნდა ყოფილიყო გარანტირებული ამერიკული საკუთრების დაცვა. ასევე ამერიკული წიგნების, ჟურნალების, კინოფილმების, გაზეთების გავრცელება. ბოლოს ამერიკელები აყენებდნენ აღ-

მოსავლეთ ევროპიდან საბჭოთა საოკუპაციო ჯარების გამოყვანის საკითხს. რა თქმა უნდა ამერიკელთა ამ მოთხოვნებზე საბჭოთა დიქტატორი არ წავიდოდა და დაიწყო კიდეც მათ შორის დაპირისპირება, რომელიც ოთხ ათეულ წელზე მეტი ხანი გაგრძელდა და ისტორიაში „ცივი ომის" სახელით შევიდა.



...გერმანელი ისტორიკოსი და ფილოსოფოსი ოსვალდ შპენგლერი წერდა: „ნამდვილი სახელმწიფო მოღვაწისთვის არსებობს მხოლოდ პოლიტიკური ფაქტები და არა პოლიტიკური ჭეშმარიტებები". უდავოა სახელმწიფოს გონიერი მმართველი, უპირველეს ყოვლისა, უნდა იყოს რეალისტი, ფხიზელი თვალით უნდა შეაფასოს არსებული მდგომარეობა და სულ მცირე, უახლოეს მომავალზე უნდა შეეძლოს პოლიტიკურ ნაბიჯების გათვალა. იგივე ო. შპენგლერი მიუთითებდა: „მასების პოლიტიკური ნიჭი მხოლოდ ლიდერისადმი ნდობაა. თუმცა, ასეთი ნდობა უნდა მოიპოვო. ის დიდხანს მწიფდება და უნდა იყოს გამყარებული წარმატებებით, სანამ ტრადიციად არ იქცევა". ამას შეიძლება დავუმატოთ ლიდერის პოლიტიკური ნიჭი. ეს არის მასების შეგნებული თუ ქვეცნობიერი ნების, მათი რწმენისა და იმედების

აღქმა და გამოხატვა. სტალინი ფლობდა უმაღლესი ხარისხის ამ ნიჭს, რამაც ასახვა გეოპოლიტიკაში ჰპოვა.

საბჭოთა კავშირში მიმდინარე პროცესებს დიდი ყურადღებით ადევნებდნენ თვალს აშშ-ში, რომელიც ამ დროისათვის თავადაც აცხადებდა პრეტენზიას მსოფლიო ლიდერობაზე. ამიტომაც იყო, რომ 1944 წელს ბრეტონ-ვუდსის კონფერენციაზე შეიქმნა საერთაშორისო სავალიუტო ფონდი და რეკონსტრუქციისა და განვითარების მსოფლიო ბანკი[54]. მალევე საფუძველი ჩაეყარა გაერო-ს შექმნას. როგორც მიიჩნევენ ბრეტონ-ვუდსის სისტემისა ერთ-ერთი შემქმნელი ჰარი დექსტერ უაიტი და გაერო-ს მამა ოლჯერ ჰისი საბჭოთა სპესამსახურებთან თანამშრომლობდნენ [55; 56, 150-151].

საბჭოთა კავშირმა ომის შედეგად, 27 მილიონი ადამიანის სიცოცხლე და ეროვნული სიმდიდრის 30% დაკარგა. დასავლელი ექსპერტები ოფიციალურ პროგნოზებში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ სსრკ-ს ეკონომიკა ომამდელ დონისათვის შეეძლო მიეღწია მხოლოდ 1965 წლისთვის. და ისიც მხოლოდ და მხოლოდ უცხოური სესხის აღების შემთხვევაში. მიუხედავად ყოველივესი სტალინმა ამ დონემდე მიაღწია 1948 წელს, ყოველგვარი დახმარების გარეშე. ეკონომიკის სახელმწიფო რეგულირებისა და ომაგამომვლილი ხალხის უმაგალითო ერთგულების წყალობით.

კომკავშირმა გამოაცხადა შეფობა 15 უძველესი ქალაქის აღდგენაზე. პირველი ხუთწლიანი გეგმის უმსხვილეს სამშენებლო პროექტებზე, დონბასის მაღაროებზე. ხალხი მთელი სსრკ – დან დახმარებას უწევდა ბელორუსიას, მოლდავეთს და უკრაინას. გაიზარდა სამშენებლო ტექნიკის რაოდენობა. ეს ყველაფერი გახდა მნიშვნელოვანი ფაქტორი, რომელმაც განსაზღვრა ქვეყანაში შრომის პროდუქტიულობის ზრდა. პირველ რიგში კი მრეწველობაში, სადაც შრომის ნაყოფიერების ზრდის ინდექსმა საშუალოდ 10 % -ი აჩვენა წელიწადში.

მეოთხე ხუთწლიანი პერიოდის ეკონომიკური ზრდის საშუალო წლიურმა მაჩვენებელმა 14,6% შეადგინა. მეოთხე ხუთწლიანი

გეგმა დასრულდა 4 წელიწადსა და 3 თვეში.

გადამწყვეტი როლი შეასრულა თავდაცვის ინდუსტრიული კომპლექსის მნიშვნელოვანი ნაწილის მშვიდობიან წარმოებაში გადაკეთებამ. 1946 წელს ქარხნებმა, რომლებმაც ადრე აწარმოებდნენ სხვადასხვა სახის იარაღს და საბრძოლო მასალებს, სასწრაფოდ მოახდინეს თავიანთი პროდუქციის დივერსიფიკაცია, რისთვისაც დაამატეს ათობით ახალი წარმოების ხაზი.

სამხედრო ხარჯების შემცირების (1,9 ჯერ) შედეგად ძირითად ფონდებში მნიშვნელოვნად გაიზარდა კაპიტალდაბანდებანი. ხუთ წელიწადში 6000-ზე მეტი ინდუსტრიული საწარმო აღდგა ან აშენდა, თითქმის იმდენივე რაც პირველ ორ ხუთწლედში ერთად აღებული. 1950 წელს მთლიანმა სამრეწველო წარმოებამ ომამდელ დონეს გადააჭარბა 73% -ით (დაგეგმილი იყო 48%).

ძირითადი ყურადღება დაეთმო სამეცნიერო და ტექნოლოგიური პროგრესის ფართო გამოყენებას. 1950 წელს სამეცნიერო ინსტიტუტების რაოდენობა 1940 წელთან შედარებით 40%-ით გაიზარდა. ყველაზე სწრაფად მზარდი ინდუსტრიაში იყო: ინჟინერია, ქიმია და ელექტროენერგიის წარმოება. მაგ: ექსკავატორების წარმოება გაიზარდა 12,9 ჯერ, ნაქსოვი ქსოვილების 7,25 ჯერ, მოძრავი აპარატურის 6.5 ჯერ, ელექტროძრავების 3.7 ტრაქტორების - 3.5 ჯერ, ტურბინების - 2.25 ჯერ, ქიმიური ბოჭკოვანების და ძაფების - 2.2-ჯერ, ელექტროენერგიის 88%. მდ. ვოლგაზე დაიწყო ორი ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

1946 წლიდან დაიწყო ბირთვულ ენერგიასა და ბირთვულ იარაღთან დაკავშირებული სამუშაოები. ომის დასრულებიდან ერთი წლის შემდეგ, კონტინენტზე დაიწყო პირველი ბირთვული რეაქტორის მუშაობა სამეცნიერო მიზნებისთვის, 1949 წელს კი ჩატარდა საბჭოთა ატომური ბომბის პირველი ტესტი.

ტექნოლოგიებისა და აქტიური სამუშაოების შედეგად 1947 წლის ბოლოს, გაუქმდა პროდუქციის განაწილების საბარათო სისტემა. იმავდროულად დაიწყო სურსათსა და ფართო მოხ-

მარების საქონელზე ფასების სისტემატური დაწევა. ხუთწლიანი პერიოდის განმავლობაში, სსრკ-ში ძირითად საკვები პროდუქტებზე ფასები შემცირდა 2-2,5 ჯერ, ხოლო უმსხვილეს კაპიტალისტურ ქვეყნებში: აშშ, ინგლისი, საფრანგეთი - 2-ჯერ გაიზარდა. საბჭოთა კავშირში განხორციელდა ფულადი რეფორმა. ამ ყველაფერმა გააუმჯობესა ცხოვრება, გაზარდა მოსახლეობის ნდობა მომავალისადმი[57].

1946 წლის 5 იანვარს პრეზიდენტი ტრუმენი წერდა სახელმწიფო მდივან ბირნსს: „თუ რუსეთთან არ გამოვაჩენთ რკინის მუშტს და არ ველაპარაკებით მას მკაცრ ენაზე ომი გარდაუვალია, რუსებს ესმით მხოლოდ ერთი ენა თუ რამდენი დივიზია ჰყავთ...“ - წერილი მთავრდებოდა სიტყვებით-„მე დავიღალე რუსეთთან შუამდგომლობით“[63, 170].

1948 წელს მსოფლიო ეკონომიკის რეგულირებისათვის შეიქმნა ტარიფებისა და ვაჭრობის შესახებ შეთანხმება (GATT), რომელიც 1990-იან წლებში გადაკეთდა მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციად (WTO).

საბჭოთა კავშირმა უარი თქვა „მარშალის გეგმაზე“. ამან დიდი დაძაბულობა გამოიწვია თეთრ სახლსა და კრემლს შორის. ამის ერთ-ერთ გამოხატულებად უნდა განვიხილოთ საბჭოთა კავშირის ერთ-ერთი პოლიტიკური ლიდერის ა. ჟდანოვის განცხადება ორი სამხედრო-პოლიტიკური ბანაკის ფორმირების შესახებ[64, 34-36] დასავლეთის მხრიდან მომდევნო საპასუხო ნაბიჯი ეს იყო ჩერჩილის სიტყვა „რკინის ფარდის ჩამოფარების“ შესახებ აღმოსავლურ და დასავლურ სამყაროს შორის. შედეგად 1946-1951 წლებს შორის საქონელბრუნვა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის შემცირდა 6-ჯერ[65, 272] თავის მხრივ ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების საქონელბრუნვა 1951 წელს 1937 წელთან შედარებით საფრანგეთთან შემცირდა 4-ჯერ, ინგლისთან 6-ჯერ, ხოლო აშშ-სთან 10-ჯერ[65, 258]. ასეთ ვითარებაში კრემლის ხელმძღვანელობით 1949 წლის 18 იანვარს შეიქმნა ეკონომიკური ურთიერთდახმარების საბჭო, რომელშიც

გაერთიანებული იქნა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები. მოსკოვის ამ ნაბიჯს იმავე წლის 4 აპრილს თეთრი სახლის მხრიდან მოჰყვა სამხედრო-პოლიტიკური ბლოკის ნატო-ს შექმნა. ასე რომ მსოფლიო კვლავ იქცა დაპირისპირებულ ბლოკებად.

ევროპის საბოლოო გახლეჩა მოხდა ევროპაში ომის დასრულებიდან ოთხ წელიწადში. 1949 წლის 23 მაისს მაშინ, როდესაც ევროპის დასავლეთით მოხდა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის-გფრ ფორმირება. ხოლო იმავე წლის 7 ოქტომბერს ევროპის აღმოსავლეთით შეიქმნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა-გდრ. ასეთ ვითარებაში მოსკოვმა მოახდინა შეიარაღებული ძალების გაძლიერება. 1948 წელთან შედარებით 1951 წელს საბჭოთა შეიარაღებული ძალების რაოდენობა გაიზარდა თითქმის ორჯერ 2, 9 მლნ-დან 5, 4 მლნ-მდე[66, 38-39]. გარდა ამისა კრემლი უკვე ფლობდა უკვე საკუთარ ატომურ ბომბს. ამ დროისათვის საბჭოთა კავშირის ჰეგემონობით შეიქმნა ცენტრალური ევროპის და აზიის ქვეყნებისაგან ე.წ. „სოციალისტური სისტემის“ ქვეყნები.

გვინდა თუ არა უნდა ვაღიაროთ, რომ ერთმა კაცმა უკიდურეს სიღარიბეში დაბადებულმა და სოციალურ გაჭირვებაში გაზრდილმა, გორელი მეწაღის შვილმა იოსებ ჯუღაშვილმა(სტალინი) მართალია ცეცხლითა და მახვილით, მაგრამ კაცობრიობის ისტორიაში არსებული უტოპია რეალობად აქცია. შექმნა მანამდე არნახული და არარსებული „თანასწორთა სახელმწიფო“. ამ სახელმწიფოს უდიდესი ნაკლი ის იყო, რომ იგი დაფუძნებული იყო დიქტატურაზე. მაგრამ ისიც გასათვალისწინებელია, რომ მანამდეც, მის დროსაც და მის შემდეგაც უამრავი დიქტატორი იყო, რომელთაგანაც არცერთს აზრადაც კი არ მოსვლიათ მსგავსის შექმნა. ან თუ დაიწყეს, ვერ განახორციელს, იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ თითოეულს სძლია ამ ქვეყნიურმა ვნებებმა და ძალაუფლებით ტკბობამ. მხოლოდ ი. სტალინმა შეძლო მიეგნო იმ იდეისთვის, რომელიც იმ დროს სურდა მოდერნიზებული რუსეთის იმპერიის ხალხთა აბსოლუტურ უმრავლესობას. ვიმეორებ

ეს იყო „ადამიანთა სოციალური თანასწორობის სახელმწიფო“.

დღეს ბევრი მსჯელობს 1930-იანი წლების რეპრესიებზე. 1937 წლის ბოლშევიკების ცენტრალური კომიტეტის თებერვალ-მარტის პლენუმის ოქმები იკითხება როგორც დეტექტივი, - აღნიშნავს ანატოლი ვასერმანი, რომელიც მანამდე ანტისტალინიზმით გამოირჩეოდა. პლენუმზე პოლიტბიურო სტალინის ხელმძღვანელობით არაერთი საკმაოდ რადიკალური ინიციატივით გამოვიდა. მის მიერ შემოთავაზებული იყო, რეგიონული პარტიის ხელმძღვანელობის არჩევითობის შემოღება. იმავდროულად გაეთავისუფლებინათ სამეურნეო მუშაკები პარტიის მეურვეობისგან. მიზანს წარმოადგენდა საერთოდ დაევიწყებინათ კლასობრივი შური და ხალხი გაერთიანებულიყო ქვეყნის გასავითარებლად.

მაგრამ პარტიულმა ბიუროკრატიამ, რბილად რომ ვთქვათ, მხარი არ დაუჭირა ამ ინიციატივას. ბევრი მათგანი რევოლუციურმა ტალღამ აღზარდა და არ სურდა კონკურენცია. ეკონომიკური საკითხების აღმოფხვრაც მათ კატეგორიულად არ აწყობდათ. ისინი სათითაოდ ადიოდნენ ტრიბუნაზე და ამბობდნენ, რომ მათ მამულებში კლასობრივი ბრძოლა სულ უფრო და უფრო მძაფრდებოდა.

ბოლო წვეთი იყო დასავლეთ ციმბირის რეგიონალური კომიტეტის პირველი მდივნის, რობერტ ეიხეს წერილი. იგი იტყობინებოდა, რომ მის რეგიონში დევნილი კულაკების შეთქმულება აღმოაჩინეს. დელეგატების განწყობის გამო ეიხეს მიეცა გადაუდებელი უფლებამოსილება, სხვა მდივნების მსგავსად მტრებთან საბრძოლველად.

სტალინი იძულებული გახდა დათმობაზე წასულიყო წინააღმდეგ შემთხვევაში, პლენუმს შეეძლო პოლიტბიუროს დაშლა. ასე მოხდა 20 წლის შემდეგ. 1957 წელს პოლიტბიუროს შვიდმა წევრმა ორის წინააღმდეგ ხმა მისცა ხრუშჩოვის თანამდებობიდან გადაყენებას. პოლიტბიუროს წევრმა ეკატერინა ფურცევამ, ისარგებლა თავისი სქესის პრივილეგიით და ითხოვა ტუალეტში შესვლა. ოთახიდან გასვლის შემდეგ მან თავად დაიწყო ცენტრალ-

ური კომიტეტის წევრებისადმი დარეკვა, რომლებიც მარშალმა ჟუკოვმა მოსკოვში ჩამოაფრინა სამხედრო თვითმფრინავებით. შედეგად, პლენუმმა ხმათა უმრავლესობით გაათავისუფლა ხრუშჩოვის მტრები. ამავე სქემის მიხედვით 1964 წელს, სკკპ-ს წესდების მკაცრი დაცვით თავად ნიკიტა ხრუშჩოვი მოიცილეს.

ამ დროს შინსახკომის ორგანოები აცხადებდნენ სახელმწიფოში განსაკუთრებულ როლზე პრეტენზიას. სახალხო კომისარი იყო ნიკოლაი ეჟოვი, რომელიც დაინიშნა მისი წინამორბედის ჰაინრიხ იაგოდას სიკვდილით დასჯის შემდეგ. მან თავდაპირველად უწყებაში წესრიგის აღდგენაც კი სცადა. კერძოდ, ბრძანა დაპატიმრება „სამშობლოს ღალატის“ მუხლით ყოფილიყო მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა ერთმანეთისგან დამოუკიდებელი სამი ადამიანის ჩვენება. კარიერის ბოლოს ეჟოვი უკვე საღად მოაზროვნე არ იყო. იგი იყენებდა ალკოჰოლისას და კოკაინის ცხენის დოზებს. იყო ჰომოსექსუალურ ორგიებში ჩაძირული. პარალელურად აგროვებდა სტალინსა და მოლოტოვის შესახებ დოსიეს.

დასახვრეტთა სიებს ადგენდნენ ადგილებზე და აგზავნიდნენ ზემოდ. სტალინს მხოლოდ შეეძლო შეემცირებინა რეგიონის ლიდერების სისხლისმსმელი მადა. კერძოდ, მან ორჯერ წაშალა მარშალი ეგოროვი დაპატიმრების სიიდან, რომელთანაც ერთად იბრძოდა პოლონეთის კამპანიაში. უცნობია, რა მაკომპრომეტირებელი მასალა მიაწოდეს მას მესამედ. ხრუშჩოვის დროს რეაბილიტირებულთა ყველა საქმე განადგურდა. სხვათა შორის, ბერიას ვაჟმა, სერგომ, თავად ნიკიტა ხრუშჩოვის საქმიანობის შესახებ ძალიან საინტერესო ამავი მოგვითხრო. ხრუშჩოვმა კიევიდან მოსკოვში დეპეშა გაუგზავნა და ჩიოდა, რომ ცენტრისგან ნებართვას ითხოვდა 12000-14000 ადამიანის დაკავებაზე, ხოლო როდესაც მას „მხოლოდ“ 2000 ან 3000 ლიმიტი დაუწესეს, სტალინმა დეპეშას დააწრა რეზოლუცია: „დამშვიდდი, სულელო!“ ისე დადგენილია, რომ ხრუშჩოვი იყო რიგით მესამე სისხლისმღვრელი ეიხესა და პოსტიშევის შემდეგ[256].

მას შემდეგ რაც შინსახკომს სათავეში ჩაუდგა ლავრენტი ბერია შეწყდა ადამიანთა ჟლეტა. და უფრო მეტიც ბევრი დაპატიმრებული სამხედრო დაუბრუნდა სამსახურებს. მათ შორის იყო მომავალი გენერლები მერეცკოვი და როკოსოვსკი.

იყო შეთქმულებები და არა ერთი. ზოგიერთ სამხედრო ლიდერს სურდა კლიმენტ ვოროშილოვის გადაყენება სახალხო თავდაცვის კომისრის თანამდებობიდან და ამიტომ აწარმოებდა საბოტაჟს, რათა პასუხისმგებლობა დაკისრებოდა უწყების უფროსს. რაც შეეხება ტუხაჩევსკის, ის, რა თქმა უნდა, საბჭოთა რეჟიმის არც ჯაშუში იყო და არც მტერი. თუმცა, მისი რწმენა ძალიან თავისებური იყო. ის დარწმუნებული იყო, რომ ჰიტლერთან ომში სსრკ აუცილებლად წააგებდა. ამიტომაც მან მოამზადა გეგმა ომის დაწყებისთანავე წითელი არმიის ელვისებური დამარცხებისთვის. ზრახვები კარგი იყო - რათა ქვეყანას შეენარჩუნებინა რესურსები და ძალები აღდგენისთვის. მაგრამ, სინამდვილეში, ეს, რა თქმა უნდა, იყო ღალატი. მისი ჩვენებიდან ირკვევა, რომ ასეთ გეგმას გამომძიებელი კი არა მებრძოლი გენერალიც კი ვერ შეადგენს. ამის შემუშავება შეეძლებოდა მხოლოდ უმაღლესი სარდლობის წარმომადგენლს, რომელსაც ჰქონდა შესაბამისი დონის ცოდნა და გამოცდილება.

******

გასართობი ჩანართი

რეჟისორ მეიერჰოლდის დასმენებით ათობით ადამიანი დააკავეს. ამას მოწმობს მისი სტატიები 1930-იანი წლების პრესაში. ის ამა თუ იმ კოლეგას ადანაშაულებდა „ანტისაბჭოელობაში“, რაც შემდეგ შეიძლება ყოფილიყო მზა განაჩენი, ვინაიდან მთელი პრესა პარტიული იყო.

მწერალი დანიილ ხარმსი ფსიქიკურად დაავადებული ადამიანი იყო. როდესაც დაავადება გაუარესდა, ის დარბოდა ქუჩებში, ადიდებდა ჰიტლერს, ყვიროდა, რომ ნაცისტებმა ლენინგრადი აიღეს... დააპატიმრეს, მაგრამ არა ციხეში, არამედ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსეს, სადაც გარდაიცვალა ბლოკადის დროს.

მწერალი ისააკ ბაბელიც არ იყო დისიდენტი. ის დაახლოებული იყო როგორც იაგოდასთან, ასევე იეჟოვთან. სხვათა შორის, ის იყო ამ უკანასკნელის მეუღლის, ევგენიას მრავალრიცხოვან საყვარლებს შორის ერთ-ერთი, რომლითაც თავად ნიკოლაი იეჟოვი ძალიან ამაყობდა. ამბობდა, ასეთი ადამიანები ჰყავს საყვარლებად მის ცოლს, მაგრამ ის მას არ ტოვებდა!

* * * * *

გასართობი ჩანართი

25 წლის განმავლობაში ნიკოლაი ვლასიკი იცავდა სტალინს და მთელ პარტიულ ელიტას, ზრდიდა ბელადის შვილებს, მოაწესრიგებდა მათ ცხოვრებას და არაერთხელ იხსნა ისინი სიკვდილისგან. გენერალ-ლეიტენანტი ვლასიკი 1952 წლის დეკემბერში დააპატიმრეს.



ნიკოლაი ვლასიკი

დაპატიმრებისას მან წარმოთქვა წინასწარმეტყველური სიტყვები: „მომიცილეს, რაც იმას ნიშნავს, რომ მალე სტალინი აღარ

იქნება". სამი თვის შემდეგ, 1953 წლის 5 მარტს ი. სტალინი გარდაიცვალა.

*****

ნებისმიერი სახელმწიფო თავის თავშივე გამორიცხავს არარეპრესიულობას. მით უმეტეს ისეთი, სადაც ხდება სოციალური თანასწორობის მიღწევა მდიდართა ქონების ექსპროპრეაციის ხარჯზე. ამიტომაც მმართველობის დემოკრატიული ფორმით საყოველთაო თანასწორთა სახელმწიფოს შექმნა ყოვლად შეუძლებელია. ი. სტალინმა ყოველივე ეს განახორციელა ძალით და იძულების წესით. სხვანაირად ეს წარმოუდგენელი იყო. თანასწორობისათის ის უტოპიური ბრძოლა, რომელიც მიმდინარეობდა საუკუნეთა განმავლობაში, მან მისივე ძალისხმევით შექმნილ რუსეთის მოდერნიზებულ საბჭოთა იმპერიაში თავის სიცოცხლეში რეალობად აქცია.

ტყუის ის ვინც ამბობს, რომ იძულების ფაქტორის გარეშე შეიძლება რაიმე ახალი სახელმწიფო სისტემის მშენებლობა. უფრო მეტიც ძალისა და იძულების გარეშე ვერ შენარჩუნდება უკვე ჩამოყალიბებული და განმტკიცებული ვერცერთი დემოკრატიული სისტემა. მით უმეტეს ისეთ ქვეყანაში, როგორიც პირველი მსოფლიო ომისშემდგომი რუსეთი იყო, რომელიც მოცული ჰქონდა საყოველთაო სახელმწიფოებრივ ქაოსსა და ანარქიას. ამიტომაც იოსებ სტალინმა ეს შეძლო ზეადამიანური ძალით. მან ეკონომიკურად განადგურებული და სოციალური აფეთქების ზღვარზე მიყვანილი უზარმაზარი ქვეყანა გადაარჩინა და შექმნა ისეთი საზოგადოება, რომელშიც ყოველი სოციალური ფენა პატივს სცემდა სხვების ინტერესებს, ხოლო ყველა ერთად სახელმწიფოს[200, 158]. ეს ყველაფერი კი დამყარებული იყო იმ პოლიტიკურ სისტემაზე, რომელიც ერთმა კაცმა ი. სტალინმა გენიალური გონებით და ტიტანური შრომით შექმნა. თუმცა იმდენად მყიფე აღმოჩნდა თითქოსდა გარეგნულად მონოლითური ერთობა, რომ სტალინის გარდაცვალების დღიდანვე დაიწყო მეთოდურად მოშლა. და ეს მოშლა-დაშლა გრძელდებოდა მთელი 38 წლის მან-


ძილზე. რაც საბოლოოდ დამთავრდა „თანასწორთა სახელმწიფოს“ პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის კატასტროფით.



ბელადთან მთელ მსოფლიოში მაგრები. უბელადოდ? არარაოებები

რა იყო ამის მიზეზი თუ მიზეზთა ერთობლიობა?

საბჭოთა კავშირის სტალინური ყაზარმული სოციალიზმის საჩვენებლად მოვიყვანთ ზოგიერთ ციფრს. როგორც ავღნიშნეთ მეფის რუსეთში პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე ცხოვრობდა მსოფლიოს მოსახლეობის 9%. ეს რუსეთი აწარმოებდა მსოფლიო სამრეწველო წარმოების 4%-ზე მეტს, ანუ მსოფლიო საშუალო დონის ორჯერ ნაკლებს. 1937 წელს კი სსრკ-მ აწარმოებდა მსოფლიო სამრეწველო წარმოების 13,7%, მისი მოსახლეობა კი ამ დროისათვის მსოფლიოს მხოლოდ 8% იყო. სამრეწველო წარმოების მხრივ, სსრკ ევროპაში მეოთხედან პირველ ადგილზე გადავიდა, ხოლო მსოფლიოში მეხუთედან მეორეზე, ის ჩამორჩებოდა მხოლოდ აშშ-ს[203, 168; 204, 1028]. ამ ყაზარმულმა ეკონომიკამ მოუგო ომი თითქმის მთელ ევროპას, რომელიც დაპყრობილი ჰქონდა ჰიტლერს და რომელი ევროპაც შრომობდა ფაშისტური გერმანიისათვის.



სტალინის წერილი მეგობარს

იმავდროულად უსამართლობა იქნებოდა რომ არ აგვეღნიშნა ის, რომ ამ სისტემამ ადამიანებს მისცა უფასო სწავლა-განათლება, უფასო მკურნალობა, უფასო ბინა, უფასო დასვენება და მკურნალობა სანატორიუმებში, სიმბოლური ფასები წამალზე, პურსა და საერთოდ საკვებ პროდუქტებზე, ფართო მოხმარების საქონელზე, ყოველდღიურ მოხმარების საგნებზე, კომუნალურ მომსახურებაზე. ისტორიაში პირველად დააკანონდა 7-საათიანი სამუშაო დღე და 5-დღიანი სამუშაო კვირა.

1959 წელს გაიმართა დიდი ბრიტანეთის თემთა პალატის საზეიმო სხდომა, რომელიც იოსებ სტალინის 80 წლის იუბილეს მიეძღვნა. სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა ჩერჩილმა. მისი პათოსიდან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ ანტისტალინურმა კამპანიამ პირადად ჩერჩილს მიაყენა შეურაცხყოფა. მან ასე აღიქვა ის, რაც ნიკიტა ხრუშჩოვმა საბჭოთა კავშირში დაატრიალა. ადამიანი, რომელსაც იგი მეორე მსოფლიო ომის დროს საბრძოლო ამხანაგად აღიარებდა, უნიჭო მხედართმთავრად წარმოადგინეს,

მკვლელად, განდიდების მანიით შეპყრობილ დიქტატორად, რომელიც ყველას და ყველაფერს გასწირავდა საკუთარი ძალაუფლების განსამტკიცებლად. ეს შეურაცხყოფდა დიდი ბრიტანეთის თვითმყოფადი და განუმეორებელი პოლიტიკური მოღვაწის თავმოყვარეობას. წარმოაჩენდა მას, როგორც უსინდისო მატყუარას, ან როგორც გაბითურებულ ხეპრეს. არც ერთი, არც მეორე იგი, რა თქმა უნდა, იგი არ იყო, თუმცა იშვიათად გაცურებულიც აღმოჩნდებოდა და იძულებულიც იყო, ეპირფერა. დასავლეთის დემოკრატიების ტრადიციები, როგორც ცნობილია დასაშვებად მიიჩნევს ტყუილის თქმას, რომელიც სიმართლის მანტიითაა შემოსილი. თვით დიდ ჩერჩილსაც აქვს ნათქვამი: „სიმართლე იმდენად ძვირფასია, რომ მას უნდა აცილებდეს სიცრუის ექსკორტი“.

თემთა პალატაში 1942 წლის 8 სექტემბერს, იოსებ სტალინის პირადად გაცნობის შემდეგ ჩერჩილმა თქვა: „რუსეთისთვის დიდი ბედნიერებაა, როცა ტანჯვა-წამების ჟამს მას სათავეში უდგას დიადი, მტკიცე სარდალი. სტალინი დიდი და ძლიერი პიროვნებაა, რომელიც ესადაგება იმ ბობოქარ დროს, რომელშიც უწევს ცხოვრება. იგი არის ულევი მამაცობისა და ძლიერი ნებისყოფის ადამიანი, უბრალო ადამიანი, საუბარში უშუალო და მძაფრიც კი, რაც მე, ადამიანმა, რომელიც თემთა პალატაში გავიზარდე, არ შემიძლია არ დავაფასო, განსაკუთრებით იმიტომ, რომ გარკვეულწილად იმავეს თქმა შემიძლია საკუთარ თავზე. უწინარეს ყოვლისა, სტალინი არის ადამიანი იუმორის იმ მაშველი გრძნობით, რომელსაც განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ყველა ადამიანისთვის და ყველა ერისთვის, უწინარესად კი, დიადი ადამიანებისა და დიადი ბელადებისთვის. სტალინმა ჩემზე მოახდინა შთაბეჭდილება, აგრეთვე, როგორც ღრმა და მშვიდი სიბრძნის მქონე ადამიანმა, რომელსაც არ გააჩნია არავითარი ილუზია...

ერთი რამ სავსებით აშკარაა - ეს არის რუსეთის უდრეკი სიმტკიცე, ბოლომდე ებრძოლოს ჰიტლერიზმს, მის სრულ განადგურებამდე. სტალინმა მითხრა, რომ რუსი ხალხი თავისი

ბუნებით მშვიდობისმოყვარეა, მაგრამ ველურმა სიმხეცემ, რაც მისი ხალხის წინააღმდეგაა ჩადენილი, ისე გაამძვინვარა და აღაშფოთა იგი, რომ შეცვალა მისი ხასიათი".

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ცვლილებების აუცილებლობის სიო იგრძნო ასკეტმა სტალინმა. შემთხვევით არ იყო, რომ საბჭოთა კავშირში 1951 წლის ბოლოსა და 1952 წლის დასაწყისში მიმდინარეობდა დისკუსია ეკონომიკის საკითხებზე, რომლის მსვლელობის პროცესში საბჭოთა კავშირის ფინანსთა სამინისტროს სამმართველოს უფროსმა ვ. პერესლეგინმა წამოაყენა წინადადება გაეტარებინათ ფართომასშტაბიანი ეკონომიკური რეფორმა. მისი მეშვეობით სამეურნეო ანგარიშზე გადავიდოდა ყველა სამეურნეო სტრუქტურა დაწყებული ქარხნიდან დამთავრებული სამინისტროებით[67, 180].

სწორედ ამ დროს მსოფლიო მეურნეობისა და მსოფლიო პოლიტიკის ინსტიტუტის დირექტორმა აკად. ე. ვრაგამ კითხვის ქვეშ დააყენა თეზისი საბჭოთა კავშირსა და იმპერიალისტურ სახელმწიფოებს შორის ომის გარდაუვალობის შესახებ და ფორმულირება მოახდინა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეისა. უფრო მეტიც აღნიშნა დასავლეთის სახელმწიფოების აღმავლობის პროცესი[58] სწორედ მან ჩაუყარა საფუძველი „სოციალიზმისა" და „კაპიტალიზმის" კონვერგენციის თეორიას. ასეთ პირობებში დაიწყო მუშაობა ახალ საბჭოთა კონსტიტუციაზე. 1946 წელს მისი პროექტი მზად იყო. ნიშანდობლივია, რომ იგი უშვებდა „არსებობას მცირე გლეხური და კუსტარული მეურნეობისა, რომელიც დაფუძნებული იქნებოდა საკუთარ შრომაზე". მისი განხილვის პროცესში გამოითქვა წინადადება „ეკონომიკური ცხოვრების დეცენტრალიზაციის" აუცილებლობაზე, რათა „მიეცათ ადგილებზე დიდი სამეურნეო უფლებები"[59, 192-193].

1946 წლის სკპ(ბ) ცკ-ის პლენუმმა მიიღო გადაწყვეტილება პარტიის ახალი პროგრამის შემუშავების შესახებ, რომელიც უნდა ყოფილიყო კომუნიზმის მშენებლობის პროგრამა. 1947 წლის შემოდგომისათვის პროექტი მზად იყო. იგეგმებოდა საზოგადოე-

ბის დემოკრატიზაცია[60, 31-32]. კერძოდ ყველა ხელმძღვანელის არჩევითობა. „პროექტის განხილვის დროს გამოითქვა მოსაზრებანი შინაპარტიული დემოკრატიის გაფართოების შესახებ, პარტიული ორგანოების სამეურნეო ფუნქციისაგან გათავისუფლების შესახებ, კადრების როტაციის პრინციპების შემუშავების შესახებ და სხვა"[61, 193].



სტალინის დაკრძალვა

*****

გასართობი ჩანართი

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი ინოკენტი ბოროვსკი წერს: „იოსებ ბესარიონის ძე სტალინი იყო ის ადამიანი, ვისაც კაცობრიობის ისტორიაში მოღვაწე მმართველებს შორის ყველაზე დიდი ძალაუფლება ჰქონდა. ამაში საბჭოთა ბელადს ვერც მაკედონელი შეედრებოდა, ვერც ნაპოლეონი, ვერც ჰიტლერი და ვერც სხვა ცნობილი მმართველები. იმავდროულად, ყველა ზემოჩამოთვლილ მმართველს სიკვდილის შემდეგ უზარმაზარი ქონება დარჩათ, რაც მათ თავიანთი მოღვაწეობის პერიოდში მოიხვეჭეს. სტალინს კი არანაირი პირადი ქონება არ ჰქონია და ერთადერთი პირადი ნივთი, რაც მხოლოდ მას ეკუთვნოდა, იყო მისი მეუღლის,

ნადეჟდა ალილუევას ფოტო, რომელზეც ეწერა: „ძვირფას, საყვარელ იოსებს, ნაზად მოყვარული მეუღლისგან. 20 მაისი, 1931 წელი“. ეს ფოტო სტალინს კიტელის გულის ჯიბეში ედო და მუდამ თან ატარებდა. დიდ ინტერესს იწვევს საბჭოთა ბელადის, ეგრეთ წოდებული, პირადი ნივთების ნუსხა, რომლებიც სინამდვილეში სახელმწიფოს ეკუთვნოდა და არა სტალინს. სტალინის დაცვის ყოფილი უფროსი, ნიკოლაი ვლასიკი წერდა: „სტალინი 1953 წლის 5 მარტს გარდაიცვალა. ბერიას განკარგულებით, იმავე საღამოს განხორციელდა სტალინის აგარაკის შემოწმება და პირადი ნივთების აღწერა. საგულისხმოა, რომ სტალინს 4 ცალი შარვალი, 6 ცალი კიტელი, 2 წყვილი ჩექმა ჰქონდა გარდერობში და ყველა მათგანს სახელმწიფო შტამპი ერტყა. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ ეს სამოსი სახელმწიფოს კუთვნილება იყო და არა პირადად სტალინის. მეტად საგულისხმოა ის ფაქტი, რომ შარვლები და კიტელებიც საკმაოდ გაცვეთილი იყო და რამდენიმე მათგანი დაკემსილიც კი... აღმოჩნდა, ასევე, სამი ჩიბუხი და მათაც სახელმწიფო შტამპი ერტყა. საწერი მაგიდის უჯრაში შემნახველი სალაროს წიგნაკი იპოვეს, რომლის მიხედვითაც სტალინის ანგარიშზე 900 მანეთი ირიცხებოდა. სტალინს საბჭოთა კავშირში ყველაზე დიდი ხელფასი – 10 ათასი მანეთი ჰქონდა. ამ ფულიდან იოსებ ბესარიონოვიჩი 300 მანეთს პარტიული გადასახადის ფონდში რიცხავდა, დანარჩენი თანხით კი ხან ვის ეხმარებოდა და ხან – ვის. ბელადის კუთვნილი ხელფასის ნაწილით საბავშვო სახლებისთვის საჭირო ნივთებს ყიდულობდნენ. ნიშანდობლივია ის, რომ ამის აფიშირება არ ხდებოდა. საკმაოდ ხშირად ჩუქნიდა სტალინი საჩუქრებს თავისი დაცვის თანამშრომლებს თუ მოსამსახურე პერსონალს, ასევე მათი ოჯახის წევრებს – მეუღლეებსა და ბავშვებს. საგულისხმო ფაქტია ის, რომ სტალინის ნაშრომებს დიდი ტირაჟებით ბეჭდავდნენ როგორც საბჭოთა კავშირში, ასევე საზღვარგარეთ. ამიტომ ბელადს მილიონიანი ჰონორარები ერიცხებოდა როგორც მანეთებში, ასევე ვალუტით. მთელი ეს ფული სტალინს სახელმწიფო ბიუჯეტში გადაჰქონდა და პირადად ერთ კაპიკსაც კი არ იტოვებდა. ასევე, არ ინახავდა ნაჩუქარ ნივთებსაც და ყველა მათგანს სახელმწიფო საცავში გზავნიდა. არადა, ბელადს უცხოელი სტუმრები ძალიან ძვირფას საჩუქრებს უძღვნიდნენ. საინტერესოა ისტორია ჩერჩილის მიერ ნაჩუქარ ჩიბუხზე. 1942 წლის 12 აგვისტოს მოსკოვში მყოფი ბრიტანელი პრემიერი

უინსტონ ჩერჩილი სტალინს კრემლში შეხვდა. ამ შეხვედრას ესწრებოდა შეერთებული შტატების ელჩი ჰარიმანიც. იმ საღამოს ჩერჩილმა სტალინს „დანჰილის“ ფირმის ჩიბუხი აჩუქა. გავიდა სამი წელი, ომი დამთავრდა და გამარჯვების დღისადმი მიძღვნილ ბანკეტზე კრემლში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი ავერელ ჰარიმანიც იმყოფებოდა. სტალინს ჩერჩილის ნაჩუქარი ჩიბუხი თან ჰქონდა და აბოლებდა. ჰარიმანი ღიმილით უცქერდა სტალინს და უთხრა:

– ბატონო სტალინ, ალბათ, ძალიან სასიამოვნოა ამ ჩიბუხით თამბაქოს მოწევა?

– დიახ, ბატონო ელჩო, რაც მართალია, მართალია, ბრიტანელებმა ჩიბუხის დამზადება იციან და ბატონი ჩერჩილის მიერ ნაჩუქარ ჩიბუხს, უკვე მესამე წელია, ვიყენებო, – მიუგო სტალინმა.

ამერიკის ელჩს გაეცინა და სტალინს უთხრა:

– ეს არცაა გასაკვირი, ასეთ ჩიბუხებს ცალობით ამზადებენ და მათი ფასი 120 ათასი გირვანქა სტერლინგია. თქვენი ჩიბუხიც სპეციშეკვეთითაა დამზადებული.


სტალინმა კოპები შეკრა და ჰარიმანისთვის პასუხი აღარ გაუცია. ბანკეტის დამთავრების შემდეგ კი პირადად მე დამავალა, გამერკვია ჩიბუხის ფასი და როდესაც მას ჰარიმანის ნათქვამი დავუდასტურე, სტალინმა ბრძანა, რომ ჩიბუხზე სახელმწიფო შტამპი დაერტყათ და სპეციალურ ნუსხაში შეეტანათ. მართალია, მას ეს ჩიბუხი თან ჰქონდა, მაგრამ იშვიათად იყენებდა და ხუმრობით ამბობდა: „როდესაც ამ ჩიბუხს ვაბოლებ, გაქსუებულ ბურჟუად ვგრძნობ თავს, მეუხერხულებაო. ეს ჩიბუხი ამჟამად სტალინის მუზეუმ-აგარაკზე უნდა იყოს, კუნცევოში.“

ფაქტია, რომ იოსებ სტალინი ასკეტივით ცხოვრობდა – არანაირი საბანკო ანგარიშები თუ ძვირფასეულობა არ გააჩნდა და სხვა კოლეგებისგან განსხვავებით, სიმდიდრისადმი მიდრეკილება არ ჰქონდა. ეს ფაქტი კი მხოლოდ და მხოლოდ იმაზე მეტყველებს, რომ საბჭოთა ბელადი მთელი არსით სახალხო მმართველი იყო, კრიტიკულ სიტუაციებში არსად გაქცევას არ აპირებდა და ზოგიერთი ძველი ბოლშევიკივით უცხოური პასპორტები, ფული და ოქრო არ ჰქონდა მომარაგებული.”

*****

თუ ვერწმუნებით ი. ჟდანოვს ომის დამთავრებიდან მალევე პოლიტბიუროს ერთ-ერთ სხდომაზე სტალინმა განაცხადებია: „ომმა გვიჩვენა, რომ ქვეყანაში არ იყო იმდენი შინა მტერი, როგორც ჩვენ მოგვახსენებდნენ და როგორც ჩვენ ვთვლიდით. ბევრი უდანაშაულო დაისაჯა.....უნდა მოვინანიოთ"[62, 127]. ამავე ავტორის ცნობით ეს წინადადება უარყოფილ იქნა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში პასუხისგება მოუწევდათ თავად პოლიტბიუროს წევრებს. რამდენად სანდოა ეს ცნობა ეს მომავალმა უნდა განსაჯოს. სახელდობრ, როდესაც გამოქვეყნებული იქნება აღნიშნული პოლიტბიუროს სხდომის სტენოგრამა. რა თქმა უნდა თუ არსებობს ასეთი და არ არის განადგურებული.

„1953 წლის იანვარში-წერს ცკ-ის ყოფილი თანამშრომელი კ. ბრუტენეცი-სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა, ფინანსთა სამინისტრომ და კიდევ ორმა უწყებამ არ ვიცი შესაბამისი ზონდირებით ან კიდევ საკუთარი ინიციატივით გაუგზავნეს სტალინს წერილი. მასში საუბარი იყო, რომ აღდგენის პერიოდი მიუახლოვდა დასასრულს და მკაცრი ცენტრალიზებული სახელმწიფო რეგულირება ამუხრუჭებს საწარმოო ძალების განვითარებას. ამიტომაც აუცილებელია შემცირდეს იმ პროდუქციის ნომეკლატურა, რომელიც შედის იმ გეგმებში, რომელსაც ამტკიცებს ხელისუფლება და უმაღლესი საბჭო. შემცირდეს პროდუქციის ნომეკლატურა, რომელსაც ანაწილებს სახელმწიფო გეგმის მოთხოვნათა შესაბამისად. და რომლის ფასებიც დადგენილია მათ მიერ. მიეცეთ საშუალება იმოქმედონ ღირებულების კანონით „გარდაქმნილი ფორმით", ხოლო ბაზარმა ითამაშოს განმსაზღვრული როლი. მივცეთ დიდი თავისუფლება სამინისტროებს, წარმოებებს და რესპუბლიკებს ეკონომიკურ საქმიანობაში". ამ წერილს სტალინმა დაადო ასეთი სახის რეზოლუცია: „მე თანახმა ვარ, დრო კი არა"[68, 22].



სტალინის დაკრძალვისადმი მიძღვნილი მიტინგი ქალაქ გორში

საბჭოთა იმპერიის საძირკვლის ჩამყრელი და რუსული საბჭოთა სოციალიზმის განმახორციელებელი ი. ბ. სტალინი იმდენად დიდი მოაზროვნე და სახელმწიფო მოღვაწე იყო, რომ 50-იანი წლების დასაწყისისათვის მიხვდა, რომ საჭირო იყო მის მიერ შექნილი სოციალურ-ეკონომიკური წყობის მოდერნიზება. ამაზე მეტყველებს მის მიერ დაწერილი ნაშრომი: „სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში"[216]. რომლისაგანაც ჩანს, რომ იგი აპირებდა ძირეულ რეფორმების გატარებას. აი, რას წერდა სტალინი: „აუცილებელია, მივაღწიოთ ისეთ კულტურულ ზრდას, რომელიც საზოგადოების ყველა წევრისათვის უზრუნველყოფს მისი ფიზიკური და გონებრივი უნარის ყოველმხრივ განვითარებას, რათა საზოგადოების ყველა წევრს ჰქონდეს შესაძლებლობა, მიიღოს განათლება, რომელიც საკმარისი იქნება, გახდეს საზოგადოებრივი განვითარების აქტიური მოღვაწე, რათა შესაძლებლობა ჰქონდეს, თავისუფლად აირჩიოს პროფესია და მთელი ცხოვრების მანძილზე, არსებული შრომის

განაწილების გამო, ერთ რომელიმე პროფესიას არ იყოს მიჯაჭვული. რეფორმები გარდაუვალია, მაგრამ თავის დროზე. და ეს უნდა იყოს ორგანული რეფორმები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ტრადიციებზე. ძალიან მალე ტერიტორიებისთვის ომებს შეცვლის ცივი ომები რესურსებისა და ენერგიისთვის. მზად უნდა ვიყოთ ამისთვის. ენერგიის ახალ სახეობათა დაუფლება ჩვენი მეცნიერებისთვის პრიორიტეტული უნდა გახდეს. მათი წარმატება მომავალში ჩვენი დამოუკიდებლობის საწინდარია".

ვფიქრობ ამ ცვლილებებს თუ გაატარებდა მხოლოდ ის, თავად სტალინი და არა სხვა ვინმე. ვინაიდან ის მბრძანებლურ-ადმინისტრაციული სისტემა, რომელიც პირადად მისი შემოქმედება იყო, უკვე იწყებდა გადაქცევას კომუნისტურ-პარტიული ნომენკლატურის ბიუროკრატიული მმართველობის ქვეყნად. ამიტომ კიდევ ერთხელ ვიმეორებ, მხოლოდ მას შეეძლო ძირეული რეფორმების გატარება და არცერთ შემთხვევაში არავითარ სხვას. ვინაიდან მხოლოდ მან იცოდა მისი „პირმშოს" განკურნების საშუალებები, მაგრამ „დროში დაიწვა". იგი ამ დროისათვის უკვე მოხუცდა და რეფორმების განხორციელებისათვის საამისო ფიზიკური ძალები არ გააჩნდა.

1952 წლის ბოლოს - 1953 წლის დასაწყისში ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე სტალინი ღიად დაუპირისპირდა მოლოტოვს და მიქოიანს. სტალინმა ისინი შეთქმულებად გამოაცხადა. მან დაადანაშაულა მოლოტოვი იმპერიალისტური წრეების შანტაჟსა და ზეწოლის მორჩილებაში, რაც გულისხმობდა, რომ ჟემჩუჟინას (მოლოტოვის მეუღლე, თუმცა მისი სახელი არ იყო ნახსენები) საიდუმლო კავშირი ჰქონდა სიონისტურ შეთქმულებასთან და გოლდა მაიერთან[99, 287].

*****

გასართობი ჩანართი

ომი რომ დაიწყო მაშინ სტალინთან არავის უშვებდნენ. სამ დღეში იგი გამოვიდა, სრულიად დამშვიდებული, მობილიზებული და პოსკრებიშევს მოსკოველ ნეტარ დედა მატრონაზე შეეკითხა: ვინ არის, მასზე რას ამბო-

ბენო? მაშინ მოსკოველი წმინდანი ცოცხალი იყო და სტალინიც წავიდა მასთან. დედა მატრონა უსინათლო იყო, მაგრამ ამოიცნო სტუმარი. და სტალინს უთხრა: „ვოტ, პრიშოლ კრასნი პეტუხ“(მოვიდა წითელი მამალი) ყველაფერი ღვთის ნებაა. მისი ნების გარეშე ადამიანს არაფრის გაკეთება შეუძლია. ენდე და გაიმარჯვებ, და კიდევ. რაც უნდა მოხდეს, მოსკოვი არ დატოვოო.


ომის დაწყებისთანავე სტალინი უკავშირდება რუს სამღვდელოებასა და რუსეთის მიტროპოლიტ ალექსის. ყურად იღებს ლიბანის ეპისკოპოს ილიას წერილსა და მის ხილვას. მსოფლიოსთვის მლოცველს ღვთისმშობელი ხილვაში ეუბნება, თუკი ეკლესია-მონასტრებს გახსნიან, ფრონტიდან უკან გამოიწვევენ მღვდლებსა და ბერ-მონაზვნებს და ა.შ. ფაშიზმი დამარცხდება და მართლმადიდებელი ქვეყანა - რუსეთი გაიმარჯვებს, ამბობენ სტალინმა მისი ყველა მოთხოვნა აასრულაო. სასწრაფოდ დახურა ჟურნალ „ბეზბოჟნიკი“.

ამის შემდეგ მისი ყველა მომდევნო ნაბიჯი ლოგიკურია - ის ძალიან თავდაჯერებული ხდება, ქვეყნის მთავარსარდლის პოსტს იბარებს და ა. შ. - თუკი ომამდე ამბობდა, ჩვენ - რუსებიო, ომის შემდეგ სულ წუხს. ქართული მავიწყდებაო. 1945 წელს ექვთიმე თაყაიშვილის მიერ ქართული საგანძურის საქართველოში ჩამოტანაც სტალინის ერთპიროვნული გადაწყვეტილებაა. როდესაც საფრანგეთიდან საგანძურის ჩამოტანის სურვილს გააცნობენ, ის მარშალ დე გოლს 10-წუთიან სადღეგრძელოში ჩამოუყალიბა საქართველოს ისტორიას და უთხრა მეც ამ ქვეყნის წარმომადგენელი ვარ და ძალიან მინდა, ჩვენი საგანძური დაგვიბრუნდესო. დე გოლი, გაოცებული, რომ სტალინი რუსი კი არა, ქართველია, დიქტატორის პრივილეგის იყენებს, კანონზე მაღლა დგება და ქართველები საგანძურს ვიბრუნებთ...

ომის შემდეგ ქართველი მღვდელმსახურების დელეგაციებსაც იღებს და მათთან ქართულად საუბრობს. 1947 წელს ლიბანის ეპისკოპოს ილიას საბჭოთა კავშირში იწვევს და სამადლობლად უძვირფასეს საჩუქრებს უგზავნის.

პოეტი იოსებ ბროდსკი წერდა: „მეჭვება, მსოფლიოში ყოფილიყო სხვა ვინმე მკვლელი, ვის გამოც ამდენ ცრემლს დაღვრიდნენ“[251].

* * * * * *



სტალინის გარდაცვალების 3 წლისთავისადმი მიძღვნილი სამგლოვიარო მიტინგი ქუთაისში1956 წლის 9 მარტი

ომის შემდგომ კრემლის რეალპოლიტიკოს ლავრენტი ბერიას ჰქონდა რეალობის შესაბამისად ქვეყნის მოდერნიზაციის გეგმა. ბერიას პროგრამის მიხედვით: 1. უნდა მომხდარიყო „ცივი ომის" პოლიტიკაზე უარის თქმა და ამის პირველი ნათელი მაგალითი უნდა ყოფილიყო გერმანიის გაერთიანება[69, 416-419; 70, 359]. 2. შემცირებულიყო დამსჯელი, რეპრესიული ზომები რაც გამოხატული უნდა ყოფილიყო ამინისტიით, დაპატიმრებულებზე იძულებისა და ფიზიკური ზეწოლის შეწყვეტით, სპეციალური კრებების შეზღუდვით, იუსტიიციის სამინისტროსადმი ГУЛАГ (გულაგებ-ის) გადაცემის და უდანაშაულო მსხვერპლთა რეაბილიტაციით[71, 11-12]. 3. მომხდარიყო ქვეყნის პარტიული უფროსობის ლიკვიდაცია. რეალური ძალაუფლება გადაცემოდა

საბჭოებს, ხოლო პარტიას შენარჩუნებოდა მხოლოდ იდეოლოგიური ფუნქცია[72, 13; 73, 14]]. 4. მოკავშირე რესპუბლიკებს მისცემოდათ სრული სუვერენიტეტი [74, 13]. დაენიშნათ ეროვნული რესპუბლიკების ხელმძღვანელებად ადგილობრივი წარმომადგენლები[75, 268, 76, 13]]. გადაეყვანათ საქმის წარმოება რესპუბლიკებში ადგილობრივ ენებზე, შეექმნათ ეროვნული სამხედრო ნაწილები[77, 132-164]. 5. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დაუშლელად გაეხსნათ გზა ფერმერული მეურნეობებისათვის. მიეცათ საშუალება მათთვის, რომ დაემტკიცებინათ კონკურენციის ფარგლებში მათი უპირატესობა. გაეუქმებინათ საპასპორტო შეზღუდვები, რომელიც ეხებოდა სოფლის მცხოვრებლებს[72, 41-42].



ლავრენტი ბერია

ლ. ბერიამ, როგორც ზედმეტად თავდაჯერებულმა ლიდერმა პირველმა მოინდომა სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა კავშირის მოდერნიზაცია. მან მოითხოვა: 1. განკულაკების დროს მსხვერპლთა რეაბილიტაცია; 2. სახელმწიფო უშიშროების აპარატის რეფორმა და მისი შემცირება; 3. სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დაფინანსების განახევრება. მისი წინადადება იყო, რომ ყველა მოკავშირე რესპუბლიკას ჰქონოდა უფლება თავისი ორდენებით დაეჯილდობინა მისი მოქალაქეები[90, 197-198].

1953 წელს ლ. ბერიამ სკკპ ცენტრალურ კომიტეტის პრეზიდიუმს მიაღებინა გადაწყვეტილება:


დაევალოს პარტიულ და სახელმწიფო ორგანოებს ნაციონალურ რესპუბლიკებში მდგომარეობის ძირეული შეცვლა, ბოლო მოეღოს საბჭოთა ნაციონალური პოლიტიკის დამახინჯებას;

დაჩქარებულიყო ადგილობრივი ეროვნული კადრების მომზადება და ხელმძღვანელ თანამდებობაზე დაწინაურების ორგანიზაცია. შეცვლილიყო სხვა ეროვნების თანამდებობაზე დანიშვნის პრაქტიკა, ხოლო ნომეკლატურული მუშაკები, რომელთაც არ იციან ადგილობრივი ხალხის ენა გამოხმობილ იქნან ცკ-ს გაკარგულებაში;

საქმის წარმოება ეროვნულ რესპუბლიკებში გადასულიყო ეროვნულ ენებზე.

1953 წელს აღმოსავლეთ გერმანიაში ანუ გდრ-ში მოხდა ანტისამთავრობო გამოსვლები. იქ არსებული ვითარების მოსაწესრიგებლად ლ. ბერიამ წამოაყენა შემდეგი სახის რეკომენდაციები: 1. შეიზღუდოს კოლექტივიზაციის ნაძალადევობა და იგი შემოიფარგლოს მიწის ერთობლივი დამუშავებით; 2. უარი ეთქვათ მცირე და საშუალო კერძო საწარმოების შეზღუდვის პოლიტიკას, პირიქით დაეხმარონ მათ.; 3. გადაიხედოს გდრ-ს ხუთწლიანი გეგმა და მეტი გასაქანი მიეცეს „ბ“ კატეგორიის სამრეწველო ჯგუფს(ანუ მსუბუქ მრეწველობას); 4. შეიცვალოს დამოკიდებულება ეკლესიისა და სულიერების სფეროსადმი; 5. დაზუსტდეს პოლიტიკური ბრძოლის მეთოდები გერმანიის ეროვნული ერთიანობის აღსადგენად[91].

მართლაც სტალინის სიკვდილისთანავე გამოცხადდა ამინისტია, მოხდა გულაგების ლიკვიდაცია, გაუქმდა შსს-თან არსებული საგანგებო კრებები, დაიწყო უდანაშაულო მსხვერპლთა რეაბილიტაციის პროცესი[78]. 1953 წლის 12 ივნისს სკკპ ცკ-ის პრეზიდიუმმა მიიღო გადაწყვეტილება ეროვნულ რესპუბლიკებში საქმის წარმოება გადასულიყო ადგილობრივ ენებზე. საიდუმლო დადგენილება: „სოციალისტური მშენებლობის გაფართოების შესახებ გდრ-ში“, განიხილებოდა, როგორც პირველი ნაბიჯი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის გაერთიანების გზაზე[79, 416-419].



სახლი მოსკოვში, სადაც ცხოვრობდა ლ. პ. ბერია

ლ. ბერია უფრო შორს წავიდა. მან ფაქტობრივად გააუქმა ეროვნულ რესპუბლიკებში მეორე მდივნებად რუსი ეროვნების ადამიანების დანიშვნა, რომლებიც ადგილობრივი პირველების „ზედამხედველებად“ ითვლებოდნენ, რითაც ადგილობრივი კომპარტიის ცკ-ს პირველი მდივანი ფაქტობრივად ბუტაფორიებად იყვნენ ქცეულნი. იგივე ვითარება იყო მინისტრთა საბჭოსა და ცალკეულ სამინისტროებში. იქაც, როგორც წესი მოადგილეებად

რუსი ეროვნების ადამიანები ინიშნებოდნენ. ლ. ბერიამ მოასწრო და შეცვალა რამდენიმე რუსი ემისარი ზოგიერთ მოკავშირე რესპუბლიკაში.

უდიდესია ბერიას როლი ატომური ბომბის შექმნის საქმეში. 1995 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში: „პირველი საბჭოთა ატომური ბომბი" აკად. პეტროსიანცი წერს: „მას ჰქონდა საოცარი ტექნიკური ალღო... ომამდელ და ომის შემდგომ წლებში იგი მოგვევლინა, როგორც სამხედრო საქმის უდიდესი სპეციალისტი... პოლიტბიუროს წევრებსა და ქვეყნის უმაღლეს ხელმძღვანელთა შორის, ის იყო ყველაზე მეტად გათვიცნობიერებული ტექნიკისა და ფიზიკის საკითხებში".

უშიშროების ყოფილი დიდმოხელის ბ. ვანშტეინის ცნობით: „ბერია მკაცრი დაგეგმარებისა და საკოლმეურნეო წყობილების წინააღმდეგი იყო. მათზე ზიზღით ლაპარაკობდა და მიაჩნდა, რომ ქართველი კოლმეურნე ვერასოდეს ვერ გახდებოდა"[87].

ლ. ბერიამ მისი შვილის სერგო ბერიას მოწმობით მოითხოვა პარტიის საგანგებო ყრილობა, სადაც ცკ-ს ყველა წევრს რეპრესიებში პირად მონაწილეობაზე ანგარიში უნდა წარედგინა[88, 123]. 1953 წლის 26 მარტს ბერიამ გააგზავნა წერილი სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში. იგი ითხოვდა ამინისტიის შესახებ ბრძანებას. მასში ნათქვამი იყო, რომ შრომა-გასწორების კოლონიებში სასჯელს იხდიდა 2 526 402 ადამიანი. მათ შორის ხუთი წელი მისჯილი ჰქონდა 590 000, 5-დან 10 წელი 1 216 000, 10-დან 20-წლამდე 573 000, 20-და მეტი 188 000. აქედან ტერორისტები, ტროცკისტები, ესერები, შპიონები, დივერსანტები, ნაციონალისტები შეადგენდნენ 221 135 კაცს. 1953 წლის 10 აგვისტოს ამინისტიით გათავისუფლდა 1 032 000 ადამიანი[89, 217-218].

ლ. ბერიას შვილის ცნობით საინტერესოა აღვნიშნოთ ისიც, რომ მამამისი ანადგურებდა იმ ადამიანებს, რომლებმაც მეტნაკლები როლი ითამაშეს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობაში. 1936 წლის ივნისში თბილისს ეწვია სომხეთის კომ-

პარტიის პირველი მდივანი აგასი ხანჯიანი, რომელმაც ტერიტორიული პრეტენზიები წაუყენა იმ დროს საქართველოს ცკ-ს პირველ მდივანს ლ. ბერიას, ამ უკანასკნელმა არც აცია და არც აცხელა და საკუთარ კაბინეტში პისტოლეტიდან ესროლა და მოკლა სომეხი პრეტენზიორი. შეახვევინა ხალიჩაში გადაატანიანა სასტუმროში, სადაც გაათამაშებინა თვითმკვლობებლობის ინსცენირება[94, 21]. ამიტომაც იყო, რომ ხრუშჩოვმა ერთ-ერთ ბრალდებად ბერიას წაუყენა ის, რომ „მან ხელი შეუწყო ეროვნული შუღლის გაღვივებას. საპასუხისმგებლო თანამდებობებზე დააწინაურა ქართველები“[95, 66].

ლ. ბერია ძალზე ოპერატიულად მუშაობდა, მაგრამ მან მძიმე შეცდომა დაუშვა. ის ძალიან თავდაჯერებულად იქცეოდა. სტალინის გარდაცვალების შემდეგ ბერია ქვეყანაში თავს პირველ პირად გრძნობდა. იყო სცენარი, რომლითაც ბერიას უნდა მინიჭებოდა ქვეყანაში რეალური სახელმწიფოს მეთაურის ადგილი. რაც ვერ აიტანა კომუნისტურმა ნომენკლატურამ. მის წინააღმდეგ გაერთიანდნენ გუშინდელი ბერიას მეგობრები. მათი გამოსვლა მოხდა მაშინ, როდესაც ბერიამ რეფორმები დაიწყო. 1953 წლის 27 ივნისს ლ. ბერია დააპატიმრეს[92, 36]. და როგორც წყაროთა უმრავლესობა მოწმობს გაუსამართლებლად მაშინვე დახვრიტეს[80, 166-176; 81, 17-39; 82, 119-144; 93].

პ. სუდოპლატოვის შეფასებით: „ბერიას უხეშს და სასტიკს ქვეშევრდომებთან ურთიერთობებში, შეეძლო ყოფილიყო ყურადღებიანი, თავაზიანი და ყოველდღიური დახმარება გაეწია მნიშვნელოვან საქმეებით დაკავებული ადამიანებისათვის. ის იცავდა ამ ადამიანებს შსს-ის ან პარტიული ხელისუფლების ყველა სახის ინტრიგებისგან. ბერია ყოველთვის აფრთხილებდა ქარხნის მენეჯერებს სამუშაოს სწორად შესრულებაზე მათი პირადი პასუხისმგებლობის შესახებ. მას ჰქონდა უნიკალური უნარი, როგორც შიშის ჩანერგვისა ადამიანებში, ასევე შთააგონებდა მათ მუშაობაში.

ბუნებრივია, სამრეწველო საწარმოების დირექტორებისთ-

ვის მისი პიროვნება დიდწილად გაიგივებული იყო სახელმწიფო უსაფრთხოების უწყების ყოვლისშემძლე ძალაუფლებასთან. მეჩვენება, რომ თავიდან მის მიმართ შიში ჭარბობდა ხალხში. მაგრამ თანდათანობით, მასთან მომუშავეებს დროთა განმავლობაში, შიშის გრძნობა თანდათანობით უქრებოდათ და უჩნდებოდათ ნდობა, რომ ბერია მათ მხარს დაუჭერდა, თუ ისინი წარმატებით შეასრულებდნენ სახალხო მეურნეობისათვის ყველაზე მნიშვნელოვან საჭირო ამოცანებს. ბერია ხელს უწყობდა მსხვილ სახალხო სამეურნეო წამოწყებებს. აძლევდა მის ინიციატორებს რთული საკითხების გადაწყვეტაში მოქმედების თავისუფლებას. მეჩვენება, რომ მან ეს თვისებები - მკაცრი კონტროლი, განსაკუთრებული მოთხოვნები, იმავდროულად ლიდერისადმი ნდობის ატმოსფეროს შექმნის შესაძლებლობა, რათა დავალების წარმატებით შესრულების პროცესში შემოქმედს, ლიდერს მხარდაჭერა გარანტირებული ჰქონოდა[99, 176].

ამდენად მართალია ლ. ბერია იყო ძალიან ნიჭიერი, მახვილგონიერი და მოქნილი პოლიტიკოსი, მაგრამ მან სტალინის სიკვდილის შემდეგ, იმავე სტალინის მიერ შექმნილ სამხედრო-პოლიტიკურ სისტემაში უსტალინოდ მხოლოდ და მხოლოდ სამი თვე გაძლო. ეს მიუთითებს იმ სტალინური საბჭოთა სისტემის დაუნდობლობასა და იმავდროულად უნიკალურობაზე, რომელიც მეთოდურად ზოგჯერ ნელ-ნელა, ხოლო ზოგჯერ ელვისებურად ჭამდა თავის შემქმნელებს.

****

გასართობი ჩანართი

დისიდენტი და გამოჩენილი მეცნიერი, ისტორიკოსი და სოვეტოლოგი ალექსანდრე ზინოვიევი სამამულო ომის დაწყებამდე სტალინის წინააღმდეგ ტერორისტული აქტის მომზადებაში მონაწილეობდა. ამის გამო მან ამერიკის შეერთებულ შტატებს შეაფარა თავი და დაიწყო უკომპრომისო ბრძოლა სტალინიზმისა და სოციალისტური სისტემის წინააღმდეგ. ამერიკაში ოცი წლის მოღვაწეობის შემდეგ 1960-იან წლებში გერმანიაში, ქალაქ მიუნხენში გადასახლდა და დარჩენილი წლები თავისი შრომების

უარყოფას მოანდომა. მის 36 სქელტანიან წიგნში მასალების ნახევარი ანტისტალინურ პროპაგანდას შეიცავს, მეორე ნახევარი (მიუნხენისდროინდელი) - სოციალიზმისა და სტალინური ეპოქის ქება-დიდებას. ალექსანდრე ზინოვიევს ეკუთვნის გამოთქმა: „ჰიტლერი გენიოსია, მაგრამ სტალინი მასზე ათი თავით მაღლა დგას. გენიოსია ჩერჩილიც, მაგრამ სტალინთან შედარებით ის ბიჭუნაა".

* * * * * * *

აიღო რა ხელში სადავეები კრემლის პარტიულმა ნომეკლატურამ იმავე წლის სექტემბერში სკკპ ცკ-ის პლენუმმა ვითომდაც „სამართლებრივად" გააფორმა სახელმწიფო გადატრიალება და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივნად დანიშნა გადატრიალების ორგანიზატორი და სულისჩამდგმელი ნიკიტა ხრუშჩოვი. მისი მომდევნო ნაბიჯი გახდა ის, რომ მან 1955 წელს თანამდებობიდან გადააყენა საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე გ. მალენკოვი და მალევე ეს მაღალი თანამდებობაც მანვე თავად „აითვისა".



გიორგი მალენკოვი

იგულა რა თავი სამშვიდობოზე ახალმა ცკ-ის პირველმა მდივანმა მაშინვე დაიწყო საკუთარი იდეოლოგიური ფრონტის გამყარება პ. სატიუკოვი დანიშნა გაზ. „პრავდის“ მთავარ რედაქტორად, ხოლო ლ. ილიჩევი იდეოლოგიის დარგში სკკპ ცკ-ის მდივნად.

ნ. ხრუშჩოვი მიხვდა, რომ მას სჭირდებოდა საკუთარი ადგილის დაკავება არა მარტო საბჭოთა კავშირში არამედ მსოფლიო პოლიტიკაშიც. ამიტომაც სავსებით სწორად აირჩია განიარაღების კურსი. თუ 1953 წლის 1 მარტისათვის საბჭოთა არმიის რიცხობრივი რაოდენობა შეადგენდა 5,4 მლნ კაცს[83, 283], 1960-იანი წლების დასაწყისისათვის იგი შემცირდა 2, 4 მლნ ადამიანამდე[84, 280, 283, 295; 85].



ნიკიტა ხრუშჩოვი სიმინდის ტაროთი

თავდაპირველად იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ ნ. ხრუშჩოვი მიჰყვებოდა რეფორმატორულ კურსს. ხრუშჩოვი და ბულგანინი 1956 წელს ინგლისში ვიზიტით ჩავიდნენ. მიღებაზე, რომელიც ლონდონში საბჭოთა საელჩოში გაიმართა, შედგა საუბარი

სსრკ-ის ახალ ლიდერსა და უ. ჩერჩილს შორის. თქვენ დიდი საქმე ჩაიფიქრეთ, ბატონო ხრუშჩოვ, უთხრა ცხოვრებით დაბრძენებულმა მოხუცმა ნიკიტას, მაგრამ გაითვალისწინეთ, რომ ორ ნაპირს შორის მანძილის გადალახვა, ორი ნახტომით შეუძლებელია.

რჩევა იყო ჭკვიანური და მოხდენილად ნათქვამიც, მაგრამ ამაოდ მოცდა ყოფილი პრემიერი. ხრუშჩოვმა ისიც არ იცოდა, რომელ ნაპირზე აპირებდა დახტომას.

წყაროების მოწმობით ახალი საბჭოთა ლიდერი 1956-1957 წწ. განიხილავდა გდრ-სა და გდრ-ს კონფედერაციის საფუძველზე გაერთიანების შესაძლებლობას. მოსკოვმა განაცხადა აგრეთვე თანხმობა იაპონიასთან ერთად გაეყო კურილიის კუნძულები და გამოთქვა მზადყოფნა ნატო-ში გაწევრიანების შესახებ[86, 377].

****

გასართობი ჩანართი

1949 წლის 14 აგვისტოს შედგა ბუნდესტაგის (გერმანიის პარლამენტი) პირველი არჩევნები. არჩევნებში გამარჯვება მოიპოვა ქრისტიან-დემოკრატებისა და ქრისტიან-სოციალისტების კოალიციამ. გერმანიის პრეზიდენტმა თეოდორ ჰოისმა დანიშნა გერმანიის კანცლერის არჩევნები, სადაც გამარჯვება წილად ხვდა კონრად ადენაუერს. შემდგომში მისი მმართველობის პერიოდს „ადენაუერის ერა“ ეწოდა.

გერმანიის ფედერალურ რესპუბლიკაში რეალურ ძალაუფლებას მოკავშირეები ფლობდნენ. მათი პრივილეგირებული უფლებები ფორმულირებული იყო საოკუპაციო სტატუტში. გერმანიის ბუნდესტაგის კანცლერს ეს სტატუტი უნდა გადასცემოდა ქ. პეტერსბერგში. ადენაუერი რომელიც თავს მოკავშირეთა თანასწორად და არა მათ ვასალად თვლიდა, არ მორიდებია აშკარა დემონსტრაციულ ნაბიჯს, როდესაც პეტერბერგში ყოფნის დროს, მან მისასალმებელი სიტყვა წარმოთქვა წითელი ხალიჩიდან, რომელიც მოკავშირეებს ჰყოფდა გერმანიის დელეგაციისაგან, უთანასწორობის ხაზგასასმელად. მოკავშირეები ადენაუერის ამ საქციელმა ისე გააოცა, რომ დაავიწყდათ გადაეცათ საოკუპაციო სტატუტის ხელშეკრულება. ადენაუერმა დღიდან კანცლერობისა (1949-

1963) გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა გამოაცხადა ძირითად ბირთვად, რომლის გარშემოც უნდა გაერთიანებულიყო გერმანია. ქვეყნის დედაქალაქად გამოაცხადა ქ. ბონი. ლუდვიგ ერჰარდმა, რომელიც გერმანიის ფინანსთა მინისტრი იყო, განახორციელა „რაიხსმარკის“ რეფორმა და ე.წ. „ეკონომიკური სასწაულის“ განხორციელება, რამაც ახალი ვალუტა „დოიჩმარკი“, კვლავ მსყიდველობითუნარიანი გახადა. ქვეყანაში შედარებით დასტაბილურდა ეკონომიკური მდგომარეობა. კონრად ადენაუერმა სამოქმედო პროგრამად „3ვ“-ს განხორციელება დაისახა. მისი მიზანი იყო. პირველი „ვ“ - გერმანიის მსოფლიოში ინტეგრაცია; მეორე „ვ“ - კვლავ შეიარაღება და მესამე „ვ“ - აღმშენებლობა. ადენაუერის საგარეო პოლიტიკური დოქტრინა კი გახმოვანდა 1955 წელს მოსკოვში ნიკიტა ხრუშჩოვთან (1953-1964) ვიზიტის დროს, როდესაც ადენაუერმა ღიად გამოაცხადა ე.წ. „ჰალშტაინის დოქტრინა“, რომლითაც გფრ არაკეთილგანწყობილ ნაბიჯად განიხილავდა ნებისმიერი ქვეყნის მიერ გდრ-ს აღიარებას და მის მიჩნევას საერთაშორისო სამართლის სუბიექტად. ადენაუერის და საფრანგეთის საგარეო საქმეთა მინისტრის რობერტ შუმანის მეგობრულმა ურთიერთობებმა ხელი შეუწყო ევროპული თანამეგობრობის კვლავ აღორძინებას, რამაც საფუძველი ჩაუყარა ევროკავშირის შემქმნელი ხელშეკრულებების რატიფიცირებასა და ერთიანი ევროპის იდეის ხორცშესხმას. ადენაუერსაც და შუმანსაც კარგად ესმოდათ, რომ ომი ევროპელებს შორის, ეს სამოქალაქო ომია.

****

გასართობი ჩანართი

დისიდენტი მწერალმა მიხეილ ზოშჩენკომ დაწერა პატარა მოთხრობა სახელწოდებით: „მაიმუნის თავგადასავალი“.

ამ მოთხრობის შინაარსი მარტივია, ისევე როგორც მარტივი იყო რაციონალისტურად მოაზროვნე ადამიანისათვის ამ სისტემის უარგისობის გათვითცნობიერება, მაგრამ არ დაგვავიწყდეს, რომ საბჭოთა სისტემა ლუმპენპროლეტარების ერთობას წარმოადგენდა და სხვა არაფერს, სხვაგვარად სისტემა ვერ იარსებებსო დასძენდნენ ე.წ. „პროლეტარიატის მამები“.

მოთხრობის შინაარსით, მაიმუნი ტოვებს გალიას და ცდილობს გაეცნოს საბჭოთა ყოფას, მაგრამ მისთვის ეს სისტემა ისეთი მიუღებელია,

რომ თავისი ფეხით ბრუნდება გალიაში, იმიტომ რომ იქ უფრო მეტი თავისუფლება ეგულება, ვიდრე საბჭოთა გარემოშია. ამ პამფლეტის დაწერისათვის მისი ყველა ნაშრომი აკრძალეს, ხოლო დისიდენტი მწერლის ბედი უცნობი დარჩა ჩვენთვის. აი რა იყო რეალურად სისტემა, რომელიც მუდამ და ყოველთვის კლავდა და კლავდა.

****

ნ. ხრუშჩოვმა პრობლემებისაგან ხალხის ყურადღება, რომ გადაეტანა დაიწყო შეტევა უკვე დახვრეტილ ლავრენტი ბერიაზე. ლაზარ კაგანოვიჩის პირით პარტია ბერიას ბრალს დებდა იმაში, რომ მას „სურდა ხელში ჩაეგდო ძალაუფლება ქვეყანაში პროლეტერიატის დიქტატურის ლიკვიდაციისა და კაპიტალიზმის აღდგენის მიზნით.... მას ჰქონდა თავისი სისტემური ჩანაფიქრი, თავისი კონტრევოლუციური გეზი... ეს იყო ბურჟუაზიული გადაგვარების ხაზი, რომელიც ითვალისწინებდა ჩვენი სამშობლოს სიძლიერის შერყევას და მისი მთლიანად უცხოური კაპიტალისათვის დამორჩილებას, მის ბურჟუაზიულ სახელმწიფოდ გარდაქმნას. იგი აწარმოებდა მოსამზადებელ სამუშაოებს კომუნიზმის ხაზის, ბოლშევიზმის ხაზის, ლენინ-სტალინის ხაზის ბურჟუაზიული ხაზით შესაცვლელად"[96].

ყველაზე სასაცილო იყო ის, რომ ბერიას დააბრალეს, თითქოსდა მას ჰქონდა კავშირი საერთაშორისო დაზვერვასთან. ლ. ბერიას ბრალად წაუყენეს დაძმობილება რანკოვიჩთან და ტიტოსთან. მთავარი ტრაგიკომედია იცით რა იყო საბჭოთა სისტემის? აი ეს რასაც ახლა მოგითხრობთ. გაივლის სულ რაღაც ოთხი წელი და 1957 წელს ნ. ხრუშჩოვი ვ. მოლოტოვს დაადანაშაულებს იოსიფ ბროზ ტიტოსთან ურთიერთობების გაუმჯობესების ბლოკირებაში.

სისტემა, რომ ულმობლად სჭამდა მის შემქმნელებს ამას ადასტურებს მისი შექმნის ერთ-ერთი მონაწილე და შემდეგ მისი ნგრევისა და დამარხვის დამწყები ნ. ხრუშჩოვი. იგი მოგვიანებთ

დაწერს: „ჩვენ პირდაპირი დოკუმენტები ბერიას კრიმინალური საქმიანობის შესახებ, არ გვქონდა“[97, 168].

წარმოვადგენთ ცკ-ის პლენუმზე ერთ-ერთი გამომსვლელის მიმართული ტექსტს ბერიას წინააღმდეგ: „ამხანაგებო, ის, რაც გუშინ მოვისმინეთ ამხანაგ მალენკოვისგან, ამხანაგი ხრუშჩოვისგან, ამხანაგ მოლოტოვისგან, დღეს ამხანაგი ბულგანინისგან, ამხანაგ კაგანოვიჩისაგან, გვაჩვენებს, თუ როგორ შეძვრა ბერია პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელობაში. მათმა გამოსვლებმა მრავალი ქმედებისკენ, აგვიხილა თვალი ბერიას საქციელისკენ, რომელსაც ჩვენ დიდი ხანია ვხედავდით. მე, როგორც მინისტრი, ვმუშაობდი რამდენიმე ამხანაგის მოლოტოვის, კაგანოვიჩისა და ბერიას ხელმძღვანელობით. უნდა ითქვას, რომ ყოველთვის, როდესაც ნებისმიერი საკითხის შესახებ ამ ამხანაგებს ეცნობი, სხვა გრძნობით მიდიხარ. ერთი შეგრძნებით მიდიხარ ამხანაგ მოლოტოვთან და სხვებთან რომლის შესახებაც ვიცით, რომ ის მკაცრი და, მომთხოვნი ლიდერია, მაგრამ ყოველთვის, როდესაც მასთან მიდიხარ, იცი, რომ არასდროს იქნება ნაჩქარევი ავანტიურისტული გადაწყვეტილებები... ბერიასთან, რომ შედიოდი დაბრუნდებოდი უკან თუ არა არავინ არ იცოდა. ბერიას ხელმძღვანელობის სტილი იყო მკაცრი, დიქტატორული, არაპარტიული“[98, 280].

აი, რას ამბობდა ა. მიქოიანი: „იმ დღიდან, როდესაც ამხანაგი სტალინი ავად გახდა და ექიმებმა გვითხრეს, რომ ვერ გამოჯანმრთელდებოდა, თითოეული ჩვენგანის მთავარი საზრუნავი იყო პარტიის რკინის ერთიანობის შენარჩუნება, რადგან სტალინის სიცოცხლეში პარტიის ერთიანობა უზრუნველყოფილი იყო.

როდესაც სახელმწიფოს და პარტიების ხელმძღვანელობა ჩამოყალიბდა, სტალინის ყველა მოწაფე, რომლებიც მრავალი წლის განმავლობაში მუშაობდნენ მისი ხელმძღვანელობით, პასუხისმგებლობით ეკიდებოდნენ საქმეს. ყველას ესმოდა, რომ სტალინური ხელმძღვანელობა მხოლოდ კოლექტიური ხელმძღვანელობით შეიძლება შეცვლილიყო. დასაწყისში, საქმე მეგო-

ბრულად გაგრძელდა და ჩვენი პარტიისა და მთავრობის დიდი წარმატებები იყო საგარეო პოლიტიკაში. თუმცა მალევე გამოჩნდა სიგნალები იმის შესახებ, რომ ბერია იღებდა ზომებს ყველა ჩვენთაგანის მოსაშორებლად. ბერიას დამაინტრიგებელი პერსონაჟი მანამდეც ვიცოდით, მაგრამ ასეთი აღვირახსნილი ფორმით ვნახეთ მხოლოდ ამხანაგი სტალინის გარდაცვალების შემდეგ, როდესაც ის ძალიან შორს წავიდა, კრიმინალურ თამაშს თამაშობდა და საბოლოოდ დაასრულა კიდევაც თამაში[98, 294]. გაივლის ცოტა დრო და ეს პროფესიონალი პოლიტაფერისტი ა. მიქოიანი ანალოგიურს იტყვის ი. სტალინზეც. ამ მლიქვნელობით, მაამებლობით და აფერისტობით მიაღწია მან უმთავრესს - ბუნებრივ სიკვდილს. თუმცა მანამდე ნ. ხრუშჩოვის მითითებით ჯერ უნგრეთში სისხლში ჩაახშო სახალხო გამოსვლები, ხოლო შემდეგ ნოვოჩერკასკში.

ლ. ბერიას დაკავების გამოცხადების შემდეგ, დაპატიმრებების მთელი ტალღა დაიწყო შინაგან საქმეთა სამინისტროში. სასწრაფოდ შედგა შინაგან საქმეთა სამინისტროს პარტიული აქტივის კრება. ის ჩატარდა ოცდაჩვიდმეტი წლის „საუკეთესო“ ტრადიციებით. პაველ სუდოპლატოვი იხსენებს: „გულუბრყვილოდ, ბავშვურად და უსუსურად ჟღერდა მალენკოვისა და შატალინის (სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, რომელიც დანიშნეს შინაგან საქმეთა მინისტრის პირველ მოადგილედ) სიტყვები, რომლებიც საკონფერენციო დარბაზში შეკრებილი პროფესიონალებისთვის ხსნიდა ლ. ბერიას დაპატიმრების მიზეზებს. დამსწრე საზოგადოება ჩუმად უსმენდა შატალინის სიტყვებს, იმის შესახებ, რომ ბერია პარტიის სიფხიზლის შეჩერების მიზნით, ცენტრალური კომიტეტს განზრახ ატყუებდა, იღებდა განზრახ ყალბ გადაწყვეტილებებს, გასცემდა შესაბამის ბრძანებებს. ეს ყველაფერი უპრეცედენტო იყო ... შატალინმა მოგვახსენა, რომ კონტრდაზვერვის დეპარტამენტის უფროსმა, პოლკოვნიკმა პოტაპოვმა გამოავლინა პოლიტიკური ახლომხედველობა და აშკარა არაკომპეტენტურობა. ლ. ბერიას დაპატიმრების წინ მან

მის დაქვემდებარებულ უწყების თანამშრომლებთან შეხვედრის დროს შეხვედრაზე თავის თავს ნება მისცა უფლება ეთქვა ბერიას პოლიტიკური ჭვრეტის შესახებ. შატალინმა გვაჩვენა წერილი იმ ინფორმატორისგან, რომელიც უცხო ენების ინსტიტუტში სწავლობდა. დავინახე როგორ გაუფითრდა სახე პოტაპოვს, როდესაც მან მალენკოვის კითხვა მოისმინა: „ეს კაცი აქ არის?" პოტაპოვი წამოდგა, მაგრამ ვერაფერი თქვა. სეროვი ჩაერია და განაცხადა, რომ ასეთი უპასუხისმგებლო ადამიანები, რომლებიც ანტიპარტიული განცხადებებს უშვებენ, ვერ დაესწრებიან დახურულ პარტიულ შეხვედრებს და პოტაპოვი გააძევეს დარბაზიდან. მისდა საბედნიეროდ, მას არ ეკავა ისეთი მაღალი თანამდებობა, რომ ღირდა გახმაურებული საქმის წამოწყება - იგი მხოლოდ გაათავისუფლეს ორგანოებიდან"[69, 169].



პოლიტბიუროს წევრები ამოჭრილია ბერია სურათი მისი დაპატიმრების შემდეგ

ხელისუფლებაში დაიწყო დაკავებები. დააპატიმრეს შისახკომის ლეგენდარული „ლიკვიდატორები“ - ეიტიგონი და სერებრიანსკი, ბერიას მდივანი ლუდვიგოვი და მრავალი სხვა რამდენიმე ასეული თანამშრომელი. გენერალი მასლენნიკოვი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარების მეთაური, მიხვდა თუ რა ელოდა, ამიტომ თავის დახვრეტა ირჩია. ამ დროიდან დაიწყო საბჭოთა კავშირის ძლიერების დაცემა.


ციხე ელოდა თავად პ. სუდოპლატოვსაც. დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე იგი დაიბარეს ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში. იქ ის არასწორად მოიქცა. ჯერ ერთი, მან ბერიას სტიგმატიზაცია არ მოუწყო. მეორეც, მან ახსენა ომის შემდგომი ზოგიერთი ლიკვიდაცია და დაასახელა მათი ორგანიზატორები, მათ შორის მოლოტოვი, ხრუშჩოვი და ბულგანინი. ამ წუთიდან მისი ბედი გადაწყდა. სუდოპლატოვი საშიში და უკონტროლო მოწმე გახდა. მალე იგი დააკავეს. ერთ-ერთი დაკითხვის დროს საბჭოთა კავშირის გენერალურმა პროკურორმა რუდენკომ შესთავაზა ჩვენების მიცემა ბერიასა და ჰიტლერს შორის საიდუმლო შეთანხმების გეგმებზე, ბერიასა და ჩერჩილს შორის საიდუმლო კონტაქტების შესახებ. აგრეთვე შხამის მეშვეობით საბჭოთა ხელმძღვანელობის ლიკვიდაციის გეგმების შესახებ, მაგრამ სუდოპლატოვმა უარი თქვა. თუმცა იგი მიხვდა, რომ მას ცოცხალს არ დატოვებდნენ ... გამოძიებას აღიარება არც კი დასჭირვებია - ყველაფერი მიდიოდა დახვრეტისაკენ. სუდოპლატოვმა გადაწყვიტა გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯი... „მე გადავწყვიტე მემოქმედებინა ჩემი წინამორბედისა და მასწავლებლის შპიგელგლაზის რჩევით. იგი ასეთ მითითებებს აძლევდა არალეგალ ემიგრანტებს, რომლებიც ჩავარდნილი იყვნენ და დანაშაულის უარყოფის შესაძლებლობა არ ჰქონდათ: „თქვენ თანდათან უნდა შეწყვიტოთ კითხვებზე პასუხის გაცემა, თანდათან შეწყვიტოთ ჭამა, ყოველ დღე შიმშილობის გამოცხადების გარეშე, ოღონდ ყოველ დღეს საჭმელის ნაწილი ჩაასხით ტუალეტში. გარანტირებულია, რომ ორი-სამი კვირის შემდეგ თქვენ

გახდებით ღონემიხდილი(პროსტრაცირებული), შემდეგ კი სრულად უარყოფთ საკვებს. გაივლის დრო მოვა ციხის ექიმი და დაგისვამთ გამოფიტვის დიაგნოზს. შემდეგ ჰოსპიტალიზაცია - და იძულებითი კვება. მე ვიცოდი, რომ შპიგელგლაზი „გატეხეს“ ლეფორტოვოს ციხეში. მან ამ თამაშს მხოლოდ ორი თვე გაუძლო. ჩემთვის მაგალითი იყო კამო (ტერ-პეტროსიანი)....“[69].

სტალინის ლეგენდარული თანამებრძოლი კამო დააპატიმრეს გერმანიაში, სადაც იგი ოთხი წლის განმავლობაში სიგიჟეებს სჩადიოდა, რაც მან დეტალურად კიდევაც აღწერა შემდეგ ჩეკისტებისათვის განკუთვნილ ინსტრუქციაში. პ. სუდოპლატოვმა შეძლო ამ „რეკორდის“ მოხსნა - მან ხუთი წელი გაძლო. ის თანაც ყველაზე საშიშ დროს „იჯდა“ ფსიქიატრიულ საავადმყოფოში. მას შეთხზული ბრალდებით „გადამტრიალებლებმა“ თხუთმეტი წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს. ყოფილ გენერალს დროდადრო ციხეში სტუმრობდნენ გამომძიებლები, რომლებიც დაინტერესებული იყვნენ მალენკოვის, შემდეგ კი მოლოტოვის, ბულგანინის, კაგანოვიჩის მონაწილეობით ჩატარებულ გახმაურებული „ლიკვიდაციებით“. აკრძალული იყო მხოლოდ ხრუშჩოვის სახელი, როგორც ტერორის ორგანიზატორის.

1963 წელს დანებდა ნ. ეტინგონი. მან დაწერა ის, რასაც პატიმრები იყენებდნენ თავისუფლების მისაღებად - დამამცირებული წერილი ხრუშჩოვისადმი, რომელშიც ითხოვდა შეწყალებას. იგი 1964 წელს გაათავისუფლეს.

პ. სუდოპლატოვმა თავისი ვადა სრულად მოიხადა, ნათესავებისა და კოლეგების ყველა თხოვნა მისი საქმის გადახედვის შესახებ უარყოფილი იყო გამჭვირვალე მინიშნებებით, რომ ყველაფერი გადაწყდა „ზემოთ“ და რომ იგი ხრუშჩოვის მოწყალებას არ ექვემდებარებოდა. (სუდოპლატოვი გაათავისუფლეს 1968 წლის 21 აგვისტოს, იმ დღეს, როდესაც საბჭოთა ჯარები ჩეხოსლოვაკიაში შეიჭრნენ). სანამ სკკპ არსებობდა პ. სუდოპლატოვმა ამ ლეგენდარულმა პიროვნებამ ვერ მიაღწია რეაბილიტაციას.



პავლე სუდოპლატოვი

„ბედის ირონიით, სანამ რეაბილიტაციის შესახებ შუამდგომლობას ვაყენებდი, გორბაჩოვმა მიიღო ერთგვარი შეტყობინება, რომელსაც ხელს აწერდნენ სამი გენერალი, რომლებიც ბერიას დაკავებაში მონაწილეობდნენ. 1985 წლის აპრილში მათ გორბაჩოვს მოსთხოვეს მათთვის მიენიჭებინა საბჭოთა კავშირის გმირის წოდებები, რომელიც მათთვის აღთქმული ჰქონდათ ბერიას საიდუმლო და სარისკო ოპერაციის ჩატარებისათვის... გორბაჩოვმა უარყო ორივე შუამდგომლობა - ჩემიც და გენერლებისაც“[69].

სკკპ ცკ-ის მდივანმა შატალინმა სპეცდავალებით გამოფინა ვითომდაც ბინძური თეთრეული უზარმაზარი იმპერიის მეორე პირის. „ბერიას სამსახურებრივ ოთახში სეიფის გახსნისას უჩვეულო საგნებს წავაწყდით - ამბობდა ის - დოკუმენტებთან ერთად, დიდი რაოდენობით აღმოვაჩინეთ ყველანაირი, რასაც იქ

შეიძლება ეწოდოს, ქალის ტუალეტის ატრიბუტები. აქ მოცემულია მოკლე ამონარიდები ინვენტარიდან, რომელთა გამოქვეყნება მსურს ... ქალთა სპოტული ტანსაცმელი, ქალის ჯემპრები, ქალის წინდები უცხოური ფირმებისგან - 11 წყვილი, ქალის აბრეშუმის კომბინაციები - 11 წყვილი, ქალთა აბრეშუმის კოლგოტები - 7 წყვილი. ქალის ქალის კაბების ნაჭრები - 5 ნაჭერი, ქალის აბრეშუმის თავსაბურავი, უცხოური ფირმების ცხვირსახოცები, ბავშვთა აბრეშუმის კომბინაციები, კიდევ რამდენიმე საბავშვო რამ და ა.შ., მთელი სია ... ჩვენ აღმოვაჩინეთ უამრავი წერილი ქალებისგან ყველაზე ინტიმური შინაარსის. ჩვენ ასევე აღმოვაჩინეთ გარყვნილი მამაკაცის ნივთების დიდი რაოდენობა. ეს ყველაფერი თავისთავად მეტყველებს მასზე და, როგორც ამბობენ, კომენტარს არ საჭიროებს".

კომუნისტურმა „ვერხუშკამ" ბერიას დასაძირად ყველანაირ უზნეობაზე მოაწერა ხელი. აი მაგალითები: ლ. ბერიას დაცვის უფროსმა სარქისოვმა აჩვენა(უფრო სწორად მიაცემინეს ჩვენება): „მე ვიცი ბერიას უამრავი კავშირი შემთხვევით გამვლელ ქალებთან. მე ვიცი, რომ ვილაც მოქალაქე ს.-ს საშუალებით (ნება მომეცით არ აღვნიშნო მისი გვარი) ბერია გაეცნო (ჩვენებაში გვარი იყო ნათქვამი) ს.-ს მეგობარს, რომლის გვარი არ მახსოვს. იგი მუშაობდა მოდის სახლში. მოგვიანებით აბაკუმოვისგან გავიგე, რომ ს.-ს ეს მეგობარი სამხედრო ატაშის ცოლი იყო. მოგვიანებით, როდესაც ბერიას კაბინეტში ვიყავი გავიგე, როგორ დაურეკა ბერიამ აბაკუმოვს ტელეფონით და ეკითხებოდა, რატომ არ იყო ეს ქალი საპყრობილეში. გარდა ამისა, მე ვიცი, რომ ბერია ცხოვრობდა უცხო ენების ინსტიტუტის სტუდენტ მაიასთან, რომელმაც შემდგომში დაორსულებულმა აბორტი გაიკეთა. ბერია ასევე თანაცხოვრობდა 18-20 წლის გოგონა ლიალიასთან. ბერიას მასთან ჰყავდა შვილი, რომელთანაც იგი აგარაკზე ცხოვრობდა. თბილისში ყოფნისას ბერიამ თანაცხოვრება მიიღო მოქალაქე მ.-თან, რომელთანაც მას შეეძინა შვილი ... ბერიას მითითებით, მე მაქვს ქალების მთელი სია, რომელთან ერთადაც

ის ერთად ცხოვრობდა (სიცილი აუდიტორიაში). მოგვიანებით ეს სია გავანადგურე. თუმცა, ერთი სია გადარჩა. ეს სია შეიცავს 25-27 ასეთი ქალის სახელს და ტელეფონის ნომრებს. ეს სია პიჯაკის ჯიბეში ედო. წელიწადნახევრის წინ ნამდვილად შევიტყვე ბერიას მეძავებთან კავშირების შესახებ (როგორც ის წერს). ის სიფილისით იყო დაავადებული. მას მკურნალობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიკლინიკის ექიმი[98].

ლ. ბერიას და მისი კავკასიელი პარტნიორების მსჯავრდების შემდეგ, მათი ახლო ნათესავები საქართველოდან გადაასახლეს სვერდლოვსკისა და კრასნოიარსკის მხარეებში, ყაზახეთში. სეროვის 1955 წლის 19 სექტემბრის ნოტის თანახმად, ბერიას დები და სხვა ნათესავები ყაზახეთში გადაასახლეს. სეროვის მოხსენებით ანუ პარტიის ენით, ისინი „განაგრძობდნენ ბერიას ქებას, ამტკიცებენ მის უდანაშაულობას და უკმაყოფილებას გამოხატავდნენ მათი განდევნის გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით". გადაწყდა, რომ ბერიას „და" და მისი მეუღლე პასუხისგებაში წარედგინათ „ბოროტი ანტისაბჭოთა აგიტაციისთვის". „1953 წელს, - წერს სერგო ბერია, - ორივე ჩემი ბებია, ერთი იმ დროს 84 წლის, მეორე 81 წლის, გაიყვანეს თავიანთი ბინებიდან ღამით და თბილისიდან ასი კილომეტრის დაშორებით გაგზავნეს მოხუცთა თავშესაფარში. არცერთ ნათესავს არ მისცეს უფლება წაეყვანა ისინი თავისთან... „რადგან ისინი საქართველოდან არ გაასახლეს, გასაგებია, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ გადაწყვიტა ხელი არ შეეხო მოხუცი ქალებისათვის, ეს თვითშემოქმედება უკვე ადგილობრივი ამხანაგების ინიციატივა იყო"- წერს ლავრენტი ბერიას შვილი სერგო.

ლ. ბერია ისეთივე მსახური და მსხვერპლი იყო იმ სისტემის, რომელსაც რუსული ყაზარმული სოციალიზმი ერქვა და რომლის დანგრევის შემოქმედნი თავის დროზე იყვნენ ისეთივე სტალინელები იყვნენ, როგორიც ლ. ბერია. აი მაგალითად ისეთი, როგორიც ედუარდ შევარდნაძე, რომელიც სიცოცხლის ბოლომდე მერყევი და გაურკვეველი სტალინელი დარჩა. ამას მოწ-

მობს 2009 წელს გამოცემული წიგნი „სტალინი, პერმანენტული გამარჯვებების ღმერთი“, რომლის რედაქტორია თავად შევარდნაძე, სადაც იგი წერს: „ჩვენ სტალინის თანამებრძოლები“[100, 9].

ჩვენი აზრით ბერიას ჰყოფნის თავის ცოდვები, მაგრამ როდესაც მას აბრალებენ დიახ აბრალებენ „რეპრესიების მამობას“. ეს ისტორიის დამახინჯებაა. საბჭოთა კავშირში რეპრესიების მამა ბოლშევიკების პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელობა, ხოლო განმახორციელებელი კი პარტია იყო, რომელიც ატარებდა რეპრესიების პოლიტიკას. აქვე ხაზგასმით აღვნიშნავთ იმასაც, რომ რეპრესიების დასაწყისში განკარგულებები მხოლოდ და მხოლოდ ცენტრიდან მოდიოდა. მასზე გადაწყვეტილებას იღებდნენ მხოლოდ და მხოლოდ სკპ(ბ) ხელმძღვანელი ორგანოები.

საბჭოთა კავშირში რეპრესიები დაიწყო 1934 წლის დეკემბრიდან და გრძელდებოდა 1937 წლის ჩათვლით. ეს გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას იყო ბრძოლა ვინ-ვის? ეს იყო დაუნდობელი ბრძოლა ხელისუფლებისათვის. ეს იყო შეხედულებათა ბრძოლა. ეს იყო სისხლმღვრელი ბრძოლა, რომელიც გრძელდებოდა ორი ათეული წლის მანძილზე და დამთავრდა სტალინის ბრწყინვალე გამარჯვებით. რის ფასად? ეგ სხვა საკითხია, მაგრამ ისიც საკითხავია ბრძოლა, რომ მოეგოთ სტალინის მოწინაღმდეგეებს ნაკლებ სისხლს თუ დასჯერდებოდნენ ისინი? ვინაიდან თითოეული მათგანი შემოქმედნი იყვნენ იმ რეპრესიებისა, რომლებიც გატარდა საბჭოთა იმპერიაში 1917 წლის ოქტომბრის გადატრიალების პირველი დღეებიდანვე.

1930-იანი წლების პირველ ნახევარში ლ. ბერია არ ყოფილა სსრკ უმაღლეს ხელმძღვანელობაში. და მასზე „რეპრესიების მამობის“ დაბრალება არის ყოვლად გაუგებარი, წინასწარგანზრახული, ისინი ფალსიფიცირებულია ე.წ. ნიკიტისტი(ნიკიტა ხრუშჩოვის ენით მოლაპარაკე) ნეოტროცკისტების მიერ. უტყუარ წყაროებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ რეპრესიები დაიწყო კრემლიდან და მის სათავეში იდგნენ ჰენრიხ იაგოდა და ნიკოლაი ეჟოვი. ორივე მათგანი იყვნენ ჰომოსექსუალები. ლ. ბე-

რია, როდესაც მოსკოვში ჩავიდა და ეს იყო 1938 წელი, რეპრესიები უკვე დასრულებისაკენ მიდიოდა. უფრო მეტიც, როგორც დოკუმენტები მოწმობენ მან თავისი ქმედებებით ბევრი გააკეთა, რათა შესუსტებულიყო სახელმწიფოს სისხლიანი პოლიტიკა. აი მაგალითად, როდესაც ბერია სათავეში ჩაუდგა შინსახკომს, მან პატიმართა რაოდენობა შეამცირა 4-ჯერ. მხოლოდ 1939 წელს და 1940 წლის პირველ კვარტალში ბერიამ ციხეებიდან გაათავისუფლა 381 178 პატიმარი, ომის დაწყებისთანავე კი კიდევ 130 ათასი[101, 119-132]. რა თქმა უნდა ბერია არ ყოფილა ანგელოზი, მაგრამ მის სინდისზე არ დევს იმაზე მეტი დანაშაულობანი, რაც იმ დროის დანარჩენ პოლიტიკოსებზე.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, ლ. რომ ბერია იყო უაღრესად ნიჭიერი და შრომისმოყვარე ადამიანი. მან დამოუკიდებლად შეისწავლა და თავისუფლად საუბრობდა ინგლისურ, ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ის ყოველდღიურად კითხულობდა და ამუშავებდა 300-400 გვერდს.

ი. სტალინისა და ლ. ბერიას როლის უარყოფით შეფასებაში უაღრესად დიდი როლი ითამაშა მათმა არარუსობამ. ველიკორუსულმა შოვინიზმმა ვერ აიტანა ის, რომ არარუსებმა, სახელდობრ კი ქართველებმა გააკეთეს რუსული საქმე. ამიტომაც იყო, რომ მათ თავს დაატყდათ უძლიერესი კრიტიკა და მცდელობა, რომ პირისაგან მიწისა აღეკვეთათ ეს ორი უდიდესი პოლიტიკური და მოღვაწე, რომელთაც სხვა რომ არაფერი, კაცობრიობა იხსნეს მიხაკისფერი ჭირის - ფაშიზმისაგან.

პროფესორი ლევან სვანაძე წერს, რომ მსოფლიოს ისტორიაში არავის და არასდროს (არც ნაპოლეონს, არც ბისმარკს და ა.შ.) არ ჰყოლია ისეთი დაზვერვა, როგორიც საბჭოთა კავშირს. საბჭოთა დაზვერვამ ბერიას ხელმძღვანელობით ისეთ წარმატებებს მიაღწია, როგორზედაც ვერ იოცნებებდა ვერც ერთი ქვეყნის უშიშროების სამსახური. გვინდა, ჩვენმა მკითხველმა იცოდეს, რომ დასავლეთში წიგნებიც კი არის გამოცემული იმის მტკიცებულებით, რომ ომი შვეიცარიაში იქნა მოგებული. ამაში იგუ-

ლისხმება იქ საბჭოთა რეზიდენტურის არსებობა („დორას ფსევდონიმით"), რომელიც უპრეცედენტოა მსოფლიო დაზვერვების ისტორიაში. ამ ჯგუფის მიერ მოწოდებული ცინცხალი ინფორმაცია ნაცისტი ხელმძღვანელის საქმიანობაზე ყოველდღიურად ხვდებოდა სტალინის მაგიდაზე. რაც მთავარია, ჰიტლერმა და ნაცისტურმა ხელმძღვანელობამ იცოდნენ ამ ინფორმაციის გადინებისა თუ გაჟონვის თაობაზე და რა ზომებს არ მიმართეს, მაგრამ წყაროს ვერ მიაკვლიეს. ოფიციალურად იგი არც დღეს არის მიკვლეული და, ალბათ, არც მომავალში გაიხსნება, თუ არ მოხდა რაღაც განსაკუთრებული შემთხვევა. ერთადერთი მეკავშირე, რომელიც ამ ჯგუფსა (ე. ი. „დორას" ჯგუფის) და მაღალი დონის გერმანელ ინფორმატორს შორის მოქმედებდა, 1958 წელს გარდაიცვალა და თან წაიღო ეს საიდუმლო. პროფ. ლ. სვანაძე სწავლობდა ამ საკითხს. მისი თქმით - ინგლისსა და შეერთებული შტატებიდან ჩამოტანილი მასალების საფუძველზე მივედით დასკვნამდე, რომ ეს ინფორმატორი გახლდათ ძალზე მაღალი ჩინის გერმანელი ოფიცერი, არმიის გენერალი ერიხ ფელგიბელი - ვერმახტის კავშირგაბმულობის ძალების უფროსი, პასუხისმგებელი პირი, პირადად ჰიტლერის კონტაქტების, მაღალ სამხედრო თავკაცობასთან.

ერიხ ფელგიბელი, ამასთანავე, იყო ჰიტლერის წინააღმდეგ გენერალთა შეთქმული ჯგუფის წევრი, რომელმაც 1944 წლის 20 ივლისს განახორციელა ფიურერზე თავდასხმა. პოლკოვნიკმა კლაუს შტაუფენბერგმა ბომბი დადო ჰიტლერის მაგიდის ქვეშ მის შტაბ-ბინაში აღმოსავლეთ პრუსიაში (ვოლფშანცეში). ბომბი აფეთქდა, დაიღუპა ბევრი იქ მყოფი, მაგრამ ჰიტლერი გადარჩა. დაიწყო რეპრესიები. არაოფიციალური ცნობით, დააპატიმრეს 7 ათასი ოფიცერი, მათ შორის სამი ფელდმარშალი. დაპატიმრებულთა შორის იყო ერიხ ფელგიბელიც, რომელიც ამ თათბირსაც ესწრებოდა. ვიღაცამ იგი გასცა. როდესაც ჰიტლერის ყურს მისწვდა ეს ინფორმაცია, მან იგი ყოველგვარი სასამართლოს გარეშე დახვრიტა (8 აგვისტოს). ჩვენი აზრით, ჰიტლერმა ეჭვი

აიღო, რომ ინფორმაციის გადინება ფელგიბელის საშუალებით ხდებოდა, ამიტომაც არ დაელოდა საქმის გამოძიებას[102].

****

გასართობი ჩანართი

ჰიტლერის ანდერძი ანუ გულახდილი საუბარი მარტინ ბორმანთან

(1945 წლის 4 თებერვალი)

„...ჩვენ არ გვქონდა არჩევანი. როგორც კი განვაცხადეთ სურვილი, გაგვეერთიანებინა გერმანელი ერი დიდ იმპერიად და უზრუნველგვეყო ნამდვილი თავისუფლებით, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, იმის შესაძლებლობით, რომ ეცხოვრათ ისე, როგორც მათ სურდათ, მაშინვე ყველა მტერი აღდგა ჩვენ წინააღმდეგ. ომი აუცილებელი შეიქნა თუნდაც იმის გამო, რომ მისი თავიდან აცილებით ჩვენივე ხალხის ძირეული ინტერესებისთვის უნდა გველალატა. რაც შეეხება ხალხს, არ გვინდოდა, დავკმაყოფილებულიყავით მისი მოჩვენებითი დამოუკიდებლობით. ასეთი დამოუკიდებლობა ხელს აძლევთ მხოლოდ შვედებსა და შვეიცარიელებს, რომლებიც ყოველთვის მზად არიან, მხარი დაუჭირონ საეჭვო და ცრუ ლოზუნგებს იმ პირობით, თუკი ამით შეძლებენ, ჯიბე გაისქელონ. იმავე მიზეზით ვერ შეძლო ვაიმარის რესპუბლიკამ, წამოეყენებინა უფრო ღირსეული პრეტენზიები. ასეთი მოქმედება კი არ შეეფერებოდა მესამე იმპერიის პრესტიჟს. ამიტომ ჩვენ იძულებული ვიყავით, ადრე თუ გვიან, ომი დაგვეწყო, რომლის შემდეგაც ზრუნვის ერთადერთი საგანი იყო ის, რომ სწორად შეგვერჩია ხელსაყრელი დრო, ხოლო რაკი დავიწყეთ, მერე ომიდან გამოსვლაზე ლაპარაკი შეუძლებელი იყო. ამ ომში დამლუპველ ფაქტორად იქცა ის, რომ გერმანიამ იგი დაიწყო ძალიან ადრე და თანაც ძალიან გვიან. წმინდა სამხედრო თვალსაზრისით, ჩვენ ომი ადრე უნდა დაგვეწყო. მე უნდა ჩამეგდო ხელთ ინიციატივა ჯერ კიდევ 1938 წელს და არა 1939 წელს. მაშინ უნდა მიმეცა საბაბი, რომ ჩავეთრიეთ მასში, რადგან ომი, ასე თუ ისე, მაინც გარდაუვალი იყო. ამასთანავე, სწორი არ იქნებოდა, ამაში ბრალი ჩემთვის დაედოთ, რადგან მიუნხენში ინგლისმა და საფრანგეთმა დააკმაყოფილეს ყველა ჩემი მოთხოვნა.

დღევანდელობის თვალსაზრისით, ომმა ძლიერ დაიგვიანა. ჩვენი მორალური მზადყოფნის თვალსაზრისით კი, იგი გაცილებით ადრე დაიწყო, ვიდრე საჭირო იყო. ჩემმა მოწაფეებმა ამ დროისთვის ვერ მოასწრეს

სრული მომწიფება. მე კიდევ ოცი წელიწადი მინდოდა, რომ მომემზადებინა ეს ახალი ელიტა, ელიტა სიჭაბუკისა, რომელიც ადრეული ბავშვობიდან იქნებოდა გამსჭვალული ნაციონალისტურ-სოციალისტური ფილოსოფიით. ჩვენი, გერმანელების, ტრაგედია ის იყო, რომ დრო არასოდეს გვყოფნიდა. გარემოება ყოველთვის ისე ეწყობოდა, რომ იძულებული ვხდებოდით, ავჩქარებულიყავით. და, თუ ახლაც არ გვყოფნის დრო, ეს უმთავრესად იმით აიხსნება, რომ საკმარისი არ არის სივრცე. რუსებს თავიანთი ვრცელი ტერიტორიების მეოხებით შეუძლიათ, თავს ფუფუნების ნება მისცენ და არ იჩქარონ. დრო მათ სასარგებლოდ და ჩვენ საწინააღმდეგოდ მოქმედებს. თუ განგება მომცემდა საშუალებას, მეცოცხლა მანამდე, სანამ ჩემს ხალხს ნაციონალ-სოციალისტური იდეების სრულ ზეიმამდე მივიყვანდი, ჩემი მტრები მაინც არ მომცემდნენ საშუალებას, გამომეყენებინა ეს. ისინი ყველაფერს გააკეთებდნენ, რათა მოვესპეთ, სანამ დადგებოდნენ ერთიანი ნაციონალ-სოციალისტური რწმენით შეკავშირებული და ამის შედეგად უძლეველი გერმანიის პირისპირ.

სხვა ყველა დაბალი რასაა, არასრულფასოვანი, ყველა, ვინც ლათინური, სლავური ან ებრაული წარმოშობისაა, აღმოსავლეთის ხალხებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია... ყველა უნდა მოისპოს, რადგან ასეთია „ბუნების წესი". ძლიერი ერი სპობს სუსტს. ძლიერი რასა ვითარდება, სუსტი კი ისპობა. ერთი ხალხი მეორეს რომ შთანთქავს, ეს საშინელებაა, მაგრამ აუცილებელია. ამიტომ ჩვენ არავითარი სიბრალული არ უნდა გვქონდეს ხალხისა, რომელსაც ბედისწერამ დალუპვა არგუნა, რადგან ეს ბუნებრივ პროცესს ეხმარება. პირიქით რომ მოხდეს, მაშინ ყველაფერი დაინგრევა... როგორც კურდღელზე ძაღლის გამარჯვებაა უეჭველი ან ლომისა - შველზე, ასევე უეჭველია გერმანელთა გამარჯვება სხვა ხალხებზე, რადგან მხოლოდ გერმანული რასაა სრულყოფილი და უფლებამოსილი, იბატონოს.

მიუნხენის წინ მე ნათლად დავრწმუნდი, რომ დასავლეთის სახელმწიფოების ხელმძღვანელები შეპყრობილი იყვნენ სურვილით, ჩამოერთმიათ ჩვენთვის ქირურგიული დანები და არ მოეცათ საშუალება, დაგვეწყო ოპერაცია (გერინგის თქმით, „ჩეხოსლოვაკიური აპენდიციტის ამოჭრა ევროპის სხეულიდან"). ამიტომაც არ მოგვეცა საშუალება, შევთანხმებულიყავით, როცა იმ არქიბურჟუა კაპიტალისტმა ჩემბერლენმა თავისი

ქოლგით ხელში ბერხტესგადენში ჩამოსვლა ინება, რათა „მოლაპარაკებოდა მეტიჩარა ჰიტლერს", მე კარგად ვიცოდი, რომ სინამდვილეში განზრახული ჰქონდა, ულმობელი ბრძოლა ეწარმოებინა ჩვენ წინააღმდეგ. იგი მზად იყო, ეთქვა ჩემთვის ყველაფერი, რაც, მისი აზრით, ასეთ ეჭვებს გამიფანტავდა, მაგრამ მე ვიცოდი, რომ მისი ჩამოსვლის ერთადერთი მიზანი იყო დროის მოგება, ამიტომაც უნდა დაგვერტყა მაშინვე და დაგვეწყო ომი 1938 წელსვე.

ჩემბერლენმა და დალადიემ კი, როგორც უკანასკნელმა მშიშრებმა, დაგვითმეს ყველაფერი, ხოლო ასეთ პირობებში ძნელი იყო, აგვეღო ინიციატივა და დაგვეწყო აშკარა საომარი მოქმედება. მიუნხენში ჩვენ დავკარგეთ ერთადერთი შესაძლებლობა, მოგვეგო ეს ომი, რომელიც ყველა გარემოებაში აუცილებელი იყო ჩვენთვის. მართალია, არც ჩვენ ვიყავით მთლად მზად, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, უკეთესი მომზადებული ვიყავით, ვიდრე ჩვენი მტრები. ჩვენ სწორედ მაშინ უნდა გადაგვეწყვიტა სადავო საკითხები იარაღით და არ მიგვექცია ყურადღება მოწინააღმდეგეთა სურვილზე, დაეკმაყოფილებინათ ჩვენი მოთხოვნები... საკმარისი იყო, სუდეტის პრობლემა ძალით გადაგვეწყვიტა, რომ ერთდროულად მოგვესპო ჩეხოსლოვაკია და ყველაფერი ეს ბენეშისათვის დაგვებრალებინა. მიუნხენის გადაწყვეტილება შეიძლებოდა მხოლოდ დროებითი ყოფილიყო, რადგან ვერ მოვითმენდით ამ მუწუკის არსებობას გერმანიის გულში, რომელსაც ჩეხების დამოუკიდებელი სახელმწიფო წარმოადგენდა. ჩვენ გამოვრწყეთ ეს მუწუკი 1939 წლის მარტში, მაგრამ უკვე ფსიქოლოგიურად არა ისეთ ფსიქოლოგიურად ხელსაყრელ ვითარებაში, როგორიც იყო 1938 წელს.

რუსეთი დიდი ლუკმაა, შეიძლება ის ყელში გაეჩხიროს კაცს, ამიტომ მე არ დავიწყებდი იქიდან!.. თუ რუსეთი დამსხვრეულ იქნებოდა, ინგლისს წაერთმეოდა უკანასკნელი იმედი. მაშინ ევროპასა და ბალკანეთში იბატონებდა გერმანია...

ამ კამპანიის მიზანი იყო რუსეთის, როგორც კონტიტენტური სახელმწიფოს, საბოლოო მოსპობა... არც ერთი გადაწყვეტილების მიღება ამ ომის განმავლობაში არ იყო იმაზე ძნელი ჩემთვის, ვიდრე გადაწყვეტილებისა, თავს დავსხმოდი რუსეთს. მე ყოველთვის ვამტკიცებდი, რომ, რადაც უნდა დაგვიჯდეს, საჭიროა, თავიდან ავიცილოთ ომი ორ ფრონტზე. დარ-

წმუნებული იყავით, მე დიდხანს ტანჯვითა და წვალებით ვფიქრობდი ნაპოლეონის ლაშქრობაზე რუსეთში. თუ ეს ასეა, მაშინ რატომ დავიწყე ომი რუსეთთან? – იკითხავთ თქვენ, ან რატომ ავირჩიე სწორედ ეს დრო ომის დასაწყებად? ვიდრე რუსეთის სახით კიდევ ერთი დიდი სახელმწიფო არსებობდა ევროპაში, ინგლისი მისი მხარდაჭერის იმედით არასოდეს შეწყვეტდა ომს ჩვენ წინააღმდეგ. უზარმაზარი სამხედრო პოტენციალის მქონე ამერიკა კი მოგების მიზნით ერთთანაც გააბამდა კავშირს და მეორესთანაც. ეს სულ უფრო და უფრო ჩაგვითრევდა ხანგრძლივი ომის ჭაობში, ამიტომ საჭირო იყო რუსეთის ამოგდება ევროპის სახელმწიფოთა ბალანსიდან, ამიტომ იყო საჭირო, აგვეღო ინიციატივა და დაგვეწყო ომი. დრო კი ისევ ჩვენ წინააღმდეგ მოქმედებდა. სტალინი გულხელდაკრეფილი როდი იჯდა. დასავლეთის სახელმწიფოებიც თანდათან იკრებდნენ ძალას. ამრიგად, კაცმა რომ თქვას, საკითხი იმას კი არ შეეხება, თუ რატომ დავიწყე რუსეთთან ომი 1941 წლის ივნისში, არამედ იმას, რატომ არ დავიწყე იგი უფრო ადრე.

სუსტმა მოკავშირეებმა დაღუპეს გერმანია, რადგან „ხანგრძლივ ომში სუსტი მოკავშირე უფრო ხუნდებია ფეხებზე, ვიდრე რეალური დახმარება". საბერძნეთში მოულოდნელმა შეჭრამ ხუთი კვირით გადამადებინა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ბრძოლის დაწყებ. თორემ, ეს რომ ასე არ მომხდარიყო და დროზე გამელაშქრა აღმოსავლეთში, „გენერალი იანვარი" და „გენერალი თებერვალი" მოსკოვის მისადგომებთან ვეღარ მომისწრებდა, იმხანად მოსკოვი უკვე დაპყრობილი მექნებოდა, ხოლო ომი - მოგებული. ეს იყო რუსეთში ჩემი დამარცხების „გადამწყვეტი ფაქტორი"...

„ანდერძში" ჰიტლერი საკმაოდ ვრცლად მსჯელობს შეცდომებზე: „რაკი მიზნად ვისახავ, მსჯავრი დავდო წარსულს ობიექტურად, ყოველგვარი ემოციების გარეშე, უნდა ვაღიარო, რომ ჩემი ურყევი მეგობრობა იტალიასა და დუჩე მუსოლინისთან შეცდომა იყო. სრულიად აშკარაა, რომ ჩვენმა კავშირმა იტალიასთან უფრო მეტი სარგებლობა მოუტანა მტრებს, ვიდრე გერმანელებს. იტალიის მონაწილეობამ ომში, რაც სრულიად უმნიშვნელო იყო იმ სიძნელეებთან შედარებით, რომლებიც მან შეგვიქმნა, ისეთ მძიმე მდგომარეობაში ჩაგვაყენა, რომ, მიუხედავად ყოველგვარი ცდისა, ეს ომი მაინც ვერ მოვიგეთ და ახლა შეგვიძლია ვთქვათ, რომ

იტალიამ ხელი შეუწყო ჩვენს დამარცხებას. ისე კი, ყველაზე დიდი სამსახური, რაც შეიძლებოდა იტალიას გაეწია ჩვენთვის, იქნებოდა ის, რომ სულაც არ ჩარეულიყო ამ ომში. მე უამისოდაც გავუყოფდი იტალიას ჩემს ნადავლს და სულითა და გულით მივიღებდი მონაწილეობას ისტორიული მითის შექმნაში ძველ რომაელთა კანონიერი შვილების - იტალიელი ხალხის უპირატესობის შესახებ, ოღონდ მხარში არ ამომდგომოდნენ ბრძოლის ველზე.

სამწუხაროდ, ბუნებაც იმას ადასტურებს, რომ მათი აღიარება თანასწორად, ვინც ასეთი არ არის, შეცდომაა. გერმანელებმა კარგად უნდა დაიმახსოვრონ, რომ ასეთ მდგომარეობას მარტო ყოფნა სჯობს. მე ხშირად ვამბობდი: სადაც შეხვდებით იტალიელებს, იქ ნახავთ გამარჯვებას-მეთქი. უფრო სწორი იქნებოდა მეთქვა: სადაც მიაღწევთ გამარჯვებას, იქ, არხეინად იყავით, შეხვდებით იტალიელებს.

ჩვენ, ისევე, როგორც ფრიდრიხ დიდი, ვიბრძვით კოალიციის წინააღმდეგ, ხოლო კოალიცია, გახსოვდეთ, არასოდეს არის მტკიცე ერთეული. იგი არსებობს მხოლოდ ერთი მუჭა ხალხის ნება-სურვილით. აი, ჩერჩილი უცებ რომ გაქრეს, ელვისებური სისწრაფით შეიცვლება ყველაფერი... რაც შეეხება რუზველტს, ამერიკელები მალე მიხვდებიან, რომ ისინი მისი სახით აღმერთებდნენ ცრუ კერპს. სინამდვილეში იგი უდიდესი დამნაშავეა, როგორც ამერიკის, ისე მსოფლიოს წინაშე...

ბედმა მე დამაკისრა, ვცადო ყველაფრის განხორციელება ერთი ადამიანის ცხოვრების მოკლე დროში. ამაში მეხმარება ჩემი რომანტიკული იდეალიზმი, რომელიც ეყრდნობა რეალურ ფაქტებს, რომლებიდანაც გამომდინარეობს სრულიად შესაძლო დაპირებები, მაგრამ იგივე ფაქტები მიკრძალავენ, აღვუთქვა ვინმეს, რომ ვარსკვლავებს მოვწყვეტ ციდან. სხვების განკარგულებაში მარადიულობაა, ჩემს განკარგულებაში კი მხოლოდ რამდენიმე უსუსური წელია. სხვებმა იციან, რომ მათ შეცვლიან ისინი, ვინც განაგრძობს იქიდან, სადაც თვითონ ამთავრებენ, თანაც ისე, რომ იმავე მიმართულებითა და იმავე გუთნით გაიყვანონ ხნული. მე ახლა ისეთ ასაკს მივაღწიე, რომ საგონებელში ვარ ჩავარდნილი: მოიძებნება კი ჩემ ახლობელთა შორის ბედისგან რჩეული ისეთი ადამიანი, რომელიც შეძლებს, ასწიოს და წინ წაიღოს ჩირაღდანი, რომელიც მე გამივარდება ხელიდან?!

რა შეგვიძლია ვურჩიოთ ან მოქმედების რომელ გეზზე შეიძლება მივუთითოთ მათ, ვინც ცოცხალი დარჩება და, ამასთანავე, შეინარჩუნებს წმინდა სულსა და გაუტეხელ გულს? - დამარცხებულმა და განწირულმა გერმანელმა ხალხმა, რომელიც იძულებულია, იცხოვროს და იბრძოლოს არსებობისთვის მარტოდმარტომ, როგორც გუშაგმა ბნელ ღამეში, ყველაფერი უნდა გააკეთოს, რათა კვლავაც დაემორჩილებოდა მისთვის შემოთავაზებულ რასობრივ კანონებს.

მომავალი შეიძლება მხოლოდ იმ თეთრ ხალხს ეკუთვნოდეს, რომელმაც იცის, რა არის ტანჯვა და ბრძოლა სიკვდილამდე. ასეთი ხალხი კი იქნება ის, რომელიც შეძლებს თავის თავში აღმოფხვრას ებრაული შხამი. არ უნდა გვებრალებოდეს ხალხი, რომელსაც ბედისწერამ დაღუპვა არგუნა.

გერმანელები ისეთი უსუსურნი არიან, რომ არ შეუძლიათ შეიგნონ და განახორციელონ ჩემი იდეები. თუ მე დავიღუპები, დაე, დაიღუპოს გერმანელი ხალხიც! ვინც ამ კატასტროფული მარცხის შემდეგ ცოცხალი დარჩება, ის არ იქნება სრულფასოვანი გერმანელი!.. რაკი გერმანელი ხალხი მხდალი და სუსტი აღმოჩნდა, იგი არ იმსახურებს რამე სხვას, გარდა სამარცხვინო სიკვდილისა. თუ აღმოჩნდება, რომ გერმანელი ხალხი არ არის საკმაოდ ძლიერი და მომზადებული იმისათვის, რომ მსხვერპლი გაიღოს, სისხლი დაღვაროს არსებობისთვის, დაე, დაიღუპოს იგი, მოსპოს უფრო ძლიერმა ძალამ..."

სტალინმა, როცა ჰიტლერს გამუდმებით ლანძღავდნენ, აგინებდნენ და სულელს უწოდებდნენ, განაცხადა: „საბჭოთა კავშირს სულელებთან არ უწარმოებია სისხლისმღვრელი ომი ოთხი წლის განმავლობაში. ჩვენ ვებრძოდით კარგად შეიარაღებულ და ზედმიწევნით ორგანიზებულ სამხედრო ძალას, რომელმაც თითქმის მთელი ევროპა დაიპყრო"[264].

****

სტალინისა და ბერიას შესახებ ჯერჯერობით მსჯელობა ძალიან ძნელია. ვინაიდან მათ შესახებ შესახებ არქივები დაკეტილია. აქვე გვინდა მკითხველს ვამცნოთ ის, რომ 2000 წლის 29 მაისს რუსეთის ფედერაციის უმაღლეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიამ ლავრენტი ბერიას რეაბილიტაციაზე უარი თქვა. ხოლო

2003 წლის 23 იანვარს რუსეთის ფედერაციის მთავარმა სამხედრო პროკურატურამ ლავრენტი ბერიას საქმეს დაადო „გრიფით საიდუმლო“ და უშიშროების სამსახურს დაავალა 25 წლით მისი შენახვა. ე.ი. ის 2028 წელს უნდა გაიხსნას, მაგრამ ისმის კითხვა გაიხსნება კი? ვფიქრობთ ამ საკითხის გარშემო სავსებით სწორ მოსაზრებას გამოთქვამს მკვლევარი ლ. დოლიძე, როდესაც წერს: „ბერიას არქივებს არ გახსნიან, რადგან მაშინ ყველაფერი თავდაყირა დადგება და დამტკიცდება ერთადერთი სიმართლე, რომ რუსეთი და მთელი მსოფლიო ატომური ომისა და ფაშისტური ყვითელი ჭირისაგან იხსნა ორმა ქართველმა – სტალინმა და ბერიამ“[103].

****

გასართობი ჩანართი

1943 წლის 5 ივლისს ცოცხალი ძალითა და იმ დროისთვის უახლესი სამხედრო ტექნიკით შევსებულმა ფაშისტურმა არმიებმა განახორციელეს შეტევას ორიოლ-კურსკის რკალის მიმართულებით.

11 ივლისს სტალინმა ჩერჩილს წერილი გაუგზავნა, რომელშიც მკაცრად გმობდა დასავლეთელი მოკავშირეების პოზიციას ევროპაში მეორე ფრონტის გაზაფხულისთვის გაუხსნელობის გამო: „ეს გადაწყვეტილება უდიდეს სირთულეებს უქმნის საბჭოთა კავშირს, რომელიც, თითქმის ორი წელიწადია, უდიდესი დაწოლის პირობებში ომობს გერმანიის მთავარი ძალებისა და მისი მოკავშირეების წინააღმდეგ“.

კურსკის „ცეცხლის რკალის“ მინდვრები ჯოჯოხეთად იქცა. ორივე დაპირისპირებული მხარე უდიდეს ზარალს განიცდიდა, მაგრამ ამ დროისთვის წითელი არმია უკვე მარაგდებოდა საბჭოთა წარმოების ტანკებისა და თვითმფრინავების სულ უფრო მეტი რაოდენობით. მუდმივად იზრდებოდა მისი ძლიერება. აშკარა გახდა მიმდინარე ომში მომხდარი გარდატეხა სსრ კავშირის სასარგებლოდ. ნითელმა არმიამ გაანადგურა გერმანელების ტანკების ნახევარი, მოიპოვა უპირატესობა ჰაერში და შეტევაზე გადავიდა.

სტალინი დათანხმდა მოსკოვში საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრას, რომელზეც მანამდე უარს ამბობდა ფრონტზე შექმნილი მძიმე მდგომარეობის გამო. უფრო მეტიც, მან წამოაყენა წინადადება 1943 წლის


ნოემბერ-დეკემბერში „დიდი სამეულის“ ირანში შეხვედრის თაობაზე.

კურსკის რკალის ბრძოლაში საბჭოთა შეიარაღებული ძალების გამარჯვებამ ფრიად შეაშფოთა ჩერჩილი. 1943 წლის 6 ოქტომბერს მან საგარეო საქმეთა მინისტრ იდენს გერმანიის შესახებ უთხრა: „ჩვენ არ უნდა დავასუსტოთ იგი უკიდურესობამდე. ვინაიდან ის რუსეთის წინააღმდეგ დაგვჭირდება“. ერთ-ერთი სტენოგრაფისტი ქალის ჩანაწერის მიხედვით, „მინისტრთა კაბინეტის წევრები გაოგდნენ, ეს რომ გაიგონეს“.

სტალინმა, როგორც ჩანს, კარგად უწყოდა ჩერჩილის შესახებ. ამიტომ იყო, რომ მინისტრების კონფერენციაზე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა და ამერიკელებს დაჰპირდა, რომ გერმანიის დამარცხების შემდეგ იაპონიის წინააღმდეგ გაილაშქრებდა. აშშ, ჩინეთთან ერთად იაპონიის წინააღმდეგ ომში ჩართული ძირითადი ქვეყანა იყო და მნიშვნელოვან დანაკარგებს განიცდიდა. ინგლისი შედარებით ნაკლებად მონაწილეობდა მეორე მსოფლიო ომის აზიურ თეატრში. მსოფლიოს ამ ნაწილის უზარმაზარი სივრცე ამერიკელებისგან მოითხოვდა უდიდეს ძალისხმევას. ჯარების ყველა სახეობის, უწინარეს ყოვლისა კი, სამხედრო საზღვაო ფლოტისა და ავიაციის ჩართულობას. პენტაგონის გათვლით, ამერიკის დანაკარგი იაპონიაში საბჭოთა კავშირის მონაწილეობის გარეშე მილიონ კაცზე მეტი იქნებოდა. რუზველტი (ყოველ შემთხვევაში, ატომური ბომბის შექმნამდე) ფრიად დაინტერესებული იყო აზიაში საბჭოთა კავშირის სამხედრო დახმარებით.

სტალინს გაცილებით უკეთესი ურთიერთობა ჰქონდა ვაშინგტონთან, ვიდრე ლონდონთან. ჩერჩილი, რასაკვირველია, ამას ამჩნევდა. მას ძალიან აშფოთებდა საბჭოთა კავშირ-ამერიკის დაახლოების პერსპექტივა და, აქედან გამომდინარე, ინგლისის შედარებითი იზოლაცია. „დიდი სამეულის“ შეხვედრაზე დათანხმებით სტალინი ჩერჩილს შეშფოთებას უძლიერებდა.

თავის ჭეშმარიტ განზრახვებს ჩერჩილი სიტყვაკაზმულობით ფარავდა. მაგალითად, 1943 წლის შედეგებს რომ აჯამებდა, განაცხადა: „გერმანული ძლიერებისა და ტირანიის საშინელი და შემზარავი მანქანა დაძლეული და განადგურებულია რუსული გმირობით, სამხედრო ხელოვნებითა და მეცნიერებით“. ნელინადი ჯერ არ იყო დამთავრებული და ჩერჩილს წინ ჰქონდა შეხვედრა ირანის დედაქალაქ თეირანში რუზველტთან და სტალინთან[104].



ი. სტალინი, თ. რუზველტი, უ. ჩერჩილი. თეირანი - 43

****

გასართობი ჩანართი

ლავრენტი ბერიას ერთადერთი ვაჟი სერგო, რომელიც ჯერ კიდევ არ იყო 17 წლის, 1941 წლის ზაფხულში, რადიოკავშირის მოკლევადიანი კურსების შემდეგ, სადაზვერვო ჯგუფის შემადგენლობაში, გადაიყვანეს ირანის ქურთისტანში, თუმცა მისი ჯგუფის თავდაპირველი დავალება იყო მოხვედრილიყო გერმანიაში, ზესაიდუმლო სარაკეტო ცენტრ „პენემიუნდეში". სერგო ბერია ირანში არალეგალურად ხუთ თვეზე მეტი ხნის განმავლობაში იყო, საიდანაც საიდუმლო ინფორმაციას გადასცემდა „ცენტრში", რომელიც თბილისში იყო, ის კი ფიქრობდა, რომ მონაცემებს მოსკოვში აგზავნიდა.

საერთოდ, ყველაფერი, თეირანის კონფერენციასთან დაკავშირებული, ინახებოდა ზესაიდუმლოდ. ლავრენტი ბერიას შვილმა – სერგომ, არ

იცოდა, სად მიფრინავდა და რა უნდა შეესრულებინა. ამაზე მან მხოლოდ თეირანში გაიგო, სადაც შეხვდა მამას და სტალინისგან მიიღო კონკრეტული დავალება – საიდუმლოდ მოესმინა სპეცოთახიდან საუბრებისთვის რუზველტის რეზიდენციიდან. თუმცა, როდესაც ბელადი ამ დავალებას იძლეოდა, მან ხაზი გაუსვა: „ეს არაეთიკური საქმეა, მაგრამ მე იძულებული ვარ... მე უნდა ვიცოდე ყველაფერი, ყველა ნიუანსი“[104].

****

გასართობი ჩანართი

ჯერ კიდევ 1935 წელს სპარსეთში არალეგალურად იმყოფებოდა ბოგდან (ბაღჩო) ქობულოვი, რომელმაც მაშინ შეძლო შეექმნა დაზვერვის რამდენიმე ცენტრი, რამაც ხელი შეუწყო გერმანიასთან ომის დაწყების პირველ პერიოდში ჰიტლერელი ჯაშუშებისა და დივერსანტების გაუვნებელყოფას. ომამდე მუშაობდა ირანში 30 წლის პროფესიული მზვერავი სერგო არკადის ძე კორხმაზიანიც. ირანში რამდენჯერმე იყო შინსახკომის გენერალი ვარლამ კაკუჩაია.

ომის დასაწყისში თბილისელი ი. აგაიანცი, რომელიც ყოფილი ენგელსის ქუჩაზე ცხოვრობდა, საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტად გაიგზავნა პარიზიდან, სადაც დიპლომატიური რანგის ნიღაბქვეშ (საფრანგეთში სსრ კავშირის საელჩოს მესამე მდივანი) იყო საფრანგეთში საბჭოთა დაზვერვის რეზიდენტის მოადგილე. ალახვერდოვიც, აგაიანციც, ომის შემდეგ მსახურობდნენ სსრ კავშირის უშიშროების სახელმწიფო კომიტეტში ხელმძღვანელ თანამდებობებზე. ორივე გენერალი გახდა.

კიდევ ერთი თბილისელი - პ. ი. ზუბოვი იმ წლებში ორჯერ იყო ირანში. მან შესანიშნავად იცოდა ქართული, ერთი წლით უფროსი იყო ლავრენტი ბერიაზე, რომელმაც ჩართო კიდეც იგი საიდუმლო სამსახურში. პ. ზუბოვმა თავი გამოიჩინა ბრძოლაშიც კავკასიისთვის, სადაც ჩამოვიდა 1942 წლის ზაფხულში.

... თეირანში „დიდი სამეულის“ შეხვედრამდე დაახლოებით ერთი თვით ადრე ჰიტლერმა გაიგო ამის შესახებ. მან უმალვე მიიღო ყველაზე მკაცრი ზომები, რომ ადგილზევე გაენადგურებინა სტალინი, ჩერჩილი, რუზველტი, თუმცა, ამ უკანასკნელის ცოცხლად ხელში ჩაგდება იყო სასურველი. სხვათა შორის, იმის გაგება, თუ საიდან და ვისგან გაჟონა ზესაიდუმლო ინფორმაციამ, დღემდე ვერ მოხერხდა. თუმცა, უნდა ვი-

ფიქროთ, რომ გაჟონვა მოხდა ინგლისის მხრიდან. დაახლოებით ასე ფიქრობდა იმ წლებში ბერლინში შინსახკომის რეზიდენტი რუდოლფ ფონ შელია, რომლის ფსევდონიმიც „არნეცი“ იყო.

გასული საუკუნის 50-იან წლებში ეკრანზე გამოვიდა პირველი საბჭოთა ფილმი „მზვერავის გმირობა“, რომელიც ეძღვნებოდა ლეგენდარულ საბჭოთა მზვერავს, საბჭოთა კავშირის გმირს ნიკოლაი კუზნეცოვს, თუმცა ამის შესახებ გაცილებით გვიან გავიგეთ. ფილმის გმირის როლი შეასრულა პოპულარულმა საბჭოთა მსახიობმა პაველ კადოჩნიკოვმა, სამგზის სტალინური პრემიის ლაურეატმა.

მხოლოდ სსრ კავშირის დაშლის შემდეგ გახდა ჩვენთვის ცნობილი, რომ ნიკოლოზ კუზნეცოვი საბჭოთა დაზვერვაში მიიზიდეს ბერიას საიდუმლო თანამშრომლებმა იმათ, ვისაც მოუწია თითქმის მთლიანად განეახლებინა სსრ კავშირის შინსახკომის აპარატი და ეძებნა ახალი პერსპექტიული თანამშრომლები. ნიკოლაი კუზნეცოვმა გაიარა ლეგენდარული გენერალ პაველ სუდოპლატოვის ხელში და ის გადაისროლეს გერმანელების ზურგში ლეიტენანტ პაულ ვილჰელმ ზიბერტის სახელით. პაულ ზიბერტმა ოკუპირებულ ლვოვში გაიცნო მნიშვნელოვანი პერსონა ფონ ორტელი, ვისაც სმაც უყვარდა და ბერლინში ჰყავდა მაღალი რანგის ნათესავები. კაზინოში მორიგი შეხვედრის დროს გადაკრულში მყოფ ფონ ორტელს წამოსცდა, რომ საიდუმლო მისით მიდის თეირანში, სადაც მალე ერთმანეთს უნდა შეხვდნენ სტალინი, რუზველტი და ჩერჩილი, რომელთა ლიკვიდაციაც არის დაგეგმილი, ზიბერტს მან მის საიდუმლო ჯგუფში ჩართვაც კი შესთავაზა.

მალე ეს ინფორმაცია აღმოჩნდა ბერიას მაგიდაზე. საბჭოთა დაზვერვამ არა თუ ჩაშალა შეთქმულება, არამედ სრულადაც გამოიყენა ამერიკის პრეზიდენტის ყოფნა საბჭოთა საელჩოში. იმ ოთახებში, რომლებშიც იმყოფებოდა პრეზიდენტი რუზველტი, დააყენეს მოსასმენი მიკროფონები[105].

****

გასართობი ჩანართი

ჟურნალისტი და მკვლევარი ლ. დოლიძე იხსენებს თბილისში მე ახლოს გავიცანი უკვე გადამდგარი ჩეკისტი, შინსახკომ-უშიშროების სახ-

ელმწიფო სამინისტროს პოლკოვნიკი ალექსანდრე ნაბიჭვრიშვილი, რომელიც მაჩაბლის ქუჩა № 7-ში ცხოვრობდა. სხვათა შორის, ამ აგურის სახლში ცხოვრობდა სახელმწიფო უშიშროების გენერალ-ლეიტენანტი მიხეილ გვიშიანიც. მის შვილს ჯერმენს ცოლად ჰყავდა ალექსეი კოსიგინის ქალიშვილი. მათთან ხშირად მიწევდა ურთიერთობა, ყურადღებით ვაკვირდებოდი მათ ცალკეულ ფრაზებს, მოგონებების დეტალებს. ამას ყველა ჩემთან მოსაუბრეზე ვლაპარაკობ. მათთან და მათ შვილებთან მეგობრობის, საერთო ნაცნობების წყალობით, გარკვეული დროის შემდეგ შევძელი ნაწილ-ნაწილ შემეგროვებინა ინფორმაციები.

და აი, პოლკოვნიკმა საშამ (ასე მიმართავდნენ მას ახლობლები) ნაბიჭვრიშვილმა თავადაც დიდი ხნის განმავლობაში არ იცოდა, რომ სხვადასხვა სახის პროდუქტის, ღვინის, ხილის და ა.შ. მორიგი დიდი პარტია გაგზავნა თეირანში „დიდი სამეულის“ მაგიდისთვის. იმ დროს ყველაფერი, რაც შეეხებოდა მოსკოვში სტალინისთვის, ზოგჯერ კი სხვებისთვისაც პროდუქტების გაგზავნას, საშა ნაბიჭვრიშვილის სპეციალური ლაბორატორიული შემოწმებისა და ბეჭდის გარეშე არ ხდებოდა...

როდესაც საქართველოს პარტიულ ორგანოებში ვმუშაობდი, „ცეკას“ სასადილოში შეფ-მზარეულად, აგრეთვე, ცენტრალური კომიტეტის მაშინდელი პირველი მდივნის ედუარდ შევარდნაძის პირად მზარეულად მუშაობდა მეტად გულკეთილი და თავმდაბალი ალექსანდრე არსენის ძე რთველაძე. გვიან საღამოობით, მუშაობის შემდეგ, ჩვენ ხშირად თანამგზავრები ვხდებოდით - ის გრიბოედოვის ქუჩაზე ცხოვრობდა, მაშინ მახლობლად ცხოვრობდა ჩემი ძმაც თავის ოჯახთან ერთად. და აი, ერთხელ შაბათ საღამოს, ჩაის სუფრაზე რთველაძემ გასაოცარი ამბავი გვიამბო. ვფიქრობ, ეს ისტორია, თუმცა, უკვე თითქმის 35 წლის შემდეგ, საინტერესო უნდა იყოს მკითხველისთვის.

თურმე, გასული საუკუნის 30-იან წლებში ალექსანდრე რთველაძე მზარეულად მუშაობდა ლ. ბერიასთან, რომელმაც მოსკოვში გადასვლის დროს თავის ოჯახთან - მეუღლესა და შვილთან ერთად ისიც თან წაიყვანა. გადიოდა წლები. ბერიას სახლში ხშირად სტუმრობდა სტალინი, რომელსაც ძალიან მოსწონდა ლავრენტის მეუღლის ნინო გეგეჭკორის მიერ მომზადებული ქართული კერძები. გარკვეული დროის შემდეგ სტალინის სამზარეულოში მუშაობა დაიწყო ლ. ბერიას მიერ გამოგზა-

ვნილმა ქართული კერძების ოსტატმა ა. რთველაძემ. ერთხელ რთველაძეს უბრძანეს გამოცხადებულიყო სადგურზე კუნცევოს რაიონში. სად უნდა წასულიყვნენ, არავინ იცოდა. ასეთი დრო იყო - არავითარი ზედმეტი სიტყვა. ასე აღმოჩნდა ის ბაქოში, საიდანაც თვითმფრინავით (ის რამდენიმე იყო), მთელი ჯგუფი - დაახლოებით 60 კაცი - ჩაიყვანეს თეირანში, რთველაძეს კი ეგონა, რომ თბილისში ჩაფრინდნენ. ეს იყო 1943 წლის 25 ნოემბერს. და მხოლოდ ორი დღის შემდეგ გაიგეს მათ, რომ საერთაშორისო შეხვედრა უნდა გამართულიყო...

30 ნოემბერს უინსტონ ჩერჩილს 69 წელი შეუსრულდა. ჩვენმა ჩეკისტებმა გაიგეს, რომ ის ზუთხს აღმერთებდა. რთველაძეს დაავალეს მოეხარშა ზუთხი. ბერიას სატელეფონო დავალებით აზერბაიჯანის ხელმძღვანელმა მირ ჯაფარ ბაგიროვმა კასპიის ზღვაში დააჭერინა ორ მეტრნახევრიანი ზუთხი. იქვე, ბაქოში დაამზადეს უზარმაზარი გეჯა და მარლის გორგალით შეფუთული თევზი სასწრაფოდ ჩაიტანეს თეირანში. ეს ყოველივე რთველაძემ მოიფიქრა. სამეურნეო ეზოში გააჩაღეს კოცონი, მდუღარე წყალში ჩაუშვეს მარლაში შეხვეული ხეზე გადაკიდებული ზუთხი. კოცონის ორივე მხარეს ჩეკისტები იდგნენ. როგორც კი რთველაძემ ნიშანი მისცა, ზუთხი ამოიღეს, მარლა შემოხსნეს და უზარმაზარ ლანგარზე მოათავსეს, რომელიც ასევე სპეციალურად ჩამოიტანეს ლენინგრადის ერმიტაჟის მუზეუმიდან. როდესაც რთველაძემ და მისმა თანაშემწეებმა მოხარშული ზუთხი ყველა საჭირო სანელებლებით შეამკეს, სახელმწიფო უშიშროების მესამე რანგის კომისრის ალექსანდრე ეგნატაშვილის (ის თეირანში ყველა სამეურნეო საკითხზე იყო პასუხისმგებელი) ნიშნით, კერძი საზეიმოდ შეიტანეს საბანკეტო დარბაზში და დადეს მაგიდაზე ჩერჩილის წინ. ბრიტანეთის პრემიერის აღფრთოვანებასა და ემოციებს საზღვარი არ ჰქონდა. ზეიმის ბოლოს იუბილარის წინ გაჩნდა კომპოზიცია - სუფთა შოკოლადის „რუსული ტროიკა“.

როგორც გენერალ-ლეიტენანტი გრიგოლ კარანაძე იგონებდა (ამის შესახებ მისი შვილი, ცნობილი პარტიული და საზოგადო მოღვაწე აკაკი გეიამბობდა ხოლმე), ვინაც სხვა ჩეკისტებთან ერთად უზრუნველყოფდა საბჭოთა დელეგაციის უსაფრთხოებას, ჩერჩილი სიხარულსა და აღფრთოვანებას ვერ მალავდაო[105].

****

გასართობი ჩანართი

ლევან დოლიძე წერს - სსრ კავშირის დაშლის წინაპერიოდში, მოსკოვში ნათესავთან ყოფნის დროს, გავიცანი ამ ოჯახის მეგობარი, ყოფილი ჩეკისტი, რომელიც თეირანში იყო სტალინის დაცვის ჯგუფში, მაიორი გრიშა ზაქარაია. მან საინტერესო ფაქტი გვიამბო. როდესაც კონფერენციის დასასრულს „დიდმა სამეულმა" გადაწყვიტა ერთად სურათის გადაღება, რატომღაც ორ ჩვეულებრივ სავარძელთან ერთად გვერდით დადგეს უფრო დაბალი სავარძელი, რომელშიც ჩაჯდა ჩერჩილი, ვინც ისედაც დაბალი იყო. ყურადღებიანმა ჩერჩილმა, ეტყობა, შენიშნა ერთგვარი ირონია დამსწრეთა თვალებში და შემდგომში, უკვე იალტასა და პოტსდამში, სავარძლები „დიდი სამეულისთვის" უკვე ერთნაირი სიმაღლისა მოჰქონდათ.

ზემოაღნიშნულ სახელებს შემიძლია დავუმატო სტალინის პირადი დაცვის უფროსი, წარმოსადეგი შალვა წერეთელი, რომელსაც ბერია იცნობდა ჯერ კიდევ ოციანი წლებიდან, როდესაც ერთად იმყოფებოდნენ ქუთაისის ციხეში. მომხიბლავი გენერალი კაპიტონ ნაჭყებია, ვისაც ყურადღება მიაქცია თავად უინსტონ ჩერჩილმა, მით უმეტეს, რომ თეირანში მისი შტაბის უფროსი (ე.ი. თანაშემწე) იყო წარმოშობით ქართველი მერაბ კვიტაშვილი[202].

****

გასართობი ჩანართი

„სამეულის" შეხვედრა, რომელიც ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული და განხორციელებული, იყო სტალინის ტრიუმფი, განსაკუთრებით საბჭოთა არმიის დიდი გამარჯვებების შემდეგ სტალინგრადთან, კავკასიისთვის ბრძოლაში, კურსკის რკალზე, დნეპრის ფორსირებისა და კიევის გათავისუფლების შემდეგ. რუზველტი მოხიბლული იყო სტალინის პიროვნებით, თავად რკინის ჩერჩილიც დატყვევებული იყო საბჭოთა ბელადის ქარიზმით. თეირანში ყველაზე უფროსი ჩერჩილი იყო - მას მაშინ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, 69 წელი შეუსრულდა. სტალინს 21 დღის შემდეგ 64 უსრულდებოდა, რუზველტიც მალე 62 წლისა გახდებოდა. მათგან ყველაზე დიდხანს იცოცხლა ჩერჩილმა - მსოფლიო დონის უჭკვიანესმა პოლიტიკოსმა. როდესაც 1959 წელს ხრუშჩოვის აღვირახსნილი

ანტისტალინური ისტერიის პერიოდში, ლონდონში ლორდთა პალატაში გამოსათხოვარი სიტყვით გამოდიოდა, საბჭოთა რუსეთის, სსრ კავშირის პირველმა მტერმა უინსტონ ჩერჩილმა იოსებ სტალინს მისცა ყველაზე საქებარი შეფასება: „... სტალინმა მიიღო ხის, კავის რუსეთი და დატოვა ატომური იარაღით აღჭურვილი".

ამ დროისთვის საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალების უმაღლესი მთავარსარდალი – იოსებ ბესარიონის ძე სტალინი სარდლობდა 10,5-მილიონიან არმიას. არც მანამდე და არც მერე მსოფლიოში არავის ჰყოლია ასეთი უზარმაზარი და მძლავრი ჯარი! როგორც თვითმხილველები იხსენებდნენ, თეირანიდან ბაქოს გავლით მოსკოვში მიმავალმა სტალინმა თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა: „ვიცი, როდესაც მოვკვდები, ჩემს საფლავს უამრავ ნაგავს მიაყრიან, მაგრამ ისტორიის ქარი ამ ნაგავს უმოწყალოდ გაფანტავს". ეს იყო 1943 წლის 2 დეკემბერს[105]...

*****

ამიტომაც დღეს ბევრი მკვლევარი, როდესაც ეხება თეირანის კონფერენციას წერს, რომ მეორე მსოფლიო ომის ბედი ამ კონფერენციაზე დამოკიდებული იყო ქართველებზეო.

საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების მცდელობა

1945 წლის მიწურულიდან მოყოლებული(სინამდვილეში კი მესხეთში ჩასახლებული თურქების 1944 წელს გასახლება იყო პირველი თვალნათელი „მესიჯი") მთელი საქართველო მოელოდა, რომ საბჭოთა არმიის ნაწილები თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებს გადალახავდნენ და ისტორიული საქართველოს კუთვნილ მიწა-წყალს კვლავ დედასამშობლოს დაუბრუნებდნენ.

ბევრს არც კი ეეჭვებოდა, რომ ეს დიდი ისტორიული მოვლენა სულ ახლო მომავალში მოხდებოდა, იმდენად დიდი პოლიტიკური თუ სამხედრო სამზადისი უძღოდა წინ ე.წ. „თურქეთის საქართველოს" შემოერთებას.

საბჭოთა კავშირის მთავრობამ საერთაშორისო მოლაპარაკებებზე ეს საკითხი პირველად საგანგებოდ პოტსდამის კონფერენციაზე წამოჭრა.

საბჭოთა კავშირი თურქეთს სთხოვდა არტაანის, ართვინისა და ყარსის ოლქების დათმობასა და 1936 წლის 20 ივნისის მონტრეს ხელშეკრულების პირობების გაუქმებას – ბოსფორის სრუტეში თავისუფალი ნავიგაციის უფლებასა და ასევე, სრუტეში საბჭოთა გემებისთვის სამხედრო-სარემონტო ბაზის შექმნას.

ეს საკითხები საგანგებოდ განიხილეს „დიდი სამეულის" (საბჭოთა კავშირი, ამერიკის შეერთებული შტატები, ინგლისი) პოტსდამის კონფერენციაზე.

1945 წლის 22 ივლისის სხდომაზე ინგლისის პრემიერ-მინისტრმა უინსტონ ჩერჩილმა განაცხადა: „თავს უფლებას მივცემ გენერალისიმუსის ყურადღება მივაქციო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია, თურქეთი არ შევაშინოთ. თურქეთი უდავოდ შეშფოთებულია საბჭოთა და ბულგარეთის არმიების კონცენტრაციით ბულგარეთში, აგრეთვე საბჭოთა პრესისა და რადიოს გამუდმებული თავდასხმებით. აგრეთვე ელჩის ბატონ მოლოტოვთან მოლაპარაკებით, რომლის დროსაც ნახსენები იყო თურქეთის აღმოსავლეთი საზღვრის ცვლილება და სრუტეში საბჭოთა ბაზა".

პრემიერის ამ განცხადების შემდეგ იოსებ სტალინმა საგარეო საქმეთა კომისარ ვიაჩესლავ მოლოტოვს სთხოვა კონფერენციისთვის მოეხსენებინა საქმის ვითარება.

ოქმში ვკითხულობთ:

„სტალინი:

გთხოვთ სიტყვა მივცეთ მოლოტოვს.

მოლოტოვი:

„სრუტეების საკითხზე წერილობით წარმოვადგენთ დოკუმენტს, შესრულებულს რუსულ და ინგლისურ ენებზე. მაგრამ მანამდე განგიმარტავთ საკითხის წინაისტორიას.

თურქეთის მთავრობის ინიციატივით დადგა საბჭოთა მთავრობასთან სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების საკითხი, ჯერ ანკარაში საბჭოთა კავშირის ელჩთან, ხოლო მაისის ბოლოს თურქეთის ელჩის მეშვეობით მოსკოვში.

ივნისის დასაწყისში ორჯერ ვესაუბრე ელჩ სარფერს. მივეცით თანხმობა ხელშეკრულების დადებაზე, განსაზღვრული პირობით. ჩვენ უნდა მოვაგვაროთ ურთიერთპრეტენზიები.

ჩვენ გვაქვს ორი საკითხი. სამოკავშირეო ხელშეკრულების დადება გულისხმობს საზღვრის ერთობლივ კონტროლს, მაგრამ ზოგიერთ უბანზე სსრკ-თურქეთის საზღვარს მივიჩნევთ უსამართლოდ. მართლაც, 1921 წელს თურქეთმა საბჭოთა საქართველოსა და საბჭოთა სომხეთს ჩამოაჭრა ყარსის, ართვინისა და არდაგანის ოლქები (წარმოადგენს რუკას). ამიტომ განვაცხადე, რომ ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია საკითხის მოგვარება, უნდა დაუბრუნდეთ მათ ეს ტერიტორიები".

საბჭოთა დელეგაცია მხოლოდ დიპლომატიური მოლაპარაკებებისას არ აყენებდა ამ საკითხს. საზოგადოების სათანადოდ შემზადებისთვის საბჭოთა პროპაგანდამ მძლავრი იდეოლოგიური კამპანია დაიწყო თურქეთის მიერ 1921 წელს მიტაცებული მიწების დასაბრუნებლად. პროპაგანდისტული მანქანა მთელი სიმძლავრით ამუშავდა. ამ საქმეში ჩართული იყვნენ არა მარტო საბჭოთა მეცნიერები და მწერლები, პარტიული და საზოგადო

მოღვაწეები, არამედ ქართული და სომხური პოლიტიკური ემიგრაცია, საქართველოსა და სომხეთის ეკლესია. ისტორიული სამართლიანობის აღდგენასა და თურქეთისგან ქართულ-სომხური მიწების დაბრუნებას ყველა ითხოვდა.

საზღვრის გადასინჯვის მოთხოვნით პირველად სომხები გამოვიდნენ. სომხეთის პარტიული ელიტა თუ ინტელიგენცია აქტიურად ჩაება ამ კამპანიაში. წამოწყებას მხარი აუბა სომხეთის პოლიტიკურმა ემიგრაციამ. სომეხი ერის მოთხოვნას გამოეხმაურნენ უცხოელი მეცნიერები, მათ შორის გამოირჩეოდა ინგლისელი საზოგადო მოღვაწე, კენტერბერის ტაძრის წინამძღვარი, დოქტორი ჰიულეტ ჯონსონი.

ეს საკითხი დაისვა 1945 წლის ივნისში ეჩმიაძინში გამართულ საეკლესიო კრებაზე. მას ესწრებოდა 111 დელეგატი მსოფლიოს 15 ქვეყნიდან. მოწვეული იყვნენ სომეხთა სათვისტომოების წარმომადგენლები ინგლისიდან, საფრანგეთიდან, აშშ-დან, ინდოეთიდან, ბულგარეთიდან, რუმინეთიდან, სირიიდან და სხვ. საეკლესიო კრებას ესწრებოდნენ კილიკიის კათალიკოსი გარეგინ I, იერუსალიმის პატრიარქი გიურექ I, სომხეთის სამოციქულო ეკლესიის ევროპის ეპარქიის მღვდელთმთავარი არტავაზ სიურმეიანი და სხვა მაღალი საეკლესიო იერარქები. ეჩმიაძინს ეწვია ინგლისის დელეგაციაც ჰიულეტ ჯონსონის ხელმძღვანელობით. 1945 წლის ივნისის მიწურულს ერევანში გამართულ პრესკონფერენციაზე ჰიულეტ ჯონსონმა განაცხადა: „მე მთლიანად და მთელი გულით ვეთანხმები იმას, რომ თურქეთის მიერ მიტაცებული ტერიტორიები, რაც შეიძლება მალე უნდა დაუბრუნდეს სომხეთს".

1945 წლის ოქტომბრის დასაწყისში ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებულმა სომხურმა ორგანიზაციებმა საგარეო საქმეთა მინისტრთა ლონდონის საბჭოს გაუგზავნეს წერილი, რომელშიც ითხოვდნენ საბჭოთა სომხეთისთვის დაებრუნებინათ ყველა სომხური ტერიტორია, რომელიც თურქეთის შემადგენლობაში შედიოდა.

თურქეთის მიერ მიტაცებული მიწა-წყლის დაბრუნების კამპანიაში 1945 წლის დეკემბრიდან აქტიურად ჩაერთო ქართული მხარეც.

სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის საგაზეთო სტატია – „თურქეთისადმი ჩვენი კანონიერი პრეტენზიების შესახებ", საქართველოში ამ კამპანიის დასაწყისი იყო. გაზეთ „კომუნისტში" 1945 წლის 14 დეკემბერს ამ სტატიის გამოქვეყნებიდან მალევე, იგი რუსულად ითარგმნა და უკვე 20 დეკემბერს საკავშირო პრესაში დაიბეჭდა გაზეთ „პრავდაში"და „იზვესტიაში", 22 დეკემბერს კი იგი გადაბეჭდა უკრაინის წამყვანმა გაზეთმა „პრავდა უკრაინიმ".

მიუხედავად სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის ტიტულებისა, არ შევცდებით თუ ვიტყვით, რომ ეს სტატია აბსოლუტურად პოლიტიკური დაკვეთით იყო მომზადებული. ეს კარგად იცოდნენ ევროპისა და აშშ-ის პოლიტიკურმა წრეებმა და ამიტომაც საკავშირო პრესაში გამოქვეყნებისთანავე სტატია უცხოურმა გაზეთებმაც გადაბეჭდეს.

სიმონ ჯანაშიასა და ნიკო ბერძენიშვილის სტატიას მოჰყვა არნოლდ ჩიქობავას, დავით ზავრიევის, ექვთიმე თაყაიშვილისა და სხვათა პუბლიკაციები. ამ კამპანიაში ჩაერთო საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი კალისტრატე (ცინცაძე) და ამიერკავკასიის მუსლიმთა სასულიერო სამმართველოს წევრი, აჭარის ყადი რასიხ ბერიძე[213].

თურქეთისადმი ტერიტორიული პრეტენზიების საკითხი უმაღლეს პარტიულ შეკრებებზეც არაერთხელ დასმულა. მასზე ღიად საუბრობდნენ საქართველოს კომუნისტური პარტიის ლიდერები. საბჭოთა საქართველოს 25 წლისთავისადმი მიძღვნილ მოხსენებაში კანდიდ ჩარკვიანი აღნიშნავდა: „ქართველი ხალხი რესპუბლიკაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 25 წლისთავს ეგებება დიდი სასიხარულო მიღწევებით, რომლებმაც მიგვიყვანეს საქართველოს სახელმწიფოებრიობის საბოლოო განმტკიცებამდე სოციალისტური საზოგადოებრივი წყობილების

გამარჯვების საფუძველზე. მაგრამ ჯერ კიდევ არ განხორციელებულა ქართველი ხალხის საუკუნეობრივი ოცნება: საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენა. მის საზღვრებს გარეთ ჯერ კიდევ რჩება ოდითგანვე ქართული მიწა-წყალი: არტაანის (არდაგანის), ართვინის, ოლთისის, თორთუმის, ბაიბურთის, ისპირის, გიუმიშხანეს, ლაზისტანის რაიონები. ამიტომ გასაგებია ქართველი საბჭოთა საზოგადოებრიობის დაჟინებითი მოთხოვნები იმის შესახებ, რომ საქართველოს დაუბრუნდეს ჩვენი სამშობლოსგან მოწყვეტილი ტერიტორიები, რომლებიც ქართველი ხალხის კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანს წარმოადგენდ““.

საქართველოს ცეკამ ამ პერიოდისთვის ჯერ კიდევ შემოუერთებელ ტერიტორიებზე პარტიული უჯრედების ჩამოყალიბების თადარიგი დაიჭირა. შესაბამის კანდიდატებს წინასწარ ამზადებდნენ ართვინის, არტაანის, ტრაპიზონის მხარეების რაიკომის მდივნებად. როგორც ჩანს, გრიგოლ აბაშიძის ლექსს, „ოცნება ტრაპიზონის ოლქკომზე”, რეალური საფუძველი ჰქონდა:

გზის გასწვრივ დგანან ალვები მწკრივად,
თეთრად გაჰკვრია ზეცას ღრუბლები...
მე ტრაპიზონის ოლქკომში ვზივარ,
ოლქკომის მდივანს ვესაუბრები...
წუხელ გვიანღამ ჰქონდა თათბირი,
დღეს რაიონი თვითონ არკვია...
რეკავს თბილისი და პირდაპირი
ხაზით მდივანი უსმენს ჩარკვიანს.

1946 წლის შუა ხანებიდან პროპაგანდისტული კამპანია თანდათან შენელდა. ცენტრალურ პრესაში უკვე აღარ იბეჭდებოდა მკვეთრი სტატიები, მაგრამ, მიუხედავად ამისა, თურქეთის შემადგენლობაში არსებული ქართული მიწების შემოერთების საკითხი ამის შემდეგაც არ მოხსნილა. პერიოდული გამოცემებიდან ძირითადად გაზეთი „საბჭოთა აჭარა“ აქტიურობდა. ქართველი მწერლებიდან ირაკლი აბაშიძემ, გიორგი ლეონიძემ,

გრიგოლ აბაშიძემ, ილო მოსაშვილმა და სხვებმა არაერთი ნაწარმოები უძღვნეს ამ პრობლემას.

*****

გასართობი ჩანართი

1917 წელს აღდგენილი საქართველოს ავტოკეფალია არ ცნო რუსეთის ეკლესიის სინოდმა. ასე გაგრძელდა 1943-მდე. 1943 წელს კი სწორედ სტალინის ბრძანებით საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალია აღადგინეს.

* საფრანგეთში მენშევიკების მიერ გატანილი ქართული საგანძური (რაც მისგან დარჩა) სამშობლოს 1945 წლის 11 აპრილს სტალინის ძალისხმევით დაუბრუნდა.

* 1933-1934 წლებში სრულიად საბჭოთა კავშირში აბორტი და ჰომოსექსუალიზმი კანონით აიკრძალა.

* სტალინის ბრძანებით გადაიღეს ეროვნული კინემატოგრაფიის ერთ-ერთი შედევრი „გიორგი სააკაძე", გადაღების დამთავრებისთანავე (1943 წ.) ფილმის ასლები სტალინმა თეირანის კონფერენციაზე პირადად დაურიგა შეხვედრის მონაწილეებს. ფილმზე 7 მილიონი მანეთი დაიხარჯა, 2 წელიწადში 40 მილიონმა ადამიანმა ნახა.

* სტალინის ბრძანებით ააშენეს რუსთავი, რომელიც 1948 წლიდან უკვე ქალაქად იხსენიება

* სტალინის მმართველობის პერიოდში ჭიათურაში ყველაზე მეტი საბაგირო გზა იყო გაყვანილი (სტალინის ბარელიეფები საბაგიროებზე დღესაცაა შემორჩენილი);

* გაკეთდა თბილისის ზღვა (1947წ), რიონჰესი (1927), ზაჰესი (1927), ანჰესი, რომელიც აჭარაში მდებარეობს (1941), სამგორის სარწყავი სისტემა (1947-51 წწ).

* მუშტაიდის ბაღში მსოფლიოსი პირველი საბავშვო რკინიგზა აიგო 1935. წელს სტალინის ბრძანებით აიგო.

* მსოფლიოს მრავალ ენაზე ითარგმნა „ვეფხისტყაოსანი". ოდესაც სტალინმა შალვა ნუცუბიძის მიერ რუსულად ნათარგმნ პოემაში თავად შეიტანა კორექტივები, კერძოდ, 1402-ე სტროფი მან გადათარგმნა.

* ამერიკის პრეზიდენტის ჰარი ტრუმენის დავალებით, მეორე მსოფლიო ომის დამთავრების შემდეგ „ცივი ომის" პირობებში შემუშავდა

საბჭოთა კავშირის 20 ქალაქზე ატომური თავდასხმის სტრატეგიული გეგმა, სამიზნეში ამოღებული ქალაქებიდან ერთ-ერთი თბილისი იყო. გეგმის შესახებ სტალინს აცნობეს. მან საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი კანდიდ ჩარკვიანი დაიბარა და უბრძანა, რაც შეიძლება სწრაფად გაიყვანათ ქალაქში მეტროპოლიტენიო. „მეტრო არ არის მხოლოდ სატრანსპორტო საშუალება, იგი ომის შემთხვევაში თავდაცვის შეუცვლელი საშუალებაა", – ბრძანა სტალინმა. 1951 წელს თბილისის მეტროპოლიტენის მშენებლობა დაიწყო.

* ყველას შეუძლია წაიკითხოს აკაკი მგელაძის მემუარები, როგორ არ დააცადა სტალინმა ჰიტლერს ოპერაცია „ედელვაისის" განხორციელება, რომელიც კავკასიონის დაპყრობას გულისხმობდა. დიდი სამამულო ომის პერიოდში ჰიტლერის უშუალო ბრძანებით, იალბუზის დაპყრობა და კავკასიონის გადალახვა 49-ე მსროლელ კორპუსს დაევალა გენერალ რუდოლფ კონრადის მეთაურობით.

პირველი დარტყმა უნდა განხორციელებულიყო საქართველოს სამხედრო გზით თბილისზე, მეორე – ქუთაისზე, ხოლო მესამე დარტყმა ითვალისწინებდა კავკასიონის დასავლეთი უღელტეხილის გადალახვას და სოხუმზე გასვლას.

კრემლში მაგიდასთან სულ ხუთი კაცი იჯდა. ხუთი კაცი, რომლებზეც იყო დამოკიდებული არა მხოლოდ საბჭოთა კავშირის, არამედ კაცობრიობის ბედი – სტალინი, მოლოტოვი, ბერია, ვოროშილოვი, მალენკოვი.

„მდგომარეობა კავკასიაში სერიოზულია, თითქმის კატასტროფული. ეს შორს მიმავალი პოლიტიკა და იდიოლოგიაა, მათ სურთ, დაარწმუნონ თურქეთი, რომ კავკასია დაპყრობილია, მათ სურთ ჩვენს საზღვრებთან მომდგარი მილიონიანი თურქული არმია საქართველოში შემოიჭრას და დაიკავოს ამიერკავკასია. შევინარჩუნებთ თუ არა კავკასიონს, ამას ომის მიმდინარეობა დაგვანახვებს. კავკასიონის უღელტეხილების დაცვას უშუალოდ თქვენ უხელმძღვანელებთ, ამხანაგო ლავრენტი. კავკასიონის დაკარგვა მოსკოვის აღების ტოლფასია. შეგიძლია თუ არა, დაიცვა კავკასიონი და შენი ქვეყანა? სვანეთის უღელტეხილებისა და, კერძოდ, ბეჩოს გადასასვლელის დაცვა თქვენი უპირველესი დავალებაა." - თქვა სტალინმა.

- მზად ვარ, მოვკვდე სამშობლოსათვის, დავიცვა მისი ღირსება და დამოუკიდებლობა- უპასუხა ბერიამ.

- უნდა მოკვდნენ გერმანელები და არა თქვენ"- შეუსწორა სტალინმა.

კავკასიისათვის გადამწყვეტი ბრძოლა ჰიტლერმა 1942 წლის 23 ივლისს დაიწყო.

ძალიან მძიმე დღეების შემდეგ, ქართულმა დანაყოფებმა შეძლეს ამ ბრძოლაში გამარჯვება, ეს სტალინური გენიის ნაყოფია, რომელიც მსოფლიო ომების ისტორიაშია შესული, როგორც ომის კლასიკური ნიმუში, და არასოდეს დაკარგავს მნიშვნელობას.

*****

ირაკლი აბაშიძემ ქართველ პოეტთაგან პირველმა 1945 წლის დეკემბერში ქართველი ერის საუკუნოვანი ოცნება ლექსად გამოხატა. „რა დაგავიწყებს...“ გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა 28 დეკემბერს, რასიხ ბერიძის სტატიასთან ერთად. პოეტი ქართველ ხალხს მოუწოდებდა:

იქ არის შენი აკვნის გამთლელი,
შენი დაშლილი ოდა-სართული;
ქართველო, სანამ გქვიან ქართველი,
გეძახის შენი მიწა ქართული.

1946 წლის 16 ივნისს გაზეთი „კომუნისტი“ აქვეყნებს დუტუ მეგრელის „ოლთისის ციხეს“:

ვით მგლოვიარე მიჯნურსა
იზიდავს სატრფოს სამარე,
რომ მოგონებით წარსულის
დაიტკბოს აწმყო მან მწარე;
აგრევე აქ გადმოტყორცნილს
მოკლებულს მშობელს მხარესა,
ძეგლი ძველ საქართველოსავ,
იზიდავ სულს მწუხარესა.
როს უცხოთ შორის მარტოდ მყოფს,
გულს სევდა შემომაწვება,
რომ მცირედ არის მაინცა,
მივცე საბრალო თავს შვება,

მოვრბივარ... შენს ნანგრევებზე
ვისვენებ დაღონებული
და დროთ სივრცეში მიმოვფრენ,
ოცნებით გატაცებული!
ვიგონებ იმ დროს, როდესაც
შენ იდექ მტკიცე, ძლიერი
და შენში მედგრად ხვდებოდა
მოსულს მტერს ქართველი ერი.
და შორს, შორს, ძვირფას მამულში
მიმაფრენს ეს მოგონება
და გული მიძგერს სიამით,
სანამ არ ქრება ოცნება!..

ამავე პერიოდში დაიწერა გიორგი ლეონიძის „მესხეთი". მოკლე ხანში ეს ლექსი რამდენიმე თაობის უსაყვარლეს პოეტურ ქმნილებად იქცა:

ისე დავბერდი, ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი..
ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული...
...ბუმბერაზები, გოლიათები,
გორგასლანიდან, ვიდრე ჩვენამდის,
ყველა ფეხზეა, ერთი გაფრენით,
რომ შენთან გაჩნდეს მტრის გაჩენამდის!..

1948 წელს გაზეთების „საბჭოთა აჭარისა" და „ახალგაზრდა კომუნისტის" ფურცლებზე დაბეჭდილ ნაწარმოებებში დახატულია თურქეთში მცხოვრებ ქართველთა მძიმე მდგომარეობა. ვარლამ ჟურული თავის ლექსში „მიტაცებულ მიწაზე" გულნაკლული აღნიშნავს:

ტაო-კლარჯეთში კვნესის ნიავი,
ცრემლის გუბეა ყრმათა აკვანთან.
გმინავს ჭანეთი თურქთა სიავით,
შფოთავენ ძვლები მამა-პაპათა.

ალიო ადამიას ლექსი „ლაზური ბალადა" გამსჭვალულია თურქეთისადმი სიძულვილით. ასეთი საზოგადოებრივი აზრის

ფორმირება ამ კამპანიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი იყო:

... – იყო, არ არის, ვაჟკაცო,
სარფი – სოფელი ლაზური!
ღამით, სულ მოულოდნელად,
როგორც ქურდი და ლაჩარი,
თურქთა ჯარები დაგვესხნენ
და გულში დაგვცეს ლახვარი...
აი, შეხედე, იქ არის
დედაშვილობის გამყოფი
უსწორმასწორო საზღვარი!

1948 წელს დაიწერა და უკვე 1949 წლიდან რუსთაველის თეატრის სცენაზე დაიდგა ილო მოსაშვილის „ჩაძირული ქვები".

ამ სპექტაკლს დიდი წარმატება ხვდა. განსაკუთრებით საინტერესოა პიესის ერთ-ერთი მთავარი გმირი, ყოფილი მასწავლებელი, ტომით ქართველი ბეჟან-აღა ახალგაზრდებს მიმართავს: „ოსმალებს ... უნდათ ჩვენი გულიდან სამუდამოდ ამოშალონ სამშობლოს სიყვარული... მათ სწადიათ დაგვავიწყონ ჩვენი ქართული დედაენა, რომ პირუტყვებს დაგვამსგავსონ და უფრო ადვილად იბატონონ ჩვენზე!.. მათ უნდათ ჩვენს შვილებსა და მამებს თოფი მისცენ ხელში და თავისუფლების დიდ ქვეყანას მიუსიონ, სადაც ძმები ქართველები სხვა ტომის ხალხთან ერთად ბედნიერი ცხოვრებით სტკბებიან... ხომ გაიგონეთ, ჩემო შევარდნებო?.."

ამავე პერიოდში გამოდის გრიგოლ აბაშიძის ლექსების კრებული „სამხრეთ საზღვარზე". ეს წიგნი მოკლე ხანში პოპულარული გახდა მთელ საქართველოში. მასში შევიდა ავტორის ის პოეტური ქმნილებები, რომლებიც თურქეთის სახელმწიფოს საზღვრებში მოქცეული ქართული ტერიტორიების ბედ-იღბალს ეხებოდა. ლექსებში პოეტი გამოთქვამს იმედს, რომ ახლო მომავალში საბჭოთა სახელმწიფო იზრუნებდა ამ ტერიტორიების დაბრუნებაზე:

„შენი ხანძთა, შენი ტბეთი,
როდის აღსდგეს იავარო,
როდის იქნეს შენი ბედი
ჩვენს სადროშოს მიაბარო!“
(„ტაო“)

„როცა თურქთაგან ასჯერ გათელილ
ტაოს გამოხსნას ტაშით ახარებს,
ჩემი თაობის გმირი ქართველი -
ჩვენი წარსულის ბაირახტარებს“.
(„რაც ჩვენს მეზობლად დასახლდა თურქი”)

1951 წელს ილო მოსაშვილს პიესისათვის „ჩაძირული ქვები“ და გრიგოლ აბაშიძეს, ლექსების ციკლისთვის „სამხრეთ საზღვრებზე“ და „სამგორის ველზე”, მიენიჭათ საბჭოთა კავშირის სახელმწიფო პრემია[214].

საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ურთიერთობებში იალტა–პოტსდამიდან რეიგანამდე

მსოფლიო დიპლომატია აქტიურად ამოქმედდა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ბოლოს და ბოლოს იოსებ სტალინი იძულებული გახდა, თურქეთისადმი საბჭოთა კავშირის ტერიტორიულ პრეტენზიებზე უარი ეთქვა და ამ მიწების შემოერთებაზე დროებით ხელი აეღო. ამით საქართველომ საბოლოოდ დაკარგა ტაო-კლარჯეთის, კოლა-არტაანისა და ლაზეთ-ჭანეთის დაბრუნების შანსი. აღსანიშნავია, რომ თურქეთის რესპუბლიკამ ამ მოვლენების შემდეგ თითქმის მთელი XX საუკუნის მეორე ნახევრის განმავლობაში მოახერხა საფუძვლიანად შეეცვალა ამ პროვინციების დემოგრაფიული სურათი. ქართველთა დიდი ნაწილი თურქეთის შიდა პროვინციებში გადაასახლეს. ესეც ჩვენი ერის უახლესი ისტორიის დიდი ტრაგედია იყო.

1953 წლის 30 მაისს (სტალინის სიკვდილის შემდეგ) საბჭოთა კავშირის მთავრობამ ოფიციალურ დონეზე საბოლოოდ უარი თქვა ქართულ-სომხური მიწების დაბრუნებაზე. თურქეთის რესპუბლიკის მთავრობისადმი მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ კეთილმეზობლური ურთიერთობის შენარჩუნებისა და მშვიდობის განმტკიცების მიზნით, საბჭოთა საქართველო და სომხეთი უარს ამბობენ თურქეთისადმი თავიანთ ტერიტორიულ პრეტენზიებზე.

ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო საქართველო გამორჩეული რესპუბლიკა იყო საბჭოთა კავშირში, 1957 წელს ჩვენს მიერ უკიდევ ნახსენები რ. პაიპსი იმყოფებოდა თბილისში. აი, რას წერს ამერიკელი სოვეტოლოგი: „ატმოსფერო საქართველოს დედაქალაქში სრულიად განსხვავებული იყო იმისგან, რაც ამ დრომდე ვნახე საბჭოთა კავშირში. ეს იყო ხმელთაშუა ზღვისპირეთის ქვეყანა და არა სლავური. ქალაქის ცენტრში შეინიშნებოდა შენობებზე ტყვიების მიერ გაკეთებული ხვრელები. ეს იყო კვალი არეულობისა, რომელიც მოხდა ერთი წლის წინ, როდესაც ქართველები გამოვიდნენ ქუჩებში გააპროტესტეს ხრუშჩოვის მიერ სტალინის კრიტიკა. რასაც დემონსტრანტების

სისხლიანი დასჯა მოჰყვა. მე გამოვედი მოხსენებით ადგილობრივი ისტორიის ინსტიტუტის რამდენიმე თანამშრომლის წინაშე. შევამჩნიე და აღფრთოვანებული ვიყავი, თუ რამდენად უფრო თავისუფლები იყვნენ ეს ადამიანები, ვიდრე მათი კოლეგები მოსკოვში და მთლიანად საბჭოთა კავშირში. მას შემდეგ დაიწყო ჩემი სიყვარული საქართველოსადმი, სადაც ორმოცი წლის შემდეგ საპატიო მოქალაქის წოდება მომენიჭა"[106, 142].

როდესაც ქვეყნის ბედით შეწუხებულებს სურდათ კრემლის ვიგინდარას გადაგდება, კრემლის კულუარებში ნ. ხრუშჩოვისათვის ცნობილი გახდა მარშალ კ. მოსკალენკოს მიმართვა ცკ-ის პრეზიდუმზე, გ. ჟუკოვისათვის: „გიორგი კონსტანტინოვიჩ აიღეთ ხელისუფლება". . ხრუშჩოვი შეაშფოთა აგრეთვე. ჟუკოვის სიტყვებმა: „ტანკები მოძრაობენ ჩემი ბრძანებით", რომელიც უთხრა მან მოლოტოვს და მალენკოვს. ეშინოდა რა ჟუკოვის, ხრუშჩოვმა იგი სასწრაფოდ გააგზავნა ვიზიტით იუგოსლავიას და ალბანეთში. კრემლში კი ამ დროს მოამზადა ნიადაგი ჟუკოვის გასათავისუფლებლად. უცხოეთიდან დაბრუნებულ ჟუკოვს დაახვედრეს 1957 წლის ოქტომბრის პლენუმის გადაწყვეტილება, რომელშიც ნათქვამი იყო: „სკკპ ცკ-ის პლენუმი აღნიშნავს, რომ ბოლო ხანებში ამხ. ჟუკოვი არღვევდა საბჭოთა არმიის ხელმძღვანელობის ლენინურ პრინციპებს, ატარებდა პარტიული ორგანიზაციის მუშაობის, პოლიტიკური ორგანოების და სამხედრო საბჭოების მუშაობის ხელის შეშლას. წინააღმდეგობას უწევდა პარტიის მხრიდან არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელმძღვანელობას...დაკარგა პარტიული თავდამბლობა, რომელსაც ჩვენ გვასწავლიდა ლენინი, რის გამოც პლენუმის დადგენილებით გამოყვანილია სკკპ ცკ-ის შემადგენლობიდან"[107]. ამას გამოუწვევია გ. ჟუკოვის გაბრაზება, რაც გამოხატული იყო, მისი მეგობრებთან საუბრებით, რაც რა თქმა ყოვლისმცოდნე სუკისათვის შეუმჩნეველი არ დარჩენილა. იგი გამოიძახეს ცკ-ში და გააფრთხილეს, რომ თუ არ გაჩერდებოდა პარტიიდან გარიცხავდნენ და დააპატიმრებდნენ.

ნ. ხრუშჩოვის ტახტიდან ჩამოგდების შემდეგ, 1965 წლის მარტში ჟუკოვმა მიმართა ლ. ბრეჟნევს და ა. კოსიგინს, რომ გადაეხედათ 1957 წლის გადაწყვეტილებისათვის, მაგრამ პასუხი ვერ მიიღო. უფრო მეტიც 1968 წელს კურსკის ბრძოლის 25 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, იგი მხოლოდ დასკვნით სხდომას დაასწრეს. აშკარა იყო ხელისუფლებისათვის ბრძოლა მიმდინარეობდა იგივე ძველი, ბოლშევიკური მეთოდებით, როგორც იდეოლოგიურად, ისე ძალისმიერად.

****

გასართობი ჩანართი

აშშ თავდაცვის მდივანი ჯეიმს ფორესტალი ტრაგიკული მაგალითია კაცისა, რომელიც ვერასოდეს დაბრუნდა ომიდან. მისი ფსიქიკა დაანგრია საკუთარმა პროპაგანდამ.

ჯ. ფორესტალი ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დაწყებამდე მსოფლიო კომუნიზმის საფრთხით იყო შეპყრობილი. მან დაინახა, რომ რაიხზე გამარჯვებამ მკვეთრად გაზარდა სსრკ-ს პოპულარობა. მარქსის მოძღვრების მხარდამჭერთა რაოდენობა 1940-იანი წლების ბოლოს იმდენად დიდი იყო, რომ საფრანგეთსა და იტალიაში კომუნისტური პარტიების გამარჯვების საფრთხე არსებობდა, ამიტომ ფორესტალის შიშები უსაფუძვლო არ იყო. იგი გამუდმებით ითხოვდა სამხედრო ხარჯების გაზრდას. „თორემ კომუნისტები მოვლენ და კოლმეურნეობებს ააწყობენ ოკლაჰომას შტატის მინდვრებში!“- ამბობდა ის. ხოლო ყველა, ვინც მას არ ეთანხმებოდა იყვნენ „კრემლის და პირადად სტალინის აგენტები!“

ფორესტალის სიკვდილამდე ორი კვირით ადრე, საბჭოთა „გაზეთმა პრავდამ“ გამოაქვეყნა კუკრინიკის კარიკატურა, რომელშიც ამერიკელი მინისტრი, ფრაზის „რუსები მოდიან“ ყვირილით ცდილობდა გადამხტარიყო სახლის ფანჯრიდან. „პრავდის“ ხუმრობა, რომელიც პირადად სტალინმა მოიწონა, სამწუხაროდ წინასწარმეტყველური აღმოჩნდა. 1949 წლის მარტში ფორესტალი ნერვული დაღლილობისა და დეპრესიის შედეგად სამკურნალოდ გადიყვანეს საზღვაო კლინიკაში.

ბუნებრივია, აშშ-ს თავისუფალმა პრესამ დაიწყო მისი დაცინვა, რამაც მინისტრის ისედაც პარანოიდული თეზისები აბსურდამდე მიიყვა-

ნა. გაზეთების ფურცლებზე ჩნდებოდა თავდაცვის მინისტრის კარიკატურები- თითქოს მან გაიგო სახანძრო მანქანის სირენის ხმა და საცვლებით გარბოდა ქუჩებში ყვირილით „რუსები მოდიან!“

1949 წლის 22 მაისს აშშ-ს თავდაცვის მდივანმა ჯ. ფორესტალმა საავადმყოფოს მე-16 სართულის ფანჯარა გამოხსნა და ისტერიული კივილით: „რუსები მოდიან, რუსები მოდიან! ისინი ყველგან არიან! მე ვნახე რუსი ჯარისკაცები! “ - გადაფრინდა სიკვდილის შესახვედრად.

ფრაზა „რუსები მოდიან“ მოგვიანებით, ცივი, ომის სლოგანად იქცა.



****

საბჭოთა კავშირი წარმოადგენდა ცალკეულ ერთა კონგლომერანტს, რომელსაც უაღრესად აწუხებდა ეროვნული პრობლემები. ცნობილი სოვეტოლოგი რიჩარდ პაიპსი წერდა: „სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობის დროს საოცარი აღმოჩენა გავაკეთე. მივხვდი, რომ რუსეთი, როგორც რევოლუციამდე, ისე და მის შემდეგ, ეს იყო მრავალეროვნული იმპერია. დღეისათვის ეს ფაქტი შეიძლება აშკარად ჩანდეს, რაც თავისთავად აიხსნება. ვინაიდან გაიზარდა მთელი სამეცნიერო კვლევითი ინდუ-

სტრია, რომელიც სწავლობდა და სწავლობს საბჭოთა კავშირში ეროვნულ საკითხებს, მაგრამ 1950-იანი წლების დასაწყისში ეს ასე არ იყო. რუსები და ამერიკელები სსრკ-ს უყურებდნენ, როგორც გიგანტური საწვავს, სადაც შეერთებული შტატების მსგავსად უამრავმა ეთნიკურმა ჯგუფებმა ახალი უნივერსალური საბჭოთა იდენტობის ფასად, ნებაყოფლობით უარი თქვეს თავიანთ ეროვნული იდენტობაზე. ამერიკაში მხოლოდ რამდენიმე კაცი ფიქრობდა, რომ ეს იყო არა საბჭოთა, არამედ რუსეთი და რუსული კულტურა. თავად ისეთი ნათელი გონების ექსპერტი, როგორიც იყო ჯორჯ კენანია აღნიშნავდა, რომ „უკრაინის ეკონომიკა ისე იყო ინტეგრირებული საბჭოთა კავშირში, როგორც პენსილვანია აშშ-ში. და რომ მომავალში მხოლოდ მინიმალური რყევები იყო მოსალოდნელი, რაც კიდევ უფრო განამტკიცებდა არსებულ კავშირებს"[108, 12]. ამ სახის ეკონომიკური დეტერმინიზმი ქვეცნობიერად ასახავდა ვ. ლენინის შეხედულებებს, რომელიც ამ საკითხზე 1917 წლამდე ნაშრომებში ამტკიცებდა, რომ ეკონომიკური ინტერესები ეროვნული ინტერესებზე უპირატესობას აღწევდა და ხელს უშლიდა ცარისტული იმპერიის დაშლას. ეს თეზისი მოდერნიზებული ფორმით ამტკიცებდა, რომ საბჭოთა იმპერია ნამდვილად გადარჩებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ყველა სხვა იმპერია ან დაინგრა, ან კიდევ განიცდიდა გახრწნის პროცესს.

დიდხანს არ დამჭირდა იმის გაცნობიერება, თუ რამდენად მცდარი იყო ასეთი ანალოგიები შეერთებულ შტატებსა და საბჭოთა კავშირს შორის. აბორიგენი ინდიელების და აფრიკელი მონების გარდა, შეერთებულ შტატებში დასახლდნენ ემიგრანტები, რომლებმაც თავიანთი თავისუფალი ნებით გაწყვიტეს კავშირი სამშობლოსთან და ამერიკაში ჩამოვიდნენ ახალი სამშობლოს მოსაძებნად და გახდნენ ამერიკელები. კონტინენტის ბევრ რეგიონში დამკვიდრებულებმა დაკარგეს ისტორიული ფესვები. რუსეთში სულ სხვა ვითარება იყო. ეს იყო არა მრავალეროვანი სახელმწიფო, არამედ იმპერია. ეს იმპერია შეიქმნა რუსების მიერ

სამხედრო დაპყრობით და უმაღლესი პოლიტიკური და სამხედრო ორგანიზაციის წყალობით. დაპყრობილი ხალხების აბსოლუტური უმრავლესობა აგრძელებდა თავის წინაპრების ტერიტორიებზე ცხოვრებას და მშობლიურ ენაზე საუბარს. მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივ ელიტებს დაწინაურების მიზნით რუსული ენის სწავლა სჭირდებოდათ, ამ ფაქტის წყალობით ისინი არ გახდნენ რუსები, ისევე როგორც, ვთქვათ, ინდუსები, რომლებიც ინგლისურად საუბრობდნენ, არ გახდნენ ინგლისელები". [106, 120-121].

ამიტომაც წინააღმდეგობები საბჭოთა კავშირის შიგნით რთული და წინააღმდეგობრივი იყო. რამაც ხელისუფლების სიმკაცრის ოდნავი მოშვებისთანავე იჩინა თავი.

ისმის კითხვა რით განსხვავდებოდა ხრუშჩოვის სისტემა სტალინური სისტემისაგან? ვფიქრობთ არაფრით უბრალოდ შეიცვალა ხმამაღალი ლოზუნგი „სტალინურად". უხმაურო ლოზუნგით: „სტალინურად, მაგრამ უსტალინოდ" იმ განსხვავებით, რომ სათავეში გენიოსის მაგივრად იდგა გონებასუსტი ხელმძღვანელი და მის ბრძანებებს მორჩილად ასრულებდნენ ქვემოთ მდგარი მეტნაკლებად უჭკუო შემსრულებლები. სხვას რას შეიძლება მიეწეროს ის, რომ ბერიას დაპატიმრებისა და ლიკვიდაციის შემდეგ, როგორც აღვნიშნეთ გადაასახლეს მისი ავადმყოფი-ყრუ-მუნჯი და. ვფიქრობთ აქ ყველაფერი ნათქვამია და ამაში დამნაშავე უპირველესად სტალინი იყო. იმიტომ რომ მან შექმნა ისეთი მართვის სისტემა, რომელშიც მართვის სადავეები ერთპიროვნულად ხელში ჩაიგდო, ისეთმა საშუალოზე დაბალი განათლებისა და ქმედებების უნარის სუბიექტებმა, როგორიც ნ. ხრუშჩოვი და მისი რაზმი იყო.

*****

გასართობი ჩანართი

მაქს შტირნერი წერდა: „სახელმწიფოს მიზანი მუდამ ერთია, მოათვინიეროს, დაიმორჩილოს და დათრგუნოს პიროვნება". - დემოკრატიის ჩასახვისთანავე დაიწყო მსჯელობა მისი მოსათვინიერებელი ბერკეტების

გამოგონების აუცილებლობის შესახებ. დემოკრატიის კლასიკურ ხანაში, ანტიკური მოღვაწეები პლატონი და არისტოტელე მსჯელობდნენ დემოკრატიისა და სახელმწიფოს როლის შესახებ. მას შემდეგ რაც ეთნოსებმა ძლიერ ტრაიბალიზმში (ტომობრიობა)გაერთიანდნენ იწყო ფიქრი, თუ ვის და როგორ უნდა ემართა სახელმწიფო. პლატონს მიაჩნდა, რომ სახელმწიფოს მართვაში მონაწილეობა ყველა ინდივიდს არ უნდა მიეღო იმიტომ, რომ ყველა „დემოსის“ წევრს ამის არც უნარი და არც გონებრივი შესაძლებლობა არ გაჩნდა. ამიტომ პლატონისათვის მისაღები იყო სახელმწიფო მეფე-ფილოსოფოსებს ემართათ, მაგრამ მეფე-ფილოსოფოსების მაგივრად ისტორიამ დრაკონტის, პისისტრატეს და სხვათა მსგავსი ტირანები მიიღო, ამიტომაც ეს იდეა სულ მალე გახდა არაპოპულარული. კარგად შენიშნა არისტოტელემ როდესაც აღნიშნა: „QUIS CUSTODIET CUSTODES?!“ – „მეურვეებს ვინღა გაუწევს მეურვეობას?!“.. ბერძნული პოლისების შესწავლის შემდეგ მან აღნიშნა რომ მართველობის ფორმები მუდამ ერთი ფორმით ვერ იარსებებდნენ, დემოკრატიას აუცილებლად მოჰყვებოდა ოლიგარქია. ოლიგარქიას, ტიმოკრატია. ტიმოკრატიას ოხლოკრატია და სხვა. დემოკრატიის ეს პრობლემები მე-18-მე-19 საუკუნის ისეთმა სახელმწიფო მოღვაწეებმა გაიაზრეს როგორებიც იყვნენ: ჟან-ჟაკ რუსო, მონტესკიე, ჯონ ლოკი, ჯერემი ბენთანი, ედმუნდ ბერკი, ჯონ სტიუარტ მილი და სხვა.

ჯონ ლოკი, როდესაც დემოკრატიაზე საუბრობდა აღნიშნავდა, რომ „მოქალაქეს უნდა ჰქონდეს სახელმწიფოსაგან დაცვის უნარი“, ამისათვის ის მძლავრი ინსტიტუტების შექმნას ქადაგებდა. კონსერვატორებმა კი ეს ხედვა დაამახინჯეს, მათ ჰეგელის მსგავსად სახელმწიფოს აბსოლუტურ კეთილშობილებად მიიჩნიეს და მას პატერნალისტური როლი დააკისრეს, ეს იგივე შვილისა და მშობლების ურთიერთობის ანალოგია, როდესაც მშობელი, ამ შემთხვევაში სახელმწიფო განუსაზღვრავს შვილს, ანუ ინდივიდს მომავალსა და მიზნებს. კონსერვატიზმის მამა ედმუნდ ბერკი სწორედ ასე ხედავდა იდეალისტურ სახელმწიფოს. „სახელმწიფო აუცილებელი ბოროტებაა“ – ტომ პეინი, ამ აუცილებელ ბოროტებას კი შეკავების დოქტრინა სჭირდება ეს დოქტრინა კი ყველაზე უკეთ ნეოლიბერალებთან აისახა. სახელდობრ ისეთ მოღვაწეებთან როგორებიც არიან ფრიდრიხ ფონ ჰაიეკი და მილტონ ფრიდმანი. ჰაიეკიმ პირველმა

შემოიტანა „სახელმწიფოს თავის ტყავში დატევის“ კონცეფცია პოლიტიკაში, რაც იმაში გამოიხატა, რომ მან აუკრძალა სახელმწიფოს საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში არბიტრის როლი, იგი აღნიშნავდა, რომ მიუხედავად იმისა თუ რა მიზნები ამოძრავებს სახელმწიფოს, როდესაც ის ერევა მაგალითად ქვეყნის ეკონომიკაში (კვოტები, სუბსიდიები) მაინც თავისათვის მისაღებ წესებს ამკვიდრებს. მაგალითად შესაძლოა სახელმწიფო ლოიალური იყოს, იმ ბიზნესმენების მიმართ, რომლებიც მისი დამფინანსებლები არიან, ხოლო ანტილოიალური მათდამი ვინც ოპოზიციის მხარესაა. ეს კი აფერხებს განვითარებას და ქმნის იმ სურათს, რომელიც ალექსის დე ტოკვილის ენამოსწრებული სიტყვებისა არ იყოს: „უმრავლესობის ტირანია“-ს წააგავს. მიუხედავად დემოკრატიის განვითარებისა და მისი ევოლუციის გრძელი გზისა, მან მაინც ვერ გადაჭრა საზოგადოებრივი პრობლემები და ხშირად იმაზე მეტად ქაოსურ სიტუაციაში აღმოჩნდა ვიდრე ამას მისი სკულპლუზორები მოელოდნენ, ამიტომაც სახელმწფიოს, როგორც ბოროტი წარმონაქმნის, ანუ როგორც თომას ჰობსის „ლევიათანშია“ დანახვა უფრო გაგვიადვილებს ჩავწვდეთ დემოკრატიის დადებით თუ უარყოფით მხარეებს..

*****

პოსტსტალინისეულ მეორე მსოფლიო ომში გამარჯვებულ და „ხრუშჩოვისეულ დემოკრატიულ“ მოდერნიზებულ რუსეთის საბჭოთა იმპერიაში ცხოვრება ადამიანებს უმძიმეს პირობებში უხდებოდათ. აი კიდევ ერთი მაგალითი ცნობილი სოვეტოლოგის რ. პაიპსის მიერ მოყვანილი საბჭოეთში მოგზაურობიდან: „ერთხელ ლენინგრადში ტრამვაიში ჩავჯექი და ჯიბიდან ამოვიღე მონეტები ბილეთის შესაძენად. საბჭოთა მონეტებთან ერთად ასევე იყო ნახევარდოლარიანი მონეტა კენედის გამოსახულებით. კონდუქტორმა, რომელიც გასასვლელთან იჯდა მაშინვე დაინახა და მკითხა: „თქვენ ამერიკელი ხართ?“ დადებითად დავუქნიე თავი. მან დაჟინებით მიმიპატიჟა და მთხოვა მის ადგილას დავმჯდარიყავი. სანამ ტრამვაი მიდიოდა მარშრუტის გასწვრივ, მან ყველანაირი ღირსშესანიშნაობა მაჩვენა და ხმამაღლა აქებდა ქალაქის სილამაზეს. მოინდომა ჩემი დარწმუნება, რადგან რუსუ-

ლად ვლაპარაკობდი, ოჯახთან ერთად გადავსულიყავი საბჭოთა კავშირში საცხოვრებლად. შემდეგ ტრამვაი გაჩერდა, მგზავრები ჩავიდნენ და ამოვიდნენ. ამით ისარგებლა მან. ჩემკენ დაიხარა და გამომეტყველება თვინიერი კეთილგანწყობილიდან ნამდვილ აჟიტირებულად შეეცვალა, და ჩურჩულით მკითხა: „მითხარი ჩვენ ძაღლებივით ვცხოვრობთ არა?“ ამ შემთხვევამ საოცარი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე: ელვისებურად ჩამოხსნილი იქნა ის ნიღაბი, რომელსაც საბჭოთა ხალხი ჩვეულებრივ ატარებდა“ [106, 146].

გადმოგცემთ და შევეცდებით ავხსნათ ნოვოჩერკასკში მომხდარი ტრაგედია, რომელმაც ნათლად აჩვენა არსებული სისტემის და მისი მსახურ-მომხმარებელი ერთპარტიულ კომუნისტურ ხელისუფლების მორალურ-პოლიტიკური სიდამპლე, გახრწნა და გათახსირება.(შეიძლება ეს ბოლო სიტყვა ძალიან მკაცრი იყოს, მაგრამ სხვანაირად შეუძლებელია შეაფასო იმ ხელისუფლების მოქმედება, რომელმაც მშვიდობიან მომიტინგეებს არაერთხელ ტყვიები დაუშინა და ამით ეცადა სისტემისა და საკუთარი მმართველობის გადარჩენას).

1960-იანი წლებისათვის საბჭოთა კავშირში უმძიმესი ეკონომიკური სიტუაცია შეიქმნა. მოსკოვმა პირველად დაიწყო უცხოეთში ხორბლის შესყიდვა. საბჭოთა პარტიულმა ნომეკლატურამ ვერ შეძლო და ვერც შეძლებდა ქვეყანაში აუცილებელი რეფორმების გატარებას. რის შედეგად დაიწყო ფასების ზრდა და ხელფასების კლება. რაც საბჭოთა მოქალაქეებისათვის ომისშემდგომ პერიოდში უჩვეულო მოვლენა იყო. ამან დიდი მღელვარება გამოიწვია მოსახლეობაში.

ხელისუფლება არსებული ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარე იძულებული გახდა 1962 წლის 1 იანვრიდან 30-35%-ით შეემცირებინა ხელფასები. 1 ივნისს რადიოთი გამოაცხადეს პირველადი მოხმარების პროდუქტებზე (ხორცზე, რძეზე და სხვა) ფასების 35%-ით „დროებითი“ მატება. ამან მთელი ქვეყანა შოკში ჩააგდო. იმდენად შეშინებული იყო საკავშირო ცკ-ი ხალხის

შესაძლო რეაქციით, რომ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი 1-4 ივნისს ყოველდღიურ ინფორმაციას აწვდიდა საკავშირო ცკ-ს ქვეყანაში შექმნილი მდგომარეობის შესახებ. გაჩნდა პროკლამაციები საბჭოთა კავშირის დიდ ქალაქებში. მაგ: მოსკოვში-„დღეს მოუმატეს ფასები, რა გველის ხვალ". დონეცკში – „ჩვენ მოგვატყუეს და გვატყუებენ. ვიბრძოლოთ სამართლიანობისათვის". როგორც სუკი-ს წყაროები გვამცნობენ საბჭოთა კავშირში 1960-1962 წლებში გავრცელებული იქნა 34600 ანტისაბჭოთა ანონიმური დოკუმენტი, მათ შორის 23213 პროკლამაცია[217-273]. უფრო მეტიც უკმაყოფილო ხალხი როსტოვის ოლქში აქტიურ მოქმედებებზე გადავიდა.

1962 წლისათვის ქ. ნოვოჩერკასკი იყო როსტოვის ოლქის პატარა პროვინციული ქალაქი, 145 ათასი მცხოვრებით.

1 ივნისს, 10 სთ-ზე ნოვოჩერკასკის ელმავალშენებელი ქარხნის (რომელშიც დაახლოებით 12 ათასი კაცი მუშაობდა) ერთერთ საამქროში შეიკრიბა 40-მდე მუშა, რომლებიც გამოთქვამდნენ უკმაყოფილებას ფასების მატების გამო. ეს ცნობილი გახდა ქარხნის დირექტორ კუროჩკინისათვის, რომელიც მივიდა და გაესაუბრა მათ. მისი განმარტებები უშედეგო აღმოჩნდა. მალე უკმაყოფილო მუშების რაოდენობა ელვის სისწრაფით გაიზარდა. დირექტორმა კუროჩკინმა ხალხს უთხრა: თუ არ გყოფნით ფული ხორცისა და რძისათვის ეძებეთ - „Пирожки ливером". ამ ფრაზამ გამოიწვია ისედაც უკმაყოფილო ხალხის გააფთრება. დირექტორი იძულებული გახდა გაქცეულიყო და თავი ქარხნის სამართველოში თავისი კაბინეტისათვის შეეფარებინა.

დილის 11 საათისათვის აღშფოთებულთა რაოდენობამ მიაღწია 500 კაცს, რომლებიც შეიკრიბნენ ქარხნის სკვერში და მოითხოვდნენ დირექტორთან შეხვედრას. დაიწერა ლოზუნგი: „ხორცი, რძე, ხელფასის მომატება"[217-365]. ამ დროისათვის ქარხანაში უკვე იმყოფებოდნენ ოლქის შეშფოთებული ქალაქკომის მდივნები, ქარხნის პარტკომი, სუკი-ს თანამშრომლები. მილიციასა და სუკ-ში გამოცხადდა განგაში, მაგრამ ხელისუფლებას იმ

მომენტისათვის აქტიური მოქმედებებისათვის არ მიუმართავს.

მალე მომიტინგეებმა გადაინაცვლეს რკინისგზაზე და გააჩერეს სამგზავრო მატარებელი სარატოვი-როსტოვი. ლიანდაგზე დაიწყო სტიქიური მიტინგი. ვიღაცამ ელმავალზე დააწერა: „ხრუშჩოვი ხორცზე".

პარალელურად გაფიცულები შეიჭრნენ ქარხნის სამმართველოში და ჩამოაგდეს ხრუშჩოვის სურათი. ხალხი ამას სიხარულით შეხვდა. მასას მიაჩნდა, რომ ის იყო ყველაფერში დამნაშავე. აქედანაც ჩანს, რომ სისტემა ისევ ერთი კაცის პრინციპით იმართებოდა. ოღონდ ერთი განსხვავებით ადრინდელი მმართველისაგან განსხვავებით ის იყო უუნარო, სისტემის მმართველობისათვის გამოუსადეგარი, ეკონომიკის არმცოდნე, მაგრამ ამავე დროს პოლიტიკური ინტრიგების უბადლო დიდოსტატი. რისი ბუნებრივი მოთხოვნილებაც საბჭოთა სისტემას გააჩნდა. ხრუშჩოვის მიმართ ქვეყანაში წარმოიქმნილი იყო დიდი სიძულვილი, რაც მკაფიო მიმანიშნებელი იყო საბჭოთა სისტემის კრიზისზე.

მუშებს მიმართა ქალაქკომის პირველმა მდივანმა ბასოვმა. ხალხმა გარკვეულ მომენტში დაუწყო მას მოსმენა, მაგრამ მან გაფიცულებს სახარბიელო ვერაფერი უთხრა. მუშებთან დაბრუნებულ დირექტორს ქვები და სხვადასხვა ლითონის საგნები დაუშინეს. პარალელურად სუკ-მა დაუწყო აქციის აქტიურ მონაწილეებს სურათების გადაღება[218, 73] პროცესები უსწრაფესად განვითარდა და ორი საათის განმავლობაში ქარხანა გაფიცულების ხელში აღმოჩნდა. ქალაქკომის მდივანი ბასოვი ჩაიკეტა ერთ-ერთ კაბინეტში. იგი ფაქტობრივად აღშფოთებული მუშების მძევალი გახდა.

მას შემდეგ, რაც ხრუშჩოვს მოახსენეს შექმნილი მდგომარეობის შესახებ, ქალაქში ჩამოვიდა საბჭოთა კავშირის უმაღლესი პარტიული და საბჭოთა ხელმძღვანელობა: კოზლოვი, კირილენკო, პოლიანსკი, შელეპინი, მიქოიანი, ილიჩევი. სამწუხაროდ ვერცერთმა მათგანმა ვერ შეძლო ხალხთან გასვლა და საუბარი. უფრო მეტიც მიქოიანმა ვერ გაბედა მომიტინგეებთან პირდა-

პირი შეხვედრა და ვერტმფრენიდან, რომელიც მოედანის თავზე ტრიალებდა მიმართა სიტყვით ხალხს. აი როგორი შეუპოვარი და მამაცი იყო ანასტას მიქოიანი და მისი პარტიული ამხანაგები, რომელთა შესახებ ასე სიამაყით და მედიდურად მოგვითხრობს თავის ყალბ მოგონებებში[219].

მალე ხელისუფლება გადავიდა გადამწყვეტ მოქმედებებზე. ქალაქში გამოჩნდა შინაგან საქმეთა სამინისტროს ჯარები და სამხედრო ტექნიკა. სნაიპერები აიყვანეს იქვე ახლოს მდგომ სასტუმრო „დონის" სახურავზე და დაიწყო უიარაღო, მშვიდობიანი, ხაზს ვუსვამ არა ანტისაბჭოთა ლოზუნგებით გამოსული მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა. დაღუპულები სწრაფად გაიტანეს მოედნიდან.

როდესაც სიტუაცია შედარებით ჩაწყნარდა, გაიმართა მოსკოვიდან ჩამოსული პარტიული ბოსების თათბირი. სადაც დადგა საკითხი თუ სად დაესაფლავებინათ დაღუპულები. გავიდა ა. ი. მიქოიანის წინადადება, იმის შესახებ, რომ მიცვალებულები დაემარხათ საიდუმლოდ ქალაქიდან მოშორებით როსტოვის ოლქის სხვადასხვა სასაფლაოებზე და მართლაც ასე მოიქცნენ. ამ მოვლენის მთელი ტრაგიზმი იმაში მდგომარეობდა, რომ ახლობლებმა და ნათესავებმა ათეული წლების განმავლობაში(თითქმის 30 წელი) არ იცოდნენ სად იყვნენ დასაფლავებული, საბჭოთა ხელისუფლების მიერ დაცხრილული უდანაშაულო ადამიანები. ამის შემდეგ რადიოთი გამოვიდა და მოსახლეობას მიმართა ა. ი. მიქოიანმა.

3 ივნისს შემოიღეს კომენდატის საათი. ხრუშჩოვს მიაწოდეს ინფორმაცია: „Нежелательные волнения продолжают иметь место в гор. Новочеркасске на электровозном заводе. Примерно к трём часам ночи после введения воинских частей толпу, насчитывающую к тому времени около четырёх тысяч человек, удалось вытеснить с территории завода и постепенно она рассеялась. Завод был взят под военную охрану, в городе установлен комендантский час, 22 зачинщика были задержаны"[220] დაიწყო დაპატიმრებები. 105 კაცს

თითქმის ყოველგვარი სასამართლოს გარეშე მიუსაჯეს 10 და 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთა მკაცრი რეჟიმის კოლონიებში მოხდით. მათ გათავისუფლების შემდეგ სამი წლით აეკრძალათ ნოვოჩერკასკსა და მიმდებარე ქალაქებში ცხოვრება. შვიდი კაცი დახვრიტეს. აი ეს იყო ხრუშჩოვის ნამდვილი „ოტეეპელი". რომლის შინაარსიის გაგება „რატომღაც" არ სურს ზოგიერთ მკვლევარს.

ეს იყო ხრუშჩოვის, კომუნისტური პარტიული ნომეკლატურის და მთლიანად საბჭოთა ხელისუფლების ნამდვილი წრფელი სახე. პარტიული ნომეკლატურა ყველაფერზე მიდიოდა ოღონდაც თავისი პრივილეგიები შეენარჩუნებია. ეს იყო ფაქტობრივად ხრუშჩოვის მმართველობის დასასრულის დასაწყისი. მოსახლეობა დარწმუნდა, რომ ის იდეალები რომლითაც მას ტვინს უბურღავდნენ წლების მანძილზე ფუჭი და უტოპიური აღმოჩნდა.



მანეჟში ავანგარდისტების გამოფენაზე აღშფოთებული ნიკიტა

ნოვოჩერკასკში მოკლული იქნა 26 კაცი და ორმოცზე მეტი დაჭრილი. ხელისუფლებას ქუჩებში სისხლის კვალი, რომ დაეფარა დანაშაულის დაფარვის მიზნით ასფალტზე, ახალი ას-

ფალტი გადააგეს[218-145] ნ. ხრუშჩოვის პირადი ბრძანებით ქალაქში ამუშავდა ხუთი რადიოლოკაციური დანადგარი, რათა ჩაეხშოთ უცხოეთის რადიოსადგურები, რათა ადგილობრივ რადიომოყვარულებს არ გადაეცათ მათთვის ცნობები რა მოხდა სინამდვილეში.

ნოვოჩერკასკის ტრაგედიამ კიდევ ერთხელ(თბილისისა და უნგრეთისა შემდეგ)აჩვენა საბჭოთა ხელისუფლების უსუსურობა და სისასტიკე საკუთარი მშვიდობიანი სამართლიანი მოთხოვნებით გამოსული მოქალაქეების მიმართ. უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო ბრძოლა საბჭოთა სისტემის წინააღმდეგ. გაფიცულები მოითხოვდნენ მხოლოდ და მხოლოდ საყოფაცხოვრებო და საარსებო პირობების გაუმჯობესებას და ყოველგვარი უბედურების სათავედ მიაჩნდათ არა სისტემა, არამედ ერთი ადამიანი ნ. ხრუშჩოვი. რომელიც აკრიტიკებდა რა XX ყრილობაზე სტალინს და ამხელდა მისი პიროვნების კულტს, ამავე დროს გაუცნობიერებლად ჭრიდა იმ ტოტს, რომელზეც მთელი საბჭოთა სისტემა და თავად იჯდა. იგი მოქმედებდა როგორც ზემოდ აღვნიშნეთ პრინციპით „სტალინურად, მაგრამ უსტალინოდ“. ოღონდ ერთი განსხვავებით, არც მას და არც მის გონებასუსტ თანამოაზრეებს არ ესმოდათ, რომ მათი გაუაზრებელი ქმედებებით იმავე დრომოჭმულ სისტემას, კიდევ უფრო მეტად ალპობდნენ და ხრწნიდნენ.

ნოვოჩერკასკის ამბებმა ნათლად დაადასტურა 50-იანი წლების მეორე ნახევრიდან, საბჭოთა კავშირში წარმოქმნილი იდეურ-ფსიქოლოგიურ-პოლიტიკურ-ეკონომიკური კრიზისის გაღრმავება.

1964 წლის 14 ოქტომბერს კრემლის კომუნისტთა კარზე მორიგი გადატრიალება მოხდა. ნ. ხრუშჩოვი გადააყენეს და ცკ-ის პირველ მდივნად დასვეს ლ. ბრეჟნევი, მინისტრთა საბჭოს თამჯდომარედ კი ა. კოსიგინი.

1966 წელს აშშ-ს კონგრესმა გამოაქვეყნა ხუთტომიანი კვლევა „ახალი მიმართულება საბჭოთა ეკონომიკაში“, სადაც ეჭვის ქვეშ იქნა დაყენებული საბჭოთა კავშირში დაწყებული ეკონომი-

კური რეფორმების ეფექტურობა. სწორედ 1966 წელს მოიმკა საბჭოთა კავშირმა ხრუშჩოვის გაუაზრებელი რეფორმების პირველი შედეგები, რაც იმით გამოიხატა რომ ფაშისტურ გერმანიათან ომის დამთავრებიდან პირველად მიუახლოვდა ბიუჯეტი დეფიციტს[109]. უფრო მეტიც მთავრობა იძულებული იყო გაეთვალისწინებინა დეფიციტი 1967 წლის ბიუჯეტში.

ასეთ პირობებში აკად. ნ. ფედორენკოს მოგონებით მისდამი რწმუნებულ ეკონომიკისა და მათემატიკის ცენტრალურ ინსტიტუტში გაკეთებული იქნა პროგნოზი „საბჭოთა სახალხო მეურნეობის განვითარების შესახებ". რომელშიც თქმული იყო, რომ საბჭოთა კავშირის ეკონომიკას ნათელი მომავლის კომუნიზმის ნაცვლად, რომელიც ნიკიტა ხრუშჩოვის აზრით უნდა დამდგარიყო 1981 წელს, ელოდა განვითარების ტემპების შენელება და 1980-იანი წლების დასაწყისისათვის ეკონომიკური კრიზისის დასაწყისი[110, 182-186].



ფიდელ კასტრო და ნიკიტა ხრუშჩოვი საქართველოში ქეიფობენ

გაეცნო რა ამ გამოკვლევას, სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ნ. ბაიბაკოვმა განაცხადა, რომ იგი წინააღმდეგობაშია პარტიის პროგრამასთან, ამიტომაც სანქციები მოეღოდათ არა მარტო მის შემქმნელებს, არამედ მთელ ინსტიტუტს. ამიტომაც საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტ მ. კელდიშთან მოთათბირების შემდეგ, თავად ფედორენკოს გაუტანია უკან მის ინსტიტუტში მომზადებული შენიშვნები და გაუნადგურებია ისინი [110, 185].

1967 წლის ივლისში სკკპ ცკ-ის სამდივნოს ერთ-ერთ თათბირზე მანქანათმშენებლობის განყოფილების ხელმძღვანელმა მ. სოლომენცევმა წამოაყენა წინადადება - „ცკ-ის უახლოეს პლენუმზე განხილულიყო ქვეყანაში სამეცნიერო-ტექნიკური მდგომარეობისა და მისი პროგრესის საკითხი“[111, 336]. წინადადებას მხარდაჭერა მიუღია, მაგრამ პარტიული ნომენკლატურის წინააღმდეგობის გამო ვერ განხორციელდა. ის ჩაიკარგა პარტიული კაბინეტების ლაბირინთებში.

ლ. ბრეჟნევის ხელისუფლებაში მოსვლის დროს ყველა ხვდებოდა, რომ საჭირო იყო რეფორმები. საბჭოთა პარტიულ და საბჭოთა ხელმძღვანელობას ხელთ ჰქონდა აკადემიკოსების გლუშაკოვისა და ვააგას დამუშავებული ეკონომიკური რეფორმის პროექტი, რომელსაც უწოდებდნენ ერთნი „ლიბერმანის“, ხოლო სხვები „კოსიგინის“ პროექტს. როგორც წყაროები მოწმობენ თავდაპირველად ამ რეფორმის მომზადება დაამუხრუჭა ა. კოსიგინმა. მხოლოდ ხრუშჩოვის საბოლოდ მოცილების შემდეგ შეიქმნა სპეციალური კომისია, რომელსაც ხელმძღვანელობდა სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარე ა. კორობოვი. კომისიამ აქცენტი აიღო ლ. ვააგას პროექტზე, რომელიც შემდეგ საფუძვლად დაედო 1965 წლის სსკ ცკ-ის მარტისა და სექტემბრის პლენუმების გადაწყვეტილებებს.

საბჭოთა კავშირში არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ფიქრობდნენ და სურდათ ეკონომიკური რეფორმების გატარება, მაგრამ ამ იდეის პრაქტიკულ ცხოვრებაში გატარებისათვის მათ

წინ იყო აღმართული საბჭოთა სოციალისტური ბიუროკრატიულ-ყაზარმული სიტემა, რომელიც ძლიერი ხელის გარეშე ვერ იტანდა რაიმე სიახლეს.

ახლა ბევრი ლაპარაკობს იმის შესახებ, რომ შეიძლებოდა საბჭოთა კავშირის გადარჩენა. ჩვენი აზრით ვერ გადარჩებოდა ძლიერი დიქტატურის გარეშე. ეს დიქტატურა თავის მხრივ კი მოითხოვდა უზარმაზარი რაოდენობის სისხლს. ვინაიდან ქვეყნის ყველა სფერო ერთიანად იყო მოშლილი და კორუფციაზე დაყრდნობილი. ყველა სფერო განურჩევლად მათი სიძლიერისა, განიცდიდა უდიდეს მატერიალურ და რაც მთავარია სულიერ კოროზიას. არსებობდა უამრავი მაკონტროლებელი ორგანო. მაგრამ ისინი საბოლოო ჯამში ერთმანეთზე გადაბმული იყვნენ კორუფციული ჯაჭვით, რომელიც იწყებოდა სათავიდან და მთავრდებოდა ქვედა რგოლებში.

ჯერ კიდევ ლ. ბრეჟნევის სიცოცხლეში მისი ავადმყოფობის დროს მასთან დაახლოებულ პირებს დაუწყიათ ქვეყნის ეკონომიკური რეფორმებისათვის წინადადებების მომზადება, რომლის ინიციატივები, როგორც წყაროები გვამცნობენ ეკუთვნოდა ი. ანდროპოვს, რომელიც ემზადებოდა ტრამპლინიდან ნახტომისათვის ანუ ცკ-ს მდივნობიდან გენერალურ მდივნობისათვის.

მეცნიერთა ჯგუფს ანდროპოვის მხარდაჭერით გაუგზავნია სკკპ ცკ-ისათვის მოხსენება ქვეყანაში შექმნილი უმძიმესი ეკონომიკური სიტუაციის შესახებ, მაგრამ პარტიის ხელმძღვანელ ბირთვს ეს შეუფასებია, როგორც „ცილისწამება პარტიისა და ხალხისათვის“[112, 439-440].

1979 წლისათვის ეკონომიკური რეფორმებისათვის ბრძოლაში ჩაებნენ ნოვიკოვი, კირილინი, ბაიბაკოვი, გვიშიანი(კოსიგინის სიძე). მათი მიზანი იყო კოსიგინისეული რეფორმების აღორძინება, მაგრამ მათ ამის ძალა არ აღმოაჩნდათ და ვერც აღმოაჩნდებოდა, ვინაიდან მათ წინ იდგა უდიდესი პარტიული ნომეკლატურა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ყოველივე პროგრესს.



სიძე-სიმამრი ჯერმენ გვიშიანი და ალექსი კოსიგინი

საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის ნ. რიჟკოვის თქმით ჯერ კიდევ კოსიგინის დროს მიღებული იქნა გადაწყვეტილება, მეორეჯერ მოეხდინათ სასიკვდილო მდგომარეობაში მყოფი საბჭოთა ეკონომიკის რეფორმირება[113, 46]. ამ პროცესში ჩართულნი იქნენ „საბჭოთა ეკონომიკის“ საუკეთესოდ მცოდნე მეცნიერები. აკადემიკოსი ლ. აბალკინი იგონებს: „მე ვმონაწილეობდი 1970-იანი წლების მეორე ნახევრის ეკონომიკური რეფორმების დამუშავებაში.....მოგვიწია ვმჯდარიყავით კრემლში რამდენიმე ჯგუფი.....მუშაობა გრძელდებოდა რამდენიმე თვეს“[114, 46-47]. დაძაბული მუშაობის შემდეგ 1979 წლის 12 ივლისს სსკპ ცკ-მა და მინისტრთა საბჭომ მიიღეს დადგენილებები: „სამეურნეო მექანიზმების შემდგომი სრულყოფისა და პარტიული და სახელმწიფო ორგანოების ამოცანების შესახებ“ და „დაგეგმარების გაუმჯობესებოს სამეურნეო მექა-

ნიზმების გაძლიერების, წარმოების ეფექტურობის ამაღლებისა და ხარისხიანი მუშაობის შესახებ"[115, 96]. ამ დადგენილებაში გამოსაყოფია სამი პუნქტი. 1. ფიქრობდნენ წლიური დაგეგმარება დაეწყოთ ქვემოდან. 2. დაშვებული უნდა ყოფილიყო გეგემებში შემდეგი მაჩვენებელები - ა) წარმოებული პროდუქციის ნატურალური გამოხატვა; ბ) შრომის ხარისხის ამაღლება. გ) მუშათა და მოსამსახურეთა რაოდენობის ლიმიტი. 3. შრომითი კოლექტივების სამეურნეო ინიციატივების განვითარებით იგეგმებოდა მატერიალური სტიმულირების ფონდების დაარსება[116].

1979 წლის ოქტომბერში ა. კოსიგინს მოუვიდა ინფარქტი, რის შედეგადაც იგი აღმოჩნდა საავადმყოფოში. რეფორმებს გამოუჩნდა უამრავი მოწინააღმდეგე, რომელთა შორის იყო ლ. ბრეჟნევიც. საბოლოდ საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარემ დაწერა წერილი და გაუგზავნა სკკპ ცკ-ს, სადაც ახსნილი იყო ქვეყანაში შექმნილი ეკონომიკური ვითარების მთელი სირთულე. წერილს გაეცნენ ცკ-ს წევრები. მათ ის შეაფასეს, როგორც ცილისწამება და მისი ავტორი მოხსნეს თანამდებობიდან.

ამის შემდეგ პოლიტბიურომ დანიშნა კომისია აკად. კირილინის თავმჯდომარეობით, რომელსაც უნდა მოემზადებინა მოხსენება: „სახალხო მეურნეობის ეფექტიანობის მკვეთრი ამაღლების შესახებ"[117, 132]. 1980 წელს პოლიტბიურომ მოისმინა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტის კირილინის კომისიის მოხსენება. მისი ერთ-ერთი მონაწილის თქმით პირველი მოხსენება იყო ატომური ბომბი, მეორე კი ჰგავდა წყალბადისას, ვინაიდან მასზე სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის სნობებიც კი იძახდნენ დიახ"[117, 132, 134-135]. მეორე მოხსენება ყოფილა მხოლოდ სამ ეგზემპლარად. ამ მოხსენების შემდეგ კირილინი წასულა ბულგარეთში. იქიდან დაბრუნებულს კი უარი განუცხადებია აკადემიის ვიცე-პრეზიდენტობაზე.

1982 წლის 1 მარტს ჟურნალმა „თაიმმ"-მა გამოაქვეყნა რიჩარდ პაინსონის სტატია „ფიქრები საბჭოთა კრიზისზე", რომელშიც ავტორი ამტკიცებდა, რომ ბრეჟნევის სიკვდილის

შემდეგ საბჭოთა ხელმძღვანელობას რჩებოდა მხოლოდ ორი გზა: ომი ან რეფორმები[118, 13].

1984 წელს აშშ-ში გამოვიდა სუკ-ის ყოფილი პოლკოვნიკის ა. გოლიცინის წიგნი: „ძველის ნაცვლად ახალი სიცრუე. კომუნისტური ტყუილისა და დეზინფორმაციის სტრატეგია"[119]. ავტორმა წიგნის წერა დაიწყო 1969 წელს, ხოლო დასრულა 1981 წელს. დაბეჭდვით კი დაიბეჭდა 1984-ში. მასში სპეცსამსახურის ყოფილმა მაღალჩინოსანმა იწინასწარმეტყველა ის პროცესები, რომლებიც შემდეგ საბჭოთა კავშირში განვითარდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაძაბულობა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის გიზარდა. თუ 1933 წელს ამერიკული სამხედრო ბაზები იყო მხოლოდ სამ ქვეყანაში, 1949 წლისათვის მათი როდენობა ავიდა 39, ხოლო 80-იან წლებში 110-მდე[120, 117]. ეს იყო ზუსტად მსოფლიო ქვეყნების ნახევარი. უფრო მეტიც მეორე მსოფლიო ომის შემდგომ კონფლიქტებში დაიღუპა დაახლოებით 10 მლნ. ადამიანი. იმდენი რამდენიც დაიღუპა 1-ელ მსოფლიო ომში[120, 230].

განიარაღების პარალელურად განვითარდა საგარეო ვაჭრობა. რაც გამოიხატა საბჭოთა ხელმძღვანელობის თანამშრომლობით დასავლეთის სამრეწველო-საფინანსო წრეებთან. განსაკუთრებით აღსანიშნავია ურთიერთობების აღდგენა როკფელერთა ფინანსურ-სამრეწველო იმპერიასთან, რომელიც შეწყდა ომის შემდგომ პირველ წლებში[121, 225]. ნატოს პარალელურად მოსკოვის ინიციატივით ჩამოყალიბდა ვარშავის ხელშეკრულების სამხედრო-პოლიტიკური ორგანიზაცია, რომელშიც გაერთიანდნენ ცენტრალური ევროპის ე. წ. სოციალისტური სისტემის ქვეყნები. საბჭოთა კავშირმა განსაკუთრებით გააძლიერა სარაკეტო-ბირთვული შეიარაღება. 1957 წელს კრემლმა გაუშვა დედამიწის პირველი ხელოვნური კოსმოსური თანამგზავრი. სწორედ ამით მიიღო მან პოტენციური საშუალება, განეხორციელებინა ბირთვული სარაკეტო დარტყმა მსოფლიოს ნებისმიერ წერტილზე.

1959 წელს საბჭოთა კავშირში გამოჩნდა სარაკეტო ჯარები, რომელთაც 1960 წლის 1 მაისს მოახდინეს დემონსტრირება იმისა, რომ მათ შეუძლიათ მოწინააღმდეგის თვითმფრინავი ჩამოაგდონ ნებისმიერ სიმაღლეზე[122, 391-400]. 1961 წლის 4 მარტს ხრუშჩოვის მხედრიონმა ჩაატარა გამოცდა, რის შედეგადაც ერთმა რაკეტამ ჩამოაგდო, მეორე რაკეტა[123, 98-99].

აშშ პრეზიდენტმა დ. ეიზენჰაუერმა მთავრობის სხდომაზე არჩევიდან რამდენიმე კვირის შემდეგ განაცხადა: „ყველას უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ ბიზნესის ადმინისტრაცია გვეწოდება. სინამდვილეში, ჩვენ თვითონ დავუშვით ასეთი სახელი და ეს კარგია "[124, 66].

დ. ეიზენჰაუერმა საგარეო პოლიტიკა პრაქტიკულად დაუტოვა „უოლ სტრიტის" უდიდესი საადვოკატო ფირმის „Sullivan and Cromwell" ხელმძღვანელს ჯ. დაულს. ეს კომპანია მჭიდრო და დიდი ხნის განმავლობაში ასოცირდებოდა როკფელერებთან. თავად ჯ. დაულსი, ისევე როგორც მისი უმცროსი ძმა ალენი და მათი და ელეონორა შეყვანილ იქნენ როკფელერების ოჯახის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპანიების დირექტორატში. ჯ. დაულსი სიცოცხლის ბოლო დღემდე იყო „Standard Oil"-ს ერთერთი დირექტორი: „International Nickel"-ისა და სხვა კონცერნების მმართველობის წევრი, რომლებიც ასევე შედიოდა როკფელერის ორბიტაზე. მისი ძმა ხელმძღვანელობდა ამერიკის სახელმწიფო მანქანის ყველაზე მნიშვნელოვან რგოლს - ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს, ხოლო და ელეონორა დაულსი ევროპის სახელმწიფო დეპარტამენტს.

დ. ეიზენჰაუერის მთავრობაში თავდაცვის მდივნის პოსტი (პენტაგონის მეთაური ხელმძღვანელობს სამხედრო შეკვეთების განაწილებას სამხედრო კონცერნებსა და აშშ-ს კორპორაციებს შორის) დაიკავა ვილსონმა. ის იყო უმსხვილეს „General Motors"-ის პრეზიდენტი, რომელსაც აკონტროლებენ მორგანებისა და დიუპონების ოჯახები. მას შემდეგ, რაც 1957 წელს ვილსონმა დატოვა ვაშინგტონი და „General Motors"-ის პრეზიდენტის კაბი-

ნეტში დაბრუნდა, მის ნაცვლად თავდაცვის მინისტრად დაინიშნა მილიონერი ნ. მაკელროი, მორგანის კომპანიის „Procter & Gamble-ის პრეზიდენტი, „General Electric"-ისა და „Chrysler"-ის დირექტორატის წევრი. 1959 წლის დეკემბერში, პენტაგონის ხელმძღვანელის პოსტზე მაკელროი შეცვალა მორგანის იმპერიის კიდევ ერთმა წამყვანი მოღვაწემ თ. გეითსმა (უმცროსი), რომელმაც ეიზენჰაუერის მთავრობის გადადგომის შემდეგ დაიკავა მორგანის ყველა ბანკის მთავარი აღმასრულებელი დირექტორის თანამდებობა.



დუაიტ ეიზენჰაუერი

სავაჭრო მდივნის პოსტი დაიკავა ბოსტონის ბანკირების ლიდერმა მილიარდერმა ს. უიქსმა. ფინასთა მინისტრი გახდა შუა და დასავლეთ ამერიკის მონოპოლიების დაჯგუფის ლიდერი დ. ჰემფრი, რომლის პირადი კაპიტალი აღემატებოდა ნახევარ მილიარდ დოლარს. შემდეგში ჰემფრი შეცვალა უდიდესმა ინდუსტრიალისტმა და ფინანსისტმა ტეხასიდან რ. ანდერსონმა. თავდაცვის მინისტრის თანამდებობაზე დაინიშნა „General Motors"-ის ვიცე-პრეზიდენტი რ. სტივენსი. ავიაციის მინისტრის პოსტი დაი-

კავა იმავე კორპორაციის აღმასრულებელ დირექტორმა მ. ტელბოტმა. ფოსტის მინისტრი კი გახდა კომპანია „Chevrole“ პრეზიდენტი ა. სამერფილდი.

პრეზიდენტი ჯ. კენედი თავად ეკუთვნოდა აშშ - ს ინდუსტრიულ და ფინანსურ ელიტას. კენედების ოჯახი იყო ქვეყნის უმდიდრეს ოცეულთა შორის. ეს პირველი შემთხვევა იყო ამერიკაში, როდესაც პრეზიდენტის პოსტზე აღმოჩნდა, მმართველი ფინანსური ელიტის წარმომადგენელი. ჯონ კენედი იყო ოჯახის წევრი, რომელთა პირადი კაპიტალი იმ დროისათვის 600 მილიონ დოლარს აჭარბებდა. მისი მეუღლის მეშვეობით, იგი მორგანის საბანკო სახლთანაც იყო დაკავშირებული. მიუხედავად არაერთი მცდელობისა როკფელერებმა, რომელთა გვარი გახდა სიმდიდრისა და ძალაუფლების სიმბოლო, ვერ შეძლეს ხელისუფლების უმაღლეს მწვერვალზე - თეთრ სახლში შეღწევა. მათ კონკურენტები ერეოდნენ. ძმები პოლიტიკოსები - ნელსონი და უინთროპ როკფელერები მხოლოდ გუბერნატორის თანამდებობებით დაკმაყოფილდნენ.



ჯონ კენედი

ამერიკელები შესანიშნავად იყენებდნენ არსებულ სიტუაციას და ახორციელებდნენ აქტიურ საგარეო პოლიტიკას არა მარტო კომუნიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად, არამედ მათ არსენალში შედიოდა აგრეთვე ბრძოლა კოლონიალიზმის წინააღმდეგ.


როგორც ცნობილია კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე ყველაზე დიდი იმპერია იყო დიდი ბრიტანეთის. პირველ და მეორე მსოფლიო ომების პერიოდში ბრიტანეთის იმპერია იკავებდა 36 მლნ კმ²-ს, რომელზედაც ცხოვრობდა 470 მლნ. ადამიანი. მაგრამ საერთაშორისო არენაზე მიმდინარე პროცესების შედეგად 1960-იან წლებში დიდ ბრიტანეთის მოსახლეობა შემცირდა 53 მლნ. ადამიანით, ხოლო ტერიტორია 0,3 მლნ კმ²-ით[125, 177]. ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ინგლისმა მოიგო მეორე მსოფლიო ომი, მისმა იმპერიამ მსოფლიო პოლიტიკური რუკიდან თანადათანობით იწყო გაქრობა და თანდათანობით დაუბრუნდა მე-17 საუკუნის საზღვრებს. ზოგიერთი მკვლევარი იმასაც კი აღნიშნავდა, რომ ვაშინგტონს ჯერ კიდევ 1943 წლის ნოემბრისათვის ბრიტანეთის იმპერიის გაყოფის გეგმა ჰქონდა,. და ამის მაგალითად მოჰყავს სტალინისა და რუზველტის სტენოგრაფიული ჩანაწერები[126, 89-92]. დიდი ბრიტანეთის კვალდაკვალ იწყეს შემცირება სხვადასხვა იმპერიებმა. მას შემდეგ რაც ამერიკულმა კაპიტალმა დიწყო შეღწევა იმპერიული მარწუხებისაგან ახლად განთავისუფლებულ ქვეყნებში, ვაშინგტონის მოწინააღმდეგე თავისთავად გახდა ე. წ. „მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნები“.

იმავდროულად საბჭოთა კავშირის ურთიერთობები გამწვავდა იაპონიასთან. გერმანიის „გაერთიანება“ კი დასრულდა ბერლინის კედლის აგებით. ყველაფერი დამთავრდა კი იმით, რომ დალასში მოკლეს ამერიკის ახალგაზრდა პრეზიდენტი ჯონ კენედი, რომლის ბურუსითა მოცული მკვლელობის საქმის დეტალები დღემდე გრიფ „სრულიად საიდუმლოს“ ექვემდებარება.

* * * *

გასართობი ჩანართი

XX საუკუნის 60-იანი წლების დასაწყისისთვის აშკარა გახდა. ორ გერმანიას შორის ურთიერთობა უიმედოდ გაფუჭდა. მსოფლიო ახალი გლობალური ომის საშიშროების წინაშე აღმოჩნდა და დაძაბულობა დასავლეთსა და სსრკ-ს შორის იზრდებოდა. გარდა ამისა, აშკარა გახდა ორი ბლოკის ეკონომიკური განვითარების ტემპებში უზარმაზარი სხვაობა. მარტივად რომ ვთქვათ, უბრალო გერმანელისათვის გასაგები იყო, დასავლეთ ბერლინში ცხოვრება ბევრად უფრო კომფორტული და მოსახერხებელია, ვიდრე აღმოსავლეთში. ხალხი გაემართა დასავლეთ ბერლინში და ნატოს დამატებითი ჯარები განლაგდნენ იქ. ევროპაში ქალაქი შეიძლება გამხდარიყო „ცხელი წერტილი".



ბერლინის კედელი

გდრ-ს ხელისუფლებამ გადაწყვიტა ქალაქის კედელი გადაეკეტა, რაც შეუძლებელს გახდიდა ოდესღაც ერთი დასახლების მცხოვრებლებს შო-

რის ყველანაირი კონტაქტის განხორციელებას. ფრთხილად მომზადების, მოკავშირეებთან კონსულტაციების და სსრკ-სთან სავალდებულო დამტკიცების შემდეგ, 1961 წლის აგვისტოს ბოლო ღამეს, მთელი ქალაქი ორად გაიყო[127, 195-215].

* * * *

გასართობი ჩანართი

მსოფლიო 13 დღის განმავლობაში სულგანაბული უყურებდა აშშ-ისა და საბჭოთა კავშირის დაპირისპირებას ბირთვული ომის ზღვარზე. კრიზისის კულმინაცია იყო ამერიკის ხელმძღვანელობის განკარგულება კუბის სამხედრო-საზღვაო ბლოკადის თაობაზე რათა საბჭოთა კავშირი ეიძულებინა, ამ ქვეყნის ტერიტორიაზე განლაგებული თავისი ატომური რაკეტები წაეღო.

მხოლოდ წყალქვეშა ნავების ეკიპაჟების ხელმძღვანელობამ იცოდა, რომ „სუბმარინის" ბორტზე ბირთვული იარაღი იდო, რომლის გამანადგურებელი სიმძლავრე 1945 წელს ნაგასაკსა და ხიროსიმაში ჩამოყრილი ბომბების ტოლფასი იყო. ვასილ არხიპოვი იყო ერთ-ერთი იმ სამი უფროსი ოფიცრიდან, რომლებიც წყალქვეშა ნავს მეთაურობდნენ. „სუბმარინს" აშშ-ის მიერ კუნძულის ირგვლივ მოწყობილი საზღვაო ბლოკადა უნდა გაერღვია და წყალქვეშა ნავების ბაზა უნდა გაეკეთებინა კუბის ჩრდილოეთ სანაპიროზე. მაგრამ კუნძულის ახლოს საბჭოთა „სუბმარინს" უკვე ელოდნენ ამერიკული ვერტმფრენები, გემები და თვითმფრინავები. მეთაურებმა ექსტრემალური ჩაძირვის ბრძანება გასცეს. ამერიკელები რამდენიმე დღის განმავლობაში ნადირობდნენ „სუბმარინზე" და წარმოდგენაც არ ჰქონდათ, რომ მასზე იდო ბირთვული იარაღი, რომელსაც შეეძლო, თვალის დახამხამებაში გაენადგურებინა მთელი მათი ფლოტი. მთელი ამ დროის განმავლობაში 60 გრადუს სიცხეში საბჭოთა წყალქვეშა ნავის კაიუტებში ისხდნენ ეკიპაჟის წევრები და ამ დროს თითეულ მათგანს დღეში მხოლოდ ერთი ჭიქა წყალი სვამდა.

„სუბმარინს" ბრძანება ჰქონდა მიცემული, თუ სამივე მეთაური შეთანხმდებოდა, გამოეყენებინათ ბირთვული იარაღი. ვინაიდან ამერიკელები წყალქვეშა ბომბებს ისროდნენ, რათა „სუბმარინი" აღმოეჩინათ, ეს მისი ეკიპაჟის თვალში ძალიან გავდა ომის დაწყებას და ერთ-ერთმა კაპიტანმა,

ვალენტინ სავიცკიმ გამოთქვა კიდევაც საკუთარი პოზიცია, გამოეყენებინათ ბირთვული იარაღი.



ვასილ არხიპოვი

ვინც მტკიცედ აცხადებდა უარს ამ გადაწყვეტილებაზე, არხიპოვი იყო. მან ბოლომდე წარმოუდგენელი ცივსისხლიანობა შეინარჩუნა და ბოლომდე არ გადათქვა საკუთარი გადაწყვეტილება.

სულ რამდენიმე საათის შემდეგ აშშ-ის პრეზიდენტი ჯონ კენედი და საბჭოთა ლიდერი ნიკიტა ხრუშოვი მივიდნენ შეთანხმებამდე, რომლის შედეგადაც კარიბის კრიზისი ომის გარეშე დასრულდა.

ვასილ არხიპოვი თანამდებობიდან გადადგა კონტრ-ადმირალის წოდებით. იგი 1999 წელს გარდაიცვალა. საბჭოთა წყალქვეშა გემების ამ მოგზაურობის შესახებ კი მხოლოდ 2002 წელს გახდა ცნობილი. კარიბის კრიზისის ერთ-ერთმა სპეციალისტმა ტომას ბლენტონმა განაცხადა: „ბიჭმა, რომლის გვარია არხიპოვი, მსოფლიო გაადარჩინა“.

****

1968 წელს ამერიკის საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა რ. ნიქსონმა, რომელსაც აფინანსებდნენ როკფელერები[128, 41]. ანუ გაიმარჯვა ხიდების აღდგენის სტრატეგიის დაჯგუფებამ. ეს დიდი მოვლენა იყო არა მარტო ამერიკის, არამედ მსოფლიო პოლიტიკაში.


საერთოდ უნდა ითქვას, რომ მე-20 საუკუნის შუა ხანებში წამყვან კაპიტალისტურ ქვეყნებში გამოიკვეთა შემდეგი პროცესი. შემცირდა წარმოება და ძირითადი ადგილი დაიკავა მომსახურების სფერომ. მკვლევარები წერენ, რომ „მომსახურების სფეროს წილი აშშ-ში 30%-დან გაიზარდა 70%-მდე. რის შემდეგაც იქნა გაცხადებული, რომ კაცობრიობა შევიდა „პოსტინდუსტრიულ ეპოქაში"[129, 86-87]. ეს იმას არ ნიშნავდა, რომ სამრეწველო წარმოება კი არ გაქრა, არამედ მან იწყო გადაადგილება ნედლეულთან, ანუ იქ სადაც იმყოფებოდა იაფი მუშახელი.

იმავდროულად წამყვან ქვეყნებში მოხდა სამრეწველო წარმოებაში სტრუქტურული ცვლილებები, რაც გამოიხატა ტრადიციული წარმოების(მანქანათმშენებლობა, მეტალურგიის) როლის შემცირებით და წარმოების ახალი დარგების(კომპიუტერები, კავშირგაბმულობის საშუალებები) წილის გაზრდით. ტრადიციულ წარმოებაში მოხდა აგრეთვე სამოქალაქო წარმოების შემცირება და სამხედრო წარმოების გაზრდა.

ძალიან დიდი ცვლილებები მოხდა მსოფლიო ფინანსურ პროცესებში. 1971 წლის 15 ივლისს აშშ-მ 1894 წლის, შემდეგ პირველად განაცხადა თავის სავაჭრო დეფიციტზე და შეწყვიტა დოლარის გადაცვლა ოქროზე, რამაც 90 დღის მანძილზე გაყინა ფასები. რამაც 10%-ით გაზარდა იმპორტი. ასეთ პირობებში მოხდა ხელისმოწერა საბჭოთა კავშირ - გფრ-ს ხელშეკრულებაზე, რომელმაც მოახდინა მოსკოვისა და ბონის ურთიერთობების ნორმალიზება.

1972 წლის 22-30 მაისს მოსკოვში პირველად ჩამოვიდა ამერიკის პრეზიდენტი რ. ნიქსონი. ვიზიტისას ხელი მოეწერა

ხელშეკრულებას რაკეტსაწინაღმდეგო თავდაცვითი სისტემის შეზღუდვის შესახებ. მიღწეულ იქნა დროებითი შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების ზოგიერთ სფეროში[130, 354-355].



რიჩარდ ნიქსონი

ერთ-ერთ მაშინდელ საბჭოთა ფუნქციონერს თავის დღიურში ჩაუწერია: „როგორადაც არ უნდა იყოს რუბიკონი გადალახულია. რუბიკონი მსოფლიო ისტორიისა. 1972 წლის მაისის ამ დღეებიდან იწყება კონვერგენციის ერის დათარიღება"[131, 20]. 1973 წლის 22 ივნისს ვაშინგტონში ლ. ბრეჟნევმა ხელი მოაწერა უვადო „შეთანხმებას ბირთვული ომის აცილების შესახებ". მიღწეული იქნა მოსკოვსა და ვაშინგტონს შორის თანხმობა „სტრატეგიული შეტევითი იარაღის შეზღუდვის ძირითადი პრინციპების შესახებ"[130, 355-356]. 24 ივნისს საბჭოთა ლიდერმა ლ. ბრეჟნევმა მრავალმნიშვნელოვნად განაცხადა: „ცივი ომი დამთავრდა".



ლეონიდ ბრეჟნევი

ამ პროცესების კვალდაკვალ იმავე წლის 3 ივლისს გაიხსნა ევროპის უშიშროების კონფერენცია, სადაც ფორმულირებული იქნა სახელმწიფოთაშორისო ურთიერთობების ახალი პრინციპები. ჰელსინკის დასკვნით აქტს კი ხელი მოეწერა 1975 წლის 1 აგვისტოს.

იქმნებოდა შთაბეჭდილება თითქოსდა საღმა აზრმა გაიმარჯვა, მაგრამ ის-ის იყო დაიწყო მოლაპარაკებები ჰელსინკში, რომ დაიწყო „ენერგეტიკული კრიზისი", რომლის შედეგადაც ნავთობზე ფასები რამდენიმე თვის განმავლობაში 2-3 ჯერ გაიზარდა და მიაღწია 12-13 დოლარს ბარელზე(1 ბარელი= 158.99 ლიტრს) [130, 370-371].

„ენერგეტიკულ კრიზისს" ჰქონდა უდიდესი გავლენა მსოფლიო ეკონომიკაზე, სახელდობრ: 1. მისი გავლენით დაიწყო ფასების ცვლილებები სხვადასხვა საქონელზე. 2. ფასების ცვლილების შედეგად მოხდა აშშ დოლარის დევალვაცია. 3 „ფასების

რევოლუციამ" ფაქტობრივად ააფეთქა შექმნილი ეკონომიკური წესრიგი, რის შედეგადაც დაიწყო მსოფლიო ეკონომიკური ომი. 4. ამ ომმა დაასამარა დაწყებული განიარაღება.

სწორედ ეკონომიკური კრიზის შედეგად:

1974 წლის მარტში გადადგა ბრიტანეთის მთავრობა ედუარდ ჰიტის მეთაურობით. მაისში იძულებული გახდა თანამდებობიდან წასულიყო გფრ-ს კანცლერი ვილი ბრანდტი. იმავე წლის მაისში საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნებზე გაიმარჯვა ვ. ჟისკარ დესტენმა. ივნისში ისრაელში იცხაკ რაბინმა შეცვალა გოლდ მეიერი. აგვისტოს დასაწყისში „უოტერგეიტის საქმის" შედეგად გადადგა აშშ პრეზიდენტი რიჩარდ ნიქსონი. ნოემბერში კი თანამდებობა დატოვა იაპონიის პრემიერ-მინისტრმა კ. ტანაკამ.

აღნიშნულმა პროცესმა ადექვატური ასახვა ჰპოვა საერთაშორისო ურთიერთობებზე. 1974 წლის 13 დეკემბერს ამერიკის სენატმა მიიღო ჰენრი ჯექსონისა და ჩარლზ ვენიკის შესწორება, რომელიც ეხებოდა საბჭოთა კავშირთან ვაჭრობას და რომელიც მათი აზრით ატარებდა დისკრიმინაციულ ხასიათს. ამიტომაც 1975 წლის იანვარში საბჭოთა მხარემ მოახდინა „1972 წლის საბჭოთა კავშირ-აშშ-ს სავაჭრო შეთანხმების" დენონსირება130, 380].

დაიწყო „ცივი ომის" ახალი გამწვავება, რომელსაც თან ახლდა დასავლეთის სახელმწიფოების ინტეგრაციის გაძლიერება, ხოლო „მსოფლიო სოციალისტური სისტემის" ქვეყნებს შორის დეზინტეგრაცი. როგორც ცნობილია ჯერ კიდევ 1957 წელს შეიქმნა რომში ევროპის ეკონომიკური კავშირი, რომელშიც თავდაპირველად შედიოდა 6 ქვეყანა. 1973 წლისათვის მათმა რაოდენობამ შეადგინა ჩვიდმეტი, 310 მლნ მოსახლეობით[132].

იმავდროულად ახალ სტადიაში შევიდა გლობალიზაციის პროცესი.

არსებული რთული ვითარების შესწავლის შემდეგ მსოფლიოში ცნობილი პოლიტიკოსები და სამეცნიერო წრები მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ მომავალი ასწლეულის დასაწყისში მსოფლიო

შეეჯახებოდა ისეთ ურთულეს პრობლემებს, როგორიც იქნებოდა ნედლეულის და ენერგეტიკული რესურსების ამოწურვა. გაკეთდა დასკვნა, რომ აუცილებლობას წარმოადგენდა მსოფლიო მასშტაბით ეკონომიკის რეგულირება. ამიტომაც 1968 წელს შეიქმნა სამეცნიერო ორგანიზაცია, რომელმაც მიიღო „რომის კლუბის" სახელწოდება[133, 123-146].

*****

გასართობი ჩანართი

თანამედროვე მკვლევარების აზრით, რომის კლუბი არასოდეს გაიხილავდა საბჭოთა კავშირს „ოქროს მილიარდად". მათ სსრკ მიაჩნდათ დასავლეთის ნედლეულის დანამატად. უფრო სწორად, იმის გათვალისწინებით, რომ რომის კლუბში წევრების უმეტესობა ევროპის ქვეყნებს წარმოადგენდა, საბჭოთა კავშირი უნდა გამხდარიყო ევროპის ნედლეულის დანამატი. რომის კლუბში ა. კოსიგინის სიძე ჯ. გვიშიანი 100 მოქმედ პირს შორის სრულუფლებიან წევრად მიიღეს. რომის კლუბის წევრები დაარსების პირველივე დღიდან აწარმოებდნენ მოლაპარაკებებს სპეციალური კვლევითი ინსტიტუტის შექმნაზე, რომელიც გლობალურ პრობლემებზე კვლევებს ჩაატარებდა. ამ მოლაპარაკებების შედეგად, 1972 წლის ოქტომბერში ლონდონში ჩატარდა საერთაშორისო კონფერენცია, რომელშიც მომნაწილეობდნენ რომის კლუბის წევრი 15 ქვეყნის მაღალი თანამდებობებისა პირები და საპატიო. ამ კონფერენციაზე დაფუძნდა გამოყენებითი სისტემების ანალიზის საერთაშორისო ინსტიტუტი (IIASA- (International Institute for Applied Systems Analysis,)

*****

გასართობი ჩანართი

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის კოსიგინის ერთადერთი ქალიშვილი, ლიუდმილა, დაქორწინებული იყო ჯერმენ გვიშიანზე. ჯერმენის მამამ, მ. გვიშიანმა სახელმწიფო უსაფრთხოების უწყებებში მუშაობა საქართველოში, ლ. ბერიას ხელმძღვანელობით ჯერ კიდევ 1920-იან წლებში დაიწყო. 1938 წელს როდესაც ბერია გახდა ნკვდ-ს ხელმძღვანელი, მან თან წაიყვანა მ. გვიშიანი მოსკოვში შინსახკომის ცენტრალურ

აპარატში. შემდეგ მ. გვიშიანი დანიშნა შინსახკომის-ს რამდენიმე რეგიონალური სამმართველოს ხელმძღვანელად. 1945 წელს მ. გვიშიანს მიანიჭეს გენერალ-ლეიტენანტის წოდება. ბერიას დაპატიმრების შემდეგ შინაგან საქმეთა სამინისტრომ დაიწყო მისი უახლოესი მხარდამჭერების წმენდა. მ. გვიშიანი გადაიყვანეს თადარიგში ფორმულირებით „სამსახურისათვის შეუსაბამო“. 1954 წელს მას ჩამოართვეს სამხედრო წოდება. ჯ. გვიშიანი მამის კვალს არ გაჰყოლია. იგი მუშაობდა მეცნიერებისა და ტექნოლოგიების სახელმწიფო კომიტეტში. 1965 წლიდან გახდა ამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე. იგი ითვლებოდა მმართველობის და სოციალური პრობლემების დარგის სპეციალისტად.

*****

რაც უფრო მეტად ფეთქებადსაშიში ხდებოდა საერთაშორისო მდგომარეობა მით უფრო მეტად საგანგაშო სიტუაცია იქმნებოდა მსოფლიო სოციალისტური სისტემის შეგნით. რაც უფრო არახელსაყრელი ხდებოდა საბჭოთა ეკონომიკის განვითარება, მით უფრო ფართოდ იზრდებოდა უკმაყოფილება არსებული პოლიტიკური რეჟიმის გამო საბჭოთა საზოგადოებაში.

ყოველივე ამ პროცესის გამოვლინებას წარმოადგენდა საბჭოთა კავშირში აღმოცენებული დისიდენტური მოძრაობა, რომელთა რიცხვი თავად დისიდენტ ვ. ბუკოვსკის შეფასებით შეადგენდა დაახლოებით 10 ათასამდე კაცს[134]. აქტიურ დისიდენტებთან ერთად არსებობდა პასიური დისიდენტები, რომელთაც საკმაოდ მახვილგონივრულად უწოდეს „შინა ემიგრაცია“.

სუკი-ს მონაცემებით საბჭოთა კავშირში პოტენციური მტრული კონტიგენტის რაოდენობა შეადგენდა 8,5 მლ ადამიანს[135, 30]. უფრო მრავალრიცხოვანი იყო იმ ოპოზიციის ნაწილი, რომელთაც სურდათ არა არსებული პოლიტიკური სისტემის განადგურება, არამედ მისი რეფორმირება. კვლევების შედეგად ფიქრობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლების ოპოზიციაში იმყოფებოდა დაახლოებით მოსახლეობის 1/5. უფრო მეტიც არსებული მდგომარეობით მასობრივ უკმაყოფილებას ჰქონდა ადგილი.

აშკარა იყო რომ სისტემა განიცდიდა ლპობას. საჭირო იყო რადიკალური რეფორმების ჩატარება, მაგრამ ამის თავი და სურვილი ხელისუფლება არ გააჩნდა.

პასიური ოპოზიცია იმყოფებოდა საბჭოთა საზოგადოების ყველა უბანზე. მათ შორის პარტიის შიგნით, პარტიულ და სახელმწიფო აპარატში.

ხდებოდა ხელისუფლების თავისებური დეიდეოლოგიზაცია- აღნიშნავდა სკკპ ცკ-ის ერთ-ერთი ყოფილი პარტიული მუშაკი. მარქსიზმ-ლენინიზმის ეროზიამ მოიცვა ყველა და ყველაფერი. პარადოქსია, მაგრამ ფაქტი, ამ მხრივ ხელმძღვანელობამ და აპარატმა წინ გადაუსწრეს საზოგადოებას. რის შედეგადაც იდეოლოგია იქცა ნიღბად, რომელიც იფარებოდა ბელადთა უიდეობით[136, 37].

ა. იაკოვლევი წერდა: „სკკპ ცკ-ში მოღვაწე პირები, რომლებიც დახლოებით ოცი წელი მუშაობდნენ აგიტაციისა და პროპაგანდის განყოფილებაში იყვნენ მგრძნობიარეები, სულელები და ბრიყვები. მაგრამ ყველა მათგანი იყო ცინიკოსი. ყველანი ერთიანად და მათ შორის მეც. საჯაროდ ლოცულობდნენ ცრუკუმირებზე. ნამდვილ რწმენას კი ინახავდნენ საკუთარ თავში"[137, 13].

იმდროინდელი თანამშრომლები იგონებენ, რომ სკკპ აპარატში კომუნისტური იდეალებისა თითქმის არავის სჯეროდა. უფრო მეტიც 1970-იანების მეორე ნახევარში კომუნისტური იდეალებით ტვინი გაყინული ჰქონდათ მხოლოდ ანდროპოვს, სუსლოვს, პონომარიოვს და გარკვეულწილად გრომიკოსაც.

1972 წლიდან ბრეჟნევის ჯანმრთელობის ოფიციალური მდგომარეობა ცნობილი იყო ი. ანდროპოვისათვის. 1975 წლიდან კი ქვეყანაში მეორე კაცის მ. სუსლოვისათვისაც. 1978 წლიდან კი დასკვნები სკკპ გენერალური მდივნის ავადმყოფობის შესახებ გადაეცემოდა პოლიტბიუროს, მაგრამ მაგრამ მათი მხრიდან რეაგირება იყო ნული. ვინაიდან ღონემიხდილი და ავადმყოფი ბრეჟნევი აწყობდა ყველას. ე. ჩაზოვის მოწმობით ორი კაცი: სუკ-ის თავმჯდომარე ი. ანდროპოვი და კ. ჩერნენკო ძლიერი

პარტიული ბიუროკრატიით უნარჩუნებდა ლ. ბრეჟნევს თანამდებობას [138, 23].

ლ. ბრეჟნევი, როგორც წყაროები მოწმობენ ძალიან გამოცდილი იყო საბჭოთა პარტიულ ორგანოებში ინტიგრნულ ბრძოლებში. მიუხედავად ყველაფრისა მას მაინც ეშინოდა ანდროპოვის, ამიტომაც დაუსვა მას მოადგილეებად-ცვიგუნი და ცინაევი, რომლებიც ვერ იტანდნენ ერთმანეთს.

*****

გასართობი ჩანართი

ვიეტნამი

მეორე მსოფლიო ომის დროს, 1941 წელს, ჩინეთის ტერიტორიაზე შეიქმნა ვიეტნამის დამოუკიდებლობის ლიგა (ვიეტნამი). ლიგაში შედიოდა სხვადასხვა ქვეყნის დამოუკიდებლობის მომხრე პოლიტიკური ძალა. ვიეტნამი იმ დროს საფრანგეთის კოლონიას წარმოადგენდა.

ომის დროს იაპონელებმა დაიკავეს ვიეტნამის ტერიტორია, რომელთა წასვლის შემდეგ, 1945 წლის სექტემბერში, ვიეტნამურმა ერთეულებმა ისარგებლეს ანარქიის უპირატესობით, დაიკავეს ჰანოი და გამოაცხადეს ვიეტნამის დამოუკიდებელი დემოკრატიული რესპუბლიკა. სინამდვილეში, ვიეტნამში კონფლიქტი გაჩაღდა 1945 წლიდან, როდესაც ადგილობრივმა ძალებმა, კომუნისტების მეთაურობით ბრძოლა დაიწყეს დამოუკიდებელობისათვის ფრანგი კოლონიალისტების წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, საფრანგეთი არ აპირებდა თავის კოლონიების გაშვებას ინდოჩინეთში. ფრანგულმა საექსპედიციო ძალები სამხრეთ ვიეტნამში დაეშვა და ამ ტერიტორიებზე კონტროლი აიღო, თუმცა ვერ მოახერხა ქვეყნის ჩრდილოეთ ნაწილის დაპყრობა.

1946 წლის ბოლოს უშედეგო მოლაპარაკებების შემდეგ დაიწყო ფართომასშტაბიანი ომი, რომლის დროსაც საფრანგეთი დაუპირისპირდა ვიეტნამელ კომუნისტებს, რომლებიც წარმატებულ პარტიზანულ ომს აწარმოებდნენ კოლონიალისტების წინააღმდეგ.

ეს დაპირისპირება „ცივი ომის“ ერთ-ერთი პირველი ცხელი წერტილია, რომელშიც სოციალიზმის და დასავლური ბლოკის ქვეყნები ერთმანეთს დაუპირისპირდნენ, რომელთა ლიდერები იყვნენ სსრკ და აშშ.

1964 წლის 2 აგვისტოს აშშ-ს საზღვაო ძალების გამანადგურებელმა „მედოქსზე", რომელიც იმყოფებოდა ტონკინის ყურის წყლებში, ჩრდილოეთ ვიეტნამის სატორპედო კატარღებზე მიიტან იერიში. ამერიკელების ვერსიით მათი გემი საერთაშორისო წყლებში იმყოფებოდა, ხოლო ჩრდილოელ ვიეტნამელთა თქმით, იგი შეიჭრა მათი ქვეყნის ტერიტორიულ წყლებში.

ორი დღის შემდეგ, ამერიკელებმა გამოაცხადეს ვიეტნამელთა ახალი შეტევა თავიანთ გემებზე, თუმცა ამ შემთხვევაში არ ჰქონდათ ამის არანაირი მტკიცებულება, რომ ის ნამდვილად მოხდა. ამის მიუხედავად, აშშ-ს პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა ბრძანება გასცა დაებომბათ ჩრდილოეთ ვიეტნამის ტერიტორია.

„ტონკინის ინციდენტი" იყო იმის შესაძლებლობა, რომ შეერთებული შტატები სრულად შესულიყო ვიეტნამის ომში. ამ თვალსაზრისით ფაქტობრივად აშშ უკვე კონფლიქტის ყველაზე აქტიური მხარე იყო.

1950 წლიდან, შეერთებულმა შტატებმა დაიწყო ვიეტნამში საფრანგეთის ჯარებისთვის სამხედრო დახმარების გაწევა. ოთხი წლის შემდეგ ვაშინგტონმა საფრანგეთს საომარი მოქმედებების ხარჯების 80 პროცენტი გადაიხადა, რათა პარიზს გაეგრძელებინა საომარი მოქმედებანი.

1954 წლისთვის ომი შეწყდა. ჟენევის ხელშეკრულებების თანახმად, ჩრდილოეთ ვიეტნამმა, რომელსაც კომუნისტების ლიდერი ხო ში მინი ხელმძღვანელობდა, მოიპოვა დამოუკიდებლობა. სამხრეთ ვიეტნამში, შეთანხმებების თანახმად, თავისუფალი არჩევნები უნდა ჩატარებულიყო. იმავდროულად აშშ-ს მხარდაჭერით, სამხრეთ ვიეტნამში გაძლიერდა ანტიკომუნისტური რეჟიმი, რომელმაც უარი თქვა ჟენევის შეთანხმებების შესრულებაზე. სამხრეთ ვიეტნამის ეროვნულ-განმათავისუფლებელმა ფრონტმა, რომელიც ოპოზიციურ ჯგუფთა უმეტესობას აერთიანებდა შეიარაღებული ბრძოლა დაიწყო ამერიკელ დამრიგებელთა წინააღმდეგ,.

სამხრეთ ვიეტნამის შეიარაღებული ძალების წინააღმდეგობის გასანადგურებლად აშშ-მ მის მიერვე მხარდაჭერილი ძალების რამოდენიმე წლის უნაყოფო მცდელობის შემდეგ, გადაწყვიტა უშუალოდ ჩარევა კონფლიქტში. მანვე დაარტყა აგრეთვე პარტიზანული ჩრდილოეთ ვიეტნამიდან მომდინარე მხარდაჭერილ პარტიზანულ მოძრაობას.

ჩრდილოეთ ვიეტნამი სარგებლობდა სოციალისტური ბლოკის ქვეყ-

ნების მხარდაჭერით. ჰანოის განსაკუთრებით აქტიური დახმარებაა უწევდნენ სსრკ და ჩინეთი. კორეის ომისგან განსხვავებით, პირდაპირ საომარი მოქმედებებში, საბჭოთა და ჩინელი სამხედრო სპეციალისტები მონაწილეობდნენ ძალიან შეზღუდულად. პირველ რიგში, სამხედრო სპეციალისტები ყურადღებას ამახვილებდნენ ვიეტნამის სამხედრო პერსონალის მომზადებაზე. მთელი კონფლიქტის განმავლობაში, ვიეტნამში საბჭოთა დანაკარგებმა შეადგინა დაახლოებით 500 კაცი, ხოლო ჩინელებისა 1000 ადამიანი. უფრო მეტიც, ჩინელების უმეტესობა იყო ამერიკული დაბომბვის მსხვერპლი და არა საბრძოლო შეტაკებების.

ოფიციალური მონაცემებით, ვიეტნამის ომის დროს დაილუპა აშშ-ს 58000 და დაიჭრა 303 000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი.

სამხრეთ ვიეტნამის მხარეზე კიდევ რამდენიმე ქვეყანა იბრძოდა. 1964 წელს, აშშ-ს პრეზიდენტმა ლინდონ ჯონსონმა სიტყვით გამოსვლისას, მოუწოდა „მეტი დროშები გამოსულიყო სამხრეთ ვიეტნამის გადასარჩენად". უპირველეს ყოვლისა, ეს ეხებოდა აზია-წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნებს. „საერთაშორისო კოალიცია" უნდა ყოფილიყო აშშ-ს ქმედებების გამამართლებელი მსოფლიო არენაზე - რათა ვაშინგტონს აელო კოალიციის ლიდერის როლი „კომუნისტური ინფექციის" წინააღმდეგ.

აშშ-ს სამხრეთ კორეის სახით ჰყავდა ისეთი მოკავშირე, რომელიც დაუფიქრებლად გაგზავნიდა ჯარისკაცებს ვიეტნამში. 1954 წლის დასაწყისში სამხრეთ კორეის პრეზიდენტმა ლი სინ მანმა ვაშინგტონს შესთავაზა ჯარების გაგზავნა ვიეტნამში, მაგრამ მისი წინადადებაზე უარი თქვა სახელმწიფო დეპარტამენტმა. ათი წლის შემდეგ სიტუაცია შეიცვალა. თავდაპირველად ვიეტნამში ჩავიდნენ კორეელი ექსპერტები: ტაეკვონდოს ათი ინსტრუქტორი, ოცდაოთხი ოფიცერი და ოთხმოცდაექვსი სამხედრო ექიმი.

1965 წლიდან სამხრეთ კორეამ დაიწყო დიდი სამხედრო შენაერთების გადასროლა სამხრეთ ვიეტნამში. 1965 წლის ოქტომბერ-ნოემბერში ვიეტნამში ჩავიდნენ მე-2 საზღვაო კორპუსის განყოფილება „ცისფერი დრაკონის" ფეხოსნები და დივიზია „თეთრი ცხენის", რომელთა რაოდენობა შეადგენდა 20,000-ზე მეტ ადამიანს

სამხრეთ კორეის მთავრობა ჯარების გააგზავნა იმ პირობით, რომ

შეერთებულმა შტატებს უნდა განეხორციელებინა მათი ლოჯისტიკა და აგრეთვე უზრუნველყო თანამედროვე იარაღის მიწოდებით.

კონფლიქტის პიკისას სამხრეთ კორეის ძალების ჯგუფმა ვიეტნამში შეადგინა დაახლოებით 50 ათასი ადამიანი.

ვაშინგტონმა სეულის ეს მისია დააფასა ფინანსური შეღავათებით. სამხრეთ კორეის ეკონომიკაში ინფუზიური როლი შეასრულეს აშშ-ს ევროპელმა ნატოელმა პარტნიორებმა.

ამერიკელი გენერლები თავიანთ მოკავშირეს ახასიათებდნენ, როგორც შემსრულებელ და გაბედულ მეომრებს, რომელნიც მიდრეკილნი იყვნენ სისასტიკისა და ძალადობისკენ.

ამერიკელთა მიერ ჩატარებულმა სპეციალურმა გამოძიებამ აჩვენა, რომ კორეელებმა სადამსჯელო მოქმედებები ჩაატარეს ვიეტნამის სოფლებში, რის შედეგადაც მხეცურად გაუსწორდენ მშვიდობიანი მოქალაქეებს. სამხრეთ კორეის კონტინგენტის სარდალი, გენერალი ჩაი მიუნგ სინ, ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ პარტიზანებმა გაანადგურეს სამოქალაქო პირები, მაგრამ ფაქტები მიუთითებდა კორეელი ჯარისკაცების ჩადენილ საშინელ დანაშაულზე.

მართალია, მათ არავითარი სასჯელი არ მიუღიათ, მაგრამ ვიეტნამის კულტურისა და კომუნიკაციების სამინისტროს ცნობით, კორეელთა ხელით დაიღუპა 41000-ზე მეტი ვიეტნამელი ჯარისკაცი და, ისევე 5000-ი მშვიდობიანი მოქალაქე.

2001 წელს კორეის რესპუბლიკის პრეზიდენტმა კიმ დჯე ჩჯუნმა სამძიმარი გამუცხადა ვიეტნამელ ხალხს ომის დროს კორეული ჯარების ქმედებათა გამო.

საერთო ჯამში, კონფლიქტის დროს ვიეტნამში გაიარა 300 ათასზე მეტი კორეული ჯარისკაცმა. მათგან დაიღუპა 5099, ხოლო 11000-ზე მეტი დაიჭრა.

ავსტრალია, 1960-იანი წლების დასაწყისიდან როგორც ANZUS-სა და SEATO-ს სამხედრო შეთანხმებების წევრი, სამხრეთ ვიეტნამის არმიას ტექნიკურ დახმარებას უწევდა. 1962 წელს საიგონში ჩავიდნენ ავსტრალიის 30 სამხედრო მრჩეველი.

აშშ-ს სამხედრო ყოფნის გაფართოებასთან ერთად, გაფართოვდა მოკავშირე ქვეყნების კონტინგენტებიც. 1965 წლის ივნისში ავსტრალიამ ან-

ტი-პარტიზანული ომის საწარმოებლად სამეფო პოლკის ჯარისკაცების ბატალიონი გადაისროლა ვიეტნამში. 1966 წელს ავსტრალიის მთავრობამ მნიშვნელოვნად გაზარდა კონფლიქტში მონაწილე ძალები.

1969 წლისთვის, ავსტრალიის კონტინგენტი იყო თითქმის 7,700 ჯარისკაცი და ოფიცერი. სახმელეთო ძალების გარდა, ვიეტნამში მოქმედებდნენ ავსტრალიური ვერტმფრენის მფრინავები და სხვა დანაყოფები. ჯამში მთელი ომის განმავლობაშიომში 6000 ავსტრალიელმა მიიღო მონაწილეობა.

ავსტრალიის ერთეულებთან ერთად, ახალ ზელანდიის ჯარებიც იღებდნენ მონაწილეობას კონფლიქტში. კონფლიქტის დროს, მათი რიცხვი არ აღემატებოდა 552 ადამიანს, რაც მოიცავდა ქვეითი ბატალიონს, საარტილერიო ბატარეას და სპეციალური ძალების დანაყოფს. ომის წლებში ვიეტნამი დაახლოებით 3900 ახალზელანდიელმა გაიარა, მათგან 37 გარდაიცვალა, 187 კი დაშავდა.

1964 წელს ტაილანდმა ჯერ საჰაერო ძალების ჯგუფი გაგზავნა სამხრეთ ვიეტნამში, შემდეგ კი დაახლოებით 200 მეზღვაური. 1967 წელს ბრძოლებში ჩართო „სამეფო კობრას“ განყოფილება, რომელშიც 2000-ზე მეტი ჯარისკაცი შედიოდა,. 1970 წლისთვის, სამხრეთ ვიეტნამში ნებაყოფლობით საფუძველზე დაქირავებული ტაილანდელი ჯარისკაცების რაოდენობა 11,500-მდე გაიზარდა. მთლიანობაში, ვიეტნამში კონფლიქტის დროს დაილუპა 300-ზე მეტი ტაილანდელი სამხედრო მოსამსახურე.

ასევე იყო ქვეყნები, რომელთა სამხედრო მოსამსახურეები იყვნენ ვიეტნამში, მაგრამ უშუალოდ არ მონაწილეობდნენ საომარი მოქმედებებში. მაგალითად ტაივანის კონტინგენტი პასუხისმგებელი იყო „ფსიქოლოგიური ომის“ წარმოებაზე. ფილიპინების სამხედრო კონტინგენტი ძირითადად შედგებოდა დამხმარე ქვედანაყოფებისაგან, რომლებიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა პროგრამებში სამხრეთ ვიეტნამის მოსახლეობის დასახმარებლად და სხვადასხვა ობიექტების მშენებლობაში.

უცხოელმა სამხედრო კონტინგენტებმა ვიეტნამის დატოვება დაიწყეს მას შემდეგ, რაც ამერიკელებმა გადაწყვიტეს დაეტოვებინათ ვიეტნამი.

ფართო კოალიციის მიუხედავად ვაშინგტონმა ვერ გატეხა ვიეტნამი. თითქმის ყველა ქვეყანაში, რომლებიც ამერიკული კოალიციის ნაწილი იყო, ვიეტნამის ომმა ფართო პროტესტი გამოიწვია. ისინი დღეს სინანუ-

ლით იხსენებენ ამას, შეიძლება ითქვას, რომ ამ კონფლიქტისგან მათ სერიოზული დასკვნები გამოიტანეს.

ვიეტნამის ომის დროს დაიღუპა 2 მილიონი მშვიდობიანი მოქალაქე. ვიეტნამი აშშ-ს დაუჯდა 111 მილიარდი დოლარი. მიმდინარე ფასების თვალსაზრისით, ეს არის ტრილიონი. ომის წლებში ამერიკელებმა ვიეტნამში 6,7 მილიონი ტონა ბომბი ჩამოაგდეს. ეს არის თითქმის 2.5-ჯერ მეტი, ვიდრე გერმანიაში იქნა ჩამოგდებული 1939-1945 წწ.

დასავლეთს საციცოცხლოდ სჭირდებოდა საბჭოთა კავშირის ეკონომიკასთან კავშირები და მოსკოვის ჩართვა მსოფლიო ეკონომიკაში. ამიტომაც წერდა ჯერ კიდევ 1969 რომის კლუბის დაარსების ერთ-ერთი ინიციატორი ა. პეჩეი: „დასავლეთის ინიციატივით საბჭოთა კავშირმა უნდა გახსნას თავისი ბაზრები ადრინდელი „რკინის ფარდიდან“ ვლადივოსტოკამდე[133].

*****

გასართობი ჩანართი

გლობალიზაციის იდეოლოგიური საფუძვლების მომზადება 60-იან წლებში დაიწყო, როდესაც შეიქმნა რომის კლუბი, სადაც ქართველი მეცნიერები ჯერმენ გვიშიანი და გელოვანიც მონაწილეობდნენ. რომის კლუბი მეცნიერულად ამუშავებდა პლანეტის განვითარების სცენარებს. მაშინ მთავარ გამოწვევად მსოფლიო მოსახლეობის სწრაფი ზრდა, სიღარიბე, უთანასწორო განვითარება, ეკოლოგია და პლანეტის რესურსების ამოწურვადობა დასახელდა.

კლუბის შექმნის აქტუალობა სწრაფად დადასტურდა - საერთაშორისო არასამთავრობო არაკომერციული ორგანიზაციამ, რომელიც თავის რიგებში აერთიანებს მეცნიერებს, საზოგადო მოღვაწეებსა და საქმიანი ხალხს მსოფლიოს 30-ზე მეტი ქვეყნიდან, შეშფოთებულია ადამიანის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით დასავლეთში სამეცნიერო და ტექნოლოგიური რევოლუციის წინააღმდეგობრივი განლაგების და მათ სოციალურ-ეკონომიკურ და ეკოლოგიური შედეგები, რომელსაც შეუძლია რევოლუციამ და უკვე წამყვანი. რომის კლუბის წევრების ძალისხმევა მიზნად ისახავს ჩვენი დროის გადაუდებელი პრობლემების მოგვარებას, მათ შესწავლაში ახალი მიმართულების შემუშავებით, სახელწოდებით გლობალური მოდელირება. უმოკლეს ვადაში მან გავლენა

მოიპოვა და აქტიური გავლენა მოახდინა მსოფლიო საზოგადოებრივ აზრზე. მსოფლიოში უდიდესი სამეცნიერო ცენტრები შეუერთდნენ მუშაობას ცნობილი „რეპორტაჟების შესახებ რომის კლუბთან“ კვლევისა და მომზადების საქმეში; მაღალკვალიფიციური სპეციალისტები ასრულებენ კლუბის დავალებებს; სამთავრობო ორგანიზაციები, მსხვილი კომპანიები, საერთაშორისო ინსტიტუტები უზრუნველყოფენ სუბსიდიებს, აფინანსებენ პროექტებს; ევროპის, ჩრდილოეთ და ლათინური ამერიკის, აზიის, აფრიკის მრავალი ქვეყნის ლიდერები და წარმომადგენლები ინარჩუნებენ კონტაქტებს კლუბთან; საკლუბო კონფერენციები ჩატარდა ვენაში, პარიზში, ტოკიოში, ალჟირში, ბუდაპეშტში.

1970-იან და 1980-იან წლებში რომის კლუბმა მოხსენებების მთელი სერია დადო, რომელთაგან გამოვყოფდით მედოუზის „ზრდის ზღვარი“, მესაროვიჩის და პესტელის „კაცობრიობა გზაგასაყარზე“, იან ტინბერგენის „მსოფლიო წესრიგის გადახედვა“ და რომის კლუბის პრეზიდენტის აურელიო პეჩეის „ადამიანური თვისებები“. ორპოლუსიანი სისტემის რღვევის შემდეგ კი მნიშვნელოვანი იყო 1991 წელს კინგის და შნაიდერის „პირველი გლობალური რევოლუცია“, ასევე 1997 წელს ლოვინსების და ვაიცზეკერის „მეოთხე ფაქტორი“. ამ მოხსენებებში ბევრი კარგი იდეაა, სასარგებლო კაცობრიობისთვის. მაგრამ მმართველმა ელიტებმა ამოკრიბეს ისეთი იდეები, რომელიც მათ აწყობდათ თავისი გავლენების კიდევ უფრო განსამტკიცებლად. ერების სამართლიანი განვითარების და რესურსების გადანაწილების პრინციპები კი ნეოკონოლონიალურმა მიდგომებმა შთანთქეს. შრომის გეოგრაფიულმა დანაწილებამ, რეგიონების მიხედვით, გარკვეული შედეგი გამოიღო, მაგრამ მსოფლიო სისტემის კრიზისი გააღრმავა. შობადობის შემცირების სანაცვლოდ მრეწველობის ჩინეთში კონცენტრაციამ ჩინეთს კი უშველა, მაგრამ აშშ—ში და სხვა ქვეყნებში მოსახლეობის გაღარიბება დაიწყო. იან ტინბერგენი ახსენებს მსოფლიო მთავრობის ფორმირების შესაძლებლობას და ამბობს, რომ მის ჩამოყალიბებას დააჩქარებს რამდენიმე ფაქტორი: პლანეტარული მასშტაბის პანდემია, პლანეტის ეკოლოგიური კატასტროფა, დედამიწისკენ მომავალი ასტეროიდი ან სხვა საფრთხე კოსმოსიდან.



აშშ-ის სახელმწიფო ბეჭდის უკანა მხარე (1776). ლათინური ფრაზა „Novus Ordo Seclorum“ (ახალი მსოფლიო წესრიგი) ბეჭედზე გამოჩნდა 1782 წლიდან, ერთ დოლარიან ბანკნოტზე კი 1935 წლიდან.

*****

1972 წელს შეიქმნა „სამმხრივი კომისია“. 1975 წლის 3 მარტს ამ ორგანიზაციის აღმასრულებელმა მდივანმა ზ. ბჟეზინსკიმ გამოაქვეყნა ჟურნალ „ნიუ-იორკ მეგეზინის“ ფურცლებზე საპროგრამო სტატია, რომელშიც გაანალიზებული იყო მსოფლიოში არსებული ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობა.

1973-1974 წლებში შეთანხმებული მოქმედებისათვის ჩატარდა ექვსი წამყვანი ქვეყნის(აშშ, საფრანგეთი, დიდი ბრიტანეთი, იტალია, იაპონია) ფინანსთა მინისტრების შეხვედრები. 1976 წელს მასზე მიიწვიეს კანადის პრემიერ-მინისტრი. ამ დროიდან შეხვედრებმა მიიღო რეგულარული ხასიათი და მიიღო სახელწოდება „დიდი შვიდეული“[139, 16-40]. მაშასადამე 1970-იანი წლების მეორე ნახევარში კრემლი აღმოჩნდა ეკონომიკა გაერთიანებული დასავლეთი ევროპის წინაშე, რომლის ლიდერსაც წარმოადგენდა ამერიკის შეერთებული შტატები.

მსოფლიო არ იყო გამოსული ე. წ. „ნავთობის შოკისაგან“,

რომ იფეთქა რევოლუციამ ირანში. იგი დაიწყო 1979 წლის 9 იანვარს. რის შედეგადაც ჩამოგდებული იქნა შაჰი. 1 აპრილს გამოცხადაა ირანის ისლამური რესპუბლიკა. ამ მოვლენებმა გამოიწვია მეორე „სანავთობო შოკი“. 1980 წლისათვის ფასები ბარელ ნავთობზე ავარდა 36 და 45 დოლარამდე[130, 405].

სიტუაცია მსოფლიოში კიდევ უფრო გამძაფრდა იმით, რომ 1979 წლის 4 ნოემბერს ირანელმა სტუდენტებმა დაიკავეს აშშ საელჩო თეირანში და მოითხოვეს მათთვის ამერიკაში გაქცეული შაჰის გადამოცემა. სულ მალე კი საბჭოთა გერონტოკრატმა პოლიტბიურომ დაუშვა გამოუსწორებელი შეცდომა და იმავე წლის 25 დეკემბერს ავღანეთში შეიყვანა ჯარები.

მოსკოვის ამ უგნურმა ქმედებამ უმძიმეს მდგომარეობაში ჩააგდო საბჭოთა კავშირი. მოგვიანებით ერთ-ერთი საბჭოთა მაღალჩინოსანი დაწერს: „მთელმა მსოფლიომ დაგვგმო და დაგვწყევლა.....ჩვენი ქმედება დაგმეს მთავრობებმა და პარლამენტებმა, პარტიებმა და პროფკავშირებმა. მაგალითად ზოგიერთმა მოძმე პარტიებმა-იტალიის კომპარტიამ, იაპონიის კომუნისტურმა პარტიამ, ვიეტნამის კომუნისტურმა პარტიამ, შვედებმა, ბელგიელებმა....საბჭოთა ქმედება დაგმო ისლამურმა კონფერენციამ(რომელშიც შედიოდნენ მუსლიმური სახელმწიფოები სიირიის, ლიბანის, ალჟირისა და თავად ავღანეთის გარდა).....დაგვგმო ევროპარლამენტმა, სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა, პროფკავშირულმა ცენტრებმა.....ცალკე საკითხავია თუ რა ხდებოდა პრესასა და ელექტრონულ მედიაში, შეურაგვცხვყოფდნენ და უსინდისოებს გვიწოდებდენ“[131, 388-389].

ამ დროისათვის გლობალიზაციის პროცესი აშშ-ს ჰეგემონიით კიდევ უფრო ძლიერდებოდა, ხოლო „მსოფლიო სოციალისტური სისტემა“ სსრკ-ს ჰეგემონიით ირღვეოდა და იწყებდა დაშლას. მსოფლიო სოციალისტური სისტემის ქვეყნებს შორის უთანხმოებამ თავი ჯერ კიდევ სტალინის დროს იჩინა, რაც გამოიხატა მოსკოვსა და ბელგრადს შორის ურთიერთობების გამწვავებით. სტალინის გარდაცვალების შემდეგ თავისუფლების სიო იგრძნეს

ე.წ. სოციალისტური სისტემის ქვეყნებმა, მაგრამ მათ 1953 გდრ-ში და 1956 წელს უნგრეთში კრემლი ტყვიებით გაუმასპინძლდა.

ბრეჟნევის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ვითარება დამძიმდა ჩეხოსლოვაკიაში, სადაც 1968 წელს მოსკოვმა ძალას მიმართა. დასავლური ცხოვრების გზას ითხოვდა რუმინეთიც. 1969 წელს მოხდა ორჯერ სამხედრო კონფლიქტი საბჭოთა კავშირსა და ჩინეთს შორის, რის შემდეგაც კრემლისათვის პეკინი განიხილებოდა, როგორც პოტენციური სამხედრო მოწინააღმდეგე[140, 440-442].

ასეთ პირობებში ამუშავდა ვაშინგტონი. აშშ-მ დაიწყო ურთიერთობების დარეგულირება სსრკ-ს მოკავშირეებთან. რაც უპირველესად გამოიხატებოდა საგარეო ვაჭრობის გაფართოებით, ერთობლივი საწარმოების შექმნით, სესხების მიცემით.

პირველი ქვეყანა, რომელმაც „უღალატა" საბჭოთა კავშირს იყო იუგოსლავია. 1950 წლიდან იგი დაადგა „საბაზრო სოციალიზმის" გზას. დაიწყო ქვეყნის მართვის დეცენტრალიზაცია. მოხდა ფედერალური ხელისუფლების უფლებების შეზღუდვა და რესპუბლიკების უფლებების გაფართოება. გაუქმდა ბევრი ცენტრალური სამინისტრო. საწარმოებში შემოღებულ იქნა თვითთმართველობა-დირექტორების არჩევა. დაგეგმარებამ დაკარგა სადირექტივო ხასიათი. სახელმწიფომ შეწყვიტა ჩარევა სამუშაოს ანაზღაურების ფონდში. საწარმოები გადავიდნენ მთლიანად სამეურნეო ანაგარიშსა და თვითდაფინანსებაზე. მიეცათ შესაძლებლობა თავისუფლად გაეყიდათ საკუთარი ნაწარმი, დაედოთ ერთმანეთთან ხელშეკრულებები, გასულიყვნენ მსოფლიო ბაზარზე[141].

თავდაპირველად ასეთმა მიდგომებმა მოიტანა ქვეყნის განვითარება და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლება. მალე ეკონომიკურმა ტემპებმა იწყო კლება, დაიწყო ქონებრივი დიფერენციაცია. ამ პროცესების კვალდაკვალ მოხდა მოსახლეობის ცხოვრების დონის კლება. იწყო გამოიღვიძება ცენტრიდანულმა ძალებმა, რამაც ფედერაციის მთლიანობას შეუქმნა საფრთხე.

წარმოიქმნა საგარეო დავალიანება, რითაც იუგოსლავია გახდა დამოკიდებული საზღვარგარეთელ კრედიტორებზე. 1980-იანი წლების შუახანებისათვის იუგოსლავიის საგარეო ვალმა მიაღწია 20 მლრდ. დოლარს. ქვეყანა დადგა თავდაპირველად ეკონომიკური, შემდეგ კი პოლიტიკური კრიზისის წინაშე[142].

იუგოსლავიის გზას მიბაძეს ჩეხოსლოვაკიაშიც, სადაც ეკონომიკური რეფორმები დაიწყეს 1962-1963 წლებში, ხოლო მისი რეალიზაცია 1967 წლის 1 იანვრიდან. აქაც მოხდა ეკონომიკის დეცენტრალიზაცია. საწარმოები გადავიდნენ თვითდაფინანსებასა და სამეურნეო ანგარიშზე[143, 162-206]. სახელმწიფომ უარი თქვა ხელფასების დადგენაზე, რამაც ფასები გაზარდა. შეიქმნა სოციალური უკმაყოფილება. რის შედეგადაც 1968 წლის იანვარში მოხდა ხელისუფლების ცვლილება. ახალმა ხელმძღვანელობამ გამოაცხადა „პრაღის გაზაფხული". ის დაადგა პოლიტიკური ცვლილებების გზას და განაცხადა, რომ მათი მიზანია „სოციალიზმის ადამიანური სახით" შექმნა. ჩეხოსლოვაკიაში შექმნილი ვითარების განხილვისას საბჭოთა კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. კოსიგინმა ასე ახსნა იქ არსებული მდგომარეობა: „ისინი იბრძვიან იმისათვის, რომ ჩეხოსლოვაკია გადააქციონ თავდაპირველად იუგოსლავიის, შემდეგ კი ავსტრიის მსგავს ქვეყანად"[144, 14].

ამიტომ მოსკოვმაც არ დააყოვნა და 1968 წლის 21 აგვისტოს შეიყვანა ჯარები ჩეხოსლოვაკიაში. ამის შემდეგ კრემლმა მოახდინა ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ხელმძღვანელობაში მის მიერ კონტროლირებადი პირების დასმა[145].

უნგრეთში ეკონომიკური რეფორმების შესახებ საუბრები დაიწყეს ჯერ კიდევ 1950-იან წლებში. მოსამზადებელი სამუშაოებს შეუდგენენ 1962 წლიდან, ხოლო არსებითი გადაწყვეტილებები მიიღეს 1965 წელს. 1966-1967 წლებში დაიწყეს რეფორმების განხორციელება თავდაპირველად სოფლის მეურნეობაში, ხოლო შემდეგ ეკონომიკის სხვადასხვა დარგებში.

ამან ერთი მხრივ გახსნა შესაძლებლობები იმისა, რომ

სოფლის მეურნეობაში, ვაჭრობას და მომსახურებაში, მოქმედებაში მოსულიყო წარმოების მცირე კერძო სექტორი, ხოლო მეორე მხრივ უკუგდებულ იქნა დირექტიული დაგეგმარება. საწარმოები საბიუჯეტო დაფინანსებიდან გადავიდნენ კრედიტირებაზე. დაიწყო წარმოების საშუალებების გადასვლა საბითუმო ვაჭრობაზე. სახელმწიფომ უარი თქვა ხელფასის ოდენობის განსაზღვრაზე. შემოღებული იქნა ფასების ორი სახე: ფიქსირებული და თავისუფალი. ანალოგიური ვითარება იყო სხვა სოციალისტური სისტემის ქვეყნებში. საბოლოო ჯამში ყოველი სოციალისტური ქვეყნის ხელმძღვანელობა იყოფოდა ორ ჯგუფად: პირველნი ერთგულნი იყვნენ სსრკ-ს, მეორეებს სწორება ჰქონდათ აღებული დასავლეთზე. პირველებში შედიოდნენ უმაღლესი პარტიული ხელმძღვანელები, შინაგან საქმეთა და თავდაცვის მინისტრები. დასავლეთისაკენ მიილტვოდნენ პრემიერ-მინისტრები, ვინაც უძღვებოდნენ ეკონომიკას და საგარეო საქმეთა მინისტრები[146].

1979 წლის ბოლოს ოქროს „ფასმა" მკვეთრად მოიმატა: თუ ამ წლის იანვარში უნცია ოქრო 225 დოლარი ღირდა, აგვისტოს ბოლოს მისი ფასი 40 პროცენტით გაიზარდა და 315 დოლარს მიაღწია, დეკემბერში - 524 დოლარი (+ 66 პროცენტი), ხოლო 1980 წლის იანვარში - 850 დოლარი ... საერთო ზრდამ კი 277 პროცენტი შეადგინა. ამან ამერიკის მთავრობას საშუალება მისცა ამოეღო ან გაეყინა დოლარის მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ ან მდიდარი ამერიკელების ანგარიშებზე.

ასეთ პირობებში 1980 წლის 4 ნოემბერს აშშ-ში საპრეზიდენტო არჩევნებში გაიმარჯვა რ. რეიგანმა. იგი ხელისუფლებაში მოვიდა მაშინ, როდესაც მთელ მსოფლიოში მძინვარებდა ანტისაბჭოთა ტალღა საბჭოელების ავღანეთში შეჭრის გამო. სწორედ ამიტომაც იყო, რომ მან 1981 წლის 20 იანვარს პირობა დადო იანუგურაციაზე, რომ ყველა საშუალებით ეცდებოდა მიეღწია მიზნისათვის, რათა მოეპოვებინა გამარჯვება უახლოეს მომავალში საბჭოთა კავშირზე.



რონალდ რეიგანი

სოციალისტური სიტემის ქვეყნებში განხეთქილება თანდათან ღრმავდებოდა, რასაც თან სდევდა საგარეო ვალის ზრდა, რომელმაც 1981 წელს მიაღწია 100 მლრდ. დოლარს. ამ ვალების მეოთხედი მოდიოდა პოლონეთზე. სწორედ პოლონეთი აღმოჩნდა ყველაზე „სუსტი რგოლი“ მსოფლიო სოციალისტური ქვეყნების ჯაჭვში.

1981 წლის იანვარში პრეზიდენტად გახდომის შემდეგ რონალდ რეიგანმა ოვალურ კაბინეტში გამოიძახა უილიამ კეისი და

შესთავაზა მას ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს(ცსს) დირექტორის თანამდებობა. ეს იმ დროს როდესაც ჯერ კიდევ არ იყო ფორმირებული ახალი პრეზიდენტის მიერ თეთრი სახლის ადმინისტრაცია. უფრო მეტიც არ იყო დამტკიცებული ბიუჯეტი და მით უმეტეს ახალი ხელისუფლება თავის პრიორიტეტად აყენებდა ეკონომიკას. როგორც ცნობილია ცსს დირექტორი აშშ-ში ახდენდა პოლიტიკის რეალიზებას და იგი არ იყო ამ პოლიტიკის შემქმნელი. ის იშვიათად მონაწილეობდა ხელისუფლებაში მყოფ ვიწრო წრეთა ბჭობაში. როგორც წესი, ცსს დირექტორი უშუალოდ განაგებდა მხოლოდ იმ საქმეს რაც ეხებოდა დაზვერვას. შეხვედრაზე კეისმა მოითხოვა დრო ფიქრისათვის.

"



უილიამ ჯოზეფ კეისი

ამ დროისათვის კეისი იყო 68 წლის და მას კარგად ესმოდა, რომ ეს იყო მისი უკანასკნელი შანსი მოხვედრილიყო მაღალ

თანამდებობაზე. დაახლოებით ერთი კვირის შემდეგ მან დაურეკა პრეზიდენტს და შესთავაზა პირობები, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაში ის დათანხმდებოდა ამ თანამდებობას. კეისის პირობები შემდეგში მდგომარეობდა: 1. ის ითხოვდა იმ სხდომების კაბინეტის წევრობას, რომელიც იღებდა გადაწყვეტილებებს საგარეო პოლიტიკის შესახებ. 2. მას უნდოდა ჰქონოდა კაბინეტი თეთრ სახლში. ამით კეისს ექნებოდა სწრაფი და მოხერხებული კონტაქტი პრეზიდენტთან და თეთრი სახლის პერსონალთან. იგი გამოდიოდა იმ ასპექტიდან, რომ პოლიტიკაში ისევე, როგორც უძრავი ქონების ვაჭრობაში აუცილებელია ლოკალიზაცია. აი რას ამბობს მისი ამ პირობების შესახებ პრეზიდენტის საგარეო დაზვერვის დარგში საბჭოს წევრი მარტინ ანდერსონი: „საკუთარი კაბინეტი (Old Executive Office Building) და მდივანი თეთრ სახლში მესამე სართულზე იმას ნიშნავდა, რომ მას შეეძლო იოლად ეწარმოებინა საიდუმლო საუბრები ეროვნული უშიშროების საბჭოს ნებისმიერ წევრთან. ასევე ჰქონოდა შეხვედრები საკუთარი პერსონალის გარეშე. სატელეფონო საუბრები, რომელსაც ის აწარმოებდა თეთრი სახლიდან არასოდეს არ ისმინებოდა და არ იშიფრებოდა განსხვავებით ცსს შენობიდან წარმოებული საუბრებისა.

მესამე და ბოლო პირობა იყო-„ღია კარი“. კეისმა სთხოვა პრეზიდენტს, რომ მას ნებისმიერ დროს ჰქონოდა პირდაპირი წვდომა ოვალურ კაბინეტის ძირითად ბინადართან. კეისის სპეციალური ასისტენტი ჰერბ მეიერი წერს, რომ „მას არ სურდა სასაუბროდ პრეზიდენტთან ვინმე შუამავალი. მას სურდა თავად დაერეკა პრეზიდენტისათვის და შეხვედროდა მას ნებისმიერ დროს“.

რ. რეიგანი მაშინვე დათანხმდა ამ პირობებს. სწორედ ამ დროიდან დაიწყო აღზევება ყველაზე გავლენიანი ცსს დირექტორისა აშშ-ს ისტორიაში. რაც იმით გამოიხატებოდა, რომ იგი საგარეო პოლიტიკის ცენტრში აღმოჩნდა, როგორც ოფიციალურ ისე არაოფიციალურ დონეზე. პრეზიდენტის თანხმობა

მას აძლევდა სრულუფლებიანი წევრობის გარანტიას ეროვნული უშიშროების საბჭოს მრავალრიცხოვან კაბინეტში. ყველაზე უმნიშვნელოვანესი ის იყო, რომ კეისი გახდა ეროვნული უშიშროების სამუშაო ჯგუფის წევრი (National Security Planning Group, NSPG), რომლის ფორმირებაც მალე მოხდა. ამრიგად უილიამ კეისი ხდებოდა იმ ჯგუფის სრულფასოვანი წევრი, რომელიც ფლობდა საგარეო ურთიერობების სფეროში რეალურ ძალაუფლებას. მის შემადგენლობაში შედიოდნენ: პრეზიდენტი, ვიცე-პრეზიდენტი, სახელმწიფო დეპარტამენტისა და თავდაცვის სამინისტროს ხელმძღვანელები, აგრეთვე ეროვნული უშიშროების საქმის მრჩევლები. გარდა ამისა კეისი ფლობდა ერთ-ერთ მთავარ კოზირს კაბინეტში, რომლის მიხედვითაც ის გახდა აშშ-ს ისტორიის მანძილზე ერთ-ერთი გავლენიანი დირექტორი ცსს-ს. ახლად დანიშნულ ცსს დირექტორს ჰქონდა ახლო და მეგობრული ურთიერთობები რეიგანთან. „ეს იყო ნათესაური სული. ირლანდიური წარმოშობის ამერიკელები, რომლებმაც ერთად გადაიტანეს დიდი კრიზისი, ჰქონდათ ერთნაირი მსოფლმხედველობა. რეიგანის მთელი პრეზიდენტობის განმავლობაში ისინი ერთმანეთს ორჯერ ხვდებოდნენ კვირის განმავლობაში. ხშირად საუბრობდნენ ტელეფონით.

ეროვნული უშიშროების საქმის მრჩევლები თეთრ სახლში მოდიოდნენ და მიდიოდნენ, ხოლო ბილ კეისი მყარად იჯდა სავარძელში. ის როგორც აღვნიშნეთ კვლავ და კვლავ რჩებოდა, როგორც ყველაზე გავლენიანი ცსს-ს დირექტორი მთელი აშშ-ს ისტორიის მანძილზე. სწორედ კეისმა, ალენმა და უაინბერგერმა პრეზიდენტის მხარდაჭერით მიიღეს გადაწყვეტილება, მიეღოთ საბჭოთა კავშირის გამოწვევა. ჯერ კიდევ 1980-იანი წლების მიჯნაზე რ. რეიგანმა, წინასაარჩევნო ბრძოლების დროს, განაცხადა, რომ „მსოფლიოში ყველა უბედურების მიზეზი არის საბჭოთა კავშირი“[150].

1981 წელს მსოფლიო ეკონომიკის განვითარება შენელდა. სოციალისტური ქვეყნების საგარეო ვალმა მიაღწია იმ დროის-

ათვის ყველაზე მაღალ ნიშნულს 127 მლრდ. დოლარს. 1982-1983 წლებში სოციალისტური ქვეყნების კონსორციალური კრედიტები უნგრეთის გამოკლებით უზრუნველყოფილი არ იყო. ამ პირობებში სოციალისტური ქვეყნები იძულებულნი იყვნენ შეემცირებინათ იმპორტი თავისუფალ კონვერტირებულ ვალუტაზე. დაეტოვებინათ ექსპორტი ძველ ნიშნულზე ან უმნიშვნელოდ გაეზარდათ იგი.

საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემია 1984 წელს აცნობებდა მინისტრთა საბჭოს: „მე-3 კვარტალში ნავთობზე მცირეხნიანი სტაბილიზაციის შემდეგ, სიტუაცია მე-4 კვარტალში ექსპორტიორი ქვეყნებისათვის კვლავ გართულდა. კაპიტალისტური ეკონომიკის ნელი და არათანაბარი განვითარების გამო ეფექტური ზომები ენერგიის ეკონომიკაში განსაზღვრის შეუძლებელია. ოპეკის ქვეყნები ადგენენ ფასებს ნავთობზე. კაპიტალისტური ქვეყნების მოთხოვნა ნავთობზე შემცირდა 1%-ით. მიმდინარეობდა ოპეკ-ის კონსულტაციები სხვა ნავთობმომპოვებელ ქვეყნებთან, რათა შეენარჩუნებინათ არსებული ფასები. ბაზრის განმტკიცება მჭიდროდ იყო აგრეთვე დაკავშირებული ირანსა და ერაყს შორის მიმდინარე კონფლიქტზე და ორმუზის სრუტის დახურვის საფრთხეზე. სწორედ აღნიშნული ამბებით იგრძნობოდა შეშფოთება საბჭოთა კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მოხსენებაში ხელისუფლების მიმართ. მასში კარგად ჩანდა, თუ როგორ მკვეთრად ეცემოდა ნავთობზე ფასები. რითაც ფაქტობრივად შეუძლებელი ხდებოდა მომავლის დინამიკის ზუსტი პროგნოზირება[151].

სოციალისტურ ქვეყნებში მიმდინარე პროცესებს კარგად ხედავდა ვაშინგტონი. ამიტომაც ოვალურმა კაბინეტმა 1983-1984 წლებში 25 პროცენტით გაზარდა ცსს-ს ბიუჯეტი. ზრდის ტემპი სამხედრო ხარჯების მაჩვენებლსაც კი აღემატებოდა. ცენტრალური სადაზვერვო სამმართველოს თანამშრომელთა რაოდენობამ 16 ათას ადამიანს მიაღწია.

1985 წელს საბჭოთა კავშირში ნავთობმოპოვება შემცირდა

12 მლნ. ტონით. ხოლო მას შემდეგ, რაც 1981-1984 წლებში საუდის არაბეთში, ნავთობის მოპოვება გაიზარდა სამჯერ, მოხდა ფასების ისტორიაში უპრეცედენტო კოლაფსი. სახელდობრ, 1985-1986 წლებში ნავთობზე ფასების დაცემამ გამოიწვია საბჭოთა კავშირის ბიუჯეტის, მისი საგარეო ვაჭრობის ბალანსის, სამომხმარებლო ბაზრის სტაბილურობის, წელიწადში ათობით მილიონი ტონა მარცვლეულის შეძენის შესაძლებლობის, უცხოური ვალის გასტუმრების უნარის, ჯარის და სამხედრო-სამრეწველო კომპლექსის დაფინანსების რამდენჯერმე დაცემა.

უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იყო სოციალისტური სისტემის დაშლის მიზეზი. ის საბჭოთა ეკონომიკური და პოლიტიკური სისტემის ძირითადი მახასიათებლების აბორტიზირებით იყო განპირობებული. 1920-იანი წლების ბოლოს და 1930 წლების დასაწყისში ჩამოყალიბებული ინსტიტუტები ძალიან მკაცრი იყო. მათ არ დაუშვეს, რომ მომხდარიყო მე-20 საუკუნის გლობალური განვითარების გამოწვევებთან ადაპტირება. სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის მემკვიდრეობამ, ანომალიური თავდაცვის დატვირთვამ, სოფლის მეურნეობის მძიმე კრიზისმა, წარმოების მრეწველობის კონკურენტუნარიანობის ნაკლებობამ, არსებული რეჟიმის კოლაფსი გარდაუვალი გახდა. აღნიშნული პრობლემები 1970-იან და 1980-იან წლებში რეგულირდებოდა ნავთობის მაღალი ფასების გამო. მაგრამ ეს არ იყო მყარი საფუძველი იმისა, რომ ისტორიის სარბიელზე შენარჩუნებულიყო სტალინური რუსული ყაზარმული სოციალიზმი.

რ. პაიპსმა 1980-იან წლებში მიწერა წერილი ამერიკის ხელისუფალთ, რომელშიც ის იძლეოდა რეკომენდაციას, გამოეყენებინათ საბჭოთა ეკონომიკის დამოკიდებულება ნავთობზე და ამ ფაქტორით მოეხდინათ კომუნისტური რეჟიმის დესტაბილიზაცია. უ. კეისს, რომელიც ამ დროისათვის დანიშნული იყო ცსს-ს დირექტორად ჰქონდა დიდი გამოცდილება, თუ როგორ უნდა ემუშავა მოწინააღმდეგის ეკონომიკურ სისუსტეებზე. იგი ამ საკითხებზე მუშაობდა მეორე მსოფლიო ომის დროს და ცდი-

ლობდა მაქსიმალურად გამოეყენებინა გერმანიის ეკონომიკური შეცდომები. 1982 წლის ნოემბერში რ. რეიგანმა ხელი მოაწერა დირექტივას ეროვნული უშიშროების შესახებ(NSDT-660), რომლითაც დარტყმა უნდა მიყენებოდა საბჭოთა ეკონომიკას[152, 6-12, 26-32; 153, 127]. ვაშინგტონის მიერ დასმული იქნა ამოცანა შეესუსტებინა საბჭოთა კავშირთან პოლიტიკურ-ეკონომიკური კავშირურთიერთობები. მაგრამ ამ ეკონომიკური ზემოქმედების მეშვეობით დაენგრიათ ის, მაშინ ამერიკაში ამაზე არავინ არ ფიქრობდა.

რ. რეიგანის შეხედულება საბჭოთა რეჟიმის შესახებ, რომელიც ძირითადად სწორი იყო, ბოლომდე არ იყო გააზრებული. მას სჯეროდა, რომ კომუნისტი ლიდერები, ისევე როგორც ყველა სახელმწიფოს მეთაური, ზრუნავდნენ თავიანთი ხალხების კეთილდღეობაზე. და თუ მათ არ შეეძლოთ თავისუფლებისა და კეთილდღეობის უზრუნველყოფა, ეს მხოლოდ იმიტომ ხდებოდა, რომ ისინი ცუდი იდეოლოგიის ტყვეები იყვნენ. SNB-ის ერთ – ერთ შეხვედრაზე (1982 წლის 25 მარტი) თეთრი სახლის ბინადარმა ხმამაღლა თქვა-დადგებოდა თუ არა ოდესმე დღე, როდესაც საბჭოთა კავშირი იმდენად რთულ ეკონომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდებოდა, რომ მის ხელმძღვანელობისათვის ეთქვათ: „გაკვეთილი ისწავლეთ? თუ ცივილიზებულ სამყაროში დაბრუნდებით, ჩვენ დაგეხმარებით და შესანიშნავი საქმეებს გავაკეთებთ თქვენი ხალხისთვის". მხოლოდ მოგვიანებით მიხვდა რეიგანი, რომ საბჭოთა ნომენკლატურა ამას არასდროს გააკეთებდა, ვინაიდან იგი დაინტერესებული იყო ღარიბი და მშიერი მოსახლეობის შენარჩუნებით.

1980 წელს ჩიკაგოში ჩატარდა დისკუსია, რომელსაც ესწრებოდა ვაშინგტონელი ცნობილი ადვოკატი პოლ ვარნკი, რომელიც ადრე ხელმძღვანელობდა შეიარაღებისა და განიარაღების კონტროლის სააგენტოს. ის ამტკიცებდა, რომ თუ სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის ხელშეკრულება (SALT 2) არ იქნებოდა რატიფიცირებული, გაიზრდებოდა მესამე მსოფლიო ომის

ალბათობა. ფაქტობრივად, ამ ხელშეკრულების რატიფიცირება არადროს არ განხორციელებულა და არც მესამე მსოფლიო ომი დაწყებულა. სტრობ ტელბოტმა, მაშინ ჟურნალისტმა, რომელიც მუშაობდა „Time Weekly"-ში, ხოლო შემდეგ კი სახელმწიფო მდივნის მოადგილედ კლინტონის მმართველობაში, 1984 წელს გამოაქვეყნა წიგნი „The Death Gambit" („სასიკვდილო გამბიტი"), სადაც მან გააკრიტიკა რეიგანის უარი იარაღის კონტროლის მოლაპარაკებების განახლებაზე. წიგნის სათაურიდან გამომდინარე, ავტორი ეჭვს გარეშე მიიჩნევდა ყოველივე ამას, როგორც პოტენციურ კატასტროფას[154]. სიმართლე საპირისპირო იყო იმისა, რაც ყველას სწამდა.

რ. რეიგანი რომელიც ვერ დაიკვეხნიდა დიდი განათლებით, უფრო ინტუიციურად, ვიდრე აზრიანად ძალიან კარგად გრძნობდა, რა იყო საბჭოთა რეჟიმის მთავარი სისუსტე. „როგორ აკეთებდა ამას, მე არ მესმოდა, მაგრამ მეჩვენება, რომ მისმა ძლიერმა მორალმა ამაში მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. ტოტალიტარულ რეჟიმებთან ურთიერთობისას იგი იშვიათად მიმართავდა ჩვეულ „რეალისტურ" და „პრაგმატულ" მიდგომებს"-წერს რ. პაიპსი[106].

1981 წლის თებერვლის ბოლოს ა. ჰეიგმა დაავალა პოლ ვოლფოვიცს დაეწერა დოკუმენტი „საბჭოთა კავშირის პოლიტიკის სტრატეგიის შესახებ". პ. ვოლფოვიცი, ალბერტ ვოლსტეტერის ყოფილი სტუდენტი და გუნდის B წევრი, იყო ნიჭიერი ახალგაზრდა სამხედრო სპეციალისტი, მაგრამ არა საბჭოთა კავშირის ექსპერტი.

მარტის დასაწყისში სახელმწიფო დეპარტამენტმა მოიწვია მინისტრთა პირველი შეხვედრა ამ საკითხთან დაკავშირებით. სახელმწიფო მდივნის მოადგილისა და მოსკოვში ყოფილი ელჩის ვალტერ შტოსელის თავმჯდომარეობით დისკუსია უაზროდ მიმდინარეობდა მანამ, სანამ მოუთმენელმა ალენმა არ თქვა: „თქვენ გჭირდებათ მოხსენება თუ პოლიტიკური კურსი?" იმავე თვის ბოლოს იმავე პაიპსის გადმოცემით, მან მიიღო ვოლფოვიცის „აღმოსავლეთ-დასავლეთის" მოხსენების ასლი. ეს იყო სახელმწიფო

დეპარტამენტის ტიპიური პროდუქტი, ეჭვგარეშე გაკეთებული მრავალი ხელის მიერ. მასში მითითებული, იყო, როგორ უნდა ეპასუხათ საბჭოთა აგრესიაზე, მაგრამ ინიციატივები? მათ შესახებ წინადადებები იქ არ ყოფილა. 1981 წლის 30 მარტს ამ სიტყვებით ვთქვი ამბობს რ. პაიპსი: „მე არცერთი ზემოთჩამოთვლილი წინადადება არ მეჩვენება თამამად, ინოვაციურად ან წარმატების მისაღწევად. ჩვენ უნდა უზრუნველვყოთ და საბჭოთა კავშირი ჩავაყენოთ თავდაცვითი პოზიციაში.

მე უფრო ლაკონურად ვერ გამოვხატავ რეიგანის საბჭოთა პოლიტიკის ცენტრალურ აზრს. ამის მისაღწევად, უნდა ავიღოთ ინიციატივა და გამოვიყენოთ საბჭოთა კავშირის შინაგანი სირთულეები, რომლებიც მუდმივად იზრდება. სახელმწიფო დეპარტამენტი სამწუხაროდ ვერ ახერხებს ასეთი ტერმინებით აზროვნებას. ამიტომაც ასეთი ანგარიშებს დაანებონ თავი, შემოდონ თაროზე. მე გვთავაზობთ, ვიმოქმედოთ სიტუაციის საკუთარი გაგებით"[106, 308].



რიჩარდ ალენი

კეისი ყოველ პარასკეობით საბჭოთა კავშირის შესახებ მოპოვებულ მასალებს წარუდგენდა პრეზიდენტს. ამ ფაქტს ჰქონდა გადამწყვეტი მნიშვნელობა იმისათვის, რომ ამერიკას ჩამოეყალიბებინა თავისი პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ, რომელიც ორიენტირებული იქნებოდა ამ უკანასკნელის სუსტ წერტილებზე. მას შემდეგ, რაც 1982 წელს ეროვნული უშიშროების მრჩეველი გახდა უილიამ კლარკი, სადაზვერვო ინფორმაცია კიდევ უფრო გაიზარდა. პრეზიდენტს უყვარდა დაზვერვის მასალების კითხვა, რომლებიც ეხებოდა საბჭოთა სახალხო მეურნეობას. განსაკუთრებით ის ანეკდოტური თემები, რომლებიც ეხებოდა გაჩერებულ ქარხნებს სათადარიგო ნაწილების უქონლობისა და მყარი ვალუტის უქონლობის გამო. რიგებს სასურსათო პროდუქტებზე. რეიგანი თანდათანობით რწმუნდებოდა იმაში, რომ საბჭოთა ეკონომიკას გააჩნდა ურთულესი პრობლემები. ეს აზრია გატარებული რეიგანის დღიურებში სადაც ვკითხულობთ: „საბჭოები ძალიან მძიმე მდგომარეობაში არიან. თუ ჩვენ თავს შევიკავებთ კრედიტების მიცემაზე, ისინი დახმარებას თხოვენ „ბიძიას“, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში დაიხოცებიან შიმშილით“. დაზვერვის მოხსენებებს არჩევდა პირადად კეისი და ეროვნული უშიშროების საბჭოს თანამშრომელი, რის შემდეგაც მასალებს წარუდგენდნენ პრეზიდენტს.

„საბჭოთა კავშირის დარწმუნება, რომ რეიგანი გონების გარეშე იყო, ჩვენი სტრატეგია იყო“, - იხსენებდა ალენი. ეს იყო გვიანდელი ფუტურისტის ჰერმან ხანის მიერ წამოყენებული იდეა, სადაც მან ზესახელმწიფოების ბრძოლა სახიფათო თამაშს შეადარა, რომელშიც ორი მანქანა მიდის ტარანზე დადიან, თუმცა არც ერთ მხარეს და არც მეორეს არ სურს კოლაფსი. მაგრამ საბოლოოდ, ვიღაცამ უნდა გააკეთოს ეს, რათა თავიდან აიცილოს კატასტროფა. ხანმა ლაკონურად გამოხატა სათქმელი: „არავის სურს, გიჟთან მსგავსი რამის თამაში“. ამრიგად, შეშლილი კოვბოის სურათი სტრატეგიის თვალსაზრისით გამოდგა. სამუშაო ჯგუფის იმ შეხვედრაზე, განიხილეს არაოფიციალური,

დაგეგმილი ფსიქოლოგიური ზეწოლის ოპერაციის (PSYOP) დეტალები. მისი მიზანი იყო კრემლის აზროვნებაზე გავლენის მოხდენა, რათა ის თავდაცვაზე გადასულიყო და ამით ნაკლებად მიდრეკილი ყოფილიყო სარისკო ქმედებებისკენ. უხეშად რომ ვთქვათ, ამერიკელებმა გადაწყვიტეს საბჭოთა კავშირის „შოუზე“ გაყვანა.

ცნობილი ამერიკელი მკვლევარი ნოამ ჩომსკი წერდა: „ეს საუბარი აცოცხლებს ნიქსონის თეორიას შეშლილის შესახებ. ჩვენმა მტრებმა უნდა გააცნობიერონ, რომ ჩვენ ვართ გიჟები, გიჟები, არაპროგნოზირებადები. ამიტომაც მათ სახეზე აქვთ წარმოუდგენელი დესტრუქციული ძალა და ამიტომ შიში აიძულებს მათ დაემორჩილონ ჩვენს ნებას“.

რეიგანის ფსიქიკის თავისებურებებისა და მისი სამსახიობო წარსულის გათვალისწინებით, მისთვის სულაც არ იყო რთული გიჟის გამოსახვა.

1983 წლის 8 მარტს რეიგანმა გამოიყენა რა ჯ. ლუკასის კინოეპოპეის „ვარსკვლავური ომები“-ს ენა, საბჭოთა კავშირს საჯაროდ უწოდა „ბოროტების იმპერია“. ორი კვირის შემდეგ გამოაცხადა პროგრამა ამერიკაზე დამცავი კოსმოსური „ქოლგის“ შექმნისთვის, რომელიც იქმნებოდა საბჭოთა კავშირის რაკეტების ჩამოსაგდებად. პრეზიდენტმა განზრახ ბუნდოვნად ისაუბრა, რათა გაურკვეველი გამხდარიყო იყო რა იქნებოდა ეს „ვარსკვლავური ომები“. ასე რომ, საინტერესო იყო თუ რა გავლენას მოახდენდა მოსკოვზე ეს ფანტაზია.(არაოფიციალური სახელი SDI – „ვარსკვლავური ომები“ გამოიგონა თავად რეიგანმა, ჰოლივუდის წარსულის გავლენით).

ყველაზე თვალშისაცემი რეიგანის გამოსვლაში იყო ორი რამ: პირველი „ვარსკვლავური ომები“ ამერიკელებს საშუალებას მისცემდა დაევიწყათ ორმხრივი განადგურების სტრატეგიის კოშმარი. მეორე, რეიგანმა ამერიკელ მეცნიერებს მოუწოდა შეექმნათ კოსმოსური იარაღი, რომელიც ბირთვულ იარაღს მოძველებულს და უსარგებლო გახდიდა. ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ იმ

მომენტში პენტაგონმაც კი არ იცოდა, როგორი უნდა ყოფილიყო ახალი რაკეტსაწინააღმდეგო თავდაცვა.

ოვალური მაგიდის მფლობელის გამოსვლას არც სამხედრო უწყების მხარდაჭერა ჰქონია და არც სამეცნიერო და ტექნიკური წრეების. რეიგანის საჯარო გამოსვლა უმკაცრესად საიდუმლოდ იყო მომზადებული, პრეზიდენტის ეროვნული უსაფრთხოების მრჩეველის მოადგილის, რობერტ მაკფარლენის დახმარებით. ეს უკანასკნელი ამერიკელი ლიდერის ღირსეული თანაავტორი გახდა. პრეზიდენტის გამოსვლის ტექსტი მან თავად აკრიფა საბეჭდ მანქანაზე.

სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის იდეას დიდი ხანის ისტორია ჰქონდა. რ. რეიგანისათვის მის პროპაგანდირების კამპანიას ახდენდა წყალბადის ბომბის „მამა“ ედვარდ ტელერი.



ედვარდ ტელერი

მოვლენების დაწყების იმპულსი იყო მარცხი, რომელიც 1982 წლის დეკემბერში განიცადა აშშ-ს კონგრესმა რეიგანის გეგმებთან მიმართებაში, სახელდობრ დაეწყო ახალი ბირთვული

სარაკეტო იარაღი პროგრამების დაფინანსება. სწორედ ამის შემდეგ ესაუბრა რეიგანის გუნდის ერთ-ერთმა წევრი კონტრადმირალ ჯონ პოინდექსტერ რობერტ მაკფარლეინს. და შესთავაზა SDI (სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივა), როგორც გამოსავალი ჩიხიდან. მისი მოსაზრებების აზრი ასეთი იყო: პრეზიდენტების ნიქსონისა და ფორდის დროიდან ჩვენ ამერიკელები შეიარაღების რბოლაში ვართ ჩართული საბჭოთა კავშირთან. რაკეტები ძალიან მარტივი იარაღია. ის არ იძლევა ამერიკის შეერთებული შტატების მთავარ უპირატესობის გამოყენებას – მოწინავე ტექნოლოგიებს. აქ, უნდა შეცვლილიყო იარაღის შეჯიბრების მიმართულება ბირთვული იარაღიდან კოსმოსურ სისტემებზე, ამოცანა ნათელი იყო: საჭირო იყო სახსრების გადაქაჩვა უსარგებლო ბირთვულ-სარაკეტო შეიარაღების რბოლიდან, პერსპექტიულ ანტისარაკეტო თავდაცვაზე.

ამერიკელებმა SDI-ის იდეა ხმამაღლა წარუდგინეს მთელ მსოფლიოს. იგი მარტივი იყო - დედამიწის მახლობლად სივრცეში უნდა განლაგებულიყო მთელი კოსმოსური დაჯგუფებები, საბრძოლო თანამგზავრების ესკადრონები, რომლებსაც აკონტროლებდნენ სუპერსწრაფი კომპიუტერული ტექნოლოგიები. რა უნდა შესულიყო ამ კოსმოსურ ფლოტში? პირველი, სატელაიტები ბორტზე მართვადი რაკეტებით, რომლებიც შექმნილი იყო დიდი რაკეტების დასაჭერად. მეორე, მოწყობილობები ელექტრომაგნიტური ზარბაზნებით.

ამერიკელები ამტკიცებდნენ, რომ საბჭოთა ბალისტიკური რაკეტების კონცენტრაციის ადგილებზე გეოსტაციონალურ პლატფორმებს „დაკიდებდნენ“ და აშშ მისადგომებზე თავდაცვით სარტყელს შექმნიდნენ. თითოეული სატუმბი ჭურვის აფეთქების შემდეგ გადაცემულ ლაზერს სხივს უნდა დაეჭირა თანამგზავრიდან და გადაექცია მის წინააღმდეგ ათ საბრძოლო იმპულსად - გასროლად. ანუ სუპერკომპიუტერებიდან მართვის სისტემას უნდა დაეჭირა ათი საბჭოთა ქობინი, რომლებიც მიფრინავდნენ შტატებში.

სინამდვილეში, ეს ყველაფერი ბლეფი იყო. SDI-ის მსგავსი სისტემის შექმნა ახლაც კი შეუძლებელია. მით უფრო შეუძლებელი იყო იმ დროს. ეს ცნობილი იყო საბჭოთა სწავლულებისათვის, მაგრამ მისი რატომღაც ძალიან ეშინოდა მ. გორბაჩოვს. რის შესახებაც ცოტა მოგვიანებით მოგითხრობთ.

ამერიკის პრეზიდენტის ადმინისტრაცია მუხლჩაუხრელად მუშაობდა საბჭოთა კავშირის კიდევ უფრო მეტად დასუსტებაზე. ერთ-ერთი სხდომის წინ მოუსმინა რა პრეზიდენტმა ცსს-ს უფროსს, დასასრულ მიმართა: „ბილი ხომ არ გამოთქვამს შენს მოსაზრებებს ეროვნული უშიშროების საბჭოს მუშა ჯგუფის სხდომაზე?“ ასე დაიწყო საიდუმლო შეტევითი ოპერაციის განხილვა საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. ჯგუფის წევრები იყვნენ: ვიცე-პრეზიდენტი ჯორჯ ბუში, კასპარ უაინბერგერი, ალექსანდრ ჰეიგი, უილიამ კეისი და რიჩარდ ალენი. საბჭოთა კავშირი ამ დროისათვის სულ უფრო და უფრო ღრმად ეფლობოდა კონფლიქტურ სიტუაციაში ავღანეთში. რის გამოც მოსკოვმა გაზარდა ჯარის კონტიგენტი, რომელმაც უკვე 89 ათას ჯარისკაცს მიაღწია. მრავალრიცხოვან საბჭოთა დივიზიებს ასევე გარემოცული ჰქონდათ პოლონეთი, სადაც იქმნებოდა მოსკოვის შეჭრის საფრთხე. დასავლეთი ევროპა კი თითქოს არაფერი არ ხდებოდა, არ ინტერესდებოდა ამით და გამოყოფდა კრედიტებს კრემლისათვის რათა აშენებული ყოფილიყო გაზსადენი.

ეროვნული უშიშროების საბჭოს მთელი სამუშაო ჯგუფი ერთხმად გამოთქვამდა მოწოდებას იმის შესახებ, რომ აუცილებლად გაზრდილიყო ბიუჯეტი და ამაღლებულიყო ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა. „ყველანი ვიყავით თანახმა, რომ ძირითად ამოცანას წარმოადგენდა, ჩვენი დახმარების გაძლიერება ავღანეთისადმი. უნდა მიგველო გადაწყვეტილება თუ რა იყო ჩვენი მიზნები“-წერდა მოგვიანებით კ. უანბერგერი. შეხვედრებს თავმჯდომარეობდა ალენი, რომელიც დიდი ხანია ფიქრობდა, რომ აშშ-ს პოლიტიკა საბჭოთა კავშირის მიმართ იყო არასწორი. დასაწყისში განიხილეს ბიუჯეტის საკითხი. „დისკუსიას ჰქონდა

ცოცხალი ხასიათი, სადაც გადაწყდა, რომ აშშ-ს დაეკავა მტკიცე პოზიცია პოლონეთის საკითხის გარშემო.



კასპარ უაინბერგერი

არა მარტო იმიტომ, რომ შეეკავებინათ საბჭოთა შეჭრა პოლონეთში, არამედ შეესუსტებინათ საბჭოთა პოზიციები პოლონეთში. ამ სხდომაზე სახელმწიფო მდივანმა ჰეიგმა ხატოვნად გამოთქვა მოსაზრება „დაძაბული განიარაღების მკაცრი პოლიტიკის“ შესახებ, რომელსაც უნდა აეძულებინა საბჭოები ეწარმოებინათ იარაღი. მისივე აზრით არმიის გადაიარაღების მეშვეობით და ძალის პოზიციიდან საუბრებით უნდა დაეცვათ აშშ-ს ინტერესები, რაც თავის თავში ნიშნავდა მტრის მიმართ გამაფრთხილებელი ტაქტიკის გაძლიერებას. ასეთი პოლიტიკა უცხო არ იყო ამერიკისათვის და იგი გრძელდებოდა ზოგიერთი წლის გამოკლებით. მაგალითად ფორდისა და კარტერის პრეზიდენტობისას, როდესაც ამერიკის საგარეო პოლიტიკა ცხოვრობდა

ვიეტნამის ომის ჩრდილში და აკლდა მებრძოლი სული. კეისი, უანიბერგერისა და ალენის მხარდაჭერით ამტკიცებდა, რომ „არსებობს სერიოზული საფრთხე და ამასთან დაკავშირებით უნდა დავიწყოთ გადამწყვეტი მოქმედებები. მისი თქმით ამერიკის ძლიერება საკმარისი არ არის. მხედველობაში უნდა გვქონდეს საბჭოთა სისტემის სიჯანსაღე. როდესაც დემოკრატია ებრძვის ტოტალიტარიზმს-ამბობდა ალენი-ნათელია, რომ ის არის მძიმე მდგომარეობაში. ამიტომაც ჩვენ მთავარი ყურადღება უნდა გადავიტანოთ ჩვენს სიძლიერეზე და არა სისუსტეზე".

დისკუსია გაგრძელდა საკმაოდ დიდი ხნის განმავლობაში და დამთავრდა კეისის სიტყვებით: „ბნო პრეზიდენტო ჩვენ გასული წლების განმავლობაში ვთამაშობდით ჩვენს ტერიტორიაზე და გავურბოდით თამაშის გადატანას მეტოქის ტერიტორიაზე. ასეთი თამაშით, როდესაც ისინი უშიშრად არიან ძნელია მათზე გავლენა მოახდინო. მათი განწყობა შეიცვლება მაშინ, როდესაც შეიცვლება ჩვენი მოქმედების ხასიათი"[155, 9-11].

წუთიერი შესვენების შემდეგ პრეზიდენტმა რეიგანმა თქვა: „მე ვთვლი, რომ ალენის კონცეფციას აქვს შანსი საერთაშორისო არენაზე წარმატების. ჩვენ მივიღებთ ჩვენი მოკავშირეების მხარდაჭერას. მაგრამ ბილის(კეისის) კონცეფცია მე მიმაჩნია სტრატეგიული თვალსაზრისით უფრო მიზანშეწონილად".

მეიერი იგონებს, რომ ცსს იყო ის ორგანიზაცია რომელიც 1950-იანი წლებიდან სისტემურად მუშაობდა საბჭოთა ეკონომიკაზე, მაგრამ მათაც ისეთივე ფერადი წარმოდგენა ჰქონდა საბჭოთა ეკონომიკაზე, როგორც კრემლს. სინამდვილეში კი საბჭოთა კავშირში იზრდებოდა სიღარიბე, დეფიციტი. მკვეთრად მატულობდა სამხედრო ხარჯები. ბევრი არგუმენტი მეტყველებდა იმაზე, რომ საბჭოთა ეკონომიკა ვერ ვითარდებოდა. კეისმა დაავალა მეიერს წარმოედგინა საბჭოთა ეკონომიკის საიდუმლო მასალები. საიდანაც ნათლად გამოჩნდა, რომ საბჭოთა ეკონომიკაში იყო ძალიან ბევრი სუსტი ადგილები... რომლებიც უნდა გამოეყენებინა შეერთებული შტატების ხელისუფლებას.

იმავდროულად უნდა მომხდარიყო ცსს-ოს რეორგანიზაციაც, რომლის მთავარ ამოცანას აქამდე წარმოადგენდა მთავარი აქცენტების გამახვილება საბჭოეთის ძლიერ მხარეებზე, ისეთებზე როგორიც იყო სამხედრო ძალა, ოქროს რეზერვები და საზღვარგარეთელი მოკავშირეები. კეისს სურდა შეეცვალა ისინი. ის თვლიდა, რომ აუცილებლად საჭირო იყო ამერიკას გამოეყენებინა საბჭოთა კავშირის სუსტი მხარეები. ამიტომაც კეისი ყოველდღიურად იჯდა და კითხულობდა დაზვერვის სხვადასხვა მონაცემებს საბჭოთა ეკონომიკის შესახებ. აზრი იმის შესახებ, რომ აშშ-ს დაეწყო ეკონომიკური ომი სსრკ-ს წინააღმდეგ, მას დაებადა ჯერ კიდევ მეორე მსოფლიო ომის დროს[155, 16].

უ. კეისი ფიქრობდა არა მარტო თავის მრჩევლებზე დაყრდნობით, არამედ სიტემატურად იყო დამჯდარი ტელეფონთან და სტრატეგოსებთან და ანალიტიკოსებთან ერთად განიხილავდა ინფორმაციებს საბჭოთა ეკონომიკის შესახებ. ჰქონდა ახლო ურთიერთობა ბევრ მსხვილ ბანკირებთან და ბიზნესმენებთან. მათგან მოითხოვდა გადამოწმებულ და სანდო ინფორმაციას.

მალე კეისმა ცსს-ოს რუსული განყოფილება გადაიყვანა ვაშინგტონიდან ვენაში. იქ მომუშავე ადამიანებს კი ცსს-ოს ენერგიულმა დირექტორმა შეუქმნა შესანიშნავი სამუშაო პირობები. კეისის სურდა გაეგო რისი ეშინოდა მოსკოვს? როგორი იყო მისი შესაძლებლობები აღედგინა ძალები დამარცხების შემდეგ? ფსიქოლოგიის პროფესორ ა. უაიტეკერის თქმით, რომელიც ამუშავებდა საბჭოთა პოლიტიკოსების პოლიტიკურ პორტრეტებს-„ადრე იყო ცნობები იმის შესახებ, რომ საბჭოთა ხელმძღვანელობა განიცდის სხვადასხვა სიძნელეებს. მაგრამ კონკრეტული ამის მსგავსი არაფერი არ ვიცოდით. ჩვენ ვიმედოვნებდით მეტი ინფორმაციის მოპოვებას, რომლის გამოყენებაც შეეძლებოდა პოლიტიკოსებს. ახლი ხელმძღვანელი კეისი კი მოითხოვდა, განყოფილება დაკავებულიყო სსრკ-ს, პოლონეთისა და ავღანეთის ეკონომიკების ძირეული შესწავლით“.

მალე კეისი ეროვნული უშიშროების სხდომაზე გამოვიდა

წინადადებით, დაეწყოთ განვითარებად ქვეყნებში საიდუმლო ოპერაციების რეალიზება, ვინაიდან იგი თვლიდა, რომ „მესამე სამყაროში“ ზესახელმწიფოთა კონკურენცია მოითხოვდა ძალიან დიდი ენერგიას. იგი ამბობდა საბჭოები ჩვენს მოკავშირეებს ეჩრებიან ყველგან. თითქმის ყველა კონტინენტზე მათ შექმნეს თავიანთი ხელისუფლებების საყრდენები. ჩვენ გვაქვს შესაძლებლობა დავასრულოთ ისინი. „მესამე სამყაროში“ ისეთი არეულობაა, როგორც ანტიკოლონიალური მოძრაობის დროს 1950-1960-იან წლებში, რომელმაც მოიტანა კომუნისტური რეჟიმები. ახლა კი დაიწყო იქ ანტიკომუნისტური აჯანყებანი. ჩვენ მხარი უნდა დავუჭიროთ ამ მოძრაობებს ფინასურადაც და პოლიტიკურადაც. ჩვენ თუ შევძლებთ ვაიძულოთ ჩაებას საბჭოები უფრო და უფრო მეტი საშუალებებით, რათა შეინარჩუნონ თავიანთი გავლენები ამ ქვეყნებში, ეს საბოლოოდ დაანგრევს მათ სისტემას. ჩვენ გვინდა კიდევ რამდენიმე ასეთი ავღანეთი“[155, 19].

ასე შეიქმნა რეიგანის დოქტრინა, რომელიც გულისხმობდა ანტიკომუნისტური მოძრაობების დაფინანსებასა და მხარდაჭერას მთელ მსოფლიოში. ეს აზრი მოეწონათ კ. უაინბერგერს, რ. ალენს და ა. ჰეიგს. რეიგანმა სთხოვა კეისს უფრო ახლოს გაცნობოდა ამ საქმეს და დაესახელებინა ის მოძრაობები, რომელთაც უნდა დახმარებოდნენ.

1981 წლის აპრილში უილიამ კეისი სამკვირიანი საიდუმლო ვიზიტით გაემგზავრა ახლო აღმოსავლეთსა და ევროპაში. ისეთ ადგილებში, როგორიც ახლო აღმოსავლეთია მისი უზარმაზარი შავი თვითმფრინავი „G-141 Starlifter“ ეგვიპტეში დაფრინდა აეროდრომის იზოლირებულ ზოლზე. საჰაერო ხომალდი, როგორც წესი დაჯდა დაბინდებისას. მაღალჩინოსან ამერიკელს არ დახვედრიან ამერიკის საელჩოს წარმომადგენლები და არც გაუცილებიათ. თვითმფრინავს გააჩნდა დაცვის უახლესი ელექტრონული სისტემები და რადარები, რომლებიც სიგნალს იძლეოდნენ მოახლოებული რაკეტის შესახებ. ხომალდის ეკიპაჟი შეიარაღებული იყო და თვითმფრინავში იმყოფებოდნენ დღე-ღამის განმავლობა-

ში. მათ გარდა მასში არავის არ შეეძლო ყოფნა. როდესაც ეს თვითმფრინავი იდგა აეროდრომზე, მის ახლო იმყოფებოდა შეიარაღებული დაცვა.



ალექსანდრ ჰეიგი

კეისი ეგვიპტეში ჩავიდა ორი დღით, რათა ეწარმოებინა მოლაპარაკებები პრეზიდენტ სადათან იმის შესახებ, რომ ვაშინგტონისათვის ავღანელი მოჯაჰედებისადმი წინადელი პირობებით იარაღის მიწოდება იყო მიუღებელი. მან ეგვიპტის ლიდერს უთხრა, რომ მის მიერ გაგზავნილი იარაღი იყო ჯართი, რომლისთვისაც საფასურს იხდიდა აგრეთვე საუდის არაბეთიც, რომელიც ამ ამბის გამო იყო განაწყენებული.

ახლო აღმოსავლეთის დიპლომატიას კარგად ფლობდა აგრეთვე კ. უაინბერგერიც. ის მრავალი წელი ასრულებდა სუპერკორპორაცია „ბეხტელის“ დავალებებს. ამიტომაც მას კარ-

გად იღებდნენ საუდის არაბეთის სამეფო ოჯახში. კეისს უაინბერგერმა კიდევ ერთხელ მოაგონა, რომ სამეფო ოჯახი იყო ანტისაბჭოურად განწყობილი და აქტიურად რეაგირებდა სპარსეთის ყურეში საბჭოთა კავშირის ყოველ ნაბიჯზე. საუდის არაბეთში ყოველთვის კარგად იღებდნენ კეისამდელ ცსს დირექტორს, ახლა კი იმჟამინდელ ვიცე-პრეზიდენტ ჯ. ბუშს. უფრო მეტიც ეს უკანასკნელი და საუდის არაბეთის დაზვერვის შეფი შეიხი ტურკ ალ-ფსაისი მეგობრობდნენ. ამის დასტურია ისიც, რომ ბუში(უფროსი), როდესაც გახდა კერძო პიროვნება დაკავდა ნავთობის ბიზნესით, რომელიც დაკავშირებული იყო საუდის არაბეთთან. ამიტომაც კეისს ტურკთან გამგზავრების წინ ბუშმა მისცა რამდენიმე რჩევა. თანაც გაუგზავნა წერილი საუდის არაბელ ყოფილ კოლეგას, რომელშიც გამოთქვამდა იმედს, რომ იგი დაეხმარებოდა ცსს-ს იმჟამინდელ დირექტორს[155, 26].

ნავთობის დიდ სათადარიგო საბადოებს უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა დასავლეთისათვის. თავად ქვეყანა კი იყო საკმაოდ დაუცველი. ქვეყნის მოსახლეობა, რომელიც შეადგენდა 9 მლნ. კაცს, გარშემორტყმული იყო მტრებით, რომელთაც გააჩნდათ ძლიერი და კარგად შეიარაღებული არმია. სამეფო ოჯახი იზოლირებული იყო ხალხისაგან. აქვე ქვეყნის ჩრდილოეთით ირანი და ერაყი აწარმოებდნენ ერთმანეთთან სისხლისღვრელ ომს. ირანის მმართველი აიათოლა ჰომეინი თავის მრავლრიცხოვან გამოსვლებში აღნიშნავდა თუ რაოდენ კორუმპირებული იყო საუდის არაბეთის სამეფო სახლი. ამრიგად არსებობდა საშიშროება, თუ ირანელები მოახერხებდნენ ერაყის საზღვრების გადალახვას, მაშინ ისინი მიუახლოვდებოდნენ ელ-რიადს.

ირანის ლიდერის რადიკალურ გამოსვლებს ბევრი მომხრე ჰყავდა საუდის არაბეთში, რომლებიც უკმაყოფილონი იყვნენ სამეფო სახლის ეკონომიკური პოლიტიკით. 1979 წლის მექაში მომხდარი სისხლიანი შეტაკებების შემდეგ ელ-რიადს უფრო ეშინოდა ირანის „მუსულმანი ძმების“, ვიდრე ისრაელის. გარდა ამისა სამეფო ოჯახს აშფოთებდა ისიც, რომ საუდის არაბეთის

ჩრდილოელ მეზობელ იემენში ხელისუფლებაში მოვიდნენ რადიკალურად მოაზროვნე პრომარქსისტული ძალები. როგორც არაბები თვლიდნენ სამხრეთ იემენს ჰქონდა ორი წონადი საფუძველი, რათა ჩამოეგდო მონარქია საუდის არაბეთში. პირველი-იდეოლოგიური სხვაობის გამო და მეორე-იემენში ნავთობის საბადოების არარსებობის გამო. ამასთან ერთად იმ დროისათვის ამ ორ ქვეყანას შორის არ იყო მკაფიოდ განსაზღვრული საზღვრები. ადენი(იმდროინდელი სამხრეთ იემენის სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დედაქალაქი) იწვევდა საბჭოთა სამხედრო მრჩევლებს, რაც არღვევდა საუდის არაბეთის მმართველი წრეების სიმშვიდეს. ერთ-ერთ ინტერვიუში სამეფო ოჯახის წევრი ამბობდა: „კუბაში საბჭოთა ჯარების ყოფნაზე მეტად დასავლეთისათვის საფრთხეა, საბჭოთა სამხედროების არსებობა სპარსეთის ყურის რაიონსა და ჩრდილოეთ აფრიკის ტერიტორიაზე“[155, 39].

საბჭოთა შეჭრა ავღანეთში საუდის არაბეთის მიერ განიხილებოდა, მოსკოვის ნაბიჯი სპარსეთის ყურისაკენ. ამიტომაც საუდის არაბეთის დაზვერვის შეფი ამბობდა: „ამ რაიონში კრემლის ინტერესებია ჩვენი ნავთობი. სანამ ჩვენ ველოდებით მათ შემოჭრას, საბჭოები ფიქრობენ თავიანთვის შექმნან ისეთი სიტუაცია, რომელიც გარანტიას მისცემს მათ, მიაწოდონ მსოფლიოს თავიანთი ნავთობი“. იმავდროულად სამეფოში არსებობდა რამდენიმე კონსპირაციული ჯგუფი და ორგანიზაცია. მათ რიგებს განეკუთვნებოდნენ „ახალგაზრდობის დემოკრატიული კავშირი“, „მუშათა სოციალისტური პარტია“. აგრეთვე სირია-ირანის დახმარებითა და შიიტების დომინირებით არსებული ისლამური რევოლუციის ორგანიზაცია, რომლის მიზანსაც წარმოადგენდა არაბეთის ნახევარკუნძულის განთავისუფლება. აქედან გამომდინარე კეისმა ზუსტად გათვალა, რომ სწორედ საბჭოთა საფრთხე შეიძლება გამხდარიყო საუდის არაბეთისა და აშშ-ს მჭიდრო მოკავშირეობისა და თანამშრომლობის მყარი საფუძველი, ხოლო ნავთობი დასავლური ინდუსტრიის მკვებავი. 1970 წელს არაბი ნავთობმაგნატები მტრულად იყვნენ განწყობილნი დასავლეთის წინააღ-

მდეგ, ვინაიდან ნავთობის ფასებმა გადალახა ყველა საზღვარი. სწორედ 1970-იან წლებში ოპეკმა დაკარგა მონოპოლია ნავთობპროდუქტებზე, თუმცა მას ისევ ძველებურად ხელში ჰქონდა ძალაუფლება და გავლენა. კ. უანბერგერმა გამოთქვა აზრი, რომ ამერიკის ხელმძღვანელობის ამოცანას წარმოადგენდა ნავთობზე ფასების დაწევა, რაც დაეხმარებოდა აშშ ეკონომიკას.

კეისისა და ტურკის შეხვედრის მთავარი თემა იყო „საბჭოთა კავშირის მიერ საუდის არაბეთის მიერ ირგვლივ შექმნილი ალყა". ამ დროისათვის სამხრეთ იემენში იმყოფებოდა 1500 საბჭოთა სამხედრო მრჩეველი; ჩრდილო იემენში-500, სირიაში-2500; ეთიოპიაში-1000; ერაყში-1000. ხოლო ავღანეთში კი იმყოფებოდა 100,000 ათასამდე საბჭოთა ჯარისკაცი. საუდის არაბეთელი მაღალჩინოსანი მიიჩნევდა, რომ მოსალოდნელი იყო საბჭოთა ექსპანსია სპარსეთის ყურეში. კეისმა ტურკის უპასუხა, რომ პრეზიდენტს შესანიშნავად ესმის არსებული სიტუაცია და მოაგონა მოლოტოვის სიტყვა 1939 წელს რიბენტროპთან: „სამხრეთი რეგიონი სპარსეთის მიმართულებით დაწყებული ბათუმიდან და ბაქოდან არის საბჭოთა კავშირის სწრაფვის სფერო". იქვე ცსს-ს შეფმა დაასკვნა: „იგივეა და არაფერი არ შეცვლილა ამჟამადაც". კეისმა საყვედურის ტონით თქვა-არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეშვათ უკვე მომხდარი ფაქტი - შაჰის ჩამოგდება ირანში. ამერიკელის აზრით იქ, რომ ხელისუფლება ძველებურად ყოფილიყო, ყველაფერი იქნებოდა უკეთ. მან ინფორმაცია მისცა შეიხს, რომ ვაშინგტონი მალე გაუწევდა დახმარებას პაკისტანს და მადლობა გადაუხადა მას ავღანეთის მიმართ გაწეული სამუშაოსათვის.

ტურკმა საპასუხოდ გამოთქვა მზადყოფნა აშშ-თან ერთად ყოფნის და კეისს უთხრა: საბჭოთა იმპერია ყველაზე სუსტია შუა აზიაში. ამიტომაც დაპირდა იმას, რომ უახლოეს მომავალში საუდის არაბეთი წამოიწყებდა კრემლის წინააღმდეგ იდეოლოგიურ ნიადაგზე ბრძოლას რაც, სახელდობრ გამოხატული იქნებოდა ავღანეთსა და საბჭოთა შუა აზიაში ყურანით კონტრაბანდის-

ტული ბრძოლით საბჭოთა ურწმუნოების წინააღმდეგ. საუბრის დასარულს კი ხაზგასმით აღნიშა: „აქ კი დახმარებას გაგვიწევს ალაჰი“. ამერიკელ მაღალჩინოსანას მოეწონა იდეა და შესთავაზა მოსაუბრეს, გამოეყენებინათ და გაევრცელებინათ საბჭოთა შუა აზიაში ის მასალები, რომლებიც საბჭოებმა ჩაიდინეს იქ რევოლუციისა და მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდებში[155, 75].

იმავდროულად ტურკმა სთხოვა კეისს მიეყიდა საუდის არაბეთისათვის აშშ-ს უახლესი იარაღი და თვითმფრინავები, ვინაიდან ერაყი და ირანი ხშირად არღვევდენ მისი ქვეყნის საჰაერო სივრცეს. სანაცვლოდ კი მის ქვეყანას ელემენტარული პასუხის გაცემაც კი არ შეეძლო. ამ საუბრისას საუდის არაბეთის შეფი კარგად გრძნობდა, რომ მის წინაშე იჯდა არ მარტო ცსს დირექტორი, არამედ აშშ მთავრობის, ეროვნული უშიშროების საბჭოსა და ეროვნული უშიშროების სამუშაო ჯგუფის წევრი. არაბი ძალიან იყო დაინტერესებული იმით, რომ აშშ-საგან მიეღო მძიმე შეიარაღება. კეისმა დაარწმუნა ტურკი, რომ აშშ პრეზიდენტს და მას ძალიან კარგად ესმის საუდის არაბეთის მდგომარეობა და, რომ აშშ შეცვლის ამ ქვეყნის მიმართ დამოკიდებულებას. რათა მათ გარანტირებული ჰქონოდათ უსაფრთხოება. კეისი დათანხმდა იმაზეც, რომ ამ ორ ქვეყანას ერთად ეწარმოებინათ დაზვერვითი ოპერაციები. მეტი დამაჯერებლობისათვის ცსს-ს დირექტორმა ტურკს გადასცა ზოგიერთი სადაზვერვო მასალა სამხრეთ იმენის შესახებ. ასეთი საჩუქარი შეიხს არასდროს არავისაგან არ მიეღო და ამან ძალიან გაახარა. ეს იყო კოპირებული საიდუმლო ცნობები, მოპოვებული ეროვნული უშიშროების სააგენტოს(NSA) მიერ. საქმე ეხებოდა იემენიდან მიღებულ ინფორმაციას საუდის არაბელი სეპარატისტების შესახებ, რომლებიც თხოვდნენ იემენელებს დახმარებას მეფის ოჯახის ჩამოგდებისათვის. თავად იემენელები გამოხატავდნენ თანხმობას ასეთი დახმარებისათვის, ხოლო სეპარატისტთა სწავლებები კი მიმდინარეობდა უდაბნოში.

შემდეგ კეისმა მაგიდაზე დადო ცსს-ს მიერ მოპოვებული

რამდენიმე მკაცრად გასაიდუმლოებული დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა საბჭოთა ნავთობის წარმოებას. მასში არ იყო არაფერი განსაკუთრებული. არაბმა შეიხმა რასაკვირველია იცოდა ნავთობის წარმოების საქმე მსოფლიოში, მაგრამ კეისს მისი აქ წარდგენა იმისათვის სჭირდებოდა, რათა ეთქვა მოპასუხისათვის, რომ მოსკოვი ძირითადად ნავთობის ექსპორტით აფინანსებდა თავის იმპერიას. კეისმა მიუთითა არაბს, რომ 1970-იანი წლებიდან სწორედ სნავთობზე ფასების მოულოდნელი ზრდის გამო გახდა კრემლი ისეთი, როგორიც არის. ყოველ ჯერზე, როდესაც კი იზრდებოდა ფასი ნავთობზე, მოსკოვს შედიოდა მილიარდობით დოლარი. ასე გაგრძელება კი არ შეიძლებოდა.

კეისი ცდილობდა შთაეგონებინა შეიხისათვის აზრი იმის შესახებ, რომ ნავთობის არც ერთ მწარმოებელს არ შეეძლო ისეთი გავლენა მოეხდინა ნავთობის ფასზე, როგორიც საუდის არაბეთს. თავის დროზე ამ ქვეყნის პროდუქცია შეადგენდა ოპეკის პროდუქციის 40%-ს. საუდის არაბეთი ფლობდა ნავთობის დიდ მარაგებს, ამის მეშვეობით კი არეგულირებდა მის მოპოვებას. ოპეკის ქვეყნები აკეთებდნენ დაწოლას საუდის არაბეთზე რათა მას შეემცირებინა ექსპორტი და ბარელ ნავთობზე აეწია ფასები 32 დოლარიდან 36 დოლარამდე. ნავთობის მსოფლიო ბაზარზე საქმე მივიდა ნავთობის კვლავგადამუშავებამდე. ნავთობზე ფასების მომატებაზე პრობლემა და იმავდროულად აშშ-სა და საუდის არაბეთის ურთიერთობათა სრულყოფას შორის არსებობდა არსებითი პირდაპირი კავშირი. ეს იყო ერთ-ერთი მთავარი ელემენტი რეიგანის სტრატეგიის. „ჩვენ მივისწრაფვოდით ნავთობზე ფასების დაწევისაკენ-იგონებს უაინბერგერი-ამ მიზეზით ჩვენ მივყიდეთ მათ იარაღი“[155, 59].

არაბმა შეიხმა მადლობა გადაუხადა კეისს ცნობებისათვის და აღნიშნა, რომ ელ-რიადმა უკვე გამოაცხადა უფრო ზომიერ პოლიტიკა ნავთობთან მიმართებაში. შეიხმა ასევე განაცხადა, რომ საუდის არაბეთის ინტერესებშია სურვილი განვითარდეს და ძლიერი იყოს ამერიკის ეკონომიკა. დაპირდა კეისს, რომ მისი

ხელისუფლება ზეწოლას განახორციელებდა, ანუ ფასების მატებასთან ერთად არ დაწევდა ნავთობის წარმოებას. სამსაათიანი შეხვედრის შემდეგ მთავარი შედეგი იყო ის, რომ გადაიდგა პირველი დიდი ნაბიჯი საბჭოთა კავშირთან ერთობლივი საიდუმლო ბრძოლის გზაზე.

საღამოს კეისი გაფრინდა თელ-ავივში. როდესაც თვითმფრინავი იმყოფებოდა 12 ათას მეტრ სიმაღლეზე, კეისი მის თანამშრომლებს გაესაუბრა პოლონეთის შესახებ და უთხრა მათ, რომ მოსკოვს ეშინია პოლონელების. მათ ერთობლივად დაიწყეს ფიქრი თუ როგორ შეიძლება დახმარებოდნენ პოლონეთის „სოლიდარობას“. ბჭობის შედეგად მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ დაუყოვნებლივ უნდა დაწყებულიყო დახმარების კამპანია პოლონური „სოლიდარობისადმი“. ჯერ კიდევ ჯიმი კარტერის პრეზიდენტობის დროს აშშ გაუწია უმნიშვნელო დახმარება სოციალისტური სისტემის ამ ქვეყანას, რაც გამოიხატებოდა ლიტერატურისა და ელექტრონული ტექნიკის მიწოდებით. ამ საქმეში კატალიზატორის როლი ითამაშა პრეზიდენტის მრჩეველმა ეროვნული უშიშროების სფეროში წარმოშობით პოლონელმა ებრაელმა ზ. ბჟეზინსკიმ. მაგრამ ეს ფინანსური დახმარება იყო ძალიან მცირე. ფული ძირითადად დაიხარჯა მაისურებზე ლოზუნგების წარწერაში და „სოლიდარობის“ მასალების გავრცელების დაცვაში. ეს ყველაფერი ხორციელდებოდა პოლონეთის ფარგლებს გარეთ. იმ დროს, როდესაც „სოლიდარობა“ ჩამოყალიბებულ იყო თავად პოლონეთში და იქ საჭიროებდა ქმედით დახმარებას. პარადოქსი იყო, მაგრამ ამავე დროს ამ ორგანიზაციასთან არავითარი საიდუმლო კავშირები არ ჰქონდა ცსს-ოს. იმავდროულად პოლონეთის ხელისუფლებამ დაიწყო ზეწოლა „სოლიდარობაზე“, ხოლო მოსკოვი ყველაფერს აკეთებდა იმისათვის, რათა არ ჩამოშლილიყო კომუნისტური რეჟიმი პოლონეთში. მარტის დასაწყისში პოლონეთის უმაღლესი ხელისუფლება გამოიძახეს კრემლში პოლიტბიუროზე, სადაც წაუყენეს რიგი მოთხოვნები[155, 96].



იური ანდროპოვი

1980 წლის ზაფხულში კრედიტორების დაწოლის შედეგად პოლონეთის ხელისუფლებამ ასწია ფასები. ამის პასუხად დაინყო საგაფიცვო მოძრაობა, რომელსაც სათავეში ჩაუდგა პროფკავშირების გაერთიანება „სოლიდარობა“, რომელიც შეიქმნა 1980 წლის 31 აგვისტოს, ხოლო რეგისტრაციაში გატარდა 24 ოქტომბერს. ძალიან საინტერესოა ის, რომ მისი წევრების ნახევარზე მეტს შეადგენდა მმართველი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია. უფრო მეტიც „სოლიდარობის“ 200 ხელმძღვანელიდან 42 იყო კომუნისტი. პოლონეთის მუშათა პარტიის ცკ-ის წევრი ბ. ლისი იყო „სოლიდარობის“ ლიდერის ლეხ ვალენსას მოადგილე, ხოლო ხელმძღვანელთა შორის იყო აგრეთვე პოლიტბიუროს წევრი ზ. გრიბეჟი[147].

ყოველივე ამან გააჩინა ეჭვები იმისა, რომ სოლიდარობის უკან ხომ არ იდგა პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტია, რომელსაც სურდა დაეშინებინა საკუთარი კრედიტორები და იმავდროულად მოეხდინა პოლიტიკური რეჟიმის ცვლილება.

კრემლის მოხუცები შეშინდნენ იმით, რომ პოლონეთს შესაძლოა დაეტოვებინა ვარშავის ხელშეკრულების ორგანიზაცია. ამიტომაც სსრკ თავდაცვის სამინისტროს მიეცა წინადადება ჩეხოსლოვაკიის მსგავსად შეეყვანა ჯარები პოლონეთში. მხოლოდ სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი წავიდა ამ აქციის კატეგორიული წინააღმდეგი და დაარწმუნა ლ. ბრეჟნევი, რომ ეს გამოიწვევედა ძალიან უარყოფით შედეგებს. წინადადება უარყოფილ იქნა.

მიუხედავად ყოველივესი 1981 წლის 13 დეკემბერს მოსკოვის დაწოლით პოლონეთის ხელისუფლებამ გამოაცხადა საგანგებო მდგომარეობა. აიკრძალა „სოლიდარობა", მისი ლიდერები კი დააპატიმრეს.

საპასუხოდ რ. რეიგანმა გასცა განკარგულება შემოეღოთ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ეკონომიკური სანქციები. ვინაიდან პაპი იოანე პავლე II წარმოშობით პოლონელი იყო პროცესებში ჩაერთო ვატიკანიც. 1982 წლის 7 ივნისს ამერიკის პრეზიდენტი თავად ეწვია რომის პაპს და გამართა მასთან 6 საათიანი მოლაპარაკება. ზოგიერთი ავტორი თვლის, რომ სწორედ ამ დროიდან იწყება „ჯვაროსნული ლაშქრობა" საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ[148, 94].

1981 წლის 5 მარტს საბჭოთა საინფორმაციო საშუალებები იუწყებოდნენ, რომ პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის მდივანმა ს. კანიამ, პრემიერმა ვ. იარუზელსკიმ ცენტრალური კომიტეტის ორ წევრთან ერთად გამართეს შეხვედრა ლ. ბრეჟნევთან, სუკის თავმჯდომარე ი. ანდროპოვთან, თავდაცვის მინისტრ დ. იაზოვთან, საგარეო საქმეთა მინისტრ ა. გრომიკოსთან და სკკპ უმაღლეს ეშელონში მყოფ კიდევ ხუთ პარტიულ ფუნქციონერთან. როგორც კომუნისტური საინფორმაციო საშუალებები იტყობინებოდნენ-ორივე მხარე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საჭირო იყო გადაუდებელი ზომების მიღება რათა პოლონეთში გადარჩენილიყო სოციალიზმი. ეს ცნობა მეტყველებდა იმაზეც, რომ მოსკოვი შეშფოთებული იყო იმპერიაში

არსებული სერიოზული რყევებით. რაც მთავარია პოლონური სინდრომი შეიძლებოდა დომინოს პრინციპით გავრცელებულიყო მთელ სოციალისტურ თანამეგობრობაში. განცხადებაში მხარეები ასევე აღნიშნავდნენ: „იმპერიალისტური ძალები და შინა რეაქცია გაერთიანდნენ და იმედოვნებენ, რომ ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი პოლონეთში გამოიყენონ მსოფლიოში ძალთა ბალანსის ცვლილებებისათვის, რათთა დაასუსტონ სოციალისტური თანამეგობრობა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობა. ამ მიზეზების გამო საჭიროა საკადრისი პასუხი გაეცეს მათ ყველა სახიფათო მცდელობას“... დასასრულ გაცხადებული იყო „სოციალისტური თანამეგობრობა ურღვევია. მისი დაცვა შეადგენს არა მარტო ცალკეულ სახელმწიფოთა ინტერესს არამედ მთელი თანამეგობრობის ამოცანას.....საბჭოთა ხალხს სწამს, რომ პოლონეთი იყო და იქნება ურღვევი ჯაჭვი სოციალისტური თანამეგობრობის“[156].

მალე საბჭოთა პრესამ დაიწყო იერიშის მიტანა დასავლეთზე. კრემლის რუპორები პოლონეთის მოვლენებში დასავლეთს ადანაშაულებდნენ, რათა ამით შეექმნათ იდეოლოგიური საფუძველი საბჭოთა ჯარების პოლონეთში შეჭრისათვის.

კ. უაინბერგერი, რომელიც სრულიად განაგებდა პენტაგონის ბიუჯეტს კვლავ ყურადღებით აკვირდებოდა პოლონეთში არსებულ მდგომარეობას. ფრთხილად ახორციელებდა ამერიკული მზვერავი თვითმფრინავების საიდუმლო გაფრენებს. „ავაქსის“ სისტემის თვითმფრინავები უთვალთვალებდნენ ჯარების გადაადგილებას. პრეზიდენტმა რეიგანმა გაუგზავნა მიმართვა მოსკოვს, რომ სამხედრო აქცია გამოიწვევდა აშშ-ს მხრიდან სათანადო პასუხო რეაქციას. მაგრამ არ იყო დაზუსტებული, თუ როგორი იქნებოდა იგი.

თელ-ავივში ჩაფრენისთანავე უ. კეისი გასაიდუმლოებულ ვითარებაში მიიყვანეს „მოსადი“-ს შენობაში. სადაც იგი შეხვდა ისრაელის დაზვერვის უფროსს გენერალ იცხაკ ხოფის. შეხვედრას ესწრებოდა აგრეთვე რამდენიმე მისი მოადგილე. „მოსა-

დი, როგორ ცნობილია იყო და არის ერთ-ერთ ყველაზე კვალიფიციური და ავტორიტეტული სადაზვერვო ორგანიზაცია მთელ მსოფლიოში. მას ჰქონდა და აქვს კავშირები არა მარტო ახლო აღმოსავლეთში არამედ მთელ ევროპაში. პოლონელი, საბჭოთა და უნგრელი ემიგრანტების მეშვეობით ებრაულმა დაზვერვამ შექმნა არხები, რომელიც გადიოდა ალბანეთიდან პოლონეთზე და საბჭოთა კავშირის სიღრმეში. ამ კავშირს შეადგენდნენ უპირატესად ებრაელი დისიდენტები და სასულიერო მოღვაწეები. არხი გააქტიურებას იწყებდა სიტუაციების შესაბამისად, სახელდობრ, მაშინ როდესაც ისრაელს სჭირდებოდა კონკრეტული ინფორმაციები.

ეს არხი ისრაელის სახელმწიფოს არსებობის დღიდანვე ბრწყინვალედ იყო ორგანიზებული. სწორედ მისი მეშვეობით მოხდა 1956 წლის ხრუშჩოვის მოხსენება დესტალინიზაციის შესახებ დასავლეთისათვის ცნობილი, რომელიც წარმოსთქვა სკკპ მე-20 ყრილობაზე. კეისს სურდა ამ არხზე ჩართულიყო ცსს. კეისისა და ხოფას საუბარი თავდაპირველად წარიმართა ახლო აღმოსავლეთზე. ცსს დირექტორმა დაარწმუნა თავისი ებრაელი კოლეგა იმაში, რომ ვაშინგტონი მომავალში ყველაფერს გააკეთებდა ისრაელის დაცვისათვის. თანაც დაამატა, რომ ახლა უნდა დაიწყოს ცსს-ს აქტიური მოქმედებები. ამერიკელმა აღნიშნა, რომ მზადა გააძლიეროს თავისი სამმართველოს თანამშრომლობა „მოსადთან". გენერალმა ხოფმა განაცხადა აფასებს ასეთ იდგომას და რომ „მოსადსაც" სურს ითანამშრომლოს ყველა სფეროში. შესაძლებელია ერთმანეთის ურთიერთდახმარება ფინანსური სიძნელეების შემთხვევაში[155, 103].

*****

გასართობი ჩანართი

ებრაული წარმოშობის პოლონელი ჟურნალისტი ვიქტორ გრაევსკი იგონებს: „პოლონეთში გავიგე, რომ ამერიკელები ნიკიტა ხრუშჩოვის სიტყვით გამოსვლის ტექსტისთვის 1,5 მილიონ აშშ დოლარს იძლევიან და ამ დოკუმენტის ხელში ჩაგდება სურთ. მე კი იმ დროს პოლონეთის პრე-

სის სააგენტოში სსრკ-ს განყოფილების მთავარი რედაქტორი ვიყავი. მყავდა მეგობარი გოგო, ლუცია ბარანოვსკაია, რომელიც პოლონეთის გაერთიანებულ მუშათა პარტიის ცენტრალურ კომიტეტში პარტიის გენერალური მდივნის რეფერენტად მუშაობდა. აქედან გამომდინარ მე თავისუფალი წვდომა ჰქონდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის შენობაში შესვლაზე. ერთ დღეს მე მეგობარ გოგოს სამსახურში მივაკითხე და შემთხვევით დავინახე მის სამუშაო მაგიდაზე წითელი ბროშურა, რომელსაც რუსულ ენაზე ეწერა: „Совершенно секретно"(სრულიად საიდუმლოდ). ეს იყო ხრუშჩოვის სიტყვის ბეჭდვითი ტექსტის ეგზემპლარი, განკუთვნილი პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის გენერალური მდივნისთვის. ლუცია ბარანოვსკაიას არც კი ჰქონდა წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა დოკუმენტი ედო სამუშაო მაგიდაზე. ამიტომაც, ყოველგვარი წინააღმდეგობის გარეშე, რამდენიმე საათით ეს დოკუმენტი გამომატანა მე.

ვიცოდი, რომ ყველას სურდა ამ მოხსენების ხელში ჩაგდება, გაეგოთ თუ რა ეწერა შიგ. შემეძლო წავსულიყავი ამერიკელებთან და 1,5 მილიონი აშშ დოლარი ამელო, მაგრამ გადავწყვიტე ისრაელის საელჩოში მისვლა და ამ დოკუმენტის ისრაელისთვის გადაცემა, ვიცოდი მშვენიერი საჩუქარი იქნებოდა ეს ჩემი მომავალი სამშობლოსთვის(ვ. გრაევსკი ისრაელში აპირებდა საცხოვრებლად წასვლას...

ისრაელის საელჩოში ვიქტორ გრაევსკი ნიკიტა ხრუშჩოვის სიტყვით გამოსვლის ტექსტის ასლი მან ვინმე ბარმორს გადასცა („მოსადის" ოფიცერი), რომელიც შემდგომში დაუყოვნებლივ გაემგზავრა ვენაში, სადაც აღნიშნული დოკუმენტი ისრაელის კონტრდაზვერვის ხელმძღვანელს მანორს გადასცა. ისრაელის ხელისუფლებამ არ გამოაქვეყნა ეს დოკუმენტი. მათ სულ სხვა გადაწყვეტილება მიიღეს, ნიკიტა ხრუშჩოვის საიდუმლო მოხსენება აშშ-ის დაზვერვის ცენტრალურ სააგენტოს (CIA) გადასცეს. ამით ისრაელმა სსრკ-სთან ურთიერთობა არ გაიფუჭა და ამავდროულად აშშ-სთან ნდობით აღჭურვილ ურთიერთობებს ჩაუყარა საძირკველი.


ისრაელში საცხოვრებლად გადასვლის შემდეგ, გრაევსკისთან მამაკაცი მივიდა, რომელიც მასთან ივრითზე და ცოტათი პოლონურ ენაზე საუბრობდა. მან მიმართა: „ბატონო გრაევსკი, ჩვენ არ დავივიწყებთ თუ რა გააკეთეთ ისრაელის სახელმწიფოსთვის". ჯილდოს სახით, მან გულის

ჯიბიდან კალამი ამოიღო და „მონბლანის“ კალამი გადასცა“. ჟურნალისტს ნარმოდგენაც კი არ ჰქონდა, რომ ეს დაბალი მამაკაცი, ხელში „მონბლანის“ კალმით, ისრაელში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი პირი - „მოსადის“ ლეგენდარული დირექტორი, ისერ ჰარელი იყო[215].

*****

ისრაელს თავის მხრივ უნდოდა ორი რამ - 1. მას აინტერესებდა მასალები ერაყისა და სირიის შესახებ, რომელიც გადაღებული იყო ამერიკული ჯაშუში-თანამგზავრების მიერ. ამერიკელები ფლობდნენ ამ ქვეყნების შესახებ მსოფლიოში საუკეთესო თანამგზავრულ ფოტოსურათებს. 2. „მოსადს“ უნდოდა ჰქონოდა საშუალებები თავის ქვეყნის საზღვრებს გარეთ. კეისმა ყოველგვარი ყოყმანის გარეშე უპასუხა კოლეგას, რომ ეს საკითხები დადებითად იქნებოდა გადაწყვეტილი. რის შემდეგაც შეუდგა საკუთარ პრობლემაზე მსჯელობას.

მეორე დღეს კეისი გადაფრინდა იტალიაში, სადაც შეხვდა რომში მყოფ საიდუმლო აგენტებს. საუბარი წარიმართა შემდეგი თემების გარშემო, როგორიც იყო ტერორიზმი და პოლონეთი. საქმე შემდეგში მდგომარეობდა. იმ დროისათვის იტალიაში იყო ბევრი ტერორისტული ორგანიზაცია. მათგან განსაკუთრებით გამოირჩეოდა „წითელი ბრიგადები“. რაც შეეხება პოლონეთს სწორედ იტალიაში იმყოფებოდა წარმოშობით პოლონელი პაპი იოანე პავლე II. აზრი მასთან თანამშრომლობის შესახებ მოდიოდა რონალდ რეიგანისაგან. ერთ-ერთი ამერიკელი მაღალჩინოსნის თქმით: „რეიგანი მუდმივად იმეორებდა იმას, რომ პაპი არის მთავარი ფიგურა, რომელმაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშოს პოლონეთის ბედზე. მასზე დიდი გავლენას ახდენდა აღელვებული პოლონელების ის ნაწილი, რომელიც აღფრთოვანებით ესალმებოდა პაპს. ამ დროს რეიგანის თვალებზე შეამჩნევდით ცრემლებს“.



იოანე პავლე II

კარლ ვოიტილა პაპად აირჩიეს 1978 წელს. გავრცელდა ხმები იმის შესახებ, რომ მან გაუგზავნა წერილი ლ. ბრეჟნევს სადაც იგი წერდა, რომ თუ საბჭოთა კავშირი შეიყვანდა ჯარებს პოლონეთში, მაშინ იგი დაბრუნდებოდა პოლონეთში და მოაწყობდა წინააღმდეგობის მოძრაობას. პაპი იყო მარქსიზმის შეურიგებელი მოწინააღმდეგ. 1980 წლის მარტში მან მექსიკაში წარმოთქვა სიტყვა, სადაც გასაგებად თქვა, რომ ვატიკანი მყარად უნდა შეებრძოლოს პროკომუნისტ სასულიერო მოღვაწეებს ისეთ ქვეყნებში, როგორებიცაა ნიკარაგუა, სალვადორი და საერთოდ მთელ სამხრეთ ამერიკაში. პოლონეთის გარდა ის იყო დიდი მორალური ავტორიტეტი ლიტველებისთვისაც. მან იცოდა ლიტვური ენა. 1979 წელს პაპმა განაცხადა, რომ პატიმრობაში მყოფი ლიტველი არქიეპისკოპოსი დაინიშნა კარდინალად. ამან ძალიან დიდი გამოხმაურება ჰპოვა ლიტვაში. საბჭოთა პრესა განსაკუთრებით ებრძოდა პაპს და სდებდა მას ბრალს, რომ მას სურდა ვითარების არევა უკრაინაში[155, 132].



ლეხ ვალენსა

„სოლიდარობის“ ლიდერმა ლეხ ვალენსამ 1981 წლის იანვარში იმოგზაურა იტალიაში და ვატიკანში შეხვდა იოანე პავლე II-ს. იგი მიიღო იტალიის შრომის კონფედერაციის თავმჯდომარემ ლუიჯი სკრიჩოლომ, რომელმაც 1980 წელს განახორციელა ვიზიტი პოლონეთში, რათა მოენახულებინა ვალენსა და სოლიდარობისათვის გაეწია დახმარება. საჩუქრად ჩაუტანა საბეჭდი მანქანები და მოძრაობის წევრებისათვის სხვადასხვა სახის ტექნიკა. დაზვერვის მონაცემებით სკორჩოლი თანამშრომლობდა ბულგარეთის დაზვერვასთან, ბულგარეთის საელჩოს თანამშრომელის მეშვეობით. ასეთ აგენტს შეიძლებოდა ფასდაუდებელი დახმარება გაეწია სუკისათვის. ამიტომაც ვალენსა აღმოჩნდა საფრთხეში. კეისმა მოითხოვა, რომ რეზიდენტურას იგი შეეხვედრებინა ვატიკანის სახელმწიფო მდივან კარდინალ აგუსტინიო კაზაროლისთან. ეს უკანასკნელი იყო ოთხი პაპის მრჩეველი. ის, როგორც ნორმალური ურთიერთობების მომხრე აღმოსავლეთ ევროპის კომუნისტურ ხელისუფლებებთან ატარებდა წყნარ და

აწონ-დაწონილ პოლიტიკას სახელმწიფოთაშორის დონეზე ვატიკანსა და კომუნისტური ბლოკის ქვეყნებს შორის. კაზაროლიმ განაცხადა, რომ არსებული განრიგი მას არ აძლევდა საშუალებას შეხვდეს კეისს. ამერიკელი მიხვდა, რომ ეს უარი იყო იმ პოლიტიკის გამოხატულება, რომელსაც ატარებდა სახელმწიფო მდივანი საგარეო პოლიტიკაში. რამდენიმე ხნის წინ კაზაროლი შეხვდა სალვადორელ მემარცხენე აჯანყებულებს და მარქსისტ ბელადებს პალესტინიდან. კაზაროლიმ მალე შემოთვალა, რომ მისი თანამშრომელი სრული კონფიდენციალობის დაცვით შეხვდებოდა კეისს. ვინაიდან ამ ამბის ოფიციალური გახმოვანებისთანვე საბჭოთა კავშირი ატეხდა პანიკას იმის შესახებ, რომ ცსს ეკლესიასთან გეგმავს საიდუმლო შეთქმულებას, რათა მოაწყონ გადატრიალება პოლონეთში. კეისი დათანხმდა კარდინალის წინადადებას. შეხვედრა დაიგეგმა რომში საკათედრო კანცელარიაში. ცსს დირექტორი შევიდა საიდუმლო შესასვლელით, ხოლო კარდინალის თანამშრომელი ცენტრალური შესასვლელით. ამერიკელს აინტერესებდა პოლონეთში შექმნილი სიტუაცია. ამ დროს კარდინალი სტეფან ვიშინსკი კვდებოდა კიბოსაგან. ამ ადამიანმა „სოლიდარობისათვის" შექმნა ხელსაყრელი სიტუაცია. იგი ემუქრებოდა პოლონელ ხელისუფალთ მასობრივი მღელვარებებით, თუ ისინი დაიწყებდნენ „სოლიდარობის" წევრების მიმართ რეპრესიებს. იმავროულად ვიშინსკი ცდილობდა შეეჩერებინა მოძრაობის რადიკალი წევრები, ვინაიდან ეს გამოიწვევდა „მოძმე" საბჭოთა არმიის შეჭრას პოლონეთში. ებრაული წარმოშობის პოლონელი დისიდენტი ადამ მიხნიკი აცხადებდა, რომ კარდინალ ვიშინსკის მეშვეობით „ეკლესია გახდა, ყველაზე ძლიერი მოწინააღმდეგე ტოტალიტარული სისტემის". პაპი დარწმუნებული იყო, რომ ადრე თუ გვიან რეპრესიები დაიწყებოდა. ორსაათიანი საუბრის შემდეგ კეისმა მოიპოვა მნიშვნელოვანი ინფორმაციები. ამ შეხვედრიდან რამდენიმე დღის შემდეგ მოხდა თავდასხმა რომის პაპზე. აშკარა იყო, რომ ამ თავდასხმის უკან იმყოფებოდა საბჭოთა სუკ-ის გრძელი ხელები.

საბჭოთა სპეცსამსახურები ეტყობა ვაშინგტონელი პოლიტიკოსების მოქმედებათა გარკვეულ ქმედებათა კურსში იყვნენ. ამიტომაც მოსკოვში გაიმართა სუკ-ის კრება, სადაც 45 წუთიანი სიტყვით გამოვიდა ლ. ბრეჟნევი, რომელმაც კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა ვაშინგტონის ოვალური კაბინეტი. ამის შემდეგ მეტად მკაცრი იყო სუკ-ის შეფის ი. ანდროპოვის გამოსვლა, რომელმაც დამსწრეებს მოახსენა, რომ აშშ აპირებს ატომური დარტყმის განხორციელებას სსრკ-ზე. სინამდვილეში საქმე შემდეგში მდგომარეობდა, ვაშინგტონი იწყებდა არა ატომურ, არამედ ეკონომიკურ ომს საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. თეთრი სახლი ცდილობდა ჩამოეშორებინა დასავლეთი საბჭოთა კავშირთან ვაჭრობისაგან და არ მიეცათ მისთვის ტექნოლოგიები და კრედიტები.

1981 წლის 9 მაისს კეისი იმყოფებოდა დასავლეთ ვირჯინიაში. ის გამოვიდა სიტყვით ბიზნესის საბჭოს წინაშე, სადაც მან თქვა, რომ საბჭოთა ეკონომიკა სულ უფრო და უფრო სუსტდება, ქვეყანაში იზრდება უკმაყოფილება, ამიტომაც აშშ-მ უნდა გამოიყენოს არსებული სიტუაცია. კეისმა მიუთითა ბიზნესმენებსა და ბანკირებს, რომ საბჭოთა კავშირზე ფინანსების და სესხების მიცემა იქნებოდა შეცდომა.

უ. კეისი ყველას არწმუნებდა დარწმუნებას იმაში, რომ მოსკოვთან ვაჭრობა ქვეყნისათვის ცუდი საქმე იყო. ზოგჯერ ის პირადად ურეკავდა კომპანიის მენეჯერს და აძლევდა მითითებებს, რომ ისინი უნდა ყოფილიყვნენ შეუპოვრები საბჭოელებთან მიმართებაში, ან კიდევ გადასცემდა საიდუმლო ინფორმაციას, რომ აღნიშნული პროექტი ამერიკულ ინტერესებს ეწინააღმდეგებოდა. სახელმწიფოს ასეთი ჩარევა ზოგჯერ დადებით, ხოლო ზოგჯერ უარყოფით შედეგებს იწვევდა.

ყველაზე დიდი საბჭოთა ეკონომიკური საწარმო პროექტი იყო „Уренгой-6“, ის უნდა ყოფილიყო აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის ვაჭრობის ყველაზე სერიოზული ობიექტი. კეისსა და უაინბერგერს ამ პროექტში ჰქონდათ თავიანთი ნიშნულები.

ეს უნდა ყოფილიყო 5 500 კილომეტრიანი მიწისქვეშა გაზსადენის მშენებლობა ჩრდილოეთ ციმბირის მხარე, ურენგოიდან საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკის საზღვრამდე. იქ იგი უნდა დაკავშირებოდა დასავლეთ ევროპული გაზის სისტემას, რომელიც მიდიოდა საფრანგეთში, იტალიასა და დასავლეთ გერმანიაში. თავდაპირველი პროექტის მიხედვით, მილსადენს ორი თემა ჰქონდა: 1. პროექტს ამ ქვეყნებისთვის უნდა მოეტანა 32 მილიარდი დოლარის შემოსავალი და ამდენად პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. 2. გაზსადენი მთავარი ეკონომიკური საკითხი იყო მოსკოვისთვის. „ძნელია გადაჭარბებით შეგვგვეფასებინა მისი ღირებულება“: - „ამბობდა მოგვიანებით კრემლის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი. ამერიკელთა შეფასებით საბჭოელებისათვი ეს გაზსადენი იყო მეწველი ძროხა.

კრემლს, არ ჰქონდა საშუალება და შესაბამისი ტექნიკური აღჭურვილობა, რომ აეშენებინა მაგისტრალი, ამიტომაც 1979 წელს დასავლეთს სთხოვა დახმარება. დასავლეთ ევროპამ, რომელიც დაინტერესებული იყო არა მხოლოდ ცენტრალური აზიიდან გაზის მიწოდებით, დაიწყო მოსკოვთან მოლაპარაკებები. ამ უკანასკნელმა მას 25 წლით გარანტირებული გაზის საფასური შესთავაზა. კრემლის ოცნებები ფინანსური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად რეალობას მიუახლოვდა. როგორც ადრე, დასავლეთის ბანკები შეთანხმდნენ გაზსადენის მშენებლობისთვის მიეყიდათ აუცილებელი მაღალხარისხიანი მოწყობილობები. იმავდროულად მშენებლობის წარმოებას თავიანთი მთავრობების მიერ გარანტირებული დაბალი საპროცენტო განაკვეთით. ამრიგად მოსკოვის გათვლებით ერთი და იგივე პროექტისათვის ის იღებდა ორმაგ დაფინანსებას.

ყოველივე ეს დროზე შენიშნა ბანკ „Chase Manchattan“-ის ვიცე-პრეზიდენტმა როჯერ რობისონმა, რომელიც პასუხისმგებელი იყო საბჭოთა კავშირის, აღმოსავლეთ ევროპისა და იუგოსლავიის საკრედიტო პაკეტებზე. ერთ-ერთი საუზმისას იგი შეეკითხა საბჭოთა მინისტრს: უჭერდა თუ არა იგი მხარს რათა

აიღოს სესხები ევროდოლარულ ბაზარზე ამ პროექტის დასაფინანსებლად. საბჭოელმა გაიცინა და უთხრა, რომ ის არასდროს იღებს სესხებს და ყველაფერ ამას დაფარავს ევროპისათვის გაზის მიწოდება. საბჭოთა საგარეო ვაჭრობის ბანკმა, ეტყობა ვერ მოასწრო მისი ინფორმირება იმის შესახებ, რომ ეს იყო ფაქტობრივად ორმაგი დაფინანსება. იმავდროულად მოსკოვის გავლენის ქვეშ მყოფმა „International Investment Bank"-მა დასავლეთის ოთხ დიდ სინდიკანტის საკრედიტო ბაზრებზე შეაგროვა 2,2 მლრდ. დოლარი. კრედიტებთან დაკავშირებული დოკუმენტები მეტყველებდნენ, რომ ისინი დაკავშირებულნი იყვნენ გაზის მილებთან, კომპრესორებთან და ა. შ. ერთი სიტყვით ტექნიკასთან. ეს იყო განსაცვიფრებელი თვითშემოქმედება. უფრო მეტიც ეს იმას ნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირს ნებისმიერ დროს შეეძლო გადაეკეტა ევროპისათვის გაზი[155, 144].

რობისონმა მის მიერ აღმოჩენილი ინფორმაცია მიაწოდა ცსს-ოს. თავის მხრივ ცსს-ს მთავარმა ანალიტიკოსმა ბენსონმა მიაწოდა ანგარიში კეისს. გაირკვა ისიც, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა დამოკიდებული იქნებოდა საბჭოთა გაზის 60%-ზე. ეს პროექტი თავის მხრივ დიდ სიკეთეს მოუტანდა საბჭოთა ეკონომიკას.

1980 წელს ერთ-ერთ ანგარიშში ბენსონმა დაწერა: „ენერგეტიკული ინდუსტრია დაეხმარა საბჭოთა კავშირის სამხედრო მანქანების განვითარებასა და სერიოზული ეკონომიკური პრობლემების მოგვარებაში". ანალოგიურ ანგარიშებს წერდა ბენსონი კარტერის პრეზიდენტობის დროს... მაგრამ იმ პერიოდისაგან, განსხვავებით ახლა მას უსმენდნენ: პრეზიდენტი რეიგანი, კეისი და უაინბერგერი.

როჯერ რობინსონის მოხსენების მიღებიდან მოკლე ხანში პენტაგონში გაიმართა შეხვედრა, სადაც წამოიჭრა გაზსადენის თემაც. უაინბერგერი მოგვიანებით იტყვის: „ჩვენ ვთვლიდით, რომ უნდა გაჩერებულიყო პროექტის არსებობა ან კიდევ უკიდურეს შემთხვევაში შეეჩერებინათ. წინააღმდეგ შემთხვევაში, ის მის-

ცემდა კრემლს სტრატეგიულ უპირატესობას და დიდ თანხებს". თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხელისუფლებაში ამ საკითხის გარშემო არ იყო ერთიანი პოზიცია. სახელმწიფო მდივანი ა. ჰეიგი ამბობდა, რომ ძალიან დაგვიანებული იყო ევროპაზე ზეწოლით ამ პროექტის ჩაგდება. მიხედავად ამისა უაინბერგერის თხოვნით ევროპაში მაინც გაიგზავნა ეკონომიკის დარგში მისი მოადგილე მ. რეშნიშა. მას უნდა დაეინტერესებინა ბებერი კონტინენტის დასავლური ნაწილი ამერიკული ნახშირით, სათბობის სინთეტიკური სახეობებით და ნორვეგიული მიწისქვეშა გაზით. მაგრამ დასავლეთ ევროპას არ სურდა მისი მოსმენა. კეისი და უაინბერგერი მაინც არ ნებდებოდნენ და ჯიუტად ეძებდნენ სხვადასხვა გზებს ევროპელების „გადმოსაბირებელად"[155, 167].

თავდაცვის დეპარტამენტში მოქმედებებს ზედამხედველობას უწევდა ეშმაკი ინტელექტუალი და მტკიცე ანტისაბჭოელი რიჩარდ პერლი. მან ბენსონი სხვებთან ერთად მიიწვია თავის დეპარტამენტში.

მალე უნდა მომხდარიყო აშშ-ს მოკავშირე და ეკონომიკურ პარტნიორ ქვეყნების ლიდერთა შეკრება კანადის დედაქალაქ ოტავაში. აქ უნდა გამოსულიყო რეიგანი განსაკუთრებულად და დამაჯერებლად. უანიბერგერმა პირდაპირ მიმართა პრეზიდენტს, რომ ეს გაზსადენის პროექტი უნდა გაჩერებულიყო. განსხვავებული აზრი ჰქონდა ა. ჰეიგს. ის მიმართავდა რეიგანს-„ბატონო პრეზიდენტო დასავლეთ ევროპა უარს არ იტყვის ამ პროექტზე. უკვე ძალიან გვიანია, ვინაიდან საქმე წასულია ღრმად. ოტავაში ჩვენ თუ ამ საკითხს წამოვწევთ, წინა ამით მხოლოდ დავიპირისპირებთ დასავლელ ხელმძღვანელებს. ამიტომაც სანამ დაიწყებოდეს ოტავის შეხვედრა, მანამდე ნება მომეცით გავმართო წინასწარი შეხვედრები ამ ქვეყანათა საგარეო საქმეთა მინისტრებთან, რომ მათ ვესაუბრო გაზის ალტერნატიულ საშუალებებზე". როგორი გასაკვირიც არ უნდა იყოს რეიგანს არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. ორი დღის შემდეგ, მან ვიწრო წრეში განაცხადა, რომ სამიტზე იგი ღიად არ ისაუბრებდა გაზსადენზე

და ზეწოლას არ მოახდენდა ამ ქვეყნების ლიდერებზე, რათა სანქციები დაეწესებინათ მოსკოვზე.

იმავდროულად კეისი და უაინბერგერი ამ საკითხზე ერთად მუშაობდნენ. მოსკოვი ისწრფვოდა დასავლური ტექნოლოგიებისაკენ, რაც თავის მხრივ საშუალებას მისცემდა გამკვლავებოდა წარმოებაში არსებულ პრობლემების მოგვარებას და განევითარებინა სამხედრო პოტენციალი. კრემლმა ნაცადი ხერხით შეძლო დიდი მოცულობითი წარმატებებისათვის მიაღწევა. ამ მიზნით შეიძინა ტექნიკა ან კიდევ მოიპარა ტექნოლოგიები. ამ ამბებში ჩართული იყო ათასობით ადამიანი. საბჭოთა კავშირისთვის დასავლური ტექნოლოგიების ხელმისაწვდომობა იყო პირველხარისხოვანი მნიშვნელობის. ამიტომაც ამერიკელებმა გადაწყვიტეს, რომ ამ პროცესიდან ჩამოეშორებინათ საბჭოთა კავშირი.

ტექნოლოგიების იმპორტს საბჭოთა კავშირისათვის მოჰქონდა უზარმაზარი ეკონომიკურ სარგებელი. ტექნოლოგიების გადაცემის მთავარ სამთავრობათშორისო კომიტეტის დირექტორის სტეფ გულპერის განაცხადებით: „საბჭოთა კავშირმა სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების ხარჯების თავიდან ასაცილებლად მიიღო სტრატეგიული გადაწყვეტილება, რომლის კომპენსაციაც უნდა მომხდარიყო დასავლეთის ტექნოლოგიების შეძენა ქურდობისა და არალეგალური შესყიდვების გზით“. მოსკოვი არ იპარავდა იმას, რაც ხელთ მოხვდებოდა. სპეციალისტები ჯერ აფასებდნენ თუ, რომელი ტექნოლოგია შეიძლება ყოფილიყო ყველაზე სასარგებლო როგორც სამოქალაქო ისე სამხედრო სექტორებში. კეისი და უაინბერგერი მიიჩნევდნენ, რომ მათ არ უნდა დაემალათ ყველა ტექნოლოგია, არამედ მხოლოდ ისინი, რომლითაც განსაკუთრებით იყო დაინტერესებული საბჭოთა კავშირი. კრემლი ეძებდა იმ ტექნოლოგიას, რომლებიც აქტიურად უწყობდნენ ხელს მის განვითარებას. ასეთი ბრძოლის ორგანიზებას ხელი შეუწყო იმანაც, რომ 1981 წლის გაზაფხულიდან კეისთან შემოსვლა იწყო საბჭოთა სამრეწველო წარმოების შესახებ უნი-

კალურმა სადაზვერვო მონაცემებმა. საფრანგეთის სადაზვერვო სამსახურს სუკ-ში ჰყავდა თავისი ინფორმატორი ფსევდონიმით „Farewell“. ის მუშაობდა პირველი მთავარი სამმრთველოს მეცნიერებისა და ტექნოლოგიების დეპარტამენტში. ეს ინფორმატორი გადმოსცემდა მასალებს, რომლის მიხედვითაც ცხადი იყო, რომ საბჭოელები იმ ტექნოლოგიებს იპარავდნენ და არალეგალურად ყიდულობდნენ, რომლებიც მათ აკლდათ სამხედრო სფეროში. „Farewell“-მა სპეცსამსახურებს გადასცა 4000-მდე დოკუმენტი, რომელიც ეხებოდა კონკრეტულად იმ მასალებსა და ტექნოლოგიებს, რომელთაც ეძიებდა სუკ-ი. მოწოდებული იყო ინფორმაცია საბჭოთა „ფირმების“ შექმნის მეთოდის შესახებ თუ როგორ ახდენდა საბჭოთა კომისია სამხედრო მრეწველობის საქმეებზე მობილიზებას. და როგორ ხდებოდა საბჭოთა აგენტების მიერ სამხედრო-სამრეწველო კომპლექსისათვის ემბარგო დადებული ტექნოლოგიების მოპარვა და არალეგალური შესყიდვა. ამერიკაში ყოველთვის ხედავდნენ საბჭოთა კავშირის ასეთ მოქმედებებს, მაგრამ ვერასდროს ვერ წარმოედგინათ, რომ ისინი ასეთი ფართო მასშტაბების იყო. „Farewell“-ს არასდროს არ უმუშავია ფულზე. მაგრამ 1982 წლის ნოემბერში მასთან კონტაქტი მოულოდნელად შეწყდა. მოგვიანებით გაირკვა, რომ ის ცოლთან მანქანაში ჩხუბობდა. ამ დროს მას მიუახლოვდა მილიციელი. ინფორმატორი შეშინდა და ესროლა მას. „Farewell“-ი დააპატიმრეს ჩასვეს ციხეში და დახვრიტეს.

რუსი ინფორმატორის ცნობებს ოქროს ფასი ჰქონდა. რეიგანი, როდესაც გაეცნო მათ, მან თქვა: „ჩვენ უნდა დავამთავროთ ეს“.

„Farewell“-ის მიერ გადაცემული მასალები, ისევე, როგორც სხვა სადაზვერვო წყაროებიდან მიღებული ინფორმაცია, ადასტურებდა, რომ ტექნოლოგიების გადაცემა ძალიან მნიშვნელოვანს წარმოადგენდა საბჭოთა ტექნოლოგიის, სამხედრო მრეწველობისა და ეროვნული ეკონომიკის განვითარებისთვის[155, 175].

დოკუმენტებიდან უდავო გახდა, რომ 1976 წლიდან მოყოლებული 1980 წლამდე, დასავლეთის არალეგალური ტექნოლო-

გიების შეძენის წყალობით, მხოლოდ საბჭოთა კავშირის საავიაციო ინდუსტრიის სამინისტრომ კვლევასა და განვითარებაში გააკეთა 800 მილიონი დოლარის ეკონომია. საბჭოთა კავშირში ამ საქმიანობას ხელმძღვანელობდა სამხედრო მრეწველობის კომისია და მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმი. მათ ასევე ეხმარებოდა საგარეო ვაჭრობის სამინისტრო. ისინი ერთად ადგენდნენ იმ ტექნოლოგიების სიას, რომლებიც აინტერესებდა კრემლს. კომისია განკარგავდა ბიუჯეტიდან ფულის გამოყოფას 1,4 მილიარდი დოლარის ფარგლებში. დიდი ნაწილი ამ საშუალებებისა შემოდიოდა ვალიუტის სახით დასავლეთიდან ექსპორტის მეშვეობით. ამ ფინანსების საშუალებით ხდებოდა დასავლური ტექნოლოგიების შესყიდვა და სადაზვერვო საქმიანობის წარმოება.

1981 წლის ივნისის დასაწყისში უაინბერგერმა და კეისმა „Farewell"-ის ინფორმაცია მიიტანეს ოვალურ ოფისში. კეისმა აჩვენა პრეზიდენტს საბჭოთა კავშირში მიერ მოპოვებული სია და მისი მნიშვნელობა. „ბატონო პრეზიდენტი - მიმართა მან, - საბჭოთა სამხედრო კომიტეტის ინდუსტრია ამ მასალების თითქმის ნახევარს იღებს ჩვენგან. ამიტომაც უნდა დასრულდეს ეს". „მათთვის ყველაფერი ძალიან ადვილად მიღწევადია- დასძინა რეიგანმა -ეს კი საფრთხეს უქმნის ჩვენს უსაფრთხოებას."

საბჭოები არა მარტო სარგებელს ნახულობდნენ მოპარული დასავლური ტექნოლოგიური მასალებისაგან, არამედ ისინი ყიდდნენ ბიზნესმენებზე იმ ხელსაწყოებს და მოწყობილობებს, რომელთაც ჯერ იძენდნენ დასავლეთში, ხოლო შემდეგ მოსკოვს გაჰქონდა ბაზარზე დასავლეთში. ამრიგად კრემლი ყოველწლიურად იღებდა ას მილიონ კომპიუტერულ პროგრამას. ისინი ყიდულობდნენ მთელ საწარმოო ხაზებს. 1970-იანი წლების დასასრულისათვის მოსკოვი ფლობდა მრავალმილიონიან მაღალი ტექნიკური დონის ფეთქებად მასალებსა და აღჭურვილობას. სადივერსიო მუშაობა ძირითადად მიმდინარეობდა ევროპაში. კრემლისაკენ მოწინავე ტექნოლოგიების გადინება მიმდინარეობდა ნეიტრალური ქვეყნებიდან - შვეიცარიიდან, შვეციიდან, ავსტრიიდან.

ამ ცნობის შემდეგ პრეზიდენტი რეიგანი შეეკითხა მომხსენებლებს თუ რას სთავაზობდნენ ისინი. უაინბერგერმა და კეისმა შენიშნეს, რომ საჭირო იყო სოციალისტურ ქვეყნებთან სტრატეგიული საქონლის ექსპორტის საკოორდინაციო კომიტეტის მიერ კონტროლის განმტკიცება. ეს ორგანიზაცია ასევე აკონტროლებდა კომუნისტური ბლოკის ქვეყნებთან სტრატეგიული მასალების აღჭურვილობით ვაჭრობას.

მალევე ამერიკის ხელმძღვანელობამ მიიღო ცნობები იმის შესახებ თუ როგორ მძიმე მდგომარეობაში იყო საბჭოთა ნავთობმომპოვებელი წარმოება. გაირკვა ის, რომ საბჭოეთს ძალზედ უჭირდა საბურღი საშუალებები და თუ მას არ მიიღებდა მოსკოვი აშშ-საგან ფაქტობრივად ეს დარგი ჩავარდნილი ხდებოდა. ამიტომაც იყო, რომ კ. უანიბერგერმა, უ. კეისმა და უშიშროების საბჭოს მთელმა პერსონალმა რ. ალენის ხელმძღვანელობით გააკეთეს ყველაფერი, რათა მკვეთრად შეემცირებინათ არალეგალური მაღალი დონის ტექნოლოგიების ექსპორტი მოსკოვის მიმართულებით. 1981 წლის ოქტომბერში, აშშ-ს საბაჟო სამმართველომ დაიწყო ოპერაცია „ექსოდუქსი“, რომელსაც უნდა შეეჩერებინა კრემლისათვის ამერიკული ტექნოლოგიების მიყიდვა

„ცივი ომის“ დროს ყველაზე მთავარი მიზანი იყო ბრძოლა ენერგომატარებლებისათვის, რომელშიც წარმატებისათვის ჯერ არცერთ მხარეს არ ჰქონდა წარმატება მიღწეული. მასში მთავარი როლი შეეძლო ეთამაშა საუდის არაბეთს. აქედან გამომდინარე ეს ქვეყანა გახდა ამერიკული პოლიტიკის მთავარი შემადგენელი ადგილი.

სახელმწიფო დეპარტამენტმა საუდის არაბეთს მისცა დახასიათება, როგორც არასტაბილური ქვეყნის, რომელსაც სამეფო ოჯახი მართავს და რომელიც მრავალი თვალსაზრისით იყო დაუცველი. მოხსენებაში ნათქვამი იყო: „არსებობს დიდი ალბათობა იმისა, რომ პირველად, ამ ქვეყანაში ნაწილობრივ ირანული აგიტაციით, და არაბულ-ამერიკულ კომპანიის საუდის არაბე-

თის მთავრობასთან კავშირის გამო ბევრი დაიწყებს შეერთებულ შტატებთან საკუთარი წარუმატებლობის დაკავშირებას. ამის დასტურია ის, რომ ქვეყნის აღმოსავლეთ ნაწილში გამოჩნდა ანტისამთავრობო და ანტიამერიკული ლიტერატურა. ასევე იტყობინებინებოდნენ დისიდენტური ორგანიზაციების შესახებ".

1981 წლის 8 ივნისს, დილის 2:30 საათზე, უილიამ კეისს აცნობეს, რომ ისრაელი ბომბავდა შირაკის ბირთვული რეაქტორს ერაყში. კეისმა ამერიკული თანამგზავრ „KH-ll „Big Bird"-ს, რომელიც დაფრინავდა საბჭოთა კავშირზე, დაუყოვნებლივ შეუკვეთა სურათები. ამ სურათებს უნდა აესახა ერაყში არსებულ ვითარება. ისრაელის დაზვერვამ პირდაპირ სატელაიტის საშუალებით ექვსი საათის შემდეგ მიიღო სურათები. კეისის ამ თავაზიანობის წყალობით, ისრაელი დარწმუნდა იმაში, რომ ოპერაცია წარმატებული იყო. ორი დღის შემდეგ, ცსს-ს საიდუმლო კომუნიკაციების დირექტორი ესაუბრა „Mossad"-ის უფროსს გენერალ ისააკ ხოფის და მიულოცა ზუსტი დარტყმა. თავის მხრივ, ამ უკანასკნელმა მადლობა გადაუხადა დახმარებისთვის. "მოხარული იყო, რომ დავეხმარე" – ამბობდა კეისი და ვთხოვე, თავადაც დამხმარებოდა.

კეისმა მოსადის შეფს თხოვა დახმარებოდა ისრაელი, რათა აშშ-ს „AWACS"-ის სისტემის თვითმფრინავები მიეყიდა საუდის არაბეთისათვის. მან „მოსადის" ხელმძღვანელს უთხრა: „შეერთებულმა შტატებმა უკვე დაამტკიცა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია ისრაელის უსაფრთხოება. ამიტომაც ვთხოვთ თელ-ავივს დაეხმაროს ვაშინგტონს თვითმფრინავების გაყიდვაში. „ჩვენ არ გელოდებით თქვენ, რომ მხარი დაუჭიროთ ჩვენს გარიგებას, მაგრამ თუ შეძლებთ ისრაელში დაამშვიდოთ ის ძალა, რომელიც ამ ნაბიჯს აკრიტიკებს?".

ხოფიმ უპასუხა, რომ მას სერიოზული საფუძველი აქვს ამ გარიგების საწინააღმდეგოდ, მაგრამ იგი ამჟამად შეეცდება გავლენა მოახდინოს საკუთარ მთავრობაზე, ისე, რომ ისინი არ გააკეთებენ საჯაროდ კრიტიკულ კომენტარებს ამ საკითხთან დაკა-

ვშირებით. კეისმა მადლობა გადაუხადა გენერალს და ხაზგასმით აღნიშნა, რომ თუ ოდესმე დასჭირდება კოსმოსური სურათები, მას ყოველთვის შეეძლო მისთვის მათი მიცემა[155, 199].

ზაფხულში შეიხი ბანდარ ბინ სულთანი ჩავიდა ვაშინგტონში, რათა კონგრესმენები განეწყო ამ ქმედებისთვის. მასთან თანამშრომლობდა უაინბერგერი. მათ შორის კარგი ურთიერთობები დამყარდა. კეისი საღამოს მიღებების დროს რამდენჯერმე შეხვდა შეიხს. ამ უკანასკნელს ჰქონდა პროდასავლური შეხედულებები. ის იყო თავდაცვის მინისტრის ვაჟი და ეკუთვნოდა ტახტის მემკვიდრე პრინც ფაჰდის ანუ იმ კაცის წრეს, რომელიც რეალურად მართავდა საუდის არაბეთს. სავარაუდოდ მეფე ხალიდის გარდაცვალების შემდეგ, ბანდარის პოზიცია სამთავრობო წრეებში კიდევ უფრო უნდა გამყარებულიყო. უაინბერგერმა იცოდა, რომ ბანდარი მზად იყო შეერთებულ შტატებთან სხვადასხვა საერთაშორისო საკითხებთან დაკავშირებით თანამშრომლობისთვის. ჩარლზ კოგანმა, რომელიც მაშინ ცსს-ს სახელით საუდის არაბეთის საქმეებზე იყო პასუხისმგებელი, კეისს ურჩია პირადი თანამშრომლობის დაწყება ბანდართან.

ივლისის ბოლოს ცსს-ს დირექტორი შეხვდა ბანდარს და პრინც ფაჰდ საუდის ვაჟს. სტუმრებისთვის იქირავეს რვა ოთახიანი ბინა ვაშინგტონის ცენტრში, სასტუმრო „Fairfax"-ში. სასტუმრო მდებარეობდა დუპონის ოლქის დასავლეთით და პოპულარული იყო საუდელებს შორის.

შეხვედრა ორსაათ ნახევარს გაგრძელდა. საუბარი მიმდინარეობდა „AWACS"-ის თვითმფრინავთან დაკავშირებით. კეისმა თქვა, რომ ისრაელის წინააღმდეგობა შემცირდება, მაგრამ დეტალები არ გაამხილა. ბანდარი და საუდი სკეპტიკურად უყურებდნენ მთელ გარიგებას. ვინაიდან შეერთებულმა შტატებმა არაერთხელ აღუთქვა მათ ის, რაც შემდეგ კონგრესზე იყო სხვადასხვა პროისლაელური ჯგუფების მიერ სადავოდ იყო გამხდარი. ცსს-ს დირექტორი დაჰპირდა, რომ იგი ჩაატარებდა რამდენიმე სატელეფონო საუბარებს მის ნაცნობებთან ბი-

ზნეს სამყაროდან, რათა ისინი დახმარებოდნენ მას კონგრესში „AWACS“ საქმის მოგვარებაში.

კეისი ასევე დაინტერესდა ვაშინგტონსა და სამეფო ოჯახს შორის ურთიერთობების გაფართოებით. მან სტუმრებს გაუზიარა ინფორმაცია, რომელიც მათთვის სასარგებლო იყო. ლიბიამ და სამხრეთ იემენმა ხელი მოაწერეს თანამშრომლობის ხელშეკრულებას. ეს ინფორმაცია საუდისთვის მნიშვნელოვანი იყო. ვინაიდან ლიბიამ და იემენმა, რადიკალური პოლიტიკის გატარებით, მხარი დაუჭირეს საუდის არაბეთში სამეფო ოჯახის ჩამოგდებას. კეისმა შესთავაზა სტუმრებს მიეწოდებინა მათთვის მოსმენის სისტემაში მოპოვებული მონაცემები და მასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი ინფორმაციები. იგი დაჰპირდა საუდის არაბეთის მმართველებს, რომ უფრო ხშირად გადასცემდა საუდის არაბეთისთვის საინტერესო სადაზვერვო მასალებს. ასევე საჭიროებისამებრ ექნებოდათ ცსს-ს ანალიტიკოსების დახმარებები.

საფინანსო დეპარტამენტი ყოველწლიურად მიმოიხილავდა შეერთებულ შტატებში საზღვარგარეთული ინვესტიციების ჩამონათვალს. სიაში შედიოდა ყველა ქვეყანა, მათ შორის საუდის არაბეთი. დეტალური ინფორმაცია შეიცავდა საუდის არაბეთის ინვესტიციების ზუსტ მონაცემებს. კონგრესმენი ბენჯამინ როზენტალი, რომელიც ხელმძღვანელობდა ვაჭრობის, მოხმარებისა და მონეტარული პოლიტიკის წარმომადგენელთა პალატის ქვეკომიტეტს, იბრძოდა ამ მონაცემების გასაჯაროებლად. სტენსფილდი ტერნერმა და უილიამ კეისმა როზენტალს გადასცა ცსს-ს სხვადასხვა მასალები აშშ-ს საუდის არაბეთის ფინანსურ საქმიანობასთან დაკავშირებით. მაგრამ მათში არ იყო ძირითადი ინფორმაცია. ისინი ინახებოდა დახურულ კონვერტებში და ეხებოდა ისეთ დოკუმენტებს, როგორებიც იყო: „OPEC-ის ოფიციალური საზღვარგარეთული აქტივი“, „ქუვეითი და საუდის არაბეთი ამერიკული აქციების შეძენის შეზღუდვასთან დაკავშირებით“, „არაბთა საკუთრების პრობლემები“[155, 203].

ბანდარს სურდა ამერიკის შეერთებული შტატების ადმინისტრაციას მიეცა გარანტია მისთვის, რომ, ეს დოკუმენტები არასოდეს ნახვდა დღის სინათლეს. მან კეისს განუცხადა, რომ თუ დოკუმენტების შინაარსი გამოცხადდებოდა, მაშინ იგი ამას მიიჩნევდა მათი ურთიერთობისთვის დიდ საფრთხედ და იძულებული იქნებოდა საუდის არაბეთის ზოგიერთი ინვესტიცია შეერთებული შტატებიდან უკან გაეწვია. საუდელებს ამ დროისათვის დაახლოებით 75 მილიარდი დოლარი ჰქონდათ ჩადებული ამერიკაში. კეისმა ბანდარს უპასუხა, ის ამისათვის ყველაფერს გააკეთებდა და მას შეეძლო ყოფილიყო მშვიდად.

შემდეგ განიხილეს სამეფო ოჯახის უსაფრთხოების უზრუნველყოფის საკითხები. ამ ქვეყნის შინაგან საქმეთა სამინისტროში შეიქმნა ეროვნული საინფორმაციო ცენტრი, რომელიც თანამშრომლობდა ფრანგულ დაზვერვასთან. ბანკის ცენტრალური კომპიუტერული პროგრამამ დედაქალაქის უსაფრთხოების სამსახური დააკავშირა, ყველა აეროპორტს, პორტსა და პროვინციას. კეისმა დახმარება შესთავაზა თანამშრომლების მომზადებისათვის. ბანდარი დათანხმდა.

კეისი გადავიდა ნავთობის საქმეებზე. საბჭოთა კავშირი ცდილობდა გაეზარდა ნავთობის ექსპორტი დასავლეთში და არცთუ წარუმატებლად. ცსს-ს დირექტორმა ითხოვა ინფორმაცია იმ კონტრაქტებთან დაკავშირებით, რომელსაც მოსკოვი აფორმებდა, ხელშეკრულებების გაფორმებამდე მოლაპარაკებებზე, სხვა ნავთობ მწარმოებლების დამოკიდებულებისა და საბჭოთა მცდელობების მიმართ ექსპორტების გაზრდის შესახებ. შეიხმა უპასუხა, რომ მისთვის რთული არ იქნებოდა კეისისთვის ასეთი ინფორმაციის მიწოდება. ბოლოს შეიხმა შესთავაზა სადღეგრძელო: „შემდგომი მეგობრობისთვის!“

აგვისტოს დასაწყისში ვაშინგტონმა მიიღო შემაშფოთებელი შეტყობინებები პოლონეთიდან. პოლონეთის გენერალური შტაბის თანამშრომელი, პოლკოვნიკი კუკლინსკი, ფარულად აცნობებდა თეთრ სახლა, რომ პოლონეთს ემუქრებოდა სამხედრო მდგო-

მარეობის გამოცხადების საფრთხე. სხვა დოკუმენტების გარდა მან ცსს-ს გადასცა მოსკოვში დაბეჭდილი ბროშურების ასლები, რომლებიც მოუწოდებდა მოქალაქეებს შეენარჩუნებინათ სიმშვიდე და დამორჩილებოდნენ საომარი მდგომარეობის კანონებს. გადამოწმების შედეგად კუკლინსკის გადაცემული ინფორმაცია დადასტურდა. თუმცა, ახლა ამერიკის ადმინისტრაციას გაუჩნდა ეჭვი, ხომ არ იყო ეს დეზინფორმაცია, ვინაიდან ბროშურების მოპოვება ძალიან ადვილად შეიძლებოდა. რადგან ვითარება გაურკვეველი იყო და ეროვნული უშიშროების საბჭო ყოყმანობდა, რაიმე კონკრეტული ქმედება არ განხორციელებულა.

თეთრ სახლს არ შეუწყვიტავს „სოლიდარობის“ საქმიანობით დაინტერესება. პრეზიდენტი სთხოვდა თანამშრომლებს გამოეთქვათ მოსაზრებები, თუ როგორ დახმარებოდნენ მოძრაობას. რიჩარდ პაიპსმა აიძულა აშშ-ს დიპლომატია გადაედგა გადამწყვეტი ნაბიჯები პოლონეთის საკითხზე, რათა იქ თავიდან აეცილებინა საბჭოთა ჯარის შეჭრა. ამასთან, აშშ-ს ქმედებებში ჩარევის შესაძლებლობა შეზღუდული იყო მათზე რეაგირების შესაძლებლობასთან შედარებით.

ისრაელის დაზვერვის წყაროები ჯერ არ გადმოცემდნენ რაიმე მნიშვნელოვან ინფორმაციას პოლონეთის შესახებ. კეისს სასწრაფოდ სჭირდებოდა კონტაქტი სოლიდარობასთან. ვინაიდან პაპის მკვლელობის მცდელობა და ცნობები იმის შესახებ, რომ ლეხ ვალენსას ახლო წრე ბულგარული დაზვერვის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა, დასავლეთში შეშფოთებას იწვევდა არ მომხდარიყო „სოლიდარობის“ მოძრაობის ლიდერზე თავდასხმა. იმავდროულად ვარშავაში, ამერიკის საელჩოს თანამშრომლებზე ხორციელდებოდა თვალთვალი. მათ სოლიდარობასთან ვერ მოახერხეს ჩვეული არხებით დაკავშირება ვინაიდან "სოლიდარობა“ გარშემორტყმული იყო ხელისუფლების ჯაშუშებით. თუ ცსს შეეცდებოდა მიეწოდებინა კუკლინსკისგან მიღებული ინფორმაცია და გაეფრთხილებინა „სოლიდარობა“, მაშინ შეიძლება პოლკოვნიკი გაეშიფრა ხელისუფლებას. რის შემდეგაც

ცსს-ს რჩებოდა მხოლოდ ერთი ინფორმაციის წყარო - „მოსადი“.

პრეზიდენტმა რ. რეიგანმა მანამდე დადო ფიცი, რომ იგი არ დაუშვებდა პოლონეთში საბჭოთა შეჭრას. ამიტომაც შეერთებულმა შტატებმა საბჭოთა კავშირის საჰაერო სივრცის სიახლოვეს გაგზავნა თვითმფრინავები. ესკადრილია ბაზიდან აფრინდა და რამდენიმე ათასი მეტრის სიმაღლეზე ფრინავდა პოლონეთისა და ბალტიის სანაპიროს გასწვრივ. აგვისტოს ბოლოს და სექტემბრის დასაწყისში კი ამერიკულმა ავიაციამ თერთმეტი ასეთი გაფრენა ჩაატარა. ამას აკეთებდნენ დასავლეთ გერმანიაში ბაზირებული ბომბდამშენები და სამხედრო-გამანადგურებლები. ბოლო მომენტში საბჭოთა საჰაერო სივრცის დარღვევამდე, ესკადრონი ტრიალდებოდა და ისევ ბაზაში ბრუნდებოდა. ამას აფიქსირებდნენ საბჭოთა კავშირის საჰაერო თავდაცვის ძალები და ატყობინებდნენ გენერალურ შტაბს. ამან მოსკოვში უკიდურესი შეშფოთება გამოიწვია და კრემლი შთააგონა, რომ ამერიკელებს შეეძლოთ დაეწყოთ სამხედრო ოპერაციების ჩატარება.

ჯერ კიდევ მარტის თვეში, უაინბერგერმა გამართა შეხვედრა საბჭოთა კავშირის ელჩ ანატოლი დობრინინთან. მასზე ორივე მხრიდან იყო მწვავე კითხვები. მოსკოველმა დიპლომატმა ჰკითხა თადაცვის მინისტრს: „რას ფიქრობთ, სად მიდიან ჩვენი ქვეყნები? რატომ არის ამდენი ინციდენტი საჰაერო სივრცეში?"

- „შესაძლოა, ნაწილობრივ იმის გამოც, რომ საბჭოთა კავშირმა და მთელმა მსოფლიომ იცოდნენ, თუ როგორ შეიცვალა შეერთებული შტატები. მას შემდეგ რაც ახალი ადმინისტრაცია მოვიდა ხელისუფლებაში ჩვენ უფრო ძლიერი და მოქმედებებში გამბედავნი ვიქნებით. გარდა ამისა, ჩვენ შეშფოთებულნი ვართ საბჭოთა პოლიტიკის გამო ავღანეთსა და პოლონეთში“ - იყო უაინბერგერის პასუხი.

დობრინინმა სწრაფად გასცა პასუხი: „მერწმუნეთ, ჩემმა ქვეყანამ იცის, რამდენად შეიცვალა შეერთებულმა შტატები. მე ამას იქ აკურატულად ვაცნობებ. ფიქრობთ თუ არა, რომ ჩვენი ქვეყნებისთვის განცხადებების გაცვლაზე უფრო მნიშვნელოვანია დიალოგი?"

„რა თქმა უნდა - თქვა ვეინბერგერმა - მხოლოდ იმ პირობით, რომ ატმოსფერომ და გარემოებამ უნდა შექმნას რეალური პერსპექტივები ეფექტური მოლაპარაკებების წარმატებით დასრულებისათვის. თუ საბჭოთა კავშირი შეიჭრება პოლონეთში, ეს ნიშნავს რომ ასეთ მოლაპარაკებებს აზრი არ აქვს"[155, 37-38].

თავის მხრივ, მოსკოვი აცხადებდა, რომ პოლონეთის საკითხში არ აპირებდა დათმობას. რამდენიმე თვის განმავლობაში საბჭოთა არმია წრთვნებს ატარებდა ქვეყნის დასავლეთ საზღვარზე. „ვიმედოვნებდით, რომ ჩვენი შეეშინდებოდა პოლონელებს და ისინი დანებდებოდნენ" - იხსენებს საბჭოთა დაზვერვის ყოფილი ოფიცერი. ტორონისა და პოლონეთის სხვა მხარეების მხარეში საბჭოთა თვითმფრინავებმა განახორციელეს საბრძოლო-საწრთვნელი ფრენები. პოლონეთში გადაიყვანეს საბჭოთა ვერტმფრენები და სამხედრო ტექნიკის გადამზიდავები, რაც მიუთითებდა იმაზე, რომ სამხედრო ოპერაცია არც თუ ისე შორს იყო. გარდა იმისა, რომ ამ ქმედებებმა პოლონელებზე მოახდინა ზეწოლა, ისინი საშიში იყო იმ თვალსაზრისითაც, რომ საბჭოთა მფრინავების ფრენები არ კონტროლდებოდა პოლონეთის მხრიდან.

1980 წელს ვარშავის ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოების უმაღლესი წრეები მიდრეკილნი იყვნენ პოლონეთში სამხედრო ძალის გამოყენებაზე. ლეონიდ ბრეჟნევის მიერ მოწვეული ვარშავის ხელშეკრულების წევრების რიგგარეშე სხდომის ოქმის თანახმად, მისი ზოგიერთი წევრი „სოლიდარობას" საშიშროებად მიიჩნევდა მთელი საბჭოთა ბლოკისთვის. 1980 წლის ბოლოს სამიტზე, ერიხ ჰონკერმა ლეონიდ ბრეჟნეევს მისწერა: „სხვადასხვა არხებით მიღებული ინფორმაციის თანახმად, პოლონეთში კონტრრევოლუციის ძალები შეტევაზე გადავიდნენ. ნებისმიერი ყოყმანობა ნიშნავს სოციალისტური პოლონეთის სიკვდილს. გუშინ, ჩვენი ერთობლივი ძალისხმევა შეიძლება ნაადრევი ყოფილიყო. დღეს ისინი აუცილებელია, ხვალ კი დაგვიანებული".

ლ. ბრეჟნევმა გაიზიარა ჰონკერის შეშფოთება. შეხვედრის

ოქმში იკითხება მისი სიტყვები: „ვითარება პოლონეთში და პოლონეთის მხრიდან საშიშროება არა მხოლოდ პოლონეთის საქმეა, ეს ყველას გვეხება.“ პოლონეთში მომხდარ პოლიტიკურ მიწისძვრას შეიძლება დაეზიანებინა მთელი იმპერიის ფუნდამენტი. მაგრამ ბრეჟნევს აწუხებდა ვაშინგტონის ქმედებები. რას იზამდა თეთრი სახლის, ეს ახალი კოვბოი?

ეროვნული უშიშროების საბჭომ, გარკვეულწილად, იცოდა, თუ რა ხდებოდა პოლონეთში. რიჩარდ პაიპსმა პრეზიდენტისთვის მოამზადა ორგვერდიანი ტექსტი, რომელშიც მან აღნიშნა, თუ რა საფრთხეს წარმოადგენდა კრემლისათვის „სოლიდარობა“ და რატომ იყო მნიშვნელოვანი ამ მოძრაობის საქმიანობისადმი მხარდაჭერა. მისი თქმით: „პოლონეთი საბჭოთა კავშირის შემდეგ მეორე ვარშავის პაქტის უმთავრესი ქვეყანაა“. ამიტომაც მოსკოვს მიაჩნდა, რომ „სოლიდარობა“გადამდები დაავადება იყო, რომლისგან უნდა განთავისუფლებულიყო სოციალისტური საზოგადოება...“ თუ ეს არ მოხდებოდა მთელი საბჭოთა ბლოკი იქნებოდა საფრთხის ქვეშ, ვინაიდან ვირუსი უკვე გავრცელებული იყო. „ბალტიის ქვეყნებში დაიწყო რაღაც არეულობების მსგავსი, რაც წინ უძღოდა „სოლიდარობის“ გაჩენას. ამ ქვეყნის პროფკავშირის მუშაკები კონტაქტზე იყვნენ ლიტვასთან, თავიანთ კათოლიკე ძმებთან, რომელთა მოსაზრებებმა დადებითი გავლენა გამოიწვია. 1981 წლის სექტემბერში სოლიდარობის აქტივისტებმა საჯაროდ განაცხადეს თავიანთი „გზავნილი აღმოსავლეთ ევროპის მშრომელებისადმი”. მოძრაობის ერთ-ერთმა ლიდერმა ანჯეი გვიაზდამ, გდანსკის პროფკავშირის კონგრესზე წაიკითხა რეზოლუცია: „ჩვენ მხარს ვუჭერთ ყველა მათ, ვინც გადაწყვიტა, რომ იბრძოლოს თავისუფალი პროფკავშირების მოძრაობისათვის”.

პოლონეთის კომუნისტური მთავრობა სწრაფად გამოვიდა რეზოლუციის დაგმობით და განაცხადა: „ეს განცხადება ნიშნავს, რომ „სოლიდარობა“ ეწინააღმდეგება სოციალისტურ სამყაროს”.

რ. პაიპსის წერილს გაეცნო ეროვნული უშიშროების საბჭოს

ყველა წევრი: რეიგანი, ალენი, ბუში, ჰეიგი, უაინბერგერი, კეისი. წერილმა ყველაზე შოკისმომგვრელი გავლენა მოახდინა. „უფრო მეტი, ვიდრე ოდესმე, ჩვენ დარწმუნებული ვიყავით, რომ სოლიდარობა უნდა შენარჩუნებულიყო,"- იხსენებს უაინბერგერი[155, 215].

ი. ანდროპოვის ხელისუფლებაში მოსვლა დაემთხვა საბჭოთა კავშირსა და აშშ-ს შორის ურთიერთობების მკვეთრ გაუარესებას და საერთოდ ურთულეს საერთაშორისო მდგომარეობას. „ცივმა ომმა" მიიღო ისეთი სახე, რომ მიმდინარეობდა უკვე ბალანსირება ომის ზღვარზე. საბჭოთა კავშირი იძულებული იყო ბრეჟნევის დაკრძალვიდან მეორე დღეს გაეთვისუფლებინა „სოლიდარობის" დაპატიმრებული ლიდერი ლ. ვალენსა და ერთი თვის შემდეგ გაეუქმებინა სამხედრო მდგომარეობა პოლონეთში. აშშ-ში ამ მოვლენების მიმართ თავიანთი დამოკიდებულება არ გაუმჟღავნებიათ. რ. რეიგანის ადმინისტრაციის აღებული მწვავე კურსი საბჭოთა კავშირის მიმართ არ იცვლებოდა.

კორუფცია საბჭოთა კავშირში

საბჭოთა საზოგადოების აქილევსის ქუსლად იყო ქცეული მატერიალური საქონლის განაწილების საკითხი. ჯერ კიდევ 1920-იან წლებში იწყო ჩამოყალიბება პრივილიგირებული საბჭოთა-პარტიული ნომეკლატურული სისტემის, რომელთა განკარგულებაში იყო: სამსახურებრივი მანქანები, აგარაკები, დასასვენებელი სახლები, სპეციალური განმანაწილებელი პუნქტები პროდუქტებისა და სხვა საქონლის, საზღვარგარეთის მივლინებები, პერსონალური პენსიები[41, 293-366].

1932 წლის 8 თებერვალს სკპ(ბ) ცკ-ის პოლიტბიურომ ოფიციალურად გააუქმა პარტმაქსიმუმი[157, 147]. უპირველესად ლიკვიდირებული იქნა „ურთიერთდახმარების ფონდი", რომლის ანგარიშით პარტიას ჰქონდა შესაძლებლობა უზრუნველყოფილიყო პარტიული ნომეკლატურა. ამით იხსნებოდა ის ბარიერი, რომელიც უკვე ჩამოყალიბებულ იქნა გამდიდრებულ პარტიულ ხელმძღვანელობასა და რიგით წევრებს შორის. მიუხედავად უდიდესი რეპრესიული პოლიტიკისა მაინც მიმდინარეობდა პარტიის ხელმძღვანელ წრეებში მყოფი პირების მიერ ქონების „პირველადი დაგროვების" პროცესი. მას ძალიან შეუწყო ხელი გერმანიასთან ომმა. აგრეთვე არსებობდა დიდი ფაქტორი, როგორიც იყო ფასებზე სამი ხარისხი (საბარათო, კომერციული, საბაზრო). საწარმოები უშვებდნენ ზოგიერთ ისეთ სამეურნეო საქონელს, რომელიც უნდა განაწილებულიყო ბარათებით. აი სწორედ აქედან იღებდა „შავი ბაზარი" საქონელს. მნიშვნელოვანი როლი ითამაშა აგრეთვე ქონების დაგროვებაში საბჭოთა არმიის ევროპაში ლაშქრობამ. რუსები დღესაც წერენ, რომ თუ ჩემმა მამამ რიგითმა გერმანიიდან ჩამოიტანა ფოტოაპარატი, აკორდეონი და ვერცხლის კოვზების ნაკრები, გენერლები ნაძარცვ საქონელს ეზიდებოდნენო მანქანებით[158, 189-191]. და ამის უპირველესი მაგალითი იყო მარშალი გ. ჟუკოვი, რომელსაც არც სხვა მაღალჩინოსნები ჩამორჩებოდნენ. ერთი სიტყვით რუსმა ჯარისკაცმა ევროპაში დაინახა თუ როგორ შეიძლება იცხოვროს ადამიანმა

ადამიანურად. უფრო მეტიც წითელი არმიის ევროპაში შესვლით მართალია სტალინმა დიდი სამხედრო-პოლიტიკური გამარჯვება მოუპოვა რუსეთს, მაგრამ მეორეს მხრივ რუს ჯარისკაცს გაუღვივა კერძომესაკუთრული ტენდენციები, რასაც ასე ებრძოდა სტალინური რუსული სოციალიზმი. და ამ ბრძოლაში საბოლოოდ დამარცხებული გამოვიდა ეს უკანასკნელი. ანუ არსებული ვითარებიდან გამომდინარე სტალინმა ჩაიდინა გამოუსწორებელი შეცდომა. მან რუსებს დაანახა ევროპა და ევროპას რუსები. რამაც ძირეულად შეცვალა საბჭოთა ადამიანის ფსიქოლოგია ცხოვრების მიმართ და ევროპელის დამოკიდებულება საბჭოთა მოქალაქის მიმართ.

ქონების დაგროვებას ანუ, როგორც მარქსისტები იტყოდნენ „პირველად დაგროვებას“ ეწეოდნენ არა მარტო სამეურნეო და სამხედრო ხელმძღვანელები, არამედ პარტიის იდეოლოგები. მაგ. 1949-1951 წწ. ჯერ ქვეყნის მთავარი გაზეთის „პრავდის“ პასუხისმგებელი მდივანი, ხოლო შემდეგ მთავარი რედაქტორის მოადგილე იყო პ. სატიუკოვი. ლ. ილიჩევი, 1951-1952 წწ. მუშაობდა ამავე გაზეთის მთავარი რედაქტორად; ვ. კრუჟკოვი, მარქსს-ენგელს-ლენინის ინსტიტუტის დირექტორი, რომელიც შემდეგ სათავეში ედგა სკკპ ცკ-ის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილებას. გატაცებულნი იყვნენ ქონების დაგროვებით ცნობილი პარტიული ფუნქციონერის დ. შეპილოვის თქმით: „ომის დროს და მისი დამთავრების შემდეგ სატიუკოვი, კრუჟკოვი და ილიჩევი ეწეოდნენ სურათებისა და სხვა ძვირფასეულობის ყიდვას. მათ თავიანთი ბინები გადააქციეს პატარა ლუვრებად და გახდნენ მილიონერები. ერთხელ აკადემიკოსმა პ. იუდინმა, რომელიც ოდესღაც ელჩი იყო ჩინეთში მომიყვა: - ილიჩევმა მანახა თავის მიერ მოგროვებული ნახატები და სხვა განძეულობა თან მითხრა: „იცოდე პავლე თედორეს ძევ ნახატები ნებისმიერი პირობების დროს არის კაპიტალი. ფული შეიძლება გაუფასურდეს და ამის არაერთი შემთხვევა ყოფილა, მაგრამ სურათების მიმართ ეს არასოდეს არ მოხდება“[159. 6]. მაშასადამე თავად სტალი-

ნის დროს იწყო ჩამოყალიბება პარტიაში ადამიანთა ისეთმა კასტამ, რომლებიც სისხლხორცეულად იყვნენ დაინტერესებულნი საბჭოთა პოლიტიკური და ეკონომიკური სისტემის სისტემური ცვლილებით, ანუ რეფორმირებით. უეჭველია ეს ადამიანები მიისწრაფოდნენ იქეთკენ, რომ მათ ჰყოლოდათ „თავიანთი ხალხი“ პარტიულ და სახელმწიფო აპარატში, რომლებიც გაატარებდნენ მათთვის სასარგებლო პოლიტიკას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე ქვეყნის გარეთ. სწორედ ეს ახლად ქონებადაგროვილი ნომეკლატურა ითხოვდა რადიკალურ ცვლილებას, ოღონდ ამას რეპრესიების შიშით აშკარად ვერ ბედავდა.

ჰ. კისინჯერი წერს: „გორბაჩოვმა მასთან შეხვედრის დროს განაცხადა, რომ ის და შევარდნაძე ჯერ კიდევ 70-იან წლებში მივიდნენ იმ დასკვნამდე, რომ კომუნისტური სისტემა შესაცვლელია ფეხიდან თავამდე“[160, 727].

ზოგიერთი ცნობის მიხედვით საბჭოთა საზოგადოება არ მიაჩნდა სოციალისტურად ი. ანდროპოვსაც. მისი თანამედროვის გადმოცემით ანდროპოვი ამბობდა: „რისი განვითარებული სოციალიზმი?.....უბრალოდ სოციალიზმამდე ჩვენ გუთნით უნდა ვხნათ და ვხნათ“[161, 223].

1960-იანი წლებიდან საბჭოთა კავშირში აყვავდა ჩრდილოვანი ეკონომიკა ფართოდ გაიშალა ე.წ. „მიწერები“. საყოველთაოდ ცნობილია ყაზახეთში ბამბის მიწერები. „მიწიერებმა“ გავრცელება ჰპოვა მეურნეობის სხვა დარგებში: მშენებლობაში, მრეწველობაში, სოფლის მეურნეობაში, ტრანსპორტში, მომსახურების სფეროში, კულტურაში.

„მიწერები გახდა ცხოვრების წესი, როგორც 1980-იანი წლების ერთ-ერთი სამეურნეო ფუნქციონერი აღნიშნავდა „შემოწმებისას ხუთიდან ოთხ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მიწერებს“[162]. მიწერები ყოველწლიურად იზრდებოდა. მაგალითად თუ ავიღებთ ბამბეულის წარმოების სფეროს: 1956-1960 წწ. იგი შეადგენდა 5, 2%-ს, 1961-1965 წწ. 7, 7%-ს, 1966-1970 წწ. 8,1%-ს , 1971-1975 წწ. 8,3%-ს, 1975-1980 წწ. 14,3%-ს; 1981-1985 წწ. 16,9%-ს[163, 98; 164].

კვლევების შედეგად გამოვლინდა, რომ 1988 წლისათვის მიწერებმა შეადგინა 150 მლრდ. მანეთი ანუ საერთო პროდუქტის 10%.

სპეციალისტებმა 1980-იან წლებში კოსმოსური გადაღებების მეშვეობით დაადგინეს, რომ საბჭოთა კავშირის საზღვრებში არის მიწის ადგილები, რომლებიც აღნიშნული არ იყო რუკებზე. მაგალითად აუწერელი მიწები ასტრახანის და პოსტოვის ოლქებსა და კრასნოდარის მხარეში შეადგენდა 6-დან 12 პროცენტს. კალმიკიაში ოფიციალურად ნაჩვენებმა სარწყავმა მიწებმა შეადგინა არსებულის 50%-ი. ასეთივე ფაქტები იყო თათრეთის ასსრში, თურქმენეთში და სხვა რეგიონებში. ანუ მიწების შემცირების ჩვენება ქვეყანაში ჩვეულებრივი მოვლენა გახდა[165, 65-67].

ჩრდილოვანმა ეკონომიკამ მოიცვა მთელი ქვეყანა. დადგენილია, რომ მხოლოდ 1988 წლისათვის მშენებლობასა და რემონტთან დაკავშირებულ სფეროებში ჩრდილოვანი ეკონომიკის შემოსავალი შეადგენდა 50 მლრდ. მანეთს. ამ პროდუქციის ნაწილი ხმარდებოდა თავად შიგნით მეურნეობას, ნაწილი კი გადიოდა „შავ ბაზარზე"[166].

მებაღე ამხანაგობები ათიდან ცხრა შემთხვევაში მშენებლობის მასალებს იძენდნენ არა მაღაზიებში, არამედ კერძო პირებისაგან. ყოველი მესამე საბაღე ამხანაგობის სახლი იგებოდა, არალეგალური ტექნიკის მეშვეობით. ავტომობილების მფლობელთა ნახევარი სათადარიგო ნაწილებს სპეკულაციურ ფასებში ყიდულობდა კერძო პირებთან. ავტომფლობელთა ანახევარზე მეტი იგივე საწვავს იძენდა ე.წ. „ლევი" ანუ „მარცხენა" შემოსავლიდან. ამ სამი სახის საქონელიდან „ჩრდილოვანი შემოსავალი" შეადგენდა 8 მლრდ. მანეთს[167, 67].

გარდა ამისა ჩრდილოვან ეკონომიკას შეადგენდა: სასოფლო სამეურნეო პროდუქტები, ალკოჰოლური სასმელები, ნარკოტიკები და სხვა საქონელი. ამას ემატებოდა უცხოური ვალუტით ვაჭრობა.

უმნიშვნელოვანესი სფერო ჩრდილოვანი ეკონომიკისა იყო არალეგალური მომსახურება, როგორიც იყო: ბინის მიღება, არენდა, ტრანსპორტის რემონტი, სატრანსპორტო გადაზიდვები.

ტანსაცმლის ინდივიდუალური კერვა, ბინების გაცვლა და ბინის რემონტი. ყოველივე ამისაგან ჩრდილოვანი ეკონომიკა მოიპოვებდა 14-დან 16 მლრდამდე მანეთს[168, 60-65; 169, 67].

ჩვეულებრივი მოვლენა იყო მომხმარებლის მოტყუება. მონაცემები ცხადყოფდნენ, რომ მომხმარებლის ყოველწლიური მოტყუების შედეგი 6 მლრდ მანეთს აღწევდა[170].

ჩრდილოვანი ეკონომიკა ყველაზე მეტად გამოვლენილი იყო სპეკულაციის სახით. ერთ-ერთი იმდროინდელი საბჭოთა კვლევითი ინსტიტუტის შეფასებით 1980-იან წლებში სპეკულიანტებისაგან მოსახლეობა ყიდულობდა 4-4,5 მლრდ მანეთის ტანსაცმელს, ფეხსაცმელს და გარდერობის სხვადასხვა ნივთებს[169, 67]. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს მონაცემებით მხოლოდ მეურნეობის ამ დარგში ჩრდილოვანი ეკონომიკის მთლიანი ბრუნვა შეადგენდა მინიმუმ 10 მლრდ. მანეთს[171, 50].

აქედან გამომდინარე ჩრდილოვანი ეკონომიკის ხვედრით წილი საბჭოთა ეკონომიკაში 1980-იანი წლების შუა პერიოდისათვის შეადგენდა 200-300 მლრდ. მანეთს.

მოსკოვში მაშინ ფაქტობრივად უკვე სუფთა კაპიტალიზმი იყო. ისეთი პირობები შეიქმნა სსრკ-ში, რომ მისი ხელმძღვანელობა მზად იყო „გაეყიდა უცხოურ ვალუტაზე, მარქსიზმ-ლენინიზმი მისი სამი წყაროთი“. უარეს სიტუაციაში იყო კომუნისტური კადრების მცვლელი სამჭედლო კომკავშირი, სადაც საზღვარი არ ჰქონდა მლიქვნელობას, მაამებლობას და კორუფციას.

საბჭოთა საზოგადოებაში ქონების ძირეული დაგროვებას ემსახურებოდა იუველური ნაწარმის რეალიზაცია. 1960 წელს გაიყიდა 84 მლნ. მანეთის, 1965 წელს კი 107 მლნ. მანეთის ძვირფასი ლითონები და ნაკეთობები. 1970 წლისათვის მისი რაოდენობა 533 მლნ. მანეთამდე გაიზარდა. 1975 წელს გაიყიდა 1 მლრდ. 637 მლნ. მანეთის, 1980 წელს კი 4 მლრდ. 637 მლნ-ის. მთლიანად 15 წლის განმავლობაში იუველური ნაწარმის გაყიდვა გაიზარდა 45-ჯერ[172, 472; 173, 130].

კაპიტალის დანაგროვებს სპეციალისტები ჰყოფენ ორ ნაწილად:

კანონიერად და კრიმინალურად. ერთ-ერთ წყაროს კანონიერი დაგროვებისას წარმოადგენდა ჰონორარები, რომელსაც იღებდნენ: მწერლები, კომპოზიტორები, მსახიობები, მხატვრები და სხვები. ჰონორარებს იღებდნენ პარტიული და საბჭოთა მოღვაწეები.

მაგალითად ჟურნალ „ოგონიოკის“ რედაქტორს თავისი პირველი ტომისათვის აუღია 75000 მანეთის ჰონორარი. მისი თხზულებანი კი შეადგენდა ხუთ ტომს მაშასადამე საერთო ჯამში მიიღებდა 375000 მანეთამდე.

მრავალი მაგალითი იყო ქონების უკანონო დაგროვების. მოსკოვის სხვადასხვა მაღაზიების დირექტორებს კოლცოვს და ვოდოვოზოვს აღმოუჩინეს 650 ათასი მანეთი. კრასნოდარის სამხარეო რაიკომის მდივანს ა. ტრარადას 450 ათასი მან. უნივერმაღ „სოკოლნიკების“ დირექტორს 1 მლნ. მანეთი. სსრკ საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე სუშკოვს 1, 5 მლნ მანეთი. თევზის მრეწველობის მინისტრს იშკოვს და მის მოადგილეს 6 მლნ. მანეთი და 1 მლნ. დოლარი[174, 18; 174, 175; 176, 34].

1980-იანების შუა ხანებში სსრკ-ში ცხოვრობდა 280 მლნ. ადამიანი. შემნახველ სალაროებში იმ დროისათვის იყო 198 მლ. ანაბარი, რომელზედაც ინახებოდა დაახლოებით 300 მლრდ. მანეთი[173, 48].

საინტერესოა ასეთი მონაცემები: 1000 მანეთამდე დეპოზიტები მოითვლიდა 111 მლნ. შემნახველ წიგნაკს, მათზე ინახებოდა 36 მლრდ. მანეთი. მოსახლეობის აყვავებული ნაწილზე იყო 87 მლნ. ანაბარი 260 მლრდ. მანეთით.

საბჭოთა ცხოვრების უმაღლეს განმაპირობებელ ნიშნად ხასიათდებოდა ავტომანქანის შეძენა. საბჭოთა კავშირში 30 წლის მანძილზე გაყიდულ იქნა 30 მლნ. მანქანა[173, 158]. ამრიგად ავტომანქანა ჰყავდა მოსახლეობის 10-15%-ს დანარჩენი 85-90%-ისათვის ეს „ბედნიერება“ მიუწვდომელი იყო. მაშასადამე ქვეყანაში ჩამოყალიბდა კლასი, რომელმაც დააგროვა კანონიერი თუ უკანონო გზით დიდი ქონება და ახლა უნდოდათ მათი დაკანონება. და როდესაც ამერიკის პრეზიდენტმა რ. რეიგანმა მი-

იწვია კონსულტაციისათვის ისრაელში ემიგრირებული საბჭოთა მეცნიერი ი. ზემცოვი და ჰკითხა თუ ვინ შეიძლება იყოს საბჭოთა კავშირში ლიბერალური რეფორმების სოციალური საყრდენი. სწავლული არც კი დაფიქრებულა, ისე მიუგო- „ჩრდილოვანები“. მაშასადამე კრიმინალიტეტი, რომელიც ინგლისურად ჟღერდა, როგორც „განგსტერები“[177, 148-149].

კორუფცია გავრცელებული იყო ყველა სფეროში. საბჭოთა კავშირის გენერალური პროკურატურის სამძებროს სისხლის სამართლის მთავარი სამაართველოს უფროსი იძულებული იყო განეცხადებინა, რომ „თევზის საქმეზე“ ძიებამ იგი მიიყვანა სკკ ცკ-ის წევრ საკავშირო თევზის მრეწველობის მინისტრის კაბინეტამდე[178, 372-373]. „ტრეგუბოვის საქმემ“ უჩვენა რომ მასში მონაწილეობდა მოსკოვში ვაჭრობაში მომუშავე 300 ათასი მუშაკი[179, 59]. შექმნილი იყო ე.წ. ჯაჭვი, რომელიც მიდიოდა უმაღლეს სახელმწიფო და პარტიულ პირებამდე. ასეთივე ვითარება იყო მთელ საბჭოთა კავშირში. კატასტროფულ ვითარებაზე მიუთითებდა ის, რომ ცხრა წლის განმავლობაში, მექრთამეობის, დატაცების, გაფლანგვების და სხვა სამეურნეო თუ ეკონომიკური ხასიათის დანაშაულებისათვის პარტიიდან ცხრა წლის განმავლობაში გაირიცხა თითქმის მილიონამდე ადამიანი. იყო შემთხვევა, როდესაც კულტურის მინისტრმა ფურცევამ საკუთარი აგარაკი ააშენა იმ მასალებით, რომლებიც გამოყოფილი იყო დიდი თეატრის რეკონსტრუქციისათვის, როდესაც ამისათვის მას პოლიტბიუროზე უსაყვედურეს. ის გაბრაზდა და იქ მყოფებს პირში მიახალა: „ჩემს დადანაშაულებამდე საკუთარ თავში ჩაიხედეთ“[146, 205].

ბევრ საბჭოთა რესპუბლიკაში პარტიის წევრად გახდომაში ფულს იხდიდნენ. სხვადასხვა თანამდებობებზე დაწესებული იყო თანხები. ქალაქკომის მდივნობა ღირდა ნახევარი მილიონი მანეთი, შინაგან საქმეთა სამმართველოს უფროსობა 300 ათასი, ხოლო სხელმწიფო ავტოინსპექციაში მუშაობის დაწყება სამი ათასი[179, 62; 41, 290-291].

1970-1980-იან წლებში კრიმინალურ იტაქვეშეთს თავისი ხალხი ჰყავდა საქალაქო, საოლქო, საბჭოთა და პარტიულ ორგანოებში, რომელთაგან ზოგიერთნი შემდეგ გადავიდნენ მინისტრთა საბჭოსა და სკკპ ცკ-ში

კორუფცია მძინვარებდა საგარეო ვაჭრობაში. მეოთხედი საუკუნის განმავლობაში 1961-1985 წლებში სსრკ-მ შეისყიდა 150 მლრდ. დოლარის სოფლის მეურნეობის პროდუქტები[180, 172-173]]. თუ როგორ მიმდინარეობდა ეს ვაჭრობა კარგად გამოჩნდა მ. გორბაჩოვის სიტყვაში 1986 წელს: „ჩვენ ვუხდით აშშ 160 დოლარს ერთ ტონა ხორბალში, ხოლო სსრკ-ში იგი ღირს 111. ასე რომ 50 ოქროს მანეთს ვკარგავთ ჩვენ ყოველ ტონაზე“. სხვა მონაცემებით შინა ბაზარზე ტონა ხორბალი ღირდა 100 მანეთი, ხოლო საზღვარგარეთ ყიდულობდნენ 225 დოლარად.

ამის მიზეზი იყო ხორბლის იმპორტის სისტემაში სახელმწიფო სტრუქტურული მაფიის ჩამოყალიბება.

1980-იანი წლების შუა ხანებში სსრკ-ში მოიპოვებოდა მთელი მსოფლიოს ალმასის მეოთხედი[181, 234-235]. სახელმწიფომ ჯერ კიდევ 1960 წელს გააფორმა თანამშრომლობის ხელშეკრულება, ამ სფეროში ცნობილ ინგლისურ ფირმა „დე ბრისთან“. რის შედეგადაც სსრკ-მ გაიტანა საზღვარგარეთ 4,8 მლრდ. სავალუტო მანეთის ალმასი. ხოლო „დე ბრისმა“ მხოლოდ ორი 1977-1978 წლის განმავლობაში ისრაელში გაყიდული საბჭოთა ალმასების შედეგად მიიღო 2,6 მლრდ. დოლარი[182, 9]. საქმე შემდეგში მდგომარეობდა, რომ ალმასი ასჯერ იაფი ღირდა, ვიდრე ბრილიანტი. ამიტომაც ხელისუფლებამ ბევრჯერ აღძრა საკითხი გაეკეთებინათ ადგილზე ბრილიანტები, მაგრამ საკითხი სულ მუდამ ვარდებოდა იმის საბაბით, რომ ჩვენთვის ხელსაყრელი არ არის ბრილიანტების წარმოების განვითარება[182, 10].

კოროზია მოედო საბჭოთა ხელისუფლების დასაყრდენს სუკს. მასობრივად იწყეს ამ მეთვალყურე და დამსჯელი ორგანოს წარმომადგენელებმა გაქცევა-გადაბარგება მოწინააღმდეგის ბანაკში. ძალიან მაგრად მუშაობდა დასავლეთის აგენტურა. მაგ-

ალითად სუკი-ს გენერალი წერს: „ყოფილმა ამერიკელმა მზვერავები ამბობდნენ. თქვენ კარგი ბიჭები ხართ. ჩვენ ვიცით, რომ გქონდათ წარმატებები და გაქვთ უფლება იამაყოთ.....მაგრამ მოვა დრო და გაიგებთ, როგორი აგენტურა ჰყავდა ცსს და სახელმწიფო დეპარტამენტს თქვენთან ზემოთ"[183, 246].

ჩვენები იყვნენ ყველგან. ცსს იმყოფებოდა საბჭოთა სისტემის ყველა უბანზე: სუკ-ში, კრემლში, სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტებში... ცსს-მ არა მარტო შეაღწია საბჭოთა კავშირისა და ვარშავის ხელშეკრულების სადაზვერვო სამსახურებში, არამედ მათში გიგანტური მასშტაბებით მანიპულირებდა[184, 9]. ამას ადასტურებს სუკ-ის თამჯდომარე ვ. კრიუჩკოვი. ის იგონებს - 1977 წელს მოხსენება გააკეთა სუკ-ის მაშინდელმა თავმჯდომარემ ი. ანდროპოვმა. შემდეგ კი გამოსცა განკარგულება, სადაც ეწერა: „სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის მიერ მიღებული სანდო მონაცემებით, ბოლო დროს აშშ ცსს, თავისი სპეციალისტების ანალიზისა და პროგნოზის საფუძველზე აყალიბებს გეგმებს სსრკ-სთან მიმართებით. სახელდობრ, საბჭოთა საზოგადოებისა და სოციალისტური ეკონომიკის დეზორგანიზაციას, საბჭოთა კავშირის დაშლის გააქტიურებისს მიზნით. ამერიკული დაზვერვა მთავარ ამოცანად ისახავს საბჭოთა მოქალაქეებიდან გავლენის აგენტების გადაბირებას, მათ მომზადებას და შემდგომ დაწინაურებას საბჭოთა კავშირის პოლიტიკის, ეკონომიკისა და მეცნიერების მართვის სფეროებში.

ცსს-მ შეიმუშავა პროგრამები გავლენის აგენტების ინდივიდუალური მომზადებისთვის, რაც ითვალისწინებს მათთვის ჯაშუშობის უნარების შეძენას. ასევე კონცენტრირებულ პოლიტიკურ და იდეოლოგიურ ინდოქტრინაციას. გარდა ამისა, ასეთი აგენტების მომზადების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია ეკონომიკის წამყვან დონეებზე, ამ ადამიანებისათვის მართვის მეთოდების სწავლება.

ამერიკული დაზვერვის ხელმძღვანელობა გეგმავს მიზანმიმართულად და დაჟინებით, ხარჯების დაუზოგავად, მოძებნოს

ადამიანები, რომლებიც, მათი პირადი და საქმიანი თვისებების მიხედვით, საბოლოოდ დაიკავებენ ადმინისტრაციულ პოზიციებს საკონტროლო აპარატში და შეასრულებენ მტრის მიერ მიცემულ ამოცანებს. იმავდროულად, ცსს გამომდინარეობს იქიდან, რომ ცალკეული, გავლენის აგენტების საქმიანობით განახორციელონ საბოტაჟი პოლიტიკაში, ეკონომიკაში და დაამახინჯონ სახელმძღვანელო პრინციპები.

ცსს-ს გეგმის მიხედვით, გავლენის აგენტების მიზანმიმართული საქმიანობა ხელს შეუწყობს საბჭოთა კავშირში შიდაპოლიტიკური ხასიათის გარკვეული სირთულეების შექმნას. შეაფერხებს საბჭოთა ეკონომიკის განვითარებას და სამეცნიერო კვლევებს, შექმნის ჩიხებს. ამ გეგმების შემუშავებისას ამერიკული დაზვერვა ამოდის იქიდან, რომ მათი მიზნების განხორციელებას თანამედროვე პირობებში ხელსაყრელ წინაპირობებს უქმნის საბჭოთა კავშირის მზარდი კონტაქტები დასავლეთთან"[250, 112].

როდესაც დასავლეთში გაჩნდა ე.წ. „სიცრუის დეტექტორი" საბჭოთა კავშირის შინაგან საქმეთა სამინისტროში გაჩნდა იდეა შეეტანათ ეს მოწყობილობა შეიარაღებაში და მისით ესარგებლათ არა მარტო საკუთარი თანამშრომლების შემოწმებისას, არამედ იმ ადამიანებისადმიც, ვინც ეჭვმიტანილი იყო ორმაგი ცხოვრების წესში. მაგრამ მუშაობა ამ მხრივ შეჩერებული იქნა, ხოლო საბჭოთა სიცრუის დეტექტორის შემქმნელი გაუშვეს შინაგან საქმეთა სამინისტროდან[185, 305].

პარადოქსია, მაგრამ ფაქტი. სუკ-ს არ ჰქონდა საკუთარი უსაფრთხოების სამსახური.

შემთხვევით არ იყო, რომ 1980-იან წლებში საბჭოთა კავშირში ხუმრობდნენ, რომ ცსს-ოს მოსკოვში აქვს სამი რეზიდენტურა: ერთი-აშშ საელჩო, მეორე-გენშტაბის მთავარ სამმართველოში და მესამე-სუკ-ში[186, 29].

ყოველივე ამ პროცესების შედეგი იყო რომ სოციალურმა კოროზიამ მოიცვა მთლიანად ზედა ფენები. ქვეყნისა და მოსკოვის ელიტა იკრიბებოდა რესტორან „არხანგელსკ"-ში, სადაც

იმართებოდა თავაწყვეტილი ღრეობები და ორგიები. „დილამდე მიმდინარეობდა „მომხიბლავი სეირნობები“. აქ იყვნენ სახელმწიფო ჩინოვნიკები, სუკი-ს თანამშრომლები, კინოს მოღვაწეები, მწერლები, მსახიობები, საქმოსნები. რა თქმა უნდა იყო კიდევ ერთი კატეგორია ქალიშვილები და ვაჟები იმ ხალხისა, რომლებიც მაღალი ტრიბუნებიდან და ტელევიზორებიდან წამდაუწუმ, რომ ჩასჩინინებდნენ ხალხს და ასწავლიდნენ, თუ როგორ უნდა ეცხოვრათ პატიოსნად და კომუნისტური საქმისადმი ერთგულებით.

ადრიან დილას რესტორანს მიუახლოვდებოდნენ მილიციელები, რომლებიც საჭესთან ნაასვამ მდგომარეობაში ჯდომისათვის, მთვრალი საბჭოელებისაგან იღებდნენ ქრთამს. იყვნენ ხელშეუხებელნიც, მაგ: უცხოური მარკის მანქანები „მერსედესები“, რომელთა ნომრები იწყებოდა ნულებით, ხოლო სერიები „ММЗ“-ით. ესენი იყვნენ კიდევ ერთი დასვენების შემდეგ მაზუროვისა და შჩოლოკოვის შვილები, გრომიკოს ნათესავები...

მიუხედავად იმისა, რომ სუკი-ს შეფი ი. ანდროპოვი მოახსენებდა ლ. ბრეჟნევს ზოგიერთი პარტიული მუშაკის თავგასულობის შესახებ, წერილობით პასუხი ყოველთვის ერთი იყო. „წინადადებაა გაანადგუროთ“(რა თქმა უნდა მოხსენება)[187, 43-44]. თავად ლ. ბრეჟნევს პარტიის გენერალური მდივანს, ყოველივე ამ პროცესებისადმი ასეთი ხედვა ჰქონდა: „თქვენ არ იცით რა არის ცხოვრება. ახალგაზრდობაში მე ვცლიდი ვაგონებს. გადმოტვირთვისას სამი ტომარა ან ყუთი მიგვქონდა სახელმწიფოსათვის, ერთი კი საკუთარ სახლში. ასე ცხოვრობენ ამჟამად ქვეყანაში საბჭოთა ადამიანები“. ამიტომაც გენერალურ მდივანს ნორმალურად მიაჩნდა ჩრდილოვანი ეკონომიკა, მომსახურების სფეროში ძარცვა და ჩინოვნიკების მექრთამეობა, რომელიც ცხოვრების ნორმად იყო ქცეული საბჭოების ქვეყანაში“[188, 119]. როგორც წყაროები მოწმობენ კორუფციაში ჩართული იყო თავად ლ. ბრეჟნევის ოჯახი. ამას ადასტურებს იმდროინდელი პოლიტბიუროს წევრი პ. შელესტი[189, 571].

კორუფციამ სასიკვდილოდ მოიცვა ხელისუფლებაში მყოფი ადამიანები. მასში ჩართული აღმოჩნდა თავად ბრეჟნევი, რომელმაც ვერ გაუძლო ტკბილი ცხოვრების ცდუნებას-იგონებს გენერალურ მდივანთან დაახლოებული ერთ-ერთი პირი- ყოველთვის, საზღვარგარეთ მორიგი ვიზიტიდან მისი თვითმფრინავის „ვნუკოვო 2"-ზე დაფრენის შემდეგ იქედან ავტოფურგუნებზე იწყებოდა გადმოტვირთვა ათობით ფასიანი ნივთებით სავსე ყუთების, რომლებიც მიჰქონდათ პარტიის პირველი პირის აგარაკზე. ლეონიდ ბრეჟნევს არ შეიძლება არ ცოდნოდა იმის შესახებ თუ რა ნივთებს აგროვებდა მისი მეუღლე კარლოვი ვარში ყოველი მოგზაურობის შემდეგ ან კიდევ მისი ქალიშვილის ბრილიანტებისადმი ავადმყოფური დამოკიდებულების შესახებ[190, 233].

ლ. ბრეჟნევის ცოლს ჰქონდა ბინა, სადაც ინახავდა ძვირფასეულობას[191, 333]. კორუფციაში ჩართული იყო ბრეჟნევის შვილი იური, რომელსაც ეკავა საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილის თანამდებობა და ძმა იაკობიც, რომელიც თანამდებობებზე ადამიანების დანიშვნით ვაჭრობდა. ცალკეა სასაუბრო გენერალური მდივნის სიძის ი. ჩურბანოვის შესახებ. იემენში ვიზიტისას იგი მთვრალი გადმოვიდა თვითმფრინავიდან და ცოტაც და არ დაეცა დამხვედრ მასპინძლებს. საქმიანი შეხვედრები გადაიდო, ვინაიდან იგი საღამოდან დილამდე უგონოდ სვამდა. ხოლო დილიდან სადილამდე, ვერ ახერხებდნენ მის გაღვიძებას[192, 405].

გენერალური მდივნის თანაშემწე ა. ჩერნიაევი იგონებს 1981 წელს მოსკოვში გავარდა ხმა „ბოშა"-ს შესახებ, რომელიც საზღვარგარეთ გაება სავალუტო ოპერაციებში. აღძრეს საქმე და უცებ დახურეს... ხოლო „ბოშა" მოაწყვეს დიდ თეატრში მსახიობად იმიტომ, რომ ეს ბოშა იყო ბრეჟნევის ქალიშვილის საყვარელი ბორის ბურიაცე [192, 463].

ბრეჟნევის ქალიშვილი გალინა მონაწილეობდა საყოველთაოდ ცნობილ „ბრილიანტების საქმეში". მასთან ერთად მასში იყვნენ ცირკის არტისტები ირინა ბუგმიროვა და ბორია ბურიაცე.

ამ საქმის ძაფები მიდოდა შინაგან საქმეთა მინისტრ შჩოლოკოვამდე, რომელიც „ძალიან იყო გატაცებული ძვირადღირებული ანტიკვარებით“. გენერალური პროკურატურის გამომძიებელი შემდეგში იხსენებდა, რომ შჩოლოკოვმა მას მოკვლა დაუპირა. რის საპასუხოდ ი. ანდროპოვმა მას დაუყენა „ალფას“ დაცვა.

მომდევნო ხანებში საქმეს კურირებდა ცკ-ს ადმინისტრაციული განყოფილებების უფროსი გენერალ-პოლკოვნიკი სავინკინი. მალე საქმე ხელში აიღო სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილემ ს. ცვიგუნმა, რომელმაც გადაწყვიტა ბრეჟნევისათვის მოეთხრო არსებულის შესახებ. გენერალური მდივნის ახლობლის გადმოცემით როდესაც მასთან შევიდა ცვიგუნი ბრეჟნევი საკუთარ კაბინეტში დივანზე ყოფილა წამოწოლილი. როდესაც მას „ბრილიანტების საქმის“ ამბავი მოუსმენია გენერლისაგან ლ. ბრეჟნევი გადაბრუნებულა კედლისაკენ და ატირებულა[191, 359]. მალე მოულოდნელად გარდაიცვალა ს. ცვიგუნი. მისი სიკვდილი ბევრ ეჭვებს იწვევდა. ფიქრობენ აქ ხელისუფლების ხელი იყო ჩარეული.

მოკლე ხანში ცვიგუნის გზას გაუყვა კრემლის რუხი კარდინალი მ. სუსლოვი, რომლის ადგილზეც გადაიყვანეს სუკი-ს შეფი ი. ანდროპოვი. კრემლის გერონტოკრატია ცდილობდა არსებობის გახანგრძლივებას. საბჭოთა ხელისუფლების უმაღლეს ეშელონებში მომუშავე პირი წერს: „მე დამიძახა ბრეჟნევმა და მითხრა- სუსლოვი მალე მოკვდება ასე დამირეკა ჩაზოვმაო. ვფიქრობ მის ადგილზე გადავიყვანო ი. ანდროპოვი“[193, 267].

როგორც წყაროები იუწყებიან, მალე ანდროპოვი და ჩერნენკოც მოუთავსებიათ საავადმყოფოებში. ამერიკელები გრძნობდნენ, რომ მოსკოვში ხელისუფლებაში დაიწყებოდა ცვლილებები. ამიტომაც ცდილობდნენ ისეთი ხმების გავრცელებას, რომელზედაც დაყრდნობით მათ შესაძლებლობა ექნებოდათ განესაზღვრათ საბჭოთა საზოგადოების განწყობა ამ პროცესების მიმართ. ალბათ ამ მიზანს ემსახურებოდა 1982 წლის 18 აპრილს ამერიკულ ჟურნალ „ნიუსუიკ“-ში გამოქვეყნებული სტატია სა-

თაურით „ბრეჟნევის უკანასკნელი დღეები“. ამ დროს ასე იხსენებს ჩერნიაევი - „თითქმის ერთი თვის მანძილზე მოსკოვში დადიოდა ხმები, რომ ბრეჟნევი გარდაიცვალა“[192, 482].

როგორც ჩანს ამ ხმებს ჰქონდა საფუძველი. საქმე შემდეგში მდგომარეობდა, - ლ. ბრეჟნევი გაემგზავრა ტაშკენტში, რათა უზბეკეთისათვის გადაეცა ლენინის ორდენი. იქ ჩასულმა გენერალურმა მდივანმა დაცვის მომზადების გარეშე მოინდომა ავიამშენებელი ქარხნის დათვალიერება, რომლის დროსაც სახელდახელოდ აშენებულმა ტრიბუნამ ვერ გაუძლო ხალხის სიმძიმეს და ბრეჟნევს თავს დაეცნენ ადამიანები, რამაც გამოიწვია მისი ტრამვა. თუმცა ტრამვის მიუხედავად ხელისუფლების პირველი პირი დაკავშირებია ი. ანდროპოვს და უთხოვია მისთვის: „იურა შენ ახლა ტყუილა არ დაიწყო საქმის აწევა და ხალხის დაპატიმრება. ყველაფერში მე ვარ დამნაშავე. გამაფრთხილეს, მაინც წავედი მოუმზადებლად, არ დავიჯერე“[194, 8-10].

ი. ანდროპოვის შემცვლელად დაინიშნა უკრაინის სუკი-ს უფროსი გენერალი ვ. ფედორჩუკი. ამ უკანასკნელსა და ანდროპოვს ჰქონიათ ერთმანეთთან ძალზედ გართულებული ურთიერთობები. ამას ზედ ემატებოდა ისიც, რომ ბრეჟნევი მძიმედ იყო ავად. დროის უმეტეს ნაწილს იგი საავადმყოფოში ატარებდა.

საბჭოთა კავშირში ადამიანებს პირდებოდნენ კომუნიზმს. მეფის რუსეთში ხალხისთვის ნამდვილი რელიგია იყო ფატალიზმი. კომუნიზმმა ამ მხრივ არაფერი შეცვალა, უფრო მეტიც, მან კიდევ უფრო უძლური და დამოკიდებული გახადა რუსი ხალხი. საუკუნეების მანძილზე ცხოვრება მკაცრ და კაპრიზულ კლიმატურ პირობებში და თანაბრად მკაცრი და კაპრიზული მთავრობა ასწავლიდა მათ დაემორჩილებოდნენ ბედს[106, 376-378]. ისმის კითხვა რა უნდა ყოფილიყო ეს კომუნიზმი? კომუნიზმი უნდა ყოფილიყო თანასწორთა საზოგადოება, სადაც უნდა განხორციელებულიყო პრინციპი: „თითოეულისაგან უნარის მიხედვით, თითოეულს მოთხოვნილების მიხედვით“. ანუ უნდა განხორციელებულიყო საყოველთაო კეთილდღეობა. რაც რა თქმა

უნდა სრულ უტოპიას წარმოადგენდა. ამას გრძნობდნენ და ხედავდნენ ადამიანები. ამიტომაც როდესაც საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ წინ წამოსწია ლოზუნგი: „დავეწიოთ და გავუსწროთ ამერიკის შეერთებულ შტატებს“. ამ დროს ვინმე პენისიონერმა იუშკოვმა წერილი მიწერა სკკპ ცკ-ს, რომელშიც იკითხებოდა: „როდესაც ჩვენი მუშა იცხოვრებს უკეთესად ვიდრე კაპიტალისტური სამყაროს საშუალო კვალიფიკაციის მუშა. ასევე ჩვენი მიწის ერთგული სოფლელი უკეთ იქნება, ვიდრე ამერიკელი და ჰოლანდიელი ფერმერი, მხოლოდ მაშინ შეიძლება ვთქვათ, რომ ჩვენთან აშენდა სოციალიზმი და გადავედით შემდეგ ფაზა კომუნიზმზე. ჩვენთან ჯერ სოციალიზმიც კი არ ჩანს“.

თავად ნ. ხრუშჩოვი ისე იყო დარწმუნებული კომუნიზმის გამარჯვებაში, რომ 1957 წელს იგი 48 წლის „ნიუ-იორკ თაიმსის“ ამერიკელ კორესპოდენტს ეუბნებოდა, რომ იგი მოესწრებოდა საბჭოთა კავშირში კომუნიზმის აშენებას[195].

1973 წელს დასავლური ცივილიზაციის მიერ პირველი მიკროპროცესორის შექმნა ნიშნავდა კაცობრიობის გადასვლას განვითარების ახალ ეტაპზე - პოსტინდუსტრიულ, კომპიუტერულ, ავტომატიზირებულ ეტაპზე, რამაც კომპარტიის ხელმძღვანელთა ყურადღების მიღმა ჩაიარა, რადგანაც ისინი ცენტრალური კომიტეტის მდივნის განდიდებით იყვნენ დაკავებულნი. ქვეყანაში უძრაობამ პიკს მიაღწია. 25 პროცენტით შემცირდა შობადობა, 15 პროცენტით გაიზარდა სიკვდილიანობა. იცლებოდა სოფლები. 1960-1985 წლებში სოფლიდან ქალაქში საცხოვრებლად გადავიდა 35 მილიონი ადამიანი. მოსახლეობაში უმაღლესი განათლების დონის ამაღლების ფონზე მათი კულტურა და მოთხოვნილება იზრდებოდა. მართალია, ცხოვრების დონის ცვლილება მცირედით, იწვევდა ხელფასების ზრდას, იქმნებოდა საყოველთაო საპენსიო უზრუნველყოფის სისტემა, საცხოვრებლად მოსახლეობას ურიგდებოდა ინდივიდუალური ბინები, ოჯახებმა დაიწყეს ტელევიზორების, მაცივრების და სხვა ელემენტარული საყოფაცხოვრებო საგნების შეძენა (რაც დასავლეთში მცხოვრებთ-

ათვის ჩეულებრივი მოვლენა იყო). თუმცა ეს იყო ძალიან ცოტა იმასთან შედარებით, რისი მიღწევაც საბჭოთა კავშირს შეეძლო იმ კოლოსალური ბუნებრივი სიმდიდრეების ფონზე, რასაც ის ფლობდა.

70-იან წლებში გაზისა და ნავთობის ექსპორტის ხარჯზე ქვეყანამ მიიღო 450 მილიარდი ამერიკული დოლარი, რაც იმ პერიოდისთვის არნახულად დიდი შემოსავალი იყო. მაგრამ ასეთი კოლოსალური თანხები მიემართებოდა არა მოსახლეობის კეთილდღეობისაკენ, არამედ სამხედრო საჭიროებებისაკენ. „მოძმე სოციალისტური" ქვეყნების დასახმარებლად. მხოლოდ მცირე ნაწილი ხმარდებოდა ყოველდღიური მოხმარების საგნების შესყიდვას. ბირთვულ შეიარაღებაში შეჯიბრებითობასაც ბოლო არ უჩანდა. 1976 წელს საბჭოთა კავშირმა გდრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის ტერიტორიებზე ბირთვული რაკეტები განალაგა. მოსკოვისათვის საბოლოო კრახი იყო 1979 წელს საბჭოთა ჯარების ავღანეთში შესვლა. საომარი მოქმედებები 10 წელიწადს გაგრძელდა.

ლ. ბრეჟნევის გარდაცვალებით 1982 წელს საზოგადოებას გაუჩნდა უკეთესი მომავლის და ცვლილებების იმედი. მის ნაცვლად საბჭოთა კავშირის ხელმძღვანელი გახდა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ყოფილი ხელმძღვანელი ი. ადნროპოვი. მან, როგორც სუკ-ის ხელმძღვანელმა, თითქოს კარგად იცოდა, თუ რა სფეროებში უჭირდა პარტიას და სახელმწიფოს. თუმცა ვერანაირი სერიოზული რეფორმირება ვერ მოახდინა, გარდა იმისა, რომ დაიწყო ელემენტარული წესრიგის დამყარება. ი. ანდროპოვი მალე გარდაიცვალა და ხელისუფლებაში მოვიდა 72 წლის ჩერნენკო, რომელიც ავადმყოფობისგან იყო დაუძლურებული. მას საერთოდ არ შეეძლო უზარმაზარი ქვეყნისა და პარტიის მართვა. რეფორმების ნაცვლად საბჭოთა ხელისუფლებამ არჩია კონსერვაცია - მოძველებული და არაეფექტური წყობილების შენარჩუნება, რითაც საბჭოთა კავშირის მოსახლოება გაწირა კრიზისისთვის, ხოლო საკუთარი თავი - პოლტიკური არენიდან გაქრობისთვის[211, 500-517].

უცხოელი სოვეტოლოგების დაკვირვებით საბჭოთა ინტელიგენცია და განსაკუთრებით ისინი, ვინც აკადემიურ მოღვაწეობას ეწეოდნენ, თანაგრძნობით იყვნენ გამსჭვალულნი კომუნისტური ექსპერიმენტის მიმართ. გასაკვირი ის იყო, რომ უბრალო ადამიანს, მაგალითად ნიუ – იორკის ტაქსის მძღოლს, უკეთ ესმოდა კომუნიზმის არსი, ვიდრე საბჭოთა უნივერსიტეტის პროფესორების უმეტესობას. ამის მიზეზების შესწავლამ მრავალი წლის განმავლობაში შემიპყრო - წერს რ. პაიპსი - და მის ძებნაში ამ ფენომენამდე მისასვლელი ერთი მოსაზრება აღმოვაჩინე. აშშ-ს იუსტიციის დეპარტამენტის 1995 წლის თებერვალის მოხსენებაში ფინანსური თაღლითობის სქემების შესწავლის შემდეგ, მისი ავტორები მივიდნენ იმ გასაკვირ დასკვნამდე, რომ „განათლებული ხალხი უფრო ხშირად ხდებოდა თაღლითობის მსხვერპლი, ვიდრე ნაკლებად განათლებული ადამიანი". როგორც ჩანს, იგივე ხდებოდა იდეოლოგიური თაღლითობის შემთხვევაში[106].

ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილება პასუხისმგებელი იყო უცხოეთის კომუნისტური პარტიების დაფინანსებაზე. ოფშორული ბიზნესი, საგადასახადო თავშესაფრები, არარსებული ფირმები, ფულის გათეთრება. ამ ყველაფერში საერთაშორისო განყოფილების თანამშრომლები საკმაოდ კომპეტენტურები იყვნენ. ასეთ პროექტებს, როგორც წესი, ახორციელებდა სუკ-ი. 1980-იან წლებში სუკ-მა გახსნა მრავალი ფიქტიური ბანკი და სავაჭრო დაწესებულება ოფშორულ ზონებში - საბერძნეთში, კვიპროსში, იტალიასა და პორტუგალიაში. „ვნეშეკონომბანკის" მეშვეობით ამ დაწესებულებების ანგარიშებზე მილიარდობით დოლარი ირიცხებოდა. მექანიზმი, როგორც წესი, ასეთი იყო: ნავთობის, ლითონის ან ხე-ტყის პარტია მიეყიდებოდა საწარმოს, რომელიც გახსნილი იყო სუკ-ის მიერ საზღვარგარეთ . მას პროდუქცია მიეწოდებოდა მსოფლიო ბაზარზე არსებულ ფასებზე მრავალჯერ დაბალ ფასად. გარდა ამისა, ეს საწარმო მიღებულ საქონელს უკვე საბაზრო ფასით ყიდდა და გაყიდვიდან მიღებულ მოგებას თავისთვის ინახავდა. ახლა,

როდესაც საბჭოთა კავშირის დაშლა გარდაუვალი გახდა, ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილებამ და სუკ-მა გადაწყვიტეს იგივე სქემის გამოყენება კომუნისტური ნომენკლატურის ინტერესებისათვის.

ცენტრალური კომიტეტის რამდენიმე განყოფილების გარდა, სუკ-ი იყო ერთადერთი საბჭოთა ინსტიტუტი, რომელმაც გადადგა გადამწყვეტი ნაბიჯები ამ მძიმე ვითარებაში. სუკ-ს დაეკისრა დავალება, შეენარჩუნებინა მმართველი საბჭოთა კასტის, ნომენკლატურის ძალაუფლება. სუკ-მა ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილებასთან ერთად შეიმუშავა ოპერაცია, რომლის საშუალებითაც საბჭოთა კავშირიდან მის ფარგლებს გარეთ კერძო კომპანიების ანგარიშებზე მილიარდობით დოლარი გადაირიცხა. ეს იყო საოცარი ოპერაცია.

ლატვიელი ოპოზიციონერი ი. ვიდინსი გამალებული „კომუნიზმის მშენებლობისას“ წერდა: „საბჭოთა რეჟიმი შეიძლება დაიშალოს მხოლოდ საჯაროობით და პარტიული დისციპლინის რყევის მეშვეობით, რომელიც შენიღბული იქნება ფრაზებით სახეცვლილი სოციალიზმის შესახებ“[196]. ვფიქრობთ გორბაჩოვს წარმოდგენაც არ ჰქონდა იმის შესახებ თუ რა შეიძლებოდა მოჰყოლოდა მის მიერ დაწყებულ „გარდაქმნას“.

„გარდაქმნის“ ერთ-ერთი შემოქმედი ა. იაკოვლევი აღნიშნავდა: „ჩვენ გადავწყვიტეთ ლენინის ავტორიტეტით დაგვერტყა სტალინისათვის და სტალინიზმისთვის. შემდეგ, წარმატების შემთხვევაში სოციალ-დემოკრატებისა და პლეხანოვის მეშვეობით შეგვეტია ლენინისათვის. ხოლო ლიბერალიზმისა და ზნეობრივი სოციალიზმის მეშვეობით საერთოდ რევოლუციონარიზმისათვის“.

ცნობილი საბჭოთა დისიდენტი ა. ზინოვიევი იგონებს: 1979 წელს საზღვარგარეთ ემიგრაციის დროს დამისვეს შეკითხვა, რა ადგილია საბჭოთა კავშირში ყველაზე მოწყვლადი, მე საერთო ჰომერული ხარხარის ფონზე ვუპასუხე: „....ყველაზე საიმედო ადგილად ითვლება სკკპ აპარატი, მასში-ცკ, შემდეგ პოლიტბიურო, ხოლო ბოლოა გენერალური მდივანი. მოიყვანეთ თქვენი კაცი ამ თანამდებობაზე და ის რამდენიმე თვეში დაშლის პარტიულ აპარატს... დაიწყება ჯაჭვური რეაქცია ხელისუფლებისა და მმართველობის დაშლის. თუ ვერწმუნებით ა. ზინოვიევს, მას რამდენიმე ხნის შემდეგ ჰქონია საუბარი „ინტელიდჯივენსის“ მომსახურების ერთ-ერთ თანამშრომელთან, რომელსაც მისთვის განუცხადებია, რომ ისინი მალე საბჭოთა ტახტზე დასვამდნენ თავიანთ კაცს[197, 181-182]. დისიდენტისათვის არ უხსენებიათ ამ ადამიანის გვარი, მაგრამ ავტორის აზრით ეს კაცი იყო მ. გორბაჩოვი. ზოგიერთ რუს დისიდენტს მიაჩნია, რომ სკკპ და მთელი საბჭოთა საზოგადოება შეეძლო დაენგრია მხოლოდ და მხოლოდ შინა ძალებს და მოღალატე-„მეხუთე კოლონას“, კო-

ლაბორაციონისტებს.

განსხვავებულად მოაზროვნეთა თქმით, სწორედ მათ მოამზადეს საზოგადოება კაპიტულაციისათვის და გაუღეს საბჭოთა ციხე-სიმაგრის კარები მტერს. იგივე ა. ზინოვიევის აზრით-ახალი საზოგადოების ასაშენებლად საჭირო იყო მრავალი მილიონი ადამიანის და ათეულობით წლების შრომა. ხოლო მის გასანადგურებლად კი ზოგჯერ რამდენიმე ადამიანი, რამდენიმე წელი, თუ არა თვეები.

შექმნისთვის გათვალისწინებული უნდა იქნას უამრავი ფაქტორი. განადგურებისთვის საკმარისია ზოგადად აირჩიოთ მხოლოდ რამდენიმე, ან თუნდაც ერთი. შექმნა მილიარდობით ქმედებაა, განადგურება კი შეიძლება მოხდეს რამდენიმე ფატალური მოქმედების გამო.

1985 წელს ჩერნენკოს გარდაცვალების შემდეგ გენერალური მდივნის თანამდებობა ახალგაზრდა პოლიტიკოსმა მიხეილ გორბაჩოვმა დაიკავა.

მ. გორბაჩოვისათვის საფრანგეთის პრეზიდენტ ფ. მიტერანს უთქვამს: „თუ თქვენ განახორციელეთ ის რაც ჩანაფიქრი გაქვთ, ეს იქნება მსოფლიო მნიშვნელობის.“ ხოლო შემდეგ თავისი გარემოცვისათვის კი განუმარტია: „ამ ადამიანს აქვს საინტერესო გეგმები, მაგრამ არ იცის იმ არაპროგნოზირებადი შედეგების შესახებ, რომელიც მისმა მაცდელობებმა შეიძლება, რომ გამოიწვიოს“.

1989 წლის ივლისში, საფრანგეთში სორბონაში გამოსვლისას, გორბაჩოვმა თავისი „პერესტროიკა“ შეადარა 1789 წლის საფრანგეთის ბურჟუაზიულ რევოლუციას და 1917 წლის ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციას. და რადგან, მისი სიტყვებით, ასეთ „მსხვილ სოციალურ-პოლიტიკურ აჯანყებებს, ყოველთვის წინ უსწრებდა „ფილოსოფიური რევოლუციები“. გორბაჩოვი, ყოველგვარი ზედმეტი მოკრძალების გარეშე, ცალსახად აყენებდა თავს ისეთ მოაზროვნეებთან, როგორებიც იყვნენ მარქსი, ენგელსი, ლენინი. იგი იმავდროულად ედარებოდა ვოლტერსა და მონ-

ტესკიეს, დიდროს და ჰოლბახს, მობლისა და რუსოს, რომელთა ფილოსოფიური იდეები დიდწილად წინ უძღოდა საფრანგეთის რევოლუციას. გორბაჩოვისებულად ვითომდა მის მიერ დაწყებული საქმე, ახალი „ფილოსოფიური რევოლუციის“ არსი იყო. მ. გორბაჩოვმა მთელი თავისი გრანდიოზულობით შეძლო მხოლოდ ათი სიტყვით გამოეთქვა მისი ფილოსოფია: „ჩვენ შევედით ეპოქაში, როდესაც ნებისმიერი პროგრესი უნდა შეესაბამებოდეს უნივერსალურ ადამიანურ ინტერესებს“[257].

თავისი გეგმების რეალიზაცია გორბაჩოვს დაუწყია ვესტენ-მისტერის ბანკის თავმჯდომარე ფრიდრიხ ვილჰელმ კრისტიანთან შეხვედრით, რომლის ჩანაწერებიც დღემდე გასაიდუმლოებულია. თავად ამ უკანასკნელის ინტერვიუსაგან ცნობილია, რომ გორბაჩოვი მას ესაუბრა „საბჭოთა ეკონომიკის გარდაქმნაზე“.

მ. გორბაჩოვი მისი თანამებრძოლების შეფასებით იყო პათოლოგიურად პატივმოყვარე, არაღრმად მოაზროვნე, ზედმეტად თვითდაჯერებული, ფარისეველი და მატყუარა. თავად რუსები აღნიშნავენ, რომ მას გამოვლინება ჰქონდა ბურატინოს კომპლექსის, რომელიც შემდეგნაირად გამოხატა მელა ალისიამ: „ბრიყვს არ სჭირდება დანა, მიეცი მას სამი ყუთით სავსე ტყუილები და გაუკეთე რაც გსურს ის“.

„მახსოვს - წერს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე გ. კორნიენკო - 1988 წლის დასაწყისში, როცა ავღანეთზე ჟენევის შეთანხმების ხელმოწერას აპირებდნენ, რაც საბოლოოდ ამ ქვეყნიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საშუალებას იძლეოდა. გორბაჩოვმა დაურეკა დობრინინს (იმ დროს საერთაშორისო საქმეთა ცენტრალური კომიტეტის მდივანს) და უხეშად უთხრა: „მოიფიქრე კორნიენკოსთან ერთად, რომ ჩავერიო ავღანეთის მოლაპარაკების ბოლო ეტაპზე. რატომ უნდა წავიდეს მთელი ეს დამსახურება შევარდნაძეზე?“ იმ მომენტში დობრინინის კაბინეტში ვიყავი, მესმოდა გორბაჩოვის ხმა. „რაღაც უნდა მომეფიქრებინა“ – გადაწყდა ტაშკენტში ნაჯიბულასთან შეხვედრის მოწყობა, თითქოს ჟენევის შეთანხმებების ხელმოწერისთვის

ბოლო დაბრკოლებების მოხსნა. ასეთი შეხვედრის საჭიროება კი ნამდვილად არ იყო"[257].

მ. გორბაჩოვმა მისი ხელისუფლებაში ყოფნის დროს სამჯერ შეცვალა პოლიტბიურო. მისი მრჩეველის ვალერი ბოლდინის თქმით: „იგი სრულიად შეუწყნარებელი იყო მის მიმართ განხორციელებული კრიტიკის მიმართ. მახსოვს თუ ვინმე პოლიტბიუროში დაიწყებდა განსხვავებული აზრის გამოთქმას, უმალ ეტყოდა- თუ კვლავაც ასე გააგრძელებთ, მიბრძანდებით კარს უკან"[198].

იმავე კორნიენკოს თქმით: „1990 წლის მიწურულს გორბაჩოვის პატივმოყვარეობამ მიაღწია იმ დონეს, რომ მას გაუჩნდა იდეა ედუარდ შევარდნაძის პრობლემის უფრო რადიკალურად გადაწყვეტის და ეს მისი აზრით უნდა ყოფილიყო შევარდნაძის „დაწინაურება", რაც გამოიხატებოდა ახლად დაარსებულ ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე მისი დანიშვნით. მას სურდა საგარეო უწყებაში კომპეტენტური პროფესიონალი, რომელიც კონკურენციას არ გაუწევდა და მასთან იქნებოდა, როგორც საგარეო პოლიტიკის შემქმნელი. ე. შევარდნაძემ თავისი კეთილისმსურველებისგან შეიტყო გორბაჩოვის განზრახვა, რომ პრეზიდენტი უშუალოდ სახალხო დეპუტატთა ყრილობაზე, აპირებდა დაესახელებინა იგი ვიცე-პრეზიდენტად, რომელიც იმ დღეებში იმართებოდა. ე. შევარდნაძემ გააცნობიერა, რომ მისთვის ადვილი არ იქნებოდა ასეთ „პატივზე" საჯაროდ უარის თქმა. ამიტომაც გადაწყვიტა დაესწრო გორბაჩოვისთვის და საგარეო საქმეთა მინისტრის პოსტიდან გადადგა. ეს ყველაფერი არ არის ჩემი ვარაუდი-აგრძელებს კორნიენკო-და არა მხოლოდ ჩემს მიერ საკუთარი წყაროებიდან მოპოვებული ინფორმაცია. ყრილობაზე შევარდნაძის მიერ გადადგომის შესახებ გამოცხადებისთანავე გორბაჩოვმა, როგორც ჩანს, დაბნეულობის გამო თქვა: „კი მაგრამ მე მინდოდა მისი კანდიდატურა დამესახელებინა ვიცე-პრეზიდენტის პოსტზე". და ის, რომ მან წინასწარ ვერ უზრუნველყო შევარდნაძის თანხმობა „დაწინაურებაზე", ამ უკანასკნელმა დაადასტურა 1991

წლის აპრილში „ლიტერნატურნაია გაზეტასათვის“-სთვის მიცემულ ინტერვიუში. სადაც ე. შევარდნაძემ შესაბამისი კითხვის საპასუხოდ თქვა, რომ გორბაჩოვმა ერთხელ სეირნობისას ახსენა ასეთი იდეა, ოღონდაც „ჩემი მხრიდან სამუშაოს შეცვლის სურვილი არ გამოთქმულა“-ო[257].

საბჭოთა კავშირში ხრუშჩოვისეული რეფორმების შედეგად დაიწყო სისტემის სოციალურ-პოლიტიკური რღვევა. ბრეჟნევის „უძრაობის პერიოდში“ კი ჩამოშლა იწყო ე. წ. განვითარებული სოციალისტური ქვეყნის ეკონომიკამ. 1980-იანი წლების დასაწყისისათვის, საბჭოთა კავშირში უკვე სახეზე იყო ღრმა სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისი.

მ. გორბაჩოვმა სკკპ გენერალური მდივნად დანიშვნისთანავე მიზნად დაისახა საბჭოთა პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემის მოდერნიზება. თუმცა კრემლში მოსული მოდერნიზებული რუსული საბჭოთა იმპერიის ახალი პატრონი ვერ აღმოჩნდა უზარმაზარი იმპერიის ნამდვილი „მეპატრონე“. მისი და მისი თანამოზრეების მიერ დაწყებული მოუმზადებელი, სანახევრო რეფორმების შედეგად საბჭოთა კავშირმა დაიწყო სრული კოლაფსისაკენ სვლა. თუ რამდენად უკან მიდიოდა მ. გორბაჩოვის, ა. იაკოვლევისა და სხვების ე.წ. „პერესტროიკის“(გარდაქმნის) არქიტექტონიკაზე აგებული საბჭოთა ეკონომიკა ამას დასტურია 1985-1989 წლებში სახელმწიფო ბიუჯეტის სტრუქტურისა და დინამიკის სურათი.

საკავშირო ბიუჯეტი შეადგენდა: 1985 წ. 191, 7; 1986 წ. 186, 0; 1987 წ. 185, 0; 1988 წ. 184,9; 1989 წ, 158, 2 მლრდ. მანეთს[249, 17].

მ. გორბაჩოვმა თავიდანვე მოინდომა მმართველობის დეცენტრალიზაცია, მაგრამ თუ 1985 წელს, საკავშირო ბიუჯეტში შედიოდა სახელმწიფო შემოსავლების 60%. 1986 წელს ეს მაჩვენებელი შემცირდა 50-მდე, 1987 წელს - 49 -მდე, 1988 წელს - 45 -მდე, 1989 წელს კი 39 პროცენტამდე. შედეგად, საკავშირო სახაზინო შემოსავლებმა 192-დან 158 მილიარდ მანეთამდე მოი-

კლო. ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 181-დან 244 მილიარდ მანეთამდე. ამრიგად, ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ მ. გორბაჩოვმა დაიწყო ბიუჯეტის სახსრების გადანაწილების გზა ადგილობრივი ხელისუფლებების სასარგებლოდ, რამაც, ერთი მხრივ, გამოიწვია საკავშირო მთავრობის ეკონომიკური პოზიციების შესუსტება, მეორე მხრივ, ადგილობრივი, მათ შორის რესპუბლიკური ხელისუფლების პოზიციებს შეუქმნა ადგილობრივი მმართველობისათვის წარმატებული ეკონომიკური პირობები. ყოველივე ამის შედეგად შეიქმნა შთაბეჭდილება, რომ ვითარდებოდა ადგილობრივი ხელისუფლება, ხოლო სუსტდებოდა საკავშირო.

1985 წლიდან ბიუჯეტის დეფიციტი აშკარა იყო. ის წლიდან წლამდე იზრდებოდა: 1985 - 14 მილიარდი, 1986 - 46 მილიარდი, 1987 - 52 მილიარდი, 1988 - 81 მილიარდი, 1989 წ. - 84 მილიარდი. ხუთ წელიწადში იგი ოთხჯერ გაიზარდა ხარჯების საერთო მოცულობაზე: 4 -დან 17 პროცენტამდე, ხოლო კავშირის მთავრობის ხარჯებზე - ექვსჯერ: 6 -დან 35 პროცენტამდე.

მ. გორბაჩოვს და მის თანამოაზრეებს აუცილებლად სჭირდებოდათ ქვეყნის მოდერნიზაციისათვის პოლიტიკური ცვლილებებიც, რასაც მათ დაარქვეს ე.წ. „საჯაროობა და დემოკრატია“. როგორც მოვლენათა შემდგომმა განვითარებამ უჩვენა ეს მიმართულება იყო ნაჩქარევი და მოუმზადებელი. „პერესტროიკის“ ორგანიზატორებმა ვერ გათვალეს მოსალოდნელი შედეგები, რაც შეიძლებოდა გორბაჩოვის გაუაზრებლად დაწყებულ ამ ავანტიურას მოჰყოლოდა.

ცნობილი საბჭოთა დიპლომატი ო. გრინევსკი იგონებს: „... რეალური და რაც მთავარია, კონკრეტული სამოქმედო პროგრამის ნაცვლად გორბაჩოვმა დაიწყო პომპეზური, მაგრამ ცარიელი განცხადებების წამოყენება. აშშ-ს პრეზიდენტისა და გენერალური მდივნის თანაშემწეებს შორის შედარება აშკარად არ იყო ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. რეიგანის ორივე მრჩეველი საგარეო პოლიტიკის საკითხებში - ჯერ მაკფარლეინი, შემდეგ

პოინკსდერი, რომ აღარაფერი ვთქვათ სახელმწიფო მდივანმა შულცზე. შესანიშნავად ფლობდნენ დიპლომატიის ყველა ნიუანსს, რომელიც აყალიბებს ძალთა ბალანსს ბირთვულ, ჩვეულებრივ და სხვა ტიპის იარაღებში...

საბჭოთა მრჩევლებმა - ა. იაკოვლევმა და ა. ჩერნიაევმა - არაფერი იცოდნენ ამის შესახებ და რაც მთავარია, მათ არ სურდათ ცოდნოდათ ...

ჩერნიაევი, მაგალითად, გორბაჩოვის რეიგანთან შეხვედრის წინ გრძელ წერილებს წერდა გენერალურ მდივანს, სადაც ლანძღავდა და აგინებდა საგარეო საქმეთა სამინისტროს და თავდაცვის სამინისტროს სპეციალისტების მიერ წარმოდგენილ წინადადებებს.

და რა იყო საჭირო უმაღლეს დონეზე საუბრისთვის ჩერნიაევის მიხედვით? „შეაძრწუნეთ რეიგანი მსოფლიო პოლიტიკის მთავარ პრობლემებთან მიახლოების სითამამით ან თუნდაც „რისკებით". ზოგადად, მათ საუკეთესო სურდათ, მაგრამ ისე გამოვიდა, როგორც ყოველთვის... გააოგნეს არა ამერიკელები, არამედ საკუთარი თავი, როცა სამიტის შეხვედრებზე დაუფიქრებლად თმობდნენ პოზიციებს. ჩვენ, მომლაპარაკებლები ჩვენს ენაზე ამას ვუწოდებთ „ქლიავს".

სამიტის მზადება, ეს ნიშნავს, რომ ვამზადებდით წინასწარ დირექტივებს, სათადარიგო მეორე და მესამე პოზიციებს, რომელნიც საჭირო იყო ღრმა ეშელონური ვაჭრობისთვის და არ აძლევდა უპირატესობას ამერიკელებს, მაგრამ მათ არაფერში არ იყენებდა გენერალური მდივანი. ჩვენ ვცადეთ წინააღმდეგობა, მაგრამ გორბაჩოვი ილანძღებოდა: „საგარეო საქმეთა სამინისტრო არ არის მიჩვეული ახლებურად ფიქრს. ისინი წვრილმანებში ჭვრეტენ, ეშინიათ, რომ გამბედაობაში არ დაადანაშაულონ და ამით სახე არ დაკარგონ. არ არის ფართო ნაბიჯები. ამის გარეშე კი დიდი პოლიტიკა არ იმუშავებს..."[253].

„გორბაჩოვის ქმედებები მისი პირველივე ნაბიჯებიდან, როგორც დიდი ქვეყნის მეთაურისა მოწმობდა მისი ფსიქიკის უცნ-

აურობაზე. ერთის მხრივ, ის ასხივებდა ოპტიმიზმს და სწრაფვას. მაგალითად, ჩვენ არ გვაინტერესებს ამერიკული გამოწვევები. ჩვენ გავუმკლავდებით, როგორც „ვარსკვლავურ ომებს“, ისე ზოგადად შეიარაღებაში შეჯიბრს. მეორეს მხრივ, ვითარების დაძაბვისას ის მაშინვე პანიკაში შედიოდა. ის განწირული ხმით იძახდა: „ქვეყანა შესაძლებლობების ზღვარზეა! ჩვენ ვიქნებით დანგრეული და გატეხილი! ჩვენ უნდა წავიდეთ დათმობაზე!“[254].

საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის კიდევ ერთი თვისება იყო მარადიული სისწრაფე. „ის ყველაფერს აკეთებდა ნაჩქარევად. მაგალითად, ჩვენ უნდა დავიწყოთ, გავაღრმავოთ, გავაუმჯობესოთ, შემდეგ კი ვიფიქროთ რა გამოვიდა. გორბაჩოვმა ქვეყანა ჩააგდო ისეთ ციებ-ცხელებაში, რომელშიც ნორმალური აზროვნება გამორთული იყო. აიღეთ ჩანთები, სადგური მოდის! უფრო სწრაფად, უფრო სწრაფად! დრო არ გვექნება! მთავარი პროცესი და მიზანი კი მოგვიანებით გაირკვევა! გორბაჩოვი განთქმული იყო თავისი უნარით, მიეყვანა ნებისმიერი გონივრული წამოწყება სიბრიყვემდე, აბსურდამდე. თუ ბრიგადაა - მაშინ გადაიყვანეთ ყველა მასში, მწერლებამდე. არენდაა? მოდით გავხადოთ ყველა მოიჯარეები! [254].

ამრიგად, გორბაჩოვს ჰქონდა ერთგვარი მოწყვეტილი, ქაოტური აზროვნება. ის ვერ ხედავდა პროცესებს რთული ფენომენებით, მათი მთლიანობით და სირთულით. ამიტომაც იღებდა იგი შემთხვევით, ურთიერთგამომრიცხავ გადაწყვეტილებებს.

1985 წლის ზაფხულში გორბაჩოვმა ბრძანა საბჭოთა კავშირს ცალმხრივად შეეწყვიტა მიწისქვეშა ბირთვული ტესტირება. ამერიკელებმა ამას ყურადღება არ მიაქციეს და განაგრძეს აფეთქებები ნევადას საცდელ პოლიგონზე. 1985 წლის შემოდგომაზე 19-20 ნოემბერი ჟენევაში დაინიშნა შეხვედრა სკკპ გენერალურ მდივანსა და შეერთებული შტატების პრეზიდენტს შორის. როგორც ო. გრინევსკი იხსენებს - 1985 წლის სექტემბერში რეიგანს ეწვია სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროს უფროსი

შევარდნაძე და გორბაჩოვის პირადი შეტყობინება გადასცა. გენერალურმა მდივანმა მასში წარმოადგინა თავისი შეხედულებები ჟენევის მოახლოებულ შეხვედრასთან დაკავშირებით. პირველი შეთავაზება ითვალისწინებდა შეთანხმებულიყვნენ ერთმანეთის ტერიტორიებზე ბირთვული ქობინების რაოდენობის, განახევრებას. (თითოეულს ექვსი ათასი ქობინი ჰქონდა). მეორე, გორბაჩოვმა შესთავაზა დაედოთ შეთანხმება საშუალო მანძილის რაკეტებზე, კოსმოსური და სტრატეგიული იარაღზე კავშირის გათვალისწინების გარეშე.

ამით ფაქტობრივად, გორბაჩოვმა ჟენევის მოლპარაკების წინ წინასწარ გასაწირავად დააყენა სსრკ-ს პოზიციები. ვინაიდან მისი წინადადები უპირველეს ყოვლისა, აშკარა გულუბრყვილობა იყო. მართლაც, ინტერპრეტაციით, ბირთვული იარაღის ქვეშ, რომელიც უნდა განახევრებულიყო, გულისხმობდა არა მხოლოდ კონტინენტთაშორის რაკეტებს, არამედ ამერიკულ საშუალო რადიუსის რაკეტებს და იმ თუნდაც ტაქტიკურ ბირთვულ იარაღს, რომელიც მდებარეობდა ევროპისა და შორეული აღმოსავლეთის ბაზებზე. ეს ნიშნავდა, რომ ამერიკელებს მოუწევდათ დაახლოებით ორჯერ მეტი იარაღით შემცირება, ვიდრე საბჭოთა კავშირს. ბუნებრივია, ამერიკელებმა უბრალოდ დასცინეს გორბაჩოვს და, როგორც გრინევსკი აღნიშნავს, მისი ინიციატივები პროპაგანდისტულ ნაბიჯად გამოაცხადეს. მაგრამ ეს არ იყო მთავარი. გორბაჩოვმა მაშინვე აჩვენა, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა ეს იყო „ვარსკვლავური ომები", კოსმოსური შეიარაღების სფეროში რბოლა. რეიგანმა და მისმა გარემოცვამ მაშინვე დაინახეს, აი, ის წერტილი, სადაც უნდა დავარტყათ. დადგა სინამდვილე. ნამდვილად შეიძლება არ გქონოდათ ერთი „კოსმოსური კრეისერიც" კი, მაგრამ გქონოდა გორბაჩოვის წინააღმდეგ სტრატეგიული თავდაცვის ინიციატივის მხოლოდ ქაღალდის გეგმები და მუქარა, რომ იგი გაგეტეხა.

ამერიკელები ჟენევის სამიტისთვის საფუძვლიანად მოემზადნენ. რეიგანმა წაიკითხა მრავალი ცნობა საბჭოთა ისტორიაზე,

პოლიტიკაზე, ეკონომიკასა და კულტურაზე. გორბაჩოვთან მოლაპარაკებების წინ მან კონსულტაციები გამართა წინა პრეზიდენტებთან ნიქსონთან, ფორდთან. შეხვედრები წარმართა ეროვნულ უშიშროების დარგში ქსპერტებთან - ბჟეზინსკისა და სკოფორტთან, სახელმწიფო დეპარტამენტისა და ცსს-ს წარმომადგენლებთან ერთად. უფრო მეტიც, რეიგანმა გამართა რეპეტიციები გორბაჩოვთან შეხვედრისთვის, სადაც ამ უკანასკნელის როლი შეასრულა ეროვნული უშიშროების საბჭოს ექსპერტმა მეტლოკმა. მეტლოკი დისკუსიის წარმართვისას ცდილობდა გორბაჩოვის სტილისა და მანერის კოპირებას.

პარალელურად, ამერიკელი ანალიტიკოსების სამი დამოუკიდებელი ჯგუფი სწავლობდა კითხვებს: რა ხდება სინამდვილეში სსრკ-ში და რა სურს კრემლს? მართლა შეცვალეს საბჭოთა პოლიტიკის საფუძვლები, თუ უბრალოდ მშვიდობიანი შესვენებით სურთ მოიპოვონ ძალა და შემდეგ დაიწყონ თავდასხმა დასავლეთზე? ექსპერტების უმეტესობა მეორე ვარიანტის მომხრე იყო. აქედან აკეთებდნენ დასკვნას გორბაჩოვს მოსვენება უნდა, მაგრამ საბჭოთა კავშირს არ უნდა მიეცეს ამის საშუალება! საჭიროა რომ იგი გაწუროს, იოტის ოდენაც არ უნდა დაითმოს - „ვარსკვლავური ომების“ საკითხზე. ჩვენ უნდა შევაშინოთ კრემლი შეიარაღების შეჯიბრებაში მისი უიმედო ჩამორჩენისა და ქვეყნის ეკონომიკური კოლაფსის პერსპექტივით. ამერიკელებმა იგრძნეს, როგორ დაიწყო რეალობამ დამორჩილება მათი გავლენის ქვეშ. კარგად გაწვრთნილი და ორგანიზებული ეფექტურ „კოლექტიურ გონებაში“ ამერიკელი ექსპერტები ბევრად უკეთესად მუშაობდნენ, ვიდრე გორბაჩოვის გარშემო მყოფი მრჩევლი - მოყვარულები.

1985 წლის ნოემბრისთვის ამერიკელთა ხელმძღვანელობამ შეძლო ჟენევის მოლაპარაკებებში „რეიგან-გორბაჩოვის“ საბოლოო პოზიციის შემუშავება. ის მდგომარეობდა შემდეგში-აშშ-ს ძველი პოლიტიკა უნდა გაგრძელებულიყო სტაბილურად და მტკიცედ. არავითარი დათმობა არ უნდა ყოფილიყო მოსკოვ-

ისთვის „ვარსკვლავურ ომებზე“. შეერთებულმა შტატებს უნდა გაეგრძელებინა კოსმოსური სარაკეტო თავდაცვის სისტემის მშენებლობა. მაგრამ ამავე დროს აუცილებელად მიიჩნიეს გორბაჩოვის შემოწმება, საბჭოთა პოზიციის შესაძლო ცვლილებების გარკვევა.

ამერიკელებმა კარგად იცოდნენ, რომ საბჭოთა ლიდერი შეეცდებოდა საუბარი წარემართა კოსმოსური შეიარაღების რბოლის აკრძალვის პრობლემაზე და იგი ზესახელმწიფოს ბირთვული სტრატეგიის განახევრების პერსპექტივამდე დაეყვანა.

რ. რეიგანის მრჩევლებმა და მეგობრებმა მოიფიქრეს თუ, როგორ მიეცათ მოლაპარაკებებზე ინიციატივა პრეზიდენტისათვის ხელში. ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელმა დონალდ ფორტიემ პრეზიდენტს „რეგიონული ინიციატივა“ შესთავაზა. რაც ნიშნავდა იმას, რომ მაგალითად, პლანეტაზე იყო რამდენიმე წერტილი, სადაც ანტიკომუნისტი მეამბოხეები ებრძოდნენ პროსაბჭოთა რეჟიმებს: ანგოლაში, კამბოჯაში, ეთიოპიასა და ავღანეთში. შეერთებული შტატებს გორბაჩოვისათვის უნდა შეეთავაზებინა, მოეწყოთ მოლაპარაკებები მეომარ მხარეებს შორის ამერიკისა და სსრკ-ს მხარდაჭერით. რაც იმავდროულად უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყო კონფლიქტებში გარედან მესამე ქვეყნის არ ჩარევით.

შემდეგ კი, როდესაც მესამე ქვეყნები მიაღწევდნენ მშვიდობას და მეომარ ქვეყნებს შორის კომპრომისებს. ორივე ამ ქვეყნებისათვის უნდა გაეგზავნათ ეკონომიკური დახმარება. ფორტიეს მშვენივრად ესმოდა, რომ მოსკოვი ამ გეგმას ენთუზიაზმის გარეშე მიიღებდა, მაგრამ ეს ხელს შეუშლიდა გორბაჩოვის განზრახვას, დაეთმო ჟენევის შეხვედრა ექსკლუზიურად SDI-ის პროგრამისათვის.

პარალელურად კიდევ ერთი მიდგომა მოიფიქრეს, ცსს-ს უფროსმა უილიამ კეისმა და შეიარაღების კონტროლის სააგენტოს დირექტორმა კენეტ ეიდელმანმა. მათ უთხრეს რეიგანს - დაეცვა „ვარსკვლავური ომების“ გეგმები და დაჟინებით ეთქ-

ვა, რომ ის არ ეწინააღმდეგებოდა არსებულ ხელშეკრულებებს და ემსახურებოდა მშვიდობის საქმეს. აშშ პირველ პირს უნდა შეეთავაზებინა, რომ ორივე სუპერსახელმწიფოში, გახსნილიყო კოსმოსურ თავდაცვაზე მომუშავე ლაბორატორიები. რათა ერთობლივად აეშენებინათ SDI. ითვლებოდა, რომ მოსკოვი ამას არასოდეს დათანხმდებოდა. თავად ინიციატივა, კი რეიგანს იმავდროულად წარმოადგენდა მსოფლიო საზოგადოების თვალში, როგორც ნამდვილ მშვიდობისმყოფელს[253, 288].

1985 წლის 19 ნოემბრის ცივ დილას გორბაჩოვი და რეიგანი ერთმანეთს შეხვდნენ ჟენევის ტბის სანაპიროზე მდებარე ვილა „წყლის ყვავილები"-ში. დაიწყო მოლაპარაკებები. რ. რეიგანმა მ. გორბაჩოვის უთხრა, მე და შენ ვართ პატარა პროვინციული ქალაქებიდან, მაგრამ ახლა ჩვენ შეგვიძლია შევცვალოთ მსოფლიო პოლიტიკის კურსი. აშშ-ს და სსრკ-ს შეუძლია სწრაფად გამონახოს საერთო ენა, თუ დედამიწას უცხოპლანეტელების თავდასხმა დაემუქრება. გორბაჩოვი შეეცადა მისი სიტყვების შეწყვეტას და განაცხადა, რომ შესაძლებელია საბჭოთა-ამერიკის სამეცნიერო თანამშრომლობის გაფართოება. მაგალითად, პროგნოზირების თვალსაზრისით მიწისძვრებზე. კრემლის ბინადარმა უთხრა კალიფორნიაზე, სადაც საბჭოთა მეცნიერების აზრით, ძლიერი მიწისძვრა იყო მოსალოდნელი. ამის საპასუხოდ, რეიგანმა გრძელი ისტორიის მოყოლა დაიწყო და გორბაჩოვს უთხრა, რომ კალიფორნიაში სეისმური კატაკლიზმები ბოლო ხუთასი წელი სისტემატურად მიმდინარეობდა.

რ. რეიგანმა გააგრძელა საუბარი ადამიანის უფლებების პატივისცემის მნიშვნელობაზე, გორბაჩოვმა - განიარაღებაზე. გენერალური მდივანი ცდილობდა საკუთარი თავი მეომარ და ურყევი ლიდერის სახით წარმოიჩინა. ის ამბობდა ამერიკელები ვერ შეძლებენ საბჭოთა კავშირის დანგრევას. „რაც არ უნდა გააკეთოთ, ვერ დაგვამარცხებთ!" და მერე ისევ ყველაფერი ძველებურად: ადამიანის უფლებები, პლანეტის „ცხელი წერტილები", განიარაღება.

SDI-ზე საუბრისას, გორბაჩოვი ამტკიცებდა, რომ კოსმოსური შეიარაღების რბოლა გამოიწვევდა ეკონომიკურ კოლაფსს, როგორც შეერთებული შტატების, ასევე სსრკ-სთვის. მისი თქმით, მოსკოვი ყველაფერს გააკეთებდა იმისათვის, რომ დაპირისპირებოდა „ვარსკვლავურ ომებს“, უფრო ძლიერი შეტევითი იარაღით, რომელსაც შეეძლებოდა პერსპექტიული სარაკეტო თავდაცვის სისტემის გარღვევა. მაგალითად, SOI ზედმეტი მტკიცებულება იყო იმისა, რომ ამერიკელები ცდილობდნენ სტრატეგიული უპირატესობა მოეპოვებინათ და შესაძლო მსოფლიო ომში მიეღოთ დაუსჯელი პირველი დარტყმის შესაძლებლობა. გენერალური მდივანმა სცადა დამუქრება და რეიგანს უთხრა თუ მომდევნო წელიწადნახევარში არ იქნება გადაწყვეტილება SDI პროგრამების შეწყვეტის შესახებ, შედეგები იქნებოდა არაპროგნოზირებადი.

მ. გორბაჩოვი ყოველ ჯერზე უარყოფდა საკუთარი სიტყვების ეფექტს სხვადასხვა ფრაზებით. სახელდობრ თუ ამბობდა, რომ სსრკ ანეიტრალებს „ვარსკვლავურ ომებს”, მაშინ მკაცრად უნდა დაეცვა ეს ხაზი. მაგრამ გორბაჩოვმა გაანადგურა საკუთარი თავდასხმების ეფექტი ორმხრივ გაკოტრებაზე და მომავლის არაპროგნოზირებადობაზე საუბრით. ბოლოს და ბოლოს, თუ სსრკ-ს არ ეშინოდა ამერიკული SDI-ის, რატომ უნდა აეძულებინა მას რეიგანი შეეჩერებინა ეს პროგრამა?

ამრიგად რეიგანმა და მისმა ხალხმა მხოლოდ ერთი დასკვნა გააკეთეს. ვაშინგტონის „კოსმოსურ ბლეფს“ კრემლი აბსოლუტურად სერიოზულად აღიქვამდა. ის აშინებდა კრემლს და საბჭოთა ელიტა მზადა იყო ძალიან დიდი დათმობებისკენ წასულიყო, შეერთებული შტატებისაგან SDI-ის შეჩერების სანაცვლოდ.

ლანჩით გამოწვეული შესვენების შემდეგ, მეორე შეხვედრა გაიმართა. სადაც გორბაჩოვმა გააოცა ამერიკელები იმით, რომ მოულოდნელად დაიწყო საუბარი ავღანეთიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის შესახებ. მან თქვა - ამბობენ, ამერიკელები დაგვეხმარებიან პრობლემის პოლიტიკურ მოგვარებაშიო? ანუ გენერალურმა მდივანმა ზღურბლიდანვე გამოავლინა სისუსტე და დახმარება

სთხოვა გეოპოლიტიკურ მტერს. რეიგანი იყენებდა რა გორბაჩოვის სისუსტეს ვირტუოზულად ახერხებდა მის საუბარში „დაჭერას“. მხოლოდ ავღანეთს აქვს მნიშვნელობა?-უთხრა რეიგანმა. თქვენ ასევე ერევით ნიკარაგუას, კამბოჯის, სამხრეთ აფრიკის საქმეებში. გორბაჩოვმა მხრები აიჩეჩა და კვლავ დაიწყო იმის მტკიცება, რომ აშშ-ის SDI-ის გეგმები გამოიწვევს შეიარაღებაში შეჯიბრს ახალ რაუნდამდე და გაზრდის ბირთვული ომის საფრთხეს. რეიგანმა მაშინვე დაიწყო თავისი „ვარსკვლავური ომების“ დაცვა.

მესამე შეხვედრა შედგა ოთახში ანთებულ ბუხართან. აქ რეიგანმა შესთავაზა საბჭოთა გენერალურ მდივანს საერთოდ გაენადგურებინათ საბჭოთა და ამერიკული საშუალო რადიუსის რაკეტები. ასეთი ნაბიჯი უფრო მომგებიანი იყო შეერთებული შტატებისთვის, ვიდრე საბჭოთა კავშირისათვის. რა თქმა უნდა კარგი იქნებოდა თუ ამერიკული „პერშინგები“ ევროპიდან გაქრებოდა, მაგრამ იმავდროულად კრემლს ნატოსაგან მომდინარე შესაძლო საფრთხის შესაკავებლად ჩამოერთმეოდა ძლიერი იარაღი. გარდა ამისა, ამერიკული წინადადება არ ითვალისწინებდა ბრიტანეთის და საფრანგეთის ბირთვულ ძალებს, აგრეთვე ბირთვულ იარაღს თვითმფრინავის პლატფორმებზე. გორბაჩოვი ცდილობდა ამ საკითხებზე ელაპარაკა, მაგრამ ის და რეიგანი ვერ ახერხებდნენ შეთანხმებას.

შემდეგ საუბარი შეეხო სტრატეგიული იარაღის 50%-ით შემცირებას. (სსრკ-ს ჰქონდა 2500 მუხტი, რომელსაც შეეძლო დაეფარა სამიზნეები ამერიკაში, ხოლო ამერიკელებს - 3125 სსრკ-სკენ მიმართული ქობინი.) ესეც ხელს აძლევდა აშშ-ს. გორბაჩოვი დაეთანხმა პრინციპში შემოთავაზებულ წინადადებას, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ იმავდროულად მოხდებოდა გამალებული შეიარაღების შეჯიბრის აკრძალვა. ანუ მან კიდევ ერთხელ აჩვენა ის, რისიც ყველაზე მეტად ეშინოდა.

ამის შემდეგ „ვარსკვლავური ომების“ შესახებ საუბარი უფრო შორს წავიდა. რეიგანმა თქვა, რომ შეერთებული შტატები

გააგრძელებს SDI-ზე მუშაობას და სსრკ-ს შეუძლია ამერიკასთან თანამშრომლობაც კი „თავდაცვის ამ პროგრამაში“. რა თქმა უნდა, ეს საერთოდ არ აწყობდა გორბაჩოვს. მას სურდა SDI-ზე, სრული აკრძალვა. როგორც მოსალოდნელი იყო, ამერიკელები ამაზე არ წავიდნენ. ასე დასრულდა პირველი დღე. ამერიკელებმა მშვენივრად დაინახეს, რომ მათ წინ სუსტი ლიდერი იდგა. რომელსაც რა საომარი ფრაზებიც არ უნდა წარმოთქვა, შემდეგ მაინც ემორჩილებოდა ზეწოლას.

მეორე დღეს, 1985 წლის 20 ნოემბერს, მოლაპარაკებებმა საბჭოთა საელჩოში გადაინაცვლა. რეიგანმა და გორბაჩოვმა დღე ერთმანეთთან პირდაპირი საუბრით დაიწყეს. გორბაჩოვს ამერიკის პრეზიდენტი სასწრაფოდ თავს დაესხა კავშირში ადამიანის უფლებების დარღვევისთვის. გორბაჩოვმა ვერაფერი იპოვა იმაზე უკეთესი, რომ ეთქვა, რომ აშშ-ში შავკანიანთა და ქალთა უფლებები ირღვევა. და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყო ხანგრძლივი საუბარი განიარაღებაზე. გენერალურმა მდივანმა თავი ვერ დააღწია უაზრო ლაპარაკს და კვლავ დაიწყო საუბარი SDI-ზე, რითაც კვლავ აჩვენა მოსკოვის შიში და გაურკვევლობა. ის კვლავ ცდილობდა დაეყოლიებინა რეიგანი „ვარსკვლავური ომების“ გეგმების უარის თქმაზე, მაგრამ საპასუხოდ ამერიკელის მგზნებარე მონოლოგს წააწყდა. ბოლოს გორბაჩოვი დანებდა და თქვა: „ბატონო პრეზიდენტო, მე არ გეთანხმებით, მაგრამ ვხედავ, რომ თქვენ ნამდვილად გჯერათ რასაც ამბობთ...“

ხანმოკლე შესვენების შემდეგ გორბაჩოვი ცდილობდა SDI-ის თემით დაბრუნებას. თუ რეიგანი არანაირად არ თმობდა და მაინც სურდა კოსმოსური სარაკეტო თავდაცვის სისტემის განთავსება, მაშინ რატომ არ აკეთებდა ამას მოსკოვისთვის უფრო რბილ და მისაღებ ვერსიაში? მათი თქმით, ეს იქნებოდა რეიგანის „სახის დაკარგვა“. რეიგანმა კიდევ ერთხელ, მკაცრი რეაგირება მოახდინა SDI-ის შესახებ კითხვაზე და განაცხადა, რომ არ ექვემდებარება განხილვას! გორბაჩოვი განაწყენდა და თქვა, რომ რეიგანი მას პატივს არ სცემდა. მისი აზრით, მსოფლიოს სჭირდ-

ება იარაღის კონტროლი და ეს უბრალოდ არაა შესაძლებელი SDI-ის პროგრამის ლიკვიდაციის გარეშე.

რეიგანი ყოველივე ამით დაიღალა და გადაწყვიტა ინიციატივის ხელში ჩაგდება. მან დღის წესრიგში დააყენა ამერიკელების მიერ გამოგონილი რეგიონალური ინიციატივა - ომების დასრულება ავღანეთში, კამპუჩია-კამბოჯაში, ანგოლაში, ეთიოპიასა და ნიკარაგუაში. და აი, აქ ამერიკელი ურჩხულივით დაეჯახა საბჭოთა ლიდერს. მან ავღანელი ხალხის გენოციდში დაადანაშაულა საბჭოთა კავშირი. მისი აზრით მოსკოვი ებრძოდა ადამიანებს, რომლებსაც თავისუფლება სურთ. და ბოლოს, რეიგანმა კრემლი დაადანაშაულა მთელი პლანეტის დაპყრობის განზრახვაში. იგი, იქცეოდა თავდაჯერებულად და უცერემონიოდ. გორბაჩოვი დამუნჯდა და გაშრა.

ერთი სიტყვით, საელჩოში მოლაპარაკებები გაგრძელდა უშედეგოდ. მაგრამ ამერიკელები, რომლებიც უყურებდნენ გენერალურ მდივანს, უფრო და უფრო რწუნდებოდნენ, რომ საქმე ჰქონდათ არა „კერკეტ კაკალთან", არამედ პარტნომეკლატურის ჩვეულებრივ წარმომადგენელთან, რომელიც ემორჩილება ზენოლას. იმავე დღეს საღამოს აშშ-ის სახელმწიფო მდივანი შულცი განრისხდა საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილის გიორგი კორნიენკოს შეუვალობის გამო (შეხვედრის შემდეგ მათ უნდა შეედგინათ ერთობლივი კომუნიკე). გორბაჩოვი, რომ ხედავდა ისე იყვირა მან და თითი კორნიენკოსკენ(საბჭოთა საგარეო მინისტრის მოადგილე) გაიშვირა: „შენ, შენ გვიშლი ხელს! ჩვენ არ შეგვიძლია თქვენთან საქმის კეთება! ბატონო გენერალურო მდივანო, ამ კაცთან საქმე შეუძლებელია აკეთო!" ეს საკმარისი იყო იმისთვის, რომ რამდენიმე თვის შემდეგ შეუპოვარი საბჭოთა დიპლომატი ჩამოეშორებინათ სამუშაოსათვის[253, 294-295].

რ. რეიგანი გამარჯვებას ზეიმობდა. სახლში დაბრუნების შემდეგ იგი დაწერს, პირად შენიშვნებს გორბაჩოვის შესახებ: „თუ მას ნამდვილად სურს შეიარაღების კონტროლზე შეთანხ-

მება, ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას სურს შეამციროს სამხედრო ხარჯების ტვირთი, რომელიც გუდავს საბჭოთა კავშირს ეკონომიკას. მხოლოდ ეს განსაზღვრავს მის წინააღმდეგობას SDI-სთან. მას სურს აირიდოს ჩვენთან კონკურენციის ხარჯები".

ანტიალკოჰოლური კამპანია იყო მთავარი მაგალითი იმისა, თუ რა მტკივნეული შედეგები მოჰყვა გორბაჩოვის რეფორმებს. ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ, გორბაჩოვმა გადაწყვიტა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე გადაეჭრა რუსეთში ყველაზე გადაუჭრელ სოციალურ პრობლემა არაყი. მშრალი კანონის შემოღების მცდელობა რუსეთში მხოლოდ ერთხელ გაკეთდა, ნიკოლოზ II-ის დროს. მან პირველი მსოფლიო ომის დროს აკრძალა არაყი, რამაც მონარქია უკიდურესად არაპოპულარული გახდა, ხოლო მთავრობა საბოლოოდ გაკოტრდა. მეფის მიერ დაწესებული ეს აკრძალვა დღემდე რჩება 1917 წლის რევოლუციის ერთ-ერთი ყველაზე შეუფასებელ მიზეზად.

გორბაჩოვის ანტიალკოჰოლური პოლიტიკა არ ნიშნავდა არყის სრულ მოსპობას. შედეგად არაყი მხოლოდ ძნელად მოსაპოვებელი გახდა და მკვეთრად გაძვირდა. საბჭოთა პრეზიდენტს მთელი ქვეყნის მასშტაბით გზაჯვარედინებზე, სამზარეულოს ოთახებში, მაგიდებზე, საწოლებში აგინებდნენ. პროვინციულ ქალაქებში ალკოჰოლის საწინააღმდეგო კამპანია გორბაჩოვის მმართველობის თვალსაჩინო სიმბოლოდ იქცა.

იმავდროულად, არყის წარმოება ჩრდილსა და იატაკქვეშეთში გადაბარგდა. მთელი ქვეყნის მასშტაბით გაჩნდა ე.წ. „მარცხენა" გადამამუშავებელი ქარხნები. კონტრაბანდული არაყს ხდიდნენ კოლმეურნეობებში, კვების საწარმოებში - თითქმის ყველგან - ადგილობრივი პოლიტიკური ელიტის თანხმობით. შემდეგ ეს არაყი იყიდებოდა ქუჩებში ან დახლის ქვემოდან სახელმწიფო მაღაზიებში. ზოგი არაყს აკეთებდა იაფი ოდეკოლონიდან, შუშის საწმენდიდან, ფეხსაცმლის გასაპრიალებელი მაზიდან. ყოველწლიურად ათიათასობით რუსი იღუპებოდა მოწამვლის შედეგად.

ანტიალკოჰოლურმა კამპანიამ საბჭოთა ეკონომიკაში შხამი-

ვით შეაღწია. ალკოჰოლზე სახელმწიფო მონოპოლია ყოველთვის იყო საბჭოთა ფინანსური სისტემის საყრდენი, როგორც წესი, ბიუჯეტში მთელი შემოსავლის 25 პროცენტამდე ალკოჰოლური სასმელებით შემოდიოდა. აკრძალვის შემდეგ, არაყის გაყიდვიდან მიღებული მოგება ხაზინაში კი არა, არაყის დამამზადებელთა ჯიბეებში გადავიდა. ასე ჩაეყარა საფუძველი რუსეთის პირველ კრიმინალურ კაპიტალს რუსეთში.

„მარცხენა“ არაყიდან მიღებული შემოსავალი ხშირად ინვესტიციას ახდენდა რეფორმებით დაშვებულ „კოოპერატივებში“ - ახალ კერძო ბიზნესებში (სავაჭრო კომპანიები, ბანკები, რესტორნები, მაღაზიები). არაყის მაფიამ მოიცვა მთელი ქვეყანა. დაიწყო ჩინოვნიკების თამამად მოსყიდვა - ადგილობრივი პოლიციიდან, სასამართლოებით და რეგიონალური კომუნისტური პარტიის კომიტეტების მდივნებით დამთავრებული. მალე მთავრობამ - ერთადერთმა ორგანომ, რომელსაც შეეძლო ორგანიზებულ დანაშაულთან დაპირისპირება, თავად დაიწყო კორუფციისგან ლპობა.

1986 წლის მაისში საბჭოთა კავშირში მიიღეს დადგენილება: „სამოყვარულო ასოციაციებისა და ინტერესთა კლუბების შესახებ“. 1986 წლის სექტემბერში მოსკოვში, ბავშვთა კლუბ „ჩვენი არბატის“ საფუძველზე, გაჩნდა „სოციალური ინიციატივების კლუბი“, რომელიც გახდა დედაქალაქში არაფორმალთა კონსოლიდაციის ერთ-ერთი პირველი ცენტრი[222, 37]. ამ კლუბმა რამდენიმეჯერ შეიცვალა შენობა დამფუძნებლები და ბოლოს დარეგისტრირდა, როგორც საბჭოთა სოციოლოგთა ასოციაცია[223 , 263-264]. ამ მხრივ, საინტერესოა სუკი-ს ყოფილი შეფის ფ. ბობკოვის მოგონება: „როდესაც ანდროპოვი მივიდა სოციოლოგიის ინსტიტუტში, რამდენიმე თვეში ჩვენ იქ შევქმენით მეხუთე სამმართველოს დახურული სექტორი. გავგზავნეთ 15 ჩვენი ოფიცერი. განყოფილებას ხელმძღვანელობდა დირექტორის მოადგილე ტატიანა ზასლავსკაია. ამ განყოფილების საფუძველზე მოგვიანებით ჩამოყალიბდა ინსტიტუტი“[224].

სუკ-ის უფროსის ეს აღიარება განსაკუთრებით საინტერესოა იმისათვის რათა მკაფიო გახდეს სინამდვილეში საბჭოთა სოციოლოგთა ასოციაციის როლი. ცხადია, სუკი-ს „სოციოლოგებს“ ჰქონდათ სრული ინფორმაცია არა მხოლოდ იმის შესახებ, თუ რა ხდებოდა ამ ასოციაციაში, არამედ შეეძლოთ გავლენა მოახდინათ მის საქმიანობაზე. კლუბის თანათავმჯდომარეები იყვნენ: გრიგორ პელმანი, ბორის კაგარლიცკი, მიხეილ მალიუტინი და გლებ პავლოვსკი[221, 37]. მათგან გრ. პელმანი იყო მათემატიკოსი. მას ინსტიტუტში ასწავლიდა ტ. ზასლავსკაია. იგი იყო ლ. გორდონის ასპირანტი, რომელსაც ჰყავდა უამრავი ნაცნობი უცხოეთში. ბორის კაგარლიცკი დაიბადა მოსკოვში, პროფესორის ოჯახში. მისი ბებია, ანა კოლინზი, სსრკ -ში ინგლისიდან ჩამოვიდა 1920 - იან წლებში. 1978 წელს ბ. კაგარლიცკი შეუერთდა სოციალისტების წრეს, 1979 წელს გახდა სკკპ წევრობის კანდიდატი. 1980 წელს იგი გარიცხეს პარტიიდან და ინსტიტუტიდან. 1982 წელს კი დააპატიმრეს, მაგრამ მალევე გაათავისუფლეს [225].

გლებ პავლოვსკიმ 1973 წელს დაამთავრა ოდესის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 1980 წლის იანვარში იგი დააპატიმრეს, მაგრამ მოკლე ხანში გაათავისუფლეს. 1982 წლის აპრილში იგი კვლავ დააპატიმრეს. გადასახლებიდან დაბრუნების შემდეგ პავლოვსკი გახდა ჟურნალ „XX საუკუნე და მსოფლიო“-ს მთავარი რედაქტორის მოადგილე[226, 95].

განსაკუთრებით საოცარია ის, რომ მ. მალიუტინი მუშაობდა მოსკოვის პარტიულ სკოლაში[222, 156]. აქედან იმის დასკვნის გაკეთება შეიძლება, რომ ქვეყნის რეფორმირების პროცესში ჩაბმული იყო ყოვლისშემძლე სახელმწიფო უშიშროების კომიტეტი.

„სოციალური ინიციატივების კლუბმა“ პირველი ღონისძიება ჩაატარა 1986 წლის ოქტომბერში - ეს იყო „კოოპერატივების შესახებ“ კანონპროექტის განხილვა, რომელზედაც მოწვეულ იყვნენ გამოჩენილი საბჭოთა სოციოლოგები - ტ. ზასლავსკაია და ლ. გორდონი. ამ დროიდან ტ. ზასლავსკაია გახდა კლუბის კლუბის ფაქტობრივი გამგებელი[221, 41].

სამეურნეო ანგარიშზე რეგიონების გადასვლის იდეამ დიდი გავლენა იქონია ცენტრიდანულ ძალებზე. რომელთაც მიზნად დაისახეს საკუთარი შემოსავლებით ცხოვრება. თვლიან, რომ პირველად ასეთი იდეა ჩამოყალიბდა 1987 წლის 26 სექტემბერს ესტონეთის დედაქალაქ ტარტუს კომპარტიის საქალაქო კომიტეტის გაზეთის „ედაზის“ ფურცლებზე, ოთხეულის ს. კალასის, თ. მადეს, ე. სავისაარის და მ. ტიიტმას წერილში[226, 38]. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ რეგიონების სამეურნეო ანგარიშზე რესპუბლიკის გადასვლის იდეის ერთე-ერთი ავტორი იყო ტარტუს უნივერსიტეტის პროფესორი მ. ბრონშტეინი. ხოლო წერილის ერთ -ერთი ავტორი ს. კალასი იყო მისი ასპირანტი. აშკარაა, რომ ოთხეული წერილის დაწერამდე იმყოფებოდნენ მოსკოვში. ამის დასტურია ისიც, რომ ტარტუში წერილის გამოქვეყნებიდან ერთი დღის შემდეგ 28 სექტემბერს, რესპუბლიკების სამეურნეო ანგარიშზე გადაყვანის აუცილებლობის ანუ მათი „თვითუზრუნველყოფისა და თვითდაფინანსების“ შესახებ, პოლიტბიუროს სხდომაზე განაცხადა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ნ. სლიუნკოვმა.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ იმ დროს მ. ტიიტმა იკავებდა საბჭოთა სოციოლოგთა ასოციაციის თავმჯდომარის მოადგილის პოსტს, რომელსაც ხელმძღვანელობდა ტ. ზასლავსკაია, მის წევრებს შორის როგორც აღვნიშნეთ იყვნენ სსრკ სუკ-ის მეხუთე სამმართველოს თანამშრომლები[227, 22]. ე. სავისაარმა ამ მოვლენებამდე ცოტა ხნით ადრე დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია რომის კლუბის მოღვაწეობის შესახებ[228]. ესტონეთის პრემიერ მინისტრი ბ. საული, როგორც ეტყობა არ იცნობდა ამ საიდუმლო შეხვედრების მიზნებს. ამას მოწმობს ისიც, რომ ბ. საული და ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი კ. ვაინო უარყოფითად იყვნენ განწყობილნი რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის იდეისადმი[229, 90-92].

რეგიონების სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის იდეა ფესვებს იღებდა ჯერ კიდევ 1960-იან წლებიდან. 1983-1984 წლებში ის

გამოყენებულ იქნა ეკონომიკური რეფორმის პროექტის მომზადებისას.[230, 240-242]. ხოლო შემდეგ კი გაჟღერებული იქნა სკკპ XXVII ყრილობაზე[231, 11].

ამ წერილის ძირითადი იდეები შემოიფარგლებოდა შემდეგნაირად: ა) ესტონეთის ტერიტორიაზე სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლა; ბ) ყველა საკავშირო საწარმოს ტრანსპორტის ჩათვლით რესპუბლიკის განკარგულებაში გადაცემა; გ) სხვა რესპუბლიკებთან საბაზრო ურთიერთობებზე გადასვლა; დ) ესტონეთში საბაზრო ურთიერთობების შექმნა; ე) მანეთის თავისუფალ კონვერტირებად ვალუტად გამოცხადება; ვ) სამანეთო ზონიდან ესტონეთის გასვლის შესაძლებლობა[232, 109]. ესტონეთის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის რ. ოტსანსონის თქმით, ამგვარი პროგრამის შემუშავების სტიმული იყო 1987 წლის თებერვალში, მ. გორბაჩოვის ესტონეთში ვიზიტი, სადაც მან მიმართა ესტონეთს, როგორც დოტაციაზე მყოფ რესპუბლიკას. ამის შემდეგ ესტონელმა ეკონომისტებმა გააკეთეს გათვლები, საიდანაც ცხადი გახდა, რომ რესპუბლიკის გადახდების უარყოფითი ბალანსი ასოცირდებოდა ფასების დამახინჯებულ მექანიზმთან[233].

ამრიგად, როდესაც 1987 წელს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმმა გამოაცხადა კურსი საწარმოების სამეურნეო ხარჯებზე გადასვლასთან დაკავშირებით, ესტონეთის სახელმწიფო დაგეგმვის კომიტეტის ხელმძღვანელმა ე. სავისაარმა 1987 წლის 18 აგვისტოს მოიწვია შეხვედრა, რომელშიც მონაწილეობდნენ რ. კაპეპერი(რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარისბ თანაშემწე), თანაშემწე პ. კროსი (ფირმა „მინორის" სამეცნიერო დირექტორი), ჯ. ლეიმანი (კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის დირექტორი), ო. ლუგუსი (ეკონომიკის ინსტიტუტის სამეცნიერო კვლევების დირექტორი), ტ. მადე (მასწავლებელთა კვალიფიკაციის ამაღლების ინსტიტუტის დოცენტი), ი. პროსი (ტალინის პოლიტექნიკური ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ თანამშრომელი), ი. რაიგი (ეკონომიკის ინსტიტუტის უფროსი მეცნიერ

თანამშრომელი) და ს. კალასი (გაზეთ „ხალხის ხმა“ რედაქტორის მოადგილე). სავისაარმა მათ შესთავაზა რესპუბლიკის სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის პროგრამის შემუშავება[234, 89.]

1987 წლის შემოდგომაზე, პროფესორმა - ფილოსოფოსმა და სოციოლოგმა რემ ბლუმ წამოაყენა წინადადება ტარტუს უნივერსიტეტში შექმნილიყო „პერესტროიკის“(გარდაქმნის) მეგობართა კლუბი”[235, 162]. მასში არსებითად საუბარი იყო ოპოზიციის კონსოლიდაციაზე.

ჟურნალმა „აია პულს“-მა („დროის პულსი“) გამოაქვეყნა რუდოლფ ალერის სტატია „მოდით დავარქვათ ნივთებს თავისი სახელი“, რომელშიც ცენზურ გავლილ საბჭოთა პრესაში თითქმის პირველად დაისვა საკითხი 1941 და 1949 წლებში ესტონეთიდან დეპორტირებულების შესახებ. 27 ნოემბერს გაზეთმა „Sirp ja Vasar“ პირველად გამოაქვეყნა მონაცემები დეპორტირებულთა რაოდენობის შესახებ. 1 დეკემბერს კი იგივე პრობლემა ტელევიზიაში განხილვის საგანი გახდა[236, 110].

როგორც ირკვევა თავდაპირველად სოციალურ-პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობა სკკპ ცკ-დან ნებადართული იყო. როგორც სკკპ ცენტრალური კომიტეტის კონსულტანტი ი. ბაგრამოვი იხსენებს: „1988 წლის მარტში მეცნიერთა და პარტიის მუშაკთა მცირე ჯგუფი, ა. იაკოვლევის მეთაურობით, შეიკრიბა მოსკოვის მახლობლად ერთ -ერთ აგარაკზე, რათა შეემუშავებინათ პოზიცია დაწყევლილი ეროვნული საკითხის გარშემო“[237]. მაგრამ გარკვეულ მომენტში პარტიულ ნომენკლატურას ხელიდან გაექცა მისი სადავეები და მერე ვეღარ შეძლო მისი დაბრუნება.

„თუ ჩვენ ვისაუბრებთ ჩემს წინააღმდეგ ბრალდებებზე - წერს ა. იაკოვლევი- ვერავინ და ვერსად ვერ ნახავს ჩემს ერთ სიტყვას სუვერენიტეტების მეაღლუმეთა მხარდასაჭერად. მსურდა კონფედერაცია ნებაყოფლობით საფუძველზე. პირადად მე ეჭვი არ მეპარებოდა, რომ საბჭოთა კავშირი განწირული იყო კარდინალური განახლებისთვის. ერთადერთი კითხვა იყო: განვითარების, რომელი გზა იქნებოდა ყველაზე ოპტიმალური? პირადად ჩემთ-

ვის ყველაზე რაციონალური იყო დამოუკიდებელ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი, ევოლუციური, მშვიდობიანი გზა, კონფედერაციის სფუძველზე. ეს გზა აწონილი და გააზრებული იყო ყველა დეტალში"[238, 621]. უდავოა ეს არის ყოფილი პარტიული ფუნქციონერის უბადრუკი მცდელობა გაიმართლოს თავი ჩავარდნილი რეფორმებისათვის.

როგორც ზემოდ აღვნიშნეთ ეს საკითხები მუშავდებოდა სკკპ ცკ-ში. სუკ-ის თანახმად, „1988 წლის ივნისში ლენინგრადის სოციალური ეკონომიკური პრობლემების ინსტიტუტში ჩატარდა ე.წ. „38-ე ოთახის სემინარი", სადაც გ. სტაროვოიტოვამ გამოხატა პოზიცია „პერესტროიკის" რადიკალური ფრთის ეროვნულ ურთიერთობების საკითხებთან დაკავშირებით. მან მხარი დაუჭირა იმ რადიკალურ პოზიციას, რომელსაც პოლიტბიუროში წარმოადგენდა ა. იაკოვლევი. ეროვნული საკითხის გადაწყვეტის „რადიკალური ვერსია" გამოჩნდა ა. იაკოვლევის ესტონეთში რესპუბლიკის პარტიული აპარატის ზოგიერთ ლიდერთან კონფიდენციალური საუბრების შემდეგ. როგორც რუსი ავტორები აღნიშნავენ ეს ვარიანტი ითვალისწინებდა ეროვნული კავშირების შესუსტების მიზანმიმართულ განზრახვას ...

გ. სტაროვოიტოვას აღნიშვნა მიუთითებდა, რომ ესტონეთი უნდა გამხდარიყო იაკოვლევის დეცენტრალიზაციის იდეის ტესტირების საფუძველი. ზემოხსენებულ სემინარზე სტაროვოიტოვამ აღნიშნა ბრძოლის კიდევ ერთი სპექტრი ეროვნული ურთიერთობების დეცენტრალიზაციისათვის-ეს იყო სომხეთი-მთიანი ყარაბაღში [239, 43-44].

მ. გორბაჩოვის დაწყებული რეფორმებით გაოცებული იყო დასავლეთი. მწერალ ვიქტორ ეროფეევის თქმით, 1987 წელს ის ამერიკის ელჩმა ის მიიწვია „New York Times" მოსკოვის ბიუროში. საუბრიდან აშკარა იყო, რომ ამერიკელები „უბრალოდ დაბნეულნი იყვნენ. მათ ვერ გაიგეს რა იყო „პერესტროიკა". ეს იყო სუკ-ის შეთქმულება, თუ მართლაც „მართლაც ლიბერალური მოძრაობა"[240].

1988 წლის აპრილში, ტალინში გაიხსნა შემოქმედებითი კავშირების ერთობლივი პლენუმი, რომელსაც მიმართა ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა იდეოლოგის განხრით სინდრეკ ტოომმა. პლენუმმა მკვეთრად გააკრიტიკა სკკპ ეროვნული პოლიტიკა და მიიღო მიმართვა ესტონეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალურ კომიტეტის, უზენაესი საბჭოს პრეზიდიუმის, ესტონეთის მინისტრთა საბჭოს და ესტონეთის სსრ შემოქმედებითი ინტელიგენციისადმი. მასში დაისვა საკითხი სსრკ და ესტონეთის სსრ კონსტიტუციებში ცვლილების აუცილებლობის შესახებ „ესტონეთის სსრ ეკონომიკური და კულტურული დამოუკიდებლობის უზრუნველსაყოფად". რათა რესპუბლიკას მისცემოდა უფლება დამოუკიდებლად გადაეწყვიტა საკუთარი საქმეები". ამასთან დაკავშირებით, შემოთავაზებული იყო „რესპუბლიკის სრულ სამეურნეო ანგარიშზე გადასვლის კურსი" და ესტონეთის ტერიტორიაზე „სპეციალური ეკონომიკური ზონის" შექმნა. იმავდროულად, დაისვა საკითხი არა მხოლოდ ესტონეთში სტალინური რეპრესიების დაგმობის აუცილებლობის შესახებ, არამედ „ყველა იმ ქმედების გასაპროტესტებლად, რომელნიც ამ აქტის საფუძველს წარმოადგენდა". ამ შემთხვევაში, უპირველეს ყოვლისა, მხედველობაში იყო 1939 წლის 23 აგვისტოს საიდუმლო შეთანხმება გერმანიასა და სსრკ -ს შორის[241, 4-6].

ს. ჰაალიკის მტკიცებით სწორედ ამ პლენუმზე წამოიჭრა საკითხი ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულების დადების აუცილებლობის შესახებ[242]. არსებობს მოსაზრება, რომ ასეთი გაერთიანების იდეა გაჩნდა მოსკოვიდან. ჟურნალ „ოგონიოკის"-ის რედაქტორების თანახმად, 1988 წლის დასაწყისში მათ მიიღეს მრავალი წერილი მკითხველისგან, რომლებშიც ისინი შეშფოთებას გამოთქვამდნენ საზოგადოებაში დაწყებული ცვლილებების ბედზე და აყენებდნენ კითხვას „ციხე-სიმაგრის აშენების აუცილებლობის შესახებ", რათა გარანტიები ჰქონოდა გორბაჩოვის „პერესტროიკას"[243, 4].

1988 წლის 6 მარტს „მრგვალი მაგიდის“ ერთ-ერთმა მონაწილემ, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფო და სამართლის ინსტიტუტის თანამშრომელმა ბ. ყურაშვილმა „მოსკოვსკიე ნოვოსტში“ გამოთქვა-მოსაზრება შექმნილიყო „პერესტროიკის“ მხარდასაჭერი მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაცია. მაგალითად, ისეთი გაერთიანება, როგორიც იყო ეროვნული ფრონტები გდრ-ში და ჩეხოსლოვაკიაში, ან კიდევ სამამულო ფრონტი ბულგარეთში. გამოთქვა მოსაზრება ასეთ გაერთიანებას დარქმეოდა „დემოკრატიული გაერთიანება“ ან კიდევ „სახალხო ფრონტი“[244, 8-9].

1988 წლის 12 აპრილს, ლენინგრადში გაიმართა პერესტროიკის სადისკუსიო კლუბის მორიგი შეხვედრა. იგი სპეციალურად მიეძღვნა ე.წ. ნინა ანდრეევას ყბადაღებულ წერილს. ამ შეხვედრაზე, რომელიც ტელევიზიით გადაიცემოდა, ალექსანდრე სუნგუროვმა წამოაყენა „პერესტროიკის“ მხარდასაჭერად „პოპულარული ფრონტის“ შექმნის იდეა[245, 4]. მომდევნო დღეს ესტონეთში შეიქმნა სახალხო ფრონტი[22]. 8 მაისს ესტონურ ტელევიზიით გადაიცა სპეციალური პროგრამა, რომელიც ეძღვნებოდა სახალხო ფრონტის შექმნას. მას ესწრებოდნენ ესტონეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და ბიუროს წევრები, ესტონეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე იან სოიდლა, რესპუბლიკის ცენტრალური კომიტეტის პარტიული ორგანიზაციული მუშაობის განყოფილების უფროსი ედუარდ ჩერევაშკო, რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი ენოკ კორნელი, გაზეთ „საბჭოთა ესტონეთის“ პროპაგანდის განყოფილების უფროსი ვიაჩესლავ ივანოვი და ფილოსოფიის მეცნიერებებათა კანდიდატები: ევგენი გოლიკოვი და ედგარ სავისაარი[246]. ივნისის შუა რიცხვებში ესტონეთის სახალხო ფრონტმა შეადგინა დაახლოებით 40,000 ადამიანი[247, 142]. 1988 წლის ივლისში, ლადოგის ტბის სამხრეთ სანაპიროზე სოფელ ჩორნოეს მახლობლად, ჩატარდა მორიგი რეგულარული ეკონომიკური სემინარი, რომელსაც ესწრებოდა ოცდახუთი ადა-

მიანი. ამ სემინარზე ბორის ლევინმა გააკეთა მოხსენება, რომლის მთავარი არსი იყო ის, რომ საბჭოთა კავშირი იმყოფებოდა დაშლის პირას[248, 181].

ამრიგად გორბაჩოვის გუნდის მცდელობა, საბჭოთა კავშირში მოეხდინა თვისებრივი პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური ცვლილებები და იმპერია დაღუპვისაგან გადაერჩინა საფუძველშივე კრახისათვის იყო განწირული. მ. გორბაჩოვი არ იყო დენ სიაო პინი და არც მისი გუნდის წევრები იყვნენ ის პიროვნებები რომელთაც შეძლებოდათ რეფორმების გზით დედამიწის 1/6-ის ნაწილზე გადაჭიმული ქვეყნის მოსახლეობის სოციალურ- ეკონომიკური და პოლიტიკური მდგომარეობის ძირეული, თვისებრივი და ხარისხობრივი შეცვლა.

მიხეილ გორბაჩოვმა ხელისუფლებაში მოსვლისთანავე დაიწყო ცენტრალურ კომიტეტის პოლიტბიუროში ძალთა ბალანსის შეცვლა. გორბაჩოვის ყველა მოწინააღმდეგე: რომანოვი, ტიხონოვი, შერბიცკი, გრიშინი, კუნაევი, ალიევი გაათავისუფლეს პოლიტბიუროდან, ხოლო მათ მაგივრად მოვიდნენ ისინი ვინც აქტიურად მონაწილეობდა მის გენერალურ მდივნად არჩევაში: ლიგაჩოვი, რიჟკოვი, ჩებრიკოვი.

კომუნისტთა ახალი გენერალური მდივანი შეეცადა დაეთბო ურთიერთობები აშშ-თან და დასავლეთთან, ეს იყო ერთადერთი გზა საბჭოთა კავშირის სრული კრახისგან გადასარჩენად, რადგან შეიარაღებაში შეჯიბრებითობა და სხვა პრობლემები საბჭოთა კავშირს ეკონომიკური განადგურებით ემუქრებოდა. როგორც ზემოდ აღვნიშნეთ მ. გორბაჩოვი შეხვდა რეიგანს. მათ მოახერხეს შეთანხმება საშუალო და ახლო მანძილის რაკეტების წარმოების შეჩერებისა და უკვე არსებული რაკეტების არგამოყენების თაობაზე. რ. რეიგანმა განაცხადა, რომ ის აღარ თვლიდა საბჭოთა კავშირს „ბოროტების იმპერიად“.

მ. გორბაჩოვმა ფაქტობრივად გაანადგურა ის სამხედროები, რომლებიც მისი აზრით ეწინააღმდეგებოდნენ ხელშეკრულებას მცირე და საშუალო სიშორის რაკეტების ლიკვიდაციის შესახებ.

რის შედეგადაც განმეორდა ის, რაც მოხდა 1941 წლის მაისში, როდესაც მოსკოვში ტუშინოში დაუბრკოლებლივ იფრინა რა 1200 კმ. დაფრინდა გერმანული თვითმფრინავი „იუნკერს-52“. რის გამოც სტალინმა სამხედრო-საჰაერო ძალებში გაატარა რეპრესიები(ან კი არ უნდა გაეტარებინა?!).

1987 წლის 28 მაისს წითელ მოედანზე დაეშვა სპორტული თვითმფრინავი „CESSANA-172 SKYHAWKS", რომლის შტურვალთან იჯდა გერმანელი მოყვარული სპორტსმენი 18 წლის მათიას რუშთი. მ. გორბაჩოვმა რომელიც იმ დღეს დაბრუნდა რუმინეთიდან აეროპორტშივე ჩაატარა პოლიტბიუროს სხდომა, რომელზეც გაათავისუფლა თავდაცვის მინისტრობიდან სოკოლოვი და დანიშნა მარშალი იაზოვი. დასაჯეს სხვა პასუხისმგებელი სამხედრო პირები. საკვირველი ის იყო, რომ არავის არ გახსენებია 1983 წლის ის საერთაშორისო ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც აკრძალული იყო სამოქალაქო-სამგზავრო თვითმფრინავების ჩამოგდება. მისი მიღება განპირობებული იყო 1983 წელს საბჭოთა კავშირის მიერ სამხრეთ კორეული სამგზავრო „ბოინგის“ ჩამოგდებით.

არავის არ გაუმახვილებია იმაზე ყურადღება, რომ მას შემდეგ რაც მ. რუშთმა გადმოლახა საზღვარი 3 სთ-სა და 20 წთ-ის მანძილზე თვითმფრინავი გაქრა რადიოლოკატორებიდან და რატომ დაფრინდა სავსე ავზით წითელ მოედანზე. და რომ მდინარე მოსკოვზე გამავალი ტროლეიბუსის ხაზი გადაჭრილი იყო, ხოლო დაფრენას წითელ მოედანზე ელოდებოდა პროფესიონალი ტელეოპერატორები სათანადო ტექნიკით.

მოსკოვის ოლქის საჰაერო თავცვის ოპერატიული მორიგის გენერალ-მაიორ ვლადიმერ რეზნიჩენკოს მტკიცებით იმ დროს, როდესაც გერმანული თვითმფრინავი მოფრინავდა, მან მოულოდნელად მიიღო თავდაცვის საჰაერო საჰაერო ძალების სარდლის ბრძანება, რომ გათიშულიყო თავდაცვის ავტომატიზებული სისტემა პროფილაქტიკური სამუშაოების ჩასატარებლად.

1986 წელს გორბაჩოვის რეჟიმს კიდევ ერთი დარტყმა მი-

აყენა კატასტროფამ ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურზე. ცხადი ხდებოდა, რომ საბჭოთა კავშირი, ეს მოცულობითი და დაკუნთული სტრუქტურა, რომელიც შეიარაღებული იყო მსოფლიოში ყველაზე საშიში ტექნოლოგიებით, იწყებდა რყევას. იმავდროულად, საბჭოთა მომხმარებლებს არ უგრძვნიათ გორბაჩოვის რეფორმების დადებითი შედეგები. საბინაო მშენებლობა ისეთივე ცუდი იყო, როგორც არასდროს. მაცივრებიდან და ტელევიზორებიდან დაწყებული გამძლე საქონელი დამთავრებული მანქანებამდე იყო უხარისხო და დეფიციტური. ეკონომიკური ზრდის ტემპი განაგრძობდა კლებას და 1988 წელს ეს ზრდა საერთოდ შეჩერდა.

რეფორმების შედეგები შორს იყო იმისგან, რასაც მ. გორბაჩოვი ელოდა. როგორც კი ცენტრის კონტროლი შესუსტდა, ადგილობრივი საწარმოების ჩინოვნიკებმა და დირექტორებმა გაუგეს რა თავისუფლებას გემოს აიშვეს თავი და პირველი, რაც მათ დაიწყეს, იყო საკუთარი თავის გამდიდრება.

ავღანეთის გაუთავებელი ომი ასევე მძიმე ტვირთი იყო ქვეყნისთვის. საბჭოთა არმიის დამარცხებამ ავღანეთში დომინოს ეფექტი მისცა. 1989 წელს გამოიყვანეს საბჭოთა ჯარები ავღანეთიდან. ამით, ფაქტობრივად, წერტილი დაესვა „ცივ ომს“. ათი წლის შემდეგ ჯარისკაცებს მოუწიათ ბრძოლა კარგად გაწვრთნილ ისლამურ ბოევიკებთან და არა სადღაც ავღანეთის მთებში, არამედ ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე-ტაჯიკეთში, დაღესტანში, ჩეჩნეთში. მიუხედავად წარმატებული ნაბიჯებისა საერთშორისო არენაზე (თუმცა თვითონ რუსეთის მხარე ამას წარმატებად არ აღიქვამდა). როგორც ავღნიშნეთ 1986 წელს გორბაჩოვის პრესტიჟს მძიმე დარტყმა მიაყენა ჩერნობილის კატასტროფამ. სიტყვა „გარდაქმნა“ გორბაჩოვმა თავიდან გამოიყენა გარკვეულ სფეროში პრობლემების გამოსწორების აღსანიშნავად, მაგრამ თანდათან ამ ტერმინის გამოყენება გაახშირა. 1987 წლის ცეკას პლენუმზე უკვე ოფიციალურად შემოვიდა სიტყვა „გარდაქმნა“, როგორც საჭირო ღონისძიება სახელმ-

წიფოებრივი თუ საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში. გორბაჩოვის რიტორიკაში შეიმჩნეოდა წარსულის კრიტიკა.



მიხეილ გორბაჩოვი

მალე პირველად გაჟღერდა ცენტრალური კომიტეტის კრიტიკაც, რომ პარტიამ და მისმა ხელმძღვანელობამ ვერ მოახერხა, შეემჩნია და შეეფასებინა ცვლილებების აუცილებლობა. დაიწყო საუბარი სოციალურ სფეროში არსებულ ნაკლოვანებებზე: საცხოვრებელი პირობების, მედიცინასა და განათლებაში არსებულ პრობლემებზე. თუმცა ამას ენთუზიაზმით არ შეხვედრია პარტიული ნომენკლატურის ნაწილი, რადგანაც მიიჩნიეს, რომ ეს იყო სოციალიზმის ძირითადი კურსიდან გადახვევა. ასეთი რადიკალური რეფორმების გატარება მოითხოვდა დიდი თანხების მობილიზებას და ფასების გაძვირებასაც მთელ რიგ საზოგადოებრივ სფეროებზე.

რევოლუციური ცვლილებების მომხრეებმა გადაწყვიტეს, ემოქმედათ და პარტნომენკლატურის, კონსერვატიული ძალების (სუკი, არმია და პარტაპარატი) წინააღმდეგ რადიკალურ მოქმედებებზე წასულიყვნენ - ხალხი გამოეყენებინათ მათ წინააღმდეგ. გორბაჩოვმა მედიას მოუწოდა, აეღოთ საკუთარ თავზე ოპოზიციის როლი. ფაქტობრივად, გორბაჩოვი, რომელიც გარდაქმნებისა და რეფორმების მომხრე იყო, ხელს უწყობდა ოპოზიციის განვითარებას. ხელოვნურად ქმნიდა ოპოზიციას, რომელმაც მოგვიანებით არა თუ პარტია, არამედ თვითონ რეფორმების ინიციატორიც მოისროლა ხელისუფლებიდან. პოლიტბიუროში ორ დაპირისპირებულ ძალას შორის - რადიკალურ რეფორმისტებსა და პარტნომენკლატურას შორის გორბაჩოვი ლავირების გზას ირჩევდა, თუმცა მისი სიმპათია მაინც რადიკალების მხარეს იყო. უაღრესად რადიკალური გამოდგა „პერესტროიკის“ („გარდაქმნის“) მხარდასაჭერად მოსკოვის პარტკომის ბორის ელცინის კრიტიკული გამოსვლა 1987 წლის ოქტომბრის სხდომაზე. მან გააკრიტიკა როგორც ცკ-ი, ისე გენერალური მდივანიც, რის გამოც ის შერისხეს და გააძევეს პოლიტიკური ოლიმპოდან. ასეთმა კრიტიკულმა გამოსვლამ საზოგადოებაში ელცინს დიდი პოლიტიკური დივიდენდები შესძინა. იგი ქვეყანაში იქცა წინააღმდეგობის სიმბოლოდ[50, 524-527].

მოსკოვში უსასრულოდ განიხილავდნენ ეკონომიკურ პრობლემებს და მხოლოდ ოფიციალური გამოსვლების მოსმენით შეიძლებოდა დასკვნამდე მივსულიყავით, რომ ინდუსტრიის მართვაში რევოლუცია ხდებოდა. თუმცა, პროვინციებში მოგზაურობამ და დირექტორებთან საუბრებმა გორბაჩოვი დაარწმუნა, რომ ბევრი არაფერი იცვლებოდა ისე, როგორც საჭირო იყო. ციმბირსა და საბჭოთა შორეულ აღმოსავლეთში გორბაჩოვმა ჰკითხა რამდენიმე დირექტორს სამთავრობო შეკვეთების შესახებ და თუ როგორ სარგებლობდნენ ისინი თავიანთ პროდუქტებზე თავისუფალი ბაზრით. გაირკვა, რომ სამთავრობო შეკვეთები შეადგენდა წარმოების 90 პროცენტს, თუ არა მეტს. სახალინში მსხვილი

თევზსაჭერი საწარმოს დირექტორმა განაცხადა, რომ მისი ნება რომ იყოს, მთელ წარმოებას სახელმწიფო შეკვეთას გადასცემდა. მისი უფლება, გაყიდოს პროდუქციის 10 პროცენტი ბაზარზე, მისთვის აზრი არ ჰქონდა, რადგან არ არსებობდა ღია ბაზარი იმ საქონლისთვის, რომლის შეძენაც სჭირდებოდა. მას საწვავის და სათადარიგო ნაწილების მოპოვება სათევზაო ფლოტისთვის, მხოლოდ მთავრობის დაკვეთით შეეძლო. ასე რომ, მას მოუწია წარმოების შემცირება 10 პროცენტით,

გაქრა რა ეკონომიკური აღორძინების იმედი მ. გორბაჩოვმა სწრაფად გადაწყვიტა ყურადღება გადაეტანა პოლიტიკურ რეფორმებზე. მან შვიდი ათწლეულის განმავლობაში პირველად დაუშვა სიტყვის თავისუფლება. პრესა, საგანმანათლებლო დაწესებულებები, სამთავრობო უწყებები ვნებიანი საჯარო დისკუსიების ასპარეზად იქცა. კომუნისტურმა პარტიამ მიატოვა ძალაუფლების ოფიციალური მონოპოლია და დაუშვა პარლამენტის სახალხო არჩევნები.

1989 წელს, ყირიმში ჩვეული ყოველწლიური შვებულების შემდეგ მოსკოვში დაბრუნებისას, გორბაჩოვი პრობლემების უპრეცედენტო კომპლექსის წინაშე დადგა. გარე სამყაროსთან ურთიერთობა უმჯობესდებოდა, მაგრამ ეს იყო ერთადერთი ნათელი წერტილი მთლიან ბნელ სურათში. ეკონომიკა განაგრძობდა ნგრევას, რამაც გამოიწვია საქონლის მზარდი დეფიციტი, გრძელი რიგები და სასოწარკვეთილი მყიდველები. ახალი პარლამენტის დეპუტატების მნიშვნელოვანმა ნაწილმა პარტიისა და ხელისუფლების ოპოზიციის კურსი აიღო, ბალტიისპირელმა პოლიტიკოსებმა დაიწყეს ლაპარაკი გამოყოფაზე იმავდროულად ბევრ სხვა რესპუბლიკაში კი საბჭოთა კავშირიდან გასვლის მომხრეები გაძლიერდნენ. აღმოსავლეთ ევროპა რეფორმებს აწარმოებდა და მოსკოვი არ იყო დარწმუნებული, გადარჩებოდა თუ არა ვარშავის პაქტი მომავალ ცვლილებებს. ამ ფონზე, კომუნისტურმა პარტიამ აშკარა შეშფოთების ნიშნები აჩვენა. ფრაქციები, რომლებიც ჯერ კიდევ აკრძალული იყო პარტიის წესდებით იზრდე-

ბოდა პარტიის წამყვანი ჩინოვნიკებით. ეს კი კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებდა გენერალური მდივნის მიერ აღებულ კურსს.

საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ე. შევარდნაძე გაემგზავრა შეერთებულ შტატებში - ვაშინგტონსა და ვაიომინგში შეხვედრებისთვის და გაეროში გამოსასვლელად. როგორც ჩანს, ის არასაკმარისად ოპტიმისტურად იყო განწყობილი, რომ პარტია საბოლოოდ განიხილავდა ამ საკითხს და თვლიდა, რომ სეცესიის კონსტიტუციური უფლება ახლა უნდა განიხილულიყო. ის ფიქრობდა პროცედურის შემუშავებაზე, რომელიც საშუალებას მისცემდა რესპუბლიკას სსრკ-დან ლეგალურად და წესრიგის დარღვევის გარეშე დატოვებაზე, მაგრამ მას არ ეგონა, რომ საქმე ასე შორს წავიდოდა, თუ ხელისუფლება ამ პრობლემას უფრო დელიკატურად მიუდგებოდა. აშშ ელჩი მეტლოკი იგონებს: „შევარდნაძემ დაგვარწმუნა, რომ ძალა არ იქნებოდა გამოყენებული არც აღმოსავლეთ ევროპაში და არც ბალტიისპირეთში. ძალის გამოყენება სადმე, აღნიშნავდა ის, ნიშნავს „პერესტროიკის" დასასრულს და, დიდი ალბათობით, გორბაჩოვის დასასრულს"[250, 140].

1990 წლის საეტაპო არჩევნებში - პირველი თავისუფალი არჩევნები საკავშირო პარლამენტის, ასევე რესპუბლიკური და რეგიონალური პარლამენტების - სუკ-მა რამდენიმე ათას კანდიდატს დაუჭირა მხარი. უმეტეს შემთხვევაში ისინი აირჩიეს. სუკ-ის გენერლის ო. კალუგინის თქმით, სუკ-მა ხელი შეუწყო პირველი არაკომუნისტური პოლიტიკური პარტიის შექმნას. ვლადიმერ ჟირინოვსკის პარტიას, შეუსაბამო სახელით ლიბერალ-დემოკრატიული. ჟირინოვსკის ამოცანა შემდეგში ჩამოყალიბდა. მისი რენომე ასეთი იყო. ბევრი იყვირე, ეროვნული გრძნობების გააღვივე, მაგრამ არავითარი რადიკალური ქმედება. კალუგინი ასევე ამტკიცებდა, რომ ნაციონალისტური ჯგუფი „პამიატი", რომლის ექსტრემისტულმა ლოზუნგებმა 1980-იანი წლების ბოლოს დასავლეთში განგაში გამოიწვია, შეიქმნა სუკ-ის დახმარებით. სუკ-ის ზოგიერთმა ოფიცერმა დაიწყო მნიშვნელოვანი როლის თამაში

დემოკრატიულ მოძრაობაში. მაგალითად, ვლადიმერ პუტინი აღმოჩნდა დემოკრატიული თავისუფლებების ყველაზე გამომხატველი მხარდამჭერის, ანატოლი სობჩაკის მთავარი თანაშემწე.

სუკ-ში შიდა პოლიტიკური არენის მდგომარეობაზე პასუხისმგებელი იყო გენერალი ფილიპ ბობკოვი. ის „პერესტროიკის" დასაწყისისთვის უკვე სამოცი წლის იყო და ხელმძღვანელობდა სუკ-ის მეხუთე სამმართველოს. „მეხუთე სამმართველოს ფუნქცია ძალიან ფართო იყო, იხსენებს გენერალი კალუგინი - „ეს იყო საბჭოთა რეჟიმის პოლიტიკურ სიწმინდეზე დაკვირვება. ეს, უპირველეს ყოვლისა, ნიშნავდა ინტელიგენციის, როგორც მოსახლეობის ყველაზე გავლენიანი ნაწილის კონტროლის ქვეშ ყოფნას. ეს ნიშნავდა ეკლესიის კონტროლის ქვეშ ყოფნას, რადგან ეკლესია იყო მტრული იდეოლოგიის წარმომადგენელი. ეს იყო კონტროლი კულტურაზე, ხელოვნებაზე, მეცნიერებაზე, სპორტზე, განათლებაზე და ასე შემდეგ".

ბობკოვის მეხუთე სამმართველო ასევე ჩართული იყო სოლჟენიცინიდან, სახაროვამდე საბჭოთა დისიდენტების დევნაში. დეპარტამენტმა პოტენციურად საშიშ სამოქალაქო ჯგუფებში გააუმჯობესა ჯაშუშებისა და ინფორმატორების შეგზავნის ხელოვნება. სუკ-ის აგენტები დააყენა წამყვან პოზიციებზე. მაგრამ გორბაჩოვის მოსვლის შემდეგ საბჭოთა მთავრობამ მიატოვა პოლიტიკური მეთვალყურეობა. მალე ბობკოვის სათაო ოფისიდან ადამიანებმა დაიწყეს მზარდი დემოკრატიული გადაბარგება ფულის საკეთებლად, ახალ კერძო საწარმოებში. თავად ბობკოვი დაწინაურდა - ის გახდა სუკ-ის თავმჯდომარის მოადგილე. მეხუთე სამმართველო აგრძელებდა მის იურისდიქციაში ყოფნას, მაგრამ ახლა ის ასევე ხელმძღვანელობდა მეექვსეს. წარსულში ეს განყოფილება ეხებოდა ეკონომიკურ დანაშაულს, ახლა კი ყურადღებით აკვირდებოდა ახალ კოოპერატივებს.

1990 წელს, პოლკოვნიკმა ვესელოვსკიმ სუკ-ის პირველი მთავარი სამმართველოდან მოამზადა საიდუმლო ჩანაწერი ცნობილი პარტიის ფუნქციონერის, კომუნისტური პარტიის ქონებაზე

პასუხისმგებელი პირის ნიკოლაი კრუჩინას სახელზე, რომელშიც მან გამოკვეთა ახალი სტრატეგია. სუკ-ის დოკუმენტი სთავაზობდა სკკპ-ს ბანკებისა და სავაჭრო კომპანიების ქსელის შექმნას რუსეთში და მის ფარგლებს გარეთ, მილიარდობით დოლარის სახელმწიფო სახსრების გადარიცხვას უცხოეთში „გადაუდებელი პერიოდისთვის“. იქ კომუნისტური ნომენკლატურისთვის უფრო ხელსაყრელი პერიოდის დადგომამდე.

„პარტიის სალაროში შემოსავლის სახით მიღებული და ფინანსურ დოკუმენტაციაში არ ასახული თანხები შეიძლება გამოყენებული ყოფილიყო ცალკეული კომპანიების, საწარმოების, ბანკების ფონდების ანონიმური წილების შესაძენად. რაც, ერთის მხრივ, მიუხედავად. პარტიის შემდგომი პოზიციისა უზრუნველყოფდა სტაბილურ შემოსავალს, და, მეორე მხრივ, ეს აქციები შეიძლება პარტიის მონაწილეობის დეპერსონალიზაციის მიზნით, მასზე კონტროლის შენარჩუნებით, ნებისმიერ დროს შეიძლება გაყიდულიყო საფონდო ბირჟებზე. სხვადასხვა სფეროებში კაპიტალის განთავსებით. ვესელოვსკის მიერ მომზადებულ შენიშვნაში ასევე ნათქვამი იყო - „საგანგებო პერიოდში ასეთი ოპერაციების დროს შესაძლო ჩარევის თავიდან ასაცილებლად აუცილებელია, როგორც სსრკ-ს ტერიტორიაზე, ისე მის საზღვრებს გარეთ, შექმნილიყო სიტუაციის ცვლილებათა შესაბამისად სუკ-ის არსებული რეზერვებისაგან მოქმედი სწრაფი რეაგირების სპეციალური ჯგუფები. დაკომპლექტებულნი ნებაყოფლობითი თანამშრომლობის საფუძველზე სანდო პირებისგან შემდგარი პროფესიონალურად მომზადებული ინსტრუქტორებით. ასევე სუკ-ის იმ ყოფილი თანამშრომლებისაგან, რომლებიც ამა თუ იმ მიზეზით დათხოვნილი იყვნენ ამ ორგანოსაგან“.

ეს სტრატეგია განხორციელდა. მმართველმა კომუნისტურმა პარტიამ მიიღო გადაწყვეტილება: რადგან „შავი ბაზარი“ ძალიან მკაცრია თავისი წესებით, აუცილებელია მასში გაწევრიანება და დაცვა. ახალი მეწარმეები, რომლებიც ცენტრალურმა კომიტეტმა და სუკ-მა აირჩიეს კომუნისტური „შავი ნაღდი ფულის“

მცველების როლისთვის, შედგებოდნენ საიდუმლო აგენტებისგან და ბიზნესმენებისგან. არაყისაგან წამოსული ბანდიტებისაგან და კოოპერატივებისგან.

გენერალ კალუგინის მონათხრობით: „სცენის დატოვების შემდე სუკ-ი გაქრა, მაგრამ მან დატოვა ბლოკები, ფინანსური და პოლიტიკური კლანები - არ დაგავიწყდეთ, რომ პარტიას საკმაო ქონება და უზარმაზარი ქონება შეუნარჩუნდა. თავად სუკ-ს ფული არ ჰქონდა - მაგრამ არიგებდა. პრივატიზაციის დაწყებისთანავე ეს ფონდები გაქრა. იურიდიული თვალსაზრისით ისინი ხელისუფლებამ არდა ვერ ჩაყლაპა. ვინაიდან ეს ფული არა ხელისუფლებას, არამედ პარტიას ეკუთვნოდა. ბოლოს ის ფული შავ ბაზარზე აღმოჩნდა“.

დიდი თანხები, რომლებიც სუკ-ის მეშვეობით ნაწილდებოდა, უცხოურ ბანკებში ირიცხებოდა. თავად გენერალი კალუგინი, რომელიც ხელმძღვანელობდა კონტრდაზვერვას დეპარტამენტს, ჩაბმული იყო ამ თანხების გადარიცხვაში. 1978 წელს პირველმა სუკ-ის მთავარმა სამმართველომ გახსნა ეკონომიკური ჯაშუშობის სააგენტო, ე.წ. მერვე სამმართველო, რომელიც ახორციელებდა ოპერაციებს უცხოურ ბანკებთან. იმავე კალუგინის თქმით: „ჩვენ შემოვიყვანეთ ჩვენი ხალხი, სუკ-ის ხალხი, სპეციალისტები ჩვენს ბანკებში. მაგალითად, სინგაპურსა და ლონდონში“. ამის საფუძველზე ჩვენ შევძელით ოქროს ბაზრებზე ფასებით მანიპულირება“. (სსრკ, მეორე უდიდესი ოქროს მწარმოებელი იყო მსოფლიოში, ამიტომ მას შეიძლება გავლენა ჰქონდა მსოფლიო ოქროს ფასზე).

დასავლურმა სადაზვერვო სამსახურებმა იცოდნენ, რომ სუკ-მა დაიწყო ფულის გათეთრების პროგრამა, მაგრამ მათ გადაწყვიტეს არ ჩარეულიყვნენ მაშინაც კი, როდესაც გაირკვა, რომ ამ ფულს უმეტესი ნაწილი ხვდებოდა აგენტების, არაკეთილსინდისიერი ბიზნესმენების და უბრალოდ განგსტერების ხელში. 1992 წელს ცსს-მ მიიღო რუსეთის მთავრობისგან ირიბი ოთხოვნა, დახმარებოდა დაკარგული მილიარდების პოვნაში.

აშშ-მ უარი თქვა ამ წინადადებაზე საკუთარი ჯაშუშური ქსელის გამოვლენის შიშით.

რა თქმა უნდა, შეუძლებელი იყო ასეთი მასშტაბური ფინანსური ოპერაციების სრული გასაიდუმლოება. 1991 წლის თებერვალში (გორბაჩოვის მმართველობის ბოლო წელი) გაზეთებში კურიოზული ამბავი გამოჩნდა. ბორის ელცინის რუსეთის ახალ მთავრობაში საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე გენადი ფილშინი, სავარაუდოდ მუშაობდა 150 მილიარდი რუბლის სანაცვლოდ 7,5 მილიარდი დოლარის შეძენის გარიგებაზე. მასში პარტნიორი იყო უცნობი ბრიტანული კომპანია „Dove Trading International". მას ხელმძღვანელობდა სამხრეთ აფრიკაში გადაბარგებული ინგლისელი. გარიგების პირობების თანახმად „Dove Trading" მიყიდდა 7,5 მილიარდ დოლარს რუსეთის მთავრობას, ხოლო შემოსავალი გამოიყენებოდა რუსული საქონლის შესაძენად და საექსპორტო საწარმოებისთვის. დარჩებოდა თუ არა რუსეთის მთავრობის მიერ მიღებული დოლარი ოფშორში თუ გადაირიცხებოდა რუსეთში, გაურკვეველი იყო. კიდევ ერთი რამ გაურკვეველი იყო, საიდან შეეძლო ამდენი დოლარის მოპოვება ისეთი უმნიშვნელო კომპანიას, როგორიც იყო „Dove Trading"? მოგვიანებით, ევროპულმა სამართალდამცავმა უწყებებმა წამოაყენეს ვერსია, რომ ბრიტანული ფირმა შესაძლოა მოქმედებდა კოლუმბიური ნარკოკარტელის ინტერესებიდან გამომდინარე. სანამ გარიგება დაიდებოდა, მანამ ამის შესახებ ინფორმაციამ პრესაში გაჟონა. რუსეთის პარლამენტმა დაიწყო ამის გარკვევა და გარიგება ჩაიშალა. თავად გ. ფილშინი იძულებული გახდა გადამდგარიყო, ხოლო გამოძიება შეწყდა.

მსგავსი ოპერაცია ჩატარდა 1990 წლის ნოემბერში ბრიტანეთის კუნძულ ჯერსის ოფშორულ ზონაში, საბჭოთა ცენტრალურ ბანკსა და პარიზის ფინანსურ სტრუქტურას შორის, რომელსაც ხშირად იყენებდა სუკ-ი. ამ კომპანიას ერქვა „Financial Management Co ანუ „Fimaco". 90-იანი წლების ხუთი წლის განმავლობაში, „Fimaco" ფარულად ახორციელებდა ოპერაციებს რუ-

სეთის ცენტრალური ბანკის უზარმაზარი თანხებით. (იმდროინდელი გენერალური პროკურორის სკურატოვის შეფასებით - 50 მილიარდი დოლარი), ხოლო მოგება - ასობით მილიონი, თუ არა მილიარდი დოლარი - ოფშორულ ზონაში დაილექა. არ არსებობს არანაირი მტკიცებულება, რომ ეს მოგება დაბრუნდა რუსეთში. ისინი დარიგდა კერძო ბანკებში, საკონსულტაციო ფირმებში, არაკომერციულ ფონდებში.

ცენტრალური კომიტეტისა და სუკ-ის მიერ საზღვარგარეთ დამალული უზარმაზარი სახსრები იშვიათად იგზავნებოდა ჩვეულებრივი საბანკო გადარიცხვებით. ისინი ჯერ უნდა გათეთრებულიყო. ოფშორულ ზონაში დიდი თანხის გადაცემის დამალვის ყველაზე მარტივი გზა იყო ფიქტიური კონტრაქტის გაფორმება უცხოურ ფირმასთან. გორბაჩოვის ეპოქის ბოლოს საბჭოთა საგარეო სავაჭრო ოპერაციებმა უკიდურესად არაშაბლონური ხასიათი მიიღო.

საეჭვო შუამავლების მეშვეობით საგარეო ვაჭრობის განხორციელების მზარდი ტენდენცია განასახიერა მარკ რიჩმა. იგი 1983 წელს გაიქცა შეერთებულ შტატებიდან - მას ბრალი დასდეს დანაშაულებრივ შეთქმულებაში, თაღლითობაში, გადასახადებისგან თავის არიდებაში და მტერთან (ირანთან) ვაჭრობაში. ეს ორმოცდაათი წლის მილიარდერი ცხოვრობდა შვეიცარიაში, სადაც მან მოიწყო მსხვილი საერთაშორისო დილერის მდიდრული ცხოვრება. აშშ-მ მოითხოვა მისი ექსტრადაცია. მიუხედავად იმისა, რომ შვეიცარიამ უარი თქვა მის ექსტრადირებაზე, შეერთებულმა შტატებმა მაინც გააფორმა ექსტრადიციის შეთანხმებები ევროპის თითქმის ყველა სხვა ქვეყანასთან.

მარკ რიჩი იყო ერთ-ერთი იმ ბიზნესმენთაგანი, ვინც სხვისი უბედურებით სარგებლობდა. 1990 წელს ის რთულ მდგომარეობაში აღმოჩნდა. ლითონის ფასი დაეცა. მისი ორი მთავარი ნავთობის სავაჭრო პარტნიორი, ერაყი და ქუვეითი, გამოვიდნენ საერთაშორისო სავაჭრო სისტემიდან. ბაზრები, სადაც ის თავს დაცულად გრძნობდა, მძიმე პერიოდებს განიცდიდა.

ასე რომ, ტრადიციული წყაროები თითქმის დაშრა და რიჩმა ფულის შოვნის ახალი გზა იპოვა. მან მოატყუა არაკომპეტენტური საბჭოთა ჩინოვნიკები. მთელ ყოფილი საბჭოთა კავშირი დუღდა, რაც იმით გამოიხატა, რომ ნავთობისა და ლითონის გაყიდვიდან მიღებული მოგება მსოფლიოს სხვა ქვეყნებში გაორმაგდა, ხშირად კი გასამმაგდდა. სწორედ საბჭოთა ბიზნესში გაამრავლა რიჩმა თავისი ქონება და მსოფლიო გაყიდვები 30 მილიარდ დოლარამდე აიყვანა.

მიუხედავად იმისა, რომ რიჩს საკმაოდ მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა სკკპ-ს ბევრ ლიდერთან, მისი როლი სუკ-ის ფულის გათეთრების პროგრამაში გაურკვეველია. მან თავისი წვლილი შეიტანა სსრკ-დან კაპიტალის გატანაში. სარგებლობდნენ რა მისი გამოცდილებით, სუკი-ს ყოფილი ოფიცრები შუამავლობისთვის მილიონებს „ტეხდნენ“

იმავდროულად მ. გორბაჩოვს ქვეყნის შიგნით ხელიდან გაეცა მართვის სათავეები. იგი საგარეო არენაზე ყოველთვის დათმომებზე მიდოდა. რამაც გამოიწვია აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში პროცესების არაორდინალური განვითარება. მიუხედავად ინგლისის პრემიერ მ. ტეტჩერის და საფრანგეთის პრეზიდენტ ფ. მიტერანის დიდი წინააღმდეგობისა, მ. გორბაჩოვმა რ. რეიგანთან ერთად, უდიდესი როლი ითამაშა გერმანიის გაერთიანების საქმეში.

დაიწყო პარტიის წევრთა მიერ კომპარტიის რიგების ნებაყოფლობითი დატოვება. 1988 წელს 18 ათასმა წევრმა დატოვა პარტია, ხოლო მომდევნო წელს - 136 ათასმა. გამოვიდა ახალი არაპარტიული გაზეთები. ქვეყანაში დაიწყო ნაციონალური კონფლიქტები. სკკ პარტიის მომავალი ბედის განსაზღვრისთვის გადამწყვეტი როლი ითამაშა ცენტრალუტი კომიტეტის 1990 წლის თებერვლის პლენუმმა. მ. გორბაჩოვი არჩეული იქნა საბჭოთა კავშირის პრეზიდენტად. 1990 წლის პარტიის 28-ე ყრილობის შემდეგ დაიწყო პარტიის რღვევის შეუქცევადი პროცესი. რამდენიმე თვეში პარტიის რიგები დატოვა მილიონ რვაასი ათასმა

წევრმა. ყველგან ხმამაღლა ისმოდა ანტიკომუნისტური მოწოდებები. 1990 წლის შემოდგომაზე კრიზისმა პიკს მიაღწია. ქვეყანაში დაბრუნდა ე. წ. ტალონების სისტემა, პურის რიგები, დეფიციტი პირველადი მოხმარების საგნებზე. ბ. ელცინმა მოითხოვა გორბაჩოვის გადადგომა და მოუწოდა დემოკრატიულ ძალებს მთავრობის წინააღმდეგ შეუპოვარი ბრძოლისაკენ.

საბჭოთა კავშირში შემავალმა მოკავშირე რესპუბლიკებმა დაიწყეს ბრძოლა დამოუკიდებლობისთვის. 1988 წლის 16 ნოემბერს ესტონეთმა მიიღო „სუვერენიტეტის შესახებ დეკლარაცია". ათი დღის შემდეგ გორბაჩოვმა ხელი მოაწერა ბრძანებულებას „ესტონეთის სსრ კანონის შეუსაბამობისა და ესტონეთის სსრ კონსტიტუციაში დამატებებისა და შესწორებების შესახებ და ესტონეთის სსრ დეკლარაციის სუვერენიტეტის შესახებ შეუსაბამობისა სსრკ კანონებთან". ბრძანებულება მომზადებული იყო ბენიამინ იაკოვლევის მიერ. ესტონური დეკლარაცია, ეს იყო საბჭოთა კავშირის ნგრევის დასაწყისი.

1990 წლის 9 მარტს საქართველომ უმაღლესმა საბჭომ მიიღო დადგენილება „საქართველოს სუვერენიტეტის დაცვის გარანტიების შესახებ";

1989 წლის 18 მაისს მიღებულ იქნა ლიტვის დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ. სადაც მკვეთრად იქნა გაკრიტიკებული საბჭოთა კავშირ-გერმანიას შორის 1939 წელს დადებული პაქტი;

1990 წლის 12 ივნისს რსფსრ სახალხო დეპუტატთა ყრილობამ მიიღო „დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ";

1990 წლის 20 ივნისს უზბეკეთმა მიიღო დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ.

1990 წლის 23 ივნისს მოლდოვას უმაღლესმა საბჭომ დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ;

1990 წლის 16 ივლისს უკრაინამ სუვერენიტეტის შესახებ;

1990 წლის 27 ივლისს ბელარუსმა;

1989 წლის 28 ივლისს დეკლარაცია სუვერენიტეტის შესახებ მიიღო ლატვიამ;

1990წლის 22 აგვისტოს თურქმენეთმა;

1990 წლის 23 აგვისტოს სომხეთმა;

1990 წლის 24 აგვისტოს ტაჯიკეთმა;

1989 წლის 23 სექტემბერს აზერბაიჯანმა გამოაცხადა სუვერენიტეტი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში;

1990 წლის 25 ოქტომბერს ყაზახეთმა გამოაცხადა სუვერენიტეტი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში;

1990 წლის 15 დეკემბერს ყირგიზეთმა გამოაცხადა სუვერენიტეტი საბჭოთა კავშირის შემადგენლობაში;

ამრიგად, 1990 წლის ბოლომდე სსრკ ყველა მოკავშირე რესპუბლიკამ მიიღო დეკლარაციები სუვერენიტეტის შესახებ. ბევრი მათგანი აშკარად ეწინააღმდეგებოდა საბჭოთა კავშირის არსებობას და მის კანონებს. მ. გორბაჩოვი და მისი თანამოაზრეები ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდნენ ამ პროცესს სხვადასხვა ბრძანებულებებისა და კანონების მიღებით, მაგრამ კართაგენის ნგრევა უკვე დაწყებული იყო და მას ვეღარაფერი შეაჩერებდა. ამ პროცესმა ძალიან შეაშფოთა დასავლეთი და ისინი ერთ ხმაში აცხადებდნენ, რომ არ მიიღებდნენ სსრკ დაშლას და მხარს არ დაუჭერდნენ სეპარატიზმს.

მოვლენების ასეთი განვითარება დასავლეთისათვის მოულოდნელი და მიუღებელი იყო. 1991 წელს კიევში ვიზიტის დროს პრეზიდენტმა ბუშმა გააფრთხილა უკრაინელები დამოუკიდებლობისკენ სწრაფვისგან თავი შეეკავებინათ! შეერთებულ შტატებში ჩამოყალიბდა ტრადიცია, რომ მხარი არ დაეჭირათ სსრკ-ს არარუს ხალხებში სეპარატიზმისათვის ანარქიის, სამოქალაქო ომისა და იმის გამო, რომ ბირთვული იარაღი შეიძლება აღმოჩენილიყო არასაიმედოთა ხელში. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ბუშის(მამა) კიევური სიტყვა, რომელიც ისტორიაში შესულია „კიევური კოტლეტის" სახელწოდებით. სადაც მან მოუწოდა უკრაინას ხელი მოეწერა ახალი სამოკავშირეო ხელშეკრულებისათვის. ასეთივე პოზიციით გამოირჩეოდნენ საფრანგეთის პრეზიდენტი ფ. მიტერანი და გფრ-ს კანცლერი ჰ. კოლი.

მ. გორბაჩოვი სავსებით არაადეკვატური იყო მიმდინარე მოვლენების მიმართ. საბჭოთა კავშირის ყოფილი ჯანდაცვის მინისტრი ე. ჩაზოვი იგონებს: „1991 წლის აგვისტოს დასაწყისში, მე ვისვენებდი ყირიმში. 4 აგვისტოს შევთანხმდით, რომ შევხვედროდი საღამოს ჩემს მეგობარს, ყირიმის საოლქო კომიტეტის პირველ მდივან ნ. ბაგროვს. მან ცოტა მოგვიანებით დამირეკა და მითხრა, რომ გორბაჩოვის ჩამოსვლის გამო იგვიანებდა. მასპინძელი მხოლოდ გვიან საღამოს გამოჩნდა. მიზეზი მალე გაირკვა. როგორც ყოველთვის, როდესაც საბჭოთა კავშირის ლიდერები ყირიმში ჩადიოდნენ სიმფეროპოლში მათ ხვდებოდნენ არა მხოლოდ ყირიმის, არამედ უკრაინის ხელმძღვანელობაც. დახვედრის დროს მ. გორბაჩოვს ჩვეული პათოსით დაუწყია საუბარი ახალი საკავშირო ხელშეკრულების შექმნისა და მისი ხელმოწერის შესახებ. უკრაინის ცკ-ს პირველი მდივანი ლ. კრავჩუკი ცდილობდა არ შეწინააღმდეგებოდა, თუმცა საუბარში უკრაინის პირველ პირს გორბაჩოვისათვის ზოგიერთი შენიშვნაც მიუცია. ამის საპასუხოდ მ. გორბაჩოვს მისთვის საკმაოდ მკაცრი ფორმით უთქვია: „რაც არ უნდა ითქვას, სად წავა უკრაინა, მას მაინც მოუწევს ხელშეკრულებაზე ხელმოწერა. ეს, როგორ არ ესმის მიხაილ სერგეიევიჩის, - განაგრძო ნ. ბაგროვმა - რომ რესპუბლიკებთან ასე ლაპარაკი არ შეიძლება?"[138].

მ. გორბაჩოვის მიერ დაწყებული „პერესტროიკის" დევალვაციაზე მიუთითებდა ჩერნობილის კატასტროფა. აი როგორ აღწერს ჩერნობილის ტრაგედიას ბელორუსიის მომავალი ცკ-ს პირველი მდივანი ს. შუშკევიჩი: „ბელორუსიის უნივერსიტეტის ფიზიკის ლაბორატორიაში პრაქტიკულზე სტუდენტებთან ერთად ვმუშაობდით. ერთმა სტუდენტმა მიმართა ახალგაზრდა პრაქტიკულის ლექტორს, რომ ხელსაწყოები უჩვენებდნენ რადიოაქტიური ფონის არანორმალურ მატებას. პედაგოგმა არ დაუჯერა სტუდენტს და უთხრა:

- თქვენ ცდებით ახალგაზრდავ, ეს არანაირად არ შეიძლება იყოს. სტუდენტმა ისევ გადამოწმა და ისევ ის გამაოგნებელი

შედეგი. მაშინ მან მიმართა მასწავლებელს, მობრძანდით და თავად ნახეთ. მივიდა პედაგოგი, მიიტანა სხვა ხელსაწყოები. ნახა კატასტროფულად მომატებული რადიოაქტიურობა. ჩავრთეთ ყველა ხელსაწყო და ვნახეთ, რომ იოდუმ-131 და ცეზიუმი-137 მომატებულია არანორმალურად. მივხვდით, რომ სადღაც რეაქტორზე მოხდა ავარია. გავთვალეთ და ეს უნდა ყოფილიყო ჩერნობილში. ანუ მის გამოცხადებამდე ჩვენ უკვე ვიცოდით, რომ ეს უნდა მომხდარიყო ჩერნობილში, მაგრამ ვერ წარმოვიდგენდით ამ მასშტაბების თუ იქნებოდა“[199, 130]. ხელისუფლება და პარტია დუმდა. საპირველმაისო დემონსტრაციაზე, როგორც ადრე იგივე რაოდენობით გამოიყვანეს ბავშვები და მოზარდები. საქმე შემდეგში იყო ბავშვებს ფარდამცველი რკინა ათჯერ ნაკლები აქვთ ვიდრე დიდებს. ამიტომაც საშიში იყო მათში მომავალში კიბოს დაავადებათა გავრცელება. რაც კიდევაც დაადასტურმა შემდეგში განვითარებულმა პროცესებმა.

ჩერნობილის ავარიაში დაადანაშაულეს აკადემიკოსები: ალექსანდროვი და ვ. ლეგასოვი. სწორედ მათზე გადატყდა ჯოხი. მათგან ლეგასოვი ჩერნობილის აფეთქებიდან ორი წლის თავზე ჩამომხრჩვალი ნახეს საკუთარ კაბინეტში. მან დატოვა აუდიოჩანაწერი, რომლითაც მრავალ საიდუმლოს აეხადა ფარდა.

1989 წელს მსოფლიომ ბერლინის კედლის ტკაცანის შესახებ შეიტყო, რაც განაპირობებდა აღმოსავლეთის ბლოკის საბოლოო დაშლას. იმავდროულად ეს მოვლენა გულისხმობდა ამერიკელთა გამარჯვებას „ცივ ომში“, რომელიც დასრულდა მსოფლიო ახალი წესრიგით. თავის მხრივ ის ემყარებოდა სამ ელემენტს: 1. პოლიტიკურს, რაც გამოხატული იყო აშშ ცალმხრივი ჰეგემონიით, 2. ეკონომიკურს, გლობალიზებული ბაზრის შექმნით და 3. კომუნიკაციას, რომლის საფუძველი იყო მასობრივი ინფორმაციის საშუალებები.

მეორე და მესამე ელემენტები უზრუნველყოფდნენ პირველის შენარჩუნებას და უზრუნველყოფდნენ ფორმირებად იმპერიას ომის დაწყების შემთხვევში არსებული ხარჯების გადასაჭრელად.

დემოკრატებს უკვე სურდათ გენერალური მდივნის მ. გორ-

ბაჩოვის გადადგომა, რადგან იგი ძალიან ნელა ასრულებდა პოლიტიკური რეფორმების განხორციელებას. ძველი მართვის მომხრეებიც მოითხოვდნენ პრეზიდენტ გორბაჩოვის წასვლას, რადგან მან დაუშვა დემოკრატია და საჯაროობა. ამრიგად გენერალურ მდივანს მის მიერვე გატარებული უსისტემო, აჩქარებული და უაზრო რეფორმების შედეგად საკუთარი პარტია ჩაუდგა ოპოზიციაში.

დიდი ხნის განმავლობაში მ. გორბაჩოვი ეწინააღმდეგებოდა რსფსრ კომუნისტური პარტიის შექმნას. ის აცნობიერებდა, რომ პირველ რიგში, მისი გამოჩენა საფრთხეს შეუქმნიდა სკკპ ერთიანობას, მეორეც, ახალ პარტიაში ტონს წაიყვანდნენ რეაქციონერები, რომლებიც გარკვეულ მომენტამდე თავს იკავებდნენ, მხოლოდ და მხოლოდ გენერალური მდივნის უფლებამოსილების შიშით. მათ პარტია სჭირდებოდათ მხოლოდ გორბაჩოვთან და ელცინთან საბრძოლველად.

1990 წლის 1 მაისს, ლენინგრადში, სასახლის მოედანზე გამართულ დემონსტრაციაზე, გავრცელდა ბროშურა პეტერბურგის დამოუკიდებელი ჟურნალისტთა პროფესიული კავშირის სახელით და ერქვა „გდლიანი ადანაშაულებს“. მასში ეწერა: „1990 წლის 9 იანვარს ტ. გდლიანმა, ტუშინსკის ოლქის ამომრჩევლებთან საუბრისას გააკეთა განცხადება: „როდესაც მ. გორბაჩოვი იყო პარტიის სტავროპოლის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი მან ფული აიღო ვაჭრობის მუშაკებისგან .... ეს მასალები, როგორც სიგნალები, ჯერ არ არის გადამოწმებული... მზად ვარ წარვსდგე ნებისმიერი სასამართლოს წინაშე და დავამტკიცო, რომ ეს ქმედებები შეიცავს დანაშაულს“. ტ. კორიაგინას მოწმობით - „22 თებერვალს ... გდლიანის საქმის გამომძიებელი საპარლამენტო კომისიის სხდომაზე დეპუტატებმა როი მედვედევმა და იარინმა გააკეთეს განცხადება, რომ გდლიანის საქმეში არის ოთხი ჩვენება გორბაჩოვის წინააღმდეგ და ერთი პირდაპირი ჩვენება კი მისი მეუღლის რაისა მაქსიმეს ასულის წინააღმდეგ“[261, 6].

ისმის კითხვა: როგორი რეაქცია ჰქონდა ამ ფაქტზე მ, გორბაჩოვს? 3 მარტს პოლიტბიუროს სხდომაზემ ის თავს დაესხა სსრკ გენერალურ პროკურორს ა. სუხარევს, სსრკ შინაგან საქმეთა მინისტრ ვ. ბაკატინს, „განაწყენდა კრიუჩკოვზეც“. დაადანაშაულა ისინი, სახელმწიფოს უზენაესი ძალაუფლების“ არა მხოლოდ „შეურაცხყოფასა“ და „შეურაცხყოფის“ დაშვებაში, არამედ მის მიმართ „ცილისწამებაშიც“. „და ვინ აკეთებს ამას, - აღშფოთდა გენერალური მდივანი - დამნაშავეები, რომლებმაც მრავალშვილიანი დედები დააპატიმრეს, გამოძალვით იყვნენ დაკავებულნი და 37-ე წელი მოაწყვეს უზბეკეთში“[262, 845].

პრეზიდენტის თანაშემწემ ანატოლი ჩერნიაევმა თავის დღიურში ჩაწერა გორბაჩოვის სიტყვები: „ისევ და ისევ გავიმეორებ, თუ რუსეთი დაიწყებს წამოდგომას, მაშინ ის დაიწყება, რაც დაიწყება? რკინისებური წინააღდეგობები რსფსრ კომპარტიის შექმნის და რსფსრ-ზე საკავშირო რესპუბლიკის სრული სტატუსის მინიჭების თაობაზე, ეს კი იქნება იმპერიის დასასრული“. გენერალური შტაბის ყოფილი უფროსი და პრეზიდენტის მრჩეველი მარშალი სერგეი ახრომეევი ამბობდა: „თუ იარსებებს რუსეთის კომუნისტური პარტია იგივე ფუნქციებით, რაც ყველა რესპუბლიკას აქვს, მაშინ მკვეთრად გაიზრდება საფრთხე, რომ ჩვენი პარტია გახდება ფედერალური და სახელმწიფო გახდება კონფედერაცია. და ეს საფრთხე ნათლად უნდა ვუთხრათ ხალხს“.

ვითარება საბჭოთა კავშირში უარესად დაძაბული იყო. „მე მიმიწვიეს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ერთ – ერთ ბოლო პლენუმზე - იხსენებს ფრონტელი მწერალი დანიელ გრანინი - აივანზე ვიჯექი გენერლების ჯგუფთან. ისინი საშინლად იქცეოდნენ. მათ გორბაჩოვი დაადანაშაულეს პრესისა და რადიოსათვის ძალიან დიდი თავისუფლების მინიჭებაში. იმაში, რომ ინტელიგენცია გაათავისუფლა. შეტევები გაიზარდა და გარკვეულ მომენტში გორბაჩოვმა ვერ გაუძლო ამას. მან თქვა, რომ იგი მზად არის თანამდებობა დატოვოს. პასუხად გენერლებმა ყვირილი დაიწყეს: „წადი! გაეთრიე!“. ამ დროს დავინახე მათი სახეები,

სიბრაზისგან ჟოლოსფერი ედოთ, ცხადი იყო, რომ მათ ძალუძდათ ნებისმიერი ძალისმიერი მოქმედება.“

მარშალი ახრომეევი 1991 წლის 17 ივნისს სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე ამბობდა: „ჩვენი ქვეყანა, ხალხის ნების საწინააღმდეგოდ, რომელიც გამოიხატა ამ წლის 17 მარტის რეფერენდუმზე იძულებით ნაწევრდება. რესპუბლიკების ზოგიერთი ლიდერი და, უპირველეს ყოვლისა, ბორის ელცინი, სიტყვებით მხარს უჭერს კავშირს, მაგრამ სინამდვილეში ისინი მას ანგრევენ. სსრკ იშლება, ხოლო უმაღლეს ხელისუფლებას ან არ სურს ან ვერ უშლის ხელს ჩვენი სამშობლოს სიკვდილს. ასეთ საშიშ მდგომარეობაში იყო ჩვენი ქვეყანა მხოლოდ 1941-1945 წლებში. შემდეგ სტალინმა ხალხს უთხრა სიმართლე მოსალოდნელი სასიკვდილო საფრთხის შესახებ და ხალხის საერთო ძალისხმევით, და სკკპ ხელმძღვანელობით გადალახეს სამშობლოს სიკვდილის საფრთხე. დღევანდელ ვითარებაში სსრკ პრეზიდენტი უმოქმედოდაა და უმაღლესი საბჭო მას საშუალებას აძლევს დარჩეს უმოქმედო. მას არ სურს შეამჩნიოს ის, რაც გარშემო ხდება“.

თანამედროვე ჩინეთს ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავს. ჩინეთის გზის თაყვანისმცემლებს მოსწონთ ის ფაქტი, რომ ჩინეთის კომუნისტური პარტია ინარჩუნებს პარტიულ და სახელმწიფო ბიუროკრატიას და ზღუდავს სიტყვის თავისუფლებას. ამავე დროს, მათ არ სურთ დაინახონ, რომ ჩინეთის ბიუროკრატია არ ერევა კერძო ინიციატივაში და მეწარმეობაში, არ ჩაგრავს ბიზნესმენებსა და ვაჭრებს, არ ახშობს და არ ამცირებს მათ. შესაძლებელია თუ არა წარმოედგინა ვინმეს საბჭოთა ბიუროკრატია, რომელიც მისცემდა შესაძლებლობას კერძო ინიციატივას, მოეზიდა უცხოური კაპიტალი და არ გაებედა კერძო მწარმოებლების საქმეებში ჩარევა? ...

ვფიქრობ არა. ეს ილუზია ილუზიადვე დარჩა.

ჩინეთის ცნობილი ექსპერტი მიუთითებს პროფესორი ევგენი ბაჟანოვი, სწორედ აქაური ორთოდოქსი კომუნისტები, ანტიდასავლური ნაციონალისტები აღფრთოვანებულები არიან ჩი-

ნეთის წარმატებებით და ამტკიცებენ, რომ სსრკ-ს ჩინეთის გზას უნდა გაჰყოლოდა, შეენარჩუნებინა სოციალისტური სისტემა და განვითარებულიყო ეკონომიკა. მაგრამ ისინი ვერ ხვდებიან 1978 წელს, როდესაც ჩინეთის საზოგადოება ქაოსში იყო, მაო ძე დუნი-ს კულტურული რევოლუცია დასრულდა მარქსიზმის სრული იმედგაცრუებით. პარტიულ-სახელმწიფო აპარატი ძალიან შეირყა. მას არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია რეფორმებისათვის...

აქ კი პირიქით საბჭოთა აპარატს ყველაფერი ეჭირა ხელში და წინააღმდეგობას უწევდა ცვლილებებს. დენ სიაოპინს, რომელიც სარგებლობდა დიდი ავტორიტეტით, შეეძლო მკვეთრი რეფორმების ჩატარება. მ. გორბაჩოვი, ახალგაზრდა პოლიტიკოსი პროვინციიდან, იძულებული გახდა მანევრები დაეწყო, თანდათანობით, ნაბიჯ-ნაბიჯ ემოქმედა და დროდადრო ძველი გვარდიისკენ გაეხედა.

საბჭოთა ხელისუფლების ზედა ეშელონებში დამკვიდრდა მმართვის კლანურ-მაფიოზური პრინციპი. ყოველი მომდევნო ხელისუფალი ცდილობდა მოეყვანა და კრემლი დაეკომპლექტებინა თავისი ერთგული კადრებით. ეს ხდებოდა არა ნიჭიერებისა და სახელმწიფოს ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ საკუთარი პერსონისადმი ერთგულების პრინციპით. ეს პრინციპი დღესაც მემკვიდრეობითობითაა გადმოსული არ მარტო რუსეთში, არამედ უმეტეს პოსტსაბჭოთა რესპუბლიკაში. ქვეყანაში გამეფებული იყო მლიქვნელობა, მაამებლობა, კორუფცია.

კრემლის მთავარი ექიმის ე. ჩაზოვის მოწმობით იმავე ჩინეთში - „გორბაჩოვს თან ახლდა უამრავი მწერალი, რეჟისორი, მსახიობი და ა. შ. მათ საპატივცემულოდ გაიმართა პეკინში დიდი ვახშამი. სწორედ აქ მწერალმა ს. ზალიგინმა, რომელიც მე მიმაჩნდა პატიოსნებისა და წესიერების ეტალონად, წარმოსთქვა სადღერგრძელო, სადაც ქება-დიდება უძღვნა არა გორბაჩოვს, არამედ მის მეუღლეს რაისა მაქსიმეს ასულ გორბაჩოვას. ამის შემდეგ მე დამეკარგა წარმოდგენა სიტყვის ამ ოსტატზე.



დენ სიაოპინი

ჩინეთიდან დაბრუნებისას თვითმფრინავის სალონში დამიძახა გორბაჩოვმა. მე იგი ასე განრისხებული არასდროს არ მინახავს. ის სახეაწითლებული ბოლთას სცემდა სალონში. მისმა სიტყვებმა საბოლოოდ დამინგრია მის შესახებ წარმოდგენა, როგორც ბრძენ, ძლიერ პიროვნებაზე, რომელიც სათავეში უდგას პარტიას. ჩემს წინ იდგა უბრალო პარტიის მდივანი, რომელსაც ეშინოდა ხელისუფლების დაკარგვის და ყოველი მეთოდებით ცდილობდა დაემტკიცებინა თავისი პოლიტიკური არაორდინალურობა. „თქვენ არაფერი არ გაგეგებათ პოლიტიკის და ქვეყნის ხელმძღვანელობის. მე უნდა გავხდე არჩეული უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე. ამისათვის მჭირდება მხარდაჭერა, როგორც კონსერვატორების, ისე დემოკრატების. მე მჭირდება ადამიანები ჩემს გვერდით, რომლებიც იქნებიან ერთგულნი ჩვენი საქმის და ჩემი"[138, 6-7].

საბჭოთა პარტიული ნომენკლატურისათვის მოვლენების ასეთი განვითარება ძნელად გადასატანი აღმოჩნდა. ამიტომაც მოსკოვში შედგა პუტჩი. რ. პაიპსი იგონებს: „1991 წლის 18-19 აგვისტოს ღამით გამაღვიძა სატელეფონო ზარმა ახალი ამბების

სააგენტოდან. მაცნობეს საბჭოთა კავშირში არაჩვეულებრივი მოვლენების შესახებ, მათ შორის, ჭორების თანახმად, გორბაჩოვის დაპატიმრება. გაუგებარი იყო რას ნიშნავდა ეს ყველაფერი. სიტუაცია გაირკვა მეორე დღეს, როდესაც გავიგეთ, რომ მოსკოვში გადატრიალება მოხდა და საგანგებო მდგომარეობა გამოცხადდა. მ. გორბაჩოვი ყირიმში შინაპატიმრობაში იმყოფებოდა. მოვლენების ამ მსვლელობამ არ გამაკვირვა. ვინაიდან წინა წლის ნოემბერში „The New York Times"-ის მოსაზრებების გვერდზე დავწერე სტატია, იმის შესახებ თუ როგორ უნდა მოხდეს ფაქტის ლეგალიზაცია, რათა თავიდან ყოფილიყო აცილებული სამოქალაქო ომი, რომელმაც იუგოსლავია დაშალა. მ. გორბაჩოვმა შემოგვთავაზა კონფედერაციული სტრუქტურა, მაგრამ ეს წინადადება უარყოფილი იქნა, რადგან ზედმიწევნით გამოკვლევის შემდეგ, იგი მხოლოდ და მხოლოდ უნიტარული სახელმწიფოსგან განსხვავდებოდა"[106].

1991 წლის აგვისტოს პუტჩის შემდეგ კომპარტია წავიდა პოლიტიკური სცენიდან. ბ. ელცინმა კომუნიტური პარტია დაადანაშაულა პუტჩის ორგანიზებაში და რუსეთში მათი მოღვაწეობის აკრძალვის შესახებ ბრძანებას ხელი მოაწერა. ცენტრალური კომუნისტური პარტიის დაშლის შემდეგ მის ნანგრევებზე წარმოიქმნა „კომუნისტური მრავალპარტიულობა". ამ პარტიებმა კონსტიტუციურ სასამართლოში შეიტანეს საჩივარი ელცინის მიერ ხელმოწერილი ბრძანების არაკონსტიტუციურად ცნობის შესახებ. ხანგრძლივი განხილვის შემდეგ ეს ბრძანება სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო[212, 530-540].

1991 წლის 25 დეკემბერს მსოფლიო პოლიტიკურ რუკაზე გაქრა საბჭოთა კავშირი. კრემლის ქონგურდან დაეშვა დროშა, რომელიც სამოცდაათი წლის მანძილზე აზანზარებდა მსოფლიოს. ამ სიმბოლოს ქვეშ მყოფი სახელმწიფოს მონაწილეობის გარეშე არ წყდებოდა არცერთი მნიშვნელოვანი საკითხი.

წერენ იმის შესახებაც, რომ 1985 წლისათვის საბჭოთა კავშირში იყო ეკონომიკური კატასტროფა. მაგრამ იმავე მ. გორბა-

ჩოვს თუ დავეყრდნობით, მისი თქმით საბჭოთა კავშირში მას, რომ არ დაეწყო ე.წ. „გარდაქმნა“ იგი „იმეფებდა“ დაახლოებით 15 წელი მაინც.



ბორის ელცინი

და მაინც ჯერჯერობით ბევრი რამა დალუქული და უცნობი. თუმცა ბიბლიური სიბრძნეა: „არაფერია დაფარული, რომელიც არ გაცხადდების“.

ძალიან საინტერესოა სიკვდილის წინ ცოტა ხნით ადრე ა. გრომიკოს ნათქვამი: „მე რომ სიმართლე დავწერო ჩემს მემუარებში მთელი მსოფლიო გადაბრუნდება“. საყოველთაოდ ცნობილია, რომ კულისებს მიღმა მოქმედი პოლიტიკოსები ფიქრობენ ერთს, ამბობენ მეორეს და აკეთებენ მესამეს. ამას ადასტურებს გორბაჩოვის ცნობილი „მეგარდაქმნე“ ა. იაკოვლევი, როდესაც წერს, რომ: „ისინი იტყუებოდნენ და ფარისევლობდნენ“.

1991 წლის 7 დეკემბერს მინსკში გაემგზავრა ელცინი იმ მიზნით, რომ ხელი მოეწერა რსფსრ-სა და ბელორუსიის სსრ შო-

რის ხელშეკრულებას მეგობრობისა და თანამშრომლობის შესახებ. დოკუმენტის გაფორმების შემდეგ რუსეთის დელეგაციას იმ საღამოსვე შეეძლო დაბრუნებულიყო მოსკოვში. მაგრამ იგი არ დაბრუნდა. თავის მოგონებებში მ. ს. გორბაჩოვი წერს: „გადის დღე და არავითარი ცნობები მინსკიდან არ ისმის. ვიფიქრეთ გადაწყვიტეს დალევით დაესვენათ და ასედაც მოხდა“. ოფიციალური ცერემონიის შემდეგ შედგა არაოფიციალური ბანკეტი, რომელზედაც ელცინი ზედმეტად გადათვრა. ელცინთან ერთად იმყოფებოდა სახელმწიფო მდივანი გენადი ბურბულისი, ვიცე-პრემიერი ეგორ გაიდარი, საგარეო საქმეთა მინისტრი ანდრეი კოზირევი და პრეზიდენტის მრჩეველი სამართლებრივ საკითხებში სერგეი შახრაი. იმავდროულად 1991 წლის 7 დეკემბერს კიევიდან მინსკში გაემგზავრა უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი.

საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტი მ. გორბაჩოვი აგრძელებს - „აზრი იმის შესახებ, რომ ბელოვეჟიე პუშჩში შედგებოდა შეხვედრა ელცინს ჩემთვის არ გაუზიარებია. მითხრა მხოლოდ ის, რომ მივდივართ მინსკში იმისათვის, რათა მოვახდინოთ რუსეთის, უკრაინისა და ბელორუსიის პოლიტიკის კოორდინაცია“. როგორც სჩანს ბ. ელცინმა, ლ. კრავჩუკმა და ს. შუშკევიჩმა გადაწყვიტეს შეხვედრა არა მინსკში, არამედ ბრესტთან ახლოს ბელოვეჟიე პუშჩში, დასახლება ვისკულში. „ბელოვეჟიეს შეხვედრა-იგონებს ელცინი-წარიმართა საიდუმლო ვითარებაში. რეზიდენციას იცავდა განსაკუთრებული სპეცრაზმი“. უეჭველია მათ კონფიდენციალურად მომზადებული უნდა ჰქონოდათ ერთობლივი გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის ოფიციალური დაშლის შესახებ. პოლიტიკიდან უკვე თამაშგარე მდგომარეობაში მყოფი გორბაჩოვი იმასაც კი ვერ ხვდებოდა, რომ მისი მმართველობის ქვეშ მყოფი სახელმწიფო უკვე აღარ არსებობდა. ანალოგიური უნდა ვიფიქროთ საგარეო საქმეთა მინისტრ ედ. შევარდნაძისადმი, რომელიც ხმაურიანი გადადგომის შემდეგ, ისევ დაუბრუნდა ოცდაერთდღიან მინისტრო-

ბას. საოცარია, მაგრამ ფაქტია, რომ შევარდნაძემ ვერ გათვალა რომ საბჭოთა კავშირი მისი ხელმეორედ მინისტრად დანიშვნის შემდეგ, სამ კვირაზე მეტს ვერ იარსებებდა. აქედან გამომდინარე ძალზედ ძნელი დასაჯერებელია მავანთა მიერ დღემდე ილუზიაში ყოფნა იმის შესახებ, რომ ჩვენს მიერ ზემოდ აღნიშნული ადამიანები დიდი პოლიტიკოსები იყვნენ. ამას ადასტურებს მათი პოლიტიკური ქმედებების შედეგები.

შეხვედრა ისე იყო გასაიდუმლოებული, რომ ფოტოგრაფი ი. ივანოვი მოგვიანებით ამბობდა: „მე დარწმუნებული ვიყავი, რომ მივდიოდი გადამეღო ნადირობა“. პირველი ბელოვეჟიე პუშჩში მივიდა უკრაინის დელეგაცია. მას კვალდაკვალ მიჰყვნენ რუსები. მხოლოდ ბორის ელცინი არ ჩანდა, ვინაიდან ბანკეტის დროს ისე დამთვრალა, რომ ვისკულში ჩავიდა მხოლოდ საღამოს 6 საათზე. ს. შუშკევიჩის მოწმობით ელცინი ამ დროსაც იმყოფებოდა არაფხიზელ მდგომარეობაში. რის გამო მან ვერ შეძლო თავისი ფეხით ტრაპზე ჩასვლა. უფრო მეტიც ელცინს თვითმფრინავიდან გადმოსვლისას ვერ დაუჭერია წინასწორობა და დაცვას, რომ არ დაეჭირა ცოტაც და გადავარდებოდა მიწაზე. აეროდრომზე ელცინი ჩააჯინეს მანქანაში და მიიყვანეს შეხვედრის ადგილას. იგი ისეთ მძიმე მდგომარეობაში ყოფილა, რომ ნომერში ხელში აყვანილი შეუყვანიათ, რათა დაესვენა და გამოფხიზლებულიყო. გარკვეული დროის შემდეგ ელცინი მოვიდა გონს და გაემართა სავახშმოდ. როგორც ჩანს გარკვეული დროით იგი ყურადღებიდან გამორჩენია დაცვას, ვინაიდან რუსი პრეზიდენტი ვახშამზე უკულმად შებნეული ჰალსტუხით გამოცხადებულა[199]. ეს მომენტი ზემოდხსენებულ ფოტოგრაფს აღუბეჭდავს, მაგრამ შემდეგ ფირი მისთვის წაურთმევია დაცვას.


იმ დღეების ატმოსფეროს აღწერისას, მონაწილეები ამბობენ, რომ ეს იყო დაძაბული. ყველას ესმოდა, რომ ფსონები მაღალი იყო და გორბაჩოვს სურვილის შემთხვევაში ისინი შეეძლო დაედანაშაულებინა ღალატში და დაეპატიმრებინა[199].

შუშკევიჩი დაარწმუნა რესპუბლიკური სუკ-ისს ხელმძღ-

ვანელმა ედუარდ შირკოვსკიმ, რომელიც სანადირო რეზიდენციაში იმყოფებოდა, რომ შეხვედრის მონაწილეებს საფრთხე არ ემუქრებოდათ. თუმცა, წლების შემდეგ, კონსერვატორი შირკოვსკი ნანობდა, მათი დაპატიმრების ბრძანება, რომ არ გასცა.

„Ассошиэйтед Пресс"-თან ინტერვიუში შუშკევიჩმა თქვა, რომ იგი არ ელოდა გორბაჩოვისაგან, რომლის ძალაუფლებაც დასუსტებული იყო მათი დაპატიმრების მცდელობას. „ვფიქრობ, გორბაჩოვის სიმხდალის გათვალისწინებით, ასეთი მუქარა არ ყოფილა, ყოველ შემთხვევაში მე ამას ვერ ვგრძნობდი".

მ. გორბაჩოვის თქმით, მან მიატოვა დაპატიმრების იდეა, რადგან ეშინოდა სისხლისღვრის პროვოცირების. ისეთ არასტაბილურ ვითარებაში, როდესაც არ იყო ერთიანობა არც საბჭოთა არმიაში და არც სამართალდამცავ ორგანოებში. „თუ მე გადავწყვეტდი დავყრდნობოდი რაიმე სახის შეიარაღებულ სტრუქტურებს, ეს აუცილებლად გამოიწვევდა მწვავე პოლიტიკურ კონფლიქტს, რომელიც მოიტანდა სისხლისღვრას" - წერს გორბაჩოვი.



სტანისლავ შუშკევიჩი

ს. შუშკევიჩის მოწმობით ელცინთან და კრავჩუკთან ერთად განიხილავდნენ მომავალი ურთიერთობების შესახებ კონცეფციას. იქ დამსწრეების მოწმობით ელცინს ისევ დაუმატებია სასმელი, რის შემდეგაც დაუძინებია მაგიდაზე. ვახშმის შემდეგ ბელორუსიის საგარეო საქმეთა მინისტრის პ. კრავჩენკოს თქმით ელცინი ასულა კიბეზე რათა დაესვენა მისთვის განკუთვნილ აპარტამენტში. შუა გზაზე, უგონოდ მთვრალს დაცდენია ფეხი. ყოველივე შეიძლება ტრაგიკულად დასრულებულიყო, მაგრამ მისთვის ხელი შეუშველებია და გადაურჩენია შუშკევიჩს, რის გამოც ელცინს მისთვის მეორე დილით საათი უჩუქებია და უთქვამს: „აი ეს თქვენ მძიმე წუთებში რუსეთის პრეზიდენტის დახმარებისათვის"[199, 210].

ს. შუშკევიჩის აგრძელებს: „ჩვენ ჩამოვაყალიბეთ კონცეფცია დავტოვეთ სამუშაოდ ექსპერტები და წავედით დასაძინებლად. როგორ მეძინა? მე საერთოდ უძილობა არ მაწუხებს. ახლა წერენ, რომ ჩვენ იქ დავლიეთ თვითნახადი. არაფერი მსგავსი არ ყოფილა. დავლიეთ „ბელოვეჟიე"[199].

ისტორიული შეხვედრის ზოგიერთმა მონაწილე აღნიშნავდა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლაში უკრაინის ლიდერმა კრავჩუკმა გადამწყვეტი როლი ითამაშა. საქმე შემდეგში იყო უკრაინამ დამოუკიდებლობა გამოაცხადა აგვისტოს პუტჩის შემდეგ, რამაც სერიოზულად დაასუსტა გორბაჩოვი. ბელოვეჟის ხელშეკრულებების დადებამდე ერთი კვირით ადრე, კრავჩუკი კენჭისყრით აირჩიეს უკრაინის პრეზიდენტად, რომლის მონაწილეთა ასევე აბსოლუტურმა უმრავლესობამ მისცეს ხმა მოსკოვისგან დამოუკიდებლობას.

ვისკულში კრავჩუკმა მკაცრი პოზიცია დაიკავა და უარყო საბჭოთა კავშირის ყველა მოდერნიზების ვერსია. „კრავჩუკმა ყურადღება გაამახვილა უკრაინის დამოუკიდებლობაზე", - ამბობს შუშკევიჩი. იგი ამაყობდა იმით, რომ უკრაინამ რეფერენდუმზე დამოუკიდებლობის გამოაცხადების შემდეგ, 1991 წლის 1 დეკემბერს ის აირჩია პრეზიდენტად[199, 212].

ელცინის თანაშემწე სერგეი შახრაი ასევე ადასტურებს, რომ უკრაინის არჩევნებმა გადამწყვეტი როლი ითამაშა სსრკ-ს დაშლაში. „უკრაინის დამოუკიდებლობის რეფერენდუმმა, რომლის საფუძველზეც უკრაინის უმაღლესი საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება და უარი თქვა 1922 წლის ხელშეკრულებაზე სსრკ-ს შექმნის შესახებ, გამოიწვია საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესის პოლიტიკური და სამართლებრივი დასრულება“. ელცინი და შუშკევიჩი თავიდან ცდილობდნენ დაეყოლიებინათ კრავჩუკი, შეენარჩუნებინა კავშირის რაიმე ფორმა, მაგრამ რეფერენდუმის შემდეგ, მას არც კი სურდა ამ სიტყვის მოსმენა.

ამიტომაცაა, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვ. პუტინი, რომელმაც საბჭოთა კავშირის დაშლა მე-20 საუკუნის უდიდეს გეოპოლიტიკურ კატასტროფად შეაფასა, არაერთხელ ამტკიცებდა, რომ უკრაინამ, სსრკ-ს დაშლის პროცესში, უსამართლოდ მიისაკუთრა რუსეთის ისტორიული რეგიონები.

როდესაც 2014 წელს, საპროტესტო გამოსვლებით უკრაინელებმა კრემლის მეგობარი უკრაინის პრეზიდენტი ვ. იანუკოვიჩი გადააყენეს, რუსეთმა მყისვე უპასუხა ყირიმის ანექსირებით და აღმოსავლეთ უკრაინაში სეპარატისტული ამბოხების მხარდაჭერით.

უკანასკნელ პერიოდში ვაშინგტონისა და კიევის ცნობით, საზღვარზე ძალებისა და აქტივების დაჯგუფების გაძლიერებით, პუტინი ცდილობდა ბაიდენისგან გარანტიები მიეღო, რომ უკრაინა, რომელიც დიდი ხანია ცდილობდა ნატო-ში გაწევრიანებას არასოდეს შევიდიოდა ამ ორგანიზაციაში სამხედრო-პოლიტიკურ ალიანსში. ამერიკელებმა და მათმა ნატოს მოკავშირეებმა განაცხადეს, რომ ეს მოთხოვნა შეუსრულებელია.

„თანამედროვე უკრაინა მთლიანად საბჭოთა ეპოქის ნაყოფია - წერს გაბრაზებული ვ. პუტინი გამოქვეყნებულ სტატიაში - ვიცით და გვახსოვს, რომ ის დიდწილად ისტორიული რუსეთის ხარჯზე შეიქმნა. ერთი რამ ცხადია, რუსეთი ფაქტობრივად გაძარცვეს“[252].

პრეზიდენტების დაძინების შემდეგ ინიციატივა აუღია დაცვას. მათ გაუგრძელებიათ მაგიდა. ისინიც ისე დამთვრალან, რომ ნახევარი ავეჯი მთლიანად დაულეწიათ. საბოლოოდ, 14 სთ-ის და 17 წუთისათვის ჩამოუყალიბებიათ დოკუმენტი, რომელიც იწყებოდა ასე: „ჩვენ ბელორუსის რესპუბლიკა, რსფსრ, უკრაინა, როგორც სახელმწიფო-დამფუძნებლები სსრკ-ს, რომლებმაც ხელი მოვაწერეთ 1922 წლის საკავშირო ხელშეკრულებას ,კონსტატირებას ვაკეთებთ, რომ საბჭოთა სრკ, როგორც საერთაშორისო სამართლის სუბიექტი და გეოპოლიტიკური რეალობა წყვეტს თავის არსებობას".

1991 წლის 8 დეკემბერს შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ, ელცინმა დაურეკა საბჭოთა კავშირის თავდაცვის მინისტრს ევგენი შაპოშნიკოვს. აცნობა მას მომხდარის შესახებ და მოუწოდა მას არ გამოეყენებინა ძალა, თუკი მ. გორბაჩოვისგან მსგავს ბრძანებას გამოსცემდა და იქვე აცნობა, რომ ის დანიშნულია თანამეგობრობის ძალების მთავარსარდლად. შემდეგ ის ესაუბრა აშშ-ს მაშინდელ პრეზიდენტს ჯორჯ ბუშს. შუშკევიჩი იხსენებს, როცა გაიგო გორბაჩოვმა, რომ საბჭოთა კავშირი მკვდარი იყო, იგი საოცრად განრისხდა. გორბაჩოვმა მითხრა მენტორული ტონით: „თუ იცით, რას იტყვის მსოფლიო საზოგადოება?". გორბაჩოვი რომ სრულიად გაკოტრდა ამას მეტყველებს თუნდა ეს ფაქტი. ნახეთ, როგორი არადადეკვატური და შეუსაბამოა არსებული რეალობისადმი მისი აღქმები. მისთვის მთავარია მხოლოდ რას იტყვის გარეშე ძალები და სულერთია რას ფიქრობს ფაქტობრივად ჯერ კიდევ მასზე ფორმალურად დამოკიდებული საბჭოთა კავშირის მოსახლეობა. „მე ვუპასუხე - აგრძელებს ბელორუსიის ხელმღვანელი - „რომ ვიცი. ამ დროისთვის ბუში უკვე საქმის კურსში იყო და მე ვიცოდი მან დადებითი რეაგირება მოახდინა ამ ფაქტზე".

ბელორუსიიდან დაბრუნებული ელცინი ისეთი ნასვამი ყოფილა, რომ თვითმფრინავიდან ისევ გადმოუტანიათ, ვერ გაუღვიძებიათ ღამის ორ საათამდე. 1991 წლის 10-12 დეკემბერს უკრაინის, რუსეთის და ბელორუსიის უმაღლესმა საკანონმდე-

ბლო ორგანოებმა მოახდინეს ბელოვეჟიეს შეთანხმების რატიფიცირება-დსთ-ს შექმნის შესახებ. შემდეგ ელცინი, უკრაინის პრეზიდენტი ლეონიდ კრავჩუკი და სტანისლავ შუშკევიჩი შეთანხმდნენ, რომ ბელორუსში, ბელოვეჟსკაია პუშჩაში პრობლემის გადაჭრის მიზნით შეხვდებოდნენ ერთმანეთს გორბაჩოვის გარეშე.



ლეონიდ კრავჩუკი

ისინი გამომდინარეობდნენ იქიდან, რომ საბჭოთა კავშირი მკვდარი იყო. ერთმანეთთან ხანგრძლივი დისკუსიის შემდეგ, იურიდიული ექსპერტების დახმარებით მათ განაცხადეს საბჭოთა კავშირის დაშლის შესახებ და მის ყველა წევრ რესპუბლიკას მიანიჭეს სრული სუვერენიტეტი. შედეგად, არა მხოლოდ საბჭოთა კავშირი გაქრა მსოფლიო რუკიდან, არამედ მასთან ერთად ძველი რუსეთის იმპერიაც. გაუქმდა ოთხი საუკუნში მიმდინარე გაფართოება და რუსეთი დაუბრუნდა იმ საზღვრებს რომელიც მას ჰქონდა დაახლოებით 1600 წელს"[106].

პოლიტიკური ბრიყვი მ. გორბაჩოვი საბჭოთა კავშირის

დაშლის ინიცირებაში ადანაშაულებდა, თავის ყველაზე მწარე მტერს ბ. ელცინს, რომელიც თავის მხრივ ახლა ცდილობდა გამხდარიყო კრემლის პატრონი.

თავის მხრივ ბორის ელცინი, რომელიც 2007 წელს გარდაიცვალა 76 წლის ასაკში, ამტკიცებდა, რომ სწორად მოიქცა, რადგან სსრკ განწირული იყო. მისი თქმით, ბელოვეჟის შეთანხმება ერთადერთი გზა იყო ცენტრალურ ხელისუფლებასა და დამოუკიდებლობისკენ მიდრეკილ რესპუბლიკებს შორის კონფლიქტის თავიდან ასაცილებლად. აქვე ისმის რიტორიკული კითხვა კი მაგრამ ვინ მიიყვანა ქვეყანა ამ მდგომარეობამდე? ამ კითხვაზე არცერთი ამ ისტორიული შეხვედრის მონაწილე არ პასუხობს. რატომ? პასუხი მარტივია. არ სურთ მაშინდელ პოლიტიკურ პროცესებში საკუთარი თავის დადანაშაულება.

დასავლეთი შეშფოთებით შეხვდა საბჭოთა კავშირის დაშლას ამას მოწმობს ს. შუშკევიჩი: „როდესაც გ. ბურბულისი ჩავიდა საფრანგეთში 1991 წლის 12 დეკემბერს პრეზიდენტმა მიტერანმა უთხრა მას, რომ იგი დიდი მღელვარებით ელოდა შოკისმომგვრელი პროცესების დაწყებას საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე. მაგრამ გავიდა აგერ უკვე 4 დღე და მშვიდობაა...."[199, 188-190].

ვისკულიდან მოსული ამბები იმდენად დაუჯერებელი იყო, რომ იმ წუთას ცოტა თუ დაფიქრებულა იმ ფაქტზე, რომ ცხოვრება უფრო საშიში გახდა. მსოფლიო სცენაზე ერთდროულად ოთხი ბირთვული ძალა გამოჩნდა. რომელთაგან თითოეულს მდიდარი არსენალი ჰქონდა. რეალობამ გაიმარჯვა და დროთა განმავლობაში ოფიციალური ვაშინგტონი მივიდა იმ დასკვნამდე, რომ რუსეთის იმპერიის დაშლა დადებითი ფაქტორი იყო[106, 365-366].

მაგალითად აღმოჩნდა, რომ დამოუკიდებელი ყაზახეთის მეთაური, ნურსულთან ნაზარბაევი 1216 ბირთვული საბრძოლო ქობინის მფლობელი გახდა. მან მიიღო ისინი კონტინენტური ბალისტიკური რაკეტებისა და მძიმე ბომბდამშენებისათვის. ამრიგად დამოუკიდებელი ყაზახეთის არსენალმა, რომელიც ახ-

ლახან გამოჩნდა პოლიტიკურ რუკაზე, გადააჭარბა ბრიტანეთის, საფრანგეთის ან კიდევ ჩინეთის ბირთვულ იარაღს.

დაისვა საშინელი კითხვები: რა მოხდებოდა ამ რაკეტებიდან? ხომ არ ისურვებდნენ ახალი ქვეყნების ლიდერები ვინმესათვის გაეზიარებინათ ბირთვული სიმდიდრე? და ამით მოეგვარებინათ საბიუჯეტო პრობლემები, გაესწორებინათ საგადასახადო ბალანსი, შეევსოთ სალაროები. დაიწყო კოშმარები - ხომ არ მოხდებოდა ბირთვული იარაღის რეალიზაცია ერაყში, ირანში ან ლიბიაში? ან ხომ არ აღმოჩნდებოდნენ ისინი პირდაპირ ტერორისტების ხელში?!

რსფსრ-ის სახელმწიფო მდივანი გენადი ბურბულისი ამტკიცებდა, რომ რუსეთი ერთადერთი რესპუბლიკა იყო, რომელსაც შეეძლო და უნდა გამხდარიყო საბჭოთა კავშირისა და მისი ყველა სტრუქტურის სამართალმემკვიდრე. იმთავითვე იგრძნობოდა ეს იდეა მისაღები იქნებოდა მსოფლიო საზოგადოებრიობისათვის. რუსული დიპლომატია მოითხოვდა, რომ ყაზახეთს, უკრაინას და ბელორუსიას დაუყოვნებლივ განეცხადებინათ უარი ბირთვული სტატუსზე.

1991 წლის 21 დეკემბერს ალმ-ათაში ერთმანეთს შეხვდენენ 11 სახელმწიფოს მეთაური (საქართველოსა და ბალტიის რესპუბლიკების გარდა) და მიიღეს გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის დაშლისა და დსთ-ს დაარსების შესახებ.

1991 წლის 25 დეკემბერს საბჭოთა კავშირის პრეზიდენტის პოსტიდან გადადგა გორბაჩოვი, რომელმაც ელცინს მოსთხოვა პენსია იმ ინდექსაციით რა ოდენობითაც იღებდა პრეზიდენტის თანამდებობაზე ხელფასს. აგრეთვე პრეზიდენტის ბინა, აგარაკი, მანქანა ცოლისა და მისთვის. რაც მთავარია ფონდის დაარსება და პირადი დაცვა. „ელცინისაგან დაბრუნებული გორბაჩოვი - იგონებს ა. იაკოვლევი - ჩამოჯდა დივანზე და თვალები ცრემლებით ჰქონდა სავსე“.

* * * * *

გასართობი ჩანართი

მიხეილ გორბაჩოვის ოჯახი ოფიციალურად ფლობს მყუდრო სახლს გერმანიაში., მისი მფლობელია საბჭოთა კავშირის პირველი და უკანასკნელი პრეზიდენტის ქალიშვილი ირინა გორბაჩოვა. სახლი 17 ოთახიანია. ეს სამსართულიანი შენობა აშენებულია მე-20 საუკუნის დასაწყისში. მთელი ქონება იკავებს 2, 5 ათას მ². კმ. გეოგრაფიულად მდებარეობს ტეგერნზეს წყალსაცავის თვალწარმტაც სანაპიროზე. ადგილი ბავარიის ალპების საკურორტო ზონებს შორის ერთ-ერთ ყველაზე პრესტიჟულად ითვლება. ქონების სავარაუდო ღირებულება დღესათვის შეადგენს არანაკლებ 7 მილიონი ევროს.

* * * * *

გასართობი ჩანართი

1991 წლის შემოდგომაზე გარდაიცვალა რობერტ მაქსველი წარმოშობით ინგლისელი მსხვილი ბიზნესმენი. იგი გადავარდა(!) საკუთარი იახტიდან და დაიხრჩო ზღვაში. ის იყო კრემლის ფინანსებთან დაახლოებული პირი.

* * * * *

აი როგორ აღწერს ამ ამბავს მ. გორბაჩოვი: „ელცინი მზად იყო იმ ღამესვე თავად ამძვრალიყო სახურავზე და იქიდან ჩამოეგდო სსრკ დროშა. ჩვენი მოლაპარაკების თანახმად ერთმანეთს უნდა შევხვედროდით კრემლის საპრეზიდენტო კაბინეტში. დრო გადიოდა, ელცინი არ ჩანდა. მე დავურეკე მას. მან კი მითხრა, რომ მე დავარღვიე მოლაპარაკების პირობები და არ გამოვედი ისე ტელევიზიით, როგორც დავპირდი. ამის შემდეგ მან შემომთავაზა, რომ შევხვედროდით „ნეიტრალურ ტერიტორიაზე“ კრემლის ერთ-ერთ დარბაზში, სადაც იღებდნენ სხვადასხვა ქვეყნების ელჩებს. მე გავბრაზდი და არ დავმალავ ის გავაგზავნე „უფრო შორს“. იქვე გავუგზავნე პაკეტი სსრკ პრეზიდენტის ბრძანებულებისა უფლებამოსილების მისთვის გადაცემის შესახებ. თავდაცვის მინისტრმა ე. შაპოშნიკოვმა მიიღო უფლება დაუყოვნე-

ბლივ გადაეცა „ბირთვული ჩემოდანი“ ახალი მფლობელისათვის.

იმ დღეებში ჩვენ ელცინთან ასევე მოვილაპარაკეთ, თუ როგორ გადაგვეცა მისთვის ხელისუფლება. პირობა დავდეთ, რომ 1991 წლის 30 დეკემბერს სსრკ პრეზიდენტის აპარატი დაასრულებდა მუშაობას. მაგრამ უკვე 1999 წლის 26 დეკემრის ადრიან დილას ბ. ელცინი, ი. სილაევი, გ. ბურბულისი, რ. ხასბულატოვი შემოვარდნენ ჩემს კაბინეტში. გახსნეს ვისკი და დაიწყეს გამარჯვების აღნიშვნა. ასეთი ღონისძიებების დიდოსტატი იყო პრეზიდენტი ელცინი. შეიძლება მე ვცდებოდე, მაგრამ ვფიქრობ, რომ ბევრ რუსეთის მოქალაქეს ეს მოსწონდა. მაგრამ ვფიქრობ არ ვცდები“[263, 406].

გორბაჩოვი იმდენად გაურკვევლობაში იმყოფებოდა, რომ მას წარმოდგენაც კი არ ჰქონდა თუ როგორი მკაცრია პოლიტიკა და თუ რა უმკაცრეს დაუწერელ თუ დაწერილ კანონებს ემსახურება ის. „ჩემს და ჩემი ოჯახის წინააღმდეგ - წერს მ. გორბაჩოვი - დიდ ინტრიგებს აწყობდა ელცინი და მივრცელებდა სხვადასხვა ხმებს. შემდეგ კი როდესაც 1992 წლის მარტ-აპრილიდან დავიწყე ელცინის პოლიტიკის კრიტიკა, შემიწყვიტეს საკონსტუციო სასამართლოს მეშვეობით მიმეღო მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესში. ამიკრძალეს წასვლა იტალიაში.....შემდეგ კი ელცინის ბრძანებით ჩემს ფონდს ჩამოართვეს შენობა. უფრო სწორად ფონდში მისულ ჩემს თანამშრომლებს შენობა დახვდათ მილიციის საგანგებო რაზმელებითა და ავტომატებიანი ხალხით გარშემორტყმული. ტელევიზიების მთავარ არხებზე ფაქტობრივად ამეკრძალა გამოსვლა.

სანკტ-პეტერბურგში ჩემი მოგზაურობის დროს მე უნდა შევხვედროდი ა. სობჩაკს და მასთან უნდა მესაუბრა, მაგრამ გაისმა ელცინის ზარი შემდეგი სიტყვებით: შენ ვისთან აპირებ მუშაობას ჩემთან თუ გორბაჩოვთან და სობჩაკიც მაშინვე დანებდა“ [263, 407-408].

ე. ჩაზოვის თქმით: „ბ. ელცინი ცხოვრების ბოლო წლებში უფრო და უფრო ჰგავდა ბრეჟნევს. განსაკუთრებით მაშინ, როდე-

საც მან ბერლინის ქუჩებში უდირიჟორა გერმანიის ორკესტრს. მე მაშინ გამახსენდა პოლონეთის კომპარტის ყრილობაზე მყოფი მთვრალი ლ. ბრეჟნევი, რომელიც მღეროდა და დირიჟორობას უწევდა დარბაზს. ის ბრეჟნევი გამახსენა, რომელიც შვედეთში ვიზიტის დროს და დაშორდა რა ფურცელს, რომელსაც კითხულობდა ვერ არჩევდა ფინეთი უნდა ეთქვა თუ შვეცია.

დაბოლოს, ელცინის „ირლანდიული ძილი", საიდანაც ის ძლივს გამოიყვანეს საუკეთესო ექიმებმა. ამან მე მომაგონა ბრეჟნევის უკანასკნელი ვიზიტი გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, რომლის დროსაც, საძილე აბებისა და დამამშვიდებელი საშუალებების მიღების შემდეგ, მან ვერ შეძლო ოფიციალური მისალმება. საბედნიეროდ, შემდეგ ჩვენ მოვახერხეთ მისი გარკვეული აქტივობის აღდგენა და ლ. ბრეჟნევმა შეძლო (განსხვავებით ელცინის შემთხვევისგან) ლაპარაკი, რამაც საბოლოო ჯამში განმუხტა პოლიტიკური უხერხულობა. იყო შემთხვევა, როდესაც სიმთვრალეში ელცინმა საკუთარი თავი დანითაც, რომ დაიჭრა"[138, 151].

დემოკრატიულმა რეჟიმმა რუსებს უფრო მეტი შესაძლებლობები მისცა, ვიდრე მათ 1917 წლის შემდეგ ჰქონდათ. თუმცა რუსულმა დემოკრატიამ ვერ მოახერხა სამთავრობო ორგანოების გარდაქმნა, საყოველთაო კორუფციის წელში გადატეხა და კანონის უზენაესობის დამყარება. შედეგად რუსეთი მალევე გახდა დამოკიდებული დასავლეთის ფინანსურ დახმარებაზე, რაც გამოიხატებოდა და გამოიხატება სესხებისა და კრედიტების პერიოდული ინექციებით. 1990-იანი წლების ბოლოს კრემლი ჩადგა მესამე მსოფლიოს ქვეყნების რიგში, რომელიც ნედლეულის გაყიდვით ცხოვრობდა, ძირითადად კი ენერგომატარებლებით.

საბჭოთა საზოგადოება შოკირებული იყო კომუნიზმის დაშლით და საბჭოთა იმპერიის დაშლით, რადგან იყო აზრი, რომ რაც არ უნდა იყოს სირთულეები წარმოშობილიყო, საბჭოთა რეჟიმს ჰქონდა როგორც ნება, ისე საშუალებები მათი

გადალახვის. უფრო მეტიც თვით საბჭოთა წყობის მოწინააღმდეგეები ვერ გარკვეულიყვნენ მომავალში რა ეკეთებინათ. ამას მოწმობს რ. პაიპსის მონათხრობი: „1992 წელს ვმონაწილეობდი რუტგერკომის უნივერსიტეტის მიერ მოწყობილ კონფერენციაში, სადაც მოხსენება გავაკეთე სახაროვის შესახებ. დებატებში მონაწილე ტატიანა ტოლსტაიამ, ბრწყინვალე რუსმა ესეისტმა მკითხა, რა როლი უნდა ეთამაშათ დისიდენტებს ახალ რუსეთში. ამ კითხვამ გამაოცა. მე ვუპასუხე, რომ დემოკრატიულ ქვეყანაში დისიდენტების ადგილი არ არის და რომ ვინც ადრე ამ ჯგუფს ეკუთვნოდა, ახლა მთელი ენერგია უნდა დაუთმოს შემოქმედებით პოლიტიკურ საქმიანობას. ტოტალიტარული რეჟიმის პირობებში ასე გაბედული, განსხვავებული აზრის მქონე ადამიანები, მიუხედავად მათი სურვილისა, ახლა იჯდნენ მიყუჟულნი თავიანთ კუთხეებში და წუწუნებდნენ. ამ ერთ დროს მებრძოლმა და თავგანწირულმა ადამიანებმა პოლიტიკა დაუთმეს ყოფილ საბჭოთა ნომენკლატურას“[106]. რომელიც ძველებურად ყვლეფს და ძარცვავს ქვეყანას, ოღონდ ახლა უკვე დემოკრატიის საფარქვეშ.

შინაარსი

მსოფლიოს გადანაწილების მუდმივობა და რევოლუციები.....3

კავშირები ოქროს, ბანკებს, რევოლუციებსა და ხელისუფლებებს შორის.....61

ზოგიერთი შტრიხი საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკური ანატომიიდან.....79

ბრძოლა ხელისუფლებისათვის კრემლში.....134

მეორე მსოფლიოს ომის წინა პერიოდი. მსოფლიოს კიდევ ერთი ახალი გადანაწილება.....141

საბჭოთა სისტემის მოდერნიზების ცდა.....186

საქართველოს ისტორიული ტერიტორიების დაბრუნების მცდელობა.....246

საბჭოთა კავშირი საერთაშორისო ურთიერთობებში იალტა-პოტსდამიდან რეიგანამდე.....257

რეიგანიდან ბელოვეჟიე პუშჩამდე.....303

კორუფცია საბჭოთა კავშირში.....354

საბჭოთა კავშირის ბოლო დღეები.....372

ლიტერატურა.....435

ლიტერატურა

1. Grey E. Twenty-Five yares, v.1-2. London, 1925
2. Мухин Ю.И... Наука управлять людьми в изложении для каждого. М.: Фолиум, 1995.
3. Olof Aschberg. En Vandrande Jude Fran Glasbruksgatan (Stockholm: Albert Bonniers Forlag, n.d.), pp. 98-99, Memoarer Stockholm: Albert Bonniers Forlag, 1946.
4. Никитин Б. Роковые годы. Париж. 1937.
5. Саттон Э.. Уолл-стрит и большевицкая революция.
6. Полковник Виллиам Бойс Томпсон. Правда о России и Большевиках. New York: Russian-American Publication Society, 1918.
7. Joseph North. Robert Minor: Artist and Crusader (New York: International Publishers, 1956.
8. Краткая еврейская энциклопедия. Иерусалим. 1976. Т. 1.
9. Солоневич И. Народная монархия. М., 2016.
10. Троцкий Л. Д. История русской революции. М., 1930.
11. United States, Senate. Brewing and Liquor Interests and German and Bolshevik Propaganda (Subcommittee on the Judiciary), 65th Cong., 1919.
12. Lincoln Steffens. Autobiography (New York: Harcourt, Brace, 1931),
13. U.S. State Dept. Decimal File, 316-85-1002. citir. Саттон Э. Уолл-стрит и большевицкая революция.
14. Островский А.В. О родственниках Л.Д. Троцкого по материнской линии // Альманах „Из глубины времен". СПб. 1995. № 4.
15. Max Hoffman. War Diaries and Other Papers (London: M. Seeker, 1929).
16. სია აღებულია გაზეთ „Общее дело". СПб, 14.10.1917.
17. Троцкий Л.Д. Дневникии письма.
18. Троцкий Л.Д. Моя жизнь.
19. ლენინი ვ. ი. თხზ., ტ. 15.
20. Паипс Р. Я жил. Мемуари непримкнувшего.М., 2000.
21. Латышев И. Как Япония похитила российское золото. М, 1996.
22. Рубцов Ю. Гитлера профинансировали Федеральная резервная система США и Банк Англии https://svpressa.ru/war/article/13438/.
23. Малая советская энциклопедия. – Т. 10. – М.: Советская энциклопе-

дия, 1940.
24. Дугин А. . Сталинизм: легенды и факты // Слово. 1990, № 7.
25. Земсков В. Н.. Заключённые в 1930-е годы: социально-демографические проблемы // Отечественная история. 1997, № 4.
26. Земсков В. Н. . Репатриация советских граждан и их дальнейшая судьба // Социологические исследования. 1995. № 5.
27. Земсков В. Н. . Заключённые, спецпоселенцы, ссыльнопоселенцы, ссыльные и высланные (Статистико-географический аспект) // История СССР. 1991, № 5.
28. Крым многонациональный. Вопросы и ответы. Вып. 1. Сост. Н. Г. Степанова. Симферополь: Таврия, 1988.
29. Иосиф Сталин — Лаврентию Берии: „Их надо депортировать...": Документы, факты, комментарии / Сост. Н. Ф. Бугай. М: Дружба народов, 1992.
30. Иосиф Сталин — Лаврентию Берии: „Их надо депортировать...": Документы, факты, комментарии / Сост. Н. Ф. Бугай. М: Дружба народов, 1997.
31. Малая советская энциклопедия. – Т. 10. – М.: Советская энциклопедия, 1940.
32. Лакер В. История сионизма. – М.: КронПресс, 2000.
33. Малая советская энциклопедия. – Т. 4. – М., 1935.
34. Россия и СССР в войнах XX века: статистическое исследование. – М.: ОЛМАПРЕСС, 2001.
35. Хавьер Морено Хулиа. Гитлер и Франко. Дипломатия во времена войны 1936-1945.
36. Была ли наша революция социалистической? // Материалы международной научной конференции „Революция 1917 года в России: история и теория. СанктПетербург, Дом Плеханова. 4–5 ноября 2007 г. СПб., 2008.
37. Троцкий Л. Д. Нерабочее и небуржуазное государство? // Бюллетень оппозиции. 1938. № 62/63.
38. Стенограммы пленумов ЦК ВКП(б) 1928-1929 гг. Т. 1–5. М., 2000.
39. Сталин И.В. Об индустриализации и хлебной проблеме. Речь 9 июля

1928 г. на Пленуме ЦК ВКП(б) 4-12 июля 1928 г. // Соч. Т. 11. М., 1949.
40. США – СССР. Экономические отношения. Проблемы и возможности. М., 1976.
41. Восленский М. Номенклатура. М., 2005.
42. Водолеев Г.С. Практика казарменного социализма. СПб., 2008.
43. Елисеев А. Кто развязал „большой террор"? // Молодая гвардия. 2005. № 3.
44. Троцкий Л.Д. Нерабочее и небуржуазное государство? // Бюллетень оппозиции. 1938. № 62/63.
45. Механик Лев Термен. „Я подслушивал Кремль" (беседу вел Д. Лиханов) // Совершенно секретно. 1991. № 4.
46. Источник: https://elmin.ru/ka/insulation/kadry-reshayut-vse-v-kakom-godu-kadry-reshayut-vs.html
47. Правда. 1990. 4 Ноябряю
48. Правда. 1991. 31 Января.
49. Джилас М. Новый класс. Анализ коммунистической системы. Нью-Йорк, 1957.
50. Зенькович Н. А. Самые закрытые люди: энциклопедия биографий. — М.: ОЛМА-ПРЕСС, 2002.
51. Жирнов Е. Лубянский комсомолец // Коммерсантвласть(интервью В.С. Семичастного). 2001. № 14.
52. http://geworld.ge/ge/7499/.
53. Шелленберг В.. Мемуары [Лабиринт] Издательство „Родиола-плюс" 1998.
54. Дрискол Д. Д. Международный валютный фонд и Всемирный банк. В чем их различия. Б.м., 1992.
55. Haynes J.E., KlehrH, VassilievA. Spies. The Rise and Fall of KG B in America. Yale, 2009. Cm. также: The Vassiliev Notebooks(http://www.wilsoncenter.org/index.cfm7topicJd=1409&fuseaction= topics. documents&group_id=511603).
56. Рокфеллер Д. Банкир в XX веке. М., 1995.
57. Стариков Н. Почему СССР так быстро восстановился после войны: никаких чудес, кроме Сталина... https://zen.yandex.ru/media/nstarikov.

ru/pochemu-sssr-tak-bystro-vosstanovilsia-posle-voiny-nikakih-chudes-krome-stalina-5de945fa1ee34f00afa7fe30.
58. Варга Е. Изменения в экономике капитализма в итоге Второй мировой войны. М., 1947.
59. Евсеева Е. Н. СССР в 1945–1953 гг.: экономика, власть, общество // Новый исторический вестник, 2002. № 1 (6).
60. Пыжиков А. Хрущевская „оттепель". 1953–1964. М., 2002.
61. Евсеева Е.Н. СССР в 1945–1953 гг.: экономика, власть, общество // Новый исторический вестник, 2002. № 1(6).
62. Жданов Ю.А. Взгляд в прошлое. Воспоминания очевидца. Ростовна-Дону, 2004.
63. Сивачов Н. Языков Е. Новеишая история США. М., 1972.
64. Пихоя Р. Советский Союз: история власти. 1945–1991.
65. Внешняя торговля СССР.
66. Быстрова И.В. Военнопромышленный комплекс СССР в годы холодной войны (вторая половина 40х – начало 60х годов). М., 2000.
67. Елисеев А. Кто развязал „большой террор"? // Молодая гвардия, 2005. № 3.
68. Брутенц К.Н. Несбывшееся. М., 2005.
69. Судоплатов П. Разведка и Кремль. Записки нежелательного свидетеля. М., 1997.
70. Судоплатов А.П. Тайная жизнь генерала Судоплатова. Правда и вымыслы о моем отце. Кн. 2. М., 1998.
71. Сухомлинов А. Кто вы, Лаврентий Берия? Неизвестные страницы уголовного дела. М., 2003.
72. Берия С.Л. Мой отец Лаврентий Берия. М., 1994.
73. Сухомлинов А. Кто вы, Лаврентий Берия?
74. Шепилов Д.Т. Воспоминания II Вопросы истории, 1998. № 8.
75. Сухомлинов А. Кто вы, Лаврентий Берия?
76. Берия: конец карьеры. М., 1991.
77. Кокурин А. И. Пожаров А.И. II Исторический архив. 1996. № 4.
78. Реабилитация: ка к это было? Документы Президиума ЦК КПСС и другие материалы. Т.1. Март 1953 – февраль 1956. М., 2000.

79. Судоплатов П. Разведка и Кремль. М., 1995.
80. Документы генераллейтенанта Строкача о подготовке Берией заговора в 1952 году // Новая и новейшая история. 1989. № 3.
81. Наумов В.П. Был ли заговор Берии? Новые документы о событиях 1953 г. // Там же. № 5.
82. Пономарев А.Н. Никита Хрущев: начало карьеры. Документальный очерк// Неизвестная Россия. III. М., 1993.
83. Записка Г. Жукова и В. Соколовского в ЦК КПСС. 9 февраля 1956 г. // Военные архивы России. Вып.1. М., 1993.
84. Военные архивы России. Вып.1. М., 1993. С. 280, 283,295.
85. Заседания Верховного Совета СССР пятого созыва. Четвертая сессия. 14–15 января 1960. Стенографический отчет. М., 1960.
86. Сорокин К. Вступал ли СССР в НАТО // Правда, 1989.31 декабря; Платошкин Н. Жаркое лето 1953 года в Германии. М., 2004.
87. Известия, 30. 01. 1993.
88. ჩილაჩავა რ. ლავრენტი ბერიას ვაჟი მოგვითხრობს...თბ., 2012.
89. Пыжков А. Хрущевская „оттерель". М., 2002.
90. Зенкович Н. Таини уходяшего века. Т. II. М., 1998.
91. კრემლიოვი ს. ბერია მე-20 საუკუნის საუკეთესო მენეჯერი. ტ. 4.
92. სონღულაშვილი ა. საქართველოს პოლიტიკური პორტრეტი. თბ., 2004.
93. ბერია ს. მამაჩემი ლავრენტი ბერია. ნ.1. თბ., 1992.
94. მჭედლური დ. ლავრენტი ბერიას მთავარი დანაშაული. თბ., 1992.
95. Медведев Р. Н. С. Хрущев. М., 1990.
96. Вопроси Историй, 1992, #2.
97. Хрущев Н. С. Время. Люди. Власть.(Воспоминания). Кн. 2. Ч. 3. М., 1999.
98. Прудникова Е.. Берия, последний рыцар Сталина. М., 2000.
99. Судоплатов П. Разведка и Кремль. Записки нежелательного свидетеля. М., 2017.
100. ბერძენიშვილი გ. სტალინი პერმანენტული გამარჯვებების ღმერთი. თბ., 2009.
101. Вестник Архива Президента Российской федерации. 1995 №1.
102. http://geworld.ge/ge/7499/]

103. asaval-dasavali, #47, 2020.
104. https://for.ge/view/42124/Teirani-43--dazvervebis-omi.html.
105. https://ge.news-front.info/2020/10/26/stalinis-iranuli-triumphi-ruzvelti-mokhibluli-iqho-stalinis-pirovnebith-cherchili-sabtchotha-beladis-qarizmith/.
106. Паипс Р. Я жил. Мемуари непримкнувшего. М., 2005.
107. Правда. 03.11.1957.
108. New York Times, Sunday Book Review. 18 November, 1984.
109. Байбаков Николай Константинович // Сайт „Международный объединенный биографический центр" (http://www.biograph.ru/bank/baibakov_nk.htm.
110. Федоренко Н.П. Из воспоминаний // Россия и современный мир. 1998. № 1(18).
111. Соломенцев М. С. Верю в Россию. М., 2003.
112. Черняев А.С. Моя жизнь и мое время. М., 1995.
113. Рыжков Н.И. Десять лет великих потрясений. М., 1995.
114. Ненашев М.Ф. Последнее правительство СССР. Личные свидетельства. Диалоги. М., 1993.
115. Бовин А. Курс на стабильность породил застой //Л.И.Брежнев. Материалы к биографии. М., 1991.
116. В Центральном Комитете КПСС и Совете Министров СССР // Известия. 1979. 29 июля.
117. Шаталин С. Прерванный диалог. . М., 1992.
118. Размышления о советском кризисе // Посев. 1982. № 4.
119. Golitsyn Anatoliy. New Lies for Old: The Communist Strategy of Deception and Disinformation. N.Y., 1984.
120. Поляков Л.Е. Цена войны. Демографический аспект. М., 1985.
121. Рокфеллер Д. Банкир в XX веке. Мемуары. М., 2003.
122. Орлов А. Тайная битва сверхдержав. М., 2000.
123. Первое М. Системы ракетнокосмической обороны России создавались так. 2 изд. М., 2004.
124. Hughes E.. The Ordeal of Power. New York , 1964.
125. Энциклопедический словарь. М., 1964. Т. 1.

126. Запись беседы И.В. Сталина с Ф. Рузвельтом. 28 ноября 1943 г. // Советский Союз на международных конференциях периода Великой Отечественной войны 1941–1945 гг. Т. II. Тегеранская конференция руководителей трех союзных держав – СССР, США и Великобритании (28 ноября – 1 декабря 1943 г.). Сборник документов. М., 1978.
127. Каренин А. Философия политического насилия. Критика некоторых а кти коммунистических концепций в области внешней политики США. М., 1971.
128. Большаков В. На пути в XXI век. Репортажи и размышления.
129. Кобяков А.Б. Хазин М.Л. Закат империи доллара и конец „Pax Americana". М., 2003.
130. Системная история международных отношений. Т. 3.
131. Черняев А.С. Совместный исход.
132. მაკორმიკი ჯ. ევროკავშირის პოლიტიკა. თბ., 2017.
133. Римский клуб. История создания, избранные доклады и выступления, официальные материалы / Под ред. Д.М. Гвишиани. М., 1997.
134. „Я вдруг расцвел в удивительно сжатые сроки". Писатель Владимир Буковский в беседе с Андреем Карауловым // Независимая газета. 1992. 31 января.
135. Быков А. Индустрия терроризма // Новости разведки и контрразведки, № 7–8. 2003.
136. Брутенц К.Н. Несбывшееся.
137. Яковлев А. Н. Большевизм – социальная болезнь XX века // Черная книга коммунизма. Преступления. Террор. Репрессии. Пер. с франц. М., 2001.
138. Чазов Е. Рок. М., 2001.
139. Луков В.В. Россия в клубе лидеров. М., 2002.
140. Полная хронология XX века.
141. ЦентральноВосточная Европа во второй половине XX века. Т.1. Становление „реального социализма". 1945–1965 гг. М., 2000.
142. Гуськова Е.Ю. История югославского кризиса (1990–2000). М., 2001.
143. Шик О. Весеннее возрождение. Иллюзии и действительность. Пер. с чеш. М., 1991.

144. Константинов С. „Я ведь не политик, я – инженер" // Независимая газета, 2000.14 декабря.
145. Млынарж З. Мороз ударил из Кремля. М., 1992.
146. Леонов Н. Лихолетье. Последние годы СССР. М.,2020.
147. Голицын А. Глава „Завершающий этап" из книги „New Lies for Old" (http://groups.google.com/group/stopkgb/msg/1b8cff1fböbSbbeb?).
148. Давидоу М. Камо грядеши, Русь?...Заметки американского публициста о перестройке. М., 1993.
149. Rogge O. Our Vanishing Civil Liberties, New York , 1949.
150. „The Wall Street Journal", 1981, February 23.
151. http://ru-90.ru/content/%D0%B3%D0%B0%D0%B9%D0%B4%D0%B0%D1%80-%D0%B5%D1%82-%D0%BF%D0%B0%D0%B4%D0%B5%D0%BD%D0%B8%D0%B5-%D1%86%D0%B5%D0%BD-%D0%BD%D0%B0-%D0%BD%D0%B5%D1%84%D1%82%D1%8C-%D0%BF%D0%BE%D1%81%D0%BB%D0%B5%D0%B4%D0%BD%D0%B8%D0%B9-%D1%83%D0%B4%D0%B0%D1%80
152. Schweizer P. Victory: The Reagan Administration's secret strategy that hastened the collapse of the Soviet Union.
153. Strayer R. Why Did the Soviet Union Collapse? Understanding Historical Change. New York; London: M. E. Sharpe, 1998.
154. Talbott St. The Russians and Reagan. – New York, 1984.
155. Швейцер Петер. Победа. Роль тайной стратегии администрации США в распаде Советского Союза и социалистического лагеря. – Минск, 1995.
156. გაზ. კომუნისტი. 6 მარტი. 1981.
157. О партмаксимуме // Известия ЦК КПСС. 1990. № 7.
158. Военные архивы России. Вып.1. М., 1993.
159. Шепилов Д.Т. Воспоминания II Вопросы истории. 1998. № 5.
160. Киссинджер Г. Дипломатия. М., 1997.
161. Корниенко Г. Холодная война: свидетельство ее участника. М., 1995.
162. Лысенко В. Обман: председатель КНК РСФСР В.Ф Кононов о борьбе с приписками // Советская Россия. 1986. 26 октября.

163. Хлопководство. 2 изд. М., 1983.
164. Народное хозяйство СССР в [1956–1985] году. Статистический сборник. М., 1957–1986.
165. Виноградов Б. Проверка из космоса // Коммунист. 1988. № 3.
166. Тимофеев Л. Технология черного рынка как политическая система. Публицистическое исследование. М., 1993.
167. Колесникова Е. Подпольные миллионеры в теневой экономике // Правительственный вестник. 1990. № 4.
168. Корягина Т.И. Услуги теневые и легальные //Эко. 1989. № 2.
169. Колесникова Е. Подпольные миллионеры в теневой экономике // Правительственный вестник. 1990. № 4.
170. Модестов Н. Наживаются // Правда, 1990, 6 января.
171. Народное хозяйство СССР в 1990.
172. Народное хозяйство СССР. 1922–1982 гг. Юбилейный статистический сборник. М., 1983.
173. Торговля СССР. Статистический сборник. М., 1989.
174. Стерлигов А.Н. Опальный генерал свидетельствует. Канцелярия предательства. М., 1992.
175. Шевченко Г.А. Побег из коридоров МИДа.
176. Дроздов Ю, Фартышев В. Юрий Андропов и Владимир Путин. На пути к возрождению. М., 2001.
177. Земцов И./Лица и маски. О времени и о себе. Кн. 1. М., 2008.
178. Алидин В.И. Государственная безопасность и время. 1951–1986. 2е изд. 2001.
179. Гуров А.И. Красная мафия. М., 1995.
180. Гайдар Е.Т. Гибель империи.М., 2005.
181. Рыжков Н.И. Перестройка: история предательства. М., 2004.
182. Стерлигов А.Н. Опальный генерал свидетельствует.
183. Дроздов Ю.И. Вымысел исключен. Записки начальника нелегальной разведки КГБ СССР. М., 2005.
184. Швец Ю. Все разведки мира близнецыбратья. Бывший советский разведчик отвечает на вопросы „Московских новостей" // Московские новости. 1994. № 19.8 – 15 мая.

185. Млечин Л. Андропов. М., 2006.
186. Королев В. „Секреты" секретных служб // Огонек. 1990. № 43.
187. Таким мы знали Ю.В. Андропова // Команда Андропова. М., 2005.
188. Бурлацкий Ф. Брежнев и крушение „оттепели" //Л.И. Брежнев. Материалы к биографии.
189. Шелест П.Е. Да не судимы будете. Дневниковые записи, воспоминания члена Политбюро ЦК КПСС. М., 1997.
190. Шахназаров Г.Х. С вождями и без них. М., 2012.
191. Брежнева Л. Я. Племянница генсека. М. 1999.
192. Черняев А. С. Совместный исход. М., 2008.
193. Александров-Агентов А.М. От Коллонтай до Горбачёва. Воспоминания дипломата, советника А.А. Громыков, помощника Л.И. Брежнева, Ю.В. Андропова, К.У. Черненко, М.С. Горбачёва. М., 1994.
194. Александров-Агентов А. Осень патриарха // Совершенно секретно, №.6. 1993.
195. Правда, 11 Октября, 1957.
196. http://www.great-country.ru/rubrika_articles/anons/110522-01.html.
197. Зиновьев А. Как иголкой убить слона // Наш современник. 2005. № 10.
198. „Коммерсантъ-Власть", 15 мая 2001 года).
199. Шушкевич С. Моя жизнь. Крушение и воскрешение СССР. М.,2003.
200. გურული ვ. მეფე-მამა. თბ., 2014.
201. https://translate.google.com/?sl=ru&tl=ka&text=%
202. https://for.ge/view/42124/Teirani-43--dazvervebis-omi.html.
203. Советская энциклопедия. Т. 10. М., 1940.
204. Советская энциклопедия. Т. 11. М., 1940.
205. Арзаканян М.Ц.. Политическая история Франции XX века: Учеб. пособие/М.Ц. Арзаканян. — М.: Высш. шк. 2003.
206. История Германии. От создания Германской империи до начала XXI. Том 2. века. Учебное пособие. – Западносибирский центр германских исследований & Германский исторический институт в Москве, 2008.
207. Очеркипо историипангерманизмав Австрии в концеXIXв. М., 1970.

208. ცინცაძე ი. დიპლომატია რიშელიედან გორბაჩოვამდე. თბ., 2016.
209. Хазин А.Л. Богданов С. В. Венский конгресс 1814–1815 годов и его участники: коммуникативные инструменты, ошибки, достижения.
210. https://infourok.ru/nauchnaya-statya-po-teme-poziciya-anglii-po-probleme-territorialnogo-pereustroystva-evropi-521252.html
211. ДаниловА.А. От разоблачения сталинизма к бюрократизации, окостенению партии. 2001.
212. Доброхотов Л .Н.. НЕСОСТОЯВШАЯСЯ ПОПЫТКА РЕФОРМИРОВАНИЯ КПСС. М.,1999.
213. ერთი იდეოლოგიური კამპანიის ისტორიიდან(საბჭოთა კავშირის ტერიტორიული პრეტენზიები ტურქეთისადმი 1945-1953 წლებში). მასალები გამოსაცემად მოამზადა და შესავალი წერილი დაურთო ჯ. სამუშიამ). თბ., 2003.
214. https://www.kvirispalitra.ge/history/13100-1945-1953-tslebshi-sabtcotha-kavshiris-teritoriuli-pretenziebi-thurqethisadmi.html?all=0&add_new=1&reply=0&rnd=1561672150.4151
215. https://www.allnews.ge/msoplio/153351-mosadi-legendebi-da-sinamdvile-msoplios-sauketeso-specsamsaxurze/.
216. სტალინი ი. სოციალიზმის ეკონომიკური პრობლემები საბჭოთა კავშირში. თბ., 1952.
217. Козлов В. А. Неизвестный СССР. Противостояние народа и власти 1953—1985 гг. М.: Олма-пресс, 2006.
218. Борисёнок Ю. Расстрел рабочих в Новочеркасске // Энциклопедия для детей. История России и её ближайших соседей. Ч.3. XX век. // Глав.ред. - М. Д. Аксёнова. — М.: Аванта+,, 1999.
219. Микоян А. И.. Так было. М., 1999.
220. http://novocherkassk.net/wiki/1962/
221. Шубин А.В. Преданная демократия. М., 2006.
222. Неформальная Россия. О неформальных политизированных движениях и группах в РСФСР (опыт справочника). М., 1990.
223. Мир – это война. М., 2007. С. 22 (интервью Ф.Д. Бобкова).
224. Кагарлицкий Борис Юльевич: биография и книги // Либрусек (http://lib.rus.ec/b/l54210/read).

225. Перестройка десять лет спустя (апрель 1985 – апрель 1995).
226. Фурман Д.Е. Становление политических организаций в современной Эстонии. М., 1991.
227. Мир – это война. С. 22 (интервью Д.Ф. Бобкова).
228. Сависаар Э. Э. Социально – философские основы работ Римского клуба по глобальному моделированию. Автореферат дисс... кандидата философских наук. М., 1981.
229. Лаар М. Отт У., Другая Эстония. М., 2000.
230. Островский А.В. Кто поставил Горбачёва. М., 2005.
231. Отсасон Р. Соколов В. Республика на хозрасчёте? // Литературная газета. 1988. 16 ноября.
232. Ярлик Р. 1987 год, или как народ Эстонии пошёл в политику // Балтийский путь к свободе. Опыт ненасильственной борьбы стран Балтии в мировой политике. Рига. 2006.
233. Отсасон Р. Соколов В.. Республика на хозрасчёте? // Литературная газета. 1988. 16 ноября.
234. Лаар М., Отт У., Эндре С. Другая Эстония. Возрождение независимости Эстонии. 1986–1991. Пер. с эст. Таллинн, 2002.
235. Григорян Р. Неизвестные страницы „поющей революции" // Анатомия независимости.
236. Ярлик Р. 1987 год, или как народ Эстонии пошёл в политику // Балтийский путь к свободе.
237. Баграмов Э. Как делалась национальная политика. Воспоминания консультанта ЦК КПСС // Независимая газета. 1992. 21 января.
238. Яковлев А.Н. Сумерки. М., 2007.
239. Крючков В.А. Личное дело. Ч. 2. М., 1998.
240. Смысл перестройки. Радио Свобода. 29 марта 2008 (ведущий В. Ерофеев) // http://www.svobodanews.ru/content/transcript/441509.htm
241. Письмо объединённого пленума правлений творческих союзов Эстонской ССР – ЦК Компартии Эстонской ССР, Президиуму Верховного Совета Эстонской ССР, Совету министров Эстонской ССР, творческой интеллигенции Эстонской ССР (принято 2 апреля 1988

г.) // Молодёжь Эстонии. Таллинн, 1988. 13 мая. См. также: Радуга. Таллинн. 1988. № 5.
242. Четвёртая сессия Верховного Совета СССР. Стенографический отчёт. Ч.3. 25 сентября – 1 октября 1990 г. С. 51 (выступление К.С. Хаалик).
243. Больше социализма! // Огонёк. 1988. № 12.
244. Курашвили Б. По опыту братских стран. Не созрело ли создание Демократического союза // Московские новости. 1988. 6 марта.
245. Чернов А. Модель надежды // Огонёк. 1988. № 31.
246. Лайд Э. Народный фронт // Вечерний Таллин. 1988. 6 мая.
247. Метлок Дж. Смерть империи. Взгляд американского посла на распад Советского Союза. М., 2003.
248. Илларионов А. Слово и дело. Беседа в редакции // Континент. 2008. Т. 136. № 2.
249. Народное хозяйство СССР в 1990 г. М., 1991.
250. Крючков В. Личное дело. Три дня вся жизнь. М., 2019.
251. https://kvirispalitra.ge/article/32392-qbeladis-angelozebiq-qpirvelicolis-dakrdzalvis-dghes-gathkhril-saflavshi-khteba-da-mashinsabolood-ganudgeba-ghmerthsq/ .
252. https://inosmi.ru/politic/20211209/251084503.html?fbclid=IwAR331afB8UN0Yb4d9ZDs9lNFbOpP6yLUB-5Vidgpk8sSVB-V3tVSp7H6dVY.
253. Гриневский О. Перелом. От Брежнева к Горбачеву. М.: ОЛМА-Пресс, 2004.
254. Калашников М.. Крещение огнем. Борьба исполинов.. М.: Аст: Астрель, 2008.
255. ra werili miwera hitlerma stalins 1943 wlis 30 agvistos-https://for.ge/view/55010/ra-werili-miswers-hitlerma-stalins-1943-wlis-30-agvistos.html
256. https://www.eg.ru/politics/478021/
257. Корниенко Г. Холодная война. М., 2013. https://iknigi.net/avtor-georgiy-kornienko/568-holodnaya-voyna-svidetelstvo-ee-uchastnika-georgiy-kornienko/read/page-21.html
258. Правда, 21 марта 1925 г.
259. „Комсомольская правда", 18 декабря 1926 г.

260. Новая половая мораль. Москва, 1927.
261. Корягина Т. Я знаю достаточно много. Совершено секретно. 1990. № 9(16).
262. Черняев А. С. Совместный исход.М., 2002.
263. Горбачов М.С. Наедине с собой. Москва, 2012.
264. http://geworld.ge/ge/%E1%83%A1%E1%83%A2%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%9C%E1%83%91%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%92%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%A1-2/
265. გაზ. „ბრძოლის ხმა", პარიზი 1936 წელი. N 65.
266. http://www.tbiliselebi.ge/?mas_id=11136&jurn_id=30&rubr_id=13
267. Karel P. Eastern Front. Book 1. Hitler go East. 1941-1943. - M .: Eksmo, 2003.
268. https://www.washingtonpost.com/archive/ olitics/2004/02/27/reagan-approved-plan-to-sabotage-soviets/a9184eff-47fd-402e-beb263970851e130/?fbclid=IwAR1QjeJatnnoYdBDJb69UY8oioGD5QjFL0RxS_emdG18GLCDQY1DK_tl0aE